შოთა ვეშაპიძე

ეკონომიკის საფუძვლები

შოთა ვეშაპიძე

ეკონომიკის საფუძვლები

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემია, 2015

შ.ა. ვეშაპიძე.

ეკონომიკის საფუძვლები: სახელმძღვანელო. დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, 2015.

"ეკონომიკის საფუძვლების" წინამდებარე სახელმძღვანელო საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიაში მომზადდა და ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის არის განკუთვნილი. წიგნის უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი შედგენილია შემდეგ ძირითად წყაროებზე დაყრდნობით: **ჯეკ ჰარვეი,** თანამედროვე ეკონომიკური თეორია; **მარინა მაშინა,** ეკონომიკის ანბანი; **პოლ კრუგმანი, რობი ველსი, მართა ლ. ოლნი,** ეკონომიკური თეორიის საფუძვლები; **გრეგორი მენქიუ,** ეკონომიკის პრინციპები. ასევე აღსანიშნავია პროფესორების **ა. მოვსესიანის, ს. ოგნიცევის, ე. ბორისოვის, ლ. გრებნევის, რ. ნურეევის, დ. ვალოვოის, ვ. კოზირევის, ა. ბულატოვის** სახელმძღვანელოები.

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ქართველი ავტორები: **აკადემიკოსები, ვლ. პაპავა, ა. სილაგაძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლ. ჩიქავა და პროფესორები: გ. ადეიშვილი,გ. თოდუა, შ. ქისტაური, თ. ჭიაბრიშვილი, რ. აბესაძე, თ. ბერიძე, რ. ასათიანი, დ. იაკობიძე, რ. კაკულია, ე. მექვაბიშვილი, რ. გოგოხია, მ. ჯიბუტი, ა. ჯიბუტი, ს. პავლიაშვილი, ნ. ჭითანავა, მ. თოქმაზიშვილი, ო. ქეშელაშვილი, უ. სამადაშვილი, თ. შენგელია, მ. გველესიანი, გ. ჯოლია, ნ. ასლამაზიშვილი, ნ. თურნავა, ს. ფეტელავა, შ. გოგიაშვილი, ე. ბარათაშვილი, ა. გრიშიკაშვილი, რ. გველესიანი, გ. ერქომაიშვილი, მ. გელაშვილი, ა. აბრალავა, ლ. ბახტაძე, ჯ. კახნიაშვილი, პ. ლეიაშვილი, პ. ლემონჯავა, კ. ღურწკაია, გ. მალაშხია, ლ. ქარჩავა, რ. ოთინაშვილი, მ. ვანიშვილი, ზ. შანავა, თ. ბაქრაძე, რ. ბასარია, ვ. სართანია, ა. სისვაძე, ნ. ჩიხლაძე, დ. კვარაცხელია, მ. კვარაცხელია, ა. გვარუციძე, დ. სეხნიაშვილი, რ. შენგელია, ზ. ლიპარტია, გ. ცაავა, ზ. გვიშიანი, ა. სიჭინავა, ე. ხარაიშვილი, ნ. ხადური, რ. ჯავახიშვილი, დ. ჯანგულაშვილი, მ. ჭიაბრიშვილი, გ. ხანთაძე და სხვები.**

„ეკონომიკის საფუძვლების" სალექციო კურსის მიზანია საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების საფუძვლების ღრმად შესწავლისთვის, სინამდვილის ობიექტური, მიუკერძოებელი ანალიზისთვის საჭირო მეთოდოლოგიური საფუძვლების შემეცნება; ფუნდამენტის ჩაყრა მრავალი (მიკროეკონომიკის, მაკროეკონომიკის, ეკონომიკის პრინციპების, მენეჯმენტის, მარკეტინგის და სხვა მრავალი) ეკონომიკური დისციპლინების შესწავლისთვის, რომლებიც იყენებენ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების ეკონომიკური მხარის ზოგადი ცნებების, კანონზომიერებების, მათი ურთიერთკავშირისა და მაჩვენებელთა სისტემას; ეკონომიკური სისტემების ტიპებისა და მოდელების, საბაზრო მექანიზმის ძირითადი ელემენტების შესწავლა; მიწოდებისა და მოთხოვნის საბაზრო ძალების, ელასტიკურობის, შემოსავლების, ხარჯების, მოგების, სამეწარმეო საქმიანობის მოწყობის საფუძვლების, საწარმოს ფინანსების, კონკურენციისა და მონოპოლიის არსის, სახელმწიფოსა და მთავრობის როლის, ფულისა და საფინანსო ინსტიტუტების, ეკონომიკის როგორც მთლიანობის ზოგადი საფუძვლების შემეცნება.

ISBN 978-9941-0-7675-6 (PDF)

სამეცნიერო სარედაქციო საბჭო: აკადემიკოსი **ავთანდილ სილაგაძე (თავმჯდომარე) პროფესორი თეიმურაზ შენგელია (ვიცეთავმჯდომარე), პროფესორი თამაზ ზუბიაშვილი, პროფესორი ლოიდ ქარჩავა, ასოც. პროფესორი თამარ ათანელიშვილი, ასოც. პროფესორი მადონა გელაშვილი.**

სარედაქციო კოლეგია: **პროფ. ქეთევან ჭიაბრიშვილი** (კოლეგიის თავმჯდომარე) **პროფ. ნინო ჯოჯუა** (კოლეგიის ვიცეთავმჯდომარე) **პროფ. ნანა ასლამაზიშვილი, პროფ. ქეთევან ქუთათელაძე, პროფ. რუსუდან დალაქიშვილი, პროფ. შალვა ჯულაყიძე, პროფ. შალვა კვეზერელი, ასისტენტ-პროფესორი ნინო რუხაია-მოსემღვდლიშვილი.**

რეცენზენტები: ე.მ.დ. პროფესორი რევაზ გოგოხია; ე.მ.კ. პროფესორი მერაბ გველესიანი.

სარჩევი

შესავალი 11

პირველი თავი კურსის საგანი და მეთოდოლოგია 13

ეკონომიკის თანამედროვე გაგება " მეურნეობა" და „ეკონომიკა" 13

ეკონომიკური მეცნიერების საგანი 13

ეკონომიკური მეცნიერების ძირითადი ფუნქციები 15

ეკონომიკური კანონების დამახასიათებელი ნიშნები 16

ეკონომიკის კანონების და პრინციპების ურთიერთკავშირი 16

ეკონომიკური ანალიზის დონეები 16

ზოგადი ეკონომიკური თეორიის პრინციპები 17

თეორიული და გამოყენებითი ეკონომიკის პრინციპები 17

დაშვებათა როლი 19

"სხვა თანაბარ პირობებში" დაშვების გამოყენება ეკონომიკაში 19

პოზიტიური და ნორმატიული ანალიზი 21

კანონები, რომლებიც მეტწილად მიკროეკონომიკის სფეროს ეკუთვნის 23

ეკონომიკური კანონების თავისებურებანი 23

კანონების მოთხოვნები, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ეხება 23

სამეურნეო საქმიანობის მთავარი როლი 24

"რატომ უნდა დაიწყოთ თქვენ, 21-ე საუკუნის სტუდენტებმა, ეკონომიკური მეცნიერების შესწავლა? " 25

პროდუქტის რა სახეობებს ქმნის ეკონომიკა 26

საზოგადოების მატერიალური სიმდიდრის მდგენელები 29

როგორაა მოხმარების საგნები დაკავშირებული წარმოების საშუალებებთან 29

ეკონომიკური პრობლემა 30

ეკონომიკური დოვლათი 31

ეკონომიკური დოვლათის ორადი ხასიათი 31

ეკონომიკის მეთოდები 32

ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდი 33

დიალექტიკის 3 მთავარი კანონი 34

სისტემური მიდგომის მეთოდი 35

ლოგიკის კანონები 37

დედუქციური და ინდუქციური დასკვნების გამოყენება 38

კითხვები გამეორებისთვის 38

დანართი ა 39

"დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ანალიტიკურ აზროვნებას. ჩვენ ვცხოვრობთ იმ დროში, როცა ძალიან ბევრი ვიცით, მაგრამ დრმა ცოდნა გვაკლია". 39

დანართი გ 41

განწყობის თეორია 41

დანართი გ 42

რას აძლევს ანუ რა კავშირია „ეკონომიკასა და მენეჯმენტს შორის" 42

მეორე თავი ეკონომიკური თეორიის ძირითადი მიმართულებების ზოგადი დახასიათება 44

"ეკონომიკური აზრი" და "ეკონომიკური მოძღვრება" 44

სამი მთავარი წანამძღვარი 45

კუმულაციური და ევოლუციური მიდგომა 45

ყველაზე პირველი ეკონომიკური აზრი და მოძღვრებები თვალის ერთი გადავლებით: 46

უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური თეორიები 46
ძველი აღმოსავლეთის ეკონომიკური მოძღვრებანი 47
ძველი საბერძნეთის ეკონომიკური აზრი 47
კლასიკური ეკონომიკური მეცნიერების წუძემდებლები აღამ სმითი და დეივიდ რიკარდო 49
თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების მთავარი მიმართულებები 50
ქართული ეკონომიკური აზრის წარმოშობისა და განვითარების ეტაპები და წარმომადგენლები 52
შოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებანი 52
ვახტანგ VI-ის ეკონომიკური შეხედულებანი 54
სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებანი 55
ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური მოძღვრება: ლიბერალიზმის ქართული ნაირსახეობის იდეოლოგია 56
დანართი ა 61
"თვლა თუმცა მაბრე-რიბად არ იცოდა. . . ანბარიში ძნელად შეეშლებოდა" 61
დანართი ბ 61
ეკონომიკური აზროვნების ისტორიიდან: წუძემდებელი მამები 61
დანართი ბ 64
ეკონომიკური მეცნიერების განვითარება საქართველოში 64
მესამე თავი ეკონომიკური სისტემები და მათი არსი 71
რა ელემენტებისგან შედგება სისტემა ეკონომიკაში 71
რა სტრუქტურული რგოლებისგან შედგება სამეურნეო სისტემა 72
ეკონომიკური მეცნიერების შესწავლის რეალური ამოცანა 73
თავისუფალი კონკურენციის საბაზრო ეკონომიკა (სუფთა კაპიტალიზმი) 75
თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა (თანამედროვე კაპიტალიზმი ანუ შერეული ეკონომიკა) 76
ტრადიციული სისტემა 78
ადმინისტრაციულ-მბრძანებლური (ცენტრალიზებულ-ბებმური, კომუნისტური) სისტემა 78
მსოფლიოს თანამედროვე ეკონომიკური მოდელების თავისებურებები 83
დანართი ა 84
შერეული საბაზრო ეკონომიკის მოდელები 84
დანართი ბ 87
ეკონომიკური სისტემების ტიპები 87
საბაზრო ეკონომიკა 87
დირექტიული (მართვადი) ეკონომიკა 89
შერეული ეკონომიკა 91
მეოთხე თავი საბაზრო მექანიზმის ძირითადი ელემენტები 93
რა ხდის მოტივირებულს ორგანიზაციის წევრებს შეასრულონ სამუშაო მაღალ დონეზე 93
მოთხოვნილებების თეორიები 94
მასლოუს მოთხოვნილებების იერარქია 94
მოთხოვნილებათა როლი დოვლათის წრებრუნვაში 96
ეკონომიკური პროგრესის სტადიები 98
ვის და რას მოჰყავს წარმოება მოძრაობაში 98
ძირითადი ეკონომიკური ინსტიტუტები 103
საბაზრო სისტემის ორგანიზაციის ამოცანები 104
რა არის საკუთრება 107
რა არის საკუთრების ეკონომიკური ურთიერთობა 107
საკუთრება და თავისუფლება 109
ეკონომიკური თუ იურიდიული კატეგორია? 110

საკუთრების წენომენის გაგება სამართლებრივი თეორიების გადასახედიდან 111
კონკურენცია 112
კონკურენციის სახეობები და კონკურენტული გარემოს დაცვა 113
კეთილსინდისიერი და არაკეთილსინდისიერი კონკურენცია რესურსები (წარმოების ფაქტორები) 114
ეკონომიკური რესურსების სახეობები 115
ბაზრის წარმოშობის პირობები 116
ბაზრის ფუნქციების შინაარსი 117
დანართი ა 119
საზოგადოებისა და ბუნების ეკონომიკური ურიერთქმედება 119
დანართი ბ 120
რეალური დოვლათის მოძრაობა აბენტებს შორის საზოგადოება 120
დანართი გ 121
ეკონომიკური წრებრუნვის უმარტივესი მოდელი 121
დანართი დ 122
წრებრუნვის მოდელი სახელმწიფოს როლის გათვალისწინებით 122
მეხუთე თავი მიწოდება და მოთხოვნა 124
მოთხოვნა, მიწოდება, ფასი 124
მოთხოვნა 124
მოთხოვნის მრუდი 125
მოთხოვნის კანონი 125
მოთხოვნის ელასტიურობა 126
მოთხოვნის ელასტიურობის კოეფიციენტი 127
რაზეა დამოკიდებული მოთხოვნის ელასტიურობა ან არაელასტიურობა ცალკეულ საქონელსა და მომსახურებაზე 128
საერთო მოთხოვნის ცვლილება 128
მიწოდება 129
მიწოდების კანონი 129
მიწოდების მრუდი 130
მიწოდების ელასტიურობა 131
საერთო მიწოდების ცვლილება 131
წონასწორული ფასი 132
თავისუფალი კონკურენციის მოდელი 133
მოთხოვნა და მიწოდება 133
წონასწორობა 134
მრუდების გადაადგილება და მრუდების გასწვრივ მოძრაობა 136
ეკონომიკური აზროვნების ისტორიიდან: ალფრედ მარშალი და ფასწარმოქმნის თეორია 138
მოთხოვნა და მიწოდება გრძელვადიან პერიოდში 139
დანართი ა 140
მეექვსე თავი შემოსავალი, დანახარჯები, მოგება 141
შემოსავალი, დანახარჯები, მოგება 141
წარმოების ფაქტორების კომბინაციის არჩევა 142
კლებადი სარგებლიანობის კანონი 143
მუდმივი, ცვლადი და საერთო დანახარჯები 144
საშუალო და ზღვრული დანახარჯები 145
ეკონომიკური აზრის ისტორიიდან: კარლ მარქსის (1818-1883) ხედმეტი ღირებულების თეორია 146
მეშვიდე თავი მეწარმეობა 148
ი. შუმპეტერის თეორია მეწარმეობის და მეწარმის არსის შესახებ 148
ი. შუმპეტერის "ახალი კომბინაციების" დამატებები 150

მთავარი დასკვნა იმის შესახებ, თუ რატომ უნდა მივაკუთვნოთ მეწარმეობა რესურსებს 150
მეწარმეობის ძირითადი სამართლებრივი ფორმების თანაფარდობა 151
ინდივიდუალური კერძო (ერთპიროვნული) საწარმო 153
ერთპიროვნული საწარმოს ღირსებები 154
ერთპიროვნული საწარმოს ნაკლოვანებები 154
ამხანაგობა (პარტნიორობა) 155
ამხანაგობის ღირსებები 155
ამხანაგობის ნაკლოვანებები 156
სააქციო საზოგადოება 156
აქციონერული ფორმის საწარმოს ღირსებები 157
სააქციო საწარმოთა ნაკლოვანებები 157
როგორაა ორგანიზებული ღია ტიპის სააქციო საზოგადოება? 158
საკუთრებისა და კონტროლის ფუნქციების განაწილება 160
რთული ბიზნესური ორგანიზაციული სტრუქტურები - კორპორაციები 162
ტრანსეროვნული კორპორაციის თავისებურებებია 163
სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტთა სამართლებრივი ფორმები და მათი დაფუძნება საქართველოში 164
პასუხისმგებლობა, შესატანი, ინფორმაციის მიღებისა და კონტროლის უფლებები 164
მეწარმე სუბიექტის რეგისტრაცია 166
საწარმოს რეგისტრაციის პირობები 167
საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების 168
რეგისტრაცია 168
საფირმო სახელწოდება (ფირმა) 169
სამამულო მეწარმეობის ისტორიიდან 170
დანართი ა 179
რა განსხვავებაა მენეჯერსა და მეწარმეს შორის? 179
მერვე თავი საწარმოს ფინანსების ზოგადი მიმოხილვა 180
საწარმოს ფინანსები 180
საწარმოს დაფინანსების შიდა წყაროები 180
დაფინანსების გარეშე წყაროები 181
მოკლევადიანი დაკრედიტება 181
გრძელვადიანი დაკრედიტება 182
ღია ტიპის სააქციო საზოგადოების დაფინანსების წყაროები 182
აქციები 182
ობლიგაციები 183
ფასიანი ქაღალდების გაზარი 184
საფონდო ბირჟა 184
ბირჟის გარეშე გაზარი 184
როგორ თამაშობენ ბირჟაზე 184
დანართი ა 185
"კრედიტი, წმინდა ეკონომიურის თვისების, იმისთანა რამ არის, რომლის ძალითაც ფული ერთის ხელიდამ მეორეში გადადის მარტო იმ აზრით, რომ ეკონომიური წარმოება განაძლიეროს". 185
დანართი ბ 186
„ფინანსური დაწესებულება იბია, რომელიც განაგებს. . . სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის საქმეებს" 186
მეცხრე თავი კონკურენცია და მისი მნიშვნელობა 187
კონკურენცია და მონოპოლია 187
სრული კონკურენცია 187

მონოპოლია 188
საბაზრო ფასი მონოპოლიის პირობებში 188
კანონით ნებადართული მონოპოლიის სახეები 190
რა "ზიანი" მოაქვს მონოპოლიას? 192
არასრული კონკურენციის სახეები 193
მონოპოლისტური კონკურენცია 193
ფასები მონოპოლისტური კონკურენციის პირობებში 194
მონოპოლისტური კონკურენცია-სიკეთე თუ ბოროტება? 194
ოლიგოპოლია 194
მსხვილ საწარმოთა ორგანიზაციული ფორმები ოლიგოპოლიისა და მონოპოლიის პირობებში 195
საბაზრო ფასი ოლიგოპოლიის პირობებში 197
მონოფსონია და ოლიგოფსონია 197
ბაზრის სტრუქტურის სხვადასხვა ტიპები და ეფექტურობა 198
ეკონომიკური აზროვნების ისტორიიდან: არასრული კონკურენციის თეორიის შემქმნელები 198
დანართი ა 204
ბაზრის სხვადასხვა ტიპების მახასიათებლები 204
მეათე თავი ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა: მიზეზები, ინსტრუმენტები, ზომები 205
სახელმწიფოსა და მთავრობის როლი 205
სახელმწიფო ბიუჯეტი კონცეტრირებულად ასახავს ქვეყნის ეკონომიკაში ჩარევას 206
ბიუჯეტი 207
საგადასახადო სისტემის აგების პრინციპები 208
საგადასახადო ტვირთის გადატანა 211
ჩრდილოვანი ეკონომიკა 211
ბიუჯეტის დეფიციტი და ეროვნული ვალი 213
ვალი 213
მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების ზოგადი მეთოდოლოგია 215
დანართი ა 220
ვეკონომიკური თავისუფლება 220
დანართი ბ 224
"ვარ კვოტების წინააღმდეგი. მაბრამ, ვარ თანასწორობის მომხრე და თუ ვხედავ, რომ თანასწორობა ვერ მიიღწევა კვოტების გარეშე, მე მაშინ ვხდები კვოტების მომხრე". 224
მეთერთმეტე თავი ფული და საფინანსო ინსტიტუტები 231
ფული და საფინანსო ინსტიტუტები 231
ფ უ ლ ი 231
როგორ გაჩნდა ფული 231
ფულის ფუნქციები 233
ფულის თანამედროვე სახეები 234
ფულის მსყიდველობითი უნარი 235
ინფლაცია 237
ინფლაციის ტიპები და მიზეზები 240
ინფლაციის შედეგები 243
საფინანსო ინსტიტუტები 244
ცენტრალური ბანკი 244
კომერციული ბანკები 246
ეკონომიკური აზროვნების ისტორიიდან 249
მეთორმეტე თავი ეკონომიკა როგორც მთლიანობა 251

მთლიანი ეკონომიკა 251
ეკონომიკური წრებრუნვა 251
მაკროეკონომიკური მაჩვენებლები 253
დანართი ა 256
შემოსავლის სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლები 256
დანართი ბ 261
მეპ-ს გაანგარიშების სამი მეთოდი პროფ. ი. გუროვას "მსოფლიო ეკონომიკის" სახელმძღვანელოს მიხედვით 261
დანართი გ 263
მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა ურთიერთკავშირი 263
მეცამეტე თავი ეკონომიკური ზრდა 266
ეკონომიკური ზრდა 266
ეკონომიკური ზრდის მდგენელები 267
ეკონომიკური ზრდის ორი მოდელი 269
ეკონომიკური ზრდის წინაღმდეგობანი 271
ეკონომიკური ციკლები 272
ეკონომიკური ციკლის ფაზები 272
ეკონომიკური ციკლების მიზეზები 274
დასაქმების ეკონომიკური ცნება 275
უმუშევრობა 276
უმუშევრობის ტიპები 277
2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისი 278
ეკონომიკური აზროვნების ისტორიიდან: 279
ჯონ მეინარდ კეინზი (1883-1946) 279
დანართი ა 281
ეკონომიკური ზრდის საზომები 281
დანართი ბ 288
შემოსავლის განაწილება 288
მეთოთხმეტე თავი საგარეო ვაჭრობა 293
საგარეო ვაჭრობის "" "საზომები"" 293
რატომ ვაჭრობენ ქვეყნები? 293
აბსოლუტური უპირატესობა საგარეო ვაჭრობაში 294
შედარებითი უპირატესობა საგარეო ვაჭრობაში 295
საერაჭრო ბარიერები 296
საგარეო ვაჭრობის შეზღუდვის სახეები 296
საგარეო ვაჭრობაში შეზღუდვების არსებობის მიზეზები 297
ახალგაზრდა დარგების დაცვის აუცილებლობა (არგუმენტი) 298
რა არის ტრანსნაციონალური კორპორაცია? 298
საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსება 300
საერალუტო კურსი 300
როგორ დგება საერალუტო კურსი 300
ნავთობდოლარები, ევროდოლარები და სხვა ევროვალუტები 302
საგადასახდელო ბალანსი: საგარეო სექტორის ანგარიშები და მათი მნიშვნელობა 302
მეთხუთმეტე თავი ეკონომიკური თეორიის თანამედროვე მიმართულებები და სკოლები 308
ზოგადი მიმოხილვა 308
ეკონომიკური თეორიის თანამედროვე მიმართულებები და სკოლები 309
ეკონომიკური თეორია და დოქტრინა 309
2. ნეოკლასიკური თეორია 310
წონასწორული ფასის კონცეფცია 311

“ზღვრული სარგებლიანობა” და ზღვრული სიდიდეების კონცეფცია 312
ერთი მაკრატლის ორი პირი 313
ეკონომიკური მოდელები 313
ზღვრული მწარმოებლურობის თეორია 315
ნეოკლასიკური სინთეზი 316
3. ინსტიტუციონალიზმი - ორიგინალური კონცეფცია 318
სამი ძირითადი იდეა 318
ეკონომიკური სისტემების ევოლუციის გზები 319
4. ჯ.მ. კეინზი: ეფექტიანი მოთხოვნის თეორია 320
კეინზის მიერ შემოთავაზებული იდეები 320
მოთხოვნა ქმნის მიწოდებას 321
რეგულირების ინსტრუმენტები 322
საინვესტიციო მულტიპლიკატორი 323
ნეოკეინზიანელთა რეკომენდაციები 324
5. მონეტარიზმი: ახალ მიდგომათა გამოძებნა 324
უკან სმითისაკენ 325
ფულადი ემისია - ძირითადი მეთოდი 325
ფულადი იმპულსების მექანიზმი 326
ფრიდმენის „ფულადი წესი“ 327
6. მიწოდების ეკონომიკა 328
რეკომენდაციები საგადასახადო პოლიტიკის დარგში 329
ლაფერის ეფექტი 329
7.ნეოლიბერალიზმი: კონცეფცია და პრაქტიკა 330
ეკონომიკური ლიბერალიზმის ტრადიციები 330
ლ.ერჰარდის ეკონომიკური რეფორმა 331
ფ. ჰაიეკი ადმინისტრაციული დესპოტიზმის წინააღმდეგ 332
8. მარქსისტული თეორია: კონცეფტუალური დებულებები და თანამედროვე შეხედულებანი 333
მატერიალური წარმოება - საზოგადოების განვითარების საფუძველი 333
ღირებულების კონცეფცია: ერთი თუ რამდენიმე ფაქტორი? 334
კი არ უარვყოთ, არამედ ხელახლა გავიაზროთ მარქსის მოძღვრება 336
დანართი ა 337
ნეოლიბერალიზმი 337
ძირითადი ლიტერატურა 343

შესავალი

ჩვენს სასიქადულო მამულიშვილს, ერის მამას - **ილია ჭავჭავაძეს** ხალხის სიღარიბიდან გამოსვლის მთავარ საწინდრად ეკონომიკური ცოდნა მიაჩნდა. თავის სიტყვაში, რომელიც მან წარმოთქვა სოფელ წინამძღვრიანთ-კარში სამეურნეო სასწავლებლის გახსნის დროს, იგი გლეხობას მიმართავდა: "**ცოდნა ბევრნაირია. ხოლო აქედამ ჩვენი შვილები, თქვენი შვილები გამოიტანენ იმისთანა ცოდნას, რომელიც დედამიწის გულში ჩაგვახედებს, მიგვაგნებინებს სად რა სიმდიდრე უძევს და რა რიგის ხერხით, რა რიგის ოსტატობით შეიძლება იმ სიმდიდრეს ხელი დავაწვდინოთ, ამოვიღოთ და მოვიხმაროთ ქვეყნისა და ჩვენის თავის სადღეგრძელოდ". მას ღრმად სწამდა, რომ "კაცი სხვის მარგეც უნდა იყოს, და თავისთავისაც". [37, გვ. 176]**

წმინდა ილია მართლის ამ ნააზრევში ნათლად არის წარმოჩენილი, რომ ეკონომიკურმა ცოდნამ სამი მთავარი საკითხი უნდა გადაგვაწყვეტინოს: **რა, როგორ და ვისთვის ვაწარმოოთ?**

იმისათვის, რომ ვუპასუხოთ ამ სამ მთავარ კითხვას და გადავჭრათ ეს პრობლემები, უნდა ვისწავლოთ ეკონომიკის გაგება. ეკონომიკური მეცნიერება თეორიული მეცნიერებაა, მაგრამ იგი რეალური ცხოვრების მოვლენებს ეფუძნება. ამ მოვლენების განზოგადებით მეცნიერებს გამოჰყავთ მათ შორის მყარი, განმეორებადი კავშირები - ადამიანთა ეკონომიკური ქცევის კანონები. ამ კანონებს აბსტრაქტული ხასიათი აქვთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი სამართლიანია მხოლოდ მრავალი პირობისა და წანამძღვრის დაცვის პირობებში. ამ დებულებების ცოდნის გარეშე ეროვნულ მეურნეობაში მიმდინარე რეალური პროცესების გაგება შეუძლებელია. მაგრამ მხოლოდ მათი გამოყენებითაც არ შეიძლება ავხსნათ საზოგადოების რეალური ეკონომიკური ცხოვრების მთელი მრავალფეროვნება. სხვადასხვა აბსტრაქტული სქემებისა და ცხრილების გამოყენებით ჩვენ მხოლოდ ჭეშმარიტების მიახლოებას ვცდილობთ.

სირთულეს წარმოადგენს ტერმინოლოგიის საკითხიც. ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ მრავალ ეკონომიკურ ტერმინს ვიყენებთ, მაგრამ მათში სხვა აზრს ვდებთ. მაგალითად, დღეს ყველა ლაპარაკობს ინფლაციაზე, ეყრდნობიან რა ფასების ზრდას ხან კარტოფილზე, ხან რძის ნაწარმზე. ეკონომისტებისათვის ინფლაცია რთული თეორიული კატეგორიაა, რომელიც ფასების ყოველგვარ ზრდას არ შეიცავს.

წინამდებარე სახელმძღვანელოში სტატისტიკური მონაცემები და კონკრეტული მაგალითები ხშირად მოტანილია უცხოური გამოცდილებიდან. მათი გაცნობა საშუალებას მოგვცემს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები შევადაროთ არა მარტო მათ აბსტრაქტულ, იდეალურ მოდელებს, არამედ იმასაც, თუ როგორ მიმდინარეობენ ისინი უკვე განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში.

ეკონომიკის შესწავლის სიძნელეებზე საუბრისას გვიწევს კიდევ ერთი შენიშვნის გაკეთება, რომელიც სახელმძღვანელოებში იშვიათად გვხვდება. ეკონომიკური მეცნიერება არ წარმოადგენს ერთგვაროვან დასრულებულ მთლიანს. არსებობს მისი მრავალი სკოლა, მიმართულება და განშტოება, რომლებსაც ეკონომიკური მოვლენები სხვანაირად ესმით და სხვანაირად ხსნიან. არის ისეთი საკითხები, რომელთა გამო დავა უკვე არაერთი ასწლეულია გრძელდება. მათ რიცხვს მიეკუთვნება, მაგალითად, ასეთი საკითხი: უნდა შეზღუდოს თუ არა ქვეყანამ თავისი ვაჭრობა სხვა ქვეყნებთან და ისწრაფვოდეს დამოუკიდებლად აწარმოოს აუცილებელი პროდუქტების ძირითადი მასა თუ პირიქით, საგარეო ვაჭრობა შეზღუდვებისაგან მაქსიმალურად თავისუფალი უნდა იყოს?

ამ სახელმძღვანელოში თქვენ გაეცნობით ეკონომიკური აზრის ძირითად მიმართულებებს და მათი ჩამოყალიბების ისტორიას. დასაწყისშივე ჩვენ მხედველობაში გვექნება, რომ ბევრ კითხვებზე ეკონომისტებს ერთმნიშვნელოვანი პასუხების გაცემა არ შეუძლიათ.

როგორც ეკონომიკის ცნობილ სახელმძღვანელოებშია აღნიშნული – თანამედროვე მსოფლიოს იდეოლოგიები მნიშვნელოვანწილად ჩამოყალიბდა ინტელექტუალური გიგანტების: ადამ სმითის, დეივიდ რიკარდოს, ჯონ სტიუარტ მილის, კარლ მარქსის, ჯონ მეინარდ კეინზის, მილტონ ფრიდმანის, ჯეიმს ტობინის, რობერტ ლუკასის აზრების გავლენით.

ანალოგიურად, ქართული ეროვნული ეკონომიკური აზროვნების განვითარებას ფასდაუდებელი ამაგი დასდეს უკვდავმა შოთა რუსთაველმა და სულხან-საბა ორბელიანმა, იოანე ბაგრატიონმა, ერის მამამ – ილია ჭავჭავაძემ, "კაცმა-სახელმწიფომ" - ნიკო ნიკოლაძემ, საქართველოსა და მისი ეკონომიკის უბადლო მეისტორიემ, ბრწყინვალე საზოგადო მოღვაწემ - ივანე ჯავახიშვილმა, საქართველოს მე-20 საუკუნის მე-2 ნახევრის შთამბეჭდავმა ეკონომისტებმა: პაატა გუგუშვილმა, ვასილ ჩანტლაძემ, ვალერიან მელქაძემ და სხვებმა. ვიტყვით აგრეთვე, რომ შესანიშნავი პოტენციისა და ღირსეული მომავლის მქონე ჩვენს ქვეყანას "თანამედროვე მიღწევათა დონეზე" მოაზროვნე ეკონომისტთა საკმაოდ დიდი რიცხვი ჰყავს. თითოეულ მათგანს ისტორია თავის კუთვნილ ადგილს მიუჩენს.

წინა პერიოდში ეკონომიკური მეცნიერების შესწავლა საქართველოში იყოფოდა პოლიტიკურ ეკონომიად, როგორც საგნის თეორიულ ბაზად და კონკრეტულ დარგობრივ ეკონომიკურ დისციპლინებად, როგორც მაგალითად, მრეწველობის ეკონომიკა, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ა.შ. სხვა ქვეყნებში მიღებულია ეკონომიკური გამოკვლევების სამი დონის გამოყოფა: აბსტრაქტული ეკონომიკური თეორია (ბევრ ქვეყანაში აგრეთვე უწოდებენ პოლიტიკურ ეკონომიას, თუმცა ეს ტერმინი ამ საუკუნის დასაწყისიდან სხვადასხვა მიზეზების გამო სულ უფრო ნაკლებ პოპულარული ხდება), ეკონომიკური ანალიზის საფუძვლები, რომელსაც ზოგჯერ გამოყენებით ეკონომიკასაც უწოდებენ და პრაქტიკული ეკონომიკური გამოკვლევები.

წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს ეკონომიკური ანალიზის შესავალს. იგი გვაცნობს როგორც ეკონომიკური თეორიის ზოგად ცნებებს, ასევე კონკრეტულ ეკონომიკურ მოვლენებსაც.

ეკონომიკას ზოგჯერ სამყაროს მერვე საოცრებას უწოდებენ, ადამიანთა მიერ მისი გაუგებრობის დონეს - მეცხრეს. ეკონომიკის შესწავლის დაწყებით, თქვენ მიიღებთ შესაძლებლობას შეამოწმოთ ამ გამონათქვამის სისწორე. ქართველ ახალგაზრდობას და ყველა მკითხველს ვუსურვებთ წარმატებას ამ საქმეში.

პირველი თავი
კურსის საგანი და მეთოდოლოგია

განსახილველი საკითხები:

- ეკონომიკის თანამედროვე გაგება. "მეურნეობა" და „ეკონომიკა";
- ეკონომიკური მეცნიერების საგანი და ძირითადი ფუნქციები;
- ეკონომიკური თეორიის კანონები და ზოგადი პრინციპები;
- ეკონომიკური თეორიის მეთოდები;
- სამეურნეო საქმიანობის მთავარი როლი.

ეკონომიკის თანამედროვე გაგება. " მეურნეობა" და „ეკონომიკა"

ეკონომიკას ახლა უწოდებენ უპირველეს ყოვლისა ოჯახის, საწარმოს, ქვეყნის და მთელი მსოფლიოს მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობას. ამავდროულად სიტყვა "ეკონომიკა" აღნიშნავს მეცნიერებას, რომელიც ასეთ აღნიშნულ საქმიანობას შეისწავლის.

ეკონომიკური თეორია გარკვეული სისტემის სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომელსაც თავისი შემადგენელი წევრები ანუ ელემენტები აქვს **თეორიული და გამოყენებითი ეკონომიკა** არის არა ყველა ეკონომიკური მეცნიერების, არამედ მისი იმ მიმართულებების თავისებური სინთეზი, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურია სამეურნეო ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების შესწავლისა და რეგულირებისათვის.

სასწავლო კურსი **"ეკონომიკის საფუძვლები" ეკონომიკურ თეორიას გადმოსცემს სამეურნეო საქმიანობის პრაქტიკასთან ერთიანობასა და შესაბამისობაში.**

ორი ტერმინის: "მეურნეობის" და "ეკონომიკის" ურთიერთკავშირი

ეკონომიკურ ლიტერატურაში ხშირად გვხვდება ტერმინები "მეურნეობა" და "ეკონომიკა". ზოგჯერ მეურნეობას განსაზღვრავენ როგორც რესურსების გამოყენებას, რომელსაც მისი მფლობელები (ან საზოგადიება) თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მიმართავენ. ეკონომიკას (ბერძ. – oiko სახლი და νόμο – წესი, კანონი, სიტყვასიტყვით "მეურნეობის გაძღოლის" წესები) კი უწოდებენ საზოგადოების საქმიანობას, აგრეთვე ურთიერთობათა ერთობლიობას, რომელიც წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების სისტემაში ყალიბდება. ეს ორი ცნება ერთმანეთის მსგავსიცაა და ნაწილობრივ განსხვავებულიც. მეურნეობის საფუძველი არის რესურსები, რომელთაც ადამიანები თავიანთი მიზნების მისაღწევად იყენებენ. ამ პროცესში ადამიანები სხვადასხვა წესებს იცავენ, რომელთა ერთობლიობა არის ეკონომიკა. ადამიანი, სხვადასხვა რესურსებს, რასაც იგი წარმოების პროცესში იყენებს, სხვადასხვა წესების გამოყენებით დოვლათად გადააქცევს. ერთმანეთის გარეშე ეს ორი ტერმინი არ არსებობს. მათ შორის განსხვავება იმდენად უმნიშვნელოა, რომ შესაძლებელია ისინი სინონიმებადაც მივიჩნიოთ.

ეკონომიკური მეცნიერების საგანი

ყველა მეცნიერებას თავისი შემეცნების ობიექტი აქვს. ასევეა ეკონომიკური მეცნიერებაც. მისი დამახასიათებელი თავისებურება ის არის, რომ ერთ-ერთი უძველეს მეცნიერებათაგანია. მისი საწყისები მიდის ძალიან შორს, საუკუნეთა სიღრმეებში, იქ სადაც მსოფლიო ცივილიზაციის აკვანი დაირწა. ეკონომიკური აზრის ყველაზე ადრეული წერილობითი ძეგლები მოიპოვება ძველ ეგვიპტეში, ძვ.წ. XXII და ძვ.წ. XVIII საუკუნით დათარიღებული წერილობითი ძეგლები, ძველ ბაბილონში, სადაც ძვ.წ. XVIII საუკუნეში მეფე

ჰამურაბის (ძვ.წ. 1792-1750) ქმნილებები, ანუ ე.წ ჰამურაბის კანონების კოდექსი შეიქმნა, ასევე ძველ საბერძნეტში, ძველ ჩინეთში, ძველ ინდოეთში. ტერმინ „ეკონომიკის“ შემოტანას უკავშირებენ ხან ქსენოფონტეს (431-355 ძვ.წ.) რომელსაც ეკუთვნის ტრაქტატი „ოიკონომიკოსი“, და ხანაც არისტოტელეს (384-322 ძვ. წ) სახელს. ასევე ფიქრობენ, რომ ტერმინი ეკონომიკა შემოიღო ბერძენმა პოეტმა ჰესიოდმა ჯერ კიდევ VI საუკუნეში ჩვენს ერამდე, შეაერთა რა ორი სიტყვა - „ოიკოს“ (სახლი, შინა მეურნეობა) და „ნომოს“ (ვიცი, კანონი). ისე რომ ძველბერძნულიდან ზუსტი თარგმანით ეკონომიკა - ეს არის შინა მეურნეობის მართვის კანონთა ერთობლიობა, ან, თუ გნებავთ, შინამშენებლობა. მაგრამ დრო იცვლება და მასთან ერთად იცვლება ძველი სიტყვების მნიშვნელობაც, ეკონომიკის თანამედროვე გაგება ფართოა. ჩვეულებრივ, ეკონომიკური საქმიანობის ქვეშ გულისხმობენ ადამიანთა საწარმოო ანუ სამეურნეო საქმიანობას მათი მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით. ეს სამეურნეო საქმიანობა და მისი კანონები წარმოადგენს სწორედ ეკონომიკური მეცნიერების შესწავლის საგანს.

სიტყვა “ეკონომიკა” ბერძნულია და ნიშნავს “ადამიანს, რომელიც საოჯახო მეურნეობას უძღვება.” ეკონომიკა არის იმის გაგება, თუ როგორ იღებენ ინდივიდები გადაწყვეტილებებს და როგორ ურთიერთქმედებენ ადამიანები ერთმანეთთან. ყველა ეს გადაწყვეტილება და ურთიერთქმედება ერთად შეადგენს “ეკონომიკას” (გ. მენქიუ)

ასევე შეიძლება მოვიყვანოთ ეკონომიკის საგნის სხვადასხვა განმარტებანი:

ეკონომიკა არის მეცნიერება ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრების შესახებ (ალფრედ მარშალი).

ეკონომიკა არის მუდმივ ურთიერთქმედებაში მყოფ ადამიანთა ჯგუფი. (გ. მენქიუ).

ამჟამად დასავლურ ლიტერატურაში ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებულია ინგლისელი ეკონომისტის, ლ. რობინსონის განსაზღვრება სხვადასხვა მოდიფიკაციებით: “ეკონომიკა – ესაა მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ადამიანის ქცევას, მის მიზნებსა და შეზღუდულ რესურსებს შორის ურთიერთობის თვალსაზრისით, რომელიც დასაშვებს ხდის ალტერნატიულ გამოყენებას”. თუმცა, ჩვენი აზრით, ეს განსაზღვრა ზედმეტად ზოგადია. თითქმის იგივეს თქმა ხომ შეიძლება, მაგალითად, მედიცინაზეც. ამასთან ეს ფორმულირება საკმაოდ ძნელად დასამახსოვრებელია.

გთავაზობთ სხვა განსაზღვრას, მიღებულს პ. სამუელსონს ფორმულირების შემოკლებისა და მოდიფიკაციის შედეგად. იგი ავტორია მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ეკონომიკური სახელმძღვანელოებისა.

<u>ეკონომიკა - ესაა მეცნიერება საწარმოო რესურსების, საქონლის წარმოების, გაცვლის, ფულის მიმოქცევისა და დოვლათის განაწილების შესახებ.</u>

თანამედროვე ეკონომიკური თეორია შეისწავლის ადამიანთა, როგორც სამეურნეო სუბიექტების ქცევას, ეკონომიკური სისტემის ყველა დონეზე, მატერიალური დოვლათის და მომსახურების წარმოების, განაწილების გაცვლის და მოხმარების პროცესში, ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით, შეზღუდული რესურსების პირობებში, ოჯახის, ფირმის და მთლიანად საზოგადოების მიერ.

ეკონომიკურ მეცნიერებათა მარტივი კლასიფიკაცია, რომელიც მათ პირობითად სამ ჯგუფად ჰყოფს, ასეთია:

<u>ზოგადი</u> (ეკონომიკური თეორია, მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა, მენეჯმენტი, სახელმწიფო რეგულირება და სხვა);

<u>სპეციალური</u> (ფინანსები და კრედიტი, ფასწარმოქმნა, სადაზღვევო საქმე, საბანკო საქმე, ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი, სტატისტიკა და ა.შ.)

<u>დარგობრივი</u> (მეურნეობის ამა თუ იმ დარგის ეკონომიკა). ამასთან, ამ კლასიფიკაციაში ეკონომიკური თეორია გამოდის როგორც ეკონომიკურ მეცნიერებათა რთული სისტემის შესავალი.

გამოყოფენ ***ხუთ ძირითად ფუნქციას***, რომელსაც ეკონომიკური მეცნიერება ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებაში ასრულებს.

სამეცნიერო-შემეცნებითი ფუნქცია. ეკონომიკური მეცნიერების შესწავლისას, ადამიანი შეიმეცნებს ადამიანთა საზოგადოების მნიშვნელოვან მხარეს, მატერიალური დოვლათის და მომსახურების წარმოების, განაწილების, გაცვლის და მოხმარების პროცესებს, რომელთა გარეშე ადამიანთა საზოგადოება ვერ იარსებებს.

კრიტიკული ფუნქცია. რეალურ ცხოვრებაში ჩვენ საქმე გვაქვს მეურნეობრიობის ძალიან მრავალნაირ ფორმებთან, რომელთაგან ზოგი მეტად, სხვები კი უფრო ნაკლებად ეფექტიანია. შესაბამისად, მეცნიერებაში ერთი და იგივე საკითხის შესახებ განსხვავებული შეხედულებანი, არაერთგვაროვანი მიდგომები და გადაწყვეტილებანი არსებობს. ამ პირობებში ეკონომიკურმა მეცნიერებამ უნდა მოგვცეს როგორც ეკონომიკური ცხოვრების, ასევე თეორიული კონცეფციის ობიექტური კრიტიკული ანუ პოზიტიური შეფასება.

პრაქტიკული (პრაგმატული) ფუნქცია. ეკონომიკური მეცნიერების პრაქტიკულობა იმაში გამოიხატება, რომ სახელმწიფოს, ფირმის, ნებისმიერი სხვა სამეურნეო სუბიექტის ყოველი ხელმძღვანელი, თავისი საქმიანობისას შეგნებულად, ან მის გარეშე, ხელმძღვანელობს მისი პრინციპებით და კანონებით. რა თქმა უნდა, ეკონომიკური მეცნიერების პრაქტიკული ასპექტები პრიმიტიულად არ უნდა გავიგოთ, მოცემული მეცნიერება ვერ შეგვასწავლის საოჯახო მეურნეობის, მებაღეობის, მიწათმოქმედების გაძღოლას, ის არ გვაძლევს იმის რეცეპტს, თუ როგორ მოვიპოვოთ ნავთობი და გაზი, როგორ ვმართოთ ფირმა და მისი პერსონალი. ამ მიზნების მისაღწევად ჩვენ გვჭირდება სხვა სპეციალურ მეცნიერებათა ცოდნა. ეკონომიკური მეცნიერება ეკონომიკის წარმატებით განვითარების წანამძღვარია როგორც მიკრო ასევე მაკრო დონეზე და არა ამაზე მეტი.

პროგნოსტიკული ფუნქცია. ეკონომიკური ცხოვრების ყველა მხარის სიღრმისეული შესწავლა ცალკეულ ადამიანს, ფირმას და მთლიანად საზოგადოებას აძლევს მოვლენების განჭვრეტის, მომავალი ეკონომიკური ვითარების მეცნიერულ პროგნოზის საშუალებას როგორც მიკრო, ასევე მაკრო დონეზე. ეკონომიკური ცხოვრების ამა თუ იმ დასრულებულ ეკონომიკურ საქმიანობას ხშირად გაუთვალისწინებელ ანუ მოულოდნელ, წინასწარ გულუზრახ შედეგებამდე მივყავართ. სამართლიანია მოსაზრება, რომ ცოდნას მივყავართ განჭვრეტამდე, განჭვრეტას – პოზიტიურ საქმიანობამდე.

მეთოდოლოგიური ფუნქცია. ლიტერატურაში შეიძლება ხშირად შევხვდეთ სამართლიან მტკიცებებს იმის შესახებ, რომ ეკონომიკური თეორია არა მარტო თეორიაა, არამედ მეთოდიც ერთგვარი ინტელექტუალური ინსტრუმენტი, აზროვნების ტექნიკა. ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი ***პოლ ჰეინე*** სამართლიანად შენიშნავს: "ეკონომისტმა რეალური სამყარო არა უკეთეს, უმრავლეს შემთხვევაში კი მენეჯერებზე, მექანიკოსებზე, საერთოდ საქმიან ადამიანებზე უარესად იცის. მაგრამ ეკონომისტებმა იციან, როგორ არიან ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებულნი სხვადასხვა საგნები".

ეკონომიკური მეცნიერება მეთოდოლოგიურ ასპექტში გვასწავლის არა მარტო იმას, რა უნდა ვაკეთოთ, არამედ იმასაც, რა არ შეიძლება ვაკეთოთ. ეს უკანასკნელი არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე პირველი.

ეკონომიკური მეცნიერების დამახასიათებელი ფუნქციონალური თავისებურება არის, რომ ის განიხილავს რეალური ცხოვრების იმ საკითხებს, რომელიც ეხება ყველას და თითოეულს ცალ-ცალკე. აქ გამონაკლისი არაა. მსოფლიოში არცერთ ადამიანს არ შეუძლია საოჯახო მეურნეობის გაძღოლის პრობლემების აბსტრაგირება ანუ თავის დაღწევა, არცერთ საზოგადოებას არ შეუძლია არ გადაწყვიტოს ეკონომიკური ცხოვრების ორგანიზაციის ურთულესი პრობლემები. ეკონომიკური ზარების ხმები ყველას და თითოეულს ეხება.

ზოგადი დასკვნა: ეკონომიკური მეცნიერება გვეხმარება გავიგოთ გარემომცველი სამეურნეო ცხოვრება, შევაფასოთ მოვლენათა სარგებლიანობა და ზიანი; გვასწავლის ეკონომიკური მოვლენების შემეცნების ახალ წესებს; დაბოლოს, საშუალებას გვაძლევს განვჭვრიტოთ ჩვენი პრაქტიკული საქმიანობის ზოგიერთი შედეგი, განჭვრეტა კი გონივრულ მოქმედებას განაპირობებს; გვაძლევს მრავალი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემის გადაჭრის გასაღებს, გასაღებს და არა რეცეპტს.

ეკონომიკური კანონების დამახასიათებელი ნიშნები

ბუნების, საზოგადოების და აზროვნების ყველა კანონი ობიექტურია – ისინი არსებობენ იმისგან დამოუკიდებლად, ვიცით თუ არა ჩვენ მათი არსებობა.

ეკონომიკურ კანონებს ახასიათებს ორი მთავარი თავისებურება (განსაკუთრებულობა):

ჯერ ერთი, ეკონომიკური კანონების გამოვლენის სუბიექტური ფორმა, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ადამიანების აზრებისა და ქმედებების, მათი ქცევების გვერდის ავლით კი არ მოქმედებენ, არამედ მათი გავლენით.

მეორე, ეკონომიკური კანონების დინამიურობა, ანუ ისტორიული ხასიათი, ანუ ის, რომ კანონების მოქმედება სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე ცვლილებებს განიცდის.

ეკონომიკის კანონების და პრინციპების ურთიერთკავშირი

კანონი - ცხოვრების მდინარების, მისი დინების მიმართულების მაჩვენებელი ცნება, ამსახველი ფენომენი. თუ გსურს რომ გადარჩე, ამ დინებას უნდა მიჰყვე. თუ არ მოჰყვები, ეს იმას ნიშნავს, რომ დინების, ცხოვრების კანონების საწინააღმდეგო მიმართულებით მიემართები. ეს კი, ფაქტობრივად შეუძლებელია. ასეთი ადამიანი, ფირმა, საზოგადოება მთლიანად, გარდაუვალი დამარცხებისთვისაა განწირული. მაშ, როგორ უნდა ვიპოვოთ ჩვენი გადარჩენის გზები? უპირველეს ყოვლისა უნდა შევიმეცნოთ, კანონის მოთხოვნები რას მიგვანიშნებს, როგორ ორიენტირებს გვთავაზობს, რას გვიჩვენებს, საით წასვლა შეიძლება, საით არ შეიძლება, რომელი საქმიანობა, ქცევა მოგვიტანს სასარგებლო შედეგს და რა დაგვაზარალებს. შემდეგ, ამის საფუძველზე, უნდა შევძლოთ და გამოვიმუშავოთ ძირითადი სახელმძღვანელო წესები, ანუ პრინციპები, რომლითაც უნდა დღენიადაგ ვხელმძღვანელობდეთ, ვასრულებდეთ, ვიცავდე მათ, რათა სასურველი გზით ისე ვიაროთ, რომ შეცდომები არ დაუშვათ და გადარჩენის გეზი არ გავიმრუდოთ.

ეკონომიკური ანალიზის დონეები

დღესდღეობით, უმეტესად ეკონომიკური ანალიზის 3 დონეს გამოყოფენ: მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა, საერთაშორისო ეკონომიკა. არის ისეთი დაყოფაც, რომლის მიხედვითაც გამოიყოფა ეკონომიკური ანალიზის 5 დონე:

- მიკროეკონომიკა
- მეზოეკონომიკა
- მაკროეკონომიკა
- მსოფლიო ეკონომიკა (მეგაეკონომიკა)
- ჰიპერეკონომიკა.

I. მიკროეკონომიკა – ანალიზის საფუძვლად აღებულია უმცირესი სამეურნეო ერთეული, ცალკეული ფირმა, გაერთიანება.

II. მეზოეკონომიკა - სწავლობს ეროვნული ეკონომიკის ან ეროვნული მეურნეობის დარგების, განსაზღვრული ქვესისტემების (აგროსამრეწველო კომპლექსი, რეგიონული ეკონომიკა და ა.შ.) კანონებსა და ქცევას.

III. მაკროეკონომიკა - სწავლობს ქვეყნის ეკონომიკას მთლიანად. მაკროეკონომიკური ობიექტებია: საზოგადოების შემოსავალი და სიმდიდრე, ეკონომიკური ზრდის ტემპები და ფაქტორები. მაკროანალიზი იმისთვისაა გამიზნული, რომ გადაწყვიტოს შემდეგი საერთო ეკონომიკური პრობლემები: ბრძოლა ინფლაციასთან, უმუშევრობასთან, საქმიანი აქტიურობის სტიმულირება და სხვა.

IV. მეგაეკონომიკა - შეისწავლის მთლიანად მსოფლიო ეკონომიკის კანონებსა და ქცევას.

V. ჰიპერეკონომიკა - რომელსაც უახლეს ეკონომიკურ თეორიასაც უწოდებენ, შეისწავლის ფილოსოფიისა და ბუნებისმეტყველების კონცეფციებს ეკონომიკაში (სინერგეტიკული ეკონომიკა, ფიზიკური ეკონომიკა და ა.შ.).

ზოგადი ეკონომიკური თეორიის პრინციპები

ტერმინი "პრინციპი" უცხოური წარმოშობისაა და შემდეგი მნიშვნელობები აქვს:

პრინციპი [ლათ. principum საფუძველი < princeps პირველი] 1) რაიმე თეორიის, სწავლების, მეცნიერების, მსოფლმხედველობის, პოლიტიკური ორგანიზაციის ამოსავალი დებულება; 2) ადამიანის შინაგანი რწმენა, რომელიც განაპირობებს მის მიმართებას სინამდვილისადმი, ქცევისა და მოღვაწეობის ნორმები; 3) რაიმე ხელსაწყოს, მექანიზმის და სხვ. მოქმედების საფუძველი; 4) 30-40 წლის მძიმედ შეიარაღებული რომაული ქვეითი ჯარის მეომარი; პრინციპის სხვადასხვა პერიოდში შეადგენდა საბრძოლო რიგის პირველ ან მეორე ხაზს, მათი რიცხვი, როგორც წესი, 1200 კაცს შეადგენდა.

მეცნიერები განიხილავენ ეკონომიკის სამ, ხუთ, შვიდ, ათ, თორმეტ განსხვავებულ პრინციპს. ყველა მათგანი მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია. ეკონომიკის პრინციპები ცოდნის სისტემატიზაციის პროცესში იქმნებიან. ყოველ ავტორს ეკონომიკის პრინციპებში შეუძლია იგულისხმოს ეკონომიკის, როგორც მეცნიერების ძირითადი დებულებების ან ეკონომიკის, როგორც მეურნეობის ძირითადი კანონზომიერების გარკვეული ერთობლიობა.

საქართველოს უნივერსიტეტებში ეკონომიკის პრინციპების სწავლება გრ. მენქიუს ამავე სახელწოდების ცნობილი სახელმძღვანელოს მიხედვით მიმდინარეობს.

თეორიული და გამოყენებითი ეკონომიკის პრინციპები

განვიხილოთ ძირითადი ეკონომიკური პრინციპები რომელსაც იყენებს "ეკონომიკის საფუძვლები". ეს პრინციპებია:

- თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთქმედების
- მიკრო და მაკროანალიზის ერთიანობის
- რეალური ისტორიზმის (განსხვავებულ ისტორიულ პირობებში ეკონომიკის კანონები არაერთგვაროვნად მოქმედებენ).

ნებისმიერი მეცნიერების შესწავლა უნდა იწყებოდეს მისი პრინციპების, კანონებისა და მეთოდების შესწავლით. ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია – ***თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთქმედება***.

თეორია წარმოადგენს რაციონალური აზროვნების, ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებისა და კანონების შემეცნების შედეგს. იგი აუცილებელი პირობაა სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად, რომლებიც შეეხება მატერიალური რესურსების გამოყენებას,

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის საშინაო და საგარეო ბაზარზე. ეკონომიკური თეორიის ცოდნა განათლებას მატებს ადამიანს, ანვითარებს ეკონომიკურ აზროვნებას, აიოლებს წარმატების მიღწევას. ამასთან, პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირის გარეშე თეორია კარგავს თავის მნიშვნელობას. სწორედ პრაქტიკა აძლევს თეორიას სოციალურ დაკვეთას კვლევისათვის, აძლევს მასალას სამეცნიერო ანალიზისათვის და ბოლოს გამოაქვს დაურღვეველი და სამართლიანი "განაჩენი" ნებისმიერი თეორიისათვის.

ჯ.მ. კეინსმა კაპიტალიზმის ისტორიაში უმძიმესი კრიზისის დასაძლევად შექმნა საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფო რეგულირების ბერკეტების ღრმად ჩარევის თეორია. აუცილებელი იყო ომით გაპარტახებული ეკონომიკა რაიმე ახალს შეეცვალა. სწორედ ამან მისცა ბიძგი "სოციალური საბაზრო ეკონომიკის" მოდელის შემუშავებას. ჩვენშიც, რეალურმა სინამდვილემ უჩვენა, რომ ადმინისტრაციულ-მბრძანებლურმა სისტემამ საკუთარი თავი ამოწურა. ამასთან დაკავშირებით გაჩნდა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრობლემების გადაჭრის აუცილებლობა. ეს ამოცანა, რომლის ამოხსნაც ჯერ არ დასრულებულა, უდიდეს სტიმულს წარმოადგენს თეორიული აზრის განვითარებისათვის.

<u>თეორიული და გამოყენებითი ეკონომიკის მეორე მნიშვნელოვანი პრინციპია მიკრო და მაკროანალიზის ერთიანობა.</u> ამ პრინციპის გამოყენების უდიდესი მნიშვნელობის დასამტკიცებლად მარტივი ანალოგია გამოდგება. როდესაც ტყეს შორიდან ვუყურებთ, ჩანს მხოლოდ მისი მოხაზულობა, სიდიდე, მაგრამ არ ჩანს ცალკეული ხე-, ბუჩქი, მიწის საფარი. ყველაფერი ეს მარტო ახლოდან შეიძლება დაინახო. ამ შემთხვევაში კი ტყის საერთო მოხაზულობას ვერ მოავლებ თვალს. ეკონომიკის შესწავლისას ზუსტად ამგვარ ანალოგიას ვამჩნევთ. მხოლოდ მიკროეკონომიკისა და მაკროეკონომიკის თანმიმდევრულად ჩატარებული ანალიზი გვაძლევს საშუალებას შეგვექმნას მეტ-ნაკლებად სრული შთაბეჭდილება საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაზე.

თითქოს ცხადია, რომ ეკონომიკის პრაქტიკული ფუნქცია მდგომარეობს იმ რეკომენდაციების გაცემაში, რომლებიც შეეხება საბაზრო ეკონომიკაში მარჯვედ, ხელსაყრელი პირობებით ჩართვას, ბიზნესში მაღალი შედეგების მიღწევას. \ნობელის პრემიის ლაურეატი **პოლ სამუელსონი გამოყოფს ყველა მეურნეობისათვის საერთო სამ ცენტრალურ პრობლემას:**

1. **რა უნდა ვაწარმოოთ და რა რაოდენობით?**
2. **როგორ უნდა მიმდინარეობდეს საქონლის წარმოება, ე.ი. უნდა მუშაობდეს, რა რესურსებით და რა ტექნოლოგიით?**
3. **ვისთვის არის გათვლილი წარმოებული საქონელი?**

პასუხობს თუ არა ამ კითხვებს მიკროეკონომიკა? ერთი შეხედვით - პასუხობს, რადგანაც ზუსტად მიკროეკონომიკა ამუშავებს რეკომენდაციებს საწარმოთა და ფირმების პრაქტიკული მოღვაწეობის დარგში.

მაგრამ სამეურნეო მოღვაწეობის ანალიზის უფრო ღრმა მიდგომისას აღმოჩნდა, რომ სამუელსონის მიერ დასმულ საკითხებზე ამომწურავი პასუხის გაცემა შეუძლებელია მაკროეკონომიკური ინფორმაციის გარეშე. იმის განსაზღვრა, თუ რა და რა რაოდენობით უნდა დამზადდეს, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ცნობილია მთელი საზოგადოების მოთხოვნილებები, გათვალისწინებულია საზოგადოებრივი წარმოების ჩამოყალიბებული დინამიკა და პერსპექტივები. არანაკლებ მნიშვნელოვანია მონაცემები საზოგადოებაში არსებულ ზრდის ფაქტორებზე, მათ კომბინაციებზე, ეკონომიკის სოციალურ, დარგობრივ და აღწარმოების სტრუქტურაზე, მეურნეობის დაბალანსების დონეზე, მოსახლეობის შემოსავლებისა და ხარჯების რაოდენობაზე და ა.შ. და ბოლოს, კიდევ ერთი პრინციპი – ***<u>რეალური ისტორიზმი.</u>*** მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ განსხვავებულ ისტორიულ პირობებში ეკონომიკის კანონები არაერთგვაროვნად მოქმედებენ. საბაზრო კანონები

მოქმედებენ იქ, სადაც საქონლის გაცვლა ხდება. მაგრამ შეუძლებელია ერთნაირად მიუდგე იმ საბაზრო ურთიერთობებს, რომლებიც ათასი წლის წინ არსებობდნენ და რომლებიც ჩამოყალიბდნენ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ ის რეალური ეკონომიკური სიტუაცია, რომელიც ახასიათებს ქვეყნებს, რომლებიც ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემიდან საბაზრო სისტემაში გადადიან.

მაგალითად, უნდა განვასხვავოთ, როგორ მოქმედებენ ეკონომიკური სისტემები აწყობილი კონკურენციისა და ჯერ კიდევ დაუძლეველი მონოპოლიზმის პირობებში.

დაშვებათა როლი

დაშვებები სამყაროს გაგებას აადვილებს. მაგალითად, საერთაშორისო ვაჭრობის ეფექტების შესწავლისას შეგვიძლია დავუშვათ, რომ მსოფლიო შედგება მხოლოდ ორი ქვეყნისაგან და თითოეული ქვეყანა მხოლოდ ორი სახის საქონელს აწარმოებს. რა თქმა უნდა, რეალური მსოფლიო ათობით ქვეყნისგან შედგება და თითოეული ქვეყანა მილიონობით სხვადასხვა სახის საქონელს აწარმოებს. მაგრამ მხოლოდ ორი ქვეყნისა და ორი სახის საქონლის არსებობის დაშვებით ვახდენთ ჩვენი აზროვნების კონცენტრირებას. მას შემდეგ, რაც შევისწავლით საერთაშორისო ვაჭრობას ორი ქვეყნისა და ორი სახის საქონლისაგან შემდგარ წარმოსახვით სამყაროში, ბევრად გაგვიადვილდება საერთაშორისო ვაჭრობის გაგება იმ ურთულეს მსოფლიოში, რომელშიც ვცხოვრობთ.

მეცნიერული აზროვნების დიდი ხელოვნება – ფიზიკაში იქნება ეს, ბიოლოგიასა თუ ეკონომიკაში – იმის გადაწყვეტაა, თუ როგორი დაშვებები უნდა გავაკეთოთ. მაგალითად, დავუშვათ, რომ შენობის სახურავიდან ვაგდებთ არა მარმარილოს ბურთულას, არამედ რეზინის ბურთს. ჩვენი ფიზიკოსი მაშინვე გააცნობიერებს, რომ დაშვება ხახუნის არარსებობის შესახებ ამ შემთხვევაში ნაკლებად მიზანშეწონილია: ხახუნი ბევრად მეტი ძალით მოქმედებს რეზინის ბურთზე, ვიდრე მარმარილოს ბურთულაზე. დაშვება იმის შესახებ, რომ მიზიდულობა ვაკუუმში მოქმედებს, მართებულია მარმარილოს ბურთულის ვარდნის შესწავლისას, მაგრამ არ არის მართებული რეზინის ბურთის ვარდნაზე დაკვირვების დროს.

ეკონომისტებიც ასევე განსხვავებულ დაშვებებს იყენებენ სხვადასხვა კითხვაზე პასუხის გასაცემად. ვთქვათ, ვსწავლობთ, რა ხდება ეკონომიკაში, როდესაც მთავრობა ბრუნვაში არსებული დოლარების რაოდენობას ცვლის. ირკვევა, რომ ამ ანალიზის მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება იმას, თუ როგორ რეაგირებს ფასები. ეკონომიკაში მრავალ საქონელზე ფასი იშვიათად იცვლება. მაგალითად, გაზეთების ფასები მხოლოდ რამდენიმე წელიწადში ერთხელ იცვლება. ამ ფაქტის ცოდნას შეუძლია გავლენა მოახდინოს იმ დაშვებებზე, რომლებსაც დროის სხვადასხვა პერიოდში პოლიტიკის ცვლილებების შედეგებს ვსწავლობთ. მაგალითად, პოლიტიკის მოკლევადიანი ეფექტების შესწავლისას შეგვიძლია დავუშვათ, რომ ფასები თითქმის უცვლელია. შეგვიძლია, უკიდურესი და ხელოვნური დაშვებაც კი გავაკეთოთ იმის შესახებ, რომ ყველა ფასი სრულიად უცვლელია. მაგრამ პოლიტიკის გრძელვადიანი ეფექტების შესწავლისთვის ალბათ დავუშვებთ, რომ ყველა ფასი სრულიად მოქნილია. ამდენად, ისევე, როგორც ფიზიკოსი აკეთებს მარმარილოსა და რეზინის ბურთების ვარდნის შესწავლისას სხვადასხვა დაშვებებს, ეკონომისტიც ცვლის დაშვებებს, როდესაც შეისწავლის ფულის რაოდენობის ცვლილების მოკლევადიან და გრძელვადიან ეფექტებს.

"სხვა თანაბარ პირობებში" დაშვების გამოყენება ეკონომიკაში

ეკონომიკურ ანალიზში ფართო გამოყენება ჰპოვა ეკონომიკური პროცესების მოდელირებამ. **მოდელირება** თავისთავად წარმოადგენს რეალური მოვლენების და პრო-

ცესების **კვლევის მეთოდს ხელოვნურად შექმნილი თეორიული აგების ანალიზის მეშვეობით. იგი გვაძლევს სინამდვილის გამარტივებულ ასახვას.** მოდელირების ამოცანაა გამოიკვლიოს ფაქტორების და ეკონომიკური პირობების (წანამძღვრების) ცვლილებაზე გავლენა, განჭვრიტოს ამ ცვლილების შედეგები და თეორიულად დაასაბუთოს დასაკვირვებელი (შესასწავლი) დამოკიდებულებები. გამოყენებული თეორიული აგებულება ობიექტის ანალიზის სახით – ესაა მოდელები, რომლებიც თავისთავად **რეალური მოვლენების გამარტივებული კონსტრუქციებია.**

სინამდვილის სქემატურად ამსახველი **მოდელი ემყარება რეალობის გამარტივებას, მაგრამ არ ამახინჯებს მას.** მოდელის აგებისას გამოყენებული კომპონენტები გამოყენებისას უნდა იყოს მარტივი, თუმცა იმავდროულად საკმაოდ რეალური. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **მოდელი –** ესაა თეორიული აგება, რომელიც არის გამარტივებულად, ემპირიულად შესასწავლი რეალური ურთიერთკავშირის აღწერა. მაგალითად, **გეოგრაფიული რუკა მოცემული ტერიტორიის რელიეფის მოდელია.**

მოდელირების, როგორც ეკონომიკური ანალიზის – პრობლემის მკაფიო ფორმულირება, უბრალოება და ოპერაციულობა (შესაძლებლობა წარმოვადგინოთ ურთიერთკავშირი ფორმალიზებული სახით) – მეთოდის ძლიერი მხარეების აღნიშვნისას საჭიროა ყურადღება მივაქციოთ მისთვის დამახასიათებელ შეზღუდვებსაც. **ჯერ ერთი,** ნებისმიერი მოდელის აგება ემყარება შემოღებულ ვარაუდებსა და შერჩეულ ცვლადებს, რასაც უკვე თავისთავად შეაქვს სუბიექტურობის ელემენტი. **მეორე,** ემყარება რა ვარაუდთაგან ერთ-ერთს, მოდელი უარყოფს ყველა დანარჩენს, რაც სინამდვილის მნიშვნელოვანი დეფორმაციაა. **მესამე,** ვინაიდან მოდელის ანალიზი ხორციელდება პრინციპის „სხვა თანაბარი პირობების დროს“ შესაბამისად, ჰიპოთეზის ფორმით გამოხატული დასკვნები წარმოადგენს ცალკეული ფაქტორის გავლენაზე დაკვირვების შედეგს, ამიტომაც ექნება შეზღუდული მნიშვნელობა. ყოველივე ეს სიძნელეს ქმნის მოდელირების საფუძველზე გამოყვანილი ჰიპოთეზების ფაქტობრივი დამტკიცებისას. ეკონომიკურ თეორიაში დაშვებების გამოყენების გარეშე ფონს ადვილად ვერ გავალთ. ეკონომიკურ თეორიას, ისევე როგორც ნებისმიერ თეორიას, არ შესწევს უნარი ასახოს ცხოვრების მთელი მრავალფეროვნება და ამიტომ დაშვებებზეა აგებული. ეს დაშვებები რეალურ სამეურნეო ცხოვრებაზე წარმოდგენებს ამარტივებს. მაგრამ ისინი ამავე დროს მთლიანად სამეურნეო ცხოვრების მრავალი თეორიული დებულების უკეთ გაგებაში გვეხმარებიან. ამგვარად, ეკონომისტები ჩვეულებრივ უშვებენ, რომ მომხმარებლები თავიანთი შემოსავლების (ეგრეთწოდებული სამომხმარებლო ბიუჯეტების) ფარგლებში მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მაქსიმიზებისკენ ისწრაფვიან. სინამდვილეში, ასეთი ქცევა მომხმარებელთა უმრავლესობისათვის არის ტიპიური.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია დაშვებაა “სხვა თანაბარ პირობებში” (ლათ. – ცეტერის პარიბუს). ის გულისხმობს, რომ განსახილველი ცვლადების ცვლილებისას დანარჩენი ცვლადები რჩება უცვლელი. ასე, თუ განიხილება ფასების ცვლილების ზემოქმედება საქონლის გაყიდვის მოცულობაზე, მაშინ იგულისხმება, რომ საქონლის ხარისხი, მყიდველთა მოთხოვნები და სხვა დანარჩენი რჩება უცვლელი.

დაშვება ხშირად საშუალებას გვაძლევს უკეთ მოვხაზოთ, ანუ დავახასიათოთ მოვლენის საზღვრები. სწორედ ასე, ეკონომიკაში გავრცელებულია დაშვებები “მოკლევადიან პერიოდში” და “გრძელვადიან პერიოდში” (ან “მოკლევადიან პერსპექტივებში” და “გრძელვადიან პერსპექტივაში”), რომლებიც შესაძლებლობას იძლევა სხვადასხვაგვარად შევხედოდ ეკონომიკურ მოვლენებს და გადაწყვეტილებაც მივიღოთ იქიდან გამომდინარე, თუ დროის რომელი პერიოდი განიხილება. მაგალითად, მოკლევადიან პერიოდში ფირმამ შეიძლება განიცადოს დანაკარგები, მაგრამ მიუხედავად ამისა არ დაიხუროს, რადგან მისი ზარალიანობის მიზეზები შეიძლება ატარებდეს

დროებით, მოკლევადიან ხასიათს. გრძელვადიან პერიოდში ზარალის არსებობა მიგვიყვანს დახურვამდე, ფირმის გაკოტრებამდე.

პოზიტიური და ნორმატიული ანალიზი

"საზოგადოდ, დებულებები სამყაროს შესახებ ორი ტიპისაა. ერთ-ერთი ტიპი, პოზიტიურია. პოზიტიური დებულებები აღწერითი ხასიათისაა. ისინი სამყაროს გვიხატავს ისეთს, როგორიც ის არის. დებულებათა მეორე ტიპი, ნორმატიულია. ნორმატიული დებულებები სარეკომენდაციო ხასიათისაა. ისინი ეხება იმას, თუ როგორი უნდა იყოს სამყარო.

ძირითადი განსხვავება პოზიტიურსა და ნორმატიულ დებულებებს შორის იმაში მდგომარეობს, თუ როგორ ვაფასებთ მათ მართებულობას. პოზიტიური დებულებების დასაბუთება ან უარყოფა პრინციპულად შესაძლებელია დამადასტურებელი ფაქტების შესწავლის გზით. ეკონომისტს შეუძლია შეაფასოს პოლის დებულება იმ მონაცემების გაანალიზებით, რომლებიც დაკავშირებულია მინიმალური ხელფასებისა და უმუშევრობის დროში ცვლილებასთან. ორმატიული დებულებების შეფასებისათვის კი არა მხოლოდ ფაქტებია საჭირო, არამედ გარკვეული ფასეულობითი ორიენტირებიც. ნორმას დებულებებზე ვერ ვიმსჯელებთ მხოლოდ ფაქტების გამოყენებით. იმის გადაწყვეტა, რომელი პოლიტიკაა კარგი და რომელი – ცუდი, მხოლოდ მეცნიერების საქმე არ არის. აქ მონაწილეობს აგრეთვე თქვენი შეხედულებები ზნეობაზე, რელიგიასა თუ პოლიტიკურ ფილოსოფიაზე.

რა თქმა უნდა, პოზიტიური და ნორმატიული დებულებების ერთმანეთთან დაკავშირება შესაძლებელია. ჩვენი პოზიტიური შეხედულებები სამყაროს მოწყობის შესახებ ჩვენსავე ნორმატიულ შეხედულებებზე მოქმედებს. თუ პოლის განცხადება იმის შესახებ, რომ მინიმალური ხელფასი უმუშევრობას იწვევს, ჭეშმარიტია, მან, შესაძლოა, გვიბიძგოს ნორმას დასკვნის – რომ მთავრობამ უნდა გაზარდოს მინიმალური ხელფასი – უარყოფისკენ. მაგრამ ნორმატიულ დასკვნებს ვერ გამოვიტანთ მხოლოდ პოზიტიური ანალიზიდან. ნორმატიული დასკვნებისთვის საჭიროა როგორც პოზიტიური ანალიზი, ისე ფასეულობათა აწონ-დაწონვა.

დაიმახსოვრეთ ეს განსხვავება პოზიტიურ და ნორმატიულ დებულებებს შორის. ეკონომისტების დიდი ნაწილი მხოლოდ იმის ახსნას ცდილობს, თუ როგორ მუშაობს ეკონომიკა. მაგრამ ხშირად ეკონომისტების მიზანია ეკონომიკის მუშაობის გაუმჯობესება. როდესაც ხედავთ, რომ ეკონომისტები ნორმატიულ დებულებებს აყალიბებენ, ადვილი მისახვედრია, რომ მათ გადაკვეთეს მიჯნა, რომელიც მეცნიერს პოლიტიკოსისაგან განასხვავებს". (გ. მენქიუ).

ეკონომიკური ანალიზი შეიძლება განხორციელდეს ეკონომიკური სინამდვილის და მისთვის დამახასიათებელი კანონზომიერებების აღწერის პოზიციიდან, მაგრამ ის შეიძლება გაკეთდეს რეკომენდაციების შემუშავების პოზიციიდანაც გადაწყვეტილების არჩევის ვარიანტის თაობაზე. ამიტომ ასხვავებენ ეკონომიკური ანალიზის ორ ტიპს: პოზიტიურს და ნორმატიულს.

პოზიტიური ანალიზი მიმართულია ცვლადებს შორის დამოკიდებულების დადგენისკენ და მიზნად ისახავს ამა თუ იმ ცვლადის ცვლილების შედეგის განჭვრეტას. იგი დაკავშირებულია კითხვებზე პასუხის ძიებასთან: *„რა სახის დამოკიდებულება გვაქვს მოცემულ შემთხვევაში?"* და *„როგორი შედეგი იქნება ერთი ცვლადის შეცვლისას?"* თუკი საუბარია მწარმოებლების ქცევაზე, მაშინ პოზიტიური ანალიზი შემოიფარგლება დამოკიდებულების განსაზღვრით პროდუქციის საბაზრო ფასსა და გამოშვების მოცულობის არჩევანს შორის, აგრეთვე პროგნოზული მტკიცებით ფირმის რეაგირების თაობაზე (მის მიერ გამოშვების მოცულობის შეცვლა) ფასის ცვლილებასთან დაკავშირებით. პოზიტიურ ანალიზს, რომელიც დაკავშირებულია სინამდვილის აღწერასთან და რომელიმე ცვლადის ცვლილების შედეგის პროგნოზულ განჭვრეტასთან, არ აქვს შეფასებითი მსჯელობა მიღებული შედეგის შესახებ.

პოზიტიური ანალიზი მხოლოდ აყალიბებს წარმოდგენას ეკონომიკურ ქცევაზე, მაგრამ არ ახდენს მის შეფასებას.

ნორმატიული ანალიზი დაკავშირებულია მიზნობრივი მითითებების შემუშავებასთან და შეფასებითი ხასიათის მტკიცებებთან. მისი არსია განსაზღვროს საუკეთესო ალტერ-ნატიული ვარიანტი, იგი გამოიხატება კითხვებზე პასუხის სახით: *„როგორ უნდა იყოს?“ ან „ რა არის უკეთესი?“.* მტკიცება, რომ მოქალაქეთა შემოსავლების პროგრესული დაბეგვრა უფრო სამართლიანია, ვიდრე გადასახადის ერთნაირი განაკვეთის გამოყენება, ისევე, როგორც პირუკუ მტკიცება – ნორმატიული ანალიზის აშკარა მაგალითებია. არის რა შეფასებითი შინაარსის მიხედვით, ნორმატიული მტკიცებები ასახავს სუბიექტურ აზრს, ოღონდ იგი ემყარება არა ეკონომიკურ კანონზომიერებებს, არამედ ფასეულობით ნორმებს, რომლებითაც ხელმძღვანელობენ ადამიანები ნორმატიული ანალიზის პროცესში. მაგალითად, ზემომოტანილი ნორმატიული მსჯელობის შინაარსი დამოკიდებული იქნება იმაზე, როგორ აზრს დებენ ცნებაში „სამართლიანობა“. გარდა ამისა, ნორმატიულ მტკიცებას აქვს განაწესის (მითითების) ხასიათი და არა წინასწარმეტყველების, როგორც პოზიტიურის. ამიტომ არ შეიძლება მისი დამტკიცება ან უარყოფა რეალური სინამდვილის ფაქტებით. თუმცა, ნორმატიული ანალიზი საკმაოდ სასარგებლოა როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომელშიც ამოცანა დადის მიზნის მიღწევის საუკეთესო ხერხის არჩევამდე მიღებული კრიტერიუმების თანახმად.

პოზიტიურ და ნორმატიულ ანალიზს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. პოზიტიური ანალიზი, ავლენს რა კანონზომიერებებს, გვეხმარება განვსაზღვროთ ნორმატიული მიზნების რეალიზაციის საშუალებების ოპტიმალური არჩევანი. ნორმატიული ანალიზი, რომელიც დაკავშირებულია რეკომენდაციების შემუშავებასთან, ხშირად ხდება საგნის არჩევის მიზეზი პოზიტიური ანალიზისთვის(ნახ.1.1).

ნახ. 1.1. პოზიტიური და ნორმატიული ანალიზის შედარებითი დახასიათების სტრუქტურა



კანონები, რომლებიც მეტწილად მიკროეკონომიკის სფეროს ეკუთვნის

ზოგი კანონი მეტწილად მიკროეკონომიკის სფეროს ეკუთვნის. ასეთებია, მაგალითად:

- მოთხოვნის კანონი
- მიწოდების კანონი
- წარმოების ფაქტორთა დამატებითი ხარჯების ეფექტიანობის დაცემის ანუ კლებადი უკუგების კანონი

ეკონომიკური კანონების თავისებურებანი

ეკონომიკის კანონები მნიშვნელოვნად განსხვავდება თქვენთვის ცნობილი ფიზიკის ან ქიმიის კანონებისაგან. ისინი ***ძირითადად ჭეშმარიტია მხოლოდ განსაზღვრულ, არა ყოველთვის მკაფიოდ გამოკვეთილ პირობებში და არანათელ ვარაუდებში.*** ბევრი ეკონომიკური კანონი წარმოადგენს სტატისტიკური დაკვირვებების შედეგეს განსაზღვრულ ისტორიულ მონაკვეთში. მათი გადატანა სხვა დროის ინტერვალებში და მით უმეტეს გამოყენება სიტუაციის მომავალი განვითარების პროგნოზირებისათვის ძალზე პრობლემატურია. ბევრი კანონი, აღიარებულა ერთი ეკონომიკური სკოლის ჩარჩოებში, საკამათოა ან სრულებით უარყოფილია სხვა სკოლების მიერ. კანონთა ნაწილი უკვე წარმოადგენს მხოლოდ ისტორიულ ინტერესს, ვინაიდან ეკონომიკური პირობები შეიცვალა და დროთა განმავლობაში გამოვლინდა მათი შეზღუდულობა.

ეკონომიკური თეორიის აგება, განსხვავებით ფიზიკისაგან, სრულებით ***არაა ორიენტირებული ბორის ცნობილ პრინციპზე, რომლის თანახმადაც, ყოველმა ახალმა თეორიამ უნდა შთანთქას ძველი,*** რომელიც ხსნის მოვლენების იმავე კლასს განსაზღვრულ პირობებში. ამასთან საჭიროა, რომ ახალი თეორიის კანონები გადაიქცნენ ძველად იმ პირობებში, რისთვისაც ეს ძველი თეორია იყო განკუთვნილი. აგალითად, აინშტაინის ფარდობითობის სპეციალური თეორიის ძირითადი განტოლებები გადაიქცევა ჩვეულებრივ ნიუტონის კანონებად მცირე სიჩქარეების დროს სინათლის სიჩქარესთან მიმართებაში. კვანტური მექანიკის განტოლებები და კანონები ემთხვევა კლასიკური ფიზიკის კანონებს საკმარისად დიდი მასის ობიექტების შემთხვევაში.

ეკონომიკაში არ შეინიშნება საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აგების ძირითადი პრინციპიც, რომელსაც უწოდებენ ***ოკამის სამართებელს.*** ამ პრინციპის თანახმად, თეორიაში არ შეიძლება შევიტანოთ ახალი ცნებები (კატეგორიები), სანამ არსებული მოვლენებისა და საექსპერიმენტო მონაცემების ნაკრების ახსნა შეიძლება ძველის საფუძველზე. ეკონომისტები ხშირად და მსუბუქად, ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე ახდენენ ახალი ცნებების შემოტანას, ნაკლებად უფარდებენ რა მათ ძვლებს. ალბათ მომავალში განხორციელებული ეკონომიკის მათემატიზაცია მიგვიყვანს მის მკაცრად აქსიომატურ აგებამდე, რაც დამახასიათებელი იყო უფრო ძველ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათათვის, რომლებიც ამავდროულად დაკავშირებულნი იყვნენ მნიშვნელოვნად უფრო მარტივი ობიექტებით.

კანონების მოთხოვნები, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ეხება

ეკონომიკური კანონები სხვადასხვაგვარია. არსებობს კანონები, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ეხება. მათ საერთო ეკონომიკურ კანონებსაც უწოდებენ. ეს კანონებია:

- ღირებულების კანონი
- დაგროვების კანონი
- ფულადი მიმოქცევის კანონი

ღირებულების კანონი გამოხატავს ფასის დამოკიდებულებას საქონლის წარმოებაზე დახარჯულ საზოგადოებრივად აუცილებელ შრომასთან. უნდა აღინიშნოს, რომ არ შეიძლება ამ კანონის პრიმიტიულად ახსნა. პრინციპში, რაც უფრო მეტი შრომაა დახარჯული საქონლის წარმოებაზე მით უფრო მეტია მისი ფასი. მაგრამ ყიდვა-გაყიდვის პროცესზე გავლენას ახდენს არა მარტო შრომატევადობა, არამედ სხვა მრავალი ფაქტორიც: საქონლის ხარისხი, მოთხოვნასა და მიწოდებას შორის თანაფარდობა, გამყიდველისა და მყიდველის მონოპოლიზაციის დონე, ფასების სახელმწიფო პოლიტიკა, გამოშვებული ქაღალდის ფულის რაოდენობა და ა.შ. ამიტომ, რეალური ფასი თითქმის ყოველთვის განსხვავდება ღირებულებისაგან, მაგრამ ღირებულება ყოველთვის რჩება იმ საშუალო პოზიციად, რომლის გარშემოც მერყეობს ფასები.

დაგროვების კანონი გვაუწყებს, რომ სამეურნეო მოღვაწეობისაგან მიღებული შემოსავლის ნაწილი აუცილებლად უნდა მოხმარდეს მის გაფართოებას, ინვესტიციებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეკონომიკური ზრდა ან დამუხრუჭდება, ან საერთოდ შეჩერდება. დაგროვება გაფართოებულ აღწარმოებას უზრუნველყოფს. ამ ფაქტორის გარეშე ფირმა და მთლიანად ქვეყანაც კი დაკარგავს სიმყარეს და კონკურენტუნარიანობას, საბოლოოდ დამარცხდება.

ფულადი მიმოქცევის კანონი გამოხატავს ობიექტურ კავშირს მიმოქცევაში არსებულ ქაღალდის ფულის რაოდენობასა და ფასების დონეს შორის. კანონი გვამცნობს, რომ ფულის მყიდველობითი უნარი მყარია მაშინ, როდესაც მისი რაოდენობა შეეფარდება ბაზრის მოთხოვნილებებს ფულის გარკვეულ რაოდენობაზე. ეს რაოდენობა პირდაპირ შეეფარდება საქონლისა და მომსახურების ფასების ჯამს და ფულის ბრუნვის (მიმოქცევის) სიჩქარის უკუპროპორციულია.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მეტწილად მიკროეკონომიკის სფეროს ეკუთვნის მოთხოვნის კანონი, მიწოდების კანონი და წარმოების ფაქტორთა დამატებითი ხარჯების ეფექტიანობის დაცემის კანონი. ობიექტური ეკონომიკური კანონების გათვალისწინება წარმატებული სამეურნეო მოღვაწეობის აუცილებელი პირობაა.

სამეურნეო საქმიანობის მთავარი როლი

ისტორია გვასწავლის, რომ ჩვენი ძალიან შორეული წინაპრები არავითარ მეურნეობას არ უძღვებოდნენ. თავის გამოსაკვებად ისინი ეწეოდნენ შემგროვებლობას, ნადირობას და თევზჭერას. მაგრამ არსების ასეთი წესი საჭირო რაოდენობის საარსებო საშუალებებს არ იძლეოდა. პირველყოფილი ადამიანი განწირული იყო შიმშილისა და სიცოცხლის დაბალი ხანგრძლივობისთვის (40 წელიწადი).

ამ ჩიხური სიტუაციიდან გამოსავალი იპოვეს 10 ათასი წლის წინათ. თუ ცხოველები იმით კმაყოფილდებიან, რასაც ბუნებაში პოულობენ, ადამიანებმა თვითონ ისწავლეს მათთვის საჭირო და სასარგებლო ყველა ნივთის წარმოება. დაიწყეს რა სამეურნეო საქმიანობა, მათ მაღალი მატერიალური სულიერი კულტურა შექმნეს. 100 საუკუნის უკან ადამიანებმა მეურნეობის გაძღოლა დაიწყეს, რომ თავიანთი თავი უზრუნველეყოთ აუცილებელი სასიცოცხლო დოვლათით.

რატომ ეწევა ადამიანი სამეურნეო საქმიანობას? ***რატომ ინტერესდება ადამიანი ეკონომიკურად?*** ეკონომიკა განაპირობებს ადამიანთა შეუცვლელ ინტერესს. მისგან ყველა ელოდება იმ ამოცანების გადაწყვეტას, რომელზეც დამოკიდებულია მისი ცხოვრება და კეთილდღეობა.

“ეკონომიკური ინტერესი “

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მიზეზი, რომელიც უბიძგებს ადამიანებს დაკავდნენ სამეურნეო საქმიანობით და მიიღონ საშუალებები ყოველმხრივი განვითარებისთვის.

მრავალ ადამიანს აინტერესებს საერთაშორისო სამეურნეო კავშირი, კერძოდ, ისეთი კითხვები, როგორებიცაა: როგორია სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრების დონე და ხარისხი და რით აიხსნება ასეთი სხვაობა? მეურნეობის რომელი ორგანიზაციაა უმჯობესი და რომელი ემსახურება ადამიანს უკეთ? როგორ ვითარდება სავალუტო ურთიერთობა ქვეყნებს შორის? რისთვის ერთიანდება ეკონომიკურად დასავლეთევროპული და სხვა ქვეყნები? თვით ამ კითხვათა არასრული ჩამონათვალი, რომლებიც აღელვებს ადამიანებს, საშუალებას იძლევა მივიდეთ შემდეგ დასკვნამდე. **ყოველი ადამიანისთვის მნიშვნელოვანია კარგად გააცნობიეროს თავისი ეკონომიკური ინტერესები, ნათლად დაინახოს მათი განხორციელების გზები და საშუალებები.** გინესის რეკორდების წიგნი გვამცნობს, რომ 1971 წელს, კუნძულ მინდაოზე (ფილიპინები) “აღმოაჩინეს” გამოქვაბულის ადამიანთა თემი. ისინი ***<u>არ ეწეოდნენ სოფლის მეურნეობას, არ გააჩნდათ საოჯახო მეურნეობა, არ სარგებლობდნენ ბორბლით და მეთუნეობით.</u>***

<u>ეკონომიკის მთავარი დანიშნულება</u> ადამიანის სიცოცხლისუნარიანობის და კეთილდღეობის ამაღლებაა. სწორედ ამ საკითხის შესახებ საინტერესოდ წერს ცნობილი ამერიკელი მეცნიერი გრეგორი მენქიუ თავის წიგნში “ეკონომიკის პრინციპები”.

“რატომ უნდა დაიწყოთ თქვენ, 21-ე საუკუნის სტუდენტებმა, ეკონომიკური მეცნიერების შესწავლა? “

“რატომ უნდა დაიწყოთ თქვენ, 21-ე საუკუნის სტუდენტებმა, ეკონომიკური მეცნიერების შესწავლა? ამისათვის სამი მიზეზი არსებობს.

<u>პირველი მიზეზი ისაა, რომ ეკონომიკა სამყაროს შეცნობაში დაგეხმარებათ.</u> ეკონომიკასთან დაკავშირებით ჩნდება ბევრი კითხვა, რომელმაც, შესაძლოა, თქვენი ცნობისმოყვარეობა გააღიზიანოს. რატომაა ბინის პოვნა ნიუ-იორკში ასე ძნელი? რატომ ღირს თვითმფრინავის ბილეთი ნაკლები, როცა მგზავრს შაბათი ღამის გათევა უწევს? რატომ უხდიან ჯონ კერის ამდენს ფილმში მონაწილეობისთვის? რატომ არის ცხოვრების დონე ასე დაბალი აფრიკის ბევრ ქვეყანაში? რატომ არის ზოგ ქვეყანაში ინფლაციის დონე მაღალი, სხვაგან კი ფასები სტაბილურია? რატომ არის სამუშაოს პოვნა იოლი გარკვეულ წლებში სხვა წლებთან შედარებით? ეს მხოლოდ ნაწილია იმ კითხვების გრძელი სიისა, რომლებზე პასუხის გაცემაშიც ეკონომიკის კურსი დაგეხმარებათ.

ეკონომიკის შესწავლის ***<u>მეორე მიზეზი ის არის, რომ მისი დახმარებით უკეთ გაიგებთ ეკონომიკურ პროცესებს.</u>*** ცხოვრების გზაზე მრავალი ეკონომიკური ხასიათის გადაწყვეტილების მიღება მოგიხდებათ. სანამ სტუდენტი ხარ, უნდა გადაწყვიტო, რამდენ წელს დარჩები სასწავლებელში. როცა მუშაობას დაიწყებ, თავად გადაწყვეტ, შემოსავლის რა ნაწილს დახარჯავ, რამდენს შეინახავ და როგორ დაბანდებ შენს დანაზოგს. ერთ დღეს შეიძლება მცირე საწარმოს ან დიდი კორპორაციის სათავეში აღმოჩნდე და გადასაწყვეტი გქონდეს, როგორი ფასები დაადო შენს პროდუქციას. მოსაზრებები, რომლებიც ჩამოყალიბებულია წინამდებარე წიგნში, ამ გადაწყვეტილებების მიღებაში დაგეხმარებათ. შესაძლოა, თავად ეკონომიკის შესწავლამ არ გაგამდიდროთ, მაგრამ იმის საშუალებას კი ნამდვილად მოგცემთ, რომ თქვენ მცდელობები წარმატებით განახორციელოთ.

ეკონომიკის შესწავლის ***<u>მესამე მიზეზი ისაა, რომ მისი მეშვეობით შესაძლებელი ხდება ეკონომიკური პოლიტიკის პოტენციალისა და ლიმიტების გაანალიზება</u>***. როგორც ამომრჩეველი, ეხმარებით იმ პოლიტიკური ძალის არჩევას, რომელიც საზოგადოებრივი რესურსების განაწილებას აკონტროლებს. როცა წყვეტთ, რომელ პოლიტიკურ ძალას დაუჭიროთ მხარი, შესაძლოა აღმოაჩინოთ, რომ უამრავი შეკითხვა გებადებათ ეკონომიკას-

თან დაკავშირებით. რა არის ალტერნატიული საგადასახადო სისტემის ძირითადი არსი? რა შედეგები მოაქვს სხვა ქვეყნებთან თავისუფალ ვაჭრობას? როგორია გარემოს დაცვის საუკეთესო გზა? როგორ ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი გავლენას ეკონომიკაზე? ეს და მსგავსი შეკითხვები ყოველთვის აწუხებთ პოლიტიკოსებს მერიებში, ოფისებში, სამთავრობო ორგანიზაციებსა და თეთრ სახლში.

ამგვარად, ეკონომიკის პრინციპები შეიძლება მრავალ ცხოვრებისეულ სიტუაციაში გამოიყენოთ. მნიშვნელობა არა აქვს, რას გააკეთებთ მომავალში – გაზეთს იკითხავთ, კომპანიას ჩაუდგებით სათავეში თუ ოვალურ ოფისში იჯდებით – თქვენ ყოველთვის კმაყოფილი იქნებით იმით, რომ ეკონომიკას სწავლობდით.“ [20]

პროდუქტის რა სახეობებს ქმნის ეკონომიკა

<u>დოვლათს</u> ეკონომისტები უწოდებენ ***<u>ყველაფერს, რის მითვისებასაც ადამიანები ისურვებდნენ, რაც მათთვის</u>*** ***<u>სარგებლობის მომგანია – რეალური ან მოჩვენებითი.</u>*** კერძოთ დოვლათი შეიძლება ვუწოდოთ პურს, წყალს, ჰაერს, მატერიალური და არამატერიალური დოვლათით (მაგალითად, მიწით) სარგებლობის უფლებას. შესაბამისად, ***<u>ანტიდოვლათს, უწოდებენ იმას, რის მითვისებასაც ადამიანები არ მოისურვებდნენ, რასაც ისინი საზიანოდ მიიჩნევენ</u>***. კერძოდ, ანტიდოვლათი შეიძლება ვუწოდოთ ავტომობილის გამონაბოლქვ გაზებს, მარილიან წვიმებს, ქარბორბალას, ძრავის ხმაურს, მაგნიტურ ქარიშხალს. ზოგჯერ გვიწევს არა დოვლათთა შორის არჩევანის გაკეთება, არამედ ანტიდოვლათთა შორის. გამოთქმაც არსებობს: “ორი ბოროტებიდან ნაკლებს ირჩევენ”.

არ არსებობს ერთიანი საზომი: რა არის “კარგი” და რა არის “ცუდი”. ის, რასაც ერთი ადამიანი დოვლათად აღიქვამს, მეორემ შეიძლება ანტიდოვლათად მიიჩნიოს. მაგალითად, ერთი და იგივე წვიმა გლეხისთვის შეიძლება დოვლათი იყოს, მოგზაურისთვის კი დაბრკოლება. ნაწარმი, რომელიც ნიკოტინს შეიცავს, ალკოჰოლი, სხვა ნივთიერება, რომელიც ადამიანის ფსიქიკაზე ზემოქმედებს, მისი მომხმარებლებისათვის დოვლათად აღიქმება, გარშემო მყოფთათვის კი ხშირად როგორც ბოროტება.

ამიტომ, ეკონომისტები, როგორც წესი იყენებენ მხოლოდ ერთ ტერმინს – “დოვლათი”, რომელშიც გულისხმობენ მატერიალურ და იდეალურ ნივთებს, ნივთის თვისებას, პროცესს, - ერთი სიტყვით ყველაფერს, რაც შეიძლება ასე თუ ისე მივითვისოთ, გამოვიყენოთ დოვლათად თავის თავის სხვა ადამიანების ან ორგანიზაციების საზიანოდ.

ნებისმიერ თანამედროვე ეკონომიკაში ცირკულირებადი დოვლათის მრავალფეროვნება განუზომლად დიდია. თანამედროვე პროდუქციის კლასიფიკატორი 20 მილიონზე მეტი დასახელების პროდუქციის ნომენკლატურას ითვლის. სინამდვილეში, რათქმა უნდა, ყველა ამ საგანთან საქმე არავის არ ჰქონია. მათი დიდი ნაწილი იწარმოება და მოიხმარება საწარმოებში და პირადი მოხმარების სფეროში არასოდეს არ გამოდის. მით უმეტეს, ფირმებში, როგორც წესი, დოვლათის თითოეული სახეობის ნაკადი და მარაგი ცალ-ცალკე აღირიცხება, რამდენადაც კონკრეტულ კონკურენტული საწარმოო პროცესში სრულიად განსაზღვრული საგნები გამოიყენება და ერთის შეცვლა სხვებით ან ხარისხის შემცირებას გამოიწვევს, ან კიდევ დანახარჯების რაოდენობის გაზრდას. ასეთ აღრიცხვას სახელმწიფო დაწესებულებებშიც ეწევიან.

დოვლათს შორის გამოყოფენ ***<u>ურთიერთშემცვლელებს, ანუ სუბსტიტუტებს</u>*** (ინგლ. სიტყვიდან <u>substitute</u>- შეცვლა) და ***<u>ურთიერთშემავსებლებს, ანუ კომპლემენტარებ</u>***ს (ინგლისურიდან <u>complement</u>- დამატება). ურთიერთშემცვლელებს მიეკუთვნება არა მარტო მრავალი სამომხმარებლო დოვლათი და საწარმოო რესურსი, არამედ სატრანსპორტო მომსახურება (მატარებელი, თვითმფრინავი, ავტომობილი), მომსახურების სფეროები (კინო, თეატრი, ცირკი) და ა.შ. ურთიერთშემავსებელი დოვლათის მაგალითია მაგიდა და სკამი, ავტომობილი და ბენზინი, კალამი და ქაღალდი. დოვლათი შეიძლება იყოს ერთმანეთის მიმართ

ნეიტრალურიც. დოვლათის ურთიერთშემცველობის და ურთიერთშემავსებლობის გაგება მნიშვნელოვანია ნებისმიერ ეკონომიკაში აგენტების (სუბიექტების) ქცევის და ფას-წარმოქმნის კანონზომიერებათა გასაგებად საბაზრო ეკონომიკაში.

დოვლათი შეიძლება იყოს:

ა) ***ერთ*** ან ***მრავალჯერადი*** გამოყენების. პირველის შესახებ ჩვეულებრივ ამბობენ, რომ ის მოიხმარება, ქრება, მერე კი, რომ ისინი გამოიყენება, თანდათანობით ცვდება. ზოგოერთი ნივთისთვის, მაგალითად კვების პროდუქტებისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკისათვის, სირთულეს არ წარმოადგენს მათი პირველი ან მეორე ჯგუფისთვის მიკუთვნება. სხვებისთვის, მაგალითად ტანსაცმლისთვის, შესაძლოა წარმოიშვას სურთულე. გარდა ამისა, წარმოებულ ხანგრძლივი მოხმარების დოვლათის ცალკეულ ჯგუფში ჩვეულებრივ გაოყოფენ შენობებს და ნაგებობებს (უძრავ ქონება), ***რამდენადაც ყველა სხვა დოვლათისგან განსხვავებით ისინი არ ფლობენ მობილურობის, ადგილსამყოფელის შეცვლის თვისებას.***

ბ) ***პირდაპირი (სამომხმარებლო) და ირიბი (საწარმოო***), რომელიც თავის მხრივ, იყოფა ***რეალურად*** და ***ფინანსურად***. არასაკმარისი სამომხმარებლო დოვლათის მისაღებად საჭიროა ირიბი დოვლათი – რესურსები.

გ) ახლანდელი რეალურად არსებული დოვლათი (აწმყოში არსებული) და ისეთი, რომლის გამოყენება შეგვეძლება მხოლოდ ***სამომავლოდ***. მეურნეობრიობის აზრი ხშირად იმაზე დაიყვანება, რომ რესურსები, რომელიც ახლა (აწყმოში) არსებობს, გამოვიყენოთ მომავალში დოვლათის შესაქმნელად.

დ) ***დაცული და დაუცველი.*** აბსოლუტურად დაუცველია ***მომსახურებ***ა, რამდენადაც ისინი მოიხმარება უშუალოდ წარმოების პროცესში. მაგალითად, სატრანსპორტო მომსახურება, სივრცეში გადასაადგილებლად მდგარი რაიმე, სრულად მოხმარებული აღმოჩნდება ზუსტად იმ მომენტში, როცა ეს გადაადგილება დასრულებულია. ნაკლებ დაცულია მალფუჭებადი კვების პროდუქტები, მაგალითად ახალი თევზი, ხორცი.

აბსოლუტურად დაცულთან ახლოსმდგომია – ეგრეთწოდებული კეთილშობილი ლითონები, მაგალითად ოქრო, ვერცხლი. რეალური, ფიზიკური დოვლათის დიდი ნაწილი დროში მცირედ დაცულია, გარე გარემოს მავნე ზემოქმედებას განიცდის. არსებობს აგრეთვე დოვლათი, აბსოლუტურად დაცული და დროში რაოდენობრივი ზრდის უნარის მქონეც. მას მიეკუთვნება ფული და ***ფინანსური კაპიტალი*** (ფინანსები, ფასიანი ქაღალდები).



ნახ1.2. ობიექტების მიხედვით დოვლათის კლასიფიკაცია ეკონომიკურ თეორიაში

<u>ფინანსურ კაპიტალს</u> აქვს ***<u>თვისება თავის მესაკუთრეს მოუტანოს დამატებითი ფული დროის გარკვეული შუალედის გავლის მეშვეობით</u>***. ამ განსაზღვრების თანახმად ფინანსური კაპიტალის შემადგენლობაში შედის, მაგალითად, ყველა ვადიანი ანაბარი.

ობიექტების მიხედვით დოვლათის კლასიფიკაცია ეკონომიკურ თეორიაში, მოცემულია ნახ1..2-ზე.

თუ სხვადახვა სახის დოვლათის განხილვას შევაჯამებთ, შეიძლება გავაკეთოთ საერთო დასკვნა. დოვლათი (ანტიდოვლათი) შეიძლება იყოს ნივთი, მისი თვისება, ცვლილება და ნივთის სივრცესა და დროში გადაადგილება, სხვადასხვა სახის ენერგია, ყოვლისშემძლე ინფორმაცია. გარდა ამისა, დოვლათი შეიძლება იყოს საკუთრების სრული ან ნაწილობრივი უფლება სხვა დოვლათზე. მაგალითად, გაყიდვის უფლება დოვლათია, გაიცვალოს უფრო სასარგებლო დოვლათზე, გადასცეს ის სარგებლობაში ნაღდ საფუძველზე. მოკლედ, **ტერმინით "დოვლათი (ანტიდოვლათი)" შეიძლება აღვნიშნოთ ყველაფერი, რასაც ადამიანი, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს, თავისთვის მნიშვნელოვ-**

ნად თვლის. ჩვეულებრივ ეს არის ის, რაც ამა თუ იმ სუბიექტებს ინტერესებს და მათ ცხოვრებაზე ახდენს გავლენას.

საზოგადოების მატერიალური სიმდიდრის მდგენელები

საზოგადოების მატერიალური სიმდიდრე შედგება (ცხრილი1.1):

- ***ბუნებრივი, ბუნების მიერ შექმნილი დოვლათი*** (ტყე, სასარგებლო წიაღისეული, ველური კენკრა, სოკო და სხვა);
- ***ეკონომიკური დოვლათი,*** რომლის შემოქმედად გვევლინება ადამიანი.

ორი სახეობის ეკონომიკური დოვლათია:

I. ***მოხმარების საგნები***, რაც უშუალოდ განკუთვნილია ადამიანის სიცოცხლისათვის (საკვები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საცხოვრებელი, სამგზავრო ტრანსპორტი და სხვა მისთანანი).

II. ***წარმოების საშუალებები,*** ანუ ყველაფერი, რაც განაპირობებს ადამიანისთვის სასარგებლო პროდუქტების შექმნას (მაგალითად, ნავთობის, ლითონის მოპოვება, ინსტრუმენტები, ჩარხები და სხვა მრავალი). წარმოების საშუალებები შეიძლება მოვიპოვოთ "ბუნების საკუჭნაოდან" (სასარგებლო წიაღისეული) ან ვაწარმოოთ ქვეყნის შიგნით (ჩარხები ლითონის დასამუშავებლად და ა.შ.).

ცხრილი1.1

სასარგებლო დოვლათისა და სიმდიდრის წყაროების სახეობები

სიმდიდრის წყარო	**დოვლათის სახეობები**	
	მოხმარების საგნები	წარმოების საშუალებები
ბუნებრივი პროდუქტები	ფუტკრის თაფლი, სამკურნალწამლო მცენარეები და ა.შ.	დაუმუშავებელი მიწა, ნახშირის საბადოები და სხვა.
ეკონომიკური დოვლათი	კვების პროდუქტები, ფეხსაცმელი, ველოსიპედები და სხვა	ბეტონი, ქიმიური პროდუქტები, სატვირთო ავტომობიულები და ა.შ.

როგორაა მოხმარების საგნები დაკავშირებული წარმოების საშუალებებთან

დავუშვათ, ზოგიერთ ახალგაზრდა ადამიანს უყვარს პურფუნთუშეულის ნაწარმი. მაგრამ შეუძლიათ კი, რომ მათ უპასუხონ შემდეგ მარტივ საკითხს: *საიდან იწყება და რომელ ეტაპებს გაიელის ამ ნაწარმის შექმნა*, ვიდრე ისინი მომხმარებლებამდე მიაღწევდნენ?

ცხადია, ამ კითხვაზე ადვილად უპასუხებენ სოფლის მცხოვრებნი, რომლებმაც კარგად იციან, წარმოების რომელი საშუალებები უნდა შექმნან თავდაპირველად, რომ საბოლოოდ მისგან საკვები პროდუქტები მიიღონ. საკითხი ეხება სამეურნეო საქმიანობის შემდეგ ეტაპებს:

- მინდვრებზე მოიყვანონ მარცვლოვანი კულტურები (ხორბალი, ჭვავი და სხვა);
- ფქვილბურღულეულს საწარმოებში მარცვლისაგან აწარმოონ ფქვილი;
- პურის ქარხნებში გამოაცხონ პურფუნთუშეულის ნაწარმი;
- მზა პროდუქტები მიიტანონ მაღაზიაში.

ზემოაღნიშნულიდან შეიძლება გავაკეთოთ *დასკვნა.*

1. მოხმარების საგნების შექმნა შეიძლება მხოლოდ შესაბამისი წარმოების საშუალებების *კარგად გამართული წარმოების საფუძველზე.*
2. როგორც წესი, სამეურნეო საქმიანობაში სხვადასხვა დარგის საწარმოები მონაწილეობენ, სადაც აუცილებელი მატერიალური საშუალებები თანმიმდევრულად

გამოიყენება ადამიანის პირადი მოხმარებისათვის განკუთვნილი საბოლოო დოვლათის შესაქმნელად.

გახდებით რა სპეციალისტები, რა თქმა უნდა, სასარგებლოა იცოდეთ, საქმიანობის თქვენს მიერ არჩეულ სფეროში როგორ იქმნება წარმოების საშუალებები, და შემდეგ მათგან ეტაპობრივად როგორ მზადდება მოხმარების საგნები.

ეკონომიკური პრობლემა

"ფეხი ისე გაშალე, საბანი მოგწვდებოდესო", "წვიმა მოვიდა, მაგრამ ქვეყანას ვერ გასწვდაო", "ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო", "ჭამა ქონებაზე ჰკიდიაო", "თავს ზემოთ ვერ გადახტებიო", "ღორის ყურისგან აბრეშუმის საფულეს ვერ შეკერავ", "კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების". რა ბევრი ანდაზა და სხვა ყოველდღიური გამონათქვამი უსვამს ხაზს ჩვენი სურვილების კერძო შეუსაბამობას მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობებთან. საკმარისია დავფიქრდეთ, რამდენი დამატებითი ნივთის ყიდვას შევძლებდით, ჩვენი შემოსავლები უფრო მეტი რომ ყოფილიყო: მოდური ტანსაცმელი, ახალი ავეჯი, პრესტიჟული მანქანა, მოგზაურობა საზღვარგარეთ, ვიდეოკამერა... ამ სიას ბოლო არ უჩანს, რამდენადაც, ეს მოთხოვნილებები რომ დაკმაყოფილდეს კიდეც, აუცილებლად ახალი გაჩნდება.

აი, სწორედ ეს არის ეკონომიკური პრობლემა (economic problem) შეუზღუდავი ანუ განუსაზღვრელი სურვილები და შეზღუდული ანუ განსაზღვრული საშუალებები (ნახ.1.3). ჩვენ ვერასოდეს ვერ დავძლევთ ამ სიძნელეს, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია შევეცადოთ, მივიღოთ რაც შეიძლება მეტი იმისგან, რასაც ვფლობთ, რაც ხელთ გვაქვს, რაც ჩვენს განკარგულებაშია. ე.ი. ჩვენ ყოველთვის ეკონომია (ეცონომიცს) ანუ მომჭირნეობა გვიწევს.

იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ, რას მოიცავს ცნება "მომჭირნე ეკონომიკური მეურნეობრიობა" (ეცონომიცსინგ), განვიხილოთ გადაწყვეტილების მიღების პროცესი. ასეთი მაგალითი უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ის ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, ვინაიდან, ტერმინი 'ეკონომიკა", როგორც დასაწყისში უკვე აღვნიშნეთ, ბერძნულიდან თუ ვთარგმნით, ნიშნავს "საოჯახო მეურნეობის გაძღოლას".

<u>ნახ.1.3. ეკონომიკური პრობლემა</u>



რაკიღა ჩვენ რაღაცას ვირჩევთ, მაშასადამე, ჩვენ გვიწევს რაღაცაზე უარი განვაცხადოთ, რაღაცა მსხვერპლად გავიღოთ. რაღაცის მიღება ნებისმიერ სფეროში რაღაც სხვა რაიმეზე უარის თქმას ნიშნავს. ამიტომ ჩვენ ვლაპარაკობთ *ალტერნატიულ დანახარჯზე* (apportunity cost), ე.ი. რაღაც სხვა რაიმეს ღირებულებაზე , რომელზედაც უარის თქმა გვიწევს (უფრო ზუსტად, სხვა უკეთეს ვარიანტზე). *პრაქტიკაში ეკონომიკური პრობლემა ნიშნავს არა იმდენად სრულ უარს ერთ საქონელზე მეორის სასარგებლოდ, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღებას ცოტა დიდი რაოდენობით მეტი ერთი საქონლის და ცოტა ნაკლები რაოდენობის მეორე საქონლის არჩევის შესახებ*

ეკონომიკური დოვლათი

"უფასო" და "იშვიათი" დოვლათი. მხოლოდ მცირე დოვლათია იმდენად დიდი რაოდენობით, რომ მისთვის არცერთი ადამიანი არცერთ თეთრს არ გადაიხდის. ერთ-ერთი ასეთი დოვლათია ჰაერი. კიდევ ერთი მაგალითი: ზოგიერთ წლებში ყურძნის ან ვაშლის მოსავალი იმდენად დიდია, რომ ბაღების მფლობელები ყველა მსურველს სთავაზობენ: "აიღეთ, რამდენსაც შეძლებთ"-ო. ასეთ დოვლათს ეწოდება ***უფასო*** (free). მაგრამ დოვლათის უმეტესობა ***იშვიათ*** (scarce) დოვლათს მიეკუთვნება, ე.ი. ის შეიძლება მივიღოთ მხოლოდ რაიმეზე უარის თქმით. თუ გვინდა რომ მას დავეუფლოთ, მოგვიწევს ეკონომიის გაწევა, ამიტომ მას ***ეკონომიკურ დოვლათსაც*** (economic goods) უწოდებენ. თუმცა ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი საზღვარი ეკონომიკურ და არაეკონომიკურ დოვლათს შორის არ არსებობს. იშვიათობა უმეტესად მოთხოვნაზეა დამოკიდებული.
ამგვარად, ***დოვლათს ეწოდება ეკონომიკური, თუ მისი დაუფლება სუბიექტისათვის სხვა დოვლათის დაუფლებაზე უარის თქმის შედეგია***. მაგალითად, ატმოსფერული ჰაერი ეკონომიკური დოვლათი არაა, ხოლო ჰაერი კონდიციონერით, ჰაერის გამასუფთავებლებით აღჭურვილ შენობაში, ეკონომიკური დოვლათია – ***მისთვის გადახდა მოგვიწია***. იგივე შეიძლება ითქვას ნაკადულის წყლის მილსადენის წყალთან შედარებისას. რამდენადაც მილსადენის წყალი ცუდი არ უნდა იყოს ხარისხით, ვიდრე ნაკადულის, მხოლოდ ის არის ეკონომიკური დოვლათი. მისი საჭირო დროს და საჭირო ადგილზე მიწოდება მილსადენის გაყვანის, წყალსაქაჩი სადგურების მშენებლობის, წყლის გასუფთავების ნაგებობათა, კანალიზაციის სისტემის დანახარჯების შედეგია.

ეკონომიკური დოვლათის ორადი ხასიათი

წარმოების საშუალებებსა და მოხმარების საგნებს შორის კავშირი პრაქტიკაში უფრო რთული აღმოჩნდება, ვიდრე ეს დასაწყისში შეიძლება მოგვეჩვენოს. საქმე ის არის, რომ ზოგიერთ ეკონომიკურ დოვლათს *ორადი ხასიათი* აქვს. მისი ერთი ნაწილი გამოიყენება როგორც წარმოების საშუალება, მეორე ნაწილი კი, როგორც მოხმარების საგანი. ავიღოთ, ვთქვათ, შაქრის ფხვნილი. მისი უმეტესი ნაწილი გამოიყენება წარმოების საშუალების სახით საკონდიტრო ნაწარმის, მურაბისა და სხვა საკვები პროდუქტების დამზადებისას. მეორე ნაწილი იხარჯება პირადი მოხმარების სახით. იგივე შეიძლება ვთქვათ მარილის, დაჭერილი თევზის, ხორცის და სხვა პროდუქტების შესახებ.

ეკონომიკის მეთოდები

ეკონომიკის მეთოდებში გარკვევა "მეთოდის" რაობის შესწავლით უნდა დაიწყოს. მასზე წარმოდგენას გვაძლევს უცხოური წარმოშობის შემდეგი ტერმინები:

ΜΕΘΟΔΟ [ძვ. ბერძ. με'θοδος გამოკვლევის ხერხი] რაიმეს შექმნის ან დამზადების ხერხების ერთობლიობა. მიზნის მიღწევის ან კონკრეტული ამოცანის გადაჭრის ხერხი, მოქმედების ვითარება; რეალობის თეორიული ან პრაქტიკული შემეცნების (ათვისების) ხერხი; ფილოსოფიაში ფილოსოფიური ცოდნის აგების ან დასაბუთების ხერხი.

ΜΕΘΟΔΙΚΑ [< ძვ. ბერძ. με'θοδικη'] 1) რაიმე სამუშაოს ჩატარების საშუალებების და მიზანშეწონილი ხერხების ჩატარების ერთობლიობა; 2) პედაგოგიური მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის გარკვეული საგნის სწავლების კანონზომიერებებს, მაგ. ინგლისური ენის.

ΜΕΘΟΔΙΣΤΕΒΙ [ძვ. ბერძ. με'θοδος გამოკვლევის ხერხი] 1) რომელიმესაგნის სწავლების მეთოდიკის სპეციალისტები; 2) მეთოდისტური ეკლესიის მიმდევრები, რომელიც XVIII ს-ში გამოეყო ანგლიკანურ ეკლესიას და წამოაყენა ძირითად მოთხოვნად რელიგიური მითითებების თანმიმდევრული "მეთოდური" აღსრულება და მორჩილება.

ΜΕΘΟΔΟΛΟΓΙΑ [მეთოდი+...ლოგია] 1) სწავლება სწავლის სამეცნიერო ხერხებზე; 2) რომელიმე მეცნიერების მეთოდების ერთობლიობა, მაგ. კვანტური მექანიკის მ.

ΜΕΘΟΔΥΡΙ [ძვ. ბერძ. με'θοδικο'ς] მკაცრად თანმიმდევრული, სისტემატური, რაც ზედმიწევნით იცავს წინასწარ განსაზღვრულ გრაფიკს; არ უშვებს გეგმიდან გადახედვას, ზუსტად დაცული.

გამოყოფენ ეკონომიკის მრავალ მეთოდს, რომელთაგან ძალზედ მნიშვნელოვანია:

- შედარებითი ანალიზის მეთოდი;
- მეცნიერული აბსტრაქციის მეთოდი;
- გრაფიკული გამოსახვის მეთოდი;
- ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდი.

შედარებითი ანალიზის მეთოდი ნიშნავს კერძო და ზოგადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარებას, მათ შეჯერებას საუკეთესო შედეგების მიღების მიზნით.

ნებისმიერი მეწარმე ვალდებულია შეადაროს თავისი ფირმის ხარჯები კონკურენტის ხარჯებს, განიხილოს თავისი მოღვაწეობის სხვადასხვა ალტერნატიული ვარიანტები. რა არის უფრო ხელსაყრელი, ცენტრალიზებული საინვესტიციო ფონდის ფორმირებისათვის საწარმოს მოგების დაბეგვრის მაღალი ნორმის დადგენა თუ მისი შემცირება, რითაც საწარმო თვითონ გაიფართოებს საინვესტიციო მოღვაწეობის მოცულობას, კარგად ცნობილი მიდგომა 'ხარჯები - შედეგები", ძირითადად შედარებითი ანალიზის მეთოდზეა დაფუძნებული.

მეცნიერული აბსტრაქციის მეთოდი გულისხმობს ეკონომიკურ მოვლენათა შეცნობის პროცესში ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენებისაგან განყენებას და საგნის ან მოვლენის მთავარი ჯგუფის გამოყოფას.

მაგალითად, მოთხოვნის კანონის ახსნისას ანალიზდება მხოლოდ მოთხოვნისა და ფასის ურთიერთდამოკიდებულება, დანარჩენ პირობებს (ფასების სახელმწიფო პოლიტიკა, ბაზრის შევსების დონე, შინაგანი და საგარეო კონკურენციის მოქმედება, ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარება და ა.შ.) ყურადღება არ ექცევა. მთავარი ფაქტორის დადგენის შემდეგ აბსტრაქცია ივსება დროებით გაუთვალისწინებელი ფაქტორების შესაბამისი თვალთახედვით ჩატარებული კვლევით.

ეკონომიკაში ფართოდ გამოიყენება გრაფიკული გამოსახვის მეთოდი. იგი გვეხმარება სხვადასხვა ეკონომიკური მაჩვენებლების თანაფარდობის აღქმაში, ეკონომიკური სიტუაციის ცვლილებების გავლენის შედეგად მათი "ქცევის" შეფასებაში. მაგალითად შეიძლება ავიღოთ ლაფერის მრუდი, რომელიც გამოხატავს საბიუჯეტო შემოსავლების დამოკიდებულებას გადასახადებთან. გრაფიკული გამოსახვა ძალზე მოხერხებულია მიკროანალიზისათვის. მას აქვს ერთი თავისებურება: ეკონომისტები ხშირად ცვლიან ცვლადების მდებარეობას და აბსცისთა ღერძე ათავსებენ დამოკიდებულ ცვლადს, დამოუკიდებელს კი - ორიდინატთა ღერძზე, როგორც, მაგალითად, ლაფერის მრუდზეა.

ამგვარად, გრაფიკული გამოსახვის მეთოდი გვეხმარება ნათლად წარმოვიდგინოთ ეკონომიკური სიტუაციების განვითარება, ხშირ შემთხვევაში შესაძლებლობას გვაძლევს საბოლოო სიზუსტით გამოვხატოთ დამოკიდებულება ეკონომიკურ პარამეტრებს შორის.

ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდი

ეკონომიკური პრობლემების შესწავლისა და გადაწყვეტის მძლავრ თანამედროვე მეთოდს წარმოადგენს მათემატიკური მოდელირების მეთოდი, ე.ი. ეკონომიკური მოვლენის აღწერა ფორმალიზებულ ენაზე მათემატიკური სიმბოლოებისა და ალგორითმების დახმარებით. ჯერ-ერთი, ასეთი კომპაქტური წარმოდგენა ამაღლებს რთული ეკონომიკური პრობლემების თვალმისაწვდომობას, აფართოებს შემეცნების სფეროს და ხშირად ახალ წარმოდგენას გვაძლევს ეკონომიკის ობიექტურ კანონზომიერებაზე. მეორეც, მათემატიკური მოდელი გასაგებია ელექტრონულ გამომთვლელი მანქანისათვის (ეგმ), რომელიც თავს უყრის აურაცხელ მონაცემებს, ფორმალური ლოგიკის კანონებზე დაყრდნობით, სტატისტიკისა და მათემატიკური მეთოდების გამოყენებით ეკონომისტებს განუმეორებელ ანალიტიკურ შესაძლებლობებს აძლევს, ურთულესი გათვლების შედეგად მიანიშნებს მათ ისეთი შეფასებებისა და დასკვნების შესახებ, რომლის მიღწევა ადრე შეუძლებელი იყო. გარდა ამისა გადაწყვეტილებათა დაგროვებისა და პრაქტიკულ შედეგებთან მათი შედარების შედეგად, კომპიუტერს შეუძლია მათემატიკური წესებით შეცდომებში კანონზომიერება აღმოაჩინოს და შეიტანოს კორექტურა გათვალისწინებულ რეკომენდაციებში.

მაგრამ მიღებული შედეგების სარწმუნოობა უპირველეს ყოვლისა მათემატიკური მოდელის რეალური ეკონომიკური პროცესებისადმი ადექვატურობაზეა დამოკიდებული.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის ყოველი პირობითი აღნიშვნა მოვლენათა აღწერისა და გამოთვლების სიმარტივისატვის გამოიყენება, მან უნდა ასახოს მკვლევარისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები და ეკონომიკური პროცესების განვითარების კანონები. თუ ამას მივაღწევთ, მაშინ მიღებული მოდელი იქნება ჰომოფორული, ანუ ისეთი, რომელიც აღწერილი მოვლენებისა და პროცესების რეალურთან მაქსიმალურად მიახლოებულ სურათს იძლევა. მოდელის ჰომომორფულობა (ბერძ. homos - თანაბარი, ერთგვაროვანი და - morphe სახე, წარმოშობა) მიიღწევა ეკონომიკური ობიექტის სისტემური ანალიზის მეთოდით, რომლითაც განისაზღვრება მისი მთლიანობის საზღვრები, არსებით (ყველაზე გავლენიანი) მახასიათებლები და მათი ცვლილების დიაპაზონები.

თანამედროვე ეკონომისტი მათემატიკური მოდელირებისას სისტემურ ანალიზს გვერდს ვერ აუვლის, როცა ობიექტი ან მოვლენა განიხილება როგორც გარეშე წრისაგან განცალკევებული ელემენტების მთლიანი ერთიანობა. სისტემიდან ელემენტის ამოღება მკვლევარის აზრით ისე ცვლის მის მნიშვნელოვან თვისებებს, რომ იგი ორიგინალობას კარგავს და სხვა სისტემად გადაიქცევა. სისტემის მთლიანობის უზრუნველყოფა ხდება მისი განვითარებისა და ელემენტებს შორის მყარი ურთიერთქმედებების (კავშირების) მიზნით. ამგვარად, მკვლევარის სუბიექტური შეხედულება სისტემას გარემოსაგან განაცალკევებს მასში იმ ელემენტების გამოყოფით, რომელთა გარეშე იგი ვერ იარსებებს და აგდგენს მათ

შორის კავშირებს, ე.ი. რეალური ობიექტი ყველა არაარსებითისაგან იწმინდება. თუ ელემენტის სახით არჩეულია ეკონომიკური ფაქტორი, მასინ მისი სიდიდის ცვლილებამ გავლენა უნდა მოახდინოს სისტემის საერთო მახასიათებლების ცვლილებაზე, რომელიც არგუმენტის სახით არის მიღებული. ელემენტების და არგუმენტის პარამეტრების ცვლილებათა დიაპაზონი არსებობის სფეროთია (გარემოთი) შემოსაზღვრული. კავშირები გამოიხატება ფუნქციონალურ დამოკიდებულებათა სახით; მათი მათემატიკური გამოსახვა განტოლებათა პაკეტს (სისტემას) გვაძლევს, რაც საკუთრივ ეკონომიკური კავსირების მატემატიკურ მოდელს წარმოადგენს.

ეყრდნობოდა რა ინგლისელი მეცნიერების, დიდი პოლიტეკონომისტის ჯონ სტიუარტ მილს, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორის ედუარდ ფრიმანის და სხვათა მოძღვრებებს, ილია ჭავჭავაძემ ეკონომიკური კვლევის მეთოდები შემდეგნაირად დაალაგა: - "შედარებითი მეთოდი". - აზრის ადვილად გადაცემა და "საბუთიანობა". - ავტორიტეტების დამოწმება. - საფეხურებრივი კვლევა. - საქმის "შინაგანი ავკარგიანობის" შესწავლა. - სისტემური კვლევის მეთოდი. - სტატისტიკური მასალებისადმი მიდგომა. - სიმართლეზე და არა უმრავლესობაზე, ან უმცირესობაზე, დაყრდნობა. - აბსტრაქტული აზროვნების მნიშვნელობა. - ეკონომიკური კვლევის გამოყენებითი დანიშნულება.

დიალექტიკის 3 მთავარი კანონი

ყველა მეცნიერება კვლევა-ძიებისას იყენებს დიალექტიკის 3 მთავარ კანონს. ეს კანონებია:

- დაპირისპირებათა ერთიანობისა და ბრძოლის (შეთანხმების) კანონი;
- რაოდენობრივი ცვლილებების თვისობრივში გადასვლის კანონი;
- "უარყოფის უარყოფა".

ყველა მეცნიერება ეფუძნება ასევე ლოგიკას, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდებს ....

ეკონომიკის ურთულეს საკითხებში გარკვევისათვის საჭიროა ვიცოდეთ განვითარების ზოგადი თეორიის საფუძვლები, რომელსაც მისმა შემქმნელმა XIX საუკუნის უდიდესმა მეცნიერმა და ფილოსოფოსმა ჰეგელმა უწოდა დიალექტიკა. ამ მეცნიერებამ ყველა რთული სისტემის განვითარების შესახებ ბევრად გაუსწრო სხვა საერთო კვლევებს. ჰეგელმა გამოყო დიალექტიკის სამი მთავარი კანონი.

<u>დიალექტიკის წამყვანი კანონი – "დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი"</u> – განვითარებას ხსნის ორი საპირისპირო, მაგრამ ურთიერთშემავსებელი ძალის ბრძოლის არსებობით: სითბო და სიცივე, სიბნელე და სინათლე, სიკეთე და ბოროტება, პროლეტარი და კაპიტალისტი – ყოველი ბუნებრივი და ისტორიული პროცესისათვის შეიძლება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო საწყისის პოვნა, რომელთა ბრძოლით აიხსნება მისი განვითარება. ამაშია დიალექტიკური მიდგომის არსი. დაპირისპირებულობანი იმავდროულად ერთიანია ამ პროცესში. ე.ი. ერთის მოწყვეტა მეორისაგან შეუძლებელია. დიალექტიკა აღწერს არა იმდენად რეალურად მიმდინარე პროცესებს, რამდენადაც კაცობრიობის ცხოვრების კანონზომიერებებს და ამ პროცესების შემეცნების შესაძლებლობებს.

გამარტივებულად თუ ვიტყვით, აღნიშნული კანონი შემდეგ თანმიმდევრულ აზროვნებას მოითხოვს. ჯერ განსახილველ პროცესში უნდა გამოვყოთ ორი ურთიერთდაპირისპირებულობა, უკიდურესობა და აღვწეროთ პროცესი, როგორც თანდათანობითი სიჭარბე, დომინირება ხან ერთი უკიდურესობის, ხან მეორესი.

ადამიანისათვის დამახასიათებელია ნებისმიერი დინამიკური პროცესის განლაგება უკიდურეს, ურთიერთსაწინააღმდეგო შემადგენლებად. თითოეული მათგანის გამოკვლევა,

ხოლო შემდეგ პროცესის ნებისმიერი მსვლელობის წარმოდგენა, როგორც შეთავსება, ანუ ჰეგელის მიხედვით, ბრძოლა.

დიალექტიკის მეორე კანონი – "რაოდენობრიობის გადასვლა თვისებრიობაში" – ბევრად მარტივია გასაგებად საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სფეროებში. უფრო რთულია მათში გარკვევა საზოგადოებათმცოდნეობაში. ეს კანონი უბრალოდ გვეუბნება, რომ ყოველი თვისებრიობა, დაფიქსირებული ჩვენი გრძნობათა ორგანოების მიერ, რომელმაც ასახვა ჰპოვა ენაში, განმტკიცებულ სტატიკურ ცნებებში, იცვლება განსაზღვრული რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით. მაგალითად, წყალი უარყოფითი ტემპერატურის დროს ხდება მყარი, ხოლო ტემპერატურის აწევისას გადადის აირის მდგომარეობაში. სინათლეს 500 ანგსტრემის სიგრძის ტალღით აღვიქვამთ როგორც მწვანეს, ხოლო ტალღის სიგრძის გაზრდისას იგი თანდათანობით გადადის წითელში და ა.შ. ასე რომ, ყოველ პროცესში შეიძლება და საჭიროა ვიპოვნოთ ზოგადი რაოდენობრივი პარამეტრები, პასუხისმგებელნი ხარისხობრივ ცვლილებებზე.

დიალექტიკის მესამე კანონი, რომელიც ლამაზად და გაუგებრად წოდებულია – "უარყოფის უარყოფად", ლაპარაკობს განვითარების ყველა პროცესის განსაზღვრულ განმეორებაზე. ეს, ვფიქრობთ, კაცობრიობის მიერ მიღწეული ყველაზე ღრმა განზოგადებაა სისტემების განვითარების პროცესების შესწავლისას. თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, კანონი "უარყოფის უარყოფა" განვითარების ყველა დინამიკური პროცესის ტალღისებური ქანქარის მსგავსი ხასიათის დეკლამირებას ახდენს.

სისტემური მიდგომის მეთოდი

დღეს მეცნიერები ყველაზე მისაღებად მეთოდოლოგიურ პლურალიზმს მიიჩნევენ. ამიტომ *არ შეიძლება ერთი ხელის აღებით რომელიმე მეთოდისათვის უპირატესობის მინიჭება. უნდა გამოვიყენოთ ყველა ის მეთოდი, რომელიც მოპოვებული მასალების ანალიზს ხელს შეუწყობს*. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია შედარებითი ანალიზის მეთოდი, მეცნიერული აბსტრაქციის მეთოდი, გრაფიკული გამოსახვის მეთოდი, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდი და სხვა. როგორც იტყვიან, მეხსიერება თარიღებითა და ფაქტებით უნდა გააჯერო და მაშინ შეძლებ შენი წინა ისტორიის შეფასებას, უფრო ზუსტად კი – გადაფასებას. ახლახანს გამოცემულ დიდებულ წიგნში – "ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია" (თბილისი, 2003), ცნობილი ქართველი პროფესორი გიორგი ნადარეიშვილი აღნიშნავს: "ისტორიულ-სამართლებრივი ხასიათის მასალას თუ თეორიის ნისლით დავაბნელებთ, სასურველ შედეგს ვერ მივიღებთ. როგორც ი. გოეთე იტყოდა, უფერულია აქ თეორია, მაგრამ ცხოვრების ოქროს ხე კი მარად მწვანეა. თეორია ფაქტებს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს".

ეკონომიკის საგნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მსოფლიომეურნეობრივი მოვლენებისა და პროცესებისადმი სისტემურ მიდგომას. ამ მეთოდის თანამედროვე ენითა და მიდგმებით გაგებას ეძღვნება აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის სტატია – "*სისტემური მიდგომა, სისტემური აზროვნება და მართვის საკითხები*".

სისტემური კვლევის მეთოდების გასაგებად მოგვყავს ვრცელი ამონაწერი ზემოთ აღნიშნული ნაშრომიდან:

"სისტემური მიდგომა არის სამყაროს და მისი ობიექტების მოვლენებისა და პროცესების შესწავლა სისტემური კვლევის მეთოდებით, მათი მთლიანობისა ან მათში მიმდინარე იმ პროცესების საერთო თუ სპეციფიურ კანონზომიერებათა ინტეგრირებულობის კუთხით, რომლებიც მათ წარმოგვიდგენს როგორც სისტემას. სისტემურ მიდგომას, ჩვეულებრივ, ვიყენებთ შედარებით რთული და ეფექტიანი სისტემების ანალიზის, შეცნობისა და სინთეზისათვის.

სხვადასხვა პრობლემის მიმართ სისტემური, მთლიანობითი მიდგომა ეფუძნება ფაქტორთა არსების, როლის, მნიშვნელობისა და ურთიერთდამოკიდებულების გააზრებას მათს ერთიანობაში, ანუ კომპლექსში. ეს შესაძლებლობას გვაძლევს კომპლექსურად და ყოველმხრივ შევისწავლოთ პრობლემა, გამოვყოთ პრიორიტეტები და მოვახდინოთ სისტემის ძირითადი პარამეტრების ოპტიმიზაცია. მაგალითად, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სისტემოლოგია ვითარდება ისეთი მეცნიერებების შესაყარზე, როგორებიცაა პოლიტოლოგია, სამხედრო მეცნიერება, სოციოლოგია, ინფორმატიკა, ეკოლოგია, ეკონომიკა.

დღეს, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე სისტემური კრიზისების ხანაში, სისტემური მიდგომის მნიშვნელობა იზრდება, ვინაიდან ამ კრიზისებს შეიძლება დაუპირისპირდეს მხოლოდ მათთან ბრძოლის სისტემური მეთოდები. ეს მიდგომა არის საშუალება იმისა, რომ ამოვიცნოთ სისტემურ წინააღმდეგობათა ხასიათი, გამოვავლინოთ ურთიერთკავშირების სირთულე და შევიმუშავოთ პრობლემების გადაწყვეტის სტრატეგია.

ქვეყნის ეროვნული ინტერესების მიმართ სისტემური მიდგომა ქვეყნის აღორძინებისა და მისი ეკონომიკური და სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მთავარი პირობაა. ამ მიდგომის გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გლობალური პრობლემების შესწავლისას. ამ პრობლემებს (ეკოლოგიურს, სოციალურს, ეკონომიკურს, სამხედროს, ტექნოგენურს, უშიშროებისას) და მათს სისტემურ გააზრებას ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა აქვს. ისინი იმდენად კომპექსური ხასიათისაა, რომ მათი გადაწყვეტის მცდელობა დადებით შედეგს არ მოგვცემს, თუ ერთდროულად არ მოვახდინეთ ზემოქმედება ამ სისტემის მრავალ პარამეტრზე.

სისტემური აზროვნების მიზანია სწორად და მთლიანობაში (სისტემურად) აღიქვას გარემო, მთლიანობაში გაიაზროს დაკვივებით მოპოვებული ინფორმაცია, შეიმეცნოს მატერიალური და არამატერიალური სამყაროს კანონები და კანონზომიერებები, ისწავლოს ადამიანის საქმიანობაში – უწინარესად, რთული სისტემების შექმნასა და მართვაში – ამ კანონთა და კანონზომიერებათა გამოყენება.

ბევრ ძლიერ სპეციალისტს, ჩვენთანაც და სხვაგანაც, ჩამოუყალიბდა განსაკუთრებული სისტემური აზროვნება, - ჩვევა იაზროვნოს ისე, რომ მთლიანად სურათად ხედავდეს ობიექტს თუ პროცესს. სისტემურ აზროვნებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ადამიანის ინტუიცია და ფარული (მიღმური) ცოდნა.

თუ ახალ ობიექტს ვიკვლევთ და ამისათვის არ გვყოფნის არსებული მოდელები, მაშინ სისტემური აზროვნება, მთლიანობით მიდგომა, ინტუიცია და ფარული (მიღმური) ცოდნა გვეხმარება შევიმუშაოთ ახალი, უფრო ეფექტიანი მოდელები. მეცნიერებას არ გააჩნია საზომი, რომლითაც სისტემური აზროვნების დონეს გაზომავდა, მაგრამ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ სისტემურმა აზროვნებამ უკვე მიაღწია განვითარების იმ საფეხურს, როდესაც ადამიანი მის ხელთ არსებული კოგნიტური მოდელების გამოყენებით ახერხებს ჩასწვდეს რთული ტექნიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ფსიქიკური თუ სხვა პრობლემების არსს (თვისებრიობას).

სისტემური აზროვნება, რომელშიც ინტუიცია და ფარული (მიღმური) ცოდნის ფაქტორები მძლავრობს, იყენებს როგორც *<u>ინდუქციურ,</u>* ისე *<u>დედუქციურ</u>* მეთოდებს. შედარებით ჩვეული დედუქციური აზროვნება გულისხმობს იმას, რომ ჯერ განისაზღვრება კომპლექსური სისტემური პრობლემები, შემდეგ კი იძებნება ამ პრობლემების კომპლექსური გადაწყვეტა. ხოლო ინდუქციური სისტემური ანალიზის დროს პირიქით, თავდაპირველად ეძებენ ახალ იდეას ან პრინციპულად ახალ კომპლექსურ გადაწყვეტას, შემდეგ კი ცდილობენ ეს გადაწყვეტა მოიარგონ შესაბამის პრობლემას.

სისტემური აზროვნების პარადოქსებია მთლიანობის და იერარქიულობის პარადოქსები. მთლიანობის პარადოქსთან გვაქვს საქმე, როდესაც სისტემის აღწერა შესაძლებელია მისი დანაწევრებით ისეთ "მთლიანობებად" – ისეთ ნაწილებად, რომელი ნა-

წილებიც ჯერ კიდევ ინარჩუნებენ სისტემის მთლიანობით თვისებებს. ანუ ეს ის შემთხვევაა, როდესაც მთლიანობის თვისებებს, რომლებსაც სისტემა ატარებს, გარკვეულ ზღვრამდე მისი დანაწილებისას ინარჩუნებენ გამოყოფილი ნაწილებიც. მეორე მხრივ, ნებისმიერი მთლიანობითი სისტემა უფრო მაღალი რანგის სისტემის – ზესისტემის ელემენტია, ანუ მისი ქვესისტემა და მისი აღწერა შესაძლებელია ამ კუთხით (როგორც ქვესისტემისა). იერარქიულობის პარადოქსი ამაში მდგომარეობს.

რაც უფრო რთულია სისტემა და რაც უფრო სუსტად არის იგი ფორმალიზებული, ნათელია, რომ მით იფრო ეფექტიანი იქნება სისტემური აზროვნების ეფექტიანობა. სისტემურმა აზროვნებამ ყველაზე უფრო მეტად ასახვა პოვა პროგრამირების თანამედროვე მეთოდებსი, ინფორმატიკასა და ტელეკომუნიკაციაში, ფსიქოლოგიაში, ბიოლოგიაში, ფილოსოფიაში".

ლოგიკის კანონები

ვიხილავთ რა ეკონომიკის მეთოდს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს საგანიც, ისევე როგორც ყველა სხვა მეცნიერება, ემყარება ლოგიკას, რომელიც წარმოგვიდგება სხვა მეცნიერებათა საფუძვლად. ამიტომ მსოფლიო ეკონომიკის შესწავლის პროცესშიც აუცილებელია გამოვიყენოთ ლოგიკის ძირითადი კანონები და დასკვნები. როგორც ცნობილი ქართველი ფილოსოფოსები, პროფ. დევი ბეჭვაია და პროფ. ეთერ ღვინერია, თავიანთ ნაშრომში – "თანამედროვე პედაგოგიური თეორიების ფილოსოფიური საფუძვლები" – აღნიშნავენ, არსებობს მოთხოვნები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ ყოველგვარ მსჯელობას, მარტივად რომ ვთქვათ, რომელთა მიხედვითაც უნდა აზროვნებდეს ნორმალური ადამიანი. ასეთ კანონებს აზროვნების ძირითად კანონებს უწოდებენ. მათი დაცვა აუცილებელი, თუმცაღა, არასაკმარისი პირობაა ბჭობის მართებულობისა თუ სისწორისათვის. განსჯის სისწორეს, მათ გარდა, საკუთარი კანონებიც აქვს.

<u>იგივეობის კანონი.</u> იგი მსჯელობისას აზროვნების, ბჭობის გარკვეულობის მოთხოვნაა. განსჯის პროცესში ყოველი ცნება, ყოველი სიტყვა უნდა ვიხმაროთ ერთი და იმავე მნიშვნელობით. საგნების აღნიშვნის გარეშე სიტყვის მნიშვნელობის შეცვლა, თუნდაც იგი შესაბამისი საგნის შეცვლით იყოს განპირობებული, დაუშვებელია. მოკლედ რომ ვთქვათ, ცნების შინაარსის იგივეობა, გარკვეულობა, მისი ერთი აზრით ხმარება მსჯელობის პროცესში – აი, როგორ გამოიხატება იგივეობის კანონის აზრი.

<u>წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი.</u> იგი თანმიმდევრული აზროვნების, ბჭობის, თავისთავადობის, თავის თავთან თანხმობის მოთხოვნაა. ჩვენს აზრებს შორის, მსჯელობაში შემავალ წინადადებებს შორის არ უნდა იყოს წინააღმდეგობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ რომელიმე საგნის თაობაზე რაიმეს ვამტკიცებთ, იგივე იმავე საგნის შესახებ არ უნდა უარვყოთ (იმავე დროს, იმავე აზრით), ე.ი. აზრთა კავშირი არ შეიძლება იყოს სწორი, აზრთა მსჯელობა არ შეიძლება იყოს თანამიმდევრული, თუ ის წინააღმდეგობას შეიცავს.

<u>გამორიცხული მესამის კანონი.</u> ეს კანონი, განსჯის, ბჭობის თავის თავთან თანხმობის მოთხოვნაა. გამორიცხული მესამის კანონის თანახმად, დაუშვებელია ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო წინადადებიდან უარვყოთ ერთიც და მეორეც, რადგან ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო წინადადებიდან ერთი აუცილებლად ჭეშმარიტია. მაგალითად, ეს ვარდი ან წითელია, ან არ არის წითელი, მესამე შემთხვევა გამორიცხულია.

<u>საკმაო საფუძვლის კანონი.</u> როგორც მკვლევარები ამტკიცებენ, არისტოტელემ ეს კანონი იცოდა, მაგრამ რატომღაც არ ჩათვალა საჭიროდ მისი კანონად გამოცხადება. ამ კანონის მიხედვით, არც ერთი წინადადება არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი, თუ არ არსებობს

საკმაო საფუძველი იმისა, რატომ არის ამ წინადადებაში აღწერილი სწორედ ასეთი ვითარება და არა სხვაგვარი. ხშირად ეს კანონი გაგებულია როგორც მოთხოვნა – ჭეშმარიტად არ მივიჩნიოთ წინადადება მისი დასაბუთების გარეშე. საკმაო საფუძვლის კანონი დაუფიქრებელი და ზერელე ბჭობის წინააღმდეგ არის მიმართული. განათლების ფილოსოფიის წარმომადგენლები ლოგიკის კონსტრუქციებისა და კანონებს ეყრდნობიან.

დედუქციური და ინდუქციური დასკვნების გამოყენება

სინამდვილის შემეცნების პროცესში იყენებენ აგრეთვე დედუქციურ და ინდუქციურ დასკვნებს. ტრადიციული ლოგიკის მიერ მიღებულია დედუქციური დასკვნის ის განსაზღვრება, რომელიც არისტოტელედან მომდინარეობს. *<u>დედუქციურია დასკვნა, რომელიც ზოგადიდან კერძოსაკენ</u>* (ან მეტად ზოგადიდან ნაკლებად ზოგადისაკენ) გადადის. ისეთ დასკვნას, რომლის წანამძღვრების ჭეშმარიტება აუცილებლობით განაპირობებს დანასკვნის ჭეშმარიტებას, დედუქციური დასკვნა ეწოდება.

დედუქციური დასკვნებისათვის დამახასიათებელია შემდეგი თავისებურებები:

1. თუ დედუქციური დასკვნის წანამძღვრები ჭეშმარიტია, მაშინ მისი დასკვნაც აუცილებლად ჭეშმარიტია.
2. თუ დედუქციური დასკვნის წანამძღვრებიდან ერთ-ერთი მაინც მცდარია, მაშინ დანასკვნი შეიძლება მცდარიც იყოს და შეიძლება ჭეშმარიტიც.
3. თუ დედუქციური დასკვნის დანასკვნი მცდარია, მაშინ მისი წინადადებებიდან ერთი მაინც (შესაძლოა ყველა) მცდარია. ასე რომ არ იყოს, მაშინ ხომ პირველი თავისებურების ძალით დანასკვნიც ჭეშმარიტი იქნებოდა.
4. თუ დედუქციური დასკვნის დანასკვნი მცდარია, მაშინ მისი წანამძღვრებიდან ჭეშმარიტია, ზოგიერთია ჭეშმარიტი, ან არც ერთი არ არის ჭეშმარიტი. რაც შეეხება ინდუქციურ დასკვნას, მისი რამდენიმე ფორმა არსებობს (სრული, არასრული). განასხვავებენ არასრული ინდუქციის ორ სახეს – პოპულარულს და მეცნიერულს.

მეცნიერული ინდუქცია არის რამდენიმე საგნისა თუ მოვლენისაგან გაკეთებული დასკვნა საგანთა ან მოვლენათა მთლიანი კლასის ცოდნაზე; ერთეულიდან, კერძოდან გამომდინარე ზოგადზე მიღებულ დასკვნას, რომლის წანამძღვრებიდან დანასკვნი ლოგიკურად არ გამომდინარეობს, მაგრამ რომლის წანამძღვრებიც გარკვეული ხარისხით ადასტურებენ დანასკვნს, ეწოდება ინდუქციური დასკვნა. ლოგიკოსთა აზრით, ინდუქციასა და დედუქციას შორის დაპირისპირება არსებობს, მაგრამ მას (დაპირისპირებას) აქვს გამონაკლისიც. ლოგიკის, როგორც ბჭობის სისწორის, გამართულობის პირობებისა და კანონების შემსწავლელი მეცნიერების მიზნები და ამოცანები სხვადასხვაგვარია. იმისდა მიხედვით, თუ როგორ ჩამოყალიბდება და დაკონკრეტდება იგი, განისაზღვრება კვლევის მეთოდები. ამის გამო ლოგიკა იყოფა ორ ნაწილად: დედუქციურ და ინდუქციურ ლოგიკად.

კითხვები გამეორებისთვის

1. ეკონომიკის რომელი დისციპლინების სინთეზია თეორიული და გამოყენებითი ეკონომიკა?

2. მოიყვანეთ ეკონომიკის საგნის სხვადასხვა განმარტება.

3. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ ეკონომიკურ მეცნიერებათა 3 ჯგუფი მარტივი კლასიფიკაციის მიხედვით.

4. ჩამოთვალეთ და განმარტეთ ეკონომიკური მეცნიერების ძირითადი ფუნქციები.

5. დაახასიათეთ პრაქტიკის როლი შემეცნების პროცესში.

6. განმარტეთ, რას ნიშნავს ეკონომიკის კანონების და პრინციპების ურთიერთკავშირი.

7. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ როგორ შეიძლება დავყოთ ეკონომიკური მეცნიერებანი ეკონომიკური ანალიზის სიღრმის დონის მიხედვით.

8. ჩამოთვალეთ და განმარტეთ ეკონომიკური თეორიის პრინციპები.

9. დაახასიათეთ ყველა მეურნეობისათვის საერთო რომელ სამ პრობლემას გამოყოფს ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკაში პოლ სამუელსონი.

10. განასხვავეთ ერთმანეთისგან პოზიტიური და ნორმატიული ანალიზი.

11. განმარტეთ, რაში მდგომარეობს სამეურნეო საქმიანობის მთავარი როლი.

12. განასხვავეთ ერთმანეთისაგან დოვლათი და ანტიდოვლათი.

13. დაახასიათეთ რისგან შედგება საზოგადოების მატერიალური სიმდიდრე.

14. დაახასიათეთ რას ნიშნავს ეკონომიკური პრობლემა.

15. განმარტეთ, რას ნიშნავს ალტერნატიული დანახარჯი?

16. რას ეწოდება ეკონომიკური დოვლათი?

17. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ ეკონომიკის მეთოდები.

18. დაახასიათეთ რას ნიშნავს სისტემური მიდგომის მეთოდი.

დანართი ა

"დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ანალიტიკურ აზროვნებას. ჩვენ ვცხოვრობთ იმ დროში, როცა ძალიან ბევრი ვიცით, მაგრამ ღრმა ცოდნა გვაკლია".

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა
და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი
და უნეტარესის ილია II

ძალიან ბევრს ვფიქრობთ ჩვენს წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. წარსული ვიცით, ეს უკვე მოხდა; დღეს ვხედავთ, რაც არის და ახლა გვმართებს, მომავალი დავინახოთ. მომავალს მხოლოდ იმ შემთხვევაში დავინახავთ, თუკი ჩვენს წარსულსა და აწმყოს სწორად გავაანალიზებთ. ეს სამი დრო – წარსული, აწმყო და მომავალი – ერთმანეთზე არის გადაბმული, მჭიდროდ დაკავშირებული. ხშირად უკვე მომხდარი ფაქტის შემდეგ ვფიქრობთ, რამ გამოიწვია იგი. ამ დროს წინასწარ უნდა გვქონდეს განჭვრეტილი, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ამა თუ იმ საქციელს, წინასწარ უნდა დავინახოთ, საითკენ მივდივართ და ავირჩიოთ გზა ერისა, ქვეყნისა, ეკლესიისა; თანაც ისეტი გზა უნდა შევირჩიოთ, სადაც იქნება უშფოთველობა, მიმტევლებლობა, ურთიერთგაგება, - ეს გზა ერთადერთია და იგი ერტად გადაარჩენს ადამიანს, ერსა და ქვეყანას!

ხშირია შემთხვევა, როდესაც ჩვენ უკვე მომხდარი ფაქტის შემდეგაც ვერ ვაანალიზებთ მოვლენას. ასევე ხშირად გვავიწყდება საკუთარი შეცდომები.

რამდენი რამ გადაგვხდა თავს და არც ერთი ფაქტი არ გაანალიზებულა! ეს რეალობა არ შეიძლება იმით ავხსნათ, რომ ანალიზის უნარი არ გვაქვს. უბრალოდ, ამის საჭიროებას ვერ ვხედავთ და სათანადო ყურადრებას არ ვაქცევთ.

ვფიქრობ, დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ანალიტიკურ აზროვნებას.

ჩვენ ვცხოვრობთ იმ დროში, როცა ძალიან ბევრი ვიცით, მაგრამ ღრმა ცოდნა გვაკლია. ყველაფერს ვეხებით, მაგრამ არ ვაანალიზებთ, სიღრმისეულად ვერ აღვიქვამთ; ყველაფერი ზერელე და ზედაპირულია. ჩვენი თვალსაწიერის გასაფართოებლად ტელევიზიითა და პრესით ვკმაყოფილდებით, მაშინ, როდესაც წიგნებს უნდა ვკითხულობდეთ! რა თქმა უნდა, უნდა ვკითხულობდეთ ბიბლიას, საღვთისმეტყველო წიგნებს, მაგრამ ამასთან – ისტორიას, ლიტერატურას, პოეზიას, ფილოსოფიას, ანტროპოლოგიას, ლოგიკას, ფსიქოლოგიას!

აუცილებლად უნდა ვიფიქროთ სიღრმისეული ცოდნის შეძენაზე, იმაზე, რომ ცოდნისა და ღრმა აზროვნების გარეშე საქართველო ვერ იარსებებს! მეცნიერება და ტექნიკა დღეს უდიდეს ნაბიჯებს დგამს წინ, თუმცა ზნეობა ჩამორჩა და ეს მისახედია...

მეცნიერების ახალ მიღწევებს არ უნდა ჩამოვრჩეთ, უნდა გვესმოდეს, საითკენ მიდის ყველაფერი, სად მიჰყავს ხალხი, რისკენ გვიბიძგებს. როდესაც მეცნიერი ამა თუ იმ საკითხზე მუშაობს, მას ალბათ კეთილი მიზნები აქვს, მაგრამ შესაძლოა მისი ცოდნა და შექმნილი ტექნიკა ბოროტებისთვის გამოიყენონ, - თუნდაც ბირთვული იარაღი გავიხსენოთ.

მაშასადამე, ადამიანისთვის არ არის საკმარისი, ჰქონდეს ზერელე, ზედაპირული ცოდნა. ადამიანი აუცილებლად უნდა იყოს რომელიმე ერთი დარგის სპეციალისტი; ღრმად უნდა ჰქონდეს შესწავლილი თუნდაც ერთი ფილოსოფოსი, ერთი რომელიმე დიდი პიროვნების ცხოვრება და მოღვაწეობა. ამასთან დაკავშირებით გამიჩნდა იდეა, რომელიც მინდა დღეს შემოგთავაზოთ. სურვილი მაქვს, რომ ყოველმა ჩვენგანმა შესასწავლად აიღოს რომელიმე საკითხი, იქნება ეს ფილოსოფიური, ისტორიული, სამედიცინო, სოფლის მეურნეობის თუ სხვა და ღრმად შეისწავლოს იგი, გახდეს მისი სპეციალისტი, მისი ექსპერტი. ანდა შეისწავლოს ლიტერატურა, რომელიც ამა თუ იმ საკითხზე დღემდე იყო გამოცემული.

ამიტომ ყველას გეძლევათ ლოცვა-კურთხევა, აირჩიოთ რომელიმე პიროვნება, ვთქვათ, დავით აღმაშენებელი ან თამარ მეფე და რაც კი არის გამოცემული მათ შესახებ, ზედმიწევნით შეისწავლოთ. ასე გავხდებით ამა თუ იმ საკითხის სპეციალისტები. თუ ერთად შევკრებთ შემდეგ ამ ცოდნას, ერთმანეთს შევავსებთ და ჩვენს საზოგადოებას დაუჯებული ექნება სერიოზული ცოდნა, რომელიც მომავალში ჩვენც გამოგვადგება და ჩვენს ხალხსაც, ჩვენს ერს. შეიძლება ერთი და იგივე საკითხი დასამუშავებლად მრავალმა მეცნიერმა, მრავალმა ადამიანმა აიღოს. ამისი არ უნდა შეგვეშინდეს, რადგან ამა თუ იმ საკითხზე არსებობს სხვადასხვა წყარო, სხვადასხვა წიგნი; თუ ერთი ვერ მიაგნებს მას, მეორე იპოვის და ერთმანეთს შეავსებენ; შედეგად კი კარგ ცოდნას მივიღებთ.

მეც ვიფიქრე, ვინ უნდა ამერჩია შესასწავლად და შევჩერდი ნეტარ ავგუსტინეზე, იგი ყოველთვის ძალიან მაინტერესებდა, ახალგაზრდობიდანვე, ის დიდი მოაზროვნე გახლდათ. წმინდანი ეპისკოპოს ამბროსი მედიოლანელის დროს ცხოვრობდა. ნეტარი ავგუსტინე ძალიან თავისებური და თავისუფალი პიროვნება იყო.

ეს ადამიანი შემდგომში გახდა დიდი ფილოსოფოსი და მასწავლებელი, რომელსაც დაწერილი აქვს "კონფესიონეს" – აღსარებანი. მან თხზულებად დაწერა თავისი აღსარება, საკუთარი ცხოვრების გზა.

აი, ასეთი თემა ავირჩიე ჩემთვის. კიდევ ერთხელ მოგმართავთ ყველას: თქვენც იფიქრეთ. შეიძლება, სხვადასხვა დარგში გააღრმავოთ თქვენი ცოდნა, მაგალითად, მედიცინაში. ვინც მედიცინით დაინტერესდებით, ცხადია, ყველაფერს ვერ დაძლევთ. მაგრამ შეიძლება რომელიმე ერთ ვიწრო დარგში შეიძინოთ ცოდნა, გაამახვილოთ ყურადრება, ვთქვათ, ყურზე ან ყელზე, ან ცხვირზე, ან კანზე, ან ტვინზე, ან გულზე და სხვა. ეს ძალიან საინტერესო საკითხებია. დიდი ფიზიოლოგი პავლოვი ამბობდა: ადამიანს აქვს ორი გონება – მცირე და დიდი; მცირე – ტვინია და დიდი – გულიო.

ღმერთმა ინებოს, რომ უფალმა გაგვიხსნას მცირე და დიდი გონებაც, ღმერთმა მოგცეთ ძალა, მადლი, რომ ცოდნის შეძენა შეძლოთ.

“სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა
და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის
ილია II-ის საკვირაო ქადაგება
ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარი, 5 იანვარი, 2014 წელი

დანართი 3

განწყობის თეორია

გარემო პირობები ქმნიან განწყობას და თითქო იმორჩილებენ კიდეც მას, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. მეოცე საუკუნის დასაწყისში მსოფლიო ფსიქოლოგიაში გამოჩნდა ქართველი მეცნიერი დიმიტრი უზნაძე, რომელიც შეეწინააღმდეგა მანამდე მიღებულ აზრს, რომ განწყობა ცალკეულ ფსიქიკური პროცესების ამხსნელი ისეთივე მცირე თეორიაა, როგორც აღქმა, აზროვნება, ემოცია, ნებელობა და მისი ეფექტის ახსნა თითქოს სხვა დიდი თეორიის საფუძველზე იყოს შესაძლებელი. ამ დაპირისპირებაში დიმიტრი უზნაძემ განწყობის ზოგადფსიქოლოგიური დიდი თეორია შექმნა. მან განწყობა დაახასიათა როგორც ადამიანის გარკვეული ქცევისათვის მომზადების მდგომარეობა, წინასწარი შინაგანი მზადება გარკვეული საქმიანობისათვის, თუმცა შესაძლებელია მას ეს სულაც არ ჰქონდეს გაცნობიერებული.

ამ თეორიით ხდება ადამიანის ფსიქიკური აქტივობა, მისი მოქმედებისა და ცნობიერების წვდომა და შემეცნება. აღმოჩნდა, რომ ტემპერამენტისა და ხასიათის ტიპებს საფუძვლად უდევს განწყობის ტიპები. ეს აზრი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის სამოციან წლებში ბრძანა წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსმა “ცდისეულ ფსიქოლოგიის საფუძვლებში”. ფაქტიურად განწყობა შუამავლის როლს თამაშობს ადამიანის ცნობიერებასა და გარემოს შორის. საბოლოოდ, დიმიტრი უზნაძე ასკვნის, რომ ადამიანის ფსიქოლოგია მისი მთლიანი ფენომენის, მისი განწყობის საფუძველზე უნდა აიგოს, ხოლო მისი ცალკეული ფსიქოლოგიური პროცესები მისი ქცევის განწყობას, ფორმირებასა და მოქმედებას ემსახურებიან. უფრო მარტივად რომ ვთქვათ: თუ ადამიანი სწორედ, დამაჯერებლად განეწყო ამა თუ იმ საქმისა თუ საკითხის მიმართ, ეს არათუ დაემორჩილება გარემო პირობებსა თუ არსებულ მდგომარეობას, არამედ დაიმორჩილებს კიდეც მას.

ესე იგი მთავარია ადამიანმა შეიცნოს განწყობის თეორიის ძალა. ჩაუღრმავდეს საკუთარ თავს და გადაწყვიტოს, რომ საქართველოს მისი დახმარება სჭირდება დღეს. განეწყოს ასე: რას მივცემ მე საქართველოს. ამ დროს ცნობიერი თუ ქვეცნობიერი ფსიქიკური ძალების გააქტიურება მოხდება და მისი გარემო პირობებით შექმნილი მდგომარეობა დაემორჩილება მას, მის სურვილს, მის განწყობას. ანუ, შეუდგება ისეთი საქმის აღსრულებას, რაც მანამდე წარმოუდგენლად მიაჩნდა. მაგრამ იმისათვის რომ ემსახურო, უნდა გიყვარდეს, გიყვარდეს თავგანწირვით. იმისათვის რომ გიყვარდეს, უნდა იცოდე. ჩვენ კი არაფერი ვიცით ჩვენს შესახებ, არა თუ ფსოფლხატით, შინასახით, შუაგულითა და წყაროსთვალით არ ვიცნობთ ჩვენს სამშობლოს, არამედ ჩვენთვის უცნობია მისი ზედაპირი, თვალწარმტაცი მთა და ბარი.

სტატისტიკური მონაცემებით დადგინდა, რომ ჩვენი მოსახლეობის 80%-ს არა აქვს ნანახი ზემო სვანეთი და ფშავ-ხევსურეთი, ეს უძველესი საბრძანისი მისტიერ ტომთა.

მაშ მოდით, ვაღიაროთ: ჩვენ არ ვიცნობთ ჩვენ სამშობლოს.

წყარო: http://gutani.ge/category/საქართველოს-ხერხემალი/4-განწყობის-თეორია

დანართი 3

რას აძლევს ანუ რა კავშირია „ეკონომიკასა და მენეჯმენტს შორის“

მენეჯერის მიზანი: მწარმოებლურობის მაღალი დონის მიღწევა

ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მიზანი, რომლის მიღწევასაც ცდილობენ ორგანიზაციები და მათი თანამშრომლები, მომხმარებლისთვის პროდუქციის ან მომსახურების შეთავაზებაა. ინდრა ნუუის, მთავარი ფინანსური მენეჯერის, უმთავრეს მიზანს კომპანიის ძირითად ბიზნესში მსოფლიოში PepsiCo-ს პოზიციის გამყარება წარმოადგენს. ექიმების, მედდების და საავადმყოფოს ადმინისტრაციის მთავარი მიზანია, გაზარდონ საავადმყოფოს მომსახურების ხარისხი, რათა ავადმყოფები დროულად გამოჯანმრთელდნენ. შესაბამისად, McDonalds-ის რესტორნის მენეჯერის უმთავრესი მიზანია ისეთი ბურგერების, ფრისა და შეიქების წარმოება, რაშიც ხალხი ფულს გადაიხდის და ამავდროულად, კმაყოფილი იქნება.

ნახაზი 1.1.

ეფექტურობა, ყაირათიანობა და მწარმოებლურობა ორგანიზაციაში

		ყაირათიანობა	
		დაბალი	**მაღალი**
ეფექტურობა		**ყაირათიანობის დაბალი დონე/ მაღალი ეფექტურობა**	**ყაირათიანობის მაღალი დონე/ მაღალი ეფექტურობა**
	მაღალი	მენეჯერი ირჩევს სწორ მიზნებს, მაგრამ მათ მისაღწევად რესურსებს ცუდად იყენებს. შედეგი: კლიენტს მოსწონს პროდუქცია, მაგრამ ვერ იძენს სიძვირის გამო.	მენეჯერი ირჩევს სწორ მიზნებს და მათ მისაღწევად რესურსებს კარგად იყენებს. შედეგი: კლიენტს მოსწონს პროდუქცია, რომლის ხარისხი მისაღებია, ხოლო ფასი - ხელმისაწვდომი.
		ყაირათიანობის დაბალი დონე/ დაბალი ეფექტურობა	**ყაირათიანობის მაღალი დონე/ დაბალი ეფექტურობა**
	დაბალი	მენეჯერი ირჩევს არასწორ მიზნებს და მათ მისაღწევად რესურსებს ცუდად იყენებს. შედეგი: დაბალი ხარისხის პროდუქცია, რომელიც კლიენტს არ მოსწონს.	მენეჯერი ირჩევს არასათანადო მიზნებს და მათ მისაღწევად რესურსებს კარგად იყენებს. შედეგი: მაღალი ხარისხის პროდუქცია, რომელიც კლიენტს არ მოსწონს.

ორგანიზაციის მწარმოებლურობა (performance) არის საზომი, რამდენად ყაირათიანად და ეფექტურად იყენებენ მენეჯერები რესურსებს მომხმარებლის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად. ორგანიზაციის მწარმოებლურობა იზრდება ყაირათიანობისა და ეფექტურობის ზრდასთან ერთად (იხილეთ ნახაზი 1.1).

ყაირათიანობა (efficiency) არის საზომი, რამდენად კარგად და ნაყოფიერად იქნა გამოყენებული რესურსები დასახული მიზნების მისაღწევად. ორგანიზაცია არის ყაირათიანი, როცა მენეჯერი ამცირებს გამოყენებული რესურსების რაოდენობას (როგორიცაა, მუშახელი, ნედლეული და სათადარიგო ნაწილები) ან დროს, რომელიც საჭიროა გარკვეული რაოდენობის საქონლის საწარმოებლად ან მომსახურების გასაწევად. მაგალითად, McDonalds-მაგამოიგონა უფრო ყაირათიანი ფრიტიური, რომელიც არა მარტო ამცირებს მომზადებისას გამოყენებული ზეთის რაოდენობას (30%-ით), აგრეთვე აჩქარებს შემწვარი კარტოფილის მომზადების პროცესს. ინდრა ნუუმ გადაწყვიტა კვების ქსელების აქციების გაყიდვა და PepsiCo-ს უალკოჰოლო სასმელების ბიზნესზე აქცენტის გაკეთება. მენეჯერი ვალდებულია უზრუნველყოს ორგანიზაციისა და

თანამშრომელთა მუშაობა ისე, რომ ყაირათიანად შესრულდეს ყველა ის საქმიანობა, რომელიც საჭიროა მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების შესათავაზებლად.

ეფექტურობა (effectiveness) – არის მენეჯერის მიერ კომპანიისთვის დასახული მიზნების მართებულობისა და მიღწეული მიზნების ხარისხის შემოწმება. ორგანიზაცია არის ეფექტური, როცა მენეჯერი ირჩევს შესაბამის მიზანს და შემდეგ აღწევს მას. მაგალითად, რამდენიმე წლის წინ McDonalds-ის მენეჯერებმა გადაწყვიტეს საუზმის სერვისის დამატება მეტი მომხმარებლის მოზიდვის მიზნით. ეს იდეა საკმაოდ ჭკვიანური აღმოჩნდა, რადგან დღეისათვის საუზმე McDonalds-ის მოგების 30%-ს შეადგენს. მწარმოებლურობის მაღალი დონის მქონე ორგანიზაციები, როგორიცაა MacDonalds, Wal-Mart, Intel, Home Depot და the March of Dimes, ერთდროულად ეფექტურებიც და ყაირათიანებიც არიან, როგორც ეს ნახაზ 1.1-ზეა ნაჩვენები. ეფექტურია მენეჯერი, რომელიც ირჩევს სწორ მიზანს და აქვს რესურსების ყაირათიანად გამოყენების ცოდნა.

რატომ უნდა ვისწავლოთ მენეჯმენტი?

დღესდღეობით უფრო და უფრო მეტი სტუდენტი იბრძვის ბიზნესის ადმინისტრაციი კურსებზე მოსახვედრად. რატომ არის მენეჯმენტის შესწავლა ასეთი პოპულარული?

პირველ რიგში, ნებისმიერ საზოგადოებასა და კულტურაში რესურსები ფასეულია და არასაკმარისი. აქედან გამომდინარე, რაც უფრო ეფექტურად და ყაირათიანად გამოიყენებენ ორგანიზაციები ამ რესურსებს, მით უკეთესი ცხოვრების პირობები და შედეგები ექნება საზოგადოებას. მენეჯერები არიან ადამიანები, რომლებიც წყვეტენ როგორ გამოიყენონ საზოგადოების ყველაზე ღირებული რესურსების დიდი ნაწილი, იქნება ეს – კვალიფიციური მუშახელი, ნედლეული (როგორიცაა მაგალითად, ნავთობი და მიწა) კომპიუტერები, საინფორმაციო სისტემები და ფინანსური აქტივები, რომლებიც უშუალოდ ახდენენ გავლენას საზოგადოების და ადამიანების კეთილდღეობაზე. იმის გაგება, თუ რას და როგორ აკეთებენ მენეჯერები, პირდაპირ კავშირშია საზოგადოების ფუნქციონირებასთან და სიმდიდრის დაგროვებასთან.

მეორე, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ადამიანი არ არის მენეჯერი და არც აპირებს გახდომას, თითქმის ყველა ჩვენგანს აქვს შეხება მენეჯერებთან, რადგან საზოგადოების დიდ ნაწილს აქვს სამსახური და ჰყავს უფროსი. უფრო მეტიც, ბევრი მუშაობს გუნდური პრინციპით და კოლეგებთან უწევს ურთიერთობა. მენეჯმენტის შესწავლა ადამიანებს ეხმარება საკუთარ უფროსთან და კოლეგებთან ურთიერთობაში. იგი მათ ასწავლის, როგორ მიიღონ გადაწყვეტილება, დაგეგმონ, ორგანიზება გაუკეთონ კონკრეტულ საქმიანობებსა და რესურსებს, რაც საბოლოოდ ხელმძღვანელის ყურადღებას მიიქცევს და მის მხარდაჭერას გამოიწვევს. მათ, ვინც ჯერ არაა მაღალ თანამდებობაზე, მენეჯმენტი ასწავლის, როგორ გაუძღვეს კოლეგებს, მოაგვაროს მათ შორის არსებული კონფლიქტები და გაზარდოს ჯგუფის მწარმოებლურობა.

მესამე, ნებისმიერ საზოგადოებაში ადამიანები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ ძალიან მნიშვნელოვანი რესურსის – მაღალანაზღაურებადი სამსახურისა და საინტერესო კარიერის მოპოვებაში. მენეჯმენტის ცოდნა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ამ ორივე მიზნის მისაღწევად. საერთოდ, რაც უფრო საინტერესოა სამსახური, მით მეტად რთული და საპასუხისმგებლოა ის. ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც უნდა საინტერესო, მუდმივად განვითარებადი სამსახური, შეეცდება განივითაროს მენეჯერული უნარ-ჩვევები და დაწინაურდეს. როცა ადამიანი წინ მიდის ორგანიზაციულ იერარქიაში, მისი ხელფასიც სწრაფად იზრდება, არა აქვს მნიშვნელობა, სად მუშაობს ის: სკოლაში, დიდ კომპანიასა თუ არაშემოსავლიან, სამედიცინო დაწესებულებაში.

წყარო: [41, I თავი]

მეორე თავი
ეკონომიკური თეორიის ძირითადი მიმართულებების ზოგადი დახასიათება

განსახილველი საკითხები:

- **"ეკონომიკური აზრი" და "ეკონომიკური მოძღვრება";**
- **ეკონომიკური თეორიის წარმოშობა**
- **და განვითარება;**
- **ეკონომიკური თეორიის ძირითადი**
- **მიმართულებანი;**
- **მცირე ექსკურსი ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიაში.**

"ეკონომიკური აზრი" და "ეკონომიკური მოძღვრება"

"მეცნიერების განვითარება უნდა შევადაროთ არა რომელიმე ქალაქის გარდაქმნას, სადაც ძველი შენობები უმოწყალოდ ინგრევა, რათა ადგილი დაუთმოს ახალ ნაგებობებს, არამედ ზოოლოგიურ სახეობათა ევოლუციას, რომლებიც განუწყვეტლივ ვითარდება და ბოლოს და ბოლოს გამოუცდელი თვალისათვის გამოუცნობი ხდება, მაგრამ რომლებშიც გამოცდილი თვალი ყოველთვისაღმოაჩენს გასულ საუკუნეთა გაწეული მუშაობის კვალს".
ა. პუანკარე "მეცნიერების შესახებ"

<u>ეკონომიკური აზრი</u> – ფრიად ფართო ცნებაა. ესაა მასობრივ ცნობიერებაში არსებული წარმოდგენები და რელიგიური შეფასებები, მითითებები, სამეურნეო ურთიერთობებს რომ ეხება და მეცნიერთა თეორიული კონსტრუქციები, პოლიტიკური პარტიების ეკონომიკური პროგრამები.... ეკონომიკური აზრის სფერო მრავალფეროვანია, იგი ფიქრის, დასკვნებისა და პრაქტიკული გადაწყვეტილებების ასპარეზია: აქ ეკონომიკის ზოგადი კანონზომიერებებიცაა და ეკონომიკის ცალკეული დარგების თავისებურებებიც, წარმოების განთავსების პრობლემებიც და ფულადი მიმოქცევაც, კაპიტალდაბანდებათა ეფექტიანობაც და საგადასახადო სისტემაც, შემოსავლებისა და გასავლების აღრიცხვის წარმართვის მეთოდებიც და ეკონომიკის ისტორიაც, სამეურნეო კანონმდებლობაც – ყველას ვერ ჩამოთვლი.

მთელ ამ რთულ ერთობლიობაში, მისი ცალკეული ელემენტების გადახლართვით შეიძლება გარკვეული პირობითობით გამოვყოთ **ეკონომიკური მოძღვრება** – თეორიული კონცეფცია, რომელიც ასახავს ეკონომიკური ცხოვრების ძირითად კანონზომიერებებს, აღწერს მის სუბიექტებს შორის ურთიერთობას, რომელიც დოვლათის შექმნის, განაწილების და გაცვლის მამოძრავებელ ძალებს და მნიშვნელოვან ფაქტორებს ავლენს.

ეკონომიკური მოძღვრება ბევრად ახალგაზრდაა ეკონომიკურ აზრზე. ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია XVI საუკუნიდან იწყება; მისი სათავეები მტკიცედაა დაკავშირებული კაპიტალისტური სასაქონლო მეურნეობის ჩამოყალიბებასთან.

ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია მოიცავს სხვადასხვა სამეცნიერო სკოლის უმნიშვნელოვანეს თეორიული დებულებათა და მეთოდოლოგიურ მოკლე აღწერას, რომელთაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიაში. ***<u>ესაა სწორედ აღწერა, გადმოცემა და არა ამა თუ იმ კონცეფციის კრიტიკული გარჩევა, არა მათი ღირსებებისა და ნაკოვანებების გამოვლენა, არც შეფასებების დასმა.</u>*** მისი მიზანია –

მკითხველს მისცეს ცოდნა ეკონომიკური თეორიების შესახებ, რომლებიც იქმნებოდა ასეული წლების განმავლობაში იმ მეცნიერთა მიერ, ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენს პატივისცემას და აღიარებს რომ იმსახურებენ

სამი მთავარი წანამძღვარი

ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის გაგებისთვის საჭიროა ვიხელმძღვანელოთ შემდეგი **წანამძღვრებით:**

ჯერ ერთი, ეკონომიკურ შეხედულებათა ისტორია ყველაზე კარგად შეიძლება გაიგო, თუ მას განვიხილავთ არა როგორც იდეათა აბსტრაქტულ ისტორიას, არამედ როგორც ამ იდეების შემქმნელი ადამიანების ინტელექტუალურ ისტორიას. ეკონომიკური აზრის ისტორიის შეცნობის საუკეთესო საშუალება ის არის, რომ თავად ჩვენ წავიკითხოთ დიდ ეკონომისტთა ნაშრომები, მთლიანად არ ვერწმუნოთ ეკონომიკური მეცნიერების არცერთ პროფესიონალ ისტორიკოსს.

მეორე, სწორად რომ გაიგოს წარსული დროის მეცნიერთა ძლიერი და სუსტი მხარეები, მკითხველი უნდა ფლობდეს თანამედროვე ეკონომიკური თეორიის საფუძვლებს.

მესამე, უნდა მოვერიდოთ მცდარ დასკვნას იმის შესახებ, დღეს საყოველთაოდ მიღებული ეკონომიკური თეორიები ყველაზე უკეთესი და ყველაზე სწორია. რამეთუ თანამედროვე ეკონომიკურ თეორიათა საგანი საკმაოდ სწრაფად იცვლება, საუკეთესოებშიც კი ხშირად უნდა შევიტანოთ არსებითი ცვლილებები.

კუმულაციური და ევოლუციური მიდგომა

უნდა განვასხვავოთ ეკონომიკურ შეხედულებათა ისტორიაზე კუმულაციური და ევოლუციური აზრი. **კუმულაციური** თვალსაზრისის თანახმად, უფრო გვიანი ეკონომიკური თეორიები ძველების გაუმჯობესებაა. მათში წყდება ზოგიერთი წინათ გადაუჭრელი ამოცანა, სწორდება წინამორბედთა შეცდომები, ყალიბდება ახალი პრობლემები. ამიტომაც ძველი თეორიები გვჭირდება, ძირითადად, ახალთა უკეთ გაგებისათვის. ასეთ თვალსაზრისს არსებობის სრული უფლება აქვს, და იგი შესანიშნავად არის ასახული ეკონომიკური აზროვნების ისტორიის შესახებ ერთ-ერთ საუკეთესო წიგნში: "თანამედროვე თეორია დაფარულია დღეს გადაჭრილ, მაგრამ გუშინდელ პრობლემათა ნაიარევებით, დღეს გამოსწორებული, მაგრამ გუშინდელი შეცდომებით, და არც შეიძლება იგი მთლიანად იყოს გაგებული, თუ მას არ მივიჩნევთ წარსულის მემკვიდრეობად" (მ. ბლაუგი. ეკონომიკური აზროვნება რეტროსპექტივაში.)

მაგრამ შესაძლებელია სხვანაირი შეხედულებაც ეკონომიკურ თეორიათა ისტორიაზე, რომელსაც შეიძლება **ევოლუციური** ეწოდოს. იგი გამომდინარეობს იმიდან, რომ ეკონომიკური ქცევის კანონები უცვლელი არ რჩება, ისინი არსებითად იცვლება დროში. ამიტომ ისტორიულად სხვადასხვა დროში ეკონომისტები სწავლობენ სხვადასხვა ეკონომიკური რეალობას, ამიტომაც ახალი ეკონომიკური თეორიები არ შეიძლება იყოს ძველის უბრალო გაუმჯობესება. კარგი ახალი თეორიები მხოლოდ ნაწილობრივ იყენებენ ძველ თეორიებს, რომელთა ცალკეული ფრაგმენტები დროებით მოუკითხავი (გამოუყენებელი) რჩება.

ევოლუციურ ცვლილებათა შედეგები ჩვეულებრივ განუჭვრეტელია. სწორედ იმიტომ, რომ არ წარმოადგენს განსაკუთრებულ ინტერესს ერთ ისტორიულ დროში, შეიძლება საინტერესო იყოს მეორე დროშიც. და მაშინ ძველი ეკონომიკური იდეა შეიძლება მოულოდნელად აღმოჩნდეს მიმზიდველი იმათთვის, ვინც ცდილობს შექმნას ახალი მოდელები ეკონომიკური ქცევის ახალი ხერხებისთვის, განსაკუთრებით მაშინ თუ მას ახლებურად გავაშუქებთ უფრო გვიანი წარმოდგენების ენაზე. ეკონომიკურ მეცნიერებათა ისტორია ამ შემთხვევაში გაგებული უნდა იყოს არა როგორც დიდ თუ მცირე თანამიმდევრულ გაუმჯობესებათა პროცესი, არამედ როგორც ახსნის შესაძლო ალტერნატიული ხერხების შენარჩევი, რომლის ღირებულება იცვლება დროთა განმავლობაში.

ევოლუციური პოზიციებიდან ეკონომიკურ მეცნიერებათა ისტორია განხილულია **არა როგორც მუზეუმი,** რომელშიც შეიძლება გავიხსენოთ დიდი წინამორბედები, არამედ როგორც სამუშაო მაგიდა, რომელზეც შეიძლება წავაწყდეთ ახალ საინტერესო იდეებს, რომლებიც არ ჰქონიათ უახლოეს წინამორბედებს, ეკონომიკას სულ სხვა კუთხით რომ სწავლობდნენ.

არსებობს თუ არა პროგრესი ეკონომიკურ მეცნიერებაში. კუმულაციური თვალსაზრისით პროგრესის არსებობა ნიშნავს იმას, რომ "ანალიტიკური ინსტრუმენტები განუწყვეტლივ იხვეწება და იზრდება, ემპირიული მონაცემები მუდმივად გროვდება და წესრიგდება, ... ეკონომიკური სისტემის მუშაობა უფრო კარგად ესმით, ვიდრე წინათ" (მ. ბლაუგი. ეკონომიკური აზროვნება რეტროსპექტივაში) ევოლუციური თვალსაზრისით პროგრესი ეკონომიკურ მეცნიერებაში ნიშნავს არა მარტო ამას, არამედ ღრმა გამოუყენებელ იდეების რიცხვის ზრდასაც, რომლებიც შეიძლება სასარგებლო გამოდგეს მოუოდნელად წარმოშობილი ახალი ეკონომიკური რეალობის გაგებისათვის. მაგრამ, როგორც წესი, ეს იდეები ალტერნატიულია და არ შეიძლება მათი გაერთიანება ერთიანი თეორიის ფარგლებში.

რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ ეკონომიკურ გამოკვლევათა მეთოდოლოგიის შესახებ. პრინციპში, იგი არ განსხვავდება ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა მეთოდოლოგიისაგან, რომელიც ეფუძვნება ექსპერიმენტებსა და ჰიპოთეტურ–დედუქციურ მეთოდს (იხ. ვ.ნ. კოსტიუკოვი. მეცნიერული კვლევის მეთოდოლოგია, კიევი, 1976). მაგრამ, რაკი ექსპერიმენტები ეკონომიკაში, როგორც წესი, განუხორციელებელია, ხოლო ევოლუციურ ცვლილებათა ტემპი მნიშვნელოვნად აღემატება ცვლილებათა ტემპს ბუნებაში, ეკონომიკურ მეცნიერებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სტატისტიკურ – დროებრივ ანალიზსა და ისტორიულ-მოდელურ და წმინდა მოდელურ მიდგომას.

ყველაზე პირველი ეკონომიკური აზრი და მოძღვრებები თვალის ერთი გადავლებით:

- ადრინდელი ეპოქის ეკონომიკური აზრი (ჰამურაბის კანონები, კონფუცი, კაუტილიას მეცნიერება შემოსავლების შესახებ);
- ქსენოფონტე, პლატონი, არისტოტელე, თომა აქვინელი;
- მერკანტილისტები (უ. პეტი, ჯ. ლოკი);
- ფიზიოკრატები (რ. კანტილიონი, დ. გურნე, ფ. კენე);
- კლასიკური ეკონომიკა (ა. სმითი, დ. რიკარდო);
- მარქსისტული თეორია (კ. მარქსი);
- ნეოკლასიკური ეკონომიკა (კ. მენგერი, ს. ჯევონსი, ლ. ვალრასი, ა. მარშალი);
- ნეოკლასიკური სინთეზი (ჯონ ჰიქსი, პოლ სამუელსონი);
- ინსტიტუციონალიზმი (ტ. ვებლენი, უ. მიტჩელი, ჯ. გელბრეითი);
- კეინზიაიზმი (ჯ. კეინსი);
- მონეტარიზმი (მ. ფრიდმანი).

უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური თეორიები

ვინაიდან ეკონომიკა მოიცავს ადამიანის საქმიანობის მნიშვნელოვან მხარეებს, ეკონომიკურ პრობლემებზე თეორიული მსჯელობანი უყვარდათ ჯერ კიდევ ძველებს, რომელთაც თანამედროვე ადამიანისაგან საერთოდ განასხვავებდა ბევრად დიდი სურვილი, შეეცნოთ გარემომცველი სამყაროს რეალობა. უკვე დიდმა ბერძნებმა, **პლატონმა და არისტოტელემ** ჩაუყარეს საფუძველი ეკონომიკას, როგორც მეცნიერებას. **პლატონის** ცნობილ "სახელმწიფოში" შემოტანილი იყო ისეთი დღემდე განსჯის საგნად ქცეული ბაზრის რეგულირების ზომები, როგორიცაა "ფასის მერყეობის საზღვრები", ხოლო **არისტოტელემ** განჭვრიტა რა შემდგომ ათასწლეულთა პაექრობანი, თვლიდა, რომ გაცვლა ათანაბრებს მოთხოვნილებებს და არა დანახარჯებს. ეს პოსტულატი გახდა მარჟინალისტური რევოლუციის საფუძველი ეკონომიკურ მეცნიერებაში მხოლოდ XIX ს-ის ბოლოს. რა თქმა უნდა, ძველ მოაზროვნეთა გენიალურ აღმოჩენებთან ერთად მათი ეკონომიკური შეხედულებანი შეიცავდა მრავალ ისეთ დებულებას, რომელთაც დღეს შეუძლია მხოლოდ ღიმილი გამოიწვიოს. რაც არ უნდა იყოს, გავიდა 23 საუკუნეზე მეტი.

შუა საუკუნეებისა და ახალი დროის ყოველ დიდ მოაზროვნეს, დაწყებული **თომა აქვინელიდან კალვინამდე,** გააჩნდა თავისი შეხედულებები ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით, ვინაიდან მათ გარეშე ფილოსოფიური და რელიგიური სისტემები ცხოვრებისგან მოწყვეტილი აღმოჩნდებოდა.

ძველი აღმოსავლეთის ეკონომიკური მოძღვრებანი

ბაბილონი: ბაბილონის მეფის ჰამურაბის კანონების კრებული, კოდექსი. შეიქმნა დაახლოებით 1760 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. კანონები იცავდა მონობას და მონათმფლობელების ინტერესებს. ვაჭრობა საერთოდ, მათ შორის, მონებით ვაჭრობაც, ნორმალურ მოვლენად იყო მიჩნეული. კანონი ითვალისწინებდა მევალეთა დაცვას მევახშეებისგან. მონათმფლობელს განუსაზღვრელი უფლებები ჰქონდა მინიჭებული: ***მონის სიკვდილით დასჯა, უმკაცრესი სასჯელი გაქცევისათვის, გაქცეულის შეფარებისა და ხელშეწყობისათვის*** და ა.შ. კანონთა კრებულით ირკვევა, რომ ამ პერიოდში ბაბილონში საქონლურ-ფულადი ურთიერთობანი მაღალ დონეზე იყო განვითარებული.

ჩინეთი: ძველ ჩინეთში ეკონომიკური აზრი გადმოცემულია ***კონფუცისა*** და მისი მიმდევრების შრომებში. ***კონფუცი*** (551-479 წწ. ძვ.წ.) თავის ნაშრომში ***"საუბრები და მსჯელობანი"*** იცავდა დიდებულთა პრივილეგიებს: ამართლებდა მონობას, გონებრივი შრომა დიდებულთა, არისტოკრატთა ხვედრად გამოაცხადა, ფიზიკურ შრომას ***"უბრალო ხალხის"*** – მონების მოწოდებად თვლიდა. დიდებულებს მოუწოდებდა ზომიერი ფუფუნებისკენ, რაც პროგრესული იყო. კონფუციანელების იდეებს ეხმაურება უცნობ ავტორთა ტრაქტატი "***გუან-ძი"*** (IV-III ს.ძვ.წ.), სადაც მონათმფლობელობის განმტკიცებას ეკონომიკაზე სახელმწიფოს ზემოქმედების გაძლიერებით ხსნიდნენ (მარცვლეულის მარაგების შექმნა, სტაბილური ფასები, სპეკულაციის მოსპობა, გლეხების გადასახადების შემცირება, გლეხების სტიმულირების მიზნით მარცვლეულზე ფასების გაზრდა და სხვა). ვაჭრებისა და მევახშეების ინტერესებზე მაღლა მიწათმფლობელების ინტერესებს აყენებდნენ.

ინდოეთი: ძველ ინდოეთში ეკონომიკური აზრი წარმოდგენილია სახელმწიფო მოღვაწისა და მეცნიერის ***კაუტილიას*** ნაშრომში ***"არგჰაშასტრა",*** რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს ***"მეცნიერებას სარგებლობის (ხეირის),*** პრაქტიკული ცხოვრების შესახებ". ზოგიერთი თარგმანის მიხედვით – ***მეცნიერებას შემოსავლების შესახებ.*** ტრაქტატის თანახმად, სახელმწიფო ფართოდ უნდა ერეოდეს ეკონომიკურ ცხოვრებაში. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ვაჭრობას. მეფეს პირადად უნდა მიეღო მონაწილეობა ვაჭრობებში (ბაზრობებში), შეექმნა სასაქონლო მარაგები სეზონური ფასების რეგულირების მიზნით განევითარებინა საგარეო ვაჭრობა, საექსპორტო საქონელს ერქვა ***"მეფის საქონელი***", დაწესებული იყო ასეთი საქონლის წარმოების სტიმულები.

ძველი აღმოსავლეთის ეკონომიკური აზრის თავისებურებანი

ეკონომიკური საქმიანობის გაძლიერებული სახელმწიფოებრივი რეგულირება, მათ შორის მევახშეობისა და სავაჭრო ოპერაციების რეგლამენტაციით.
ეკონომიკაში წამყვანი როლი ენიჭება სახელმწიფო საკუთრებას.
გარკვეული როლი ენიჭება კერძო საკუთრებას და მის დაცვას.

ძველი საბერძნეთის ეკონომიკური აზრი

ქსენოფონტე (444-356 წწ. ძვ. წ.) – ქსენოფონტე თავის ნაშრომში – ***"ეკონომიკოს",*** იცავს ნატურალურ მეურნეობას. გონებრივ შრომას ხელმძღვანელის, მმართველის, ხოლო ფიზიკურს – მონის დამახასიათებელ შრომად თვლიდა, რასაც შრომის ბუნებრივ დანაწილებად მიიჩნევდა. ქსენოფონტემ შეამჩნია კავშირი შრომის დანაწილებასა და ბაზრის წარმოშობას შო-

რის. პირველმა გამოიყენა ტერმინი ***"ეკონომიკა". ქსენოფონტეს*** მიაჩნდა, რომ ყველა საქონელი ფლობს სასაგებლო თვისებებს (სახმარ ღირებულებას) და აქვს უნარი, გაიცვალოს სხვა საქონელზე (საცვლელი ღირებულება). ***ქსენოფონტეს*** ეკუთვნის სიტყვები: ***"ქართველები ბრძოლას იწყებენ სიმღერით და სიმღერითვე ამთავრებენო".***

პლატონი (427-347 წწ.ძვ.წ.) – პლატონი მონას თვლიდა მოლაპარაკე შრომის იარაღად. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა შრომის დანაწილებას, მას თვლიდა ადამიანის თანდაყოლილ უნარად: იბადებიან მეჩექმედ, მეპურედ, თერძად და მათ შორის მყარდება ეკონომიკური ურთიერთობანი. ***პლატონმა*** შექმნა მოძღვრება იდეალური სახელმწიფოს შესახებ. მისი იდეით, სახელმწიფოში 3 წოდება უნდა ყოფილიყო: 1. ***ფილოსოფოსები*** (სახელმწიფოს მართვის ფუნქციით); 2. მეომრები, სამხედროები (ტერიტორიების დაცვა და გაფართოება); 3. ***მიწათმოქმედნი,*** ხელოსნები და ვაჭრები (მეურნეობის წარმართვა).

არისტოტელე (384-322 წწ.ძვ.წ.) – ***არისტოტელე*** იყო პლატონის მოწაფე და ***ალექსანდრე მაკედონელის*** აღმზრდელი. იგი შრომებში ***"პოლიტიკა"*** და ***"ათენის პოლიტიკა"*** განასხვავებდა პოლიტიკას და ეკონომიკას. მისი აზრით, ***"პოლიტიკა"*** არის მეცნიერება სახელმწიფოს მოწყობის შესახებ, ხოლო ***"ეკონომიკა"*** მეურნეობის მოწყობას სწავლობს. ***არისტოტელემ*** სიმდიდრის, დოვლათის წარმოება დაჰყო 2 ნაწილად: 1. **სახმარ ღირებულებათა ერთობლიობა, რომლის წყაროა წარმოება, მიწათმოქმედება, ხელოსნობა** და 2. **ფულის დაგროვება, რომლის წყაროა მიმოქცევის სფერო, ვაჭრობა.** პირველს, ანუ, ბუნებრივ სიმდიდრეს აქვს საზღვარი – მოხმარება; მეორეს, ფულად ფორმაში გამოხატულ სიმდიდრეს – არა აქვს საზღვარი, უსაზღვრია. აქედან გამომდინარე, ***არისტოტელემ*** მოძღვრება სიმდიდრის შესახებ დაჰყო 2 ნაწილად: ***ეკონომიკად*** და ***ქრემატისტიკად***. ეკონომიკა, როგორც ტერმინი, მართალია, ეკუთვნის ***ქსენოფონტეს,*** მაგრამ ეკონომიკური პროცესების ასახსნელად პირველად ***არისტოტელემ*** გამოიყენა. ***"ოიკოს"*** ბერძნულად ნიშნავს – სახლს, მეურნეობას, ***"ნომოს"*** მოძღვრებას, კანონს. სიტყვასიტყვით ეკონომიკაში გულისხმობდა მეურნეობის გაძღოლის წესს, ხერხს, მეთოდს.

ეკონომიკისა და ქრემატისტიკის დაპირისპირებით ***არისტოტელე*** მიანიშნებს საქონლის სახმარი და საცვლელი ღირებულების, ფულის, მოგების და სხვა ეკონომიკური კატეგორიების შესახებ, იძლევა ეკონომიკური ანალიზის საინტერესო ცდებს, რითაც არსებითად გახდა მეცნიერების ისტორიაში პირველი ეკონომისტი.

ძველი სამყაროს ეკონომიკური აზრის თავისებურებანი

ძველი სამყაროს ეკონომიკური აზრი გადმოცემულია უდიდესი მოაზროვნეებისა (ფილოსოფოსებისა) და მონათმფლობელური სახელმწიფოების ცალკეული მმართველობის შეხედულებებში, ნაშრომებში.
ეკონომიკური აზრი ასახავდა მონათმფლობელების ინტერესებს, იცავდა არსებულ წესწყობილებას და ნატურალურ მეურნეობას. უპირატესად ეყრდნობოდა მორალურ, ეთიკურ-ზნეობრივ კატეგორიებს. ზღუდავდა ფულადი და სავაჭრო კაპიტალის თავისუფალ ფუნქციონირებას.

პირველი წმინდა ეკონომიკური თეორიები და ეკონომიკური სკოლები გაჩნდა მხოლოდ XVII ს-ის ბოლოს. მაშინ (XVII-XVIII საუკუნეების ბოლო) ეკონომიკურ თეორიაში თანმიმდევრულად ბატონობდა ეკონომიკის ორი ძირითადი თეორიული მიმართულება: **მერკანტილიზმი** (იტალ. mercante - ვაჭარი) და ფიზიოკრატია (ბერძნ. physis – ბუნება + kratos - ძალაუფლება).

მერკანტილისტები. მათ შორის გამოირჩევიან პირველი პროფესიონალი ეკონომისტი, ფიზიკის დოქტორი და ანატომიის პროფესორი **უ. პეტი** (1623-1687) და გამოჩენილი ინ-

გლისელი ფილოსოფოსი **ჯ. ლოკი** (1632-1704), რომლებიც ეროვნული სიმდიდრის შექმნაში პირველ ადგილს ანიჭებდნენ ვაჭრობას. ისინი თვლიდნენ, რომ სახელმწიფო მით უფრო მდიდარია, რაც უფრო მეტია სხვაობა გატანილ და შემოტანილ საქონლის ღირებულებას შორის და იბრძოდნენ ექსპორტის წამახალისებელი ზომებისათვის და იმპორტის შეზღუდვისათვის პროტექციონისტული ზომების გამოყენების გზით. თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ისინი გამოდიოდნენ მიმდინარე საგარეო სავაჭრო ოპერაციების სალდოს ზრდის მხარდამჭერებად, რაც, ბუნებრივია, მნიშვნელოვანი, მაგრამ არაერთადერთი ფაქტორია ქვეყნის კეთილდღეობისა.

მათი შემცვლელი **ფიზიოკრატები** (XVIII ს. II ნახევარი) თვლიდნენ, რომ სიმდიდრის საფუძველს შეადგენს სოფლის მეურნეობა, ხოლო ეკონომიკისა და ვაჭრობის სხვა დარგები მხოლოდ გადაანაწილებს დამატებულ ღირებულებას, მოპოვებულს სასოფლო-სამეურნეო შრომით და მიღებულს მიწიდან და ბუნებრივი კვლავწარმოებრივი პროცესებისგან. მათ შორის ყველაზე დიდი როლი შეასრულეს: ვაჭარმა და ფინანსისტმა ირლანდიიდან რ. **კანტ-ილონმა** (1680-1734), რომელმაც პირველმა ჩამოაყალიბა და გამოიკვლია ბაზრისა და საბირჟო თამაშის – "იყიდო იაფად, გაყიდო ძვირად" ძირითადი პრინციპები; **დე გურნემ** (1712-1759), რომელმაც გაახმაურა ეკონომიკური ლიბერალიზმის ძირითადი პრინციპი – "ლაისსეზ ფაირე, ლაისსეზ პასსერ" – "დაე, ყველაფერი წავიდეს ისე, როგორც მიდის", ე.ი. სახელმწიფოს ჩარევის გარეშე; და ავტორი პირველი დარგთაშორისი ბალანსისა **ფ. კენე** (1694-1774), რომლის მოდელის შესახებაც ქვემოთ ვილაპარაკებთ.

გამოჩენილი ფილოსოფოსი და ეკონომისტი **დ. იუმი** (1711-1776), რომელიც ერთგვარად აერთიანებს ეკონომიკის განვითარების ფიზიოკრატულ და კლასიკურ პერიოდს, შეიძლება ჩაითვალოს ფულის რაოდენობრივი თეორიის ფუძემდებლად და თანამედროვე მონეტარიზ-მის წინამორბედად. მან შექმნა ფულის მიმოქცევის შესანიშნავი მოდელი, რომელიც დღემდე ფინანსური თეორიის საფუძველია.

კლასიკური ეკონომიკური მეცნიერების ფუძემდებლები ადამ სმითი და დეივიდ რიკარდო

კლასიკური ეკონომიკური მეცნიერების ფუძემდებელი, ფილოსოფოსისა და ლოგიკის პროფესორი, გლაზგოს უნივერსიტეტის რექტორი **ა. სმითი** (1720-1790) დააგვირგვინა თავისი სინთეზური შრომებით XVIII ს-ის ეკონომიკა და განსაზღვრა მისი განვითარება XIX საუკუნეში. (წინადადება არაა გამართული) მან ბევრი რამ აიღო ფიზიოკრატებისგან, მა-გრამ, მათგან განსხვავებით, თვლიდა, რომ სიმდიდრის წყაროს წარმოადგენს ნებისმიერი შრომა და არა მარტო სამიწათმოქმედო. სმიტი – ღირებულების შრომითი თეორიის ფუძემდებელია, რომლის თანახმადაც საქონლის ღირებულება განისაზღვრება ძირითადად მის შექმნაზე გაწეული შრომით. მის ძირითად ნაშრომში "გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ" პირველად იქნა სისტემატიზებული სახით გადმოცემული საბაზრო ეკონომიკის თეორიული საფუძვლები. სმიტის მიხედვით, ბაზრის ყოველი მონაწილე მოქმედებს მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ისწრაფვის რა, გაამრავლოს თავისი შემოსავალი, მაგრამ „იგი უხილავი ხელით მიემართება მიზნისაკენ, რომელიც სავსებით არ შედიოდა მის განზრახვებში ... მისდევს რა საკუთარ ინტერესებს, ის ხშირად უფრო ქმედითი სახით ემსახურება საზოგადოების ინტერესებს, ვიდრე მაშინ, როცა შეგნებულად სურდა ამის გაკეთება". "უხილავი ხელი" – ესა საბაზრო თვითრეგულირების ობიექტური კანონი. აქედან სმიტი მიდის დასკვნამდე, რომ ყველაზე კარგია არ ჩაერიო ბა-ზრის მოქმედებაში და „დატოვო ყველაფერი ისე, როგორც მიდის" – "laissez faire " . სმიტის მიერ გაცხადებული პრინციპი ბაზრის "უხილავი ხელისა",რომელიც საფუძვლად უდევს მის შესაძლებლობებს თვითრეგულირებისა, წარმოადგენს, თანამედროვე გაგებით, უკუკავშირის კიბერნეტიკულ პრინციპს. ამ თვალსაზრისით მან დაასწრო კ. ბერნარისა და ნ. ვინერის კიბერნეტიკულ თეორიებს.

მისმა დიდმა მიმდევარმა **დ. რიკარდომ** (1772-1823) 25 წლის ასაკში მოახერხა ეშოვა ბირჟაზე რამდენიმე მილიონი და შეუდგა თეორიულ ეკონომიკას მაშინ, როცა მიღებული ჰქონდა რიგიანი პრაქტიკული გამოცდილება. მისი ძირითადი შრომა "პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები" მიძღვნილია იმ საკითხის გამოსარკვევად, თუ როგორ მოქმედებს წარმოების ზრდაზე მიღებული შემოსავლის განაწილება რენტის, მოგებისა და ხელფასის სახით. რიკარდომ გაავრცელა „უხილავი ხელის" პრინციპი საერთაშორისო ვაჭრობაზე და შექმნა შედარებით უპირატესობების თეორია. მისმა შრომებმა საფუძველი ჩაუყარა შემდგომ მოდელურ მიდგომას ეკონომიკური თეორიის აგებაში. ეკონომიკური მეცნიერების ისტორიკოსთა აზრით, „მკაცრი და თანმიმდევრული თეორეტიკოსის სახით, რომელსაც შეეძლო მიეღო არაჩვეულებრივი შედეგები მისთვის შეთავაზებული შედარებით უბრალო მოდელების ანალიზიდან, რიკარდოს (ალბათ კეინსის გარდა) დღემდე არ ჰყავს ტოლი ეკონომისტებს შორის".

კარლ მარქსი

თვით ყველაზე მოკლე ექსკურსი ეკონომიკურ თეორიაში იქნება არასრული, თუკი არ ვახსენებთ მასში კ. **მარქსის** (1818-1883) მნიშვნელოვან წვლილს. მისი ყველა უფროსი და საშუალო თაობის მეცნიერისათვის კარგად ცნობილი გაფართოებული კვლავწარმოების განტოლებები, არსებითად, ხსნიან ეკონომიკური ზრდის დინამიკურ მოდელთა კლასს. მარქსმა დაწვრილებით გამოიკვლია კაპიტალის წარმოშობისა და განვითარების ბუნება. მან გახსნა ზედმეტი ღირებულების ბუნება და გამოიკვლია მისი როლი კაპიტალის დაგროვების პროცესში. მის მიერ დაწვრილებითაა შესწავლილი მოგების ნორმის გათანაბრების კანონზომიერებანი წარმოების სხვადასხვა დარგებში და მასთან დაკავშირებული კაპიტალის გადადინებანი. თუმცა მისი მოძღვრება, ვფიქრობთ, რომ ძალზე პოლიტიზირებული და შედეგად, გამოყენებულია, როგორც ბრძოლის ინსტრუმენტი, ხელისუფლებისათვის. მარქსის თეორიული დებულებანი ბევრს დღეს საკამათოდ წარმოუდგება (გვსურს გვენახა მაგალითი ეკონომიკური თეორიისა, რომელიც არ შეიძლება საკამათო გამხდარიყო საუკუნენახევრის შემდეგ. ასეთები არაა.) მართლაც, ინოვაციის და კაპიტალის მნიშვნელობათა გაუთვალისწინებლობას, აგრეთვე, შრომის წვლილის გადაჭარბებას დამატებულ ღირებულებაში, როგორც ვხედავთ ადგილი აქვს. (თუმცა თანამედროვე პოზიციებიდან არანაკლები პრეზენტაცია (თუ პრეტენზია) შეიძლება გაგვიჩნდეს წარსულის ყველა დიდი ეკონომისტის მიმართ). მარქსის თეორიის მეთოდოლოგიური მნიშვნელობა და გავლენა ახლაც შეიძლება უზარმაზარია.

თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების მთავარი მიმართულებები

თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში აქტიურად მოქმედებს და მეტოქეობს რამდენიმე სამეცნიერო მიმართულება ესენია:

- ***კეინსიანელები,*** რომელთა განმასხვავებელი ნიშანია აქცენტირებული ყურადღება ბაზრის სახელმწიფო რეგულირების პრობლემებზე;
- ***ნეოკლასიკოსები,*** რომლებიც ძირითადად ემხრობიან საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მინიმიზაციის პრინციპს;
- ***მონეტარისტები*** თვლიან, რომ ეკონომიკის ძირითად მარეგულირებელ ფაქტორს წარმოადგენს ფულადი აგრეგატები;
- ***ინსტიტუციონალისტები,*** რომლებიც ეკონომიკური სისტემის ანალიზს ახდენენ მისი ძირითადი ინსტიტუტების პრიზმით, ე.ი. ეკონომიკური და სოციალური ქცევის ფორმალური (ნორმატიულად და საკანონმდებლოდ გაფორმებული) და არაფორმალური (ტრადიციები, საქმიანი ურთიერობების ჩვევები და ა.შ.) წესებით.

ასეთი დაყოფა, თუმცა საყოველთაოდ მიღებულია, მაგრამ მაინც ძალზე პირობითია. რიგი სკოლების მეთოდოლოგიური მიდგომები ურთიერთდაფარვადია. არის არაერთი ცნობილი მეცნიერი, რომელთა შრომას გააჩნია სინთეზური ხასიათი და არ შეიძლება მივაკუთვნოთ რომელიმე

ზემოთ ნახსენებ სამეცნიერო მიმართულებას. რაც შეეხება მათემატიკურ აპარატსა და მოდელებს, ყველა სკოლის წარმომადგენელი იყენებს პრაქტიკულად იდენტურ მათემატიკური ანალიზის ტექნიკას. ამასთან მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თანამედროვე დასავლეთის ეკონომიკაში ძნელია იპოვო მეცნიერი, რომელმაც მიაღწია კარგ შედეგებს მათემატიკური მოდელების გამოყენების გარეშე. ამან საშუალება მისცა ნობელის პრემიის ლაურეატს, დებრეს, 1983 წ. ეთქვა შემდეგი: "ეკონომიკური თეორია თითქმის ყველა თავის მიღწევას ომისშემდგომ პერიოდში უნდა უმადლოდეს მათემატიკური ანალიზის გამოყენებას". სხვათა შორის, უმრავლესობას თანამედროვე ეკონომისტებისა, მინიჭებული აქვთ ნობელის პრემია ეკონომიკაში, რომელიც 1969 წელს დაწესდა.

კეინსიანელების, ნეოკლასიკოსების, მონეტარისტების და ინსტიტუციონალისტების თეორიებს ვრცლად განვიხილავთ ბოლოს. ნახ. 2.1–ზე მოცემულია ეკონომიკური მეცნიერები ძირითადი მიმართულებები და სკოლები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

ნახ2.1. ეკონომიკური მეცნიერების ხე



ქართული ეკონომიკური აზრის წარმოშობისა და განვითარების ეტაპები და წარმომადგენლები

ქართული ეკონომიკური აზრის წარმოშობა:

- ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის საიდუმლო: ფარნავაზი, ვახტანგ გორგასალი.
- შუა საუკუნეების ქართული ეკონომიკური აზრი. დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, შოთა რუსთაველი, ბექა და აღბუღა, გიორგი ბრწყინვალე.
- ქართული ეკონომიკური აზრი XVII-XVIII საუკუნეში: ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანი, ერეკლე II და სოლომონ I, იოანე ბატონიშვილის "კალმასობა" .

ქართული ეკონომიკური აზრი XIX საუკუნეში და XX საუკუნის 20-იან წლებამდე:

- ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე.

➢ XX საუკუნის ქართული ეკონომიკური აზრი:

ე. წ. სოციალისტური პერიოდი:

- ფილიპე გოგიჩაიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ირაკლი მიქელაძე, პაატა გუგუშვილი, ავთანდილ გუნია, ვასილ ჩანტლაძე, ვალერიან მელქაძე.

პოსტკომუნისტური პერიოდი:

- ვლადიმერ პაპავა, ავთანდილ სილაგაძე, ლეო ჩიქავა.

შოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებანი

შოთა რუსთაველი: საზოგადოების განვითარებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ***შრომას***, რადგან, უშრომლად, გაურჯელად შეუძლებელია სასურველ შედეგს მიაღწიო, მიიღო დოვლათი, ნაყოფი ("***ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია***"). უფრო მეტიც, გარჯის, ჯაფის გარეშე მიღებულ დოვლათს, სიკეთეს, სარგებლიანობას, სიყვარულსაც კი პოეტი არარად მიიჩნევს და, მისი აზრით, ადვილად ხელმისაწვდომ სიტურფესაც კი ფასი აკლდება („***ოდეს ტურფა გაიაფდეს, არღა ღირდეს არცა ჩირად***"").

შოთა რუსთაველი იცავს ***ცენტრალიზებულ მმართველობას***, ერთმეფობას. მისი იდეალია ჰუმანურ საფუძველზე აგებული პატრონყმური ურთიერთობა, მეფე-პატრონის ერთგულება („ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან") (446). ამასთან ერთად, მეფისათვისაც სავალდებულოდ თვლის სამართლიან ქცევას. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში საქართველოში მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა – ***ყუთლუ არსლანის*** დასის გამოსვლა, რომლის პროგრამა ითვალისწინებდა მეფის ცენტრალიზებული ძალაუფლების შეზღუდვას, მისგან საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოების გამოყოფას. ამ მიზნით, ისანში მეფის დარბაზის გვერდით უნდა აშენებულიყო საგანგებო სასახლე – ***„კარავი",*** სადაც მეფისგან დამოუკიდებლად და მისი დასწრების გარეშე გაიმართებოდა დასის სხდომები. მართალია, თამარ მეფემ ფეოდალურ არისტოკრატიაზე დაყრდნობით, დიპლომატიური გზით და ხერხებით ადვილად შეძლო პოლიტიკური დასის შემორიგება (გარკვეული რეფორმატორული ღონისძიებებიც გაატარა), მაგრამ, როგორც კარგად შენიშნა პროფ. გ. თოდუამ, აქ მაინც მთავარია პარლამენტარული სტრუქტურის დამკვიდრების საკითხი, რომელიც საქართველოში დღის წესრიგში დადგა ინგლისთან შედარებით 30 წლით ადრე, 1185 წელს (გ. თოდუა. ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია. ნაწილი I, თ,„ 2004, გვ. 316).

ცნობილია, რომ ბიბლიის თანახმად, სიმდიდრეს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის პროდუქცია. ღმერთი უპირატესობას მეცხოველეობას ანიჭებდა. ბიბლიური პერსონაჟი, ადამისა და ევას მეორე ვაჟი აბელი, კაენის ძმა, როცა წამოიზარდა, მწყემსობას მიჰყო ხელი და ღმერთს მსხვერპლად ბატკანი შესწირა. ღმერთმა მოიწონა ეს შესაწირი, ხოლო კაენის ძღვენი, მიწის ნაყოფი არ მიიღო. კაენს შეშურდა ძმისა და მოკლა იგი. ***შოთა რუსთაველი*** აღწერს ***ეროვნული სიმდიდრის*** ორ სახეს: ***ბუნებრივ რესურსებს*** (მიწა, წიაღისეული, წყლები, ტყეები და ა.შ.) და ***ეროვნულ ქონებას*** (დაგროვილი შრომის პროდუქტები, შრომის

იარაღები, ნედლეული და მასალები, სამომხმარებლო მარაგები). სიმდიდრეს უკავშირებს აგრეთვე ფულს (მონეტას) ძვირფასი ლითონებით – ოქრო, ვერცხლი, სპილენძი (რვალი).

მიუხედავად იმისა, რომ იმხანად საქონელთა რეალიზაცია "სამართლიანი ფასის" მიხედვით წარმოებდა (ფასების დაწესება არა შრომითი დანახარჯების ან მოთხოვნა-მიწოდების თანახმად, არამედ ხელოსნებისა და ამქრების გამოცდილი წარმომადგენლების კარნახით), რუსთაველი მოკლედ და ლაკონურად აღწერს ***საბაზრო ეკონომიკისა და კონკურენციის არსს: "იყიდიან, გაყიდიან, მოიგებენ, წააგებენ".***

რუსთაველი, მართალია, წარმოების ძირითად დარგებად თვლის სოფლის მეურნეობას, შინამრეწველობას, ხელოსნობას, ნადირობას, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს როგორც ***საშიანაო, ისე საგარეო ვაჭრობას***. პოეტმა ვაჭრობას პოემის ნახევარი მიუძღვნა, იგი ვაჭრობას სწრაფი გამდიდრების საშუალებად მიიჩნევს მიწათმოქმედებასთან შედარებით. რუსთაველი მფარველობს ვაჭრობას, როგორც პროგრესულ დარგს. ფატმანის ქვეყანას - ***გულანშაროს***, სადაც ვაჭრობა, აღებ-მიცემობა უმაღლეს დონემდეა განვითარებული და საყოველთაო კეთილდღეობა სუფევს, შოთა შემდეგნაირად აღწერს:

"აქა მოსვლითა გაყმდების, კაციცა იყოს ბერები:
სმა, გახარება, თამაში, ნიადაგ არს სიმღერები,
ზამთარ და ზაფხულ სწორად გვაქვს ყვავილი ფერად-ფერები;
ვინცა გვიცნობენ, გვნატრიან, იგიცა, ვინა – მტერები" (1075)

ანდა:

"დიდ-ვაჭარნი სარგებელსა ამისებრსა ვერ ჰპოვებენ". (1076)

რუსთაველი იყენებს ისეთ ტერმინებს, როგორიცაა: ***"ვაჭრობა", "ვაჭარი", "დიდვაჭარი", "ყიდვა-გაყიდვა", "საქონელი", "სარგებელი"***, ვერცხლის მონეტები: ***დრამა, დრაჰკანი***, ოქროს ფული ***პერპერა, "ხარჯა"*** (ხარკი), ***"ბადრაგა"*** (დამცველი, გამცილებელი, კონვოი), **"სარანგი"** (წესრიგის დამცველი მოხელე), ***"ხანაგა"*** (თავშესაფარი, სასტუმრო), ***"ლარი"*** (განძი, სიმდიდრე), ეს ტერმინი საფუძვლად დაედო ქართული ეროვნული ვალუტის სახელწოდებას. "***მიმიხმო, მკითხა ამბავი და ნირი ლართა სყიდვისა"*** – ამბობს ავთანდილის შესახებ ვაჭრის მსახური. ასეთი შეხედულებები, გარკვეულწილად, მერკანტილისტური იდეების ჩანასახსაც წარმოადგენს. ***შრომის დანაწილებასთან*** დაკავშირებით პოეტი წერს: ***"მუშა მიწყივ მუშაობდეს, მეომარი გულოვნობდეს"***. ყურადღებას ამახვილებს თავისუფალი დროის მნიშვნელობაზეც ადამიანის ინტელექტუალურ, პიროვნულ განვითარებაში.

რუსთაველი თავისუფალი დროის აღნიშვნისათვის იყენებს ტერმინს – **"მოცალეობა".**

რუსთაველი, სიმდიდრის სამართლიან განაწილებასთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ ისე, როგორც მზე ვარდსა და ნეხვს ერთნაირად აფრქვევს კაშკაშა სხივებს, ასევე ხელისუფლება ვალდებულია, ერთნაირად ზრუნავდეს საზოგადოების ყველა წევრზე, ასევე, გარჯა არ უნდა დაიშურონ შეძლებულებმა შეჭირვებულთა დასახმარებლად (ქველმოქმედება).

"რაცა თქვენთვის არ ვარგიყოს საჭურველსა დასადებლად,
მიეც ზოგი ხანაგთა, ზოგი ხიდთა ასაგებლად".

გამოჩენილი ქართველი მეცნიერები, რუსთველოლოგები: ***აკ. შანიძე, ა. ბარამიძე, ირ. აბაშიძე, გ. წერეთელი, შ. ნუცუბიძე*** თვლიან, რომ ***შოთა რუსთაველი*** იყო თამარ მეფის დიდვეზირი – ***მეჭურჭლეთუხუცესი***. თამარის სამეფო კარზე ოთხი დიდვეზირის თანამდებობა იყო: 1, მწიგნობართუხუცესი, 2. ამირსპასალარი, 3. მანდატურთუხუცესი, 4. მეჭურჭლეთუხუცესი. მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა შოთა რუსთაველს 1205-1220 წლებში ეკავა (ნ. ნათაძე). არსებობს სხვა შეხედულებაც, მაგალითად, მ. დუმბაძის აზრით, რუსთაველის შემოქმედება და მეჭურჭლეთუხუცესობა ერთმანეთს ვერ ეთავსება, რადგან წარმოუდგენელია ისეთი მეჭურჭლეთუხუცესი, რომელიც სამეფო სიმდიდრის დაგროვების ნაცვლად ქადაგებდა: **"უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების" (მ. დუმბაძე.**

საქართველოს ისტორიული სინამდვილე და შოთა რუსთაველი – საქართველო რუსთაველის ხანაში. თ,„ 1966, გვ. 30,49). ამასთან დაკავშირებით, **ვ. ჩანტლაძე** მოხდენილად შენიშნავს, რომ აქ რუსთაველი ბიუჯეტური ბალანსის დარღვევაზე არ საუბრობს, არამედ იმაზე, რომ ბიუჯეტური სახსრების გაცემა უნდა ხდებოდეს შემოსავლების გაუთვალისწინებლად. პირიქით, შოთა ამბობს, რომ "**შესდის და გაედინების".** სხვაგან პოეტი კიდევ უფრო დაზუსტებულად მიანიშნებს: "***უხვად გავცემდეთ, ვავსებდეთ, სიძუნწე უმეცრულია".*** ანუ, შოთას თანახმად, გაცემას უნდა მოსდევდეს შევსება. ფინანსთა მინისტრი სწორედ ასე იტყოდა. რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებებიც საფუძველს იძლევა, რომ იგი გარკვეული დროის მანძილზე შესაძლებელია ყოფილიყო მეჭურჭლეთუხუცესი (**ვ. ჩანტლაძე,** შოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებები. თბ., 1992, გვ. 8). რუსთველის, როგორც მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა დასტურდება იერუსალიმის ჯვრის მონასტერში არსებული მასლებითაც. კერძოდ, პოეტის სახელი მოხსენიებულია ***სააღაპე წიგნშიც - წიგნი სადაც აღნიშნულია ეკლესიის ან მონასტრის შემომწირველთა სახელები და სხვა. ("შოთა მეჭურჭლეთუხუცესი").***

ვახტანგ VI-ის ეკონომიკური შეხედულებანი

ვახტანგ VI (1675-1737) ხელს უწყობდა ქვეყნის **საწარმოო ძალების განვითარებას.** მას კარგად ესმოდა, რომ გლეხი საზოგადოების ძირითადი საწარმოო ძალა იყო, ფეოდალთა ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერე მთლიანად გლეხური მეურნეობების მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული. ამიტომ სოციალური ურიერთობების დარეგულირების მიზნით გლეხობასა და ფეოდალებს შორის **ვახტანგ VI-მ** რიგი ღონისძიებები გაატარა, რომელთაგან ყველაზე ეფექტური "**ტყვეთა სყიდვის**" აკრძალვა აღმოჩნდა. მას კარგად ესმოდა მისი წინამორბედის არჩილის ცნობილი პოეტური ფრაზა – **"თუ ამოსწყდეს გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდა"** (ციტ. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი II, თბ., 1965, გვ. 191). **ვახტანგ VI-მ,** გარდა ამისა, კანონით შეზღუდა ფეოდალთა თვითნებობა და განსაზღვრა მათი უფლებები გლეხობაზე. ამ ღონისძიებებით მან ქართლში დააბრუნა გახიზნული ყმა გლეხები და ჩაასახლა მიტოვებულ სოფლებში, გაიყვანა სარწყავი არხები (ყარაიის, ქციის, მაშავერის, ლისის, შოლას, სალთვისის სარწყავი არხები), ააღორძინა რიგი სოფლები და რეგიონები. ამ ღონისძიეებით აშკარაა, რომ **ვახტანგ VI-ს** პრაქტიკულად შემუშავებული ჰქონდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროგრამა.

ვახტანგ VI-მ შეადგინა **"წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიის ქმნისა",** დამსახურება მიუძღვის ქიმიასა და ფილოსოფიაში მეცნიერული ტერმინოლოგიის შემუშავებაში, მის კალამს ეკუთვნის არაერთი ლირიკული ნაწარმოებიც. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ვახტანგის მიერ შედგენილი ქართული სახელმწიფო სამართლის **დასტურლამალი** და **სამართლის წიგნთა კრებული.** ადმინისტრაციულ-სამეურნეო წესდებამ **"დასტურლამალი"** (ტერმინი **"დასტურლამა"** არაბულ-სპარსული წარმოშობისაა, **"დასთურ ალ-ამალ"** ინსტრუქციას, გარიგებას, მოქმედების წესს ნიშნავს) დიდი ზეგავლენა მოახდინა სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძვლების შექმნაზე. დასტურლამალი არის სხვადასხვა დროს შედგენილი დასტურლამების, ანუ, გარიგების წიგნთა, დებულებათა კრებული. იგი მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს საქართველოს სახელმწოფოებრივი წესწყობილების შესახებ, აღწერილია სასახლეში მიღებისა და ნადიმობის წესები, დახასიათებულია მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები და აპარატის მოხელეები: სამეურნეო; ადმინისტრაციული; საპოლიციო; სასამართლო; სამდივნო; სამონადირეო; სამეჯინიბეო; მეფის დაცვა. განსაზღვრული უყო ადგილობრივი მოხელების ფუნქციებიც. ქალაქის მმართველობას სათავეში ედგა **მოურავი,** რომელსაც ჰქონდა ადმინისტრაციული და სასამართლო ფუნქციები. საინტერესოა ხევისთავის ფუნქციაც, საკუთრების დაცვის მიზნით ხევისთავი წელიწადში ერთხელ ჩამოივლიდა მისდამი რწმუნებულ სოფლებს ქურდების გამოსავლენად.

დასტურლამალი საინტერესო ინფორმაციას იძლევა საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლისთვისაც. მასში დაწვრილებითაა განხილული საგლეხო გადასახადები სამეფო და სადედოფლო გლეხებისათვის, განსაზღვრულია საგადასახადო განაკვეთები, ამოღების წესები, ვადები და სხვა.

ვახტანგ VI-ის ბრძანებით, კომისიის მიერ 1705-1708 წლებში შეიქმნა სამართლის წიგნთა კრებულიც, რომელიც საერო და საეკლესიო, სამეურნეო და ადმინისტრაციულ საქმიანობას არეგულირებდა. **ვახტანგ VI-ის** სამართლის კანონებით და "**დასტურლამალის**" ნორმებით სარგებლობდნენ არა მარტო ქართლის სამეფოში, არამედ იმერეთსა და კახეთშიც.

სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებანი

საბას ეკონომიკური შეხედულებანი გადმოცემულია მის თხზულებებში: **"სიბრძნე-სიცრუისა", "სწავლანი", "ქართული ლექსიკონი", "მოგზაურობა ევროპაში". სულხან-საბას** საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლად **მატერიალური დოვლათის წარმოება** მიაჩნია, რაც **შრომით** მიიღწევა, შრომა უნდა იყოს მიზანშეწონილი და არა უბრალოდ, უსარგებლოდ ენერგიის ხარჯვა. უმიზნო, უსარგებლო, ფუჭ შრომას იგი მარილის დათესვას ადარებს "... **ცუდად შვრებიან მუშაკნი დათესვად მარილისა, რათა.. აღმოეცენოს მარილი და გამრავლდეს**" ("სწავლანი").

სიმდიდრედ ორბელიანს მიაჩნია **სოფლის მეურნეობის პროდუქცია, სიმდიდრის წყაროდ** კი – **მიწათმოქმედებაში დახარჯული შრომა.** ეს ფიზიოკრატიული შეხედულება **სულხან-საბას** შედარებით ადრე აქვს ჩამოყალიბებული ვიდრე ფიზიოკრატებს XVIII საუკუნის 50-იან წლებში. **ორბელიანი ფ. კენეს "ეკონომიკური ტაბულის"** გამოქვეყნებამდე 100 წლით ადრე დაიბადა. ამ გარემოებას ყურადღება ცნობილმა ქართველმა მეცნიერ-ეკონომისტმა, აკადემიკოსმა **ვ. ჩანტლაძემ** მიაქცია. (ვ. ჩანტლაძე. სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებანი. თბ., გვ. 42-43).

სულხან-საბა არ იზიარებს **"სამართლიანი ფასის"** თეორიას და **ფასწარმოქმნას** მეტოქეობას (კონკურენციას) და არსებითად მოთხოვნა-მიწოდებას უკავშირებს.

გამოუყენებელი ფული – ფული, რომელიც არ ბრუნავს, სულხანის აზრით, სიმდიდრეს არ წარმოადგენს, **"რაც სალარო გაქვს, თუ არ იხმარება, ქვა და ოქრო სწორია კაცთათვის"** ("სიბრძნე სიცრუისა").

"სიბრძნე სიცრუეში" მრავალი იგავი **ვაჭრობის** მაგალითზეა აგებული. განხილულია როგორც **საშინაო,** ისე **საგარეო ვაჭრობა.** ამ უკანასკნელთან დაკავშირებით **სულხანი** მიუთითებს, რომ იგი ბევრ ხიფათთან არის დაკავშირებული. იგი იყენებს საინტერესო ტერმინს.

- **"ფერეზიკი",** ლექსიკონის განმარტებით იგი არის დატარებითი, მოხეტიალე ვაჭრები, **"რომელიც სავაჭროთა ატარებს შუკათა შინა და არა დასდებს სავაჭროთა დუქანთა შინა"** ("ქართული ლექსიკონი"). ამასთან ერთად, **ორბელიანი** მეტ აქცენტს თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკაზე აკეთებს (ფრიტრედერობა).

გამოყოფს **ვალის** ორ სახეს: **წესიერ ვალს და უწესო ვალს.** წესიერი ვალის სარგებელს ეწოდებოდა **ვასხი,** ხოლო უწესო ვალის სარგებლის, ანუ სარგებელის სარგებელს - **ვახი, ვახში** ("მევახშე"). **სულხანი** უარყოფითად ახასიათებს მევახშეებს, მათ უწოდებს **"უსამართლო ამკრებს"** ("ლექსიკონი").

ორბელიანი ორიგინალურად მსჯელობს **სახელმწიფო ფინანსებისა და ხარჯების შესახებ.** ხარჯების აუცილებლობას უკავშირებს შეიარაღებული ძალის შენახვას, მეპატრონეთა დაცვას ხელარგნისანების (ხელკეტიანების) მეშვეობით, სახელმწიფო ადმინისტრაციული აპარატის დაფინანსებას, დაქირავებული ჯარის შენახვას და ტყვეების გამოხ-

სნას უკავშირებს. განიხილავს შემოსავლების საკითხსაც, რომლის მთავარ წყაროდ გადასახადებს, ხარკს მიიჩნევს ("მეხარკე – ხარკის ამკრეფი"). პირდაპირ გადასახადად თვლიდა **სახელმწიფო შემოსავალს,** ხოლო **არაპირდაპირად** – ბაჟს (საბაჟო), საბაჟოს უწოდებს **"ბაჟთადგილს".**

სულხან-საბა იყენებს ტერმინს **"პახტი",** რომელშიც გულისხმობს ერთი წლის მანძილზე ერთი თემის ერთობლივ მოსავალს. ეს სხვა არაფერია, თუ არა **მთლიანი შიდა პროდუქტი** ან **ეროვნული შემოსავალი** თანამედროვე გაგებით თავისი საგმენტებით: ტერიტორია, ერთი წელი და მთლიანი შემოსავალი.

განასხვავებდა **ხელფასის** ორ ფორმას: **ქირას** (ქირით მომუშავე დაქირავებულები სამრეწველო სარეწებში); **ჯამაგირს** (დაქირავებულ მსახურთა დროითი ანაზღაურება).

ამრიგად, **სულხან-საბა ორბელიანის** შეხედულებებში ასახულია XVIII საუკუნის საქართველოს ფეოდალური ეკონომიკური ურთიერთობები და ნაჩვენებია ქვეყნის შემდგომი აღორძინება – განვითარების ეკონომიკური საფუძვლები, რაც იმ დროისათვის არსებითად პროგრესული ხასიათის იყო.

ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური მოძღვრება: ლიბერალიზმის ქართული ნაირსახეობის იდეოლოგია

ცივილიზაციის მიღწეული დონე ახალ აზროვნებას მოითხოვს. ყველაზე უფრო მოკლედ თუ ვიტყვით, გარდუვალი გახდა "ერის საერთო კეთილდღეობის" უთუოდ გლობალურ კონტექსტში განხილვა და ლიბერალური ეკონომიკური ორიენტირების გონივრული განსაზღვრა. ამისათვის კი, თანამედროვე ეკონომიკური აზროვნებისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს ღრმა მეცნიერულობა, რეალისტურობა, მასშტაბურობა, სისტემურობა და მოქნილობა. ახალი აზროვნება უნდა დაფუძნდეს ობიექტურ კანონზომიერებათა ღრმად შემეცნებაზე, რომელიც ახლანდელ რეალობებს ითვალისწინებს. უნდა შეგვეძლოს წარსულის სამართლიანი შეფასება. საჭიროა გონივრულად მივუდგეთ საქმეს, არ შემოვიფარგლოთ ამწუთიერი ამოცანებით. ყოველი საკითხი კომპლექსურად უნდა გადავწყვიტოთ. გადაწყვეტილებების შემუშავებისა და რეალიზაციის მსვლელობისას დროულად უნდა გავითვალისწინოთ ახლად წარმოშობილი გარემოებები, ახალი მოვლენები და პროცესები. ასეთია მეცნიერული აზროვნების ლოგიკა. **ილია ჭავჭავაძის მოძღვრება, მისი ტრაქტატები სამართლის და ფილოსოფიის, ეკონომიკის და სოციოლოგიის, პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების, ისტორიის და ბიბლიოლოგიის, მართლმადიდებლური ქრისტიანობის და საერთოდ, ცხოვრების ყოვეგვარი "კუთხე-კუნჭულის" შესახებ, სწორედ ასეთი აზროვნება გვიხსნის, განმარტავს, აყალიბებს მის პრინციპებს დაამით გვეხმარება ჩვენი ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებაში.**

მაინც რა არის ის უმთავრესი ღირებულებანი, რომლისკენაც დღენიადაგ უნდა ვისწრაფვოდეთ და როგორია ის მეთოდები, გზები და უმთავრესი პრინციპები, რომლებსაც თანამედროვე გლობალურ სამყაროში უნდა ვიყენებდეთ ჩვენი მიზნების მისაღწევად? **ყველაზე უმთავრესი ჩვენთვის ის უნდა იყოს, რომლის გარეშეც "ჩვენ", "ჩვენ" არ ვიქნებოდით. ასეთებად ილია ჭავჭავაძეს მამული, ენა და სარწმუნოება მიაჩნდა, რომლებსაც "სამ ღვთაებრივ საუნჯეს" უწოდებდა.** მათი მარადიული დაცვა თვითთეული ჩვენი თანამოქალაქის წმიდათა წმინდა ვალია. შთამბეჭდავად წერდა ილია ჭავჭავაძე: "სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?" ამ მარადიულ ღირებულებებს თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ, რომ ჩვენი მთლიანობა და თვითმყოფადობა არ დავკარგოთ. მთავარია ასევე ვიცოდეთ როგორ, რა გზებით უნდა დავიცვათ ჩვენი მამული, ენა და სარწმუნოება.

ჩამოაყალიბა რა ლიბერალიზმის ქართული ნაირსახეობის იდეოლოგია და მოძღვრება საქართველოში ევროპის და სხვათა მოწინავე გამოცდილების დანერგვის

შესახებ ისე, რომ არ დავკარგოთ ჩვენი ტრადიციები, ადათ-წესები და ჩვეულებები და თან, ამასთან ერთად, სხვისი მოწინავე გამოცდილებაც გავითვალისწინოთ, ე.ი. მივაღწიოთ მის ოპტიმალურ სინთეზს, ილია ჭავჭავაძემ ამით საფუძველი დაუდო თავის საკუთარ დოქტრინას ლიბერალიზმისა და, უნდა ითქვას, რომ იგი არის ავტორი და შემოქმედი ასეთი დოქტრინებისა არამარტო ეკონომიკის, არამედ სხვა მრავალ სფეროში: ფილოსოფიაში, სამართალში, რელიგიაში, ისტორიაში და ა.შ. მისი თითოეული სიტყვა მაგალითი და ანდერძია ჩვენთვის იმისათვის, თუ როგორ მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება ჭეშმარიტი ადამიანური ღირებულებების გათვალისწინებით. როგორც ეკონომისტი, რმლის კალამს ეკუთვნის თითქმის თოთხმეტ ტომზე მეტი ეკონომიკური ხასიათის ნაშრომები და პუბლიკაციები, ილია ჭავჭავაძე თავისავე მიერ "სახელოვან ინგლისელ პოლიტიკო-ეკონომად" და "საპოლიტიკო ეკონომიის მეცნიერების მამამთავრად" მოხსენიებული ადამ სმითივით დიდია მთელი მსოფლიოსათვის, ჩვენი ქვეყნისათვის კი კიდევ უფრო დიდია. უბრალოდ, ისტორიული ძნელბედობის და შექმნილი ვითარების გამო ჩვენ ვერ შევძელით ილია ჭავჭავაძის შემოქმედების, განსაკუთრებით მისი ეკონომიკური დოქტრინის ნაწილობრივ მაინც წარმოჩენა ცივილიზებული ქვეყნებისათვის, თორემ ამ ჩვენი აზრების სისწორეში მთელი მსოფლიო დარწმუნებოდა, რომ ილია მსოფლიო მარადფასეული კულტურული საგანძურის თვითმყოფადი ბურჯია. ამიტომაც ჩვენი ამოცანა დღენიადაგ უნდა იყოს, რომ ეს ბუმბერაზი შემოქმედი თავისი ეკონომიკური იდეოლოგიის მთელი პერიპეტიებით სხვა ერებსა და ხალხებსაც გავაცნოთ.

ილია ჭავჭავაძის აზრით, თანამედროვე სამყარო, მისი შემდგენელი ნაწილები ისე მჭიდროდაა ერთამანეთთან დაკავშირებული, ისეა ურთიერთგადაჯაჭვული, რომ ერთი ქვეყნის ჭეშმარიტი სარგებლობა იმაზეა დამყარებული, რომ მეორეც, სხვებიც კარგად იყვნენ. ქვეყანა მით უფრო მეტ სარგებელს ნახავს თვითონ, რაც უფრო მეტ სიკეთეს მოუტანს სხვებს. აღსანიშნავია, რომ იგი მსოფლიოს ყველაზე უფრო განვითარებული ქვეყნის, ინგლისის "სარგებლობას", მის "კარგად ყოფნას" დამოუკიდებლად, ცალკე აღებულად კი არ განიხილავს, არამედ რეგიონულ, გლობალურ კონტექსტში. ასევე უდგება იგი საქართველოსაც. 1879 წლის იანვრის შინაურ მიმოხილვაში, ეხებოდა რა რუსეთისა და ინგლისის მეტოქეობას აზიაში "მფლობელობისათვის", ავტორი ერის საყოველთაო კეთილდღეობას მსოფლიო მასშტაბით განიხილავდა და შენიშნავდა, რომ ინგლისი "ეცდება ძალაუნებურად იმათ კარგამყოფობასაც, ვინც მას აზიაში ბინადრად დახვდება..." – და დასძენდა: "აზია საერთოდ და ჩვენ თითონ საკუთრივ ვართ საჭირონი არამც თუ ჩვენის თავისათვის მხოლოდ, არამედ სხვისთვისაც.

თუმცა ბევრი რამ შეიცვალა ქვეყნიერებაზედ ამ ხუთას-ექვსას წელიწადში, მაგრამ ეს მიწისყელი, რომელსაც კავკასიას ეძახიან, რომელიც აზიისა და ევროპის კარად ყოფილა უწინ და რომლის დაპყრობისათვის ბევრი სხვადასხვა ხალხის სისხლი დაღვრილა, მაინც ისევ კარად დარჩა და ხალხთა შორის შუღლისა და ცილების მიზეზად იქნება კიდეც".

ილია ჭავჭავაძის ლიბერტარიანული ეკონომიკური ფილოსოფია ერის ფუნდამენტური, მატერიალური ინტერესების ხორცშესხმას ემსახურება, ვინაიდან, როგორც ილია მიიჩნევდა, თავისუფალი გაცვლის პირობებში, როცა საქონელი არ არის ფასაწეული ბაჟის ან რაიმე სხვა ფორმალობის გამო, ის ყველასათვის ადვილად ხელმისაწვდომია. ადამიანი კი ეკონომიკურად მით უფრო ბედნიერია, რაც უფრო სრულად, ადვილად და გაჭირვების გარეშე იკმაყოფილებს თავის გონივრულ მოთხოვნილებებს. გვიხსნიდა რა "ფრიტრედერობას", ილია ჭავჭავაძე ამბობდა: "ფრიტრედერობა წარმომდგარია ინგლისურის სიტყვისაგან ფრეე ტრადე და სიტყვა-სიტყვით რომ ითარგმნოს, ჰნიშნავს: აღებ-მიცემობის თავისუფლებასა, იმაში მდგომარეობს, რომ სააღებ-მიცემო საქონელი, შინაური თუ გარედამ შემოსული, ყოველის ბაჟისა და გადასახადისაგან დახსნილი იყოს და არა რომელი მესამე კანონმდებლობისაგან შეხუთული არ უნდა იქმნას. ეს მოძღვრება იმაზეა დაფუძნებული, რომ თავისუფლად მოარული საქონელი, არ-შეხუთული არც ბაჟისა და არც რაიმე

ფორმალობისაგან, ყველასათვის ადვილად მოსაპოვებელია და მისაწვდენი, - ჯერ იმის გამო, რომ გახშირებულია, და მერე იაფია, რადგანაც ბაჟისა და ან რაიმე შევიწროებისაგან განგებ ფასაწეული არ არის. მართალიც არის. ბაჟი, დიდია თუ მცირე. განგებ ზედშეკეცილი გადასახადია, და რამოდენადაც იგი დიდია, იმოდენად განგებ აძვირებს საქონელსა დაამ გზით საქონლის ფასი, რომელიც თავის საკუთარის არსების კანონებისაგან განისაზღვრება და დაიდგინება ხოლმე, ბაჟისა და სხვა რაიმე შევიწროების მეტნაკლებობასაც უნდა ექვემდებარებოდეს და ეკითხებოდეს. სახელმწიფო, რომლის მიზეზი და საბუთი არსებობისა სხვა არ არის რა, თუ არ მკვიდრთა კეთილდღეობისათვის მზრუნველობა, უნდა იმასა ჰცდილობდესო, ამბობენ ფრიტრედერობის მომხრენი, რომ ცხოვრებისათვის საჭირო საქონელი ადვილად და იაფად მოსაპოვებელი იყოს ყოველის მკვიდრისათვისო, რადგანაც მკვიდრი კაცი მით უფრო ეკონომიურად ბედნიერია, რამოდენადაც უფრო სავსედ, უფრო მთლად ჰშოულობს სარჩო-საბადებელსა და რამოდენადაც უფრო ბევრს საჭიროებას ცხოვრებისას იკმაყოფილებს ადვილად და გაუჭირებლადო". წერდა რა ამ სტრიქონებს, ილია ჭავჭავაძე აქვე მოიხსენიებდა აღნიშნული მოძღვრების შემქმნეკ დიდ მეცნიერებს ადამ სმიტს, "სახელოვან ინგლისელ პოლიტიკო-ეკონომს", რომელიც "მამამთავრად ითვლება საპოლიტიკო ეკონომიის მეცნიერების"; "სახელოვან ინგლისელებს კობდენსა და ბრაიტს";

ინგლისის "მთავარმინისტრს" რობერტ პილს, რომელმაც "1846 წელს გააუქმა პურზედ დადებული ბაჟი, პური სულ მთლად გაანთავისუფლა ბაჟისაგან ღარიბთა მცხოვრებთა საოხად და საკეთილდღეოდ"; "ამ მოძღვრებას მოსარჩელენი გამოუჩნდნენ არა მარტო ინგლისში, საფრანგეთშიც, ბევრი ცოტად თუ ბევრად სახელგანთქმულნი მეცნიერნი მიემხრნენ ამ მოძღვრებასა, მაგალითებრ, ბასტია, შევალიე, გარნიე პაჟეს და სხვანი". როგორც ავტორი აქვე დასძენდა:"დროთა მიმავლობაში ამ მოძღვრებამ ისეთი სახელი გაითქვა, რომ ერთაშორისმა კანონმდებლობამაც კი შეიწყნარა და სათავედ დაუდვა ყოველს თვისმოქმედებასა. ამ მოძღვრების საფუძვლად შესდგა 1861 წ. აღებ-მიცემობის კონვენცია (ხელშეკრულება) ინგლისსა და საფრანგეთს შორის და 1865 წ. გერმანიასა და საფრანგეთს შორის".

ილია ჭავჭავაძე მიუთითებდა, რომ მიწათმოქმედების, საფაბრიკო და საქარხნო წარმოების გასაძლიერებლად ***ჩვენ გვჭირდება დავაგროვოთ "საჭირო ცოდნა და გამოცდილება", აუცილებელია სხვამ არ დაგვასწროს და ჩვენ თვითონ დავიკავოთ ჩვენი "ნიში" – "მოცლილი და სხვისგან დაუჭერელი ადგილი". ეს იყო და არის ყველაზე უმთავრესი გზა, ეპოქის მთავარი მოთხოვნა***. სწორედ ამიტომ, ერის მამამ არ მოიწონა გერმანელი კაპიტალისტის მეისნერის მიერ განსახორციელებელი ინვესტიციები საქართველოში, რადგან მისი ამხანაგობის მონოპოლიზებული საქმიანობა ჩვენ ხალხს გააჩანაგებდა და არსებობის საფუძვლებს გამოაცლიდა. ავტორი ქვეყნის ეკონომიკის დაწინაურებისათვის მიზანშეწონილად მიიჩნევდა შრომის ნაყოფიერების გადიდებას და სოფლის მეურნეობრივი სპეციალიზაციის გონივრულ გაღრმავებას. ილია "თვითარსებობისა" და "თვითგანვითარებისაკენ" მოგვიწოდებდა და მიუთითებდა, რომ ყოველ სამეურნეო ოპერაციას თავისი შემოსავალი, "ხეირი" მოაქვს. ამიტომ რაც უფრო მეტ ოპერაციებს შეასრულებ შენ თვითონ, როგორც ქვეყანა, ყველა მისი შემოსავალიც პირადად დაგრჩება.

ილია ჭავჭავაძე გამოკვეთილად აყალიბებს თავის აზრს იმის თაობაზედ, რომ მეისნერის პროექტის განხორციელების შედეგად ჩვენი ხალხი არსებობის მთავარი საფუძვლის, მიწის გარეშე დარჩებოდა, რომ ერთეულების გამდიდრების საწინააღმდეგო მას არაფერი ჰქონდა, მაგრამ დიდად სამწუხაროა, რომ ამასთან ერთად "ცხოვრეის სახსარი აკლდება ხალხს"–ო. კერძოდ იგი წერდა: "ბ-ნ ელიოზოვისა და იოსელიანის შიშს, რომ ამხანაგობა მიწასაც ხელიდამ გამოგვაცლოსო, საყურადღებო და ძნელად დასარღვევი საბუთი აქვს აი ამ საგანზედ რა სთქვა 1845 წ. პარლამენტში ეხლანდელმა პირველმა მინისტრმა ინგლისისამ გლადსტონმა, რომელსაც, როგორც ფინანსისტს, თითქმის ცალი არა ჰყავს

მთელს ქვეყნიერობაზედ: "ერთი ყველაზედ სამწუხარო ამბავი ჩვენი ქვეყნის (ესე იგი ინ-გლისის) ყოფაცხოვრებისა იმაში მდგომარეობს, რომ რამოდენნადაც ძლიერ ბევრდება უმაღლეს წოდებათა ხელში სიმდიდრე და იზრდება ჩვენს ქვეყანაში კაპიტალი, იმოდენად ცხოვრების სახსარი აკლდება ხალხს, იმოდენად ნაკლებულობა და სიღატაკე მატულობს მუშა-ხალხს შორისო". სწორედ ასეთი პრინციპების დაცვით უნდა ვიდგებოდეთ უცხოური ინვესტიციების შემოსავალს საქართველოში ამჟამადაც.

ილია ჭავჭავაძე მიიჩნევდა, რომ ქვეყანამ ისე უნდა გამოიყენოს თავისი აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობანი, მისი ეკონომიკის მდგრადობას საფრთხე არ დაემუქროს და ხალხისთვის, არსებობისთვის საჭირო სახსრები ადვილად და იაფად მოსაპოვებელი გახადოს. ასეთი ნააზრევი ყოველი ხელისუფლებისაგან დიდ დაკვირვებას მოითხოვს. გლობალიზაციის, ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის, საყოველთაოდ განვცობის პირობებში აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობების ზომის ზუსტად მიგნება, განვითარების მისაღწევად, მისი გონივრული ერის საერთო ინტერესების დაცვით გადაწყვეტა, ხელისუფლების, საზოგადოების ყველაზე პრიორიტეტული, საყოველდღეო ამოცანაა.

ილია ჭავჭავაძემ ერთი საუკუნის წინათ, 1897 წლის 31 დეკემბერს, ქართველი ხალხის მიერ ორი ათასი წლის მანძილზე განუწყვეტელი ბრძოლების, ომებისა და სისხლის ღვრის შედეგად განვლილი გადარჩენის გზა გაანალიზა. ჰკვირობდა ერის მამა: რამ გაგვაძლებინა, როგორ გადავრჩოთო? პასუხსაც ჩასწვდა და ამოიცნო, რომ საქართველო ორმა დიდმა საიდუმლომ გადაარჩინა. ***ჩვენი გადარჩენის პირველი დიდი საიდუმლო ის არის, რომ ჭეშმარიტ პატრიოტიზმს მუდამ თან ახლდა ნამდვილი პროფესიონალიზმი***. ამის შესახებ ილია ჭავჭავაძე წერს: "ყველა ეს შევძელით და საკითხავად საჭიროა, - რომ შეგვაძლებინა? რამ გვიხსნა? ჯვარცმულნი ქრისტესთვის როგორ გადავრჩით? წამებულნი და სისხლმთხეველნი მამულისათვის რამდა გვაცოცხლა, რამ გვასულიერა? მან, რომ ვიცოდით - იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე, მისი ფარ-ხმალი. ვაქკაცობა უნდოდა, ვაქკაცნი ვიყავით. ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით. ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი, რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხნა, რამ შეგვინახა!... იმ დროთა ჩარხზე გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამჭედურში ნაჭედნი. "სილბო გვქონდა ნაქსოვისა" – ვით ქრისტიანებს "და სიმტკიცე ნაჭედისა" – ვით მეომრებსა და მამულიშვილებს. ამით გავიტანეთ თავი, დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯელობა...

ძველი საქართველოს გადარჩენის მეორე დიდი საიდუმლო, არის მისი ეკონომიკური წყობა. ილია ჭავჭავაძე კონკრეტულად ახასიათებს ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის საიდუმლოს. კერძოდ იგი წერს: "ჩვენა გვგონია, სიკეთე ჩვენის ეკონომიურის აგებულებისა და წყობისა იმაში ყოფილა, რომ მიწა, ესე იგი მამულ-დედული, ცოტად თუ ბევრად უფრო სამართლიანად მორრიგებული ყოფილა ჩვენს ხალხშიი, ვიდრე სადმე სხვაგან, საკვირველია, რომ დღეს-აქომამდე უმამულო, უბინაო კაცი ჩვენში თითქმის არსად არ მოიძევება.

ამისთანა წყობამ მიჰმართა უსათუოდ ჩვენი ხალხი მიწათმოქმედებას, რომელიც უფრო დაუშრომელი და მკვიდრი წყაროა ხალხისა და ქვეყნის საზრდოებისათვის, ვიდრე სხვა რამ. ხსნა ჩვენი ქვეყნისა ამ წყობაში უნდა ყოფილიყო...

აქედან ცხადია, ჩვენი მეფეები რას უნდა გაჰფრთხილებოდნენ. როგორც ეტყობა, უფრთხილდებოდნენ კიდეც, თუ არ მეფენი, თითონ ხალხი მაინცა. ეს იქიდამა სჩანს, რომ ჩვეულებამ ფრთა შეაკვეცა საკომლო განვითარებას, რადგან ყველგან საკომლო განსაზღვრული იყო ზოგან ოცის დღიურითა, ზოგან ორმოცის დღიურითა, მამულების ნოყიერებისა გვარად. ასე რომ ერთს კომლს სოფელში ჩვეულებით დადგენილზედ მეტი არ შეეძლო მამულები დაეჭირა. ტყისა და მინდვრის განსაკუთრება ხომ ყოვლად შეუძლებელი იყო და დღესაც აქამომდე ჩვენის ხალხის გონებაში ვერა თავსდება ის აზრი, რომ ტყე და

მინდორი საკუთრება იყოს ვისიმე და არა სამსოფლო.” ასეთია საქართველოს გაარჩენის “საიდუმლოებანი”, რომლის დაცვა თანამედროვე გლობალიზაციის პროცესშიც აუცილებელია. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ***ქართველმა ხალხმა იცოდა, თუ სად უნდა მოეძებნა მისი გადარჩენის გზები, ცხოვრების აზრი.***

როგორც ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, ***ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის უმთავრესი აზრი*** ის არის, რასაც ჩვენ “ხიზნობას” ვუწოდებთ და ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ” “ხიზნობა იმისთანა მიწათ-მფლობელობაა, რომელიც არც საკუთრებაა, არც იჯარა და ერთისა და მეორის შუა კი დგას, როგორც განსაკუთრებული, ერთგვარი, თავისებური სახე მიწათმფლობელობისა”. ასეთი ურთიერთობის დროს მიწის დამქირავებლებს შეეძლო მიწა ჰქონოდა თავის სარგებლობაში და მფლობელობაში სამუდამოდ, ასევე გადაეცა თავისი შთამომავლებისათვის, თუმცა, მისი გაყიდვის უფლება მას არ ჰქონდა, რადგან მიწის სრული მესაკუთრე არ იყო. ვფიქრობთ, ეს ფორმა დღესაც დიდ სარგებლობას მოიუტანს ქვეყანას, რათა თავისი რესურსები ხალხს მოახმაროს უკლებლივ და სრულად.

ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური მიდგომებიდან ჩვენი ეპოქისათვის უმნიშვნელოვანესია აგრეთვე, რომ მის მიერ ***ყველაფერი, ყოველგვარი მოვლენა ფარდობითობაში ანუ რეალტივურობაში განიხილება.*** მისი მთავარი დამახასიათებელი კონკრეტული თავისებურება ის არის, რომ ილია ყველაფერს საკუთარი ქვეყნისადმი, მისი ადგილის (გეოსტრატეგიული მდგომარეობა), გარემო პირობების და ისტორიული ვითარების (დროის) ნიშნით, მასზე დამოკიდებულების მიხედვით განიხილავდა. მისი თეორია ეკონომიკურ ცხოვრებას წარმოგვიდგენს არა როგორც მოვლენათა, არამედ როგორც თანაფარდობის გაგებას (ახსნას). თავის თხზულებებში ილია სულ ამ თანაფარდობის დადგენის ძიებაშია:

დღენიადაგ ცდილობს დაადგინოს ოპტიმალური, ჭეშმარიტი თანაფარდობა, საკუთრების ფორმებს, მის ორ უმთავრეს, კერძო და საზოგადო ფორმას შორის; მიიჩნევს, რომ საკუთრების ამ ორ ფორმას შორის ისეთი თანაფარდობაა უკეთესი, როდესაც შრომა არის თავისუფალი როგორც დროში, ასევე სივრცეში.

ხსნის ზოგადკაცობრიული და ეროვნული ეკონომიკური იდეალების თანაფარდობას (საზომის, “საწყაოს”, “სტანდარტის” ჩამოყალიბებას). კრიტერიუმად მიიჩნევს “ზოგადსაკაცობრიულს”, რომელიც თავისი მნიშვნელობით, მსოფლიო ღირებულებამდე (ყველასთვის მნიშვნელოვანი, ერთნაირად სარგებლობის მომტანი) ამაღლებული “ეროვნული ღირებულებაა”.

კლასიკურად განიხილავს საერთო ეროვნული და რეგიონული ინტერესების თანაფარდობას; მიიჩნევს, რომ საერთო ეროვნულ დონეზე უნდა განიხილებოდეს “საყოველთაო კანონმდებლობის წარმოება” ანუ საერთო კანონშემოქმედებითი საქმიანობა, “საერთო შემოსავალ-გასავალი” ანუ ქვეყნის ფინანსები და “საყოველთაო მხედრობის დაწყობილობა” ანუ ქვეყნის თავდაცვა, ყველა დანარჩენი საკითხი კი ადგილზე უნდა წყდებოდესო.

ქვეყნის განვითარებისთვის უცილობელ პირობად ჭეშმარიტი ადგილობრივი მმართველობის დამკვიდრებას, ადგილობრივი სახელმწიფო მმართველობისა და თვითმმართველობის ოპტიმალურ გამიჯვნას მოითხოვს “ევროპული გამოცდილების” გათვალისწინებით.

ასაბუთებს ფრიტრედერული (ლიბერალური, ღია) და პროტექციონისტული საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის თანაფარდობას, ქვეყნის “თვითარსებობისა” და “თვითგანვითარების” უზრუნველსაყოფად და სხვა მრავალი.

სწორედ ასეთი თანაფარდობის დადგენის საფუძველზე მიიჩნევს ილია შესაძლებლად ***ჭეშმარიტი, ოპტიმალური, მთელი საზოგადოებისთვის მისაღები ურთიერთობების ჩამოყალიბებას.*** ეს კი უნივერსალურ მეთოდს წარმოადგენს ზოგადკაცობრიული და ეროვნული ღირებულებების ოპტიმალური სინთეზის მისაგნებად, ჩვენი “მე”-ს, “ადგილობრივი

წვრილმანების", ტრადიციების და ზნე-ჩვეულებათა შენარჩუნების გზით საერთო წინსვლის მისაღწევად. ყოველივე ზემო აღნიშნულს, თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში თვითოეული ქვეყნისთვის ფასდაუდებელი, გამოყენებითი დანიშნულება აქვს.

დანართი ა

"თვლა თუმცა მაგრე-რიგად არ იცოდა. . . ანგარიში ძნელად შეეშლებოდა"

"(ოთარაანთ ქვრივი) გაჰყიდდა ღვინოსა და მომეტებულს პურს თუ არა, ფულს ხუთ ნაწილად ჰყოფდა და ხუთ რიგად ინახავდა. ამისათვის ნაჭრებისაგან ჭრელი ქისები ჰქონდა, ჩანთასავით შეკერილები. ერთს ამისთანა ქისას "საჭირნახულოს" ეძახდა და შიგ ინახავდა სახარჯოს პურისა და ქერების სამკალად, მოსაზიდად სალეწად. მეორე ქისას "ბარაქალა ქისას" ეძახდა. ამაში ინახავდა სახარჯოს ვენახის სამუშაოსათვის. მესამე ქისას "საჯანაბო" ერქვა. ამაში ინახავდა ფოსტის ფულსა და საბეგრისას, თუ ვინიცობაა სოფელი ოდესმე შეაწერდა. მეოთხე ქისაში ინახავდა მოჯამაგირის საჯამაგირო ფულსა. ამ ქისას ეძახდა: "მიეცი და მოგეცესო". მეხუთე ქისაში ჰქონდა საშინაო სახარჯო და ღარიბთა გასაკითხი ფული. ამ მეხუთე ქისას ოთარაანთ ქვრივი ხან "ფარსიღას ქარვასლას" ეძახდა, ხან "შიოს მარანსა".

თვლა თუმცა მაგრე-რიგად არ იცოდა და ხშირად კენჭებს მოიშველიებდა ხოლმე, როცა უამისოდ დათვლა უჭირდებოდა, მაგრამ ანგარიში ძნელად შეეშლებოდა. პირველს ოთხს ქისაში იმდენს ჩააწყობდა, რამდენიც საჭირო იყო და ძალიან იშვიათად მომხდარა - ანგარიში არევოდეს. რაც პირველს ოთხს ქისას გადარჩებოდა, ყველას მეხუთე ქისაში დაუთვლელად ჩაჰყრიდა და, მინამ გამოილევოდა, დაუთვლელადვე ჰხარჯავდა."

ილია ჭავჭავაძე

დანართი ბ

ეკონომიკური აზროვნების ისტორიიდან: ფუძემდებელი მამები

ანტიკური ხანის მოაზროვნეთათვის, ისე როგორც ადრეული შუა საუკუნეებისათვის, "საოჯახო მეურნეობის მართვა" ჯერ კიდევ არ იყო ცალკე, დამოუკიდებული კვლევის საგანი, ფასებისა და შემოსავლების პრობლემას ისინი განიხილავდნენ წმინდა ზოგადფილოსოფიური მორალისა და თავიანთი ეპოქის ეთიკის პოზიციიდან. მაგალითად, ძველი ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე მეურნეობის და ადამიანთა საქმიანობის ყველა სახეობას მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობიდან დაწყებული სახელოსნო წარმოებამდე და ვაჭრობამდე, იგი მიაკუთვნებს ორიდან ერთ-ერთ სფეროს - ბუნებრივს (ეკონომიკა) და არაბუნებრივს (ქრემატისტიკა). პირველი მათგანი წარმოდგენილიას მიწათმოქმედებით, ხელოსნობით და წვრილი ვაჭრობით და მას მხარი უნდა დაუჭიროს სახელმწიფომ, რამდენადაც მისი რგოლები ხელს უწყობერბ მოსახლეობის საარსებო მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. მეორე კი ემყარება არაპატიოსან მსხვილ სავაწრო, საშუამავლო და სავახშო ოპერაციებს, რომლებიც ტარდება უსაზღვრო და ანგარებიანი მიზნების მისაღწევად, რომლის არსიქონების დაგროვების ხელოვნებაა, ე.ი. სულ უფრო "მეტი ფულის დაუფლება". არისტოტელე დადებითად აფასებდა ეკონომიკას, როგორც სახსრების განაწილების ცოდნას საოჯახო მეურნეობის ფარგლებში, მაგრამ მწვავედ აკრიტიკებდა - მოგების ამოღების მიზნით ნებისმიერ საქმიანობას - ე.წ. ქრემატისტიკას.

ის, რასაც საქმიანონს ყველა თანამედროვე ბანკი - ფულის გასესხება პროცენტზე - დღეს ითვლება ნორმალურად, ხშირად საპატიო საქმიანობად. თუმცა, ძველად მევახშეობა სამარცხვინო იყო. შუა საუკუნეებში კი ეკლესიის მიერ იგი გამოცხადებული იყო საშინელ

ცოდვად. XIII და XIV საუკუნეების საეკლესიო ტაძრები მევახშეებს საზოგადოებისაგან გარიყულად აცხადებდნენ. გაძევებით მუქარით ქრისტიანს ეკრძალებოდა მევახშესათვის სახლის არენდით გადაცემა. მევახშის ნებისმიერი თანამზრახველი შეიძლებოდა ეჭვმიტანილი გამხდარიყო მწვალებლობაში. ასეთი გარემოება, ბუნებრივია, ხელს არ უწყობდა ეკონომიკური ცოდნის გაფურჩქვნას, თუმცა მაშინ არც იდგა დღის წესრიგში ეს საკითხი. მიუხედავად ქალაქების განვითარებისა, იმ დროში წარმოების საფუძველს წარმოადგენდა ნატურალური თვითუზრუნველყოფაზე დამყარებული საოჯახო მეურნეობა.

მხოლოდ შრომის დანაწილება და ბაზრის საშუალებით მწარმოებელთა შორის ურთიერთკავშირის დამყარება, ანუ ყიდვა-გაყიდვის აქტები გახდა მიზეზი ადამიანების წინაშე ძნელი კითხვის წამოჭრისა: როგორ მუშაობს საბაზრო სისტემა? ამ კითხვაზე პასუხი მიგვიანებით იქნა ნაპოვნი.

მე-15 საუკუნის შუა ხანებიდან, სამი საუკუნის განმავლობაში ევროპის ქვეყნებში ბატონობდა ეკონომიკური თეორია - მერკანტილიზმი. ეს იყო დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქა, რომლის შედეგად ევროპამ გაიცნო აღმოსავლეთის ეგზოტიკური საქონელი და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, იპოვა მისასვლელი გზა დიდი რაოდენობის ძვირფას მეტალებთან - ახალი სამყაროს ოქროსა და ვერცხლთან. დაიწყო სავაჭრო კაპიტალის გაფურჩქვნა და ეკონომუკური ცხოვრების მთავარი მოქმედი გმირი გახდა ვაჭარი. სწორედ მის მსოფლმხედველობას ასახავდა მერკანტილიზმი. იტალიური სიტყვა "merkante" ნიშნავს ვაჭარს.

ვაჭრის სიმდიდრე იზომებოდა მის მიერ დაგროვილი ოქროსა და ვერცხლის რაოდენობით. "ოქრო დადებული ნივთია, - ამბობდა ჯერ კიდევ ქრისტეფორე კოლუმბი - ის ვინც მას ფლობს, შეუძლია მიიღოს ყველაფერი რაც კი მოესურვება. ოქროს საშუალებით შეიძლება სულიც კი გავგზავნოთ სამოთხეში.' სწორედ ამ საზომის - ძვირფასი მეტალების დაგროვილი მარაგით დაიწყეს გაზომვა ქვეყნებისა და ერების სიმდიდრისა.

როგორ გავზარდოთ ერის სიმდიდრე? ადრეული მერკანტელისტების რეცეპტი ძალზე მარტივი იყო: ქვეყანამ, რაც შეიძლება, მეტი საქონელი უნდა გაყიდოს და ნაკლები იყიდოს. მაშინ ოქროს მარაგი წლიდან წლამდე დაგროვდება. გვიანჟამინდელი მერკანტელისტები რეკომენდაციებს იძლეოდნენ - ამისათვის განევითარებინათ სპეციალური საექსპორტო წარმოება, რათა გაზრდილიყო ქვეყნიდან საქონლის გატანა და სანაცვლოდ მიეღოთ მეტი ფული (ოქრო - თ.გ).

ფულის კულტთან ერთად საგარეო ვაჭრობაში "დაბადებულმა" მერკანტელიზმმა ბოლო მოუღო ეკონომიკისადმი ეთიკურ მიდგომას. სიმდიდრე აღარ ითვლებიდა ცოდვად და გადაიქცა კვლევის დამოუკიდებელ ობიექტად. თვით მერკანტელისტები პირველი ეკონომისტები გახდნენ. სასურველია გავეცნოთ მათ შორის ზოგიერთ გამოჩენილო ადამიანებს: საფრანგეთში - ანტუან დე მონკრეტიენი (დაახლოებით 1575-1621); იტალიაში - ნტონიო სერა (ცხოვრების ზუსტი თარიღები ცნობილი არაა); გერმანიაში - იოჰან იაჰიმ ბეხერი (1635-1682); ინგლისში - თომას მენი (1571-1641)დიდი რევოლუციის წინა პერიოდში ჩამოყალიბდა მერკანტელიზმისაგან მეტად განსხვავებული ეკონომიკური აზროვნების სკოლა, რომლის მომხრეები თავიანთ თავს მარტივად და მოკრძალებულად უწოდებდნენ - "ლეს ეკონომისტეს". შემდგომში ისტორიკოსებმა მათ მიანიჭეს მყვირალა სახელი - ფიზიოკრატები, რაც ნიშნავს "ბუნების ძალაუფლების მომხრეებს". სინამდვილეში მათი სწავლების ცენტრალური იდეა დაიყვანებოდა იმის მტკიცენაზე, რომ: "სოფლის მეურნეობა წარმოადგენს ყველა სახელმწიფოსა და ყველა მოქალაქის სიმდიდრის წყაროს"; ვაჭრები მხოლოდ ყიდულობენ და ყიდიან პროდუქტს და არაფერს მას არ უმატებენ; თვით სამრეწველო მუშებიც (მიმართავენ რა თავიანთ შრომას ბუნების პროდუქტებზე) არაფერს ახალს არ ქმნიან, არამედ ცვლიან ბუნებით მონიჭებულ სიკეთეს.

თუ მერკანტელისტები ეკონომიკას უყურებდნენ ვაჭარი-კაპიტალისტების თვალთახედვით, როგორც სიმდიდრის შექმნის პროცესს, ფიზიკრატები გამოდიოდნენ მი-

წათმფლობელების პოზიციიდან და მიიჩნევდნენ, რომ სიმდიდრის წყარო ვაჭრობა კი არ არის, არამედ სოფლის მეურნეობა. ბევრ მათგანს ეკავა მნიშვნელოვანი პოსტები სამეფო კარზე ან მთავრობაში. ფრანსუა კენე (1694-1774) იყო მადამ პომპადურის, ხოლო შემდეგ ლუდოვიკო XV-ის პირადი ექიმი. ანნ რომერ ჯაკ ტიურგო (1727-1781) გახდა ფინანსების გენერალური კონტროლიორი ლუდოვიკო XVI-ის დროს.

ეკონომიკური აზროვნების ისტორიაში ფიზიოკრატები შევიდნენ იმის მეოხებით, რომ მასში შეიტანეს დღემდე დაუვიწყარი ბუნებრივი კანონის თეორია. კენეს მიაჩნდა, რომ საზოგადოებას, ისე როგორც ბუნებას, მართავს ობიექტური, ბუნებრივი კანონები. მეფეების კანონები ასატანია მანამ, ვიდრე ისინი არ ეწინააღმდეგებიან ამ ბუნებრივ კანონებს. ამიტომ ყველაზე ბრძნული წესი, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ მმართველები, ესაა - "laissez faire, laissez passer" - ნება მოგვეცი ვიმოქმედოთ, ნება მოგვეცი მოხდეს", ანუ ნუ ჩაერევით მოვლენათა ბუნებრივ მიმდინარეობაში.

ეკონომიკური აზროვნების ორივე ადრეულმა სკოლამ თავისი წვლილი შეიტანა ეკონომიკური სინამდვილის გაგებაში. მაგრამ მათი მთავარი დამსახურება ის იყო, რომ მათ, ტერმინი "ეკონომიკა" მისი გამოგონებიდან ორი ათასწლეულის შემდეგ გაამდიდრეს კონკრეტული შინაარსით და განსაზღვრეს ეკონომიკური მეცნიერების საგანი: მათ მიერ მონიშნულ 'ტერიტორიაზე" აგებულ იქნა ამ მეცნიერული დისციპლინის "შენობა", რომელსაც საძირკველი ჩაუყარა ცნობილმა მეცნიერმა ადამ სმითმა (1723-1790).

სმითი დაიბადა შოტლანდიის პატარა ქალაქ კერკოლდში, ედინბურგის მახლობლად. დაამთავრა გლაზგოს უნივერსიტეტი და სწავლა გააგრძელა ოქსფორდში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ასწავლიდა ბუნებრივ სამართალს და ზნეობრივ ფილოსოფიას (ასე ეწოდებოდა მის დროს საზოგადოებრივ მეცნიერებათა ზოგად კურსს). გახდა რა ჰერცოგ ბაკლოს აღმზრდელი, სმიტმა მოაწყო სამწლიანი მოგზაურობა ევროპასი, სადაც გაიცნო თავისი დროის მრავალი გამოჩენილი მოაზროვნე.

1776 წლიდან იგი განმარტოვდა კერკოლდში და 10 წლის განმავლობაში იმუშავა წიგნზე, რომელმაც უკვდავყო მისი სახელი "გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ" გამოვიდა 1776 წელს.

თავისი სიცოცხლის ბოლო 12 წელი სმიტმა ედინბურგში გაატარა, სადაც შოტლანდიის საბაჟო კომისრის მეტად შემოსავლიანი თანამდებობა ეკავა. მიუხედავად იმისა, რომ უზრუნველყოფილი ადამიანი გახდა, მას არ შეუცვლია ჩვეული ცხოვრების წესი "ნამდვილი სწავლულისა". ჯერ კიდევ სიყმაწვილის წლებში მოიპოვა მან უცნაური ადამიანის რეპუტაცია, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ზოგჯერ ავიწყდებოდა ხოლმე გარშემომყოფნი და ლაპარაკობდა თავისთვის. მიუხედავად მსოფლიო აღიარებისა, სმიტი არ ბრწყინავდა სალონებში და ვერ მიეჩვია ფრანგულად რიგიან ლაპარაკს.

თავისი ცხოვრების წიგნის დაწერამდე დიდი ხნით ადრე ა. სმიტმა მარტივად და მკაფიოდ ჩამოაყალიბა მისი მთავარი იდეა: "იმისათვის, რათა სახელმწიფო ავიყვანოთ ბარბაროსობის სულ ქვედა საფეხურიდან კეთილდღეობის უმაღლეს საფეხურამდე, საჭიროა მხოლოდ მშვიდობა, მსუბუქი გადასახადები და მოთმინება მართვაში; ყველა დანარჩენს მიეცემა ბუნებრივი სვლა".

სმიტს მიაჩნდა, რომ ყოველი ცალკეული ადამიანი თავისი ბუნებით ეგოისტია, რომელიც ზრუნავს პირველ რიგში თავის წარმატებაზე და არა თავისი ახლობლებისა და, მით უმეტეს, მთელი საზოგადოების სიკეთეზე. მაგრამ თუ თითოეულ ეგოისტ-მეწარმეს მივცემთ ეკონომიკურ თავისუფლებას, ანუ თავისუფლებას - იზრუნოს თავისი ანგარებითი მიზნებისათვის, მაშინ იგი სტიქიურად შეეცდება აწარმოოს მეტი საქონელი და ეს გააკეთოს რაც შეიძლება მეტად იაფად. ამით მოიგებს არა მარტო მეწარმე, არამედ გარშემომყოფიც - "ამ შემთხვევაში, ისე როგორც ბევრ სხვაშიც, იგი უხილავი ხელით გაემართება მიზნისაკენ, რომელიც სრულებითაც არ შედიოდა მის განზრახვაში". "უხილავი ხელი" ანუ

“მოვლენათა ბუნებრივი სვლა” სწორედ იმ ობიექტური ეკონომიკური კანონების შედეგია, რომლებიც მოქმედებენ ცალკეულ ადამიანთა სურვილისაგან დამოუკიდებლად.

სმიტმა თავის ზემოთ ხსენებულ ნაშრომში არა მარტო დაასაბუთა ბუნებრივი, ანუ ობიექტური ეკონომიკური კანონის იდეა, არამედ შეიმუშავა მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი, დაწყებული საქონლის ღირებულებიდან (მის წარმოებაზე დახარჯული შრომით გამოხატული) და დამთავრებული სახელმწიფო პოლიტიკითა და დაბეგვრის პრინციპებით.

ორ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში სმიტის წიგნი წარმოადგენდა იმ სხვადასხვა იდეებისა და თეორიების წყაროს, რასაც შეიმუშავებდნენ როგორც მისი მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგენიც.

დანართი ბ
ეკონომიკური მეცნიერების განვითარება საქართველოში

ეკონომიკური მეცნიერებას საქართველოში საუკუნეთა სიღრმეში აქვს ფესვები გადგმული. ძვ. წ. VI-VII სს. კოლხეთის სამეფოში განვითარებული იყო სოფლის მეურნეობა და ხელოსნობა, იჭრებოდა “კოლხური თეთრი”. შემდეგ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია “იბერიის” სამეფომ, რომელსაც სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდათ როგორც მეზობელ, ისე შორეულ ქვეყნებთანაც. ქართულ ისტორიულ, ლიტერატურულ, ფილოსოფიურ თუ თეოლოგიურ წყროებში მოცემულია საინტერესო მოსაზრებები ეკონომიკური მეცნიერების სხვადასხვა სფეროდან.

საყურადღებო ეკონომიკური მოსაზრებები ჩამოყალიბდა ფეოდალურ საქართველოში, რომელთა მსგავსი იდეები საფუძვლად დაედო მერკანტილისტური, ფიზიოკრატული და სხვა ეკონომიკური დოქტრინების შექმნა-განვითარებას. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს შემდეგი ძეგლები:

“ვეფხის ტყაოსანი” (XII ს). მასში ჩანს ეკონომიკური აზროვნების მაღალი დონე, განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ იკვეთება მერკანტილიზმის ეკონომიკური დოქტრინები, საუკუნეებით ადრე, ვიდრე ჩამოყალიბდებოდა მერკანტილიზმი.

ბექასა და აღბუღას “სამართლის წიგნი” (XIV-XV სს.) იგი ასევე მნიშვნელოვანი წყაროა მერკანტილიზმის მკვლევარებისათვის, რომელიც აგრეთვე შეიცავს თანამედროვეობისათვის აქტუალურ საკითხებს ზოგზდად მეურნეობის, კერძოდ, სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და ფინანსური ურთიერთობების მართვის საკითხებს.

გიორგი ბრწყინვალეს “ხელმწიფის კარის გარიგება” (XIV ს). მასში ჩანს, რომ სავაჭრო საქმიანობა მოექცა “ფინანსთა მინისტრის” გამგებლობაში, რაც მერკანტილიზმის მსგავსად ნიშნავდა ფეოდალური მონარქიის მხრიდან ვაჭრობისადმი მხარდაჭერას, ასევე მასში იკვეთება სახელმწიფო-ფინანსური საქმიანობის სამართლებრივი რეგულირებისაკენ სწრაფვა.

ვახუშტი ბაგრატიონის “აღწერა სამეფოსა საქართველოსა” (XVIII ს). ამ კაპიტალურ ნაშრომში ღრმადაა გამოკვლეული საქართველოს ბუნებრივი რესურსები და ეკონომიკური პოტენციალი. “კლასიკოსების ” მსგავსად, პირველ რიგში, მოითხოვება წარმოების , შემდეგ კი ვაჭრობის განვითარებას.

ვახტანგ მეექვსის “სამართალი” (1705-1708 წწ.). იგი საინტერესო მოსაზრებებს შეიცავს ვალის, სარგებლის განაკვეთისა და სხვათა შესახებ., მის “დასტურლამალში” გამოყენებული ეკონომიკური ტერმინები (გამოსაღები, ზარაფი, ბაჟი და სხვ.) დღესაც აქტუალურია.

იოანე ბატონიშვილის “კალმასობა” (XVIII ს. ბოლოს). ეკონომიკური თვალსაზრისით, გამოთქმულია მერკანტილისტური შეხედულებები, რომ ვაჭრობის განვითარება უზრუნველყოფს როგორც ქალაქების განვითარებას, ისე ქვეყნის გამდიდრებას.

სულხან-საბა ორბელიანის შეხედულებები (XVII ს.). იგი ერთის მხრივ, შესაბამისობაშია ფიზიოკრატულ იდეებთან (რომელიც ჩამოყალიბდა მე-18 საუკუნის 50-იან წლებში), მეორე მხრივ კი ახლოა კლასიკოსთა მოსაზრებებთან.

ალექსანდრე ამილახვარის შეხედულებები (XVIII ს.). შეიცავს მერკანტილისტურ შეხედულებებს, მაგრამ ნაწილობრივ, ამავე დროს, კლასიკურ, მათ შორის, ფიზიოკრატიულ იდეებსაც ესადაგება.

მე-19 საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც ფეოდალურ შეზღუდულობასთან ბრძოლაში "თერგდალეულები" ჩაერთვნენ ("პირველი დასის" ჯგუფი ილია ჭავწავაძის მეთაურობით), რომლებიც ეკონომიკური ხასიათის ნაწარმოებებს ბეჭდავდნენ, ბატონყმურ უფლებას აკრიტიკებდნენ და თავისუფალ მეწარმეობას იცავდნენ. ეკონომიკური ხასიათის ნაშრომებს აქვეყნებდნენ, ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, ივანე მაჩაბელი და სხვები. მათ შრომებში რომლებიც ეძღვნებოდა პოლიტიკური ეკონომიის, სტატისტიკის, კრედიტის, ფინანსების პრობლემებს, დასავლეთევროპელი და პროგრესულად მოაზროვნე რუსი ეკონომისტების იდეები ვრცელდებოდა.

ილია ჭავჭავაძემ საფუძველი ჩაუყარა „საეროთო ნიადაგის თეორიას", ჩამოაყალიბა ლიბერალიზმის საკუთარი დოქტრინა, ეკონომიკური ლიბერალიზმის ქართული ნაირსახეობის იდეოლოგია; შექმნა მოძღვრება ევროპული და სხვა ქვეყნების ცივილიზებული ღირებულებებისა და მოწინავე გამოცდილების საქართველოში გადმოტანის შესახებ.

ნიკო ნიკოლაძემ დიდი წვლილი შეიტანა ევროპული ღირებულებების შესწავლასა და საქართველოში დანერგვის საქმეში, საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ფინანსების, მრეწველობისა და სხვა აქტუალური საკითხების თეორიულ კვლევებს.

ეკონომიკური მეცნიერების ჩამოყალიბება-განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებას**. თავდაპირველად ეკონომიკური საგნები ისწავლებოდა სიბრძნისნეტყველების ფაკულტეტზე, რომელთანაც ჩამოყალიბდა ეკონომიკის განყოფილება, რომლის ორგანიზატორებიც იყვნენ **ივ. ჯავახიშვილი და ფ. გოგიჩაიშვილი**. უნივერსიტეტის გახსნისთანავე ჩამოყალიბდა პოლიტეკონომიის კათედრა. მისი ფუძემდებელი და პირველი გამგე იყო პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი.

უნდა ითქვას, რომ საქართველოში ეკონომიკურმა შეხედულებებმა და კვლევებმა მეცნიერული ხასიათი **ივ. ჯავახიშვილისა და ფ. გოგიჩაიშვილის** ნაშრომებში მიიღო, რომელთა იდეებზე აღიზარდა მეცნიერ-ეკონომისტთა მთელი პლეადა.

ივ. ჯავახიშვილმა დიდი ღვაწლი დასდო ეკონომიკურ მეცნიერებათა განვითარებას. მან გამოაქვეყნა პირველი დიდი ეკონომიკური გამოკვლევები, შექმნა საქართველოს ეკონომიკური ისტორიის კურსი, გამოსცა წიგნი "ქართველი ერის ისტორია" და სხვ.

ფ. გოგიჩაიშვილიც ქართული ეკონომიკური მეცნიერების სათავეებთან იდგა. იგი იყო პირველი სწავლული ეკონომისტი, რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისში დაბრუნდა სამშობლოში დოქტორის ხარისხით. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აღრიცხვისა და სტატისტიკის განვითარების საქმეში. იგი ითვლება სტატისტიკისა და სტატისტიკური მეცნიერების ფუძემდებლად საქართველოში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის განყოფილებასა და შემდეგ კონომიკურ ფაკულტეტებზე არაერთი პროფესორი აღიზარდა რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარების საქმეში, კერძოდ: **გიორგი ადეიშვილი, ვალერიან ადვაძე, როზეტა ასათიანი, კლიმენტი აჩელაშვილი, ვალერიან ბახტაძე, იოსებ ბაჯაძე, ალექსანდრე ბაჯელიძე, სერგი ბერაძე, ბიკენტი გაბიძაშვილი, გია გამყრელიძე, გიორგი გეხტმანი, გიორგი გველესიანი, რევაზ გოგოხია, არჩილ გოკიელი, ივი გოშაძე, პაატა გუგუშვილი, გრიგოლ თოდუა, ნიკო იაშვილი, რევაზ კაკულია, პარმენ ლემონჯავა, გაბრიელ მეგრელიშვილი, გიორგი მშვილდაძე, ირაკლი მიქელაძე, გაიოზ ნადირაშვილი, ნუგზარ პაიჭაძე, გიორგი პაპავა,**

ვლადიმერ პაპავა(უფროსი) , ვლადიმერ პაპავა, ნიკო ტყეშელაშვილი, ოთარ საღარეიშვილი, ავთანდილ სილაგაძე, არჩილ ფანცხავა, შოთა ქისტაური, ნიკო ქოიავა, დიმიტრი ქორიძე, ვასილ ჩანტლაძე, პეტრე ჟრენტი, პავლე ჩაგელიშვილი, დავით ძნელაძე, გივი ჭანუყვაძე, თენგიზ ჭიაბრიშვილი, ლევან ხარაზი, გედეონ ხელაია, ნიჟა ხურციძე და სხვები.

ამჟამად ფაკულტეტზე წარმატებით მოღვაწეობენ: აკადემიკოსები ვლადიმერ პაპავა და ავთანდილ სილაგაძე; პროფესორები: იური ანანიაშვილი, თეიმურაზ ბერიძე, სიმონ გელაშვილი, ნუგზარ თოდუა, ირაკლი კოვზანაძე, ქეთევან მარშავა, მურთაზ მაღრაძე, იაშა მესხია, ელგუჯა მექვაბიშვილი, დავით ნარმანია, დემურ სიჭინავა, მირიან ტუხაშვილი, თეიმურაზ შენგელია, გიორგი ღაღანიძე, მიხეილ ჩიკვილაძე, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, ეთერ ხარაიშვილი და სხვები. საქართველოში საერთოდ მეცნიერების და მათ შორის, ეკონომიკური მეცნიერების განვითარების საქმეში უდიდესი როლი ითამაშა **საქართველოს მეცნიერებათა აკადემის შექმნამ(1941)**, სხვადასხვა პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებით. ეკონომიკური მეცნიერების განხრით აკადემიკოსები და წევრკორესპონდენტები არიან:

ირაკლი მიქელაძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (**1969 წ.**), პირველი ეკონომისტი აკადემიკოსი. მისი სამეცნიერო კვლევის ძირითადი სფეროა მრეწველობის ეკონომიკა. დიდი ღვაწლი მიუძღვის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის თეორიული და პრაქტიკული საკითხების დამუშავებაში. ძირითადი შრომები ეძღვნება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის სპეციალიზაციასა და კომპლექსურ განვითარებას.

პაატა გუგუშვილი , საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (**1974 წ.**). მას განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის პოლიტიკური ეკონომიის, საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზრის ისტორიის, სახალხო მეურნეობის განვითარების, დაგეგმვის, სოციოლოგიის, დემოგრაფიის, ბიბლიოლოგიის, ამიერკავკასიისა და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და სხვა საკითხების თეორიული და პრაქტიკული პრობლემების დამუშავებაში.

ვასილ ჩანტლაძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (**1979წ.**). მან, შოთა რუსთაველის და სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკურ შეხედულებათა ფუნდამენტური შესწავლის საფუძველზე დაასაბუთა, რომ ქართული თეორიული და გამოყენებითი ეკონომიკური აზრი მუდამ მხარს უბამდა მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს. დიდია მისი წვლილი ფინანსების თეორიისა და მე-19 საუკუნის რეფორმამდელი აღმოსავლეთ საქართველოს ფინანსების ისტორიის შესწავლაში.

ავთანდილ გუნია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (**1979 წ.**). მისი შრომები ეძღვნება ეკონომიკური ზრდის ტემპებისა და პროპორციების პრობლემებს. სიცოცხლის ბოლო წლებში აქტიურად მუშაობდა საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონცეფციაზე საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში, იკვლევდა აშშ-თან და სხვა ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებთან ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის პერსპექტივებს.

ვლადიმერ პაპავა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2013 წ.). განსაკუთრებულია მისი წვლილი ეკონომიკური თეორიის, ეკონომიკის მათემატიკური მოდელირების, მაკროეკონომიკის, ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის თეორიისა და საქართველოსა და კავკასიის ეკონომიკის საკითხების დამუშავებასა და შემოქმედებითად განვითარებაში. მან დაამუშავა ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის თეორია, რომელიც „ნეკროეკონომიკის" სახელითაა ცნობილი დარომელმაც ფართო აღიარება ჰპოვა მთელ მსოფლიოში.მან ასევე შექმნალაფერ-კეინზიანური სინთეზის საფუძვლები და ააგო "გადასახადების გარეშე ეკონომიკის" მოდელი, შეიმუშავა საგადასახადო კორუფციის ინდექსები და სხვა. მისი

ორიგინალური მოსაზრებები, როგორც სახელმძღვანელო დებულებები შეტანილია დიდი ბრიტანეთის, აშშ-სა და ევროპის ქვეყნების იმფაქტფაქტორიან გამოცემებსა და სახელმძღვანელოებში. მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში, მის პოპულარიზაციასა და საერთაშორისო სარბიელზე წარმოჩენაში ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე.

ავთანდილ სილაგაძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2013 წ.). მას განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიისა და პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის თეორიული და პრაქტიკული საკითხების დამუშავებაში. დიდია მისი წვლილი, როგორც ეროვნული ეკონომიკური დოქტრინების დამუშავებაში (ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე), ისე ინგლისურ ენაზე მათ გამოცემასა და საერთაშორისო საზოგადოებისათვის წარდგენასა და გაცნობაში. მან ასევე, 90-იანი წლების შუა ხანებში, პირველად საქართველოს ისტორიაში(პროფესორ ანზორ თოთაძესთან ერთად) გააანალიზა, დააჯგუფა და გამოსცა სრული სტატისტიკური მონაცემები საქართველოში გავრცელებული სახელებისა და გვარების შესახებ. მისი შრომები გამოცემულია აშშ-ში, გერმანიაში, შვედეთში, რუსეთში, რამდენიმე მათგანი საზღვარგარეთის ზოგიერთი უნივერსიტეტის, მათ შორის აშშ-ს, სასწავლო ლიტერატურის სიაშია შეტანილი.

ვალერიან მელქაძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი(1979), ეკონომიკურ მეცნიერებაში უახლესი მიმართულების - რეგიონული ეკონომიკის ერთ-ერთ ფუძემდებელია. მან, სსრკ-ის პირობებში, საქართველოს მაგალითზე პირველმა შეიმუშავა ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების მეთოდოლოგია და მეთოდიკა, რითაც საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის და მისი გამოყენების რეალური სურათი შექმნა.

ლეო ჩიქავა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტი(1997). მას დიდი წვლილი მიუძღვის ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს (მრეწველობა, მომსახურება და სხვ), ასევე დემოგრაფიული მეცნიერების მეთოდოლოგიური და გამოყენებითი პრობლემების საფუძვლიან დამუშავებასა და განვითარებაში.

ეკონომიკური მეცნიერების განვითარების საქმეში დადებითი როლი შეასრულა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ (1990 წ.). აგრარული მეურნეობის ეკონომიკური პრობლემების დამუშავებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ეკონომიკის დარგში აკადემიის ნამდვილი წევრების: პ. ჟღენტის, ა. კიკნაველიძის, რ. ანდღულაძის, ლ. მარშანიას, ვ. ბურკაძის, ნ. ჭითანავას, ა. ქარქაშაძის, ო. ქეშელაშვილის, თ. კუნჭულიას წევრ-კორესპონდენტების: პ. კოღუაშვილისა და გ. ნიკოლეიშვილის ნაშრომებმა.

განსაკუთრებულია ეკონომიკური მეცნიერების განვითარების საქმეში სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთა როლი:

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი (1944 წ.). მან ბევრჯერ შეიცვალა დასახელება და ამჟამად ეწოდება "თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი". ამჟამად ინსტიტუტის თემატიკა მოიცავს საბაზრო ეკონომიკის სრულყოფის თეორიული და გამოყენებითი ხასიათის პრობლემებს. ინსტიტუტის დამფუძნებელი და პირველი დირექტორი იყო აკადემიკოსი პ. გუგუშვილი, შემდეგ აკადემიკოსი ავთანდილ გუნია, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, პროფესორი გიორგი წერეთელი (მნიშვნელოვანია მისი წვლილი ეკონომიკურ-მათემატიკურ, ეკონომიკურ-ეკოლოგიურ და მაკროეკონომიკის პრობლემების დამუშავებაში), ამჟამად ინსტიტუტის დირექტორია პროფესორი რამაზ აბესაძე (მისი ნაშრომები ეძღვნება მრეწველობის, მაკროეკონომიკის, ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის ეკონომიკის, საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და განვითარების, ეკონომიკური განვითარებისა და

ეკონომიკური რეგრესის თეორიული და გამოყენებითი ხასიათის პრობლემებს). ინსტიტუტის სხვა თანამშრომლებიდან აღსანიშნავია პროფესორები: იოველ ასათიანი, ვალერიან ბახტაძე, იოსებ ბაჯაძე, გივი ბედიანაშვილი, სერგი ბერაძე, თეიმურაზ ბერიძე, ალექსანდრე ბრეგვაძე, მიხეილ გველესიანი, კირილე ღოღობერიძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, რევაზ გოგოხია, ვალერიან დათუკიშვილი, დურსუნ დიასამიძე, ამირან ჯიბუტი, მიხეილ ჯიბუტი, ნიკო იაშვილი, აკაკი კაკაბაძე, მიხეილ კახეთელიძე, ლუარსაბ კარბელაშვილი,აპოლონ ნუცუბიძე, თინათინ ქურდაძე, ნუნუ ქისტაური, დიმიტრი ქორიძე, პაატა ლეიაშვილი, ვალერიან მელქაძე, რომან მითაიშვილი, მიხეილ როკეტლიშვილი, არჩილ სტეფანიშვილი, ავთანდილ სულაბერიძე, უშანგი სამადაშვილი, ვასილ ჩანტლაძე, თამაზ ჩიკვაიძე, ლეო ჩიქავა, არჩილ თეთრაული, ნიკო ტყეშელაშვილი, მიხეილ თოქმაზიშვილი, თინათინ ჩხეიძე, რაფიელ ხარბედია, ბექირბი ხასია, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატები: რობერტ აბურჯანიძე, ოთარ ავალიშვილი, თამაზ აქუბარდია, ციალა ბენაშვილი, გია ბრეგვაძე, შალვა ბურდული, მერაბ გველესიანი, ლილი გვენეტაძე, ნატა დავლაშერიძე, ლინა დათუნაშვილი, გულნაზ ერქომაიშვილი, ბონდო ზარნაძე, ნუკრი ზაქარიაძ, ნაზირა კაკულია, ეთერ კაკულია, ბიძინა კელენჯერიძე, თემურ ყოჩიაშვილი, დავით კურტანიძე, ვალენტინა მიშინა, შურა მარგველაშვილი, მარინა მუჩიაშვილი, ვლადიმერ პაპავა(უფროსი), სერგო სოსელია, ზურაბ სოსელია, ნოდარ ულუმბერაშვილი, ნათია შიოლაშვილი, მარინა ცუცქირიძე, რომან ხარბედია, თენგიზ ხოშტარია და სხვები. ამჟამად ნაყოფიერი მუშაობით გამოირჩევიან განყოფილებათა ყოფილი და ამჟამინდელი გამგეები, მეცნიერებათა დოქტორები: გიორგი ბერულავა, ვახტანგ ბურდული, ალფრედ კურატაშვილი, როლანდ სარჩიმელია და ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატები: ნანული არევაძე, ნანა ბიბილაშვილი, თეა ლაზარაშვილი, იზა ნათელაური, ზურაბ რევიშვილი, თენგიზ ქავთარაძე, მამუკა ხუსკივაძე, რევაზ ჯავახიშვილი, აგრეთვე პროფესორები როზეტა ასათიანი და მურმან კვარაცხელია და სხვები.

„საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“ (1963 წ.). ინსტიტუტში სამეცნიერო კვლევები მიმდინარეობდა ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის აქტუალურ საკითზებზე. ინსტიტუტს სხვადასხვა დროს სათავეში ედგნენ მისი დამაარსებელი ვალერიან მელქაძე, კანდიდ ჩარკვიანი, ვალერიან ადვაძე, იაკობ მესხია (მისი შრომები ეძღვნება, ეკონომიკის მართვისა და პროგნოზირების პრობლემებს), ნოდარ ჭითანავა (მისი ნაშრომები ეძღვნება ეროვნული ეკონომიკის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის, ეკონომიკასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემებს გარდამავალ ეტაპზე), სერგო სანაძე (მუშაობს დარგთაშორისი ბალანსის პრობლემებზე). სხვა თანამშრომლებიდან აღსანიშნავია ოთარ გიორგობიანის, შალვა გოგიაშვილის, ქეთევან დადიანის, ომარ ვაშაკიძის, დავით იაკობიძის, რევაზ კაკულიას, მამულო კეკელიძის, გია მალაშხიას, დომენტი მოურავიძის, გიორგი პაპავას, ნუგზარ სანთელაძის, ნაზი ფირცხალავას, გურამ ყუფუნიას, ნიჟა ხურციძის, თამაზ ჩიკვაიძის, დემურ ჩომახიძის, ლეო ხაბურზანიას, ელენე ხოშტარიას და სხვათა ნაშრომები. ინსტიტუტი ფუნქციონირებდა 2006 წლამდე.

„ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“. ერთადერთი ეკონომიკური პროფილის სამეცნიერო დაწესებულებაა, რომელიც შეიქმნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დაოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1992 წ.). ინსტიტუტი სამეცნიერო კვლევებს ახორციელებდა საქართველოს საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის, ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის, აღრიცხვის, ანალიზის, აუდიტის და საფინანსო-ეკონომიკური პროგნოზირების აქტუალურ საკითხებზე. ინსტიტუტს დირექტორები იყვნენ პროფ. ი. მესხია და პროფ. რ. ბასარია (მისი ნაშრომები ეძღვნება საფინანსო-საგადასახადო პრობლემებს). სხვა თანამშრომლებიდან აღსანიშნავია ჯ. შათირიშვილის, ვ. ზურაბაშვილის, ლ. ხაბურზანიას, ე. ცირამუას ნაშრომები.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიურ კვლევათა ინსტიტუტი (1991). ამჟამად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი. კვლევის ძირითადი მიმართულებაა - დემოგრაფიისა და ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაცია მოსახლეობის აღწარმოების უახლესი ტიპის პირობებში. დირექტორი და დამაარსებელი იყო საქ. მეც. ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლ. ჩიქავა, ამჟამად პროფესორი ა. სულაბერიძე (მისი კვლევის სფეროა (მოსახლეობის დემოგრაფიული ქცევის პრობლემები თანამედროვე ეტაპზე). სხვა თანამშრომლებიდან აღსანიშნავია: გ. წულაძის, ე. მენაბდიშვილის, ა. თოთაძის, ვ. ლორთქიფანიშისა და სხვათა ნაშრომები

სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის ინსტიტუტი (1958), რომელსაც საბოლოოდ ეწოდა აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტი (2005). იგი მუშაობდა სსსოფლო სამეურნეო წარმოების მრავალ პრობლემაზე. დირექტორები იყვნენ პროფესორები ა. ნიჟარაძე, პ. ჟღენტი (მისი ნაშრომები ეძღვნება სას. სამ. წარმოების გაადგილებისა და სპეციალიზაციის პრობლემებს), ვ. პაპუნიძე (ძირითადად მუშაობდა სას. სამ. წარმოების ინტენსიფიკაციის ეკონომიკურ პრობლემებზე), ვ. ბურკაძე (ნაშრომები ძირითადად ეძღვნება მიწის ეკონომიკური შეფასების პრობლემებს), ო. ქეშელაშვილი (მას დამუშავებული აქვს სას. სამ. წარმოების სპეციალიზაციის, ინტენსიფიკაციის, პროგნოზირებისა და მართვის პრობლემები), ეკონომიკის აკადემიური დოქტორი ა. ლაფაჩი (იგი შეისწავლის კვების მრეწველობის ეკონომიკის საკითხებს). ამ ინსტიტუტის სხვა თანამშრომლებიდან აღსანიშნავია რ. ანდღულაძის, გ. დოღონაძის, ნ. ჭინჭარაულის, ი. ჯანიაშვილის, ო. ალეკოშვილის, ო. ტატიშვილის ნაშრომები.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მეცნიერები რომელთაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ქართული ეკონომიკური აზრისა და ეკონომიკის ისტორიის შესწავლაში, კერძოდ: პ. გუგუშვილი, ვ. ჩანტლაძე, ა. სილაგაძე, ნ. ქოიავა, გ. აბზიანიძე, გ. ჭანუყვაძე, ა. თოფურია, გ. თოდუა, გ. გურგენიძე, ა. ფანცხავა, ლ. კარბელაშვილი, გ. მეგრელიშვილი, რ. კაკულია, ე. ჩადუნელი, შ. ვეშაპიძე და სხვ.

საქართველოს სხვადასხვა წამყვან უნივერსიტეტებში წარმატებით მოღვაწეობენ:

ე. ბარათაშვილი, კ. ღურწკაია, რ. ოთინაშვილი, ა. აბრალავა, პ. ლემონჯავა, გ. ცაავა, გ. ჯოლია, ა. სიჭინავა, დ. სეხნიაშვილი, მ. ვანიშვილი; ნ. ჩიხლაძე, გ. ღავთაძე, რ. ნამიჭეიშვილი; რ. მანველიძე, ვ. ღლონტი, ვ. ვერულიძე, რ. ბერიძე, ნ. წიკლაშვილი, ბ. გეჩბაია, დ. ჯალაღონია, მ. გელაშვილი, ჯ. კახნიაშვილი, ვ. სართანია, ა. სისვაძე, ნ. ბაკაშვილი, ს. პავლიაშვილი, ბ. ნაყოფია, რ. ლორთქიფანიძე, გ. ხელაია, ზ. ლიპარტია, თ. ზუბიაშვილი, დ. კვარაცხელია, ა. გვარუციძე, ე. მენაბდე-ჯობაძე, ნ. კაკაშვილი, ე. სეფაშვილი, დ. მამალაძე, ი. ბალარჯიშვილი, მ. ჭიაბრიშვილი, ქ. ჭიაბრიშვილი, გ. ჭინჭარაული, გ. ნანუაშვილი და სხვები.

ლიტერატურა:ასათიანი რ. თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია, გამომცემლობა „სიახლე“, თბილისი, 2014; სილაგაძე ა. ეკონომიკური დოქტრინები. თბ., „ინოვაცია“, 2010; სილაგაძე ა. ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბ., „თსუ გამომცემლობა“, 2005; ჭანუყვაძე გ. ქართული ეკონომიკური აზრის რეტროსპექტივა. თბ., „პირველი სტამბა“, 2001; Silagadze A. Aspects of economic doctrines in Georgia. San rancisco, 2010; Грузинская ССР. Энциклопедический справочник. Тб., «ГЭС», 1991.

მოამზადეს ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორებმა პროფ. რამაზ აბესაძემ და პროფ. შოთა ვეშაპიძემ.

კითხვები გამეორებისთვის

1. **განმარტეთ რა იგულისხმება ცნებებში: „ეკონომიკური აზრი“ და „ეკონომიკური მოძღვრება“.**

2. რით განსხვავდება ერთმანეთისაგან კუმულაციური და ევოლუციური მიდგომა ეკონომიკურ შეხედულებათა შესწავლისას.

3. ჩამოთვალეთ და ზოგადა დაახასიათეთ ძირითადი ეკონომიკური მოძღვრებანი.

4. ვინ იყვნენ კლასიკური ეკონომიკური მეცნიერების ფუძემდებლები და დაახასიათეთ მათი წვლილი ეკონომიკურ თეორიაში.

5. ჩამოთვალეთ და მოკლედ ახსენით თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების მთავარი მიმართულებები.

6. დაახასიათეთ ქართული ეკონომიკური აზრის წარმოშობისა და განვითარების პერიოდები და მთავარი წარმომადგენლები.

მესამე თავი
ეკონომიკური სისტემები და მათი არსი

განსახილველი საკითხები:

- ***ეკონომიკური სისტემების ელემენტები, ტიპები და მოდელები***
- ***შერეული ეკონომიკური სისტემა***
- ***მსოფლიოს თანამედროვე ეკონომიკური მოდელები***

ეკონომიკა როგორც სისტემა
რა ელემენტებისგან შედგება სისტემა ეკონომიკაში

სამეურნეო კავშირების სისტემას ადამიანებს შორის ვეცნობით მისი უმარტივესი შემადგენელი ნაწილით – ელემენტით, ე.ი. გარკვეული **ეკონომიკური ურთიერთობით**. რა არის ეს ურთიერთობა?

თუკი ჩავატარებთ გამოკითხვას, შეიძლება მივიღოთ **სამი პასუხი.** მოდით, გამოვარკვიოთ, რომელი მათგანია სწორი.

პირველი პასუხი. ეკონომიკური ურთიერთობა – ესაა კავშირი სასარგებლო საგნებს შორის, რომელიც შეიძლება წარმოვიდგინოთ ფორმულის სახით: ***დოვლათი – დოვლათი.*** ამ შემთხვევაში სწორია ის, რომ ყველა ეკონომიკური ურთიერთობა გვევლინება ქონებრივ, საგნობრივ ურთიერთობებად. მაგალითად, საბაზრო ვაჭრობა გამოიყურება როგორც ერთი საგნის (საქონლის) გაცვლა მეორეზე (ფულზე). თუმცა აქ შეიძლება შევეკამათოთ. თავად საგნები, როგორც იტყვიან, არ მიდიან ბაზარზე, არ მონაწილეობენ ფულად-სასაქონლო გაცვლაში ადამიანების – გამყიდველების და მყიდველების – გარეშე.

მეორე პასუხი. ეკონომიკის უმარტივეს რგოლში აუცილებლად მონაწილეობენ ადამიანები. გვთავაზობენ, მათი ეკონომიკური კავშირი გამოვხატოთ შემდეგი ფორმულის სახით: ***ადამიანი – ადამიანი.*** თუმცა აქაც შეიძლება შეკამათება. ასეთი ურთიერთობა უბრალოდ ადამიანებს შორის მოკლებულია ყოველგვარ ქონებრივ, საგნობრივ შინაარსს. გაუგებარია, რა მიზეზით წარმოიშობა ისინი, ამიტომაც ეკონომიკურებად არ გვევლინება.

მესამე პასუხი. სამეურნეო კავშირები უნდა მოიცავდეს საგნობრივ ელემენტსაც და ადამიანურ ურთიერთობებსაც. ალბათ სწორი იქნება ტიპური ფორმულა: *ადამიანი – საგანი – ადამიანი.* მაგალითად, ვაჭრობაში მართლაც სწორედ ასეთი ურთიერთობა მყარდება: *გამყიდველი – საქონელი – ფული – მყიდველი. ეკონომიკური ურთიერთობა – ესაა ქონებრივი კავშირი ადამიანებს შორის. იმის მიუხედავად, თუ რა ზომით აცნობიერებენ ადამიანები ამ ფაქტს, ისინი იმყოფებიან სხვადასხვაგვარი კავშირის თავისებურ ქსელში სამეურნეო საქმიანობის სხვა მონაწილეებთან. ასეთი კავშირი შეადგენს მთელი ეკონომიკური სისტემის ნაწილს, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ცხოველქმედებას.*

სისტემა – იმ ელემენტთა სიმრავლეა, რომლებიც მტკიცედაა დაკავშირებული ერთმანეთთან და ქმნის გარკვეულ ერთიანობასა და მთლიანობას.

განვიხილოთ ტიპური საოჯახო მეურნეობის სისტემური კავშირის წრე ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტებთან (სუბიექტი – ადამიანი). ამ წრეში შედის, მაგალითად, ვაჭრობის

საწარმოები, სამედიცინო დაწესებულებები, საცხოვრებელ-კომუნალური მეურნეობისა და საყოფაცხოვრები მომსახურების საწარმოები, ტრანსპორტის სხვადასხვა სახე, ბანკები და სადაზღვევო დაწესებულებები, სასწავლო დაწესებულებები, კულტურის, ხელოვნების დაწესებულებები და სხვ. რაც უფრო სრულად წარმოვიდგენთ ეკონომიკურ კავშირთა მთელ მრავალფეროვნებას, რომელიც დამახასიათებელია საოჯახო მეურნეობებისათვის, მით უფრო დამაჯარებელი გახდება შემდეგი განზოგადებები და დასკვნები.

ჯერ ერთი, *სისხლძარღვების მსგავსად კავშირთა ეს ერთობლიობა უზრუნველყოფს ყველა საოჯახო მეურნეობას აუცილებელი დოვლათით. რა თქმა უნდა, ნებისმიერი ადამიანი ვერ შეძლებს არსებობას და დასახული მიზნების მიღწევას, თუკი მონაწილეობას არ მიიღებს საზოგადოების სამეურნეო ურთიერთობაში.*

მეორე, *ადამიანური ცხოვრების სხვადასხვა ეტაპი დაკავშირებულია თანამიმდევრულ გადასვლასთან ერთი სისტემური წარმონაქმნიდან მეორეზე. ასე, მაგალითად, დაწყებით განათლებას და აღზრდას ადამიანი იღებს ოჯახში და საბავშვო ბაღში, შემდეგ – საშუალო სკოლაში, პროფესიულ საშუალო ან უმაღლეს სასწავლებელში.*

მესამე, *სხვადასხვა არხით, როგორც ერთმანეთთან დაკავშირებული სისხლძარღვებით, საოჯახო მეურნეობა უკავშირდება სხვა ტერიტორიულ სამეურნეო ორგანიზაციებს – ადგილობრივებს, ეროვნულებს და საერთაშორისოებს. საბოლოო ჯამში, ადამიანები უკეთ შეიცნობენ საზოგადოების მთელი ეკონომიკური სისტემის ხარისხობრივ ნიშნებს.*

ქვეყნის სამეურნეო სისტემისთვის დამახასიათებელია უწყვეტი მოძრაობა, რომლის დროსაც ხდება რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებები. ამაში გვარწმუნებს ეკონომიკურ დოვლათთა წრებრუნვის მაგალითი (წარმოება – განაწილება – გაცვლა – მოხმარება – მოთხოვნილებები – წარმოება). ასეთ ცვლილებებში გასარკვევად მნიშვნელოვანია მათი მიზეზების და მამოძრავებელი ძალების გამოვლენა. ამისთვის კი საჭიროა სიღრმისეულად ჩავწვდეთ ეკონომიკურ სისტემებს.

რა სტრუქტურული რგოლებისგან შედგება სამეურნეო სისტემა

საზოგადოების სამეურნეო სისტემას აქვს *რთული აგებულება. იგი შეიძლება მივამსგავსოთ* უზარმაზარ *ჯაჭვს,* რომელიც შედგება მსხვილი *რგოლებისგან;* ეს რგოლები თავისთავად შედგება გარკვეული ეკონომიკური ურთიერთობებისგან. ყოველი ასეთი რგოლი – მთლიანის ნაწილია (მთელი ჯაჭვის) და გამოდის, როგორც **ქვესისტემა –** ურთიერთობათა უფრო ფართო ერთობლიობის თანადაქვემდებარებული ნაწილი.

მაგალითად, ცნობილია, რომ **თანამედროვე წარმოება – დიდი მთლიანობაა, რომელიც აერთიანებს ორ მსხვილ ქვესისტემას:** მატერიალური წარმოების და არამატერიალური წარმოების სფეროებს. თავის მხრივ, მატერიალური წარმოება რაოდენობრივი თვალსაზრისით მოიცავს ორ მცირე ქვესისტემას, რომლებიც ქმნის როგორც მატერიალურ დოვლათს, ისე მომსახურებას. არამატერიალური წარმოების ქვესისტემა აგრეთვე შედგება პატარა რგოლებისგან, რომლებიც დაკავებულია არამატერიალური დოვლათის და მომსახურების კვლავწარმოებით (იხ. სურ. 1.6).

სამეურნეო საქმიანობის სირთულე ისაა, რომ იგი აერთიანებს ხარისხობრივად სხვადასხვაგვარ რგოლს. ამ რგოლებს აქვს არაერთგვაროვანი დანიშნულება და როგორც ქვესისტემები, მოქმედებს შედარებით დამოუკიდებლად.

თანამედროვე ეკონომიკაში შეიძლება გამოვყოთ შემდეგი **სტრუქტურული რგოლები:**

1. **ტექნიკურ საშუალებათა** ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება მატერიალურ და არამატერიალურ წარმოებაში. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია ანიჭებს მათ სულ უფრო მეტ სისტემურ ხასიათს (შექმნილია სხვადასხვა ტექნიკური სისტემა – რობოტოკომ-პლექსები, მართვის ავტომატიზებული სისტემები და მრ. სხვ.).

2. მნიშვნელოვან სამეურნეო რგოლად გვევლინება **უახლესი ტექნოლოგიები.** დღეს ფართოდ გავრცელდა ელექტრონული ტექნოლოგიების სისტემები წარმოებაში, ვაჭრობაში, მომსახურების სფეროში (განათლებაში, ჯანდაცვაში) და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ტექნოლოგიის ასეთი ეფექტიანი ფორმაა ელექტრონული ბიზნესი.

3. XX საუკუნიდან დაჩქარდა **იმ სოციალური სისტემების** განვითარება, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებაში ადამიანთა სიცოცხლესთან და ურთიერთობებთან. აქ განსაკუთრებით განხილულია ის სოციალური ურთიერთობები, რომლებიც ეხება შემოსავლების განაწილებას საზოგადოებაში.

4. სამეურნეო საქმიანობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მისი **სამართლებრივი რეგ-ულირების** სისტემას. ეს სისტემა საზოგადოების ეკონომიკის განვითარებას უფრო ცივი-ლიზებულს და განჭვრეტადს ხდის.

როგორც აღინიშნა, მთელ სამეურნეო საქმიანობას მოიცავს **ეკონომიკურ ურ-თიერთობათა სისტემა.** უდავოა, რომ ადამიანები და მათი ქონებრივი ურთიერთობები ამო-ძრავებს ყველა სხვა სამეურნეო ქვესისტემებს.

***სამეურნეო სისტემა** – ესაა ტექნიკურ, ტექნოლოგიურ, სოციალურ, სამართლებრივ და ეკონომიკურ ქვესისტემათა მთლიანი ერთობლიობა.*

უკვე დადგა დრო, გავიხსენოთ, რომ სიტყვით „ეკონომიკა“ აღინიშნება როგორც სამეურნეო საქმიანობა, ისე მეცნიერება ასეთი საქმიანობის შესახებ. ახლა შეგვიძლია გამოვარკვიოთ, რა არის ეკონომიკური თეორია.

ეკონომიკური მეცნიერების შესწავლის რეალური ამოცანა

შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ეკონომიკური მეცნიერების ამოცანა – ესაა გამონა-კლისის გარეშე მეურნეობრიობის მთელი სისტემის გამოკვლევა. მაგრამ მაშინ დაგვჭირდებოდა, როგორც იტყვიან, უსაზღვროს მოცვა: ტექნიკიდან და ტექნოლოგიიდან სამართლებრივ და ეკონომიკურ ურთიერთობებამდე. მაშ, ასეთ შემთხვევაში როგორ მოვიქცეთ გონივრულად?

სასარგებლო რჩევა შეიძლება ვიპოვოთ **კონან დოილის** შერლოკ ჰოლმსზე მოთხრობებში. ეს გამოცდილი მაძებარი მივიდა დასკვნამდე, რომ ვარაუდთა სიმრავლისას საჭიროა მოვიშოროთ ყველა შეუძლებელი და ამგვარად მოვნახოთ საძებნი გად-აწყვეტილება.

პირველ ყოვლისა, საჭიროა ეკონომიკური თეორიის საგნიდან გამოვრიცხოთ მტკიცე-ბა იმის შესახებ, რომ ეს თეორია შეისწავლის ტექნიკასა და ტექნოლოგიას. ეს ტექნიკური და ტექნოლოგიური დისციპლინების საქმეა.

როგორც ცნობილია, **სოციალურ ურთიერთობებს იკვლევენ სოციოლოგიის სპეციალისტები. სამართლებრივ ურთიერთკავშირს ადამიანებს შორის ყველაზე უკეთ შეისწავლიან იურისტები.** მაშასადამე, რჩება ის, რაზეც პრეტენზიის გამოცხადება შეუძლიათ მხოლოდ ეკონომისტებს. ესე იგი **ეკონომიკური თეორიის საგნად გვევლინება ის სამეურნეო ურთიერთობები ადამიანებს შორის,** რომლებიც ყალიბდება რეალურად არსებულ წარმოებაში, განაწილებაში, დოვლათის და მომსახურების გაცვლასა და მოხმარებაში.

სოციალურ-ეკონომიკურად გვევლინება ის **ურთიერთობები,** რომლებიც ყალიბდება საზოგადოების წევრებს შორის სამეურნეო საქმიანობის ფაქტორების და შედეგების მითვისებასთან დაკავშირებით. ნებისმიერ საზოგადოებაში ადამიანები იძულებული არიან გადაწყვიტონ სოციალურ-ეკონომიკური მოწყობის **სამი ძირითადი ამოცანა:**

ვის აქვს ეკონომიკური ძალაუფლება, ე.ი. ვინ ითვისებს წარმოების საშუალებებს – სამეურნეო საქმიანობის გადამწყვეტ პირობებს;

ვინ და როგორ წარმართავს სამეურნეო საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია წარმოების საშუალებების ეფექტიან გამოყენებასთან;

ვის ერგება სამეურნეო საქმიანობის საბოლოო შედეგები.

ალბათ საჭირო არაა იმის მტკიცება, რომ **საკუთრება განსაზღვრავს საზოგადოებრივი სიმდიდრის მთელი წრებრუნვის ერთიანობას** და მიზანმიმართულებას. წარმოების საშუალებათა მფლობელების კონტროლქვეშ არა მარტო სასარგებლო საგნების და მომსახურების შექმნის პროცესია, არამედ ისიც, რომ თავიანთ ეკონომიკურ ინტერესებს დაუქვემდებარონ განაწილება, გაცვლა და დოვლათის მოხმარება.

საორგანიზაციო-ეკონომიკური ურთიერთობები წარმოიშობა იმიტომ, რომ საზოგადოებრივი წარმოება, განაწილება, გაცვლა და მოხმარება შეუძლებელია გარკვეული ორგანიზაციის გარეშე. ეს უკანასკნელი საჭიროა მომუშავეთა ნებისმიერი ერთობლივი საქმიანობისთვის. ადამიანები წინასწარ გაიაზრებენ თავიანთ სამეურნეო მოქმედებებს, ადგენენ მომავალ სამუშაო გეგმას, რომელიც აერთიანებს ყველა მომუშავეს. ამასთან ერთად წყდება საორგანიზაციო ამოცანებიც: როგორ დავყოთ ადამიანები ცალკეულ სამუშაოთა შესასრულებლად და გავაერთიანოთ ყველა დასაქმებული ერთიანი საწყისის ქვეშ, როგორ წარვმართოთ მეურნეობა და ვინ იქნება წარმოების მმართველი.

ამასთან დაკავშირებით საორგანიზაციო-ეკონომიკური ურთიერთობები იყოფა სამ მსხვილ სახედ:

შრომის კოოპერაცია (პროდუქტების ერთობლივი დამზადება, საწარმოთა ზომების გამსხვილება, მათი მუდმივი თანამშრომლობა და გაერთიანება) და *შრომითი საქმიანობის განაწილება* (მისი დაყოფა სამეურნეო რგოლებს შორის);

სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაცია (ნატურალური და სასაქონლო-საბაზრო მეურნეობა);

ეკონომიკის მართვა (საბაზრო-სტიქიური და სახელმწიფო-საგეგმო რეგულირება).

ეკონომიკურ ურთიერთობათა ყველა ტიპი და სახე სქემატურად წარმოდგენილია ნახ.-1.7-ზე.



ნახ.1.7. ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემის სტრუქტურა

ეკონომიკური სისტემის ტიპები

ეკონომიკური სისტემის შემდეგ ტიპებს გამოყოფენ:

- **ორი საბაზრო სისტემა:**
- ✓ თავისუფალი კონკურენციის საბაზრო ეკონომიკა (სუფთა კაპიტალიზმი)
- ✓ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა (თანამედროვე კაპიტალიზმი)
- **ორი არასაბაზრო სისტემა**
- ✓ ტრადიციული სისტემა
- ✓ ადმინისტრაციულ-მბრძანებლური (ცენტრალიზებულ-გეგმური, კომუნისტური) სისტემა

თავისუფალი კონკურენციის საბაზრო ეკონომიკა (სუფთა კაპიტალიზმი)

ეს სისტემა ჩამოყალიბდა XVIII საუკუნეში. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ ათწლეულებში შეწყვიტა თავისი არსებობა (სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაგვარად), მიუხედავად ამისა, მისი ელემენტების მნიშვნელოვანი ნაწილი შედის თანამედროვე საბაზრო სისტემაში.

ამ ეკონომიკური სისტემის დამახასიათებელი ნიშნებია: საინვესტიციო რესურსებზე კერძო საკუთრება; თავისუფალ კონკურენციაზე დაფუძნებული მაკროეკონომიკური მოღვაწეობის რეგულირების საბაზრო მექანიზმი; თითოეული პროდუქტისა და საქონლის დამოუკიდებლად მოქმედი გამყიდველებისა და მყიდველების დიდი რაოდენობა.

სუფთა კაპიტალიზმის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა ეკონომიკური საქმოანობის მონაწილეთა პირადი თავისუფლება, ე.ი. თავისუფალი უნდა იყოს არა მარტო კაპიტალისტი-მეწარმე, არამედ დაქირავებული მუშაც. ეკონომიკური პროგრესის გადამწყვეტი პირობა იყო კაპიტალის მქონე მეწარმეთა თავისუფალი მოქმედება. მიღწეული იყო "ადამიანის ფაქტორის" – საზოგადოების მთავარი საწარმოო ძალის – განვითარების ახალი დონე. დაქირავებული მუშა და მეწარმე-კაპიტალისტი გადმოდიოდნენ როგორც საბაზრო ურთიერთობათა იურიდიულად თანასწორუფლებიანი აგენტები. ცნება "თავისუფალი დაქირავებული მუშა" გულისხმობს მყიდველის მიერ სამუშაო ძალის, მისი გაყიდვის ადგილის თავისუფალ არჩევას, ე.ი. შრომის ბაზრის ფარგლებში თავისუფალ გადაადგილებას. ისევე როგორც საქონლის მფლობელს, რომელმაც გაყიდა თავისი საქონელი და ფული აიღო, დაქირავებულ მუშასაც შეეძლო თავისუფლად აერჩია თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საგნები და ხერხები. თავისუფალი არჩევანის საპირისპირო მხარედ იქცა პირადი პასუხისმგებლობა სამუშაო ძალის ნორმალურ მდგომარეობაში შენახვისათვის, მიღებული გადაწყვეტილების სისწორე, შრომითი ხელშეკრულების პირობების დაცვა.

როგორია ეკონომიკური განვითარების ფუნდამენტური ამოცანების გადაწყვეტის მექანიზმი ამ ეკონომიკურ სისტემაში? ეს ამოცანები რთულად, ფასებისა და ბაზრის მეშვეობით წყდება. ფასების მერყეობა, მათი მაღალი ან დაბალი დონე წარმოადგენს საზოგადოების მოთხოვნილებათა ინდიკატორს. ითვალისწინებს რა ბაზრის კონიუნქტურას, ფასების დონესა და დინამიკას, მეწარმე დამოუკიდებლად წყვეტს რესურსების ყველა სახის განაწილების პრობლემას და აწარმოებს იმ საქონელს, რომელიც მოთხოვნით სარგებლობს ბაზარზე. მეწარმე სულ უფრო დიდი შემოსავლისაკენ (*მოგებისაკენ) მიისწრაფვის, ცდილობს რაც შეიძლება ეკონომიურად გამოიყენოს ბუნებრივი, შრომითი და საინვესტიციო რესურსები და მაქსიმალურად ფართოდ გამოიყენოს ისეთი რესურსი, როგორიცაა მისი შემოქმედებითი და ორგანიზაციული (ეგრეთწოდებული სამეწარმეო) უნარი მათ მიერ არჩეულ საქმიანობის სფეროში. ყველაფერი ეს – მძლავრი სტიმულია წარმოების განვითარებისა და სრულყოფისათვის და ხსნის კერძო საკუთრების აღმშენებლობის შესაძლებლობებს.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა (თანამედროვე კაპიტალიზმი ანუ შერეული ეკონომიკა)

საბაზრო სისტემა აღმოჩნდა სხვა ყველა წინამორბედ სისტემაზე უფრო მოქნილი: მას შეუძლია გარდაიქმნას, მიესადაგოს ცვალებად შინაგან და საგარეო პირობებს.

ამ საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ფრთები გაშალა სამეცნიერო ტექნიკურმა რევოლუციამ და განსაკუთრებით სწრაფად ვითარდებოდა საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა, სახელმწიფო უფრო აქტიურ ზეგავლენას ახდენდა ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე. აქედან გამომდინარე შეიცვალა სამეურნეო მექანიზმი, სამეურნეო მოღვაწეობის ორგანიზაციული ფორმები და სამეურნეო სუბიექტებს შორის ეკონომიკური კავშირები (ცხრილი 3.1).

ცხრილი 3.1. თანამედროვე კაპიტალიზმის ზოგიერთი განსხვავება სუფთა კაპიტალიზმისაგან

ძირითადი ნიშნები	კაპიტალიზმი XVIII-XIX ს.ს.	XX ს. მეორე ნახევრის კაპიტალიზმი
წარმოების განზოგადოების მასშტაბები	წარმოების განსაზოგადოება საწარმოს ფარგლებში	მეურნეობის ნაწილის განსა-ზოგადოება და განსახელმწი-ფოებრიობა ეროვნულ და ინტერნაციონალურ მასშტაბებში
საკუთრების გაბატონებული ფორმა	ერთპიროვნული მეწარმე-კაპიტალისტის ეკონომიკური საქმიანობა	ეკონომიკური მოდვაწეობა კოლექტიური, კერძო და სახელმწიფო საკუთრების ბაზაზე
ეკონომიკის რეგულირება	ინდივიდუალური კაპიტალების თვითრეგულირება თავისუფალი ბაზრის საფუძველზე სახელმწიფოს სუსტი ჩარევის პირობებში	ეროვნული ეკონომიკის აქტიური სახელმწიფო რეგულირება სამომხმარებლო მოთხოვნისა და მიწოდების სტიმულირების, კრიზისებისა და უმუშევრობის და ა.შ. არიდების მიზნით.
სოციალური გარანტიები	მოქალაქეთა სოციალური დაუცველობა უმუშევრობის, ავადმყოფობისა და სიბერის შემთხვევაში	სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო და კერძო ფონდების შექმნა

სამეურნეო მექანიზმი განვითარებულ საბაზრო ეკონომიკაში მნიშვნელოვნად იცვლება. ცალკეულ ფირმებში არსებობს მარკეტინგული მმართველობის სისტემები, რომლებიც ვითარდება მეურნეობრიობის გეგმიანი მეთოდების საფუძველზე. ამავე დროს, მაკროდონეზე გეგმიანი მეთოდების განვითარება დაკავშირებულია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებასთან.

გეგმაზომიერება გვევლინება როგორც ბაზრის მოთხოვნებთან აქტიური შეწყობის საშუალება. შედეგად, ეკონომიკური განვითარების მთავარი ამოცანებიც ახლებურად იხსენება. მაგალითად, საკითხი რომელიც წარმოებული პროდუქციის სტრუქტურასა და მოცულობას ეხება, წყდება მარკეტინგული გამოკვლევების საფუძველზე ფირმის ფარგლებში, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პრიორიტეტული მიმართულებების ანალიზისა და მაკროდონეზე საზოგადოების მოთხოვნების განვითარების პროგრამის საფუძველზე. ბაზრის პროგნოზი საშუალებას იძლევა წინასწარ შემცირდეს მოძველებული საქონლის წარმოება და მოხდეს გადასვლა პროდუქციის ხარისხობრივად ახალ სახეობებსა და მოდელებზე. წარმოების მართვის მარკეტინგული სისტემა საშუალებას იძლევა ჯერ კიდევ საწარმოო პროცესის დაწყებამდე კომპანიის ინდივიდუალური ხარჯები, რომლებიც გათვლილია ერთი სახეობის საქონლის ძირითადი მასის გამოსაშვებად, შეესაბამებოდეს საზოგადოებრივად აუცილებელ დანახარჯებს.

სახელმწიფო დარგობრივი და საერთო ეროვნული პროგრამები (გეგმები) აგრეთვე ახდენენ არსებით ზეგავლენას წარმოებული საქონლისა და მომსახურების მოცულობაზე და სტრუქტურაზე, რითაც უზრუნველყოფენ მათ მეტ შესაბამისობას ცვალებად საზოგადოებრივ მოთხოვნილებებთან.

რესურსების გამოყენების ამოცანა წყდება მსხვილი კომპანიების ფარგლებში სტრატეგიული დაგეგმვის საფუძველზე ყველაზე პერსპექტიული დარგების გათვალისწინებით. ამავე დროს, რესურსების გადანაწილება უახლესი დარგების განვითარებისათვის ხდება ბიუჯეტის ხარჯზე, სახელმწიფო საერთო ეროვნული და სახელმწიფოთაშორის პროგრამების მეშვეობით, სამეცნიერო გამოკვლევებისა და საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებათა (ინგლისური აბრევიატურა-R& , რუსული- НИОКР) სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პრიორიტეტულ მიმართულებებში გატარებით. მაგალითად, ახლა მიმდინარეობს საერთო ევროპული პროგრამების “ევრიკა” და “ესპრიტ”-ის რეალიზაცია.

და ბოლოს, შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტის განაწილების ამოცანა მხოლოდ ტრადიციულად ჩამოყალიბებული ფორმების საფუძველზე კი არ წყდება, არამედ სულ უფრო მეტი რესურსები ემატება მსხვილი კომპანიებისა და სახელმწიფოსაგან "ადამიანის ფაქტორის" განვითარებისათვის (განათლების სისტემის დაფინანსება, მათ შორის განსხვავებული კვალიფიკაციის მუშაკთა გადამზადება, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება, სოციალური საჭიროებანი).

საბაზრო ეკონომიკის განვითარებულ ქვეყნებში, სოციალური უზრუნველყოფისა და სიღარიბესთან ბრძოლის მრავალი პროგრამის რეალიზაციისათვის გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტის არანაკლებ 40-50%. ამავე დროს მრავალი ფირმებიც ზრუნავენ თავის თანამშრომლებზე, ცდილობენ გააქტიურონ პერსონალის მუშაობა, აამაღლონ შრომის ნაყოფიერება, შეამცირონ სამუშაო დროის დანაკარგები და ამით განამტკიცონ ფირმის კონკურენტუნარიანობა.

ტრადიციული სისტემა

ეკონომიკურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებში არსებობს ტრადიციული ეკონომიკური სისტემა, რომელიც ეყრდნობა მოძველებულ ტექნოლოგიას, ხელით შრომის ფართო გამოყენებას, ეკონომიკის აშკარა მრავალწყობიანობას.

ეკონომიკის მრავალწყობიანობა ნიშნავს მოცემულ ეკონომიკურ სისტემაში სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა ფორმების არსებობას. რიგ ქვეყნებში შენარჩუნებულია მეურნეობის ნატურალურ-თემური ფორმები, რომელიც დაფუძნებულია მეურნეობის სათემო კოლექტიურ გაძღოლაზე და შექმნილი პროდუქტის განაწილების ნატურალურ ფორმებზე. უდიდესი მნიშვნელობა აქვს წვრილ საქონლურ წარმოებას, იგი ეფუძნება კერძო საკუთრებას საწარმოო რესურსებზე და მათი მფლობელის პირად შრომას. ტრადიციული სისტემის მქონე ქვეყნებში წვრილი საქონლური წარმოება წარმოდგენილია მრავალრიცხოვან გლეხურ და ხელოსნურ მეურნეობებში, რომლებიც დომინირებენ ეკონომიკაში.

ეროვნული მეწარმეობის შედარებით სუსტი განვითარების პირობებში უდიდეს როლს ამ ქვეყნების ეკონომიკაში თამაშობს უცხოური კაპიტალი.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აყოვნებენ რა სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს, ბატონობენ საუკუნოვანი ტრადიციები და წეს-ჩვეულებანი, რელიგიური და კულტურული ფასეულობები, კასტებად და წოდებებად დაყოფა.

საკვანძო ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტას სხვადასხვა წყობილების ფარგლებში სპეციფიკური თვისებები ახასიათებს. ტრადიციული სისტემისათვის დამახასიათებელია სახელმწიფოს აქტიური როლი. ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილის ბიუჯეტიდან გადანაწილებისას სახელმწიფო აფინანსებს ინფრასტრუქტურის განვითარებას და მოსახლეობის უღარიბესი ფენების სოციალურ მხარდაჭერას.

ADMINISTRACIULI-MBRZANEBLURI (CENTRALIZEBULI-GEGMURI, KOMUNISTURI) SISTEMA

ეს სისტემა არსებობდა ადრე სსრ კავშირში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, აზიის რამდენიმე ქვეყანაში.

ამ ბოლო დროს ბევრი ეკონომისტი ეცადა თავის ნაშრომში მიეცა მისთვის განზოგადებული დახასიათება.

ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის დამახასიათებელი ნიშნებია საზოგადოებრივი (რეალობაში კი სახელმწიფო) საკუთრება პრაქტიკულად ყველა ეკონომიკურ რესურსებზე, ეკონომიკის მონოპოლიზება და ბიუროკრატიზაცია სპეციფიკურ ფორმებში, ცენტრალიზებული ეკონომიკური დაგეგმვა როგორც სამეურნეო მექანიზმის საფუძველი.

ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის სამეურნეო მექანიზმს აქვს რამდენიმე თავისებურება: ყველა საწარმოს უშუალო მართვა ხორციელდება ერთიანი ცენტრიდან – სახელმწიფო მართვის უმაღლესი ეშელონებიდან, რაც მთლიანად უარყოფს სამეურნეო სუბიექტის დამოუკიდებლობას; სახელმწიფო მთლიანად აკონტროლებს პროდუქციის წარმოებას და განაწილებას, რის შედეგადაც შეუძლებელი ხდება ცალკეულ საწარმოებს შორის თავისუფალი საბაზრო კავშირები; სახელმწიფო აპარატი ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდებით აწარმოებს სამეურნეო საქმიანობის ხელმძღვანელობას, რაც სპობს მატერიალურ დაინტერესებას შრომის შედეგებით.

აღმასრულებელი ხელისუფლების მეტისმეტი ცენტრალიზაციის პირობებში ვითარდება სამეურნეო მექანიზმისა და ეკონომიკური კავშირების ბიუროკრატიზმი. თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ბიუროკრატულ ცენტრალიზმს არ შესწევს უნარი უზრუნველყოს სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის ზრდა. მთავარი მიზეზი ის არის, რომ მეურნეობის სრული გასახელმწოფოება იწვევს პროდუქციის წარმოებისა და გასაღების არნახული მასშტაბებით მონოპოლიზებას. გიგანტური მონოპოლიები, რომლებიც სახალხო მეურნეობის ყველა დარგში დამკვიდრდნენ და რომლებსაც მხარს უჭერენ სამინისტროები და უწყებები, კონკურენციის უქონლობის პირობებში სრულებით არ ზრუნავენ ტექნიკისა და ტექნოლოგიის სიახლეთა დანერგვაზე.

მონოპოლიზმი ბადებს დეფიციტურ ეკონომიკას, რომლისთვისაც დამახასიათებელია სახალხო მეურნეობის დაბალანსების დარღვევის შემთხვევაში ნორმალური მატერიალური და ადამიანური რეზერვების უქონლობა.

ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის ქვეყნებში საერთო ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტას თავისი სპეციფიკური თვისებები ჰქონდა. გაბატონებული იდეოლოგიური მითითებების შესაბამისად პროდუქციის მოცულობისა და სტრუქტურის განსაზღვრის ამოცანა მეტად საპასუხისმგებლო და სერიოზული იყო იმისათვის, რომ მისი გადაწყვეტა უშუალოდ მეწარმეებისათვის – სამრეწველო წარმოების, კოლმეურნეობებისათვის მიენდოთ. ამიტომ საზოგადოებრივი მოთხოვნილებების სტრუქტურა უშუალოდ დაგეგმვის ცენტრალური ორგანოების მიერ მტკიცდებოდა. ესოდენ დიდი მასშტაბებით საზოგადოებრივი მოთხოვნილებების ცვლილებათა დეტალიზება და გათვალისწინება პრინციპულად შეუძლებელია, ამიტომ ეს ორგანოები უმეტეს წილად მინიმალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით ხელმძღვანელობდნენ.

მატერიალური დოვლათის, შრომითი და ფინანსური რესურსების ცენტრალიზებული განაწილება უშუალო მწარმოებლებისა და მომხმარებლების მონაწილეობის გარეშე, ცენტრალიზებული დაგეგმვის საფუძველზე, წინასწარ ამორჩეული ვითომ "საზოგადოებრივი" მიზნებისა და კრიტერიუმების შესაბამისად ხორციელდებოდა. რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი გაბატონებული იდეოლოგიის შესაბამისად სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის განვითარებას ხმარდებოდა.

შექმნილი პროდუქციის წარმოების მონაწილეთა შორის განაწილება ცენტრალური ორგანოების მიერ მკვეთრი რეგლამენტირებით მიმდინარეობდა. ამისთვის საყოველთაოდ იყენებდნენ სატარიფო სისტემას და აგრეთვე ცენტრალიზებულად დამტკიცებულ ხელფასის ფონდის ნორმატივებს. ეს იწვევდა შრომის ანაზღაურების გათანაბრებას.

ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ სისტემაში პროდუქციის განაწილების განსაკუთრებულ თავისებურებას წარმოადგენდა პარტიული და სახელმწიფოებრივი ელიტის, ე.წ. ნომენკლატურის პრივილეგიური მდგომარეობა.

ეკონომიკური სისტემის

ტიპები:

ტრადიციული ეკონომიკა	მბრძანებლური ეკონომიკა
ადამიანები თაობიდან თაობამდე იმეორებდნენ წარმოებისა და განაწილების მეთოდებს. ახასი-ათებს ტექნიკის სუსტი განვი-თარების დონე, დაუცველობა გარე ზემოქმედებებისა-გან, არაპროგრე-სიულობა. შემოიფარ-გლება ადამიანთა მხოლოდ ფიზიოლო-გიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით.	მთლიანად სახელმწიფოს პრეროგატივა რა, როგორ და ვისთვის უნდა იქნეს წარმოებული. ყველაფერი იგეგმება სახ-ელმწიფოს მიერ, ამისთვის სახელმწიფო შეიმუშავებს საკონტროლო ციფრებს, რომლებსაც დირექტიული ხასიათი აქვთ (სავალდებულოა შესასრულებლად) თითქმის მთელი ქონება სახელმწიფოს ხელშია. ახასიათებს თავისუფალი საბა-ზრო ურთიერთობების დათრგუნვა, ძლი-ერი მონოპოლიზაცია და ბიუროკრატიზაცია. საწარმოები იმართე-ბა ერთიანი ცენტრიდან.
საბაზრო ეკონომიკა	შერეული ეკონომიკა
ეკონომიკური საქმიანობა ორ-განიზებულია ბაზრების მეშვეობით. სახელმწიფოს როლი ძალიან შეზღუდულია. მინიმუმამდე ჭარბობს კერძო საკუთრება, ახასიათებს თავისუფალი კონკურენცია და თავისუფალი მეწარმეობა ეკონომიკუ-რი სუბიექტები საქმიანობას ახორ-ციელებენ თავიანთი ეკონომიკური ინტერესების შესაბამი-სად.მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით ეკონომიკა სახელმწიფოს ჩარ-ევის გარეშე თვითრეგულირდება.	რესურსების განაწილებას გან-საზღვრავს როგორც საბაზრო ძალები, ისე სახელმწიფოებრივი გად-აწყვეტილებები. სახელმწიფოს ძი-რითადი ამოცანებია: დასაქმების უზ-რუნველყოფა, ფასების სტაბილიზა-ცია, მოსახლეობის სოციალური დაცვა, საწარმოო სიმძლავრეების სრული დატვირთვა ბიზნესის განვი-თარების ხელშემწყობი ჰარემოს შექმ-ნა.

საბაზრო ეკონომიკის დამახასიათებელი ნიშნები:

- წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება;
- საქონლურ-ფულად ურთიერთობათა საყოველთაო ხასიათი;
- თავისუფალი ფასწარმოქმნა;
- კონკურენცია;
- თავისუფალი მეწარმეობა;
- "ჰორიზონტალური კავშირები" ეკონომიკაში;
- ძლიერი პირადი ინიციატივა და მატერიალური დაინტერესება;
- მოგებისადმი სწრაფვა;
- მაღალი თვითპასუხისმგებლობა;
- მყიდველის (მომხმარებლის) კულტი;
- მცირე ბიზნესის ფართოდ განვითარება;
- ღია (გახსნილი) ეკონომიკის პრინციპი;
- განვითარებული საბირჟო სისტემა;
- მოქნილი ფულად-საკრედიტო სისტემა და სხვა.

ამ სისტემის არასიცოცხლისუნარიანობამ, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების უარყოფამ და ეკონომიკური განვითარების ინტენსიურ ტიპზე გადასვლის უზრუნველყოფის უუნარობამ განაპირობა ის, რომ თითქმის ყველა სოციალისტურ (კომუნისტურ) ქვეყანაში აუცილებელი გახდა საფუძვლიანი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნა. ამ ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმების სტრატეგია განისაზღვრება მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების კანონებით, რის შედეგადაც მეტ-ნაკლები სიჩქარით შენდება თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა.

მბრძანებლური და საბაზრო ეკონომიკა

მბრძანებლურ ეკონომიკაში

- ✓ ყველა სახის რესურსზე სახელმწიფო საკუთრებაა (ადამიანური რესურსების გარდა);
- ✓ რესურსების პირველადი განაწილება ცენტრალიზებულია;
- ✓ ეკონომიკური დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად რეგულირდება საგარეო ვაჭრობა;
- ✓ შემოსავლოების თანასწორობის საფუძველია ცენტრალიზებულად დაწესებული ხელფასები.

საბაზრო ეკონომიკაში

- ✓ ყველა სახის რესურსზე კერძო საკუთრებაა;
- ✓ საბაზრო ფასები განსაზღვრავენ პროდუქტებსა და რესურსებს;
- ✓ საერთაშორისო სპეციალიზაცია ხელს უწყობს კონკურენციას და წარმოების დანახარჯებსა და ფასებს დაბალ დონეზე ინარჩუნება;
- ✓ შემოსავლები დამოკიდებულია ინდივიდების კუთვნილ გასაყიდ რესურსებზე;
- ✓ უმუშევრობის ზოგერთი ფორმა არსებობს, რადგან ადამიანები იცვლიან სამუშაოს, მეწარმეები ითხოვენ სხვადასხვა უნარს, არსებობს ციკლური რყევები და სეზონური ცვლილებები.

მსოფლიოს თანამედროვე ეკონომიკური მოდელების თავისებურებები

ეროვნული მეურნეობის მთლიანობის შემქმნელი ელემენტების ერთობლიობასა და მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს ამ ელემენტების მჭიდრო კავშირსა და ურთიერთქმედებას, ქვეყნის ეკონომიკურ მოდელს უწოდებენ. ***სოციალურ-ეკონომიკურ მოდელში*** გულისხმობენ საკუთრების მიმართ დამოკიდებულებას, მეწარმეობის ტრადიციებსა და მის ინფრასტრუქტურას, ინსტიტუტებისა და მექანიზმების კომპლექსს, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ ეკონომიკური და სოციალური სისტემის ხასიათს, აგრეთვე სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთქმედების ფორმებსა და მეთოდებს წარმოების ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების ინტერესებისთვის. ყველა მოდელი ერთმანეთისგან განსხვავდება ეკონომიკური ზრდის სტიმულირების მნიშვნელოვანი ნიშნებითა და მექანიზმებით, ასევე ეკონომიკის კონკურენტუნარიანობით. პრაქტიკულად ისინი შეიძლება განვიხილოთ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონომიკური მოდელების საფუძველზე.

ეკონომიკური განვითარების ეროვნული მოდელები სამ მთავარ ჯგუფად იყოფა:

ლიბერალური მოდელი (ეტალონად ითვლება აშშ);

სოციალურად ორიენტირებული მოდელი (ეტალონად ითვლება გფრ);

სოციალ-დემოკრატიული მოდელი (ეტალონად ითვლება შვედური მოდელი, რომელსაც "შვედურ სოციალიზმსაც" უწოდებენ).

განვითარებული ქვეყნების გამოცდილება მოწმობს, რომ თუ სახელმწიფოს ხარჯებს (ბიუჯეტის მთლიან მოცულობას), მთლიანი შიდა პროდუქტის 1/4-1/3-მდე დონეზე შევინარჩუნებთ, წარმოიქმნება მასტაბილიზებელი ფაქტორი, რომელიც განვითარებულ საბაზრო ეკონომიკას იცავს მეტისმეტი ეკონომიკური დაქვეითებისაგან, მეტად საშიში, დაბალი კერძო საინვესტიციო აქტიურობისაგან. გარდა ამისა, საბიუჯეტო სისტემა არის საზოგადოებაში დაბეგვრის, სოციალური გადასახდელებისა და დახმარებების სისტემის მეშვეობით შექმნილი შემოსავლის ხელახალი განაწილების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი.

ხორცს ასხამს რა საბიუჯეტო სისტემისათვის დამახასიათებელ ფუნქციებს, სახელმწიფო იმავდროულად რისკავს, რომ შეიძლება გადაამეტოს ბიუჯეტის მეშვეობით მეპ-ის გადანაწილების რაციონალურ საზღვრებს, ამიტომ გადასახადების საერთო დონე, მათი სტრუქტურა, აგრეთვე ხარჯების მოცულობა და სტრუქტურა არ უნდა ანელებდნენ საზოგადოებაში სტიმულებს ყაირათიანობისადმი, მეწარმეობისა და შრომითი საქმიანობისადმი (მიჩნეულია, რომ ქვეყნის ეკონომიკა ვეღარ ვითარდება, თუ ბიუჯეტი მთლიანი შიდა პროდუქტის 2/3-ს გადააჭარბებს). შვედეთის განვითარების გამოცდილება მოწმობს, რომ ბიუჯეტის მეშვეობით გადანაწილებული მეპ წილის "გაბერვას" მოჰყვა ეკონომიკური აქტიურობის სტიმულირტების ჩახშობა, დეპრესიული ეკონომიკა, რამაც ქვეყნის მთავრობა აიძულა განეხორციელებინა ეკონომიკის მეტი ლიბერალიზაციისათვის გამიზნული რეფორმები, ე.ი. ხელი აეღო ეკონომიკურ ცხოვრებაში "ზედმეტად" ჩარევაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს მონაწილეობის საზღვრები და დონე (სახელმწიფო საკუთრების მასშტაბი, მეპ-ს სახელმწიფო ბიუჯეტის ან ხარჯვით ნაწილში მისი წილი, სახელმწიფოს მიერ სოციალური სფეროს დაფინანსება, მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება და ეკონომიკური გარემოს რეგულირება) ეროვნული მოდელების ტიპოლოგიზაციის უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმებია.

სისტემების ფარგლებში გამოყოფენ შემდეგ მოდელებს:

- ✓ ამერიკული მოდელი
- ✓ დასავლეთევროპული მოდელი
- ▪ შვედური მოდელი
- ▪ გერმანული მოდელი

- ✓ სამხრეთევროპული მოდელი
- ✓ აზიური მოდელი
- ✓ იაპონური მოდელი
- ✓ სამხრეთკორეული მოდელი
- ✓ ლათინოამერიკული ქვეყნები
- ✓ აფრიკული მოდელი
- ✓ ქართული მოდელი

დანართი ა

შერეული საბაზრო ეკონომიკის მოდელები

ამერიკული მოდელი

- ლიბერალური მოდელი:პიროვნების, კერძო საკუთრების და კერძო მეწარმეობის თავისუფლება;
- საქონლისა და მომსახურების წარმოებაში სახელმწიფოს როლის მინიმიზაცია (სახელმწიფო საწარმოები ძალიან ცოტაა).
- ემყარება სახელმწიფო კაპიტალს;
- საბაზრო, საბირჟო და ინოვაციურ ფასეულობებთან ერთად, უპირატესად პროტესტანტიზმის ფასეულობებზე დაფუძნება (პრაგმატიზმი, პირადი პასუხისმგებლობა, ინიოციატივა, დამოუკიდებლობა.
- დაგროვებისა და ინვესტიციების მთავარი წყაროა არა საკრედიტო-საბანკო ან ფინანსური სისტემა, არამედ საფონდო ბაზარი.
- ორიენტაცია დაჩქარებულ სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესზე.
- სახელმწიფო თვითონ თითქმის არაფერს აწარმოებს, სამაგიეროდ საყოველთაოდ მხარს უჭერს ბიზნესს დახვეწილი საკანონმდებელ ბაზით.
- მოსახლეობის ცალკეულ სოციალური ფენების ძლიერი მხარდაჭერა.
- სახელმწიფო საკუთრების მცირე ხვედრითი წილი და სხვა

იაპონური მოდელი

- მუშაკთა ხანგრძლივი დროით დაქირავება (ე.წ. სამუდამო დაქირავების სისტემა);
- ხელფასის ზრდა ნამსახურობის ხანგრძლივობის (სტაჟის) მიხედვით;
- ძლიერი პროფკავშირი საწარმოს და არა დარგის დონეზე.

გერმანული მოდელი

- სახელმწიფოს უფრო მასშტაბური და პირდაპირი ჩარევა ეკონომიკაში;
- სოციალური დახმარებით სარგებლობს არა მარტო გერმანიის ყველა მოქალაქე, არამედ იმიგრანტებიც, ანაზღაურებული შვებულების მეტი ხანგრძლივობა.
- მძლავრი საბანკო კაპიტალი, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული წარმოებასთან, იქმნება ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფები.

ფრანგული მოდელი

- ❖ ეკონომიკაში სახელმწიფოს მკვეთრად გამოხატული პირდაპირო მონაწილეობა (ბაზარი, საბაზრო მექანიზმები და სტიმულები წარმოდგენილია ნაკლები ხარისხით). ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება ანუ დირიჟიზმი.
- ❖ ეკონომიკის სახელმწიფო და კერძო სექტორების კოორდინაცია;
- ❖ კერძო მეწარმეობაში სახელმწიფო ჩარევის პერიოდული შეზღუდვა;
- ❖ სახელმწიფოს პირდაპირი სამეწარმეო მოდვაწეობის მნიშვნელოვანი მასშტაბები;
- ❖ ინდიკატური დაგეგმვა;

შვედური მოდელი

- სახელმწიფო სექტორის მაღალი ხვედრითი წილი;
- სახელმწიფოს, ბიზნესისა და პროფკავშირის ჰარმონიული თანამშრომლობა;
- სოციალური გარანტიების საიმედო სისტემა;
- შრომისუნარიანი მოსახლეობის სრული დასაქმება;
- სტაბილური ზრდა, ინფლაციის დაბალი დონე;
- კეთილდღეობის თანაბარი შესაძლებლობები;
- ქონებრივი უთანასწორობის მაქსიმალური შემცირება.
- ეკონომიკისა და ბიზნესის ახალ სააქციო მოდელზე გადასვლა (ემყარება ამერიკულ სააქციო მოდელს გამოცდილებას)
- აქციებში ფდაბანდებათა დაახლოებით 75%-ს ახორციელებენ უცხოელები;
- სანედლეულო ეკონომიკიდან მაღალტექნოლოგიურ ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლა

სამხრეთ კორეული მოდელი

- კაპიტალის მკვეთრი კონცენტრაცია;
- პრიორიტეტული დარგების განვითარება;
- ღია ეკონომიკა და ორიენტაცია ექსპორტზე;
- რეგლამენტირებული დაგეგმვიდან ინდიკატურ დაგეგმვაზე გადასვლა და სხვა.

ჩინური მოდელი

- მძლავრი სახელმწიფო სექტორი (60%; ზოგ დარგებში 70-97%).
- სოციალისტური და საბაზრო ეკონომიკის ერთგვარი სიმბიოზია (საბაზრო ურთიერთობათა შეხამება სახელმწიფო დაგეგმვასთან);
- გადასვლა მოდელიდან "ცენტრალიზებული გეგმური ეკონომიკა; მოდელზე "გეგმური სასაქონლო ეკონომიკა;
- დიდი და ეფექტიანი კერძო სექტორი;
- ხელისუფლების მძლავრი საკონტროლო შტო;
- ეკონომიკის მაღალი გახსნილობა;
- თავისუფალი ეკონომიკური ზონები (მისი ერთ-ერთი მთავარი თავისებურება ისაა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დიდად ჭარბობს პორთფელურ ინვესტიციებს);
- სოფლის მეურნეობაში გადასვლა "სახალხო კომუნიდან" "ოჯახურ სამეურნეო ანგარიშზე";
- საწარმოებს შორის პირდაპირი სამეურნეო კავშირების დამყარება;
- ბაზრების სისტემის შექმნა (საფონდო ბაზრები, მომსახურების ბაზრები, ინფორმაციული ბაზრები, ტექნიკის, ტექნოლოგიის ბაზრები) და სხვა.

დანართი ბ

ეკონომიკური სისტემების ტიპები

ეკონომიკური ანალიზის ინტერესში შიდის იმის შეცნობა, თუ როგორ არეგულირებს ქვეყნის მთავრობა ეკონომიკას, საკუთრების უფლებებს, როგორ ახორციელებს ფისკალურ, მონეტარულ პოლიტიკას და საბოლოოდ, რა ინტერპრეტაციას უკეთებს ეკონომიკურ თავისუფლებას. ამ მიზნით ხშირად იწყებენ ანალიზს ქვეყნის ეკონომიკური სისტემის შეფასებით, იკვლევენ იმ სტრუქტურებსა და პროცესებს, რომლებიც მართავს რესურსების განაწილებასა და ბიზნესის წარმოებას. არსებობს ეკონომიკური სისტემების სამი ტიპი: საბაზრო, შერეული და მართვადი ეკონომიკა (იხილეთ ნახ. 3 ბ.1).

საბაზრო ეკონომიკა

საბაზრო ეკონომიკა ისეთი სისტემა, როდესაც, მთავრობის ნაცვლად, ეკონომიკური გადაწყვეტილებების უმეტესობას ინდივიდები იღებენ. ის განმტკიცებულია კაპიტალიზმის ფილოსოფიითა და მისი პრინციპით, რომელის თანახმადაც, კერძო მფლობელობა საკუთრების უფლებებისგან განუყოფელია. ეს ლეგიტიმურს ხდის ადამიანის ინიციატივით, ინვესტიციებისა და რისკის საფუძველზე მიღებულ მოგებას. რესურსების ოპტიმალურ განაწილებასა და მწარმოებლების შესაბამის რეაგირებას მოჰყვება მომხმარებლების მიერ არჩევანის თავისუფლების განხორციელება. ჰონგ-კონგში, სინგაპურში, ავსტრალიაში,

შვეიცარიაში, კანადასა და აშშ-ში საბაზრო ეკონომიკა ხალხს ეკონომიკურ თავისუფლებას ანიჭებს. მათ შეუძლიათ, გადაწყვიტონ, სად და რამდენი ხნის განმავლობაში იმუშაონ, რა გააკეთონ, როგორ დახარჯონ ან დაზოგონ ფული, როგორ გამოიყენონ შემოსავლები.31 საბოლოოდ, საბაზრო ეკონომიკაში ინდივიდის თავისუფალი არჩევანი აძლიერებს ქვეყნის პროგრესს.



ნახ.3 ბ. 1 ეკონომიკური სისტემების ტიპები ეკონომიკური სისტემების სამი მთავარი ტიპი ეფუძნება განსხვავებულ პრინციპებს, იყენებს სხვადასხვა მიდგომას და ხასიათდება განსხვავებული ფილოსოფიებით.

საბაზრო ეკონომიკა იცავს ეკონომიკაში ჩაურევლობის პრინციპს - laissez-faire-ს, რომლის ზუსტი თარგმანია „ნება მიეცი, გააკეთოს“. უფრო ზუსტად „ნება მიეცი, იყოს“ ან „თავი დაანებე“. როგორიც არ უნდა იყოს laissez-faire-ის თარგმანი, ის ეწინააღმდეგება მთავრობის ჩარევას ბიზნესში. მისთვის პირადი ინტერესების მქონე მომხმარებლების „უხილავი ხელი“ ეფექტიანი საქმიანობის ფუნდამენტია.

მომხმარებლების, მწარმოებლების ურთიერთკავშირი ოპტიმალურად განსაზღვრავს ფასს, რაოდენობას, მიწოდებას და მოთხოვნას შორის ურთიერთკავშირს. როგორც ადამ სმიტი აღნიშნავდა, მოგების მოტივით სტიმულირებულ მწარმოებლებს საბაზრო ეკონომიკა აიძულებს, შექმნან პროდუქტები, რომლებსაც შესყიდვის ძალაუფლების გაზრდის საჭიროებით სტიმულირებული მომხმარებლები ყიდულობენ. აქედან გამომდინარე, იმის საფუძველზე, თუ რას ყიდულობენ და რას – არა, მომხმარებლები წარმართავენ რესურსების ეფექტიან განაწილებასა და აქტივების ოპტიმალურ შეფასებას.

დიდი ხანია ჩამოყალიბდა საბაზრო ეკონომიკაში მინიმალური სამთავრობო ჩარევის ტენდენცია. რაც უფრო ხილული ხდება „ხელი“ მთავრობის ჩარევის გამო, მით უფრო ნაკლებად ეფექტიანად მუშაობს ბაზარი. თუმცა, „უხილავი ხელი“ არაა უცდომელი. საზოგადოებრივი საქონლის (მაგ; შუქნიშნები, ნაციონალური თავდაცვა და ა. შ.) და პროტექციის (მაგ., მინიმალური ხელფასის ზღვარი, ფინანსური, სავაჭრო რეგულაცია...) საჭიროება ხელს უშლის საზოგადოების კეთილდღეობის ხარჯზე პირადი სარგებლობის ზრდას, მოითხოვს მთავრობის გარკვეულ ჩართულობას.

მაშასადამე, საბაზრო ეკონომიკა სახელმწიფოსგან მოითხოვს საკუთრების უფლებების დაცვას, სამართლიანი და თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფას, გარკვეული ტიპის ეკონომიკური აქტივობების რეგულირებას, ზოგადი უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფას (იხილეთ ცხრილი 3 ბ.1). მიუხედავად ამისა, ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაში საბაზრო ეკონომიკის ქვაკუთხედად რჩება ეკონომიკურად თავისუფალი აგენტების „უხილავი ხელი“.

დირექტიული (მართვადი) ეკონომიკა

თეორიულად კომუნიზმი იცავს სახელმწიფოს მიერ რესურსების მფლობელობას და ყველა ეკონომიკურ საქმიანობას უქვემდებარებს სახელმწიფო კონტროლს. კომუნიზმში

ნომინალური სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა და პოლიტიკური იდეოლოგია მოითხოვს თანაბარ, კლასების გარეშე და მოქალაქეობის არმქონე საზოგადოების არსებობას, რაც ეფუძნება მთავრობის მხრიდან ეკონომიკის მართვას. ეს არგუმენტები აისახება მართვად ეკონომიკაში, როდესაც მთავრობა ფლობს და აკონტროლებს რესურსებს, მართავს, თუ რა პროდუქტები უნდა აწარმოოს, რა რაოდენობით, რა ფასითა და რა გზით. მაგალითად, საბაზრო ეკონომიკაში, თუ მთავრობას სურს კომპიუტერები, ის კრეფს გადასახადებს და საბაზრო ფასად კერძო კომპანიებისგან ყიდულობს კომპიუტერებს. მართვად ეკონომიკაში მთავრობის „ხილული ხელი“ კომპიუტერების დამზადებას უკვეთავს სახელმწიფო კომპანიებს.

ცხრილი 3 ბ. 1 საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საშუალებები და მეთოდები

პრივატიზაცია	საბაზრო ეკონომიკის აუცილებელი პირობაა მთავრობის მფლობელობაში მყოფი რესურების გაყიდვა და მათი სამართლებრივი გზით კერძო სექტორისათვის გადაცემა. პრივატიზაცია, კერძო სექტორისთვის მოთხოვნისა და მიწოდების რეგულირების უფლება, აუმჯობესებს მწარმოებლებისა და მომხმარებლების გადაწყვეტილებებს.
დერეგულაცია	სამთავრობო რეგულაციები ამცირებს ინდივიდუალურ არჩევანს, ანუ, „მთავრობა კი არ წყვეტს ყველა პრობლემას, არამედ ის თავად პრობლემა ხდება“. დერეგულაცია ეხმარება ბაზრებს პროდუქტულობის ოპტიმიზაციაში.
საკუთრების უფლებები	საკუთრების უფლებები მეწარმეებს აძლევს მათი იდეების, ძალისხმევისა და რისკის ფლობის შესაძლებლობას. საკუთრების დაცულობა ხელს უწყობს ეკონომიკურ თავისუფლებას, იმის გარანტიით, რომ, მთავრობის ნაცვლად, სარგებელს ინდივიდები მიიღებენ.
მონოპოლიზმის წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობა	მონოპოლიზმის წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობა ხელს უწყობს ინდუსტრიების ფორმირებას იმდენი კონკურენტი ბიზნესით, რამდენის შენარჩუნებაც შეუძლია ბაზარს. ის ხელს უშლის მონოპოლიებს მომხმარებლების ექსპლოატაციასა და ბაზრის ზრდის შეზღუდვაში.

„უხილავი ხელის“ „ხილულად“ გადაქცევა გულისხმობს, რომ საქონლისა და მომსახურების ფასებს განსაზღვრავენ სამთავრობო მოხელეები (და არა მომხმარებლები). პროდუქციის ხარისხი ხშირად ცუდია და თანაც უარესდება. როგორც წესი, ქვეყანაში პროდუქტების მცირე მარაგია. დიდი მასშტაბის სახელმწიფოს კომპანიები ვერ აბანდებენ ინვესტიციებს, მათი საქმიანობა არასაკმარისი და არამომგებიანია, მათ სიახლეების დასანერგად აქვთ მცირე მოტივაცია და რესურსები. აშკარაა, რომ მართვადი ეკონომიკა კარგად მუშაობს მოკლე პერიოდის განმავლობაში. ის სახელმწიფოს ყველასა და ყველაფრის კონტროლის საშუალებას აძლევს, უსარგებლო რესურსები მობილიზებულია იმ მიზნით, რომ წარმოიქმნას ზრდის ძლიერი ნაკადი. პოლიტიკური სტაბილურობისა და სოციალური კონტროლის ტენდენცია ახშობს ეკონომიკურ თავისუფლებას.

მართვადი ეკონომიკები მოიცავდა საბჭოთა კავშირს (რომელიც ერთ დროს მსოფლიოს მეორე ყველაზე დიდი ეკონომიკა იყო), 1958 წლის დასაწყისში, „დიდი ნახტომის წინა“ პერიოდში – ჩინეთს, საბჭოთა ოკუპაციის და თალიბანის მმართველობის დროს, 1991 წლის ეკონომიკურ რეფორმებამდე – ინდოეთსა და ავღანეთს. დღეს, გვხვდება ამის რამდენიმე მაგალითი კუბაში, ირანში, ჩრდილოეთ კორეასა და ბირმაში. უფრო ხშირად, მენეჯერები მუშაობენ იმ ეკონომიკაში, რომელიც სახელმწიფო კონტროლის რამდენიმე, მაგრამ არა ყველა მეთოდს იყენებს. ისეთი სახელმწიფოები, როგორებიცაა: ირანი, ვენესუელა, თურქმენეთი, ბელორუსია, ზიმბაბვე, ეთიოპია, ვიეტნამი, რუსეთი და ჩინეთი, ხვდებიან ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის „არა თავისუფალ“, არამედ „რეპრესირებულ“ კატეგორიაში.

შერეული ეკონომიკა

ეკონომიკების უმეტესობა, ცნობილია როგორც შერეული, ისინი ხვდება საბაზრო და მართვად ეკონომიკებს შორის. შერეული ეკონომიკა სისტემაა, რომელშიც ეკონომიკური გადაწყვეტილებები, უმთავრესად, ბაზარზეა ორიენტირებული და არსებობს კერძო მფლობელობა, მაგრამ მთავრობა ერევა რესურსების განაწილებაში. მაგალითად, აშშ-ს პრეზიდენტი ობამა ფიქრობდა, რომ მთავრობის პასუხისმგებლობაა „სტრატეგიული ინდუსტრიების შესახებ სტრატეგიული გადაწყვეტილებების“ მიღებაა.

შერეული ეკონომიკა აერთიანებს მართვადი და საბაზრო სისტემების ელემენტებს. რაც შეეხება პირველს, სახელმწიფო ფლობს რესურსებს, ცენტრალიზებულს ხდის ეკონომიკურ დაგეგმვას და მტკიცედ არეგულირებს ბაზარს. რაც შეეხება მეორეს, წარმოებას განსაზღვრავს მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთკავშირი.35 მაგალითად, მთავრობა, შესაძლოა, ფლობდეს კომპანიებს, რომლებიც აწარმოებენ კომპიუტერებს. იმის ნაცვლად, რომ მიუთითოს სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფ ფირმებს, რამდენი კომპიუტერი დაამზადონ, მთავრობა საშუალებას აძლევს საბაზრო ძალებს, გავლენა მოახდინონ მათ რაოდენობაზე.

ქვეყნის მიერ სოციალისტური მსოლფლმხედველობის მიღება ნიშნავს მის გადაწყვეტილებას, უარი თქვას საბაზრო ან მართვად ეკონომიკაზე. სოციალური თანასწორუფლებიანობისა და სიმდიდრის სამართლიანი განაწილების წახალისებით, სოციალიზმი იცავს ეკონომიკური აქტივობის რეგულირების პრინციპს. კაპიტალიზმის მსგავსად, ის რესურსების გასანაწილებლად იყენებს ბაზარს, მაგრამ ინვესტიციებს უქვემდებარებს სოციალურ კონტროლს, რაც მთავრობის მიერ თითქმის ისევე იმართება, როგორც ეს კომუნიზმის დროს ხდება. სოციალიზმი ამტკიცებს, რომ სამართლიანი ეკონომიკა, ხელს უშლის სიმდიდრისა და ძალაუფლების კონსოლიდაციას, შემოსავლის სამართლიანად განაწილებით ეხმარება გაღატაკებულებს, საბაზრო წარუმატებლობებზე რეაგირებით სტაბილურს ხდის სისტემას და საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შეზღუდვით იცავს საზოგადოებას. ეს მანდატი ქვეყნისგან მოითხოვს ეფექტიანობის, პროდუქტულობისა და ინოვაციურობის მიღწევას, რაც ახასიათებს

თავისუფალ ბაზრებს, გარდა ამისა, სახელმწიფო საზოგადოების კეთილდღეობის საზიანოდ ხელს უშლის ინდივიდუალიზმის განვითარებას. ასეთი მთავრობები ეკონომიკაში თანასწორუფლებიანობას ნერგავენ.

გლობალური ფინანსური კრიზისის შემდგომმა პერიოდმა ამ პრინციპებით ბევრს შეუწყო ხელი. ქვეყნები, რომლებიც ემხრობიან სახელმწიფოს ჩარევას, მაღალ გადასახადებს, მკაცრ რეგულაციას, მტკიცე კანონმდებლობით იცავენ სამუშაო ადგილებს, ავითარებენ სოციალური უსაფრთხოების პროგრამებს, თავისუფალი ბაზრის მქონე ქვეყნებზე უკეთ ახორციელებენ ეკონომიკურ ცვლილებებს.36 როცა თავისუფალი ბაზრის მქონე ბრიტანული ეკონომიკა უცაბედად დაეცა, საფრანგეთის შერეულმა ეკონომიკამ სიმტკიცე გამოიჩინა. როცა ეკონომიკურად თავისუფალი შეერთებული შტატები განიცდიდა კრიზისს და ქვეყნის მთავრობა ფიქრობდა, რა მოხდებოდა შემდეგ, დანიის სოციალიზმმა ხელი შეუწყო ამ ქვეყნის მტკიცე ეკონომიკურ განვითარებას და მოქალაქეების, როგორც მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ხალხის, სტატუსის განმტკიცებას.

შერეული ეკონომიკის დამცველები უპირობოდ არ ემხრობიან სახელმწიფოს ჩარევას, როგორც უნივერსალურ საშუალებას. პოლიტიკური დღის წესრიგი და სოციალური გარემოებები აყალიბებენ მთავრობის მიერ ეკონომიკური თავისუფლებისა და სახელმწიფო კონტროლის დაბალანსების იდეას. ამგვარად, მთავრობის ჩარევის ხარისხი და თავისებურებები, ქვეყნების მიხედვით, განსხვავებულია. ამჟამად სამხრეთ აფრიკა, იაპონია, სამხრეთი კორეა, შვედეთი, ავსტრია, საფრანგეთი, ბრაზილია, გერმანია და ინდოეთი შერეული ეკონომიკის ქვეყნებია. ისინი ხვდებიან ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის „მეტ-ნაკლებად“ და „ზომიერად“ თავისუფალთა კატეგორიებში.

წყარო: [9, მე-4 თავი]

კითხვები გამეორებისთვის

1. რომელი სტრუქტურული რგოლებისაგან შედგება თანამედროვე ეკონომიკა.
2. ჩამოთვალეთ, სოციალურ-ეკონომიკური მოწყობის 3 ძირითადი ამოცანა, რომლებიც ადამიანებმა უნდა გადაწყვიტონ ნებისმიერ საზოგადოებაში.
3. დაახასიათეთ ეკონომიკური სისტემების ძირითადი ტიპები.
4. განვითარებული ქვეყნების ძირითადი ეკონომიკური მოდელების მიმოხილვა.

მეოთხე თავი
საბაზრო მექანიზმის ძირითადი ელემენტები

განსახილველი საკითხები:

- **მოთხოვნილებისა და მოთხოვნის არსი და მნიშვნელობა**
- **ძირითადი ეკონომიკური ინსტიტუტები. ეკონომიკური აგენტები და მათი ინტერესები**
- **კერძო საკუთრება**
- **კონკურენცია**
- **რესურსები (წარმოების ფაქტორები), მისი მესაკუთრენი და მათი შემოსავლები**
- **ეკონომიკური წრებრუნვა**
- **ბაზრის არსი და ფუნქციები**

რა ხდის მოტივირებულს ორგანიზაციის წევრებს შეასრულონ სამუშაო მაღალ დონეზე

2001 წელს ჟურნალ "ფორტუნა"-ში გამოქვეყნებულ 100 საუკეთესო კომპანიას შორის მეორე ადგილზე გავიდა SAS ინსტიტუტი, კერძო საკუთრებაში მყოფი კომპიუტერული პროგრამების მსოფლიოს უდიდესი კომპანია, რომელსაც მთელ მსოფლიოში ჰყავს 8 000 თანამშრომელი და ახორციელებს 1.1 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის გაყიდვებს. თითოეული მაჩვენებლის მიხედვით ჩანს, რომ **კომპანიის თანამშრომლები ძალზე მოტივირებულნი არიან და კარგად ასრულებენ დაკისრებულ სამუშაოს** კვირაში 35 სამუშაო საათის მანძილზე. როგორ ახერხებენ ამას მენეჯერები SAS ინსტიტუტში? **მენეჯერები დარწმუნებულნი არიან, რომ ორგანიზაციის თანამშრომლები ძალზე მოტივირებულნი არიან და მათი მოთხოვნილებები კმაყოფილდება SAS -ში სამუშაოს კარგად შესრულების შედეგად.**

აღსანიშნავია, რომ **ყველაზე პრიორიტეტული SAS ინსტიტუტში შინაგანად მოტივირებული სამუშაოს შესრულების საჭიროების დაკმაყოფილებაა.** მენეჯერები ძალისხმევას არ იშურებენ, რომ თითოეული თანამშრომელი კმაყოფილი იყოს შესრულებელი სამუშაოთი. ამასთანავე, ორგანიზაციის წევრებს საშუალება აქვთ შეიცვალონ სამუშაო, რათა გარკვეული დროის მანძილზე ერთი და იმავე საქმის კეთება მათთვის მოსაბეზრებელი არ აღმოჩნდეს (მაშინაც კი, როდესაც სამუშაოს შეცვლა SAS ინსტიტუტისგან დამატებითი ტრენინგების ჩატარებას მოითხოვს). უფრო მეტიც, SAS-ი მათი ზოგიერთი კონკურენტისგან განსხვავებით, ყველა ახალი პროდუქტის შემუშავებას საკუთარი ძალებით ახდენს, რითაც თანამშრომლები ყოველი ახალი გაუმჯობესებული ნაწარმის წარმატების შედეგად განიცდიან დიდ სიხარულს და სიამაყის გრძნობა ეუფლებათ.

SAS- ი აკმაყოფილებს თანამშრომლების ეკონომიკური უსაფრთხოების მოთხოვნებს ხელფასის სამართლიანი გადახდით და გარანტირებული სამუშაო ადგილის შექმნით. თანამშრომლებს აქვთ საკუთარი კაბინეტები და სასიამოვნო სამუშაო გარემო ლამაზი ხედებით, იქნება ეს ნახატები კედლებზე თუ ლამაზი პეიზაჟები კომპანიის შტაბ-ბინაში ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ქალაქ კერიში. SAS -ის მენეჯერები აცნობიერებენ, რომ თანამშრომლებისათვის მუშაობისა და ცხოვრების რიტმის ბალანსის დაცვა ყველაზე პრიორიტეტულია და სხვადასხვაგვარად ცდილობენ მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას – 35 საათიანი სამუშაო კვირა, სამედიცინო დახმარება და ბავშვების მოვლა; კომპანიის კაფე-

ტერიაში გამოყოფილია მაღალი სკამები მათთვის, ვისაც შვილებთან ერთად სურთ სადილობა. თანამშრომლებსა და მათი ოჯახის წევრებს უფლება აქვთ კომპანიის შტაბ-ბინის მიმდებარე 80 ჰა ტერიტორია გამოიყენონ ოჯახური პიკნიკებისა და სეირნობისათვის. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის **აღმასრულებელ დირექტორს ჯეიმს გუდნაითს და ჯონ სალს, კომპანიის დამფუძნებლებსა და მესაკუთრეებს,** უნდათ, რომ SAS-ის აქციები ღია ბაზარზე გაიტანონ, ჯეიმს გუდნაითმა აღნიშნა, რომ ინსტიტუტის კონტროლს ხელიდან არ გაუშვებს. ამიტომ, თანამშრომლებს ალბათ კვლავ ისე მოეპყრობ-იან, როგორც კომპანიის აღმასრულებელ დირექტორს ჯეიმს გუდნაითს (ინსტიტუტის ორი მესამედის მფლობელს) სურს, რომ მას მოეპყრონ (SAS ინსტიტუტის დაარსების დღიდან, 1977 წლიდან მოყოლებული, ეს იყო **კომპანიის მუდმივი ღირებულება).**

ორგანიზაცია იქნება ეფექტური მხოლოდ მაშინ, თუ მისი წევრები მოტივი-რებული არიან, შეასრულონ სამუშაო მაღალ დონეზე.

მოტივაცია შეიძლება განისაზღვროს, როგორც ფსიქოლოგიური გავლენა, რო-მელიც მიმართულებას აძლევს ორგანიზაციაში პიროვნების – ქცევას, ძალისხმევის დონეს და დაბრკოლების არსებობის შემთხვევაში – სიმტკიცეს. *პიროვნების ქცევა* გულისხმობს ბევრ შესაძლო ქცევას, რაც შეიძლება ადამიანმა წარმოაჩინოს: *ძალისხმევას*, რამდენად ბეჯითად მუშაობს ადამიანი; *სიმტკიცეს* – დაბრკოლებების წინაშე მყოფი ადამიანის მცდელობას, საქმე ბოლომდე მიიყვანოს.

მოთხოვნილებების თეორიები

საზოგადოების მოთხოვნილებები ეკონომიკის მძლავრი მამოძრავებელია.

მოთხოვნილება არის საჭიროება ან აუცილებლობა გადარჩენისა და კარგად ყოფ-ნისათვის. **მოთხოვნილების თეორიების** მთავარი პრინციპი არის ის, რომ ხალხი მოტივი-რებულია, მიიღოს მუშაობის შედეგები, რითაც დაიკმაყოფილებენ მოთხოვნილებებს. არსებობს მოთხოვნილების რამდენიმე თეორია. ჩვენ ვისაუბრებთ **აბრაჰამ მასლოუს** მოთხოვნილებების იერარქიაზე.

მასლოუს მოთხოვნილებების იერარქია

ფსიქოლოგმა აბრაჰამ მასლოუმ შემოგვთავაზა შემდეგი სახის თეორია - ყველა ადა-მიანი ცდილობს დაიკმაყოფილოს 5 ძირითადი მოთხოვნილება: **ფიზიოლოგიური, უსაფრთხ-ოების, საკუთარი ადგილის დამკვიდრების, პატივისცემის და თვითრეალიზაციის (იხ. ცხრილი 4.1).** მისი მოსაზრებით ეს მოთხოვნილებები აყალიბებს მოთხოვნილებათა იერ-არქიას, ყველაზე ძირითადი ანუ დაუძლეველი მოთხოვნილებებით (ფიზიოლოგიური და უსაფრთხოების) იერარქიის დაბალ საფეხურებზე. მასლოუს მიხედვით, უნდა დაკმაყოფილ-დეს ყველაზე დაბალ დონეზე მყოფი მოთხოვნილებები, ვიდრე ადამიანი დაიწყებს ბრძოლას იერარქიულად უფრო მაღალი დონის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, როგორიც არის თვითპატივისცემის მოთხოვნილება. **მოთხოვნილება დაკმაყოფილებისთა-ნავე წყვეტს ფუნქციონირებას, როგორც მოტივაციის წყარო. ყველაზე დაბალ საფეხურზე მყოფი დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებები იერარქიულად არის ქცევის უმნიშვნელო-ვანესი მოტივატორი.** ამ საფეხურის დაკმაყოფილებისთანავე იერარქიულად შემდეგი საფეხური იქცევა ქცევის მოტივატორად.

ცხრილი 4.1. მასლოუს მოთხოვნილებების იერარქია

უმაღლესი დონის მოთხოვნილებები	**მოთხოვნილებები**	**აღწერა**	**მაგალითები, როგორ შეუძლიათ მენეჯერებს ადამიანების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სამსახურში**
	თვითრეალიზაციის მოთხოვნილებები	პიროვნების პოტენციალის სრულად რეალიზაციის მოთხოვნილება	ადამიანისთვის უნარ-ჩვევების ბოლომდე გამოყენების საშუალების მიცემა
	პატივისცემის მოთხოვნილება	მოთხოვნილება იგრძნო თავი კარგად, პატივი სცენ შენს შესაძლებლობებს და ისინი იყოს აღიარებული და დაფასებული	მიღწევების აღიარება და დაწინაურება
	საკუთარი ადგილის დამკვიდრების მოთხოვნილება	სოციალური ურთიერთქმედების, მეგობრობის, სიყვარულის მოთხოვნილება	კარგი პირადი ურთიერთობების ჩამოყალიბება და სოციალური შეკრებების ორგანიზება, როგორებიცაა: პიკნიკები და სადღესასწაულო წვეულებები
	უსაფრთხოების მოთხოვნილება	უსაფრთხო, სტაბილური და მშვიდი გარემოს მოთხოვნილება	უსაფრთხო სამსახური, ადეკვატური სამედიცინო დაზღვევა და მშვიდი სამუშაო პირობები
ყველაზე დაბალი დონის მოთხოვნილებები	**ფიზიოლოგიური მოთხოვნილება**	ძირითადი მოთხოვნილებები საკვებზე, სასმელზე, თავშესაფარზე, რაც აუცილებელია ადამიანის გადარჩენისთვის	ხელფასის იმ მინიმუმის უზრუნველყოფა, რომელიც საკმარისი იქნება საკვების, ტანსაცმლისა და ნორმალური საცხოვრებლის (სახლის, ბინის) შესაძენად
ყველაზე დაბალი მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობა არის ქცევის მოტივატორი; როდესაც მოთხოვნილების ეს დონე დაკმაყოფილებულია, ადამიანი ცდილობს დაიკმაყოფილოს მოთხოვნილებების შემდეგი საფეხური.			

მასლოუს მოთხოვნილებების იერარქიას ზოგჯერ პირამიდის სახითაც წარმოადგენენ, სადაც პირამიდის ფუძე არის ფიზიოლოგიური და უსაფრთხოების მოთხოვნილებები (ნახ. 4.1).

ნახ.4.1. აბრაჰამ მასლოუს მოთხოვნილებების პირამიდა



მიუხედავად იმისა, რომ ეს თეორია განსაზღვრავს მოთხოვნილებებს, რომლებიც ალბათ მრავალი ადამიანისათვის მოტივაციის მნიშვნელოვან წყაროებს წარმოადგენს, გამოკვლევები არ ადასტურებს მასლოუს მტკიცებულებებს, რომ საჭიროების იერარქიის არსებობა აუცილებელია და აგრეთვე, იმას, რომ დროის მოცემულ მონაკვეთში მხოლოდ ერთი დონის მოთხოვნილება არის მამოტივირებელი. მიუხედავად ამისა, **მასლოუს თეორიიდან მნიშვნელოვანი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ: ხალხი სამსახურში სხვადასხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ცდილობს.**

მზარდი გლობალური ეკონომიკის პირობებში მენეჯერებმა უნდა გაიაზრონ, რომ სხვადახვა ქვეყნის მოქალაქეები განსხვავდებიან იმ მოთხოვნილებებით, რომელთა დაკმაყოფილებას ისინი სამსახურის მეშვეობით ეცდებიან. მკვლევარები გვირჩევენ, რომ მაგალითად, ადამიანები საბერძნეთსა და იაპონიაში მოტივირებულნი არიან პირველ რიგში უსაფრთხოების მოთხოვნილებით, ხოლო შვედები, ნორვეგიელები და დანიელები კი საკუთარი ადგილის დამკვიდრების მოთხოვნილებით. ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, სადაც დაბალი საცხოვრებელი სტანდარტებია, ფიზიოლოგიური და უსაფრთხოების მოთხოვნილებები არის ქცევის ძირეული მოტივატორები.

მოთხოვნილებათა როლი დოვლათის წრებრუნვაში

უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ ეკონომიკის განვითარების განსაკუთრებულ ხასიათს – მის *წრიულ* მოძრაობას. ისევე როგორც დედამიწაზე მუდმივად მიმდინარეობს ნივთიერებათა წრებრუნვა, სამეურნეო საქმიანობაშიც უწყვეტად ხდება **ეკონომიკური დოვლათის წრებრუნვა.** დამზადებული სასარგებლო ნივთები ქრება მათი მოხმარების პროცესში და ხელახლა იქმნება იმავე ან შეცვლილი სახით. ასეთი წრებრუნვა – ადამიანთა ცხოველქმედების უწყვეტი მხარდაჭერის და განახლების აუცილებელი პირობაა. განსახილველი წრებრუნვა შედგება 5 ძირითადი რგოლისგან, რომლებიც ერთმანეთთან უწყვეტადაა დაკავშირებული:



ნახ.4.2. ეკონომიკური დოვლათის წრებრუნვა

წრებრუნვის საწყისად მიიჩნევენ **წარმოებას** – სასარგებლო დოვლათის შექმნის პროცესს. ამ დროს მუშაკები უსადაგებენ ბუნების ნივთიერებასა და ენერგიას ადამიანთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად (ნახ.4.2).

განაწილებას ექვემდებარება შემოსავალი საწარმოო საქმიანობისგან. განაწილების პროცესში განისაზღვრება ასეთი საქმიანობის ყველა მონაწილის წილი შექმნილ სიმდიდრეში.

დოვლათის განაწილებისგან წილად რგებული ხშირად საჭირო არაა პირადი მოხმარებისთვის მიღებული რაოდენობით. ვინაიდან ადამიანებს სჭირდებათ სრულიად სხვა საგნები, ხდება **გაცვლა,** რა დროსაც მიღებული სხვადასხვა დოვლათი იცვლება სხვა საგნებზე, რომლებიც საჭიროა ადამიანისთვის.

მოხმარება – პროდუქტის მოძრაობის დამაგვირგვინებელი ეტაპი, რა დროსაც ხდება ადამიანთა საჭიროებების დაკმაყოფილება. ადრე წარმოქმნილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების კვალობაზე იქმნება ახლები.

მოთხოვნილებები ურთიერთდაკავშირებულია დოვლათის წრებრუნვის **ყველა რგოლთან.** მოხმარების პროცესში წარმოიშობა **ახალი მოთხოვნილებები,** რომლებიც იწვევს წარმოების განახლებას.

შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ აქ თეორიულად აღწერილი დოვლათის წრებრუნვა ერთმნიშვნელოვნად ახასიათებს წარმოებისა და მოთხოვნილებების ურთიერთკავშირს. თუმცა პრაქტიკაში მრავალ ქვეყანაში არსებობს წარმოების და მოთხოვნილებების თანაფარდობის სხვადასხვა ვარიანტი. მაინც რა ვარიანტებია ეს?

როგორია წარმოების და საზოგადოების მოთხოვნილებების ცვლილებათა თანამედროვე ვარიანტები?

მთელ მსოფლიო ეკონომიკაში XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დამდეგს შეინიშნება **თანაფარდობის სამი ძირითადი სახე,** ერთი მხრივ, წარმოებასა და, მეორე მხრივ, მოსახლების მოთხოვნილებებსა და მოხმარებას შორის.

პირველი ვარიანტი. ზოგიერთ ქვეყანაში მეურნეობის ხანგრძლივი დაცემა იწვევს როგორც მოხმარების, ისე მოთხოვნილებების შემცირებას. ეს პროცესი შეიძლება შევადაროთ სპირალისებურ მოძრაობას კლებადი წრეებით, როგორიც შეგვიმჩნევია, ვთქვათ, მორევის ძაბრში. ასეთი სავალალო მდგომარეობა შეიძლება ვნახოთ, მაგალითად, აფრიკის ცალკეულ ქვეყნებში (ვთქვათ, **კონგოს რესპუბლიკაში, ეთიოპიაში**), სადაც XX საუკუნის ბოლოს საზოგადოების **შემოსავალი მცირდებოდა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით**.

მეორე ვარიანტი. აფრიკის და აზიის ცალკეულ ქვეყნებში სხვადასხვაგვარი პროდუქტის ნაკრების შედარებით შეზღუდული გამოშვება იზრდება ძალიან ნელა. ასეთ შემთხვევაში **მოთხოვნილებები ტრადიციულია და მხოლოდ ოდნავ ფართოვდება.**

პირველი და მეორე ვარიანტი გვიჩვენებს აშკარად არანორმალურ თანაფარდობას წარმოების და მოთხოვნილებების ცვლილებაში.

მესამე ვარიანტი. ნორმალურად შეიძლება ვაღიაროთ ეროვნული პროდუქტის წარმოების და მოთხოვნილებების და მოხმარების დონეების ერთდროული ზრდა. ამ შემთხვევაში მოთხოვნილებათა კანონზომიერი **მატება მიდის ორი მიმართულებით: ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად.**

ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესება ვლინდება მოთხოვნილებების ზრდაში **ვერტიკალურად**.

ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესება ვლინდება მოთხოვნილებათა ***ვერტიკალის*** გასწვრივ ამაღლებით.

მოთხოვნილებათა ჰორიზონტის გასწვრივ ამაღლება დაკავშირებულია მოსახლეობის სულ უფრო ფართო ფენების მიერ უფრო მაღალი ხარისხის პროდუქტების მოხმარების გაფართოებასთან. მაგალითად, თუ განვიხილავთ საქართველოს მოსახლეობის უზრუნველყოფას ხანგრძლივი მოხმარების საქონლით (გაიანგარიშება ცალობით, ყოველ 100

ოჯახზე), აღმოჩნდება, რომ 1970, 1980, 1990, 2000 და 2010 წლების მიხედვით მნიშვნელოვნად გაიზარდა ტელევიზორების, მაცივრების და საყინულეების, სარეცხი მანქანების, მსუბუქი ავტომობილების რაოდენობა.

ნახ. 4.3. ავტომობილთან დაკავშირებული მოთხოვნილებების ამაღლება



ეკონომიკური პროგრესის სტადიები

რას ნიშნავს „***<u>პროგრესი</u>***“?

<u>პროგრესი</u> [ლათ. progressus მოძრაობა წინ] ცვლილება უკეთესობისკენ; განვითარების მიმართულება, რომელსაც ახასიათებს გადასვლა უმდაბლესიდან უმაღლესისკენ, ნაკლებად სრულყოფილიდან მეტად სრულყოფილისკენ; საპირისპ. – რეგრესი.

სამეურნეო საქმიანობის ძირითადი წინააღმდეგობა, რაც საზოგადოების ძირითად ეკონომიკურ პრობლემაში აისახება ადამიანური ცივილიზაციის პროგრესის (წინსვლის) წყაროა. იმისათვის, რომ გავარკვიოთ, როგორ სრულდება ეს პროგრესი, უნდა გამოვავლინოთ წარმოების მამოძრავებელი ძალები.

ვის და რას მოჰყავს წარმოება მოძრაობაში

სამეურნეო საქმიანობას აღმშენებლობითი ძალა აქვს მისი ფაქტორების – საწარმოო ძალების მეოხებით.

<u>პირველი აქტორია</u> – **<u>ადამიანური.</u>** სწორედ ადამიანი, რომელიც მუშაობის აუცილებელ ცოდნასა და ჩვევებს ფლობს, არის წარმოების მთავარი ძალა.

<u>შრომა</u> წარმოებაში – ადამიანის მიზანმიმართული და სასარგებლო საქმიანობაა. შრომის პროცესში ადამიანები სახეს უცვლიან (გარდაქმნიან) ბუნების საგნებსა და ენერგიას და მათ თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იყენებენ. მართალია, აქ სიტყვა უბრალო ფიზიკურ დანახარჯს, ადამიანის კუნთოვან ძალას არ ეხება. ადამიანის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ეკონომიკაში სამეცნიერო-ტექნიკურ და ინტელექტუალურ შემოქმედებაში გამოიხატება.

წარმოების მონაწილეები ზრდიან თავიანთ შემოქმედებით სიმძლავრეს *მეორე ფაქტორის* – **შრომის საშუალებების** – დახმარებით. ეს მატერიალური საგნებია, რომელთა დახმარებითაც ადამიანი ქმნის მისთვის საჭირო დოვლათს. აქ მთავარი ადგილი უკავია **ტექნიკას:** ადამიანთა მიერ შექმნილ იარაღს – ინსტრუმენტებს, მანქანებს, მოწყობილობებს და ა.შ. შრომის საშუალებებს განეკუთვნება აგრეთვე *საერთო მატერიალური საშუალებები* (საწარმოო ნაგებობები, გზები, არხები და სხვ.) და წარმოების *ბუნებრივი პირობები* (მაგალითად, მიწა სოფლის მეურნეობაში, წყალი ჰიდროელექტროსადგურებში და სხვ.).

ადამიანი ტექნიკას იყენებს შექმნის *მესამე ფაქტორზე* – **შრომის საგნებზე** – ზემოქმედებისთვის. მათ განეკუთვნება *ბუნების ნივთიერება* რომელსაც ჯერ კიდევ არ განუცდია დამუშავება (ვთქვათ, ნახშირის ფენა შახტში) და *ნედლეული* (მაგალითად, მეშახტეების მიერ უკვე ამოღებული ფენიდან ნახშირი), რომელიც იგზავნება შემდგომი გადამუშავებისთვის. წარმოების ფაქტორების ზოგადი სტრუქტურა წარმოდგენილია სურ. 1.4.



ნახ.4.4. წარმოების ფაქტორების სტრუქტურა

ყველა **სამი ფაქტორი** გაერთიანებულია ტექნოლოგიის დახმარებით. **ტექნოლოგია** – შრომის საგნებზე შესაბამისი იარაღებით ზემოქმედების საშუალებათა ერთობლიობა.

წარმოება შემოქმედებით მოძრაობაში მოდის მისი ***ადამიანური და ნივთიერი ფაქტორების*** *დახმარებით. ამჟამად მათ შორის მთავარი როლი ენიჭება კვალიფიციურ მუშაკს, რომელიც შეიარაღებულია თანამედროვე ტექნიკით.*

ჩვენ მიერ განხილულ ფაქტორებსა და ტექნოლოგიაზე დამოკიდებულია წარმოების შემოქმედებითი შესაძლებლობები. ამოცანა ისაა, რომ უკეთ გამოვიყენოთ საზოგადოების საწარმოო პოტენციალი, ე.ი. მივაღწიოთ მოთხოვნილებათა რაც შეიძლება მეტ დაკმაყოფილებას რესურსების გონივრული ხარჯვისას.

როგორ განვსაზღვროთ საწარმოო შესაძლებლობები

ეწევიან რა სამეურნეო საქმიანობას, ადამიანები ყოველთვის ისწრაფვიან გამოარკვიონ, რა საწარმოო შესაძლებლობებს ფლობენ ისინი სასარგებლო დოვლათის შესაქმნელად.

საწარმოო შესაძლებლობები *– ესაა იმ პროდუქციის ყველაზე მეტი მოცულობით გამოშვება, რომელიც მიიღწევა წარმოების ფაქტორების სრული გამოყენებისას.*

როგორია გზა წარმოების დაბალი საფეხურიდან მაღლისკენ

ისტორიაში ცნობილია წარმოების განვითარების **სამი სტადია: 1) ინდუსტრიამდელი, 2) ინდუსტრიული (სამრეწველო) და 3) პოსტინდუსტრიული (მრეწველობის შემდგომი) ანუ საინფორმაციო.**

განვიხილოთ მათი განმასხვავებელი თვისებები, უპირველეს ყოვლისა, ტექნიკის დარგში, მეურნეობის წამყვან დარგებსა და თანამშრომლების შემადგენლობაში.

ეკონომიკის **ერთ სტადიას მეორისგან ყოფს** თავისი დროისთვის გრანდიოზული **ტექნიკური რევოლუციები.** თითოეული მათგანი ძირეულად ცვლის შრომის ტექნიკურ საშუალებათა ტიპს, იწვევს ცვლილებებს შრომის საზოგადოებრივ განაწილებაში და ქმნის სამეურნეო საქმიანობის ახალ დარგს. ამასთან ერთად კაცობრიობა გადადის მოთხოვნილებების და საშუალებების დაკმაყოფილების სრულიად ახალ სახეებზე. ცნობილია, რომ **ეკონომიკის ისტორია დაიწყო, როგორც იტყვიან, ნულიდან** – სამეურნეო საქმიანობის უქონლობისას, რომელიც ქმნის სასარგებლო დოვლათს. ეს ისტორია წავიდა ახალი კალაპოტით 10 ათასი წლის წინ, როცა მოხდა **პირველი ტექნიკური რევოლუცია.** ეს იყო **ნეოლითური რევოლუცია** (ახალი ქვის ხანის ეპოქაში გაჩნდა ქვის, კაჟბადის და ძვლის შრომის იარაღები). ამან გამოიწვია *აგრარული რევოლუცია* – დაიწყო რეგულარული სასოფლო-სამეურნეო წარმოება. *ინდუსტრიამდელი სტადიის* დასაწყისში ჭარბობდა ეკონომიკის პირველადი სფერო – სოფლის მეურნეობა. ამ სტადიისთვის დამახასიათებელი იყო ხელით შრომა, წარმოების უძრაობის მდგომარეობა და მოსახლეობის მასაში უბრალო მოთხოვნილებების სიჭარბე.

ინგლისში XVIII საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო და XIX საუკუნის 50–60-იან წლებში დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში დასრულდა **სამრეწველო გადატრიალება,** რომელიც მდგომარეობდა მანქანებით ხელის შრომის შეცვლაში. *ინდუსტრიულ სტადიაში* მთავარი გახდა ეკონომიკის მეორადი სფერო – მრეწველობა, რომელმაც გარდაქმნა სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, ტრანსპორტი. მეორე სტადიისთვის ტიპურია ქალაქების სწრაფი ზრდა, მოსახლეობის მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების უფრო ფართო დაკმაყოფილება.

XX საუკუნის შუახანებში დაწყებულმა **სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ** გამოიწვია წარმოების *პოსტინდუსტრიულ სტადიაზე* გადასვლა, რომელიც მომავალში შექმნიდა საინფორმაციო საზოგადოებას. ქვეყნებში, რომლებიც შევიდა განვითარების ამ პერიოდში, **ყველაზე ფართოდ გავრცელდა ეკონომიკის მესამეული სფერო** – მომსახურების სფერო, სადაც დასაქმებულია ყველა მომუშავის ძირითადი ნაწილი.

პოსტინდუსტრიული ეკონომიკა გამოირჩევა შემდეგი თვისებებით: **ა)** მეურნეობის ყველა დარგსა და ყოფაში ფართოდ ინერგება ინფორმატიკის და თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის მიღწევები; **ბ)** საწარმოებში იზრდება სამეცნიერო მუშაკების და სპეციალისტების როლი; **გ)** წარმოებას ძალუძს უზრუნველყოს ყველა მოქალაქისთვის ელემენტა-

რული მოთხოვნილებების საკმაოდ სრული დაკმაყოფილება და ამასთანავე გააფართოოს უფრო მაღალი რიგის მოთხოვნათა შესრულება.

წარმოების სტადიის განმასხვავებელ თავისებურებებზე თვალსაჩინო წარმოდგენას იძლევა ცხრ. 4.2.

წარმოების სტადიების განმასხვავებელი ნიშნები	**წარმოების სტადიები**		
	ინდუსტრიამდელი	ინდუსტრიული	პოსტინდუსტრიული
ტექნიკური რევოლუცია, წარმოშობის სტადია	ნეოლითური (ქვის იარაღები), 10 ათას წლის უკან	სამრეწველო გადატრიალება (XVIII ს. 60-იანი წ.-XIX ს. 60-იანი წლები)	მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია (XX საუკუნის შუადან)
მეურნეობის ახალი სფერო	სოფლის მეურნეობა (მომუშავეთა 3/4)	მრეწველობა (მომუშავეთა 2/3)	მომსახურება (მომუშავეთა 2/3)
შრომის სახეობა	ხელის	მანქანების გამოყენებით	ავტომატიზებული და კომპიუტერიზებული

ცხრილი 4.2. წარმოების განვითარების სტადიის თავისებურებები

ცხრილში 1.5 ყურადღებას იპყრობს *დიდი სტრუქტურული ძვრები* მომუშავეთა დასაქმებაში წარმოების სფეროებში: მათი მასობრივი გადაადგილება მეურნეობის ახალ დარგებში. რით აიხსნება ასეთი ძვრები?

მთავარ როლს ამ პროცესში ასრულებს *შრომის მწარმოებლურობის ნახტომისებური ზრდა,* რომელიც გამოწვეულია ტექნიკური რევოლუციით.

შრომის მწარმოებლურობა (შმ) – ადამიანის მიერ შექმნილი (ა – ანუ ადამიანი) მოცულობა (პროდუქციის რაოდენობა) (მ) დროის ერთეულში: შმ= მ/ა.

სავსებით კანონზომიერია, რომ, **რაც უფრო მაღალია შრომის მწარმოებლურობა, მით ნაკლები მომუშავეა საჭირო გარკვეული რაოდენობის ნაწარმის დასამზადებლად.**

საგულისხმოა, რომ სოფლის მეურნეობის მუშაკს ინდუსტრიულ ეკონომიკაში შეუძლია შექმნას **10–20-ჯერ მეტი** პროდუქცია, ვიდრე იმავე დარგის მუშაკს ინდუსტრიამდელ მეურნეობაში. წარმოებაში შრომის მწარმოებლურობის ზრდის შედეგი ისაა, რომ წინა სამუშაოდან წასულ ადამიანთა დიდი რაოდენობა ირჩევს სამეურნეო საქმიანობის ახალ სფეროს.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამჟამად მთელი კაცობრიობა იმყოფება ეკონომიკის უმაღლეს სტადიაზე, მაგრამ ეს სრულიადაც არაა ასე. დღესდღეობით პლანეტის ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რუკაზე შეიძლება ვნახოთ ქვეყნები, რომლებიც პროგრესის სხვადასხვა დონეზეა. ტექნიკური და ეკონომიკური განვითარების *დაბალ დონეზეა* აფრიკის, აზიის და ლათინური ამერიკის მრავალი ქვეყანა, რომლებშიც მრავალ სფეროში დღემდე შენარჩუნებულია ინდუსტრიამდელი მეურნეობა. იქ შრომისუნარიანი მოსახლეობის დაახლოებით 2/3 დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში. თუმცა, ეწევა რა ხელით შრომას, **მომუშავეს შეუძლია გამოკვებოს მხოლოდ 2 ადამიანი**.

მეურნეობის რამდენადმე უფრო მაღალი ინდუსტრიული ტიპი აღმოვაჩინეთ ევროპის რამდენიმე სახელმწიფოში (მაგალითად, საბერძნეთში, თურქეთში), ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე. ისეთმა ქვეყნებმა, როგორებიცაა: აშშ, იაპონია, გერმანია, მიაღწიეს პოსტინდუსტრიული განვითარების *უმაღლეს დონეს.* ამ ქვეყნებში ძირეულად შეიცვალა მთელი წარმოების შინაარსი. თუკი დიდხანს ეკონომიკის საფუძველი იყო ენერგია (ორთქლის, ელექტრული), **ახლა ცივილიზაციას არ შეუძლია განვითარება ინფორმაციის გარეშე.**

ინფორმაცია – რესურსების ერთ-ერთი გადამწყვეტი სახე, რომელიც გამოიყენება სამეურნეო პროცესებში. ახალი ცნობები, მონაცემები, ეკონომიკურ მაჩვენებელთა მნიშ-

ვნელობები ამჟამად გვევლინება შენახვის, დამუშავებისა და გადაცემის ობიექტებად, იმ მიზნით, რათა ისინი გამოიყენონ მართვაში ანალიზისა და გადაწყვეტილებების მიღების დროს. ახალი სამეცნიერო ინფორმაცია საჭიროებს სხვადასხვაგვარი რესურსის დანახარჯებს, რის შედეგადაც ეს დანახარჯები შედის წარმოებისა და მიმოქცევის დანახარჯებში.

წარმოების ინდუსტრიამდელ და ინდუსტრიულ სტადიებში ფართოდ გამოიყენებოდა წარმოების ცნობილი ტრადიციული (საუკუნეობით ფესვგადგმული) ფაქტორები და ტექნოლოგია. პოსტინდუსტრიულ ეკონომიკაში მათ შესაცვლელად მოვიდა უახლესი საშუალებები, შრომის საგნები და საინფორმაციო ტექნოლოგია.

საინფორმაციო ტექნოლოგია – ესაა სამეურნეო კავშირების ისეთი ფორმები, რომლებშიც კომპიუტერული ტექნიკის წყალობით ფართოდ გამოიყენება ეკონომიკური პროცესების სამართავად აუცილებელი ინფორმაცია. იმის გამოვლინება, თუ როგორ გამოიყენება პრაქტიკაში ინფორმაცია და საინფორმაციო ტექნოლოგიები, არის ფულის უახლეს სახეების, ასევე ბიზნესში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება და სხვ.

ხალხთა უმრავლესობა საინფორმაციო საზოგადოებისკენ მიიწევს სხვადასხვა სიჩქარით, ამიტომ საკმაო დამაჯერებლობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ XXI საუკუნეში მთელ მსოფლიოში ფართოდ გავრცელდება საინფორმაციო ეკონომიკის სტრუქტურა. ამდენად, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, როგორია ეს სტრუქტურა.

რა არის დამახასიათებელი საინფორმაციო ეკონომიკის სტრუქტურისთვის?

XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დამდეგს პოსტრინდუსტრიული საინფორმაციო მეურნეობის სტრუქტურამ შეიძინა არაერთი *განმასხვავებელი თვისება.*

1. ყველა მაღალგანვითარებულ ქვეყანაში ეკონომიკა მოიცავს ორ ერთმანეთის შემვსებ წარმოების სფეროს:

ა) **მატერიალურს** (ამზადებს სასარგებლო საგნებს) და ბ) **არამატერიალურს** (ქმნის სულიერ, ზნეობრივ და სხვა ფასეულობებს – მეცნიერების, ხელოვნების, სულიერი კულტურის ნაწარმოებებს და ა.შ.).

არამატერიალურ წარმოებას პირდაპირი და ირიბი კავშირი აქვს მატერიალურ წარმოებასთან, ამასთან ისინი მჭიდროდ გადაეჯაჭვა და დამოკიდებულია ერთმანეთზე. საკმარისია ითქვას, რომ თანამედროვე მეცნიერებას, კულტურას და არამატერიალური წარმოების სხვა სახეებს არ შეუძლია არსებობა მრავალი სახის მატერიალური დოვლათის და საზოგადოების ფინანსური (ფულადი) მხარდაჭერის გარეშე.

2. თანამედროვე წარმოებაში ორგანულად შედის განსაკუთრებული სფერო – მომსახურების სფერო.

მომსახურება – საქმიანობის სახე, რომლის სასარგებლო შედეგი ვლინდება შრომის დროს და დაკავშირებულია რაიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან.

მომსახურება იყოფა ორ სახედ, რომლებიც შეესაბამება საწარმოო საქმიანობის სფეროებს. ასხვავებენ *მატერიალურ მომსახურებას* (ამას ეწევა სატვირთო ტრანსპორტი, წარმოების მომსახურების კავშირი, ვაჭრობა, საყოფაცხოვრებო მომსახურება და სხვ.) და *არამატერიალური მომსახურება* (სოციალური მომსახურება, განათლება, ჯანდაცვა, დაკრედიტება, დაზღვევა და ა.შ.).

მაღალგანვითარებული წარმოების სტრუქტურა სქემატურად გამოსახულია **სურ-ზე 1.6.**



ნახ.4.5. წარმოების უახლესი სტრუქტურა

3. დღეს წარმოების სტრუქტურაში განსაკუთრებულად გამოიყოფა **ინფრასტრუქტურა** – იმ მეურნეობათა სახეების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფს პირობებს ადამიანთა ცხოველქმედებისა და წარმოების ნორმალური განვითარებისთვის. ის იყოფა ორ ჯგუფად:

საწარმოო ინფრასტრუქტურა, რომელიც უშუალო მომსახურებას უწევს მატერიალურ წარმოებას (გზატკეცილების, არხების, პორტების, ხიდების, აეროდრომების, საწყობების მშენებლობა და ექსპლოატაცია; ენერგეტიკული მეურნეობა; სარკინიგზო მეურნეობა; წყალმომარაგება, კანალიზაცია და ა.შ.);

არასაწარმოო **(ანუ სოციალური)** ***ინფრასტრუქტურა,*** რომელიც არაუშუალოდ დაკავშირებულია წარმოების პროცესთან (კადრების მომზადება, სასკოლო და უმაღლესი განათლება, ჯანდაცვა და სხვ.).

ინფრასტრუქტურა მოწმობს, რომ თანამედროვე წარმოება და მისი განყოფილებები შინაგანად გაერთიანებულია ერთმანეთთან ფართო და მტკიცე კავშირით.

წარმოიშობა ურთიერთკავშირის ახალი სახეები პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ყველა შემადგენელ ნაწილს შორის, ისინი იძენს სხვა მასშტაბებს უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიის განვითარების წყალობით. უდავოა, რომ თანამედროვე სამეურნეო საქმიანობა იღებს ძალიან რთული და უცნაური *სისტემის* ფორმას.

ძირითადი ეკონომიკური ინსტიტუტები

<u>ინსტიტუტებს</u> <u>უწოდებენ ადამიანთა ურთიერთქმედების მყარ ფორმებს (მათ შორის ნორმებს და წესებს)</u>. ძირითად ეკონომიკურ ინსტიტუტებს მიეკუთვნება ***<u>შინამეურნეობა, ფირმა, მთავრობა</u>*** <u>და</u> ***<u>ბაზარი</u>***. ეკონომიკური ინსტიტუტია აგრეთვე **საკუთრება**, კერძო საკუთრების ჩათვლით. თითოეული ამ ინსტიტუტთაგანი არის რთული წარმონაქმნი, რომელსაც ჩამოყალიბებისა და განვითარების ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამასთან, ყველა ეკონომიკური ინსტიტუტი ცხოვრებაში ურთიერთდაკავშირებულია, ზოგჯერ ავსებენ კიდევაც ერთმანეთს, ზოგჯერ ცვლიან.

პირველი სამ ინსტიტუტს – შინამეურნეობა, ფირმა და მთავრობა, სუბიექტური ხასიათი აქვს, ე.ი წარმოადგენენ სტრუქტურებს, **რომლებიც ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს**

ღებულობენ – დოვლათის წარმოების, მათი მოხმარების და სხვა სტრუქტურების სარგებლობაში გადაცემის შესახებ, ***ეკონომიკურ აგენტებსაც*** უწოდებენ. ეკონომიკური აგენტების სახით შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური პირები, ინდივიდები, აგრეთვე რთული წარმონაქმნები, იურიდიული პირების როგორც სუბიექტის ჩათვლით, რომელთაც კანონით მინიჭებული აქვთ საკუთრების და მეურნეობრიობის განსაზღვრული უფლებები სხვა ეკონომიკურ აგენტებთან მიმართებაში.

ეკონომიკის სუბიექტები (მოთამაშეები, აგენტები)

ეკონომიკური სუბიექტების სახეობებია:

- შინამეურნეობები
- საწარმოები (ფირმები) – კერძო, მუნიციპალური, სახელმწიფო
- სახელმწიფო

ეკონომიკური სისტემის მოწყობის პრინციპებია

- ეკონომიკური თავისუფლება
- კერძო საკუთრება
- სწრაფვა პირადი სარგებლობისათვის
- კონკურენტული ურთიერთქმედება
- ფასი, როგორც საბაზრო სისტემის კოორდინატორი
- სახელმწიფოს როლის შეზღუდულობა

საბაზრო სისტემის ორგანიზაციის ამოცანები

იმისთვის, რომ გავიგოთ მოცემულ ეკონომიკურ სისტემაში ეკონომიკური სუბიექტების სამეურნეო ქცევის ბუნება, აუცილებელია გამოვავლინოთ ის პრინციპები, რომლებსაც ემყარება თვით ეკონომიკური სისტემის მოწყობა. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკისთვის ასეთების სახით გამოდის **ეკონომიკური თავისუფლება, კერძო საკუთრება, სწრაფვა პირადი სარგებლობისკენ, კონკურენტული ურთიერთქმდება, ფასის, როგორც კოორდინაციის ინსტრუმენტის, გამოყენება და სახელმწიფოს შეზღუდული როლი.**

ეკონომიკური თავისუფლება – ესაა მეურნეობის საბაზრო სისტემის ორგანიზაციის ფუძემდებლური პრინციპი. იგი*გვანიჭებს მიზნების არჩევის შესაძლებლობას* და მათი მიღწევის საშუალებებს.ეკონომიკური თავისუფლება აბსოლუტური არასოდესაა. იგი დეტერმინირებულია თავად საბაზრო ურთიერთობის სისტემით. ჯერ ერთი, ეკონომიკური თავისუფლება *შეზღუდულია ეკონომიკური რესურსებით,* რაც განსაზღვრავს კიდეც კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. მომხამარებლის ეკონომიკური თავისუფლების ფარგლები განსაზღვრულია მათი კუთვნილი შემოსავლის სიდიდით. მწარმოებლისთვის ეკონომიკური თავისუფლების ჩარჩოები დეტერმინირებულია მის განკარგულებაში არსებული რესურსების სიდიდით და მომხმარებლების მიერ მისთვის მინიჭებული ძალაუფლებით. ეს უკანასკნელი ვლინდება ღირებულებითი პარამეტრების (ხარისხი და ღირებულება) შესაბამისობის ხარისხის სახით. ასეთი შესაბამისობის ხარისხის ზრდასთან ერთად მწარმოებლის ეკონომიკური თავისუფლება ფართოვდება, ხოლო მისი

შემცირებისას – ვიწროვდება.*მეორე, ეკონომიკური თავისუფლების დონე რეგულირდება წესების სისტემით,* რომელიც გამომუშავდება საბაზრო გაცვლის პროცესში, რის წყალობითაც მყარდება იმ საშუალებების განმსაზღვრელი ეკონომიკური წესრიგი, რომელთა მეშვეობითაც საბაზრო პროცესის მონაწილეებს შეუძლიათ გააკეთონ თავიანთი არჩევანი. განვითარებულ საბაზრო ეკონომიკაში ეკონომიკური თავისუფლება – *დამოუკიდებელი ეკონომიკური სუბიექტების ურთიერთქმდების შედეგია,* ხოლო მისი ფარგლები ასახავს მათი ინტერესების შეთანხმების ხარისხს.

კერძო საკუთრება – ესაა ფულადი შეფასების მქონე ეკონომიკური აქტივები (ფიზიკური – მატერიალური რესურსები და საქონელი, უძრავი ქონება; ფინანსური – ნაღდი ფული, საბანკო ანაბრები და ფასიანი ქაღალდები; არამატერიალური – საავტორო და საპატენტო უფლებები, სავაჭრო მარკა), რომლებიც ცალკეული ეკონომიკური სუბიექტების, კერძო პირების ან ფირმების მფლობელობაშია. იგი საბაზრო ეკონომიკის საძირკველია. ჯერ ერთი, მეურნეობრიობის სუბიექტების განკარგულებითი უფლებამოსილებების გამიჯვნით კერძო საკუთრება *ეკონომიკური გარიგებების განხორციელების წანამძღვარია.* მეორე, ერთ სუბიექტზე აქტივების გამოყენების შესაძლებლობის მიკუთვნებით და სხვებისთვის მისი შეზღუდვით, კერძო საკუთრება *გამოდის ეკონომიკური თავისუფლების ფარგლების განსაზღვრის ფაქტორად.* მესამე, განაპირობებს რა უფლებას მისი გამოყენების შედეგების – შემოსავლის – მითვისებაზე, კერძო საკუთრება *წარმოადგენს* ეკონომიკური საქმიანობის *მოტივაციურ ბაზას.* დასასრულ, უზრუნველყოფს რა ჯამურ ბალანსამდე დაყვანას, რომელიც წარმოიშობა გამორჩენის და დანახარჯების აქტივების გამოყენებისას, კერძო საკუთრება *განაპირობებს მხოლოდ იმ გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც აკმაყოფილებს საბაზრო ეფექტიანობის მოთხოვნებს,* თუ არადა აქტივები გადაინაცვლებს ისეთ სუბიექტებთან, ვინც უფრო ეფექტიანად გამოიყენებს მათ.

სწრაფვა პირადი გამორჩენისკენ საბაზრო ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალაა. მისი არსი დადის იქამდე, რომ რაციონალურად მოქმედი ბაზრის აგენტები გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობენ პირადი ინტერესებით, რომლებიც გამოიხატება სწრაფვაში, გაზარდოს თავიანთი კეთილდღეობა. პირადი ინტერესით ნაკარნახევი ქცევა შეიძლება გამოვლინდეს მათ სწრაფვაში გაზარდონ გამორჩენა ან შეამცირონ დანახარჯები. მწარმოებლები, ცდილობენ რა შეიძინონ წარმოებისთვის აუცილებელი რესურსები იაფად, ისწრაფვიან გაყიდონ თავიანთი პროდუქტი რაც შეიძლება ძვირად. მომხმარებლები, ცდილობენ რა ნაკლები გადაიხადონ დოვლათისთვის, ისწრაფვიან გაყიდონ მათი კუთვნილი რესურსი რაც შეიძლება მაღალ ფასად. მაგრამ ყველას ამოძრავებს ერთადერთი მიზანი – *მოახდინონ წმინდა მოგების მაქსიმიზირება დანახარჯებსა და გამორჩენასა შორის სხვაობის სახით. არის რა საბაზრო ქცევის ფუძემდებლური წანამძღვარი* და გამოდის გადაწყვეტილების მიღების მოტივად, სწრაფვა წმინდა გამორჩენისკენ *საბაზრო ეკონომიკაში ეკონომიკურ მოქმედებათა მიმართულების და მოწესრიგების ფაქტორის როლს ასრულებს.*

კონკურენტული ურთიერთქმედება არის ეკონომიკური სუბიექტების მეტოქეობა აქტივების გამოყენების საუკეთესო პირობებისთვის და ვლინდება მომხმარებლებსა და მწარმოებლებს შორის კონკურენციაში, აგრეთვეყოველი დასახელებული ჯგუფის წარმომადგენლებს შორის. თავისი ეკონომიკური ბუნებით იგი დაკავშირებულია ინტერესების კონფლიქტთან, ამიტომ გულისხმობს ეკონომიკური ძალაუფლების გაშორიშორებას ბაზრის

აგენტებს შორის.კონკურენტული ურთიერთქმედება ვლინდება რა ასეთი სახით, ჯერ ერთი, *აწონასწორებს*ეკონომიკური სუბიექტების *ეგოისტურ სწრაფვას* და მეორე, ეწინააღმდეგება ვინმეს აბსოლუტურ დომინირებას, *რითაც უზრუნველყოფს უფრო თანაბარ პირობებს არჩევისთვის.* ამიტომ კონკურენტული ურთიერთქმედება საბაზრო ეკონომიკის სისტემური ფაქტორის როლს ასრულებს. პრაქტიკაში იგი თავის ასახვას პოვებს კონკურენციაში, რომელიც ყველაზე სხვადასხვაგვარ ფორმას იღებს. კონკურენციის როლი ეკონომიკაში მრავალწახნაგოვანია. ხელს უწყობს რაიმ სუბიექტების საქმიანობის გაფართოებას, რომლებიც ეფექტიანად იყენებენ რესურსებს და **გამორიცხავს** არაეფექტურ სამეურნეო რგოლებს, *კონკურენცია გამოდის ეკონომიკის რეგულირების მექანიზმად,* რომელიც განსაზღვრავს მისი განვითარების მიმართულებას. იძლევა რა ეფექტიანობის კრიტერიუმებს, კონკურენცია *წარმოგვიდგება ეკონომიკური კონტროლის მეთოდად,* რითაცხელს უწყობს რესურსების უფრო რაციონალურ განაწილებას და გამოყენებას. ზღუდავს რა ცალკეული საბაზრო აგენტის საბაზრო ძალაუფლებას, იგი *ქმნის სასურველ პირობებს ინოვაციური საქმიანობისთვის.* აჯილდოებს რა ეფექტიანად მოქმედ სუბიექტებს, კონკურენცია *ბადებს სტიმულს ფორმების და საშუალებების უწყვეტი სრულყოფისთვის,* რის მეოხებითაც ხდება საბაზრო ეკონომიკის განვითარების „მუდმივი მამოძრავებელი“.

ფასი, როგორც საბაზრო სისტემის კოორდინატორი პოსტულატია, რომელსაც ცენტრალური ადგილი უკავია საბაზრო ორგანიზაციის ფუნქციონირების არსისა და მექანიზმის გაგებაში.მისი შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ არის რა ბაზრის მონაწილეებისთვის დოვლათის და რესურსების ღირებულების გამოხატულება, ფასები *მართავს* ეკონომიკური აგენტების *გადაწყვეტილებებს.* ისწრაფვიან რა თავიანთი ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციისთვის, ეკონომიკური აგენტები ახდენენ ფასების თანაზომადობას თავიანთ სუბიექტურ შეფასებებთან, რაც განსაზღვრავს კიდეც მათ მოქმედებას. ფასი კი ორიენტირის როლს ასრულებს რესურსების და დოვლათის განაწილებაში მათი გამოყენების ალტერნატიულ მიმართულებებს შორის და ამ გაგებით *არის ეკონომიკის რეგულატორი.*

სახელმწიფოს როლის შეზღუდულობა საბაზრო ეკონომიკაში გამომდინარეობს მეურნეობრიობის საბაზრო სისტემის მოწყობის თავისებურებებიდან. საქმე ისაა, რომ საბაზრო ეკონომიკის ორგანიზაციის ზემოაღნიშნული პრინციპების კვლავწარმოება შეიძლება მხოლოდ მისი დახმარებით გარედან. ასეთ ფუნქციას ასრულებს სახელმწიფო, ამიტომაც იგი ხდება საბაზრო ეკონომიკის უცილობელ ატრიბუტად. სახელმწიფო ადგენს საკუთრების გამოყენების სამართლებრივ ნორმებს და სამეურნეო ქცევის წესებს. არეგულირებს რა ეკონომიკურ ქცევას, იგი ხელს უწყობს ურთიერთქმედების კონკურენტულ ხასიათს ბაზრებზე. საქონლის და მომსახურების ყიდვა-გაყიდვით ის საბაზრო გარიგებების მონაწილეა, ხოლო გადასახადების ამოღებითა და სუბსიდიების გაცემით გავლენას ახდენს ბაზრის აგენტების მიერ გადაწყვეტილებების მიღებაზე. თვით დოვლათს ხშირად უშუალოდ სახელმწიფო აწარმოებს.მის მიერ შესრულებული ფუნქციების გამო სახელმწიფო ხდება მნიშვნელოვანი ეკონომიკური ძალაუფლების მფლობელი. ამ ძალაუფლების წყალობით იგი სერიოზულ ზეგავლენას ახდენს რესურსების განაწილებაზე და შეუძლია მოშალოს ღირებულებითი მექანიზმის მოქმედება, რომელიც იწვევს არჩევის თავისუფლების შეზღუდვას და საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ეფექტიანობის შემცირებას. ამიტომ სახელმწიფოს ჩარევის შეზღუდვა ეკონომიკაში *ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველყოფის და ფასის მაკოორდინირებელი როლის რეალიზაციისპრინციპია.*იგი ვარაუდობს,

ჯერ ერთი, პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების გამიჯვნას და მეორე, სახელმწიფოს ეკონომიკური ძალაუფლების ფარგლების დადგენას.

რა არის საკუთრება

სიტყვა "საკუთრება" ძალიან დიდი ხნის წინათ წარმოიშვა და აღნიშნავდა ყველაფერს თავისას, პირად კუთვნილებას, ქონებას, სიმდიდრეს.

შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ საკუთრება ადამიანის რაიმე ნივთთან კავშირია. ხომ ვამბობთ კიდევაც, რომ მაგალითად, "ეს ველოსიპედი ჩემია". მაგრამ ამით, დგინდება არა მხოლოდ რაიმე ნივთის ამ ადამიანისადმი კუთვნილება. ამასთან ერთდროულად ისიც იგულისხმება, რომ ველოსიპედი არავის სხვას არ ეკუთვნის. ამიტომ, საკუთრება არის ადამიანებს შორის ***ეკონომიკური ურთიერთობა***, რომელიც არკვევს ***რომელ მათგანს ეკუთვნის*** თითოეული ნივთი.

საკუთრება – არის ქონებრივი ურთიერთობა, რომელიც ადგენს სხვადასხვა ადამიანებისადმი მატერიალური და სოციალური დოვლათის კუთვნილებას.

ყველა სასარგებლო ნივთი გაყოფილია საზოგადოების წევრებს შორის, რომლებიც მათი მესაკუთრეები არიან. ამიტომ თითოეული ქვეყნის ეკონომიკის გაცნობა გულისხმობს იმის გარკვევას, თუ ვის ეკუთვნის მიწა, ფაბრიკები, რკინიგზები, საცხოვრებელი სახლები, მაღაზიები, სასწავლო დაწესებულებები და სიმდიდრის სხვა სახეები.

რა არის საკუთრების ეკონომიკური ურთიერთობა

საკუთრება – სამეურნეო კავშირების რთული ერთობლიობაა. იგი მოიცავს სამი სახის ძირითად ქონებრივ ურთიერთობას, რომელიც გვაძლევს საშუალებას გამოვარკვიოთ შემდეგი კითხვები:

1. ***ვინ*** (სამეურნეო საქმიანობის რომელი მონაწილეები) ***ითვისებს*** წარმოების ფაქტორებსა და შედეგებს?
2. **როგორ** ყალიბდება ქონების გამოყენებასთან დაკავშირებული ეკონომიკური ურთიერთობები?
3. ***ვის შეხვდება შემოსავალი*** სამეურნეო საქმიანობიდან?

ამიტომ, ***საკუთრების ეკონომიკური ურთიერთობა*** მოიცავს შემდეგ შემადგენლებს:

მითვისებას – ეკონომიკურ კავშირს სამეურნეო საქმიანობის მონაწილეებს შორის, რომელიც ადგენს მათს ნივთთან ურთიერთობას, როგორც თავისთან. სახელდობრ განისაზღვრება, ვის შეუძლია და ვის არ შეუძლია პრეტენდენტობა განსაზღვრულ ქონებაზე.

მითვისების საწინააღმდეგოა გასხვისების ურთიერთობა. იგი წარმოიშობა, თუ საზოგადოების რაიმე ნაწილი მიითვისებს ყველა რესურსს და სხვა ადამიანებს არსებობის წყაროების გარეშე დატოვებს, ანუ როგორც პროდუქტებს, რომელიც პიროვნებათა ერთმა ჯგუფმა შექმნა, სხვები ითვისებენ. ასეთი იყო ურთიერთობანი ძველი საბერძნეთისა და ძველი რომის მონათმფლობელებსა ფა მონებს შორის.



ნახ.4.6. საკუთრების ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთობლიობა

არის კიდევ ***ქონების სამეურნეო გამოყენების ურთიერთობა***. ხშირად რესურსების მესაკუთრე თვითონ კი არაა დაკავებული რაიმე საქმიანობით, არამედ სხვებს აძლევს საშუალებას გამოიყენონ მისი საკუთრება განსაზღვრული პირობებით.

სხვისი საკუთრების გამოყენების ურთიერთობის მაგალითია არენდა – ხელშეკრულება რომელიმე ადამიანის დროებით სარგებლობაში ქონების სხვა ადამიანებისათვის გადაცემის შესახებ განსაზღვრული ანაზღაურების სანაცვლოდ. მსგავს სურათთან გვაქვს საქმე კოცესიის დროს, ანუ ისეთი ხელშეკრულების პირობებში, რომლითაც სახელმწიფო კერძო პირებს, უცხოურ ფირმებს გადასცემს სამრეწველო საწარმოებს ან მიწის ნაკვეთებს, განსაზღვრული ვადით. როდესაც საწარმოს მუშაობაში მრავალი ადამიანი მონაწილეობს, მათ შორის წარმოიშობა ***შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ურთიერთობა***. ამ შემთხვევაში საწარმოო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის მთელი ჯამი დადგენილი სიდიდით თითოეული პიროვნებას ერგება.

საკუთრების ეკონომიკური ურთიერთობანი ნორმალურად ვითარდება და მოაქვს შემოსავალი საზოგადოების ყველა მოქალაქისათვის შემდეგ უცვლელ პირობებში. ისინი უნდა ყალიბდებოდეს მიღებული სავალდებულო წესების დაცვით, რომელსაც ითვალისწინებს იურიდიული კანონები და სამეურნეო ქცევის წესები.

საკუთრების სამართლებრივი ურთიერთობა. ადამიანებს შორის სამეურნეო კავშირები ფორმდება იურიდიულად და საკანონმდებლო წესით მტკიცდება. ***სამართალი*** – **საზოგადოებრივად სავალდებულო ქცევის წესების (ნორმების) ერთობლიობაა. ისინი დგინდება საზოგადოებაში ან მტკიცდება სახელმწიფოს მიერ და მხადრაჭერილია მის მიერ.**

არაფერი ისე საყოველთაოდ არ აღიზიანებს წარმოსახვას და ისე არ იპყრობს კაცობრიობის აზრებს, როგორც საკუთრების უფლება.....”

ბლექსთონი, კომენტარები

“საკუთრება არასოდეს გაუქმებულა და არც არასოდეს გაუქმდება. სადაო მხოლოდ მესაკუთრე შეიძლება იყოს. და ყველაზე სამართლიანი ოდესმე შექმნილ სისტემათაგან უმალ ყველას მესაკუთრედ ცნობს, ვიდრე არავის.

ე.ნ. უილსონი

“საკუთრების გარეშე არ იქნება არც კეთილდღეობა, არც მშვიდობა და არც თავისუფლება”.

ტომ ბეთელი

ჰარვარდის უნივერსიტეტთან არსებული ბერდის ისტორიის კვლევითი ინსტიტუტის პროფესორი, რიჩარდ პაიპსი წიგნში “საკუთრება და თავისუფლება” აღნიშნავს:

“სიტყვა “საკუთრება” ჩვენში ფიზიკური საგნების ასოციაციას იწვევს: ადგილ-მამული, საბანკო ანგარიშები, აქციები და ობლიგაციები. მაგრამ სინამდვილეში მას გაცილებით უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს, რადგან თანამედროვე მსოფლიოში იგი სულ უფრო და უფრო გამოიყენება ისეთი არამატერიალური ქონების აღსანიშნავად, როგორიცაა კრედიტი, პატენტები და საავტორო უფლებები. მეტიც, XVII-XVIII სს დასავლურ აზროვნებაში მან კიდევ უფრო ტევადი მნიშვნელობა შეიძინა, მოიცვა რა ყველაფერი, რაზეც კი უფლების გაცხადება შეიძლება, დაწყებული სიცოცხლითა და თავისუფლებით”.

წიგნში რიჩარდ პაიპსი წერს: “დაახლოებით ორმოციოდე წლის წინ მომივიდა აზრად, რომ საკუთრება მისი როგორც ვიწრო, ისე ფართო გაგებით, ახსნაა იმისა, თუ რატომ წარმოიშობა თავისუფლების გარანტად მოვლენილი პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტები”. ე.ი. მიზნად აქვს დასახული ახსნას კავშირი საკუთრებასა და თავისუფლებას შორის. იგი მიანიშნებს, რომ პრობლემა სრულყოფილად შესწავლილი არაა და წერს: “ჩვენ არ მოგვეპოვება ისტორიულ მასალაზე დაყრდნობით ახსნა იმისა, თუ რანაირად წარმოშობს საკუთრება თავისუფლებას, და რა გზით ხდის შესაძლებელს ხელისუფლების თვითნებურობას მისი არსებობა”.

იქვე, რიჩარდ პაიპსი განაგრძობს: “სწორედ ამ ხარვეზის შევსება დავისახე მიზნად. ჩემი ამოსავალი დებულება იყო, რომ არსებობს მჭიდრო კავშირი მფლობელობის სახელმწიფო გარანტიებსა და პიროვნების თავისუფლებას შორის: “მაშინ, როცა შესაძლებელია საკუთრების ამა თუ იმ ფორმის არსებობა თავისუფლების გარეშე, თავისუფლების არსებობა საკუთრების გარეშე სრულად წარმოუდგენელია”

“საკუთრება” (property) გულისხმობს ხელისუფლების მიერ მფლობელობისა თუ მფლობელთა ოფიციალურად აღიარებულ უფლებას როგორც ქონების ექსკლუზიური ექსპლოატაციისა, ისე მისი გაყიდვით ან სხვა გზით გასხვისებისა. “საკუთრების დროებით მფლობელებისაგან ის განასხვავებს, რომ იგი უფლების იმგვარ განცხადებას წარმოადგენს, რომლის აღსრულებასაც საზოგადოება უზრუნველყოფს, ან სახელმწიფო, ან ადათ-წესები, ან და კანონი” ფაქტობრივად იგი სახელმწიფო მმართველობის რაიმე ფორმის არსებობითაა განპირობებული.

“ანარქიზმის ერთ-ერთი მამამთავრის, **პიერ-ჟოზეფ პრუდონის** სიტყვებით რომ ვთქვათ: თუ ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია, მაშინ თანაბრად ხელშეუვალია ყველა ინდივიდისთვის.... თუ მას საკუთრება თავისუ ობიექტური ქმედებებისათვის, ე.ი სიცოცხლისათვის სჭირდება, მაშინ მატერიალური სიმდიდრის ფლობა ყველასათვის თანაბრად საჭიროა...”

საკუთრების როგორც არსებითი ნიშნების, ასევე განვითარების სხვადასხვა ეტაპზე საზოგადოების სიცოცხლეუნარიანობაში მისი როლის შემეცნების აუცილებელი პირობაა მისი სუბიექტების და ობიექტების განსაზღვრა, მათი დიალექტიკური ურთიერთკავშირის დამყარება, რაც შეეხება ***<u>საკუთრების ურთიერთობის სუბიექტ</u>*ებს,** ყველაზე ზოგადად შეიძლება იყოს ცალკეული ინდივიდი, მათი სხვადასხვაგვარი ასოციაციები, სახელმწიფო მისი სხვადასხვა დონის ორგანოები.

***<u>საკუთრების ურთიერთობის ობიექტ</u>*ია** – საზოგადოებრივი წარმოების პირობები და შედეგები. რამდენადაც უკანასკნელი არის არა ცალკეული აქტი, არამედ უწყვეტად განმეორებადი პროცესი, ამდენად საკუთრების ურთიერთობის ობიექტად გვევლინება არა მხოლოდ მოცემული წარმოების პროცესის პირობები და შედეგები, არამედ საზოგადოებრივი სიმდიდრის მატერიალურ ნივთობრივი ელემენტები. საკუთრების ობიექტებს შორის გადამწყვეტ როლს საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობაში ანუ გადარჩენაში თამაშობის წარმოების საშუალებები.

ეკონომიკური თუ იურიდიული კატეგორია?

ეკონომისტთა ერთი ნაწილი საკუთრებას ეკონომიკურ კატეგორიად მიიჩნევს. მათი აზრით, საკუთრება როგორც ეკონომიკური კატეგორია განისაზღვრება საწარმოო ასლების მდგომარეობით და ამიტომაც ობიექტურია, ე.ი. არაა დამოკიდებული ადამიანთა უნარსა და შემეცნებაზე. ამასთანავე, საკუთრებას აქვს სამართლებრივი გამოხატულება, თუმცა სამართალი მხოლოდ იურიდიულად განამტკიცებს რეალურად არსებულ ეკონომიკურ ურთიერთობებს საერთოდ, საკუთრებით ურთიერთობებს – კერძოდ.

განსხვავება საკუთრების როგორც ეკონომიკურ კატეგორიასა და როგორც მის იურიდიულ გამოხატულებას შორის შემდეგია: ***<u>ჯერ-ერთი,</u>*** საკუთრება როგორც ეკონომიკური კატეგორია ახასიათებს ადამიანებს შორის ურთიერთობებს, საკუთრების სამარლებრივი ურთიერთობა კი ახასიათებს საკუთრების სუბიექტების და საკუთრების ობიექტების ურთიერთობებს. ***<u>მეორე-</u>*** საკუთრების ეკონომიკური შინაარსი განპირობებულია, უპირველეს ყოვლისა, საწარმოო ძალების განვითარების დონით, საკუტრების ურთიერთობა კი რეგულირდება ტრადიციებით ან იურიდიული კანონებით, რომლებიც განსაზღვრავს ამა თუ იმ ქონების სარგებლობის, ფლობის და განკარგვის წესს. და ***<u>მესამე:</u>*** საკუთრება წარმოადგენს მატერიალურ ურთიერთობას, რომელიც ობიექტურად არსებობს, ადამიანთა სურვილისა და შეგნების მიუხედავად, საკუთრების უფლება კი არის ნებელობითი მოვლენა, რომელიც ასახავს იურიდიულ შემეცნების განვითარების დონეს ამა თუ იმ საზოგადოებაში.

დასავლეთის ქვეყნების ეკონომისტები ეკონომიკურ კატეგორიას და მის იურიდიულ გამოხატულებას არ განასხვავებენ. ისინი, როგორც წესი, საკუთრებას განიხილავენ როგორც ***<u>ადამიანის ნივთთან მიმართებას,</u>*** ანუ როგორც მხოლოდ იურიდიულ კატეგორიას. ამის თვალსაჩინო მაგალითია საკუთრების უფლებათა ეკონომიკური თეორია, რომელშიც ცნება “საკუთრება” შეცვლილია ტერმინით “საკუთრების უფლება” ამ თეორიის თანახმად საკუთრება რესურსი (წარმოების პირობები) კი არ არის თავისთავად, არამედ

“კონა” ანუ რესურსის გამოყენების უფლებათა ნაწილი. სრული “უფლებათა კონა” შედგება შემდეგი ელემენტებისაგან.

დღესდღეობით საყოველთაოდ მიღებული შეხედულება საკუთრებაზე როგორც რაღაც უფლებათა დონეზე შედგება 11 ელემენტისაგან

1. ფლობის უფლება, გაგებული როგორც ნივთზე განსაკუთრებული ფიზიკური კონტროლი, ან, როგორც წესი, მისი განსაკუთრებული გამოყენების უფლება;
2. ნივთის სარგებლობის უფლება, თავისთვის ნივთის სასარგებლო თვისებების გამოყენება, ანუ როცა იგი არ მოიცავს ორ შემდგომ უფლებამოსილებას;
3. მართვის უფლება, ე.ი. უფლება გადაწყვიტოს – როგორ და ვის შეუძლია ნივთის გამოყენება;
4. უფლება შემოსავალზე, უფლება ნივთის გამოყენების შედეგების ფლობისა, ანუ იმ დოვლათზე, რომელსაც იძლევა წინა ორი უფლებამოსილების რეალიზაცია;
5. სუვერენის უფლება, ანუ გასხვისების, მოხმარების, საკუთარი შეხედულებისამებრ ხარჯვის, ნივთის შეცვლის ან მისი განადგურების უფლება;
6. უსაფრთხოების უფლება, ანუ ნივთის ექსპროპრიაციისაგან და გარე გარემოს ზიანისაგან დაცვის უფლება;
7. ნივთის მემკვიდრეობით გადაცემის უფლება;
8. ნივთის უვადოდ ფლობის უფლება;
9. სხვათა საზიანოდ ნივთის გამოყენების აკრძალვა;
10. ნივთის ჩამორთმევის შესაძლებლობა ვალის დასაფარად;
11. უფლება ნარჩენ ხასიათზე, ე.ი. პროცედურების და ინსტიტუტების არსებობა, წესების არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს დარღვეული უფლებამოსილების აღდგენას.

საკუთრების ფენომენის გაგება სამართლებრივი თეორიების გადასახედიდან

საკუთრების უფლება გაგებულია როგორც საზოგადოების მიერ სანქციონირებული (სახელმწიფოს კანონებით, ადმინისტრაციული განკარგულებით, ტრადიციებით, წესჩვეულებებით) ქცევითი ურთიერთობები ადამიანებს შორის, რომელიც წარმოიშობა დოვლათის არსებობასთან და მის გამოყენებასთან დაკავშირებით.

საკუთრების ფენომენი საკუთრების სამართლის თეორიის მიხედვით გამოდის იშვიათობის პრობლემიდან, ანუ რესირსების შეზღუდულობიდან: ***<u>არაა იშვიათობა – არაა საკუთრება.</u>***

აქედან, საკუთრების ურთიერთობის ცენტრალური მომენტად გვევლინება მისი ***<u>გამორიცხვად</u>***ი ***<u>ხასიათი,</u>*** *<u>ანუ ის, რომ რაც არის ერთის საკუთრება, იგივე სხვისი საკუთრება ვეღარ იქნება.</u>*

საკუთრების ურთიერთობა – მატერიალური და არამატერიალური რესურსებზე ხელმისაწვდომობის გამორიცხვის სისტემაა.

რესურსებს ხელმისაწვდომობაზე გამონაკლისების არარსებობა (ე.ი. მათზე თავისუფალი ხელმისაწვდომობა) ნიშნავს, რომ ისინი არავისი არაა, რომ ისინი არავის არ ეკუთვნის, ასეთი რესურსები საკუთრების ობიექტს არ შეადგენს.

საკუთრების ეკონომიკური ფორმები



საქართველოს სინამდვილეში განასხვავებენ საკუთრების შემდეგ ფორმებს: კერძო, სახელმწიფო და საზოგადოებრივ გაერთიანებათა (ორგანიზაციათა) საკუთრება. დაშვებულია კერძო, სახელმწიფო და საზოგადოებრივ გაერთიანებათა (ორგანიზაციათა) საკუთრებაში არსებული ქონების გაერთიანება და ამ საფუძველზე შერეული საკუთრების შექმნა.

საკუთრების ფორმები თავის მხრივ საკუთრების სხვადასხვა სახეს მოიცავს. კერძო საკუთრების სახეებია: საქართველოს მოქალაქეების და მოქალაქეობის არმქონე პირების (ფიზიკური პირების) საკუთრება და იურიდიული პირების საკუთრება. საქართველოში შეიძლება არსებობდეს უცხო სახელმწიფოთა, საერთაშორისო ორგანიზაციათა, უცხოელთა და უცხოელ იურიდიულ პირთა საკუთრება.

სახელმწიფო საკუთრების სახეებია: რესპუბლიკური საკუთრება; ავტონომიური რესპუბლიკების საკუთრება; ადგილობრივი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების (მუნიციპალური) საკუთრება.

საქართველოში საზოგადოებრივ გაერთიანებათა (ორგანიზაციათა) საკუთრებაა კანონმდებლობის საფუძველზე მოქმედი საზოგადოებრივი, პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციების მფლობელობის, სარგებლობის და განკარგვის უფლებით არსებული ქონება.

კონკურენცია

თუ სამეურნეო არჩევანს ალტერნატივათა სიმრავლის მხრიდან განვიხილავთ, რომელთა შორის გვიწევს არჩევანის გაკეთება, შეიძლება ვილაპარაკოთ, რომ სახეზე გვაქვს კონკურენცია. ***<u>კონკურენცია ნიშნავს რაღაცისათვის ამორჩევის შესაძლებლობას, ანუ უარყოფას სხვებისთვის უპირატესობის მინიჭების გამო</u>***. კონკურენცია შეიძლება იყოს სრული ან ნაწილობრივი. ***<u>სრული კონკურენციისას, ალტერნატივები, რომელთა შორის გვიწევს არჩევანის გაკეთება, მკაცრად ურთიერთგამომრიცხველნი არიან. ნაწილობრივი კონკურენციისას</u> თუნდაც ზოგიერთ ალტერნატივას მაინც აქვს საერთო ნაწილ***ი.

<u>თუ ერთი საშუალება შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვადასხვა ურთიერთგამომ-რიცხავი მიზნების მისაღწევად, მაშინ არსებობს</u> დოვლათის გამოყენების ***<u>მიზნების კონკუ-რენცია,</u>*** რომლებიც საშუალების სახით გვევლინებიან. ***<u>თუკი არსებობს ერთი მიზნის მიღწე-ვის სხვადასხვა საშუალება, ასევე ურთიერთგამომრიცხავი, მაშინ ადგილი აქვს</u>*** ***<u>საშუალე-ბების კონკურენციას.</u>***

	ალტერნატიული მიზნები	ალტერნატიული საშუალებები	
საშუალებები	მიზანი 1 მიზანი 2 მიზანი 3 მიზანი ...	საშუალება 1 საშუალება 2 საშუალება 3 საშუალება ...	მიზანი
მიზნების კონკურენცია		საშუალებებისა კონკურენცია	

ნახ. მიზნების კონკურენცია და საშუალებების კონკურენცია

კონკურენციის სახეობები და კონკურენტული გარემოს დაცვა

არსებობს შიდადარგობრივი კონკურენცია და დარგთაშორისი კონკურენცია, ასევე სრულყოფილი (წმინდა, სუფთა) და არასრულყოფილი კონკურენცია.

სრულყოფილი (სუფთა) კონკურენციის პირობები:

არსებობს მრავალი წვრილი ფირმა, რომელიც ბაზარს ერთგვაროვან პროდუქციას აწვდის, ამასთან მომხმარებლისათვის სულერთია, კონკრეტულად, რომელი ფირმისაგან ყიდულობს ამ პროდუქციას.

თითოეული ფირმის წილი საბაზრო მიწოდების საერთო მოცულობაში იმდენად მცირეა, რომ მის მიერ ფასის ამაღლება ან შემცირება არ იმოქმედებს საბაზრო წონასწორობის ფასზე;

დარგში ახალი ფირმების შესვლა არ იწვევს წინააღმდეგობებს ან შეზღუდვას; დარგში შესვლა და გამოსვლა აბსოლუტურად თავისუფალია;

ნებისმიერი ფირმა შეუზღუდავად იღებს ინფორმაციას ბაზრის მდგომარეობაზე, რესურსებზე და საქონელზე ფასების შესახებ, ხარჯებზე, საქონლის ხარისხზე, წარმოების ტექნიკაზე და სხვა.

კონკურენციას, რომელიც ასე თუ ისე დაკავშირებულია თავისუფალი მეწარმეობის შესამჩნევ შეზღუდვასთან, არასრულყოფილს უწოდებენ. კონკურენციის ამ სახეობისთვის დამახასიათებელია ფირმების მცირე რაოდენობა სამეწარმეო მოღვაწეობის თითოეულ სფეროში, მეწარმეთა ჯგუფის ან ერთი მეწარმის ბაზრის კონიუნქტურაზე თავისუფალი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა. არასრულყოფილი კონკურენციისას ახალ მეწარმეთა კონკრეტულ ბაზრებზე გასვლისათვის მკაცრი ბერკეტები არსებობს. არ არის პროდუქციის ახლო შემცვლელი, რომელსაც პრივილეგირებული მწარმოებლები უშვებენ.

მონოპოლისტური კონკურენცია ბერძნული - monos ერთი და -*pôleô*- ვყიდი.

მონოპსონია ეწოდება (*monos* ერთი და *opsônia* –ყიდვა).

კონკურენტული გარემოს დაცვა შესაძლებელია ფასობრივი და არაფასობრივი კონკურენციის მეშვეობით.

ფასობრივი კონკურენცია ტარდება საბაზრო კონიუნქტურის მომგებიანი გამოყენების მიზნით ფასების მანევრირების საშუალებით. კერძოდ, საერთო მდგომარეობიდან და საკუთარი საქმის სიმტკიციდან გამომდინარე, კონკურენტს შეუძლია გამოიყენოს მონოპოლიურად მაღალი ფასი, რომელიც მას მონო-პოლიურად მაღალ მოგებას მოუტანს, ან დროებით გამოიყენოს მონოპოლიურად დაბალი ფასი ბაზრიდან უფრო სუსტი კონკურენტის განდევნის მიზნით.

"***ნაღების მოხდის"*** ფასი გამოიყენება მაშინ, როდესაც ბაზარზე ჩნდება ადგილი, ე.ი. ახალი პროდუქტის გამოშვებაში კონკურენტის დროში დასწრების საშუალება.

დანერგვის ფასი გულისხმობს ფასების დროებით დაკლებას მოცემული ფირმისათვის ახალ ბაზარზე პოზიციების მოსაპოვებლად. ლიდერის ფასი არსებობს იმ პირობებში, როდესაც კონკუ-რენტები მოლაპარა-კების საფუძველზე თვითნებურად კი არ ცვლიან ფასებს, არამედ ეთანხმებიან იმ ფასებს, რომლებსაც წამყვანი ფირმა ადგენს.

ფსიქოლოგიური ფასი გულისხმობს მის დადგენას უფრო დაბალ დონეზე, ვიდრე რომელიმე დამრგვალებული მაღალი ფასია (მაგალითად, არა 1000, არამედ 999 დოლ.)

არაფასობრივ კონკურენციაში გამოიყენება საშუალებები, რომლებიც არ არიან ფასებთან უშუალო დამოკიდებულებაში. ს არის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, რეკლამა, ბაზრობებისა და გამოფენების ორგანიზება.

კეთილსინდისიერი და არაკეთილსინდისიერი კონკურენცია

განასხვავებენ კეთილსინდისიერ და არაკეთილსინდისიერ კონკურენციას. კეთილსინდისიერი ის კონკურენციაა, რომლის მოქმედებისას პარტნიორებთან ურთიერთობის სამართლებრივი და ეთიკური ნორმები არ ირღვევა. არაკეთილსინდისიერი კონკურენცია ნიშნავს ტექნიკურ შპიონაჟს, სპეციალისტების გადაბირებას, კონკურენტის თანამშრომლების მოსყიდვას, ცრუ რეკლამას, სხვისი სასაქონლო ნიშნის დაუკითხავად გამოყენებას, უცხო ფირმის საქონლის გარეგნული გაფორმების კოპირებას და სხვა.

რესურსები (წარმოების ფაქტორები)

<u>რესურსებს</u> <u>უწოდებენ დოვლათს, რომელიც გამოიყენება სხვა დოვლათის წარმოებისათვის. რესურსებს, რომელსაც წარმოების პროცესში უშუალოდ გამოიყენებენ აგრეთვე უწოდებენ წარმოების ფაქტორებს</u>. გამოშვებული სახით, რესურსების სახით გამოიყენება ფული და სხვა ფასეულობანი, რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას (გადაიცვალოს) წარმოების ფაქტორებზე.

<u>ტერმინი "რესურსი"</u> წარმოშობილია ფრანგული <u>resourse</u>-დან, რაც ნიშნავს – დამხმარე საშუალებას, და უმეტესად ახასიათებს დოვლათს როგორც სამეურნეო სუბიექტის მანიპულაციის ობიექტს. ***<u>ტერმინი "ფაქტორი"</u>*** წარმოშობილია ლათინური <u>factor</u>–იდან, რაც ნიშნავს – მკეთებელი, მწარმოებელი, და უმეტესად ახასიათებს დოვლათს როგორც ობიექტურ მიზეზს, პროცესების მამოძრავებელ ძალას, რომელიც მათ შედეგებს განსაზღვრავს. სამეურნეო სუბიექტების ქცევის ანალიზისას ირიბი დოვლათი უმთავრესად განიხილება რესურსების სახით, ეკონომიკური პროცესების უფრო ზოგადი ანალიზისას კი, იგივე დოვლათი უნდა განვიხილოთ როგორც ფაქტორები, ძალები სხვა ძალათა შორის, რომელიც ეკონომიკის ფუნქციონირებას განსაზღვრავს.

ეკონომისტები ძირითადად გამოყოფენ რესურსების სამ ძირითად სახეს: შრომით რესურსებს (აღინიშნება <u>L</u>–ით, <u>labour</u>-დან), რეალურ კაპიტალს, ანუ უბრალოდ კაპიტალს (ა-

ღინიშნება K-თი, გერმანული Kapital-დან) და ბუნებრივ რესურსებს, რასაც უწოდებენ უბრალოდ მიწას და აღნიშნავენ T სიმბოლოთი (ლათინურიდან ნასესხები ფრანგული სიტყვიდან terre- მიწა.)

აღნიშნულ სამ ძირითად რესურსთან ერთად საზოგადოების დონეზე ხშირად ყურადღებას მიაპყრობენ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა საერთო ***კულტურა***, რომელიც საზოგადოებების მიხედვით განსხვავებულია; ***მეცნიერება,*** რომელსაც საყოველთაო, ზოგადსაკაცობრიო ხასიათი აქვს, მაგრამ სხვადასხვა საზოგადოებაში განსხვავებული წარმატებით გამოიყენება; ***სოციალური ფაქტორები***, უპირველეს ყოვლისა ზნეობრიობის მინაღწევარი, სამართლებრივი კულტურა.

ეკონომიკური რესურსების სახეობები

ბუნებრივი რესურსები (მიწა, საბადოები, წყლისა და ტყის რესურსები და სხვა), შემოკლებით მიწა; შრომითი რესურსები (ადამიანები, მათი უნარით აწარმოონ საქონელი და მომსახურება), შემოკლებით – შრომა;

კაპიტალი (ფულის, ე.ი. ფულადი კაპიტალის ფორმით, ან წარმოების საშუალებების, ე.ი. რეალური კაპიტალის ფორმით);

საქონლისა და მომსახურების წარმოებისადმი ადამიანთა ნიჭი და უნარი, შემოკლებით – სამეწარმეო უნარი (გერგილიანობა).

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, შემოკლებით – მეცნიერება. ამ რესურსს ყოველთვის არ რთავენ ეკონომიკური რესურსების კლასიკურ ჩამონათვალში.

შემოსავლები რესურსებიდან

ბუნებრივი –რენტა (მიწის, მთის, წყლის გადასახადი და სხვა);
შრომითი – ხელფასი;
კაპიტალი – პროცენტი - (როგორც ფულადი კაპიტალის მესაკუთრეთა შემოსავალი)
და მოგება (როგორც რეალური კაპიტალის მესაკუთრეთა შემოსავალი);
სამეწარმეო უნარი – სამეწარმეო შემოსავალი);
მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი – შემოსავალი ინტელექტუალური საკუთრებიდან.

ბაზრის არსი

- ბაზრის განმარტება რამდენიმენაირად შეიძლება:
- ***ბაზარი*** – ესაა დოვლათის თავისუფალი გაცვლა, განხორციელებული
- განსაზღვრული წესებით;
- ***ბაზარი*** – არის საქონლის წარმოებისა და მიმოქცევის კანონებით ორგანიზებული
- გაცვლა, საქონელგაცვლითი ურთიერთობების ერთობლიობა;
- ***ბაზარი*** – არის მყიდველისა და გამყიდველის ურთიერთქმედების მექანიზმი, ანუ მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთობა;
- ***ბაზარი*** – არის ქვეყნის შიგნით და ქვეყნებს შორის გაცვლის სფერო, რომელიც
- პროდუქციის მწარმოებლებსა და მომხმარებლებს ერთმანეთთან აკავშირებს;
- ***ბაზარი*** – ესაა გაცვლის მექანიზმი, რომელიც ფასების დახმარებით საშუალებას
- იძლევა შეათანხმოს განცალკევებული ეკონომიკური სუბიექტების მოქმედება.

ბაზრის წარმოშობის პირობები

პირველი პირობაა – უძველეს დროს წარმოშობილი შრომის საზოგადოებრივი დანაწილება;

მეორე პირობაა – მწარმოებელთა ეკონომიკური განცალკევება;

მესამე პირობა – მწარმოებლის და მეწარმეობის თავისუფლება.

სიტყვა ბაზარი სპარსული წარმოშობისაა და ნიშნავს ადგილს, სადაც საქონლის ყიდვა და გაყიდვა ხორციელდება. ბაზარი არის მიწოდებისა და მოთხოვნის დამაკავშირებელი – შუალედური რგოლი.

არსებობს ბაზრის სამი ძირითადი სახე:

1.საქონლისა და მომსახურების ბაზარი, რისთვისაც აუცილებელია სასაქონლო ბირჟების, საბითუმო და საცალო ვაჭრობის მარკეტინგული ორგანიზაციების შექმნა და ფუნქციონირება;

2. წარმოების ფაქტორთა ბაზარი, რომელიც გულისხმობს ისეთი ფაქტორების ყიდვა-გაყიდვას, როგორიცაა: მიწა, შრომა და კაპიტალი. მიწის ფაქტორში იგულისხმება არა მხოლოდ უშუალოდ მიწა, არამედ მიწის წიაღი და ნედლეული, რომელიც მიიღება მიწის ზედაპირიდან. შრომის ფაქტორი განიხილება, როგორც ფირმის ყველა მუშაკის მიერ გაწეული მომსახურება. ამ ფაქტორის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტის შრომის ბირჟა, სადაც უშუალოდ ხდება სხვადასხვა სახის სამუშაო ძალაზე მოთხოვნისა და მიწოდების ფორმირება.

წარმოების ისეთი ფაქტორი, როგორიცაა კაპიტალი, მოიცავს წარმოების საშუალებებს, შენობებს, ნაგებობებს, დაზგებს, მოწყობილობასა და ფულად სახსრებს.

3. საფინანსო ბაზარი ანუ ფულადი ბაზარი – ეს არის ბაზარი, რომელიც ასახავს ფინანსურ სახსრებზე (ფულზე, ობლიგაციებზე, აქციებზე) მოთხოვნასა და მიწოდებას. საფინანსო ბაზარი გულისხმობს საფონდო, სავალუტო ბირჟების ფუნქციონირებას.
სამივე ბაზარი ორგანულ ურთიერთობაში იმყოფებიან და ზემოქმედებენ ერთმანეთზე.

ნახ.4.7. ბაზრის სტრუქტურა



ნახ.4.8. ბაზრის ფუნქციები



ბაზრის ფუნქციების შინაარსი

ინფორმაციული ფუნქცია. მუდმივად ცვალებადი ფასების და კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით ბაზარი საშუალებას ობიექტურ ინფორმაციას აწვდის წარმოები] მონაწილეებს ბაზარზე გასატანი საქონლისა და მომსახურების საზოგადოებრივად აუცილებელი რაოდენობის, ასორტიმენტისა და ხარისხის შესახებ.

სტიქიურად მიმდინარე ოპერაციები ბაზარს გიგანტურ კომპიუტერს ამსგავსებს. ეს კომპიუტერი აგროვებს და ამუშავეს კოლოსალური მოცულობის ინფორმაციას და გამოსცემს შეჯამებულ მონაცემებს მთელი იმ სამეურნეო სივრცისათვის, რომელსაც იგი მოიცავს. ეს თითოეულ საწარმოს საშუალებას აძლევს შეუჯეროს საკუთარი წარმოება ბაზრის ცვალებად პირობებს.

საშუამავლო ფუნქცია. ეკონომიკურად განცალკევებულმა მწარმოებლებმა შრომის ღრმა საზოგადოებრივი დანაწილების პირობებში უნდა ერთმანეთი იპოვონ და თავისი მოღვაწეობის შედეგების გაცვლა – გამოცვლა აწარმოონ. ბაზრის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია დადგინდეს, თუ რამდენად ურთიერთმომგებიანია ესა თუ ის ტექნოლოგიური ან ეკონომიკური კავშირი საზოგადოებრივი კავშირის მონაწილეებს შორის. ნორმალურ საკმარისად განვითარებული კონკურენციის საბაზრო ეკონომიკაში, მომხმარებელს აქვს ოპტიმალური მომწოდებლის არჩევის საშუალება (პროდუქციის ხარისხის, ფასის, დროულად მიწოდების, გასაღების, შემდგომი მომსახურებისა და სხვა პარამეტრების მიხედვით). ამავე დროს გამყიდველსაც ეძლევა უფრო ხელსაყრელი მყიდველის არჩევის საშუალება.

ფასწარმომქმნელი ფუნქცია. ბაზარზე მიწოდებული ერთი დანიშნულების პროდუქტი და მომსახურება ჩვეულებრივ სხვადასხვა რაოდენობის მატერიალურ და შრომით ხარჯებს შეიცავს. მაგრამ ბაზარი მხოლოდ საზოგადოებრივად აუცილებელ ხარჯებს ცნობს, მხოლოდ მის ღირებულებას ანაზღაურებს მყიდველი. მაშასადამე, აქ ყალიბდება საზოგადოებრივი ღირებულების გამოსახულება, რომლის გამოთვლაც არცერთ კომპიუტერს არ შეუძლია. სწორედ ამის გამო მყარდება მოძრავი კავშირი ღირებულებასა და ფასს შორის,

რომელიც ფხიზლად რეაგირებს წარმოების ცვლილებებზე, მოთხოვნილებებსა და კონიუნ-ქტურაზე.

მარეგულირებელი ფუნქცია. ყველაზე მნიშვნელოვანია. ის დაკავშირებულია ბაზრის ზემოქმედებასთან ეკონომიკის ყველა სფეროზე და პირველ რიგში წარმოებაზე. ბაზარი პასუხს გვაძლევს კითხვებზე, რომლებიც ესოდენ მძაფრად დააყენა პ. სამუელსონმა: რა უნდა ვაწარმოოთ? ვისთვის უნდა ვაწარმოოთ? როგორ ვაწარმოოთ? ბაზარი წარმოუდგ-ენელია კონკურენციის გარეშე. შიდადარგობრივი კონკურენცია სტიმულს აძლევს პროდუ-ქციის ერთეულზე მოხმარებული ხარჯების შემცირებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, ტე-ქნიკურ პროგრესს, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. დარგებს შორის კონკურენცია კაპიტალის ერთი დარგიდან მეორეში გადასვლის გზით ეკონომიკის ოპტიმალურ სტრუქტურას აყალიბებს, სტიმულს აძლევს მეტად პერსპექტიული დარგების გაფართოებას. კონკურენტული გარემოს შენარჩუნება და დაცვა – განვითარებული საბაზრო სისტემის მქონე ქვეყნებში სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა.

მნიშვნელოვან როლს საბაზრო რეგულირებაში მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობა თამაშობს, რომელიც არსებითად მოქმედებს ფასებზე. ფასის ზრდა წარმოე-ბის გაფართოებისაკენ მოუწოდებს, ფასის დაცემა კი – წარმოების შემცირებისაკენ. შედეგად, მეწარმეთა სტიქიური მოქმედებები მეტნაკლებად ოპტიმალურ ეკონომიკურ პროპორციებს ამყარებენ. მოქმედებს მარეგულირებელი "უხილავი ხელი", რომლის შესახებ ჯერ კიდევ ადამ სმიტი წერდა: ბაზრის ყოველი მონაწილე, მოქმედებს მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ისწრაფვის რა გაამრავლოს თავისი შემოსავალი, მაგრამ "იგი უხილავი ხელით მიემართება მიზნისაკენ, რომელიც სავსებით არ შედიოდა მის განზრახვებში ... მისდევს რა საკუთარ ინტერესებს, ის ხშირად უფრო ქმედითი სახით ემსახურება საზოგადოების ინტერესებს, ვიდრე მაშინ, როცა შეგნებულად სურდა ამის გაკეთება". "უხილავი ხელი" – ესა საბაზრო თვითრეგულირების ობიექტური კანონი.

სანირების ფუნქცია. საბაზრო მექანიზმი საკმაოდ მკაცრი სისტემაა. მას მუდმივად მივყავართ "ბუნებრივი შერჩევისკენ" სამეურნეო საქმიანობის მონაწილეებს შორის იყენებს რა კონკურენციის ინსტრუმენტს, ბაზარი ეკონომიკის არაეფექტიანად ფუნ-ქციონირებადი საწარმოებისაგან წმენდს. საწინაარმდეგოდ, უფრო გერგილიანებსა და აქ-ტიურებს მწვანე შუქს უხსნის. ბაზრის სელექციური მუშაობის შედეგად მაღლდება ეფექტიანობის საშუალო დონე, მაღლდება მთლიანად ეროვნული მეურნეობის მდგრადობა. როგორც გამოცდილება მოწმობს, მცირე ბიზნესის საშუალო ციკლი ხუთ წელიწადს არ აღემატება. კონკურენტულ ბრძოლაში ხშირად მსხვილი ფირმების იღუპებიან. რა თქმა უნ-და, წარმოებისა და კაპიტალის კონკურენციის პირობებში მონოპოლიზაცია სანირების მექანიზმის დეფორმირებას ახდენს. და მაინც, მონოპოლიზაცია არსად კონკურენციას ისე ვერ ზღუდავს, რომ "ბუნებრივი შერჩევა შეწყდეს.

სანირება ეკონომიკაში ნიშნავს – ეკონომიკის გაწმენდას ბაზრის არაკონკურენ-ტუნარიანი და სუსტი მონაწილეებისაგან, არაეფექტიანების გაკოტრებას. საბაზრო მექანიზ-მი ადამიანებს მიუთითებს ძიების მიმართულებებს, მაგრამ საბოლოო ფინანსურ შედეგ-ებთან მიმართებაში მათ არავითარ გარანტიებს არ აძლევს. ის ცნობს მხოლოდ საზოგა-დოებრივად აუცილებელ ინვესტიციებს უძრავ ქონებაში, რადგან მყიდველი ხომ მხოლოდ მათ ანაზღაურებს. ამიტომ ბაზრის განთავისუფლებას უძრავი ქონების საწარმოთა და სხვა

ობიექტების არაეფექტიანი მესაკუთრეებისაგან მივყავართ მდგრადობისა და ეკონომიკური ზრდის ამაღლებისკენ.

დანართი ა
საზოგადოებისა და ბუნების ეკონომიკური ურიერთქმედება



დანართი ბ
რეალური დოვლათის მოძრაობა აბენტებს შორის საზოგადოება



ეკონომიკური წრებრუნვის უმარტივესი მოდელი



წყარო: [45, გვ. 126]

დანართი დ
წრებრუნვის მოდელი სახელმწიფოს როლის გათვალისწინებით



წყარო: [45, გვ. 127]

კითხვები გამეორებისთვის

1. რა არის მოთხოვნილება? რას ნიშნავს მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქია?
2. დაახასიათეთ ეკონომიკური დოვლათის წრებრუნვის 5 ძირითადი რგოლი.
3. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ წარმოების განვითარების ძირითადი სტადიები.
4. შრომის მწარმოებლურობის გაანგარიშება.
5. რას ნიშნავს ინფრასტრუქტურა? დაახასიათეთ მისი ძირითადი სახეები.
6. რას ეწოდება ინსტიტუტი? ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ ძირითადი ეკონომიკური ინსტიტუტები.

7. განმარტეთ რას უწოდებენ ეკონომიკურ სუბიექტებს ანუ აგენტებს და დაახასიათეთ.

8. განმარტეთ რა არის საკუთრება და მისი მნიშვნელობა.

9. დაახასიათეთ ძირითადი სახის საკუთრებითი ანუ ქონებრივი ურთიერთობები.

10. დაახასიათეთ საკუთრების ძირითადი ეკონომიკური ფორმები საქართველოში.

11. განმარტეთ რას ნიშნავს კონკურენცია, რომელია მისი ძირითადი სახეობები.

12. რესურსების, ანუ წარმოების ფაქტორების სახეობები.

13. განმარტეთ რა სახის შემოსავლებს იღებენ რესურსების მესაკუთრეები.

14. განმარტეთ რა არის ბაზარი და როგორია მისი სტრუქტურა.

15. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ ბაზრის ფუნქციები.

მეხუთე თავი
მიწოდება და მოთხოვნა

განსახილველი საკითხები:

- **მოთხოვნა ცნება. მოთხოვნის კანონი**
- **მიწოდების ცნება. მიწოდების კანონი**
- **წონასწორული ფასი. ა. მარშალის ფასწარმოქმნის თეორია**

მოთხოვნა, მიწოდება, ფასი

ბაზრის პირობებში თითოეული მეწარმე "ეკონომიკის ძირითად საკითხს" თავისი პასუხისმგებლობით წყვეტს. და მაინც, მიუხედავად თითქოსდა შეუზღუდავი თავისუფლებისა, საზოგადოებაში ანარქიის გაბატონებას ადგილი არა აქვს. რატომ? საქმე იმაშია, რომ ბაზრის პირობებში მეწარმე ემორჩილება გარკვეული ძალის გავლენას – ფასების დიქტატს. სწორედ ფასი წარმოადგენს მისთვის ორიენტირს და კარნახობს მას თუ რა საქმიანობა მოუტანს მაქსიმალურ შემოსავალს, ე,ი., რომელი საქონელი და მომსახურება ჭირდება ხალხს. ამგვარად, ფასი ასრულებს, როგორც ამას ეკონომისტები ამბობენ, სამეურნეო საქმიანობის რეგულატორის როლს. იმისათვის, რომ გავიგოთ ფასის მექანიზმის მუშაობა, ანუ ის, თუ როგორ კარნახობს ბაზარი მეწარმეს რა და ვისთვის აწარმოოს, თავიდან გავერკვეთ იმაში, თუ როგორ ხდება ყიდვა-გაყიდვის პროცესში ფასების დადგენა.

ბაზარზე გამყიდველისა და მყიდველის ქცევა გამოისახება ორი საკვანძო ცნებით – მოთხოვნითა და მიწოდებით. ეს ცნებები უდევს საფუძვლად თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებას და სტატიებსა და ეკონომიკის სახელმძღვანელოშიც გამოიყენება ძალზე ხშირად. ზოგიერთები ირონიასაც კი მიმართავენ: თუთიყუშს ასწავლეთ ილაპარაკოს "მოთხოვნა" და "მიწოდება" და თქვენს წინაშეა ეკონომისტი.

არსებობს რამდენიმე თეორია, რომლებიც პრეტენდენტობას აცხადებენ ფასის ბუნების ახსნაზე. მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის თანახმად ფასის საფუძველია ღირებულება, ხოლო ღირებულების საფუძველი – საქონლის წარმოებაზე დახარჯული საზოგადოებრივად აუცილებელი შრომა. სხვა თეორიის თანახმად, ფასის საფუძველს შეადგენს პროდუქტის სარგებლიანობის ფსიქოლოგიური შეფასება ყოველი ცალკეული მომხმარებლისა. ჩვენ არ შევუდგებით წმინდა პოლიტეკონომიის პრობლემის დეტალურ განხილვას და აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ღირებულება – ეს არის ღრმა თეორიული ცნება, რომლის შინაარსის შესახებ არსებობს სრულიად სხვადასხვა აზრი.

მოთხოვნა

მრავალ ადამიანს სურვილი აქვს ჰყავდეს ახალი მარკის ავტომობილი და ატაროს პრესტიჟული ფირმების მიერ დამზადებული თანამედროვე მოდური ტანსაცმელი. მაგრამ, ვიდრე მათ ამის შესაძლებლობა არ გააჩნიათ, ეს სურვილები აბსტრაქტულ ოცნებად რჩება. აბსტრაქტული მოთხოვნილებები შეიძლება იყოს სოციალური ფსიქოლოგიისა და არა ეკონომიკის შესწავლის საგანი. ეკონომისტებისათვის ეს სურვილები მაშინ ხდება საინტერესო, როცა არსებობს სასურველი საქონლის შეძენის რეალური შესაძლებლობა, ანუ როცა სურვილი გადაიქცევა მსყიდველობითუნარიან მოთხოვნილებად-მოთხოვნად.

ამრიგად, მოთხოვნა – ეს არის კონკრეტულ ფასში და დროის განსაზღვრულ პერიოდში კონკრეტული საქონლის ან მომსახურების ყიდვის სურვილი, განმტკიცებული გადახდის უნარითა და მზადყოფნით.

ახლა განვიხილოთ მოთხოვნის სიდიდე. წარმოვიდგინოთ პირობითი სიტუაცია. თბილისი, გასული საუკუნის 90-იანი წლების მე-2 ნახევარი. ვთქვათ 1997 წლის 15 სექტემბერია. კლასის 20 გიმნაზიელი ყიდულობს ღვეზელს, თუ გამყიდველი 1 ცალს 50 თეთრს დააფასებს, მაშინ მხოლოდ ერთი დათანხმდება მის ყიდვაზე, მაგრამ თუ დამტარებელი მას 40 თეთრად გასცემს, მაშინ, უკვე, ათ გიმნაზიელს მოუნდება ღვეზელის ყიდვა; 30 თეთრად ყველა იყიდის თითო ცალს, 20 თეთრად - ნახევარი კლასი ორ-ორ ცალს აიღებს, ხოლო 10 თეთრად ოცივე გიმნაზიელი ორ-ორი ცალის ყიდვას მოინდომებს. მოთხოვნის რაოდენობის განრიგი 15 სექტემბრისთვის წარმოდგენილია ცხრილში.

15 სექტემბრის მოთხოვნა

ცხრილი 5.1

ფასი	ღვეზელის რაოდენობა, რომლის ყიდვაც შეუძლიათ მოსწავლეებს
50 თეთრი	1
40 თეთრი	10
30 თეთრი	20
20 თეთრი	30
10 თეთრი	40

მოთხოვნის მრუდი

ცხრილში მოცემული მნიშვნელობები შეიძლება წარმოვიდგინოთ გრაფიკის სახით (ნახ. 5.1.), რომელსაც მოთხოვნის მრუდი ეწოდება. იგი ნათლად გვიჩვენებს, თუ საქონლის ან მომსახურების რა რაოდენობა შეიძლება იყიდონ სხვადასხვა ფასებით. ორდინატთა ღერძზე გადავზომოთ ერთეული საქონლის ფასი, აბცისაზე – ერთეული საქონლის რაოდენობა. ცხრილის მონაცემების გამოყენებით ვიპოვოთ წერტილები და ავაგოთ გრაფიკი რომელიც უფრო წრფეს ემსგავსება ვიდრე მრუდს, მაგრამ, მეცნიერული აბსტრაქციის კანონები იმგვარია, რომ საგნებს ხშირად არ ვარქმევთ ხოლმე თავიანთ სახელებს.

მოთხოვნის მრუდი ყოველთვის დაღმავალი ხასიათისაა (ეშვება ქვევით და მარჯვნივ). გრაფიკი და ცხრილი იმის ილუსტრაციუას იძლევიან, რასაც ეკონომიკაში მოთხოვნის კანონს უწოდებენ.

მოთხოვნის კანონი

მოთხოვნის კანონი გვიხსნის, რომ მოთხოვნის სიდიდე უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია საქონლის ერთეულის ფასის ცვლილებასთან. მისი ცნება შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს. მოთხოვნის კანონი: სხვა თანაბარ პირობებში, საქონლის ფასის ზრდა იწვევს მასზე მოთხოვნის რაოდენობის კლებას, ხოლო საქონლის ფასის კლება იწვევს მასზე მოთხოვნის რაოდენობის ზრდას.

ნახ. 5.1. მოთხოვნის მრუდი 15 სექტემბრისათვის



მოთხოვნის ელასტიურობა

მოთხოვნის კანონიდან გამომდინარეობს, რომ ნაყიდი საქონლის რაოდენობა მით უფრო ნაკლები იქნება, რაც მაღალია მისი ფასი. თუმცა მოთხოვნის კანონი არ იძლევა პასუხს იმაზე, თუ რამდენად შემცირდება შეძენილი საქონლის მოცულობა ფასის გარკვეულ პროცენტამდე გაზრდის შემთხვევაში ან როგორ გაიზრდება იგი ფასის რაღაც პროცენტით შემცირებისას. მით უმეტეს, რომ სხვადასხვა პროდუქტისათვის მოთხოვნასა და ფასებს შორის დამოკიდებულება არსებითად განსხვავებულია. ამ მოვლენის ასახსნელად გამოიყენება ცნება-მოთხოვნის ელასტიურობა ფასის მიხედვით.

მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი. ვთქვათ, გასტრონომში ფასები რძესა და პეპსი-კოლაზე გაიზარდა ორჯერ. ცხადია, მომხმარებლები ერთსაც და მეორესაც უფრო ნაკლებს შეიძენენ. მაგრამ, როგორც ცდა აჩვენებს, რძის მოხმარება შემცირდება უფრო ნაკლებად, ვიდრე პეპსი-კოლასი. ეს იმიტომ, რომ რძე მიეკთვნება პირველი (აუცილებელი) მოხმარების საგანს და მასზე უარის თქმა ძალზე ძნელია. პეპსი-კოლის გარეშე კი იოლად გავალთ.

თუ რძისა და პეპსი-კოლას ფასები ორჯერ შემცირდება, მაშინ ორთავე მეტად გასაღდება, მაგრამ რძის მოხმარება ნაკლებად გაიზრდება, ვიდრე პეპსი-კოლასი. ეს იმით აიხსნება, რომ რძეზე მაღალი ფასის შემთხვევაშიც მოთხოვნა ახლოს დგას გაჯერებულ მოთხოვნილებასთან (თითქმის იმდენს ყიდულობენ რამდენიც აუცილებელია –თ.გ). ამიტომ მასზე ფასის შემცირება არ გამოიწვევს რეალიზაციის მოცულობის ცვლილებას. ამრიგად, ფასების ცვლილების მიმართ რძეზე მოთხოვნა ნაკლებ მგრძნობიარეა, ვიდრე მოთხოვნა პეპსი-კოლაზე. თუ ეკონომიკურ ტერმინს გამოვიყენებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ რძეზე მოთხოვნა ფასის მიხედვით ნაკლებ ელასტიურია, ვიდრე მოთხოვნა პეპსი-კოლაზე. ამრიგად, ფასის მიხედვით მოთხოვნის ელასტიურობა ეს არის შეძენილი საქონლის მოცულობის ცვლილების შეფარდება ფასის ცვლილებასთან.

ფასის მიხედვით მოთხოვნის ელასტიურობა – ესაა შეძენის მოცულობის ცვლილების სიდიდის შეფარდება ფასების ცვლილების სიდიდესთან.

მოთხოვნის ელასტიურობის კოეფიციენტი

მათემატიკურად მოთხოვნის ელასტიურობის გაზომვა ხდება მაჩვენებლით, რომელსაც ელასტიურობის კოეფიციენტი ($K_ე$) ეწოდება და გამოისახება თანაფარდობით:

$$K_ე = \frac{\textit{მოთხოვნის პროცენტული ცვლილება}}{\textit{საქონლის ერთეულის ფასის პროცენტული ცვლილება}}$$

ფასის ცვლილების პროცენტი, თავის მხრივ, განისაზღვრება ფასის ცვლილების შეფარდებით მის პირვანდელ მნიშვნელობასთან, ხოლო მოთხოვნის პროცენტული ცვლილება - მოთხოვნის ცვლილების შეფარდებით საწყის მოთხოვნასთან. ამიტომ ელასტიურობის კოეფიციენტის გამოსათვლელი ფორმულა შეიძლება ამგვარად წარმოვადგინოთ:

$$K_ე = \frac{\textit{მოთხოვნის სიდიდის ცვლილება}}{\textit{საწყისი მოთხოვნა}} : \frac{\textit{ფასის ცვლილება}}{\textit{საწყისი ფასი}}$$

მოთხოვნა საქონელზე ითვლება ელასტიურად, თუ მისი ელასტიურობის კოეფიციენტი მეტია ერთზე, ე.ი. ფასის პროცენტული ცვლილება იწვევს მასზე მოთხოვნის ცვლილების დიდ პროცენტულ ცვალებადობას.

მოთხოვნა ითვლება არაელასტიურად, თუ მისი ელასტიურობის კოეფიციენტი ნაკლებია ერთზე, ეს ნიშნავს, რომ ფასის პროცენტული ცვლილება იწვევს მოთხოვნის შედარებით ნაკლებ პროცენტულ ცვალებადობას.

თუ ფასის ერთი ერთეულით ცვლილებას მოსდევს მოთხოვნის ერთი ერთეულით ცვლილება, ასეთ ელასტიურობას ერთეულოვანი ელასტიურობა ეწოდება. თუ ფასის მცირე ცვლილების მოთხოვნის განუსაზღვრელად დიდი ცვლილება მოსდევს, მაშინ გვაქვს აბსოლუტური ელასტიურობა ხოლო თუ ფასის ცვლილებას მოთხოვნის არანაირი ცვლილება არ მოსდევს, სახეზეა მოთხოვნის აბსოლუტური არაელასტიურობა. ნახ. 5.2 სამი სახის ელასტიურობას გვიჩვენებს.

ნახ. 5.2. მოთხოვნის აბსოლუტური ელასტიურობა, მრუდი C_1, აბსოლუტური არაელასტიურობა, მრუდი C_2 და ერთეულოვანი ელასტიურობა, მრუდი C_3



რაზეა დამოკიდებული მოთხოვნის ელასტიურობა ან არაელასტიურობა ცალკეულ საქონელსა და მომსახურებაზე

ჩამოვთვალოთ მოთხოვნის ელასტიურობის (არაელასტიურობის) განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორები.

1.მოთხოვნის არაელასტიურობით, ჩვეულებრივ, გამოირჩევა პირველი მოთხოვნილების საგნები. მომხმარებელი იძულებულია შეიძინოს ისინი, მიუხედავად უაზროდ მაღალი ფასისა.

2. მოთხოვნის დაბალი ელასტიურობით გამოირჩევა საქონელი, რომლის შემცვლელის პოვნა ძნელია ან შეუძლებელია.

3.მოთხოვნა, ჩვეულებრივ, არარეალისტიურია იაფ, და ელასტიურია – ძვირ საქონელზე.

4. მოთხოვნა, როგორც წესი, არარეალისტურია მიმდინარე მოთხოვნილების საქონელზე და ელასტიურია ხანგრძლივი მოხმარების საგნებზე.

აქამდე ჩვენ განვიხილავდით მოთხოვნის სიდიდის დამოკიდებულებას საქონლის ფასებისაგან, რომელიც მოთხოვნის მრუდით აიწერება. მაგრამ შესაძლებელია ისიც, რომ საქონელზე საერთო მოთხოვნა გაიზარდოს ან შემცირდეს მაშინაც კი, თუ ფასები უცვლელია. ასეთი დამოკიდებულება გამოისახება მოთხოვნის მრუდის გადაწევით და ეწოდება საერთო მოთხოვნის ცვლილება.

საერთო მოთხოვნის ცვლილება

ახლა განვიხილოთ მოთხოვნა იგივე 1997 წელს, ზამთარში, ვთქვათ, 24 დეკემბერს. რა თქმა უნდა, ალბათ მოთხოვნა გაიზრდებოდა და მისი განრიგი, მაგალითად, შემდეგი განრიგის სახით წარმოგვიდგებოდა.

მოთხოვნა 24 დეკემბრისთვის

ცხრილი 5.2.

ერთი ღვეზელის ფასი	ღვეზელის რაოდენობა, რამდენის ყიდვაც სურთ მოსწავლეებს
50 თეთრი	10
40 თეთრი	20
30 თეთრი	30
20 თეთრი	40
10 თეთრი	50

ცხრილების 5.1 და 5.2-ის მონაცემები შეიძლება წარმოვადგინოთ გრაფიკულად მოთხოვნის მრუდების სახით. 5.3. ნახაზზე ასახულია მოთხოვნის მრუდები 15 სექტემბრისთვის და 24 დეკემბრისათვის.

ნახ. 5.3.

მოთხოვნის მრუდი
15 სექტემბრისა და 24 დეკემბრისათვის



მიწოდება

ვიდრე მიწოდების კანონს შევიცნობდეთ, მის სიდიდეს უნდა დავაკვირდეთ.

მიწოდების სიდიდე არის ერთეული საქონლის რაოდენობა, რომლის მიწოდება სურს და შეუძლია გამყიდველს ან მწარმოებელს სხვადასხვა ფასებით და მოცემულ დროში.

ცხრილი 5.3.

მიწოდება 15 სექტემბერს

ღვეზელის ფასი	ღვეზელის რაოდენობა, რომელზედაც გამყიდველი თანახმაა გაყიდოს
50 თეთრი	40
40 თეთრი	30
30 თეთრი	20
20 თეთრი	10
10 თეთრი	1

მიწოდების კანონი

როგორც ცხრილი 5.3-დან ჩანს, საქონლის რაოდენობა პირდაპირ დამოკიდებულებაშია საქონლის ერთეულის ფასთან. მიწოდება იზრდება ფასის გადიდე-

ბისას და მცირდება ფასის დაცემისას. სწორედ ეს პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება ასახავს მიწოდების კანონის ცნებას, რომელიც შემდეგნაირად ყალიბდება.

მიწოდების კანონი: სხვა თანაბარ პირობებში საქონელზე ფასის ზრდა იწვევს მიწოდების რაოდენობის ზრდას, საქონელზე ფასის დაცემა კი იწვევს მიწოდების რაოდენობის კლებას.

მიწოდების მრუდი

მიწოდების ცხრილის მონაცემები, მოთხოვნის ცხრილის მსგავსად, შეიძლება გრაფიკის სახით წარმოვიდგინოდ. თუ ორდინატთა ღერძზე გადავზომავთ საქონლის ერთეულის ფასს, ხოლო აბცისზე გასაყიდად მიწოდებული საქონლის რაოდენობას, მაშინ მაშინ ცხრილის მონაცემებით ვიპოვით წერტილებს, რომელთა შეერთება მოგვცემს მიწოდების მრუდს. (იხ. ნახ. 5.4).

მოთხოვნის მრუდისაგან განსხვავებით მიწოდების მრუდი ზრდადი ხასიათისაა და თვალნათლივ გამოსახავს მიწოდების კანონს: რაც მაღალია ერთეული საქონლის ფასი, მით მეტია მისი მიწოდება.

ნახ. 5.4.

15 სექტემბრის მიწოდების მრუდი



მიწოდების ელასტიურობა

სხვადასხვა სახის საქონლისათვის მიწოდებასა და ფასს შორის დამოკიდებულება განსხვავებულია. საქონლის ერთი ჯგუფის მიწოდება მეტად მგრძნობიარეა ფასის ცვლილებისადმი, ვიდრე სხვა ჯგუფისა. ამ დამოკიდებულების ხარისხი (დონე), მსგავსად მოთხოვნისა, განისაზღვრება ელასტიურობით და გამოისახება მიწოდების ელასტიურობის კოეფიციენტით. ეს უკანასკნელი წარმოადგენს მიწოდების პროცენტული ცვლილების შეფარდებას ფასის პროცენტულ ცვლილებასთან:

$$K_{ე} = \frac{\text{მიწოდების პროცენტული ცვლილება}}{\text{ფასის პროცენტული ცვლილება}}$$

თუ ელასტიურობის კოეფიციენტი ერთზე მეტია, ე.ი. ფასის პროცენტული ცვლილება იწვევს მიწოდების მეტ პროცენტულ ცვლილებას, უკანასკნელი ითვლება ელასტიურად. თუ ელასტიურობის კოეფიციენტი ერთზე ნაკლებია, ე.ი. საქონლის ერთეულის ფასის პროცენტული ცვლილება იწვევს მისი მიწოდების ნაკლებ პროცენტულ ცვლილებას, მაშინ მიწოდება ითვლება არაელასტიურად.

საერთო მიწოდების ცვლილება

საერთო მიწოდების გაზრდა ნიშნავს იმას, რომ გამყიდველებს შეუძლიათ ფასების ყოველ გარკვეულ დონეზე მეტი საქონლის მიწოდება, საერთო მიწოდების შემცირება კი - ნაკლები საქონლის მიწოდებას ფასების ყოველ გარკვეულ დონეზე.

საერთო მიწოდების ცვლილება ტოლფასია მიწოდების მრუდის გადაწევისა: მარჯვნივ - თუ მიწოდება იზრდება (D_1) და მარცხნივ - თუ იგი მცირდება (D_2). (იზ. ნახ. 5.5).

მიწოდების ზრდა ნიშნავს, რომ გამყიდველები მზად არიან მიაწოდონ მეტი საქონელი თითოეულ მოცემულ ფასად. მიწოდების შემცირება ნიშნავს, რომ გამყიდველები აწოდებენ ნაკლებ საქონელს თითოეულ მოცემულ ფასად.

ნახ. 5.5.

მიწოდების მრუდები მიწოდების ცვლილებისას



საერთო მიწოდების ცვლილება განპირობებულია შემდეგი ძირითადი ფაქტორებით:

1. წარმოებაზე გაწეული დანახარჯების ცვლილებით. თუ მეწარმეს საქონლის დამზადება იაფი უჯდება ადრე გაწეულ ხარჯებთან შედარებით, ეს საშუალებას მისცემს მას მეტი აწარმოოს და, ამგვარად, მიწოდებაც გაზარდოს. თუ პირიქით ხდება და წარმოებაზე დანახარჯები იზრდება, მაშინ მიწოდებაც შემცირდება.

2. მოგების მიღების ახალი შესაძლებლობების გამოჩენა. მეწარმეთა უმრავლესობას შეუძლია რამდენიმე სხვადასხვა საქონლის დამზადება. თუ იმ საქონლის ფასი იზრდება, რომელსაც ადრე არ აწარმოებდნენ, მაგრამ ახლა შეუძლიათ მისი დამზადება, მაშინ ბევრი მიზანშეწონილად ჩათვლის პროფილე შეუცვალოს წარმოებას და დაიწყოს ამ ახალი სახის საქონლის გამოშვება. მაგ., პერსონალურ კომპიუტერებზე მოთხოვნის გაზრდისას ავეჯის ფაბრიკები ითვისებენ კომპიუტერისათვის სპეციალური მაგიდებისა და კარადების დამზადებას.

3. ფასების ცვლილების პროგნოზი. თუ მეწარმე ფასების მატებას ვარაუდობს, მას შეუძლია წარმოების მოცულობა წინასწარ გაზარდოს იმ ანგარიშით, რომ მომავალში დამატებით მოგებას მიიღება. მაგრამ თუ მწარმოებელი ფასების დაწევას ელის, მაშინ იგი შეეცდება შეამციროს წარმოება. შესაბამისად მიწოდებაც დაეცემა.

წონასწორული ფასი

მოთხოვნის ცხრილები და გრაფიკები აჩვენებენ თუ რა რაოდენობის საქონლის ყიდვა შეუძლიათ მომხმარებლებს სხვადასხვა ფასებში. მიწოდების ცხრილები და გრაფიკები კი იმის ილუსტრაციას იძლევა, თუ რა რაოდენობის საქონლის გაყიდვაზე დათანხმდებიან მისი მფლობელები სხვადასხვა ფასებსი. მაგრამ ცალ-ცალკე მათი საშუალებით შეუძლებელია დავადგინოთ, რა ფასებშია შესაძლებელი რეალური გარიგება. ასე, მაგ., ბევრი ჩვენთაგანი წინააღმდეგი არ იქნებოდა ეყიდა ახალი ავტომანქანა 1 ათას დოლარად, მაგრამ, ვფიქრობ,

არ მოიძებნება გამყიდველი, რომელიც დათანხმდება ამ ფასსი გაყიდოს ავტომანქანა. არიან, ალბათ, მსურველები გაყიდონ თავიანთი მაჯის საათები (არა ანტიკვარული და ოქროსი) 100 დოლარად, მაგრამ არავინაა მისი მყიდველი. ცხადია, ასეთი გარიგებაც არ მოხდება.

იმისათვის, რომ შედგეს გაცვლის (ყიდვა-გაყიდვის) აქტი, საჭიროა მყიდველისა და გამყიდველის ურთიერთქმედებას. სწორედ, მათ შორის ასეთი უშუალო ურთიერთმოქმედების ორგანიზაციის საშუალებას წარმოადგენს ბაზარი, სადაც ხდება ფასების ფორმირება გარიგებათა დასადებად.

ამ საკითხის განხილვამდე წინასწარ შევნიშნოთ, რომ ჩვენ განვიხილავთ თავისუფალი კონკურენციის აბსტრაქტულ თეორიულ მოდელს, რომელიც წმინდა სახით რეალურ ცხოვრებაში არ გვხვდება, მაგრამ გვეხმარება გავიგოთ რეალური ეკონომიკა.

თავისუფალი კონკურენციის მოდელი

თეორიულად, თავისუფალი კონკურენციის მოდელი მაშინ არსებობს, როცა დაცულია შემდეგი პირობები:

1. ბაზარში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოქმედებს უამრავი გამყიდველი და მყიდველი და არც ერთ მათგანს არ შეუძლია დააწესოს ფასების დიქტატი;
2. ყველა მყიდველსა და გამყიდველს გააჩნია სრული ინფორმაცია ფასებზე;
3. კონკურენტების საქონელი პრაქტიკულად იდენტურია - ხარისხში განსხვავება მხედველობასი არ მიიღება;
4. არ არსებობს რაიმე წინააღმდეგობა ბაზარზე ახალი მყიდველებისა და გამყიდველების გამოჩენასტან დაკავშირებით.

მოთხოვნა და მიწოდება

ახლა განვიხილოთ მოთხოვნა და მიწოდება ერთად. ამისთვის მოვიყვანოთ აშშ ნაყინის ბაზრის მაგალითი გრეგორი მენქიუს წიგნის “ეკონომიკის პრინციპების” მიხედვით. [20, მე-4 თავი] ნაყინის მოთხოვნა და მიწოდება, ვთქვათ 15 სექტემბრისათვის, წარმოდგენილია ცხრილში 5.4.

ცხრილი 5.4.

მოთხოვნა და მიწოდება 15 სექტემბერისათვის

მოთხოვნა ნაყინზე	ნაყინის ფასი	ნაყინის მიწოდება
0	$0.00	0
0	0.50	0
1	1.00	1
4	1.50	4
7	2.00	7
10	2.50	10
13	3.00	13

წყარო: [20, მე-4 თავი]

წონასწორობა

5.6 ნახაზზე გაერთიანებულია საბაზრო მიწოდებისა და საბაზრო მოთხოვნის მრუდები. ყურადღება მიაქციეთ, რომ მიწოდებისა და მოთხოვნის მრუდები ერთ წერტილში კვეთენ ერთმანეთს. ამ წერტილს საბაზრო წონასწორობა ეწოდება. ფასს, რომელიც გადაკვეთის ამ წერტილს შეესაბამება, წონასწორული ფასი, ხოლო რაოდენობას - წონასწორული რაოდენობა ეწოდება. აქ წონასწორული ფასი $2-ის, ხოლო წონასწორული რაოდენობა 7 ნაყინის ტოლია.

ლექსიკონებში სიტყვა "წონასწორობა" განმარტებულია, როგორც სიტუაცია, როცა სხვადასხვა ძალრბი გაწონასწორებულია. ეს განმარტება საბაზრო წონასწორობისთვისაც გამოდგება. წონასწორული ფასის დროს, საქონლის რაოდენობა, რომლის ყიდვაც სურთ და შეუძლიათ მყიდველებს, ზუსტად იმ რაოდენობის ტოლია, რომლის გაყიდვაც ხურთ და შეუძლიათ გამყიდველებს. წონასწორულ ფასს ზოგჯერ სუფთა ბაზრის ფასსაც უწოდებენ, ვინაიდან ამ ფასით ყველა კმაყოფილია: მყიდველებმა იყოდეს ყველაფერი, რის ყიდვაც სურდათ, ხოლო გამყიდველებმა გაყიდეს ყველაფერი, რის გაყიდვაც სურდათ.

მყიდველებისა და გამყიდველების ქმედებები ბუნებრივად უბიძგებს ბაზარს მიწოდებისა და მოთხოვნის წონასწორობისაკენ. მიზეზის დასადგენად, ვნახოთ, რა ხდება, როცა საბაზრო ფასი განსხვავდება წონასწორულისაგან.

ნახ. 5.6. მიწოდებისა და მოთხოვნის წონასწორობა



წყარო: [20, მე-4 თავი]

წონასწორობა მყარდება მიწოდებისა და მოთხოვნის მრუდების გადაკვეთის წერტილში. წონასწორული ფასის დროს მიწოდების რაოდენობა მოთხოვნის რაოდენობის ტოლია. აქ წონასწორული ფასია $2: ამ ფასად მიწოდებულია 7 ნაყინი და მოთხოვნილია 7 ნაყინი.

ნახ. 5.7. ბაზრები არაწონასწორულ მდგომარეობაში



წყარო: [20, მე-4 თავი]

5.7 (ა) ნახაზზე ნაჩვენებია ჭარბი მიწოდება. იმის გამო, რომ საბაზრო ფასი ($2.50) წონასწორულ ფასზე მეტია, მიწოდების რაოდენობა (10) აჭარბებს მოთხოვნის რაოდენობას (4). გამყიდველები ნაყინის გაყიდვის გაზრდას ფასის შემცირებით ცდილობენ, რის

შედეგადაც ფასი თავისი წონასწორული დონის მიმართულებით მოძრაობს. 5.7 (ბ) ნახაზზე ნაჩვენებია ჭარბი მოთხოვნა. იმის გამო, რომ საბაზრო ფასი ($1.50) წონასწორულ ფასზე ნაკლებია, მოთხოვნის რაოდენობა (10) აჭარბებს მიწოდების რაოდენობას (4). ვინაიდან მყიდველთა რაოდენობა ძალიან დიდია, ხოლო იმ საქონლის რაოდენობა, რომელთა ყიდვაც მათ სურთ, ძალიან მცირეა, მიმწოდებლებს შეუძლიათ, თავის სასარგებლოდ გამოიყენონ ეს დეფიციტ და ფასები გაზარდონ. ასე რომ, ორივე შემთხვევაში, ფასის ცვლილება ბაზარს მიწოდებისა და მოთხოვნის წონასწორობისკენ უბიძგებს.

ჯერ დავუშვათ, რომ საბაზრო ფასი წონასწორულ ფასზე მეტია, როგორც 5.7 ა) ნახაზზეა ნაჩვენები. როცა ნაყინის ფასია $2.50, მიწოდებული ნაყინის რაოდენობა (10) მეტია მოთხოვნის რაოდენობაზე (4). წარმოიქმნება საქონლის სიჭარბე: მიმწოდებლებს არ შეუძლიათ ამ ფასად ყველაფრის გაყიდვა, რისაც სურთ. ამ სიტუაციას ჭარბი მიწოდება ეწოდება. როდესაც ნაყინის ბაზარზე მიწოდების სიჭარბე გვაქვს, ნაყინის გამყიდველების მაცივრები სავსეა ნაყინით, რომლის გაყიდვაც სურთ, მაგრამ ვერ ყიდიან. მიწოდების სიჭარბეს გამყიდველები ფასების შემცირებით პასუხობენ. ფასი იქამდე შემცირდება, ვიდრე ბაზარი წონასწორობაში არ მოვა.

ახლა დავუშვათ, საბაზრო ფასი წონასწორულ ფასზე ნაკლებია, როგორც ეს ნაჩვენებია 5.7 ბ) ნახაზზე. ამ შემთხვევაში, ნაყინის ფასია $1.50, და მოთხოვნილი საქონლის რაოდენობა აჭარბებს მიწოდების რაოდენობას. ჩნდება საქონლის დეფიციტი: მომხმარებლები ვერ ყიდულობენ ყველაფერს, რის ყიდვაც სურთ ამ ფასად. ამ სიტუაციას ჭარბი მოთხოვნა ეწოდება. როდესაც ნაყინის ბაზარზე მოთხოვნის სიჭარბეა, მყიდველები დიდხანს დგანან რიგში რამდენიმე ნაყინის საყიდლად. როდესაც ბევრი მყიდველი და ცოტა საქონელია, გამყიდველებს შეუძლიათ, ფასების გაზრდით მიწოდების დონის შეუმცირებლად უპასუხონ ჭარბ მოთხოვნებს. როდესაც ფასები იზრდება, ბაზარი ისევ იწყებს წონასწორობისაკენ მოძრაობას.

ამგვარად, მრავალი მყიდველისა და გამყიდველის მოქმედება ავტომატურად უბიძგებს საბაზრო ფასს წონასწორული ფასისკენ. როგორც კი ბაზარი წონასწორობას მიაღწევს, ყველა მყიდველი და გამყიდველი კმაყოფილია, და არ არსებობს ძალა, რომელიც ფასს ზემოთ ან ქვემოთ უბიძგებს. ის, თუ რამდენად სწრაფად მიიღწევა წონასწორობა, სხვადასხვა ბაზარზე სხვადასხვაა და დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სისწრაფით იცვლება ფასები. მაგრამ, თითქმის ყველა თავისუფალ ბაზარზე, სიჭარბე და დეფიციტ მხოლოდ დროებითი მოვლენებია, ვინაიდან ფასები თანდათან წონასწორული დონისაკენ მოძრაობს. ეს ფენომენი იმდენად ყოვლისმომცველია, რომ მას ზოგჯერ მიწოდებისა და მოთხოვნის კანონს უწოდებენ: ნებისმიერი საქონლის ფასი თვითრეგულირდება იქამდე, ვიდრე ამ საქონლის მიწოდებასა და მოთხოვნას არ გააწონასწორებს.

მრუდების გადაადგილება და მრუდების გასწვრივ მოძრაობა

ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ, როდესაც ცხელი ამინდი ნაყინის ფასების ზრდას იწვევს, ფირმების მიერ მიწოდებული ნაყინის რაოდენობაც იზრდება, მიუხედავად იმისა, რომ მიწოდების მრუდი იგივე რჩება. ასეთ შემთხვევებში ეკონომისტები ამბობენ, რომ გაიზარდა "მიწოდების რაოდენობა", მაგრამ "მიწოდება" უცვლელი დარჩა.

მიწოდება მიგვითითებს მიწოდების მრუდის მდებარეობაზე, მიწოდების რაოდენობა კი - იმ რაოდენობაზე, რომლის გაყიდვაც გამყიდველებს სურთ. ამ მაგალითში მიწოდება

არ იცვლება, ვინაიდან ამინდი ვერ ახდენს გავლენას ფირმების სურვილზე, შეცვალონ მიწოდება ყოველი შესაძლო ფასის დროს. ცხელი ამინდი ზრდის მომხმარებლის სურვილს, ყოველი მოცემული ფასის დროს იყიდოს გარკვეული რაოდენობის ნაყინი, და ამით იწვევს მოთხოვნის მრუდის გადაადგილებას. მოთხოვნის ზრდა ფასის ზრდას იწვევს. როდესაც ფასი იზრდება, მიწოდების რაოდენობაც იზრდება. მიწოდების რაოდენობის ეს ზრდა გამოიხატება მიწოდების მრუდის გასწვრივ მოძრაობით.

შევაჯამოთ: მიწოდების მრუდის გადაადგილებას "მიწოდების ცვლილება" ეწოდება, ხოლო მოთხოვნის მრუდის გადაადგილებას - "მოთხოვნის ცვლილება". მიწოდების მრუდის გასწვრივ გადაადგილებას "მიწოდების რაოდენობის ცვლილება" ეწოდება, ხოლო მოთხოვნის მრუდის გასწვრივ გადაადგილებას - "მოთხოვნის რაოდენობის ცვლილება".

ნახ. 5.8. როგორ მოქმედებს მოთხოვნის ზრდა წონასწორობაზე.



წყარო: [20, მე-4 თავი]

მოვლენა, რომელიც იწვევს ყოველი მოცემული ფასის დროს საქონელზე მოთხოვნის რაოდენობის ზრდას, მოთხოვნის მრუდს მარჯვნივ გადაადგილებს. წონასწორული ფასიცა და წონასწორული რაოდენობაც იზრდება. არაჩვეულებრივად ცხელი ზაფხული ზრდის მყიდველების მოთხოვნას ნაყინზე. მოთხოვნის მრუდი გადაადგილდება D1-დან D2-ში, რაც გამოიწვევს წონასწორული ფასის გაზრდას $2.00-დან $2.50-მდე და წონასწორული რაოდენობის გაზრდას 7-დან 10-მდე.

ეკონომიკური აზროვნების ისტორიიდან: ალფრედ მარშალი და ფასწარმოქმნის თეორია

მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ეკონომიკურ მეცნიერებაში მიმდინარეობდა გაცხარებული კამათი იმის თაობაზე, თუ რომელი უფრო მეტად მნიშვნელოვანია – მიწოდება თუ მოთხოვნა. იმავე საუკუნის ბოლოს ამ საკითხის გადაჭრა ითავა ინგლისელმა ეკონომისტმა ალფრედ მარშალმა (1842-1924).

ა. მარშალის მიხედვით მოთხოვნა და მიწოდება შეიძლება მაკრატლის ორ პირს შევადაროთ. ორივე მათგანი საჭიროა, მაგრამ იმისდა მიხედვით, თუ როგორ გვიჭირავს იგი, ერთ-ერთი პირი უფრო აქტიური ხდება ვიდრე მეორე. მსგავსად ამისა, მოთხოვნას ან მიწოდებას შეუძლია უფრო აქტიური როლი ითამაშოს სიტუაციის შესაბამისად, - მოვლენებს განვიხილავთ ხანმოკლე თუ ხანგრძლივი დროის პერიოდში, ანუ მოკლე თუ გრძელვადიან გეგმაში.

მოკლევადიან გეგმაში არსებული სიკეთის მარაგი (და შესაბამისად მათი მიწოდება), შეიძლება ჩავთვალოთ ფიქსირებულად; ამიტომ მიწოდება არარეალისტურია. ამ პერიოდში უფრო განმსაზღვრელია მოთხოვნა.



მოთხოვნა და მიწოდება მოკლევადიან პერიოდში

გრძელვადიან პერიოდში. მეწარმეს შეუძლია თავისი საწარმოო სიმძლავრეების როგორც გაზრდა, ასევე შემცირება – საჭიროების შესაბამისად. ამიტომ მიწოდების მრუდი შეიძლება წარმოვიდგინოთ აბსცისა ღერძის პარალელური წრფის სახით. აქ განმსაზღვრელია მიწოდება.



მოთხოვნა და მიწოდება გრძელვადიან პერიოდში

ორივე შემთხვევაში, როგორც მოთხოვნა ისე მიწოდება მოქმედებს ფასზე; მაგრამ მოკლევადიან პერიოდში, სახელდობრ, საერთო მოთხოვნის ცვლილება იწვევს ფასის გაზრდას ან შემცირებას. გრძელვადიან პერიოდში ამას აკეთებს საერთო მიწოდების ცვლილება.

დანართი ა
რომელი გამოსახავს მოცემულ სიტუაციას?

წარმოიდგინეთ, რომ მიღებულია კანონი, რომელიც ავალდებულებს ხორბლის ყველა მწარმოებელს დააწესონ მისი ფასი 100 ლარი ტონაზე. ქვემოთ ნაჩვენები გრაფიკებიდან (გრაფიკი 2.12) რომელი გამოსახავს მოცემულ სიტუაციას?



კითხვები გამეორებისთვის

1. რა არის მოთხოვნა? განმარტეთ მოთხოვნის კანონი.

2. რა არის მიწოდება? განმარტეთ მიწოდების კანონი.

3. დაახასიათეთ რა ამოცანის გადაჭრას ისახავს მიზნად ალფრედ მარშალის ფასწარმოქმნის თეორია. განმარტეთ მოთხოვნაა უფრო მთავარი თუ მიწოდება.

4. განმარტეთ და დაახასიათეთ მოთხოვნის ელასტიკურობა და მიწოდების ელასტიკურობა.

მეექვსე თავი
შემოსავალი, დანახარჯები, მოგება

განსახილველი საკითხები:

- **წარმოების ფაქტორთა კომბინაციის შერჩევა.**
- **კლებადი უკუგების კანონი.**
- **წარმოების დანახარჯების სახეები.**
- **მოგების მაქსიმიზაციის სტრატეგია.**
- **წარმოების მასშტაბების ზრდის დადებითი და უარყოფითი ეფექტი.**
- **კარლ მარქსის ზედმეტი ღირებულებების თეორია.**

შემოსავალი, დანახარჯები, მოგება

თავიდანვე შევთანხმდეთ, რომ მეწარმეს ტექნოლოგისაგან განსხვავებით არ აინტერესებს, თუ (მაგალითად) კონკრეტული მარკის რამდენი ტონა ფოლადია საჭირო ამა თუ იმ დეტალის გამოსაშვებად. მისთვის უპირველეს ყოვლისა იმის ცოდნაა საჭირო, თუ რა ეღირება მთელი წარმოება და რა მოგება შეუძლია მას მიიღოს. ამ წესიდან, ცხადია, არსებობს გამონაკლისიც. ცნობილია, მაგალითად, თუ ჰოლივუდის ერთ-ერთი მსხვილი კინოკომპანიის ხელმძღვანელი სამუელ ჰოლდვინი რა დიდხანს და გატაცებით ესაუბრა ბერნანდ შოუს "პიგმალიონის" ეკრანიზაციის პროექტზე. დიდმა მწერალმა კინომაგნატს საუბარი ამ სიტყვებით შეაწყვეტინა: "ჩვენ ვერ შევძლებთ თქვენთან შეთანხმებას ბატონო ჰოლდვინ. ამის მიზეზი კი იმაშია, რომ თქვენ, ეტყობა, ყველაზე მეტად ხელოვნება გაინტერესებთ, მე კი ამ შემთხვევაში ფული მაფიქრებს".

"ნორმალური" მეწარმე არ ეშმაკობს როცა აღიარებს, რომ მას ფული აინტერესებს. ამიტომ იგი პრობლემას ხედავს ფასებში – წარმოებულ პროდუქციასა და წარმოების ფაქტორებზე. ამასთან, იყენებს ისეთ ცნებებს, როგორიცაა: შემოსავალი, დანახარჯები, მოგება. მივცეთ განმარტება ამ ძირითად ცნებებს.

მას, რასაც მეწარმე მიიღებს თავისი პროდუქტის გაყიდვით ეწოდება საერთო შემოსავალი ანუ საერთო ამონაგები. იგი დამოკიდებულია საქონლის გასაყიდ ფასსა და გაყიდული საქონლის რაოდენობაზე. როგორც ჩვენ წინა თავიდან ვიცით, ორივე ეს სიდიდე – საბაზრო ფასები და გასაღებული პროდუქტის მოცულობა – ერთმანეთის მიმართ უკუპროპორციულ დამოკიდებულებაში იმყოფებიან.

ის, რასაც მეწარმე ხარჯავს წარმოების რესურსების შესაძენად, შეადგენს მის დანახარჯებს ანუ ხარჯებს. სხვაობა შემოსავალსა და დანახარჯებს შორის წარმოადგენს მეწარმის მოგებას. ჩვეულებრივ, "საქმის წამოსაწყებად" მეწარმე ქირაობს მუშებს და უხდის მათ ხელფასს, იძენს დაზგებსა და მოწყობილობებს (ფულს უხდის მათ მწარმოებლებს), ყიდულობს ან არენდით იღებს შენობას (ანგარიშს ასწორებს მის მფლობელთან) და ა.შ. ეს არის ე.წ. გარეშე დანახარჯები, ანუ დანახარჯები იმ რესურსებზე, რომელიც საწარმოს საკუთრებას არ შეადგენს. ასეთ დანახარჯებს ცხად დანახარჯებსაც უწოდებენ.

საქმე რთულდება მაშინ, როცა საკითხი ეხება თვით მეწარმის შემოსავალს. იმისათვის რომ მეწარმემ ხელი მოკიდოს წარმოების ორგანიზაციას, მისი შემოსავალი არ უნდა იყოს იმაზე ნაკლები, რასაც ის მიიღებს იმ შემთხვევაში, თუ იგი თავის მეწარმეობრივ ტალანტს, როგორც რესურსს, სხვა მწარმოებელს მიჰყიდის. ამ სიდიდეს ზოგჯერ ნორმალურ მოგებას უწოდებენ. თუ მეწარმე ნორმალურ მოგებას არ ღებულობს (და გარკვეულ-

წილად ზარალდება) მაშინ გამოდის, რომ იგი შეცდომას უშვებს, რამეთუ აკეთებს იმას, რაც მისი საქმე არაა – რისი ნიჭიც მას არ გააჩნია.

პოლიტეკონომიაში დიდი ხანია წარმოებს დავა – მეწარმეობრივი შემოსავალი მიეკუთვნოს ხარჯებს თუ მოგებას. მისი აღნიშვნისათვის არსებობს სპეციალური ტერმინი – შიდა დანახარჯები, ანუ ცხადი დანახარჯები, განსხვავებით სხვა – გარეშე ხარჯებისაგან.

დანახარჯებთან დაკავშირებულია ორი სხვა ცნებაც – ბუღალტრული და ეკონომიკური მოგება.

ბუღალტრული მოგება ეს არის სხვაობა საერთო ამონაგებსა და გარეშე ხარჯებს შორის.

ეკონომიკური მოგება – სხვაობაა საერთო ამონაგებსა და შიდა და გარეშე დანახარჯების ჯამს შორის. გასაგებია, რომ ეკონომიკური მოგება ნაკლებია ბუღალტრულ მოგებაზე შიდა დანახარჯების სიდიდით. მეწარმის მიზანია მიიღოს რაც შეიძლება მეტი ეკონომიკური მოგება. სრული კონკურენციის პირობებში (რომელსაც ჩვენ განვიხილავთ) საქონელზე ფასები არაა დამოკიდებული მეწარმის ნებასურვილზე. ამიტომ, მოგების მაქსიმუმის მიღების მიზნით იგი ცდილობს მინიმუმამდე შეამციროს დანახარჯები. ეს შესაძლებელია მხოლოდ რესურსების ოპტიმალური კომბინაციის საშუალებით.

ბუღალტრული მოგება=საერთო ამონაგებს-გარე დანახარჯები
ეკონომიკური მოგება = საერთო ამონაგებს – შიდა და გარე დანახარჯები

განვიხილოთ პირობითი მაგალითი. დავუშვათ დამწყებმა მეწარმემ, გიორგი იმედაძემ "საქმეში ჩასადებად" ფული დააგროვა და ფეხსაცმლის ფაბრიკის გახსნ ა გადაწყვიტა. რა გააკეთოს მან? უნდა დაიქირავოს შენობა, იყიდოს ან არენდით აიღოს მოწყობილობა, დაიქირავოს მუშები და მმართველი (თუ თვითონ არ სურს ხელი მოკიდოს წარმოების ორგანიზაციას); მოიმარაგოს ნედლეული – ტყავი, ძაფი, ლურსმნები და ა.შ. გიორგი იმედაძის საკუთრებაში არსებული სახსრები შეზღუდულია, ამიტომ მან, პირველ რიგში, ის უნდა გაარკვიოს, თუ კონკრეტულად რამდენის დახარჯვა შეუძლია შენობასა და მოწყობილობაზე, რამდენის – ნედლეულის შეძენაზე და რამდენისა – მუშების შრომის ანაზღაურებაზე; სხვანაირად, ის – თუ როგორი უნდა იყოს ფაბრიკაში წარმოების ფაქტორების კომბინაცია. მას შეუძლია, მაგალითად, თავისი სახსრების დიდი ნაწილი დახარჯოს ყველაზე სრულყოფილი (თანამედროვე) მოწყობილობის შეძენაზე და დაიქირავოს რამდენიმე მაღალკვალიფიციური მუშაკი. ან პირიქით, არენდით აიღოს ნაკლებად თანამედროვე, იაფფასიანი მოწყობილობა, მაგრამ დაიქირავოს მეტი მუშახელი. შეიძლება ვირტუოზული მეწაღეების დაქირავება და საშუალო კვალიფიკაციის მუშებისაც. ფეხსაცმლის შეკერვა შეიძლება ტყავის შემცვლელისაგან და ძვირადღირებული ეგზოტიკური ცხოველების, ვთქვათ, ნიანგის ტყავისგანაც. სხვანაირად, პრაქტიკულად არსებობს წარმოების ცალკეულ ფაქტორებზე ხარჯების გაღების შესაძლებლობათა უამრავი კომბინაცია. ცხადია, შედეგებიც, შესაბამისად, სხვადასხვა იქნება.

დავუშვათ, ჩვენი მეწარმე შეჩერდა “ოქროს შუალედზე” და ამოირჩია არც თუ ისე ძვირადღირებული მოწყობილობა, საშუალო კვალიფიკაციის მუშები და ნორმალურად ნაკეთები ტყავი. მაგრამ ამით არჩევის პრობლემა მისთვის არ ამოიწურება. ამის შემდეგ მან უნდა გაიანგარიშოს, თუ რამდენი დაზგა, მუშა და რა რაოდენობის ნედლეული იქნება საჭირო იმისათვის, რათა დანახარჯები იყოს მინიმალური, ხოლო მოგება მაქსიმალური.

კლებადი სარგებლიანობის კანონი

გამოშვების ამგვარ ზრდას, რომელიც ერთეულ დამატებით რესურსზე (აქ მუშაზე) მოდის, ეწოდება ზღვრული პროდუქტი, ანუ ზღვრული მწარმოებლურობა. პარალელურად იზრდება საშუალო მწარმოებლურობაც, ანუ პროდუქტის მოცულობა, რომელიც ყოველ მუშაკზე მოდის. ერთი მუშის გამოყენებისას საშუალო მწარმოებლურობა (ასევე ზღვრული მწარმოებლურობა და გამოშვების მთლიანი მოცულობაც) შეადგენს 50 წყვილ ფეხსაცმელს, ორი მუშის პირობებში – 55-ს, (110:2), სამუ მუშის დროს – 60-ს (180:3).

ამ წარმატებით ფრთებშესხმული ჩვენი მეწარმე უეჭველად გადაწყვეტს დაიქირავოს, ბარემ, მე-4 მუშაც, მაგრამ როგორც კი იგი ამას გააკეთებს, მაშინვე შეამჩნევს, რომ ოთხკაციან კოლექტივს დღიურად 240-ზე მეტი ფეხსაცმლის შეკერვა უკვე აღარ შეუძლია. მე-4 მუშაზე მოსული ზღვრული პროდუქტი უფრო მცირეა, ვიდრე მე-3 მუშაზე იყო და შეადგენს 60-ს (240-180) ნაცვლად 70-ისა. ამასთან, საშუალო მწარმოებლურობა იგივე დარჩება – 60 წყვილი (240:4), რადგან მე-4 მუშის ზღვრული მწარმოებლურობა სამი მუშის საშუალო მწარმოებლურობას გაუტოლდა. მე-5 მუშაკის დაქირავების შემთხვევაში წარმოების მოცულობა, მართალია, გაიზრდება 280 ერტეულამდე (ზღვრული მწარმოებლურობა გახდება 40), მაგრამ საშუალო მწარმოებლურობა დაიკლებს 56-მდე (280:5). შემდგომში მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება: მე-6 მუშის ზღვრული მწარმოებლურობა შემცირდება 20-მდე, ხოლო მე-7 მუშის დაქირავება გამოიწვევს წარმოების შეკვეცას (შემცირებას) 20 წყვილი ფეხსაცმლით. ეს ყოველივე კარგად ჩანს ცხრილში 6.1.

ცხრილი 6.1

ფეხსაცმლის წარმოება გიორგი იმედაძის ფაბრიკის მიერ

(წყვილების რაოდენობა დღეში)

მუშათა რიცხვი	ფეხსაცმლის დღიური გამოშვება	ზღვრული მწარმოებლურობა	საშუალო მწარმოებლურობა
1	50	50	50
2	110	60	55
3	180	70	60
4	240	60	60
5	280	40	56
6	300	20	50
7	280	-20	40

თუ წარმოების პროცესში გამოყენებული რესურსების ნაწილი უცვლელი რჩება და მას ემატება მეორე მზარდი რესურსი, მაშინ თავდაპირველად გამოშვების მოცულობა შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ შემდეგ აუცილებლად დადგება მომენტი, როცა წარმოებაში ჩართული დამატებითი რესურსები სულ უფრო და უფრო ნაკლებ სარგებელს მოგვცემენ. მოვახდინოთ ამ კანონის გრაფიკული ილუსტრირება. ცხრილის მონაცემებით ავაგოთ გრაფიკი, რისთვისაც აბსცისაზე გადავზოოთ შრომის დანახარჯები (მუშების რაოდენობა),

ხოლო ორდინატზე, მათი მწარმოებლურობა. როგორც საშუალო, ასევე ზღვრული მწარმოებლურობის გრაფიკებს გააჩნიათ ამოზნექილი მრუდების სახე. ამასთან, უკანასკნელი პირველთან შედარებით უფრო ციცაბოდ ეშვება ძირს. 1 უბანში ზღვრული მწარმოებლურობა ზრდადია, მეორეში კლებადი, ხოლო მე-3 უბანში იგი უარყოფითი ხდება.



ნახ. 6.1. საშუალო და ზღვრული მწარმოებლურობის მრუდები

კლებადი სარგებლიანობის კანონი შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ. წარმოების ფაქტორთა მხოლოდ გარკვეული კომბინაციის დროს შეიძლება იყოს მთელი სისტემის მწარმოებლურობა მაქსიმალური.

თუ ამ ოპტიმალურ სისტემას ემატება რომელიმე ერთი ფაქტორი ისე, რომ დანარჩენი ფაქორების რაოდენობა უცვლელი რჩება, მაშინ ამ დამატებითი ფაქტორის და მასთან ერთად მთელი სისტემის მწარმოებლურობა იწყებს შემცირებას

მუდმივი, ცვლადი და საერთო დანახარჯები

მუდმივი ეწოდება ისეთ დანახარჯებს, რომელთა სიდიდეზე არ მოქმედებს წარმოების მოცულობის ცვლილება. მათ მიეკუთვნება, მაგალითად, შენობის ქირა, გაცვეთილი მოწყობილობის რემონტისათვის საჭირო ანარიცხები, უძრავი ქონების გადასახადი, პროცენტები კრედიტებზე, ხელფასი მარტვის აპარატის პერსონალზე და ა.შ.

ცვლადი დანახარჯები ისეთი დანახარჯებია, რომელთა სიდიდე იცვლება გამოშვების მოცულობის ცვლილებისაგან დამოკიდებულებით. მას მიეკუთვნება დანახარჯები ნედლეულზე, ელექტროენერგიაზე, სატრანსპორტო მომსახურებაზე, ძირითადი პერსონალის (მუშის) შრომის ანაზღაურებაზე.

ავტომობილის საბურავების მწარმოებლის დანახარჯების სახეები (ლარებში)

გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა (ცალი)	მუდმივი დანახარ-ჯები	ცვლადი დანახარ-ჯები	საერთო დანახარ-ჯები	საშუალო მუდმივი დანახარ-ჯები	საშუალო ცვლადი დანახარ-ჯები	საშუალო საერთო დანახარ-ჯები	ზღვრული დანახარ-ჯები
0	400	0	400	-	-	-	-
1	400	100	500	400	100	500	100
2	400	180	580	200	90	290	80
3	400	246	646	133	82	215	66
4	400	304	704	100	76	176	58
5	400	355	755	80	71	151	51
6	400	402	802	67	67	134	47
7	400	448	848	57	64	121	46
8	400	496	896	50	62	112	48
9	400	576	976	44	64	108	80
10	400	700	1100	40	70	110	124

მართალია, წარმოების მოცულობის გაზრდით ცვლადი დანახარჯებიც მატულობს, მაგრამ ეს ხდება არათანაბრად. თავდაპირველად ზრდა ნელა წარმოებს (ჩვენს მაგალითში მე-7 სათამაშომდე), ხოლო შემდეგ (განსაკუთრებით მეცხრედან) ტემპი მკვეთრად იზრდება, რაც იგივე ზღვრული სარგებლიანობის კანონით შეიძლება აიხსნას. დროის განსაზღვრულ შუალედში ზღვრული მწარმოებლურობის ზრდა ნიშნავს ცვლადი დანახარჯების სულ უფრო ნაკლებ მატებას პროდუქციის ყოველი დამატებითი ერთეულის წარმოებაზე. შესაბამისად, ცვლადი დანახარჯების

ჯამიც კლებადი ტემპის მიხედვით იზრდება. მაგრამ გარკვეული მომენტიდან მოყოლებული, როცა ზღვრული მწარმოებლურობა (კლებადი სარგებლიანობის კანონის თანახმად) იწყებს დაცემას, მაშინ ყოველი დამატებითი ერთეული პროდუქციის წარმოებაზე საჭირო ხდება სულ უფრო მეტი ცვლადი ხარჯების გაღება, რის გამოც მათი (ამ დანახარ-ჯების) ჯამური სიდიდეც ზრდადი ტემპით განიცდის მატებას.საერთო დანახარჯები ცვლადი და მუდმივი დანახარჯების ჯამის ტოლია, ამიტომ იგი იმავე კანონით განიცდის ცვლილებას, რაც ცვლადი დანახარჯებისათვისაა დამახასიათებელი.

პროდუქციის გამოშვების ყოველი მოცემული მოცულობისათვის საერთო დანახარ-ჯების მნიშვნელობა მეტია ცვლად დანახარჯებზე ერთი და იმავე მუდმივი დანახარჯების სიდიდით. ეს მდგომარეობა წარმოდგენილია გრაფიკზე. მეწარმისათვის პრინციპული მნიშ-ვნელობა გააჩნია მუდმივ და ცვლად დანახარჯებს შორის განსხვავებას, რადგან რესურსების ოპტიმალური კომბინაციის არჩევისას მის კონტროლს ექვემდებარება ცვლადი და არა მუდმივი ხარჯები.

საშუალო და ზღვრული დანახარჯები

საშუალო დანახარჯები ერთეულ პროდუქციაზე მოსული დანახარჯებია. საშუალო შეიძლება იყოს როგორც საერთო, ასევე მუდმივი და ცვლადი დანახარჯებიც. ცხრილში ისინი წარმოგენილია მე-5, მე-6 და მე-7 სვეტებში.

პროდუქციის გამოშვების გაზრდისას საშუალო დანახარჯების ცვლილება განსხვავდება ჯამური საერთო დანახარჯების ცვლილებისაგან. საშუალო მუდმივი დანახარჯები, მიიღება მუდმივი საერთო დანახარჯების გაყოფით გამოშვებული პროდუქციის რაოდენობაზე. ამასთან, რადგან მუდმივი ჯამური დანახარჯები განმარტების თანახმად მუდმივია და არაა დამოკიდებული პროდუქციის მოცულობაზე, ამიტომ მისი სიდიდე ერთეულ პროდუქციაზე გაანგარიშებით შემცირებას განიცდის წარმოების გადიდების კვალობაზე.

საშუალო ცვლადი დანახარჯები, თავიდან კლებადია, მაგრამ შემდეგ მატებას იწყებს კლებადი სარგებლიანობის კანონიდან გამომდინარე.



ეკონომიკური აზრის ისტორიიდან: კარლ მარქსის (1818-1883) ზედმეტი ღირებულების თეორია

კარლ მარქსი დაიბადა გერმანიის ქალაქ ტრირში შეძლებული ადვოკატის ოჯახში. ბონისა და ბერლინის უნივერსიტეტებში შეისწავლა იურისპრუდენცია, ისტორია და ფილოსოფია. 1843-1843 წწ. მუშაობდა ‚რაინის გაზეთში“, 1843 წ. პარიზში გამოსცემდა ‚გერმანულ-ფრანგულ წელიწდეულს“ (გამოვიდა მხოლოდ ერთი ნომერი). ავსტრიაში 1948 წ. რევოლუციის შემდეგ, რომელსაც იგი აქტიურად უჭერდა მხარს, მარქსი იძულებული გახდა დაეტოვებინა კონტინენტალური ევროპა და 1849 წ. გადავიდა ლონდონში, სადაც მთლიანად მისცა თავი თეორიულ გამოკვლევებს პოლიტიკური ეკონომიის სფეროში.

„კაპიტალის“ - მაქსის მთავარი ეკონომიკური ნაწარმოების - პირველი ტომი გამოქვეყნდა 1867 წ. და პირველი ინტერნაციონალის ლიდერების გამოთქმით, „მუშათა კლასის ბიბლია‘ გახდა. მეორე და მესამე ტომები დასაბეჭდად მომზადდა მარქსის მეგობრისა და თანამოაზრის ფრიდრიხ ენგელსის მიერ და დღის სინათლეზე გამოვიდნენ უკვე მარქსის სიკვდილის შემდეგ 1885 და 1894 წწ.

მარქსის ნაწარმოებებმა უცებ არ მოიპოვეს აღიარება, მაგრამ მისი მოწინააღმდეგეებიც კი ყოველთვის აღიარებდნენ ‚კაპიტალის‘ რკინის ლოგიკას“: მიიღებრა მის ამოსავალ დებულებებს, აუცილებელია აღიარო დასკვნებიც. მარქსის ეკონომიკური მოძღვრების ქვაკუთხედია ზედმეტი ღირებულების თეორია.

ღირებულების „სუბსტანციას“, წერდა მარქსი, ქმნის საქონელში განვითარებული აბსტრაქტული ადამიანის სრომა. საბაზრო ფასები მხოლოდ მერყეობენ ღირებულების გარშემო მოთხოვნისა და მიწოდების ზემოქმედებით. მაგრამ ღირებულება - არის არა ნივთიერი კატეგორია, არამედ ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობა წარმოების პროცესსი. ამიტომ კაპიტალიზმის პირობებში საქონლის ღირებულება, სამი შემადგენლისაგან ყალიბდება: C+V+M, სადაც C -არის წარმოების პროცესში გაცვეთილი წარმოების საშუალებების ღირებულება, V - დაქირავებულ მუშათა სამუშაო ძალის ღირებულება და M -ზედმეტი ღირებულება.

მუშა კაპიტალის მიჰყიდის თავის სამუშაო ძალას, ე.ი. შრომის უნარს. მისი სამუშაო ძალის ღირებულება (V) ტოლია იმ სახსრების ღირებულებისა, რომელიც აუცილებელია მუშისა და მისი ოჯახის შენახვისა და სიცოცხლის კვლავწარმოებისათვის. მაგრამ წარმოების პროცესში დაქირავებული მუშა ქმნის მეტ ღირებულებას, ვიდრე მისი სამუშაო ძალის ღირებულება (V+M). სხვაობა დაქირავებული მუშის მიერ ახლად შექმნილ ღირებულებასა და მისი სასუალო ძალის ღირებულებას შორის ქმნის ზედმეტ ღირებულებას (M). მას მუქთად ითვისებს კაპიტალისტი როგორც წარმოების საშუალებების მესაკუთრე. ამიტომ კაპიტალისტური წარმოების პროცესი წარმოადგენს დაქირავებული მუშის ექსპლუატაციის პროცესს.

ალბათ, არცერთ ეკონომიკურ თეორიას და არცერთ ეკონომიკურ ნაწარმოებს არ გამოუწვევია ისეთი ბობოქარი და შეურიგებელი დავა, როგორც მარქსის „კაპიტალს“ და მის ზედმეტი ღირებულების თეორიას.

კითხვები გამეორებისთვის

1. განმარტეთ, როგორ გამოითვლება ბუღალტრული მოგება და ეკონომიკური მოგება.
2. დაახასიათეთ, რას ნიშნავს კლებადი სარგებლიანობის კანონი.
3. განმარტეთ, როგორ დანახარჯებს ეწოდება მუდმივი, ცვლადი და საერთო დანახარჯები.
4. განმარტეთ, რას ეწოდება საშუალო და ზღვრული დანახარჯები.
5. განმარტეთ, როგორ ეხმარება მეწარმეს ზღვრული დანახარჯების ანალიზი მოგების მაქსიმიზაციის სტრატეგიის ჩამოყალიბებაში.
6. რაში გამოიხატება წარმოების მასშტაბის ზრდის დადებითი და უარყოფითი ეფექტი.
7. კ. მარქსის ზედმეტი ღირებულების თეორია.

მეშვიდე თავი
მეწარმეობა

განსახილველი საკითხები:

- ***ი.შუმპეტერის თეორია მეწარმეობის როგორც რესურსის და მისი შინაარსის შესახებ;***
- ***მეწარმეობის ძირითადი სამართლებრივი ფორმების თანაფარდობა;***
- ***ინდივიდუალური კერძო (ერთპიროვნული) საწარმო;***
- ***ამხანაგობა (პარტნიორობა);***
- ***სააქციო საზოგადოება;***
- ***მეწარმეობის სხვა სამართლებრივი ფორმები;***
- ***სამეწარმეო საქმიანობის მოწყობის საფუძვლები საქართველოში;***
- ***სამამულო მეწარმეობის სათავეებთან;***

"ღონე ქვეყნისა მარტო ნიჭიერი და მხნე კაცია. ქვეყანა იმით კი არ არის უძლური, რომ ღარიბია, არამედ იმით, რომ მცოდნე, გონებაგახსნილი, გულანთებული კაცები არა ჰყავს".

<u>ილია ჭავჭავაძე</u>

ი. შუმპეტერის თეორია მეწარმეობის და მეწარმის არსის შესახებ

იოზეფ ალოიზ შუმპეტერი (1883-1950)

იოზეფ ალოიზ შუმპეტერი (შუმპეტერ) დაიბადა 1883 წლის 8 თებერვალს ქ. ტრიშში – მორავიაში (ავსტრო-უნგრეთის იმპერიის ნაწილი), იგი იყო მეწარმე ალოიზ შუმპეტერის და მისი მეუღლის იოანას ერთადერთი შვილი).

იოზეფმა 1901 წელს სწავლა ვენის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე დაიწყო. მან სწავლის სიმძიმის ცენტრი თავიდანვე ეროვნული პოლიტეკონომიის შესწავლაზე გადაიტანა და ადრევე გაეცნი ავსტრიული სკოლის ცნობილი წარმომადგენლების, კერძოდ, ფრიდრიხ ფონ ვიზერის და ოიგენ ფონ ბემ-ბავერკის (რომელიც, 1904 წელს ფინანსთა მინისტრობიდან გადადგომის შემდეგ, ვენის უნივერსიტეტში მოღვაწობდა) ეკონომიკურ შეხედულებებს. 1906 წელს იგი სამართლის დოქტორი გახდა და შემდეგ ოქსფორდსა და კემბრიჯს ეწვია.

ი. შუმპეტერი 1907-1908 წწ. კაიროს საერთაშორისო ტრიბუნალში ადვოკატად მოღვაწობდა, შემდგომში მან ვენის უნივერსიტეტის სამართლის და

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფაკულტეტზე დაიწყო მუშაობა: ჯერ პრივატ-დოცენტად, შემდეგ კი პოლიტეკონომიის პროფესორად (1909).

1919-20 წწ. იყო ავსტრიის ფინანსთა მინისტრი, 1921-25წწ. – ავსტრიაში კომერციული ბანკის პრეზიდენტი. 1932-1950 წლებში შუმპეტერი ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორია. 1935 წელს მეხიკოსა და მონრეალის უნივერსიტეტებში ლექციების წაკითხვის მიზნით, მან ამერიკის შეერთებული შტატები ორჯერ დატოვა.

1954 წელს შუმპეტერის მეორე მეუღლემ ელისაბედ ბოდმა, რომელზედაც 1937 წელს დაქორწინდა შუმპეტერის ყოფილი ასისტენტის დახმარებით გამოსცა მისი დაუმთავრებელი შრომა – "ეკონომიკური ანალიზის ისტორია".

იოზეფ შუმპეტერი 1937-1941 წწ. იყო "ეკონომეტრიკოსთა საზოგადოების" პრეზიდენტი, ხოლო 1948 წელს "ამერიკის ეკონომისტთა ასოციაციის" პრეზიდენტი. გარდაიცვალა 1950 წლის იანვარში ტაქონიკში (აშშ), საკუთარ აგარაკზე.

შუმპეტერი მიიჩნევდა, რომ სარგებელი განვითარების პროდუქტია, რომელიც მეწარმის მოგებიდან გამომდინარეობს. იგი კონკრეტულ ქონებას არ უკავშირდება. ეს დებულება მისი სარგებლის თეორიის ბაზისს წარმოადგენს.

შუმპეტერის მიერ მეწარმეობის და მეწარმის არსის გახსნის შემდეგ მეწარმეობრივი უნარი აღიარებული იქნა წარმოების მეოთხე ფაქტორად, მოგება კი მეწარმის და არა კაპიტალის შემოსავლად, როგორც ეს ჟ.ბ. სეის სამფაქტორიან მოდელში ითვლებოდა. შუმპეტერი განიხილავს 5 ახალ კომბინაციას, რომელსაც უნდა ახორციელებდეს საწარმო. ეს კომბინაციებია:

1. მომხმარებლებისათვის ჯერ კიდევ უცნობი სიმდიდრის დამზადება ან რომელიმე ახალი ხარისხის მქონე სიმდიდრის შექმნა;
2. წარმოების ახალი, ჯერ კიდევ უცნობი მეთოდის დანერგვა;
3. გასაღების ახალი ბაზრების ათვისება, მიუხედავად იმისა, არსებობდა თუ არა ასეთი ბაზრები;
4. ნედლეულის ან ნახევარფაბრიკატების ახალი წყაროების ათვისება, დამოუკიდებლად იმისა, არსებობდა ის მანამდე, თუ არა;
5. შესაბამისი რეორგანიზაციის განხორციელება.

შუმპეტერი მეწარმეებს უწოდებს იმ სამეურნეო სუბიექტებს, რომელთა ფუნქციაა ახალი კომბინაციების განხორციელება. იგი აღნიშნავს, რომ ყველა დამოუკიდებელი სამეურნეო სუბიექტი არ არის მეწარმე, რომელიც საქმიანობს თავისი რისკითა და პასუხისმგებლობით, რომ საკუთრების უფლება საწარმოსა ან ნებისმიერ სხვა ქონებაზე არ წაროადგენს არსებით ნიშანს მე-

წარმეობისთვის, რომ არა მხოლოდ გლეხები და ხელოსნები, რომელთაც ზოგჯერ მიაკუთვნებენ მეწარმეებს, არამედ მრეწველები, ფაბრიკანტები, კომერსანტები, რომლებიც მუდმივად ხვდებიან ამ ჯგუფში, ყოველთვის სრულებითაც არ არიან მეწარმეები. ამასთან, მეწარმე აუცილებლად უნდა იღებდეს მოგებას.

ი. შუმპეტერის "ახალი კომბინაციების" დამატებები

როგორც უკვე აღინიშნა, მეწარმეობა გაგებული უნდა იქნეს, როგორც სამეურნეო საქმიანობის განსაკუთრებული სახე, რომლის დროსაც ადგილი აქვს ინოვაციების ("ახალი კომბინაციების") განხორციელებას და რომელიც იძლევა მოგებას. მეწარმე კი არის ეკონომიკური სუბიექტი, რომელიც ეწევა მეწარმეობას, ანუ ფლობს მეწარმეობრივ უნარს. ამასთან, ვინაიდან ი. შუმპეტერის შემდეგ ეკონომიკურმა თეორიამ და პრაქტიკამ დიდი ცვლილებები განიცადა, მის "ახალ კომბინაციებს" უნდა დაემატოს შემდეგი კომბინაციები:

1. ინსტიტუციების სრულყოფა (მიკროდონეზე);
2. ადამიანისეული კაპიტალის სრულყოფა;
3. მაღალი ტექნოლოგიების შექმნა (ან ათვისება);
4. ინფორმაციის სრულყოფა.

მთავარი დასკვნა იმის შესახებ, თუ რატომ უნდა მივაკუთვნოთ მეწარმეობა რესურსებს

იმისათვის, რომ წარმოიდგინო როგორი ადამიანია მეწარმე, უნდა გაიხსენო წარმოებისათვის საჭირო სამი სახის რესურსი: ბუნებრივი, შრომითი და საწარმოო რესურსები. ვთქვათ, გვაქვს ყველა ჩამოთვლილი რესურსი. ეს, რა თქმა უნდა, საქმის ნახევარია, მაგრამ ეს ხომ საკმარისი არ არის?! საქმის, წარმოების დასაწყებად ამ სამი რესურსის ძალიან გონივრული შეერთება არის საჭირო და სწორედ ეს უნდა ითავოს მეწარმემ. მან სწორი პასუხი უნდა გასცეს ეკონომიკის ოთხ მთავარ კითხვას: ძალიან მცოდნე უნდა იყოს, ბევრი რამ თავად უნდა გადაწყვიტოს, ე.ი. დამოუკიდებელი უნდა იყოს, სხვებს უნდა უხელმძღვანელოს, ე.ი. თაოსანი უნდა იყოს და ა.შ. და ა. შ, სწორედ ამიტომ იყო, რომ ეკონომისტებმა რესურსებს მეოთხე რესურსიც მიუმატეს. ეს

რესურსი მეწარმეობის უნარია. ვფიქრობ, ახლა შენ თვითონ ჩამოწერ იმ ზედსართავ სახელებს, რომელიც ნამდვილად მეწარმეს მოუხდება.



მეწარმეობის ძირითადი სამართლებრივი ფორმების თანაფარდობა

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში საწარმოს სამართლებრივი ფორმა შეიძლება მისი (საწარმოს) სახელწოდებით განვსაზღვროთ. მაგ., არსებული წესების თანახმად, ფირმის სახელწოდებაში, რომელიც ერთ ადამიანს ეკუთვნის, მიღებულია მესაკუთრის სახელის ჩვენება. ასე, მაგ., "ჯონ-სმიტი", - ბატონი სმიტის ერთპიროვნულ მფლობელობას ნიშნავს. ამხანაგობის სახელწოდებაში, როგორც წესი, ჩაირთვება თანამესაკუთრეთა სახელები, ან ერტ-ერთის სახელი მაინც.

თუ ამხანაგობის მეპაიედ ნათესავები ითვლება, ესეც მის დასახელებაში აისახება. ასე, მაგ., აბრა - "ძმები ბრუსკები"- იმას ნიშნავს, რომ საწარმო მიეკუთვნება ბრუსკების ოჯახის წევრებს (არაა აუცილებელი - მხოლოდ ძმებს).

სააქციო საზოგადოების დასახელებაში, ასევე ჩაირთვება საწარმოს სამართლებრივი ფორმის მაჩვენებელი. აშშ-ში, მაგ., გამოიყენება შემოკლება – Inc., დიდ ბრიტანეთში –Ltd., გერმანიაში - , საფრანგეთში – SA და ა.შ.

ჩვენს ქვეყანაში, ამასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ არ არსებობს მყარი წესები. სააქციო საზოგადოებას, ჩვეულებრივ, გამოსახავენ შემოკლებით - შეიძლება შევხვდეთ სხვა შემოკლებულ აღნიშვნებსაც. მაგ., AOOT (ღია ტიპის სააქციო საზოგადოება). ზოგიერთი მეწარმე ამჯობინებს თავის საწარმოს დაარქვას უცხოურ სტილზე, ვთქვათ - "მერკური ltd".

საბაზრო მეწარმეობა დაფუძნებულია "სამ ვეშაპზე" (ფორმაზე). ეს არის ერთპიროვნული მფლობელობა, ამხანაგობა და სააქციო საზოგადოება. აღნიშნული სქემა საყოველთაო და უნივერსალურია, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს გარკვეული თავისებურებანიც. სამრეწველო განვითარებულ ქვეყნებში ამ ფორმატ რაოდენობრივი თანაფარდობა მეტნაკლებად თანაზომადი და მსგავსია. მაგ., დღეისათვის აშშ-ში რეგისტრირებული საწარმოების 70% ერთპიროვნულ მფლობელობას შეადგენს, რომელშიც მესაკუთრე განაგებს სამეურნეო საქმიანობას. მასზე მოდის მთლიანი საქონელბრუნვის 7% და მოგების 25%. ბევრი მათგანი, ჩვენი ტერმინოლოგიის მიხედვით „მცირე საწარმოს" წარმოადგენს, როგორიცაა: მაღაზიები, საპარიკმახეროები, კაფე, ფეხსაცმლის ატელიე, მცირე სამშენებლო ფირმები და ა.შ.

ამხანაგობა, როგორც წესი, ბიზნესის ნაკლებად გავრცელებული ფორმაა. აშშ-ში მასზე მოდის საწარმოთა საერთო რაოდენობის 10% და საერთო ბრუნვის დაახლოებით 4%. ამხანაგობის უმრავლესობა თავმოყრილია საფინანსო სფეროში, სადაზღვევო საქმეში, უძრავი ქონებით ვაჭრობაში და ა.შ.

დაბოლოს, საწარმოთა 20% აშშ-ში კორპორაციად წოდებული სააქციო საზოგადოებებია. მათ მესაკუთრედ ითვლებიან ისინი, რომელთაც მოცემული საწარმოს აქციები (საკუთრების წილი) გააჩნიათ. კორპორაციებზე მოდის საერთო საქონელბრუნვის დაახლოებით 90% და მოგების 3/4. აშშ-ში მსხვილი სამრეწველო და სავაჭრო საწარმოების უმრავლესობა კორპორაციას წარმოადგენს; მათ შორისაა მსოფლიოში ცნობილი ისეთი კომპანიები, როგორიცაა "ჯენერალ მოტორსი", ATT და სხვა (ნახ. 7.1).

ნახ.7.1. სხვადასხვა ტიპის საწარმოთა წილი აშშ-ის ეკონომიკაში

ა) საწარმოთა რიცხვის მიხედვით



ბ) საერ

ინდივიდუალური კერძო (ერთპიროვნული) საწარმო

ეს არის კერძო მეწარმეობის ყველაზე მარტივი და ყველაზე ძველი ტიპი. საწარმოს ყველა საშუალებებს (ფონდებს) ფლობს ერთი მესაკუთრე, რომელიც დამოუკიდებლად წყვეტს საკითხს, თუ რა, როგორ და ვისთვის აწარმოოს; იგი ერთპიროვნულად განაგებს მიღებულ შემოსავლებს, აკისრია შეუზღუდავი მატერიალური პასუხისმგებლობა სხვა საწარმოთა (ორგანიზაციების) მიმართ და პასუხ აგებს ვალდებულებებზე მთელი თავისი ქონებით. ეს იმას ნიშნავს, რომ გაკოტრების შემთხვევაში მეწარმე დაკარგავს არა მარტო საქმეში ჩადებულ ქონებას, არამედ (თუ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა) პირად ქონებასაც კი - სახლს, მანქანას (თუ ასეთი გააჩნია) და სხვას. ამის პერსპექტივა კი სავსებით რეალურია. სტატისტიკის თანახმად, ერთპიროვნული საწარმოები ყოველწლიურად უფრო მეტი კოტრდება, ვიდრე ახალი იქმნება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ერთპიროვნული მეურნეობა

ჯერ კიდევ რჩება ბიზნესის მეტად გავრცელებულ ფორმად განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, და ეს შემთხვევითი არაა. მას, უდავოდ, მტელი რიგი ღირსებები გააჩნია.

ერთპიროვნული საწარმოს ღირსებები

დღევანდელი ბიზნესმენებისათვის, ისე როგორც მათი წინამორბედებისათვის, მეწარმეობის ერთპიროვნული ფორმის მიმზიდველობა უნდა აიხსნას, უპირველეს ყოვლისა, ერთი მეტად ტევადი სიტყვით - „მეპატრონე" აფუძნებს რა თავის საწარმოს, მისი მფლობელი განაგებს მთელს წარმოებას და, შესაბამისად, მიღებულ უკუგებას. სხვა ფორმების შემთხვევაში კი მოგება უნდა გაიყოს თანამესაკუთრეთა შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აქ მატერიალური დაინტერესების პრინციპი მოქმედებს მეტად მკაფიოდ და ქმნის სტიმულს ეფექტური შრომისათვის.

მეორე მხრივ, ბიზნესის ერთპიროვნული ფორმა ყველაზე მარტივია მისი დაფუძნების პროცედურის, მეურნეობის წარმართვისა და საწარმოს ლიკვიდაციის თვალსაზრისითაც. ამისათვის საჭირო არაა ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან რაიმე სპეციალური ნებართვა და საკითხი წყდება ადგილობრივ დონეზე. რამდენადაც მთელი საწარმოს საქმიანობაზე კონტროლი თავმოყრილია ერთი ადამიანის ხელში, ამიტომ მას შეუძლია დამოუკიდებლად, შეთანხმების, კამათისა თუ ბიუროკრატიული გაჭიამურების გარეშე მიიღოს ყველა საჭირო გადაწყვეტილება ახალ წამოწყებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ვიდრე მესაკუთრე რეგულარულად და გამართულად იხდის ანგარიშგების მიხედვით, იგი უფლებას ინარჩუნებს ნებისმიერ მომენტში შეწყვიტოს თავისი სამეწარმეო საქმიანობა. მესამეც, სააქციო საზოგადოებისაგან განსხვავებით ერთპიროვნული მესაკუთრე თავის შემოსავლებიდან იხდის მხოლოდ ერთ გადასახადს და, ამდენად, სახელმწიფო ხაზინაში შეაქვს მოგების მცირე ნაწილი.

ამასთან ერთად, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, ღირსებას თავისი უკანა (მეორე) მხარეც გააჩნია.

ერთპიროვნული საწარმოს ნაკლოვანებები

ერთპიროვნული მფლობელობის მთავარი ნაკლია მაღალი რისკი. შეუზღუდავი პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე, ინდივიდუალური კერძო საწარმოს მეპატრონემ შესაძლებელია დაკარგოს არა მარტო საქმეში ჩადებული ქონება, არამედ მთელი თავისი პირადი ქონებაც.

მიუხედავად ქრესტომატიული მაგალითებისა შეუპოვარი შრომითა (ოფლით) და გამჭრიახობით მოპოვებული მილიონების შესახებ, ბევრი ვერ ახერხებს საქმის სერიოზულ გაფართოებას. წარმოების გაზრდა შეზღუდულია მეპატრონის პირადი სახსრებით და იმ სესხებით, რომელიც მას შეუძლია ბანკიდან გამოიტანოს. ეს უკანასკნელი კი, როგორც წესი, დიდი არაა.

დაბოლოს, ერთპიროვნული მეურნეობა ნაკლებ ხანგრძლივმოქმედია ვიდრე ბიზნესის სხვა ფორმები. იურიდიულად იგი თავის არსებობას წყვეტს მფლობელის გარდაცვალებასთან ერთად. საქმეს, ზოგჯერ, თვით მემკვიდრის ჩანაცვლებაც ვერ შველის, რადგან ამას შეუძლია დააფრთხოს ძველი კლიენტები და შექმნას სერიოზული გართულებები. მთლიანობაში, ბევრი რამე დამოკიდებულია მეწარმის პიროვნებაზე. სწორედ ამიტომ, საბაზრო კონკურენციის პირობებში ცხოვრება გამოსდის არა ყველა უნარიან ადამიანს.

ამხანაგობა (პარტნიორობა)

ამხანაგობა, ეს, უკვე, არა ინდივიდუალური, არამედ ბიზნესის ორგანიზაციის კოლექტიური ფორმაა. მისი შექმნისათვის ორი ან მეტი პირი დებს ხელშეკრულებას საწარმოს ერთობლივ მფლობელობაზე. ისინი აერთიანებენ თავიანთ კერძო კაპიტალს (საკუთარს ან ნასესხებს), ვალდებულებას იღებენ საწარმოს ვალების გასტუმრებაზე (გადახდაზე) და თანხმდებიან მოგების განაწილებაზე.

პარტნიორებს სრულ ამხანაგობაში, ისე როგორც ერთპიროვნულ მეურნეობაში, აკისრიათ შეუზღუდავი მატერიალური პასუხისმგებლობა. გაკოტრების შემთხვევაში ვალების დასაფარავად შეიძლება გაიყიდოს მათი პირადი ქონებაც. ამასთან, პარტნიორების პასუხისმგებლობა ვალებზე, როგორც წესი, არის "სოლიდარული". ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ქონებრივი სარჩელი, რომელიც წაყენებულია ამხანაგობის ერთ-ერთი წევრის მიმართ არ კმაყოფილდება (არ იფარება - თ.გ.) მისი წილი ქონებიდან, მაშინ იგი გადანაწილდება დანარჩენ პარტნიორებზეც. ეს იმასთანაა დაკავშირებული, რომ ბევრ ქვეყანაში, მათ შორის რუსეთშიც, სრული (ანუ ჩვეულებრივი) ამხანაგობა არ წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს. იურიდიულ პასუხისმგებლობას ატარებს თითოეული პარტნიორი ცალ-ცალკე, მაგრამ არა საწარმო - მთლიანად.

ამხანაგობა ითვლება ინდივიდუალური კერძო ფორმის საწარმოს ბუნებრივ გაგრძელებად. იგი აღმოცენდა, მნიშვნელოვანწილად, ამ უკანასკნელის ზოგიერთი ნაკლოვანების დასაძლევად, ამიტომ გააჩნია როგორც რიგი საერთო, ასევე ზოგიერთი თავისებურებანი.

ამხანაგობის ღირსებები

ერთპიროვნული მეურნეობის მსგავსად ამხანაგობის ღირსებად ითვლება დაფუძნების მარტივი პროცედურა (ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე); მისი წევრებიც თავიანთი შემოსავლებიდან იხდიან ერთი სახის გადასახადს. გარდა ამისა, რამდენადაც მეწარმეობის ასეთი ფორმა დაფუძნებულია რამდენიმე პირის კაპიტალის გაერთიანებაზე, ამიტომ, ცხადია, მისი ფინანსური შესაძლებლობანი მნიშვნელოვნად აღემატება ინდივიდუალური კერძო მეურნეობის რესურსებს. მას, გარდა ამისა, გააჩნია გარკვეული შეღავათები კრედიტების მიღებაშიც.

ამხანაგობის მეორე, მნიშვნელოვან, ღირსებას, ერთპიროვნულ მფლობელობასთან შედარებით, წარმოადგენს დიდი მოქნილობა, რაც "ურთიერთშემავსებელი ტალანტების" შეერთებით მიიღება. უკვე ქრესტომათიულ მაგალითად იქცა "ძმები უორნერების" ოჯახური ამხანაგობა, რომელიც მე-20 საუკუნეში გადაიქცა ჰოლივუდის ერთ-ერთ მსხვილ კომპანიად. 1907 წელს უორნერები - 4 ძმა და ერთი და ქმნის, ჩვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, კინოსალონს. სემი უორნერი კინომექანიკოსობს, ოლბერტი - აგებს ფარდულს და პასუხისმგებლობას იღებს შენობაზე, ჰარი მუშაობს სალაროში; როზა უკრავს პიანინოზე და უზრუნველყოფს მუსიკალურ აკომპანიმენტს, ხოლო ჯეკი პოპულარული სიმღერებით საზოგადოებას ართობს შესვენებებზე. ამ ხუთეულის შემოსავალი კვირაში 300 დოლარს შეადგენდა და ეს იმაზე მეტი იყო ვიდრე მათი მამის, ხორცის ფარდულის მფლობელის, თვიური შემოსავალი.

ამხანაგობის ნაკლოვანებები

მსგავსად ინდივიდუალური კერძო საწარმოსი, სრული ამხანაგობის უარყოფით მხარეს მიეკუთვნება (უპირველეს ყოვლისა) მაღალი რისკი, რამდენადაც მის წევრებზეც ვრცელდება შეუზღუდავი პასუხისმგებლობის პრინციპი. ამასთან, თუმცა ამხანაგობის ფინანსური შესაძლებლობანი აღემატება ერთპიროვნული მეურნეობის შესაძლებლობებს, მაგრამ იგი არც თუ დიდია და, ამ მხრივ, მნიშვნელოვნად ჩამორჩება სააქციო კომპანიების კაპიტალს.

დაბოლოს, საწარმოს მართვაში "ტალანტების შეერთებას" შეუძლია პარტნიორთა შორის სერიოზული უთანხმოება გამოიწვიოს, რასაც შედეგად მოჰყვება ნაკლები ოპერატიულობა გადაწყვეტილებათა მიღებაში.

სრული ამხანაგობის მთავარი ნაკლი (მაღალი რისკი) ნაწილობრივ დაძლეულია ამხანაგობის მეორე სახეში, რომელსაც შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა ეწოდება. რუსეთში მას უხსოვარი დროიდან იცნობენ, როგორც ამხანაგობას ნდობაზე; დღეს უწოდებენ - შერეულს (სხვა ქვეყნებში - კომანდიტურს). სრული ამხანაგობისაგან იგი გამოირჩევა იმით, რომ მასში შეუზღუდავი პასუხისმგებლობა გააჩნია მხოლოდ პარტნიორების ნაწილს - ნამდვილ წევრებს. ის პარტნიორები კი, რომლებიც აქტიურად არ ერევიან საწარმოს საქმიანობაში და სჯერდებიან მხოლოდ საფინანსო ხელშეწყობას (ე.წ. წევრი - მენაბრეები), ვალებზე პასუხისმგებელი არიან მხოლოდ თავიანთი ფულადი შენატანების საზღვრებში. ეს იმას ნიშნავს, რომ გაკოტრების შემთხვევაში მეწარმე - წევრი კარგავს საქმეში ჩადებულ თავის პაის, მაშინ როცა ამხანაგობის ნამდვილი წევრები შეიძლება თავიანთ პირად ქონებასაც გამოემშვიდობონ.

შერეული ამხანაგობა ეს არის გარდამავალი ფორმა სრულ ამხანაგობასა და მეწარმეობის სხვა, თანამედროვე კოლექტიურ ფორმას (სააქციო საზოგადოებას) შორის.

სააქციო საზოგადოება

სააქციო საზოგადოება, ანუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საწარმოს გაძღოლის უფრო რთული კოლექტიური ფორმაა ამხანაგობასთან შედარებით. იურიდიული თვალსაზრისით სხვებისაგან მისი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მას ენიჭება დამოუკიდებელი პიროს სტატუსი, ანუ პირისა, რომელიც დამოუკიდებელია მისი მფლობელებისაგან. სააქციო საზოგადოება იქმნება ადამიანთა ჯგუფის მიერ და წარმოადგენს მათ საკუთრებას, ფლობს რა თითოეული მატგანი საერთო კაპიტალის ნაწილს აქციების სახით. ასეთი საზოგადიების თანამონაწილენი (თანამესაკუთრენი) იწოდებიან აქციონერებად. საწარმოს მოგების ნაწილს ისინი ღებულობენ აქციებზე დივიდენდების სახით.

როგორც მეანაბრეებისაგან თავისუფალ იურიდიულ პირა, სააქციო საზოგადოებას გააჩნია რიგი უფლებები და მოვალეობანი, მაგ., მას შეუძლია ვალად აიღოს და მიიღოს კრედიტი, სასამართლოში წარადგინოს სარჩელი და გამოვიდეს როგორც მოპასუხე, დადოს ხელშეკრულება და იხადოს გადასახადი. სახელდობრ, თვით სააქციო საზოგადოება, როგორც იურიდიული პირი (და არა მისი მფლობელები) არის პასუხისმგებელი საწარმოს ვალებზე. შემთხვევითი არაა, რომ სააქციო საზოგადოება თამაშობს წამყვან როლს თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში. ამას იგი იმსახურებს რიგი ღირსებების გამო.

აქციონერული ფორმის საწარმოს ღირსებები

განსხვავებით ინდივიდუალური კერძო მეწარმეებისა და სრული ამხანაგობის პარტნიორებისა, აქციონერები პასუხს არ აგებენ საწარმოს ვალებზე მთელი თავიანთი ქონებით. გაკოტრების შემთხვევაში ისინი დაკარგავენ მხოლოდ იმ თანხას რაც მათ აქციების შეძენაზე დაეხარჯათ. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ (აქციონერებს) შეზღუდული პასუხისმგებლობა გააჩნიათ.

თუ ამხანაგობაში პაის გადაცემა იოლი საქმე არაა (ამისათვის, როგორც წესი, საწირო ხდება დანარჩენი პარტნიორების თანხმობა), სამაგიეროდ, სს-ში ქონებრივი მონაწილის უფლების მოპოვება შესაძლებელია აქციების ყიდვა-გაყიდვის გზით, რაც მარტივ პროცედურას წარმოადგენს. ასეთი ოპერაციები ყოველდღიურად წარმოებს მილიონობით თანხაზე სპეციალურად ორგანიზებულ ბაზარზე, რომელსაც საფონდო ბირჟა ეწოდება.

ინდივიდუალურ კერძო საწარმოში მესაკუთრის გარდაცვალება იურიდიულად იწვევს საწარმოს დაშლას. აქციონერის გარდაცვალებისას კი მისი აქციები გადადის მემკვიდრის ხელში, რაც არანაირად არ აისახება თვით კომპანიის მდგომარეობაზე. ამიტომ სააქციო კომპანია უფრო ხანგრძლივმოქმედია. ამასთან, სამეურნეო უფლების თვალსაზრისით, საერთოდ არ გააჩნია ზღვარი მისი არსებობის ხანგრძლივობას.

აქციონერული ფორმა წარმოადგენს დამატებითი კაპიტალის მოზიდვის მეტად ეფექტურ ფორმას. ყიდის რა აქციებს თავისუფლად და აქციონერებს ანიჭებს შეზღუდული პასუხისმგებლობის უფლებას, სააქციო საზოგადოებას ამით შეუძლია მოიზიდოს უამრავი მეწარმე. ასე, მაგ., მსხვილ კომპანიას "ამერიკან ტელეფონ ენდ ტელეგრაფ"-ს სამ მილიონზე მეტი აქციონერი ჰყავს. ცხადია მისი ფინანსური შესაძლებლობანი შეუდარებლად დიდია, ვიდრე ინდივიდუალური კერძო საწარმოს ან თუნდაც ათეული პარტნიორისაგან შემდგარი რომელიმე ამხანაგობისა.

თუმცა სააქციო საზოგადოებაც არაა დაზღვეული ნაკლოვანებებისაგან, რაც, ბევრის აზრით, ღირსებების გადაწონვასაც კი ახდენს. ე სარის, ალბათ, ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ არც ერთ ქვეყანასი საწარმოთა უმრავლესობას სააქციო საზოგადოებები არ შეადგენენ.

სააქციო საწარმოთა ნაკლოვანებები

სააქციო საზოგადოების დაფუძნება რთული და შრომატევადი საქმეა, რამდენადავ იგი დაკავშირებულია მთელი რიგი სპეციალური, ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტების გაფორმებასთან.

თუმცა, რუსეთში დღეს ეს პროცედურა საკმარისად გამარტივებულია, რამეთუ ხელისუფლება ცდილობს ხელი შეუწყოს (სტიმული მისცეს) სახელმწიფო საწარმოთა გარდაქმნას აქციონერული ფორმის საწარმოებად.

სააქციო საზოგადოება შეიძლება იყოს ღია და დახურული ტიპის. ღიუა ტიპის სააქციო საზოგადოებას შეუძლია განაგოს შეუზღუდავი საშუალებანი, მაგრამ ამავდროულად იგი ვალდებულია გასცეს საკმარისად ამომწურავი ინფორმაცია საკუთარ ფინანსურ მდგომარეობაზე. მწვავე კონკურენციის პირობებში კი ბევრი საწარმო ფაქტების გახმაურებას თავს არიდებს. ამიტომ რიგი

კომპანიებისა უპირატესობას ანიჭებენ დახურული ტიპის სააქციო საზოგადოებად დაფუძნებას, რომლის საწარმოო ფონდები არ უნდა აღემატებოდეს კანონით განსაზღვრულ სიდიდეს, მაგრამ ეძლევა უფლება არ გაამჟღავნოს თავისი ფინანსური მდგომარეობა.

ბიზნესის სხვა ფორმებისაგასნ განსხვავებით სააქციო საზოგადოება წარმოადგენს ორმაგი დაბეგვრის ობიექტს. ჯერ ერთი, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირი, სააქციო საზოგადოება იხდის კომპანიის მოგების გადასახადს. მეორეც, საწარმოს მოგების ნაწილი, რომელიც დივიდენდის სახით უნდა განაწილდეს აქციონერებს შორის, გადასახადით იბეგრება კიდევ ერთხელ, უკვე, როგორც მოქალაქეთა პირადი შემოსავლები. ეს იმას ნიშნავს, რომ, საერთო ჯამში, სააქციო საზოგადოების მოგების დიდი ნაწილი მიდის სახელმწიფო ხაზინაში. ორმაგი დაბეგვრის გამო მცირე ზომის საწარმოებისათვის მეწარმეობის აქციონერული ფორმა ნაკლებ მიმზიდველი ხდება.

თუ ინდივიდუალურ კერძო საწარმოში ყველა გადაწყვეტილებას თვით მესაკუთრე ღებულობს, ხოლო ამხანაგობაში საკითხი წყდება "ვიწრო წრეში", სააქციო საზოგადოებაში ამისატვის საწირო ხდება უამრავი შეთანხმება, დამტკიცებები და ა.შ. არც თუ იშვიათად, კონფლიქტი აღიძვრება ხოლმე რიგითი მესაკუთრე-აქციონერებისა და მმართველების ინტერესთა შეუსაბამობის გამო.

იმისათვის რათა ამ რთულ საკითხში გავერკვეთ, შევჩერდეთ იმაზე, თუ როგორ მუშაობს ღია ტიპის სააქციო საზოგადოება.

როგორაა ორგანიზებული ღია ტიპის სააქციო საზოგადოება?

დღეს მსხვილი სააქციო საზოგადოება განაგებს ასეული მილიარდი მანეთის აქტივებს (ნარდ საშუალებებს). მისი აქციების მფლობელი შეიძლება იყოს ასეულ ათასობით და მილიონობით მეანაბრე. ბუნებრივია, რომ ყველა აქციონერი ვერც მიიღებს მონაწილეობას სააქციო საზოგადოების მართვაში. უფრო მეტიც, მათი ერთად შეკრებაც შეუძლებელია, არა თუ იმის წარმოდგენა, რომ ყველა ისინი მივლენ რაიმე ერთსულოვან გადაწყვეტილებამდე; განსაკუთრებით, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ აქციების ბმფლობელთაგან ცოტა ვინმე თუ ერკვევა კარგად წარმოების საკითხებში - ეს იქნება ნავთობმოპოვება, თუ ხის დამუშავება. სინამდვილეში მათ არაფერი მსგავსი არ მოეთხოვებათ. ყოველ მსხვილ სააქციო საზოგადოებას აქვს თავისი, ბევრ რამეში სხვა კომპანიების მსგავსი, ორგანიზაციული და მმართველობითი სტრუქტურა.

მის საფუძველს ქმნის ორი მმართველობითი ორგანო - “სამეთვალყურეო საბჭო” და “გამგეობა” (იხ. ნახ.)

საბჭო – აქციონერთა პირდაპირი წარმომადგენელია. მას ირჩევენ აქციონერები ყოველწლიურად საერთო კრებაზე. თუმცა, ასეთ არჩევნებს ცოტა საერთო თუ გააჩნია პოლიტიკურ არჩევნებთან, სადაც ქვეყნის ყოველ მოქალაქეს ერთი ხმის უფლება ეძლევა. აქციონერს მის ყოველ აქციაზე ერთი ხმის უფლება ენიჭება. ასე, რომ, თუ იგი 100 აქციას ფლობს, ასი ხმის უფლებას ღებულობს, 25 ათასი აქციის მფლობელი – 25 ათას ხმას და ა.შ. სამეთვალყურეო საბჭოს განაგებს თავმჯდომარე. (ნახ. 7.2.-ს პირველი სტრუქტურული ერთეული უნდა იყოს “აქციონერთა კრება“)

ნახ. 7.2. ღია ტიპის სააქციო საზოგადოების ორგანიზაციული სტრუქტურა



ამგვარი "დემოკრატიული" გზით არჩეული საბჭო აქციონერების სახელით წყვეტს სააქციო საზოგადოების მეტად მნიშვნელოვან ფინანსურ პრობლემებს ყოველწლიურ საერთო კრებებს შორის შუალედში. იგი განსაზღვრავს თუ მიღებული მოგების რა ნაწილი უნდა განაწილდეს დივიდენდების სახით აქციონერებს შორის და რა ნაწილი უნდა მოხმარდეს წარმოების გაფართოებას; წყვეტს საკითხს საწარმოსათვის დამატებითი ფულადი სახსრების საჭიროებაზე და მისი მოზიდვის გზების გამოძებნაზე. ეს შეიძლება იყოს აქციების ახალი გამოშვება, ბანკიდან კრედიტების გამოტანა და ა.შ. თუმცა სამეთვალყურეო საბჭო არ იჭრება კომპანიის ყოველდღიურ საწარმოო პრობლემებში. ამას აკეთებს საზოგადოების გამგეობა.

გამგეობის წევრები, პრეზიდენტის გარდა, ინიშნებიან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. ამიტომ ისინი სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე პასუხს აგებენ უშუალოდ საბჭოსა და არა აქციონერების წინაშე. გამგეობას მართავს პრეზიდენტი, რომლის დამტკიცება ხდება აქციონერთა საერთო კრებაზე. მას (პრეზიდენტს) ემორჩილებიან მისი მოადგილეები (ვიცე-პრეზიდენტები), რომლებიც პასუხისმგებელნი არიან საზოგადოების საქმიანობის ცალკეულ მხარეზე: წარმოება, გასაღება, მიწოდება, რეკლამა და ა.შ.

თითოეული მათგანი აყალიბებს თანამშრომელთა საკუთარ შტატს, რომლის საშუალებითაც ახორციელებს წარმოების მართვას. ამრიგად, რეალურად, გამგეობა აკონტროლებს სააქციო საზოგადოების საქმიანობას დაქირავებული მოსამსახურეებით. ამიტომ ამ უკანასკნელთა მიერ განხორციელებული კონტროლი და მართვა გამოყოფილი ხდება საკუთრებისაგან. ეს კი რიგი არაერთმნიშვნელოვანი გართულების მიზეზი შეიძლება გახდეს.

საკუთრებისა და კონტროლის ფუნქციების განაწილება

რიგითი აქციონერი, ვთქვათ, მსხვილი საწარმოს 100 აქციის მფლობელი, არსებითად მოკლებულია საშუალებას რაიმე ზეგავლენა მოახდინოს ამ საწარმოს პოლიტიკაზე. აზრი, რომელიც მხოლოდ 100 ხმითაა წარმოდგენილი ასეულ ათასობით ხმაში, საეჭვოა, რომ მმართველებმა მხედველობაში მიიღონ.

აქციების 50%-ს დამატებული კიდევ ერთი აქცია არის აქციების ის რაოდენობა, რომლის მფლობელს სააქციო საზოგადოების სრული კონტროლის საშუალება გააჩნია, რამდენადაც მას შეუძლია აირჩიოს მთელი სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც, თავის მხრივ, გამგეობის წევრებს ნიშნავს.

როგორც უცხოეთის პრაქტიკული გამოცდილება აჩვენებს, ფაქტობრივად, სრული კონტროლისათვის საკმარისია ფლობდე გამოშვებული აქციების მხოლოდ 10-15%-ს. მას ეწოდება აქციების საკონტროლო პაკეტი.

საქმე იმაშია, რომ წვრილ აქციათა მფლობელების უმრავლესობა არც კი მიილტვის იმისაკენ, რათა მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების საქმიანობაში. ისინი არც ყოველწლიურ საერთო კრებებს ესწრებიან და მხოლოდ ხელს აწერენ სპეციალურ დოკუმენტს (ინგლისური ჟარგონით "პროკსი"), რომელიც მათი ხმის გამოყენების უფლებას ანიჭებს ნდობით აღჭურვილ პირს. როგორც ცნობილია, რიგითი აქციონერები პასიურობენ და არ ისწრაფიან გარდაქმნისაკენ (ამჯობინებენ "შეჩვეულ ჭირს"). ჩვეულებრივ, ისინი თავიანთ ხმებს გადასცემენ მოქმედ ხელმძღვანელობას. ამიტომ, როცა აქციების საკონტროლო პაკეტის 10-15%-ს ემატება წვრილ მფლობელთა "პროკსი", ამით მსხვილი აქციონერები უმრავლესობის უპირატესობით სარგებლობის უფლებას იძენენ არჩევნებში.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ სააქციო საზოგადოების მმართველებს თავიანთი განსაკუთრებული ინტერესები გააჩნიატ, რომელიც ხანდახან რიგითი აქციონერების ინტერესებისაგან განსხვავებულია. ასე, მაგ., რადგან მსხვილი კომპანიის ხელმძღვანელობა უფრო პრესტიჟულია, ვიდრე მცირე საწარმოსი, ამიტომ მმარტველები ხშირად უპირატესობას ანიჭებენ კომპანიის გაფარტოებას და არა მისი მოგების გაზრდას. ამის შედეგად წამოიჭრება კონფლიქტი და დავის საგანი ხდება ის, თუ მოგების რა ნაწილი უნდა განაწილდეს აქციებზე დივიდენდების სახით და რა თანხები უნდა მოხმარდეს წარმოების გაფართოებას, გასაღების ახალი ბაზრების დაპყრობას და ა.შ. გამგეობის წევრები ასევე დაინტერესებული არიან თავიანთი სარგოებისა და პრემიების გაზრდით იმ შემოსავლების ხარჯზე, რომელიც შეიძლება დივიდენდების გაზრდას მოხმარდეს.

ამრიგად, სააქციო საზოგადოებაში მესაკუთრეობასა და მმართველობითი ფუნქციების განაწილებას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეებიც. რა თქმა უნდა, სამრეწველო გიგანტის მარტვა ხელეწიფება მხოლოდ სპეციალისტს, რომელმაც მიიღო სათანადო განათლება და მომზადება და ამისათვის ფლობს სათანადო ცოდნასა და ჩვევებს, მაგრამ კონტროლისა და საკუთრების განაწილებაში, ამავდროულად, დაფარულია სერიოზული საშიშროებაც. დღეს დასავლეთში იწერება აუარებელი დეტექტიური ხასიათის ლიტერატურა, რომლის სიუჟეტური ქარგა დამყარებულია მმართველთა შეთქმულების იდეაზე - "ორგანიზაცია ორგანიზაციაში".

აქციები არსებობს **<u>ჩვეულებრივი</u>** და **<u>პრივილეგირებული.</u>** ჩვეულებრივი აქცია წარმოადგენს ყველა ხარჯისა და გადასახადის გასტუმრების შემდეგ ფირმის მოგების წილის მოთხოვნის უფლებას.

პრივილეგირებულ აქციათა მფლობელები არ მონაწილეობენ კენჭისყრაში. თუმცა დივიდენდების გადახდის შემთხვევაში ფულს პირველები ისინი მიიღებენ.

რთული ბიზნესური ორგანიზაციული სტრუქტურები - კორპორაციები

შესაბამისად არსებობენ რთული ბიზნესური ორგანიზაციული სტრუქტურები; კონცერნი, კონსორციუმი, კარტელი, სინდიკატი, ტრესტი, ჰოლდინგი, ფინანსური ჯგუფი და სხვა..

სიტყვა **"კორპორაცია"** ნიშნავს გაერთიანებას. სამეწარმეო კორპორაციაში აქციონერების პასუხისმგებლობა განსაზღვრულია აქციებში გადახდილი თანხით. კორპორაცია ხასიათდება თავისებურებებით, რითაც განსხვავდება სააქციო საზოგადოებისაგან.

კონცერნი არის სხვადასხვა დარგის საწარმოების, სავაჭრო ფირმების, ბანკების, სატრანსპორტო და საფინანსო კომპანიების გაერთიანება მათი სამრეწველო და საბანკო კაპიტალის შერწყმის სახით.

კონსორციუმი ლათინური სიტყვაა და თანამონაწილეობას ნიშნავს. კონსორციუმი არის ბანკების, კომპანიების ან სახელმწიფოების დროებითი გაერთიანება იურიდიული პირის უფლების გარეშე, მსხვილმასშტაბიანი პროექტის ან საფინანსო ოპერაციების რეალიზაციისათვის, რომლებიც ტექნიკური, ფინანსური, სავაჭრო და სხვა მიზეზების გამო მოითხოვენ რამდენიმე პარტნიორის ძალისხმევას.

კარტელი არის მეწარმეობის ერთ-ერთი რთული ორგანიზაციული ფორმა, რომელშიც გაერთიანებულია ფირმები და საწარმოები. კარტელი შეიძლება იყოს: შიგა, საექსპორტო, საიმპორტო და საერთაშორისო. შიგა კარტელები მუშაობენ ეროვნული ბაზრის ფარგლებში ან მის ნაწილში.

საექსპორტო კარტელი შედგება ეროვნული ფირმა-ექსპორტიორებისაგან.

საიმპორტო კარტელი იქმნება ფირმებისაგან, რომლებიც საზღვარგარეთის საქონლის მსხვილი იმპორტიორებია.

საერთაშორისო კარტელი იქმნება რამდენიმე ქვეყნის ფირმებისაგან. მათ შეუძლიათ იმუშაონ ექსპორტზე, იმპორტზე, ან ორივე ოპერაციაზე ერთდროულად.

სინდიკატი ბერძნული სიტყვაა და ერთად მოქმედებას ნიშნავს. ეს ფორმა უმთავრესად გავრცელებულია მასობრივად ერთგვაროვანი პროდუქციის მწარმოებელ დარგებში.

ტრესტი ინგლისური სიტყვაა და ნდობას ნიშნავს. იგი არის რამდენიმე საწარმოთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომლებიც გადასცემენ თავის საკუთრებას წარმოების საშუალებებზე, ტექნოლოგიებზე, პატენტებზე, წარმოებულ პროდუქციაზე ტრესტის გამგებლობაში.

ჰოლდინგი ინგლისური სიტყვაა და ფლობას ნიშნავს. ჰოლდინგის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ერთი ძირითადი, მეთაური (დედა) კომპანია ფლობს მასში შემავალი კომპანიების (შვილობილი) ფასიანი ქაღალდების ნაწილს კონტროლისა და მართვის მიზნით.

ზოგიერთი საწარმო შეიძლება დარჩეს გაერთიანების მიღმა და ბაზარზე დამოუკიდებლად იმოქმედოს. მათ ***აუტსაიდერებს*** უწოდებენ, რადგან მსხვილ ფირმებთან კონკურენციისას დიდია მათი გაკოტრების შანსი.

საწარმოთა გაერთიანების ფორმებია ერთობლივი და შერეული საწარმოები.

ერთობლივი საწარმო ეწოდება ისეთ საწარმოს, რომლის საწესდებო ფონდი ყალიბდება ორი ან მეტი პირის საპაიო შენატანის საფუძველზე, რომელთაგან ერთ-ერთი უცხოელი ფიზიკური ან უფრო ხშირად იურიდიული პირია.

შერეულ საწარმოს მიეკუთვნება საწარმო, რომლის საწედებო ფონდი ყალიბდება ერთი ქვეყნის ორი ან მეტი იურიდიული პირის მიერ.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში განსაკუთრებით იზრდება ტრანსეროვნული კორპორაციების როლი. მათ მიეკუთვნება ნებისმიერი ფირმა, რომელსაც საზღვარგარეთ აქვს საწარმოო სიმძლავრეები.

ტრანსეროვნული კორპორაციის თავისებურებებია

სხვა ქვეყნებში კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოო ფილიალებისა და შვილობილი საწარმოების არსებობა, რომლებიც ორიენტირებული არიან საერთაშორისო ბაზარზე გასაყიდი პროდუქციის საწარმოებლად ან ამარაგებენ სათაო საწარმოს ნედლეულთა და მატერიალური რესურსებით;

საწარმოო ერთეულების სპეციალიზაციის და ტექნოლოგიური კოოპერირების განვითარება;

შვილობილი კომპანიების საქმიანობის ერთიანი ცენტრიდან კოორდინაცია.

სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტთა სამართლებრივი ფორმები და მათი დაფუძნება საქართველოში

საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტთა სამართლებრივ ფორმებს არეგულირებს "საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ". კანონის მიხედვით:

სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.

მეწარმე სუბიექტები და მათი დაფუძნება

მეწარმე სუბიექტები არიან: ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია) და კოოპერატივი.

ინდივიდუალური მეწარმე, როგორც ამ კანონით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობათა სუბიექტი, წარმოიშობა მხოლოდ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. თუ რეგისტრაციამდე მეწარმე სუბიექტის სახელით რაიმე მოქმედება შესრულდა, ამ მოქმედების შემსრულებლები და საწარმოს დამფუძნებლები პასუხს აგებენ პერსონალურად, როგორც სოლიდარული მოვალეები, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ, ამ მოქმედებიდან წარმოშობილი ყველა ვალდებულებისათვის. ეს პასუხისმგებლობა ძალაში რჩება მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციის შემდეგაც.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი არიან იურიდიული პირის სტატუსის მქონე საწარმოები (კომპანიები). ამ კანონით განსაზღვრული ინდივიდუალური მეწარმე არ არის იურიდიული პირი. ინდივიდუალური მეწარმე საქმიან ურთიერთობებში თავის უფლებებს ახორციელებს და მოვალეობებს ასრულებს, როგორც ფიზიკური პირი.

პასუხისმგებლობა, შესატანი, ინფორმაციის მიღებისა და კონტროლის უფლებები

ინდივიდუალური მეწარმე თავისი სამეწარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს გებსპირადად, მთელი თავისი ქონებით.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები და კომანდიტური საზოგადოების პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები –

სრული პარტნიორები (კომპლემენტარები) საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად, ანუ თითოეული პარტნიორი ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. პარტნიორებს შორის სხვაგვარი შეთანხმება ბათილია მესამე პირისათვის.

კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს არ აგებენ. კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პარტნიორები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის პარტნიორები კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ მათ მიერ შეუტანელი შესატანითაც, თუ პასუხისმგებლობა დადგა პარტნიორთა მიერ შეთანხმებული შენატანის სრულად შეტანამდე.

საზოგადოების დაფუძნებისას პარტნიორები უნდა შეთანხმდნენ წილების

განაწილებაზე და დათქვან კაპიტალში მათი შენატანის ოდენობა. შენატანი შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური ქონება, სამუშაოს შესრულება ან/და მომსახურების გაწევა.

თუ წესდების ცვლილება ეხება პარტნიორის ხმის უფლებას, მოგებაში/ზარალში წილს ან ლიკვიდაციისას მის უფლებებს, აღნიშნული ცვლილება მიღებული უნდა იქნეს ერთხმად, თუ წესდების შესაბამისი ნაწილით, რომელიც პარტნიორების მიერ ერთხმად იყო მიღებული, სხვა რამ არ არის დადგენილი.

კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პარტნიორი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის პარტნიორები საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ პირადად, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს.

პარტნიორებს შეუძლიათ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში განსაზღვრონ თითოეული პარტნიორის შენატანის შეტანის წესი და ვადა. ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში პარტნიორი, რომელმაც არ განახორციელა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

თუ საწარმოს დომინანტმა პარტნიორმა განზრახ გამოიყენა თავისი დომინანტური მდგომარეობა ამ საზოგადოების საზიანოდ, მან დანარჩენ პარტნიორებს უნდა გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია. დომინანტად ითვლება პარტნიორი ან ერთად მოქმედ პარტნიორთა ჯგუფი, რომელსაც აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინოს პარტნიორთა კრების კენჭისყრის შედეგზე.

სპს-ის, კს-ის, შპს-ის, სს-ის და კოოპერატივის პარტნიორებს თანაბარ პირობებში თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ, თუ ამ კანონით ან წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. წესდებით შესაძლებელია მათ მიერ შეტა-

ნილი შენატანებისაგან დამოუკიდებლად განისაზღვროს განსხვავებული უფლება- მოვალეობები.

ყოველ პარტნიორს აქვს წლიური ანგარიშის ასლისა და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება. გარდა ამისა, მას უფლება აქვს, შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების დოკუმენტაციას

უშუალოდ ან აუდიტორის მეშვეობით და საწარმოს ორგანოებს მოსთხოვოს განმარტებები წლიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ, მაგრამ ამ ანგარიშის დამტკიცებამდე. თუ აღმოჩნდება, რომ ანგარიშში არსებითი შეცდომაა, ამ ანგარიშის შემოწმების ხარჯები ეკისრება საწარმოს. კონტროლისა და შემოწმების ეს უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ ამ კანონით, გაფართოება კი შესაძლებელია წესდებით.

მეწარმე სუბიექტის რეგისტრაცია

მეწარმე სუბიექტის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაცია სავალდებულოა. მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – მარეგისტრირებელი-ორგანო).

მეწარმე სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

მეწარმე სუბიექტის არსებობა დგინდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. მეწარმე სუბიექტი რეგისტრაცია მოიცავს როგორც სახელმწიფო, ისე საგადასახადო რეგისტრაციას.

მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ ძალაში შედის მხარისათვის ოფიციალურად გაცნობისთანავე ან გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვეტილების გამოქვეყნებად ითვლება მისი მარეგისტრირებელი ორგანოს ვებგვერდზე განთავსება.

მეწარმე სუბიექტის რეგისტრაცია ხორციელდება მის მიერ განცხადებული მისამართის მიხედვით, რომელზე გაგზავნის შემდეგაც წერილობითი შეტყობინება (კორესპონდენცია) ითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად (კორესპონდენციად) (იურიდიული მისამართი).

საწარმოსათვის და უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალისათვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან აქვს იგივე ძალა, რაც

საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობას.

საწარმოს რეგისტრაციის პროცესი

დაინტერესებული პირი საწარმოს რეგისტრაციის შესახებ განცხადებას წარუდგენს მარეგისტრირებელ ორგანოს. საწარმოს რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში განცხადებას უნდა დაერთოს საწარმოს ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერილი და სანოტარო წესით დამოწმებული წესდება (პარტნიორთა შეთანხმება), რომელშიც სავალდებულო წესით უნდა მიეთითოს:

ა) საწარმოს სახელწოდება/საფირმო სახელწოდება;

ბ) საწარმოს სამართლებრივი ფორმა;

გ) საწარმოს იურიდიული მისამართი;

დ) საწარმოს დამფუძნებელი პარტნიორის (პარტნიორების) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი, ხოლო თუ პარტნიორი იურიდიული პირია – მისი საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი, რეგისტრაციის თარიღი, საიდენტიფიკაციო ნომერი და მონაცემები მისი წარმომადგენლების შესახებ;

ე) საწარმოს მმართველობის ორგანო, გადაწყვეტილების მიღების წესი, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში – მონაცემები პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის შესახებ;

ვ) ყველა იმ შეზღუდვის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც შეეხება წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებას;

ზ) კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში – აღნიშვნა, რომელი პარტნიორია შეზღუდული და რომელი – სრული.

საწარმოს რეგისტრაციისათვის სარეგისტრაციო განცხადებასთან, წესდებასთან (პარტნიორთა შეთანხმებასთან) და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა სარეგისტრაციო დოკუმენტაციასთან ერთად წარდგენილი უნდა იქნეს დოკუმენტი, რომელშიც მიეთითება საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების), პროკურისტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი. თუ საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი რამდენიმე პირი ჰყავს, უნდა მიეთითოს, ისინი ერთად წარმოადგენენ საწარმოს თუ ცალ-ცალკე.

დოკუმენტს ხელს აწერენ საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების), პროკურისტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დანიშვნაზე უფლებამოსილი პირები, რაც დამოწმებული უნდა იქნეს სანოტარო წესით. დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმება სავალდებულო არ არის, თუ საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების), პროკურისტის (ასეთ-

ის არსებობის შემთხვევაში) დანიშვნაზე უფლებამოსილი პირები მას ხელს მარეგისტრირებელ ორგანოში აწერენ.

რეგისტრაციისათვის ასევე წარდგენილი უნდა იქნეს ხელმძღვანელობაზე (წარმომადგენლობაზე) უფლებამოსილი პირის (პირების) ხელმოწერის ნიმუში (ნიმუშები), რომელსაც (რომლებსაც) ის (ისინი) სამართლებრივ ურთიერთობებში გამოიყენებს (გამოიყენებენ). ხელმოწერის ნიმუში უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით ან ხელმოწერა უნდა შესრულდეს მარეგისტრირებელ ორგანოში.

თუ საწარმოს პარტნიორი (პარტნიორები), ხელმძღვანელობაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები) არიან საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირები ან უცხო ქვეყნის იურიდიული პირები, ისინი სარეგისტრაციოდ წარადგენენ შესაბამისად საქართველოს მოქალაქისათვის ან საქართველოში რეგისტრირებული საწარმოსათვის დადგენილ ეკვივალენტურ მონაცემებს. სარეგისტრაციოდ წარსადგენი დოკუმენტების ეკვივალენტურობის დადგენის წესს განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. უცხო ქვეყნის იურიდიული პირის შემთხვევაში მისი იურიდიულ პირად რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები დამოწმებული ან ლეგალიზებული უნდა იყოს სათანადო წესით.

საწარმოს რეგისტრაციისათვის ან საქმიანობისათვის არ არის სავალდებულო საწარმოს ბეჭდის არსებობა. დაუშვებელია, ნორმატიული აქტით ან სახელმწიფო ორგანოს მიერ მოთხოვნილი იქნეს საწარმოს ბეჭდით დამოწმებული ნებისმიერი დოკუმენტი. რეგისტრაციის მიზნებისათვის კაპიტალის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა არ მოითხოვება.

საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია

საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაციის უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრება საწარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირს (პირებს). ეს ვალდებულება არ ზღუდავს პარტნიორის (პარტნიორების) და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ან სხვა დაინტერესებული პირების უფლებამოსილებას, უზრუნველყონ ცვლილების რეგისტრაცია.

საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების შესახებ განცხადებას უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი, შესაბამისი ცვლილების დამადასტურებელი დოკუმენტი. საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პი-

რის (პირების), პროკურისტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ მონაცემების ცვლილება უნდა დარეგისტრირდეს მარეგისტრირებელ ორგანოში. საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების), პროკურისტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ მონაცემების ცვლილების რეგისტრაციისთვის საწარმოს წესდების წარდგენა სავალდებულო არ არის.

სააქციო საზოგადოებაში პარტნიორების (აქციონერების) და მათი წილობრივი მონაწილეობის ცვლილება არ მოითხოვს ცვლილებებს წესდებაში და რეგისტრაციას მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.

საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილება ძალაშია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

საწარმოს რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები

საწარმოს რეგისტრაციაზე უარი შეიძლება ეთქვას, თუ:

ა) სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტაცია სრულად არ აკმაყოფილებს ამ კანონის მოთხოვნებს;

ბ) სარეგისტრაციოდ წარდგენილია ცრუ, არაიდენტიფიცირებადი ან არასრულყოფილი მონაცემები;

გ) არ არის გადახდილი მომსახურების საფასური.

საფირმო სახელწოდება (ფირმა)

საფირმო სახელწოდება, ანუ ფირმა არის სახელი, რომლითაც საქმიანობს მეწარმე სუბიექტი.

ინდივიდუალური მეწარმე საქმიან ურთიერთობებში გამოდის საკუთარი სახელით.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს სულ ცოტა ერთი პარტნიორის სახელს „სპს“-ის დამატებით.

კომანდიტური საზოგადოების საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს სულ ცოტა ერთი სრული პარტნიორის სახელს „კს“-ის დამატებით. თუ სპს-ში ან კს-ში გაერთიანებული არიან მხოლოდ იურიდიული პირები, მისი სახელწოდება უნდა შეიცავდეს ერთ-ერთი მათგანის საფირმო სახელწოდებას ამ მუხლში აღნიშნული შესაბამისი დამატებით.

პარტნიორთა სახელის გამოყენების შესაძლებლობის გარდა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, სააქციო საზოგადოებას, კოოპერატივს

შეუძლიათ საფირმო სახელწოდება შეარჩიონ მათი საქმიანობის საგნის მიხედვით, ან შეიძლება ეს სახელწოდება იყოს ფანტაზიის ნაყოფი; მაგრამ იგი უნდა შეიცავდეს:

სააქციო საზოგადოების შემთხვევაში – დამატებას „სააქციო საზოგადოება“ ან „სს“, ან „კორპორაცია“; შპს-ის შემთხვევაში – დამატებას „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება“ ან „შპს“; კოოპერატივის შემთხვევაში – დამატებას „რეგისტრირებული კოოპერატივი“ ან „რკ“. იმ საწარმოს მიმართ, რომლის სახელწოდებაც შეიცავს სიტყვას „საზოგადოება“, „საზოგადოების“ ნაცვლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს (შესაბამისი სამართლებრივი ფორმის მიხედვით) სიტყვა „კომპანია“. „შპს“-ის ნაცვლად შეიძლება მხოლოდ სიტყვა „კომპანიის“ გამოყენება. საფირმო სახელწოდებას არ უნდა ერთოდეს რაიმე ისეთი დამატება, რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირი ან/და გამოიწვიოს შეცდომა ან/და გაუგებრობა საწარმოს ფორმისა თუ საქმიანობის მოცულობის ან/და პარტნიორთა ურთიერთობის გამო.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში შეტანილი მონაცემები საჯაროა. ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მონაცემებს და მარეგისტრირებელი ორგანოდან მიიღოს რეესტრიდან ამონაწერი.

სამამულო მეწარმეობის ისტორიიდან

საქართველოში მეწარმეობა სათავეს მონათმფლობელური წყობილებიდან იღებს და სხვა ქვეყნების მსგავსად იგი აქაც ვაჭრობით დაწყებულა. საქართველოს პირველი მეფის ფარნავაზის დროს მოიჭრა პირველი ვერცხლის მონეტა (კოლხური). კოლხეტსი წარმოებული სელი ქვეყნის გარეთ იყიდებოდა.

ფეოდალური წყობის პერიოდში ფეოდალურ მამულებსი იქმნებოდა მიწათმოქმედების დამატებითი პროდუქცია. რაც ვაჭრობის განვიტარებასთან ერთად ხელს უწყობდა ხელოსნობის განვითარებას.

ხელოსნური წარმოების პირველი და უძველესი ფორმა იყო ოჯახური მრეწველობა, რომლისგანაც შემდეგ სხვა ფორმებიც განვითარდა. მემამულეთა ოჯახებში ყმების სამუშაო ძალით კეთდებოდა ხელოსნური პროდუქტი, ქსოვილები და ტანისამოსი, რომელთა ნედლეულს მატყლს, ბამბას, სელს, კანაფს, აბრეშუმს აწვდიდნენ ვალდებული გლეხები. განვითარებული იყო რკინის, სპილენძის, ვერცხლის, ოქროს მჭედლობა. ოჯახური მრეწველობა დიდი ხნის განმავლობაში ძირითადად მთაში არსებობდა. ხელოსნობა და ვაწრობა უფრო ფართოდ იყო განვითარებული თბილისში. გავრცელებული იყო მევახშეობაც, რომელსაც ძირითადად უცხო ტომის წარმომადგენლები ეწეოდნენ. ჯანსაღი კრედიტის უქონლობისა და ქვეყანაში კოოპერაციის სუსტი განვითარების პი-

რობებში მევახშეობას განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები ექმნება თავისი დამღუპველი საქმიანობისათვის.

მსხვილი წარმოება ვითარდებოდა უმთავრესად მოპოვებითი მრეწველობის დარგებში, რაც ადგილობრივი ბუნებრივი სიმდიდრით იყო განპირობებული, როგორიცაა მაგალითად სპილენძის, ქვანახშირის, მარგანეცის და სხვა წიაღისეულის დამუსავების განვითარება.

როგორც მთლიანად საქართველოში, ისე მის ქალაქებში დიდ როლს თამაშობდა შინამრეწველური და ხელოსნური წარმოება. ხელოსნური წარმოების მაღალი დონე საქარტველოში არ იყო შემთხვევითი მოვლენა. მას განაპირობებდა პირველხარისხოვანი ნედლეულის სიუხვე. თითქმის ყველა რეგიონში უხვად მოიპოვებოდა მაღალხარისხოვანი შალი, აბრეშუმი, სელი, ხის ჯიშები, გიშერი. ვერცხლი, სპილენძი, თიხა და სხვა.

ქვეყანაში საწარმოთა დიდი უმრავლესობა მცირე საწარმოებს წარმოადგენდა.

თბილისში ჯერ კიდევ 1850-იან წლებში სხვადასხვა ამქრულ ხელობათა რაოდენობა 40-ს აღემატებოდა. მათ სორის აღსანიშნავია: ვერცხლისა და ოქრომჭედლობა, თოფ-იარაღის ხელოსნობა, ზეინკლობა, მებრილიანტობა, მექუდეობა (აზიური და ევროპული), ფეიქრობა, მრთველობა, თერძობა, მეჩექმეობა, ხარაზობა, დალაქობა, დურგლობა, სიგარების კვეთება, მეპურეობა, მეთუნეობა, მეღვინეობა და სხვა.

ქართული სამამულო მეწარმეობის განვითარებას საკმაოდ სოლიდური ისტორია აქვს. ვაჭრების უმრავლესობა გლეხობიდან და საერთოდ ღარიბი ადამიანებისაგან იყვნენ გამოსულნი. ისინი წინაურდებოდნენ თავისი შეუპოვრობის, გამჭრიახობის, ხერხიანობის და ათწლეულობით მძიმე შრომის წყალობით. მათ ამ შრომას შეალიეს ყველა ძალები და მთელი ცხოვრების წესი, ვინაიდან მხოლოდ ასე შეიძლებოდა სიღარიბიდან თავის დაღწევა. ისინი მუშაობდნენ თავისთვის და ერთდროულად ქმნიდნენ ქართულ მრეწველობას, მისდევდნენ ვაჭრობას, აფუძნებდნენ ბანკებს, გაჰყავდათ რკინიგზა.

საქართველოში ვაჭრობას ძველთაგან მისდევდნენ. მე-19 საუკუნეში თბილისელი ვაჭრების სავაჭრო ოპერაციები სცილდებოდა ირან-თურქეთის საზღვრებს და აღწევდა თვით ინდოეთის ეკონომიკურ ცენტრებს. ამ მხრივ აღსანიშნავია ქართველი ვაჭრისა და მოგზაურის, **რაფიელ დანიბეგაშვილის** მოგზაურობა ინდოეთსა და აზიის ქვეყნებში და შემდეგ რუსეთში. მან წარუშლელი და განსაკუთრებული კვალი დატოვა. სამი ათეული წელი მოგზაურობაში, ხუთგზის ჩასვლა ინდოეთსა და ბირმაში, 70 ათასი კილომეტრიც გავლა, ათზე მეტი სახელმწიფოს აღწერა-ასეთია მისი ღვაწლი სამოგზაური ისტორიაში.

ბატონი პაატა გუგუშვილი სათანადო წყაროებზე დაყრდნობით XIX საუკუნეში ვაჭართა კლასის წარმომადგენელი სამეწარმეო საქმიანობით ცნობილი ქართული გვარების საფუძვლიან ანალიზს გვაწვდის. ქვემოთ მოგვაქვს ეს მასალა.

1870-იანი წლებიდან საქართველოში ჩნდებიან ახალი ფორმაციის ვაჭრები და მეწარმეები, რომლებიც ხელს ჰკიდებენ მომგებიან სასოფლო-სამეურნეო და სავაჭრო-სამრეწველო დარგების ორგანიზაციას.

1865 წელს გურიის თავადაზნაურთა შთამომავალმა **გიორგი ბოლქვაძემ** ქ. ქუთაისში დაარსა არყის ქარხანა, რომელიც სხვადასხვა ტიპის მაგარ სასმელს ამუშავებდა. გ. ბოლქვაძის ქარხანა იმხანად იტვლებოდა ამიერ-იმიერ კავკასიაში ერთადერთ მაღალაღჭურვილ სამრეწველო ქარხანად. აქ კონიაკი მზადდებოდა ორგვარი ტექნოლოგიით: "ნატურალური" და "ხელოვ-ნური". ნატურალურმა კონიაკმა 25 ჯილდო მიიღო, ხელოვნურმა კი – 9.

ქართული კონიაკის პირველ დიდ გამარჯვებად ითვლება გ. ბოლქვაძის "კავკასიის ნატურალური კონიაკის" მიერ 1879 წელს პარიზის მსოფლიო გამოფენაზე მოპოვებული ოქროს მედალი. საერტოდ, მისმა სასმელებმა 1865-1900 წლებში 100-ზე მეტი ჯილდო მოიპოვა.

ამავე პერიოდში საქართველოში გამოირჩევიან **ზუბალაშვილებისა და სარაჯიშვილების** სავაჭრო სახლები.

საერთოდ, ზუბალაშვილების გვარი ოდითგანვე ცნობილი ყოფილა საქართველოში, როგორც წარმატებული მოვაჭრეებისა და მოგვიანებით – როგორც მეწარმეებისა.

სტეფანე ზუბალაშვილი მეწარმეობასთან ერთად საშინაო და საგარეო ვაჭრობას ეწეოდა ირანთან, თურქეთთან, ინდოეთთან, რუსეთთან და სხვებთან.

XIX ს. ოთხმოციანი წლებიდან ასპარეზზე გამოდის მისი **ძმა – იაკობ ივანეს ძე,** რომელმაც თავისი ბიზნესი არა ამარტო ვაჭრობით, არამედ წარ-მოებით – კერზოდ კი, არყსი წარმოებით დაიწყო. მან ქუთაისსი დაარსა არყ-ის წარმოება. ხაზგასასმელია ის, რომ მაშინ დასავლეთ საქართველოში არც ერთი საწარმო არ არსებობდა და არც ვაწრობასი იყვნენ იქაურები დახ-ელოვნებულნი. იაკობ ზუბალაშვილს არყის, წარმოებაზე მონოპოლია მოუ-პოვებია, რითაც ხაზინის შემოსავალი 3-ჯერ გაზრდილა. არყით ძირითადად მარაგდებოდა რუსეთის ჯარი. შემდეგ მას თავისი ბიზნესი თბილისში გად-მოუტანია. კერძოდ, ააშენა დიდი ქარვასლა, რომელშივ იყო 10 სავაჭრო მაღაზია, ღვინის სარდაფები, სასტუმრო 71 ოთახით და სხვა. იაკობ ზუბალაშვილმა 1873 წელს გახსნა ამიერკავკასიაში პირველი შაქრის ქარხანა, თანაც მთავრობისგან იმაზე დიდ შეღავათს მიაღწია, რასა ცადრე არყის წარ-მოებისას ითხოვდა- მას სააქციზო გადასახადი მოუხსნეს. სამაგიეროდ დაზოგილი თანხით საქართველოსი შაქრის ლერწმის პლანტაციები უნდა გაეშენებინა. მაგრამ მისი ერთ-ერთი პარტნიორი უგზო-უკვლოდ დაიკარგა და ეს წამოწყენა ჩაიშალა.

შემდეგ სამეწარმეო საქმიანობაში დაწინაურდნენ **დავითი, გიორგი, მი-ქელ და ანტონ ზუბალაშვილები.** აღსანიშნავია, რომ ზუბალაშვილები თბი-ლისის კომერციული ბანკის უმსხვილესი აქციონერებიც იყვნენ. მაგრამ უმ-

თავრესი, რითაც ისინი შემორჩნენ საქართველოს ისტორიას, ქველმოქმედება იყო: ბათუმში, გორში, ქუთაისსა და თბილისში აგებული ხუთი კათოლიკური ეკლესია; თბილისის უნივერსიტეტის მშენებლობისათვის გაღებული 100 000 მანეთი (რევოლუციამდელი ერთი მანეთი 980 სინჯის გრამი ოქროს ექვივალენტი იყო); მუსიკალური სკოლის (ახლანდელი კონსერვატორიის) ასაშენებლად – 10 000 მანეთი; ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას – 20 000 მანეთი; სტიპენდიებისათვის 26 000 მანეთი; ქალაქის კეთილმოწყობისატვის თვითმმართველობას – 10 000 მანეთი; სახალხო სახლის – (დღერვანდელი მარჯანიშვილის სახელობის თეატრი) მშენებლობისა და კეთილმოწყობისატვის – 350 000 მანეთი; თბილისის პირველი საავადმყოფოს ტერიტორიაზე პედიატრიული კორპუსის აგება და ევროპიდან ჩამოტანილი სამედიცინო ხელსაწყოებით აღჭურვა – 150 000 მანეთი. ზუბალაშვილები აფინანსებდნენ სხვადასხვა სახის წიგნის გამოცემას, ეხმარებოდნენ ჟურნალებს: "ივერია", "მოგზაური", საბავშვო ჟურნალი "ნაკადული".

XX საუკუნის დასაწყისში, მთაწმინდაზე, დღევანდელი ძმები ზუბალაშვილების ქუჩის ბოლოში აიგო "უპოვართა თავშესაფარი" (დღევანდელი ბავშვთა საავადმყოფოს შენობა), რომლის მშენებლობისათვის საჭირო თანხა 220 000 მანეთი, **ნიკოლოზ ზუბალაშვილმა** გაიღო. სოლოლაკში, დღევანდელი ამაღლების ქუჩის ბოლოს მეცენატმა ძმება უპოვართა სასადილო "სამადლო" გახსნეს, სადაც ყველა გაჭირვებულს შეეზლო უფასოდ დაპურება.

დავით ზუბალაშვილის ბიძაშვილმა იაკობ კონსტანტინეს ძემ, საფრანგეტის მოქალაქეობა 1922 წელს, გასაბჭოების შემდეგ მიიღო, ქონება კი ანდერძით საქარტველოს დაუტოვა.

რამდენიმე წლის წინ აზერბაიჯანის მთავრობამ საქართველოს გადმოსცა ბაქოს ცენტრში მდებარე, XIX საუკუნის მიწურულს აგებული, ზუბალაშვილებისეული სახლი, სადაც საქართველოს საელჩო განლაგდება.

"ვინც ღირსია შველისა, მოვალენი ვართ ვუშველოთ" – სტეფანე ზუბალაშვილის მიერ მავანის მადლობის პასუხად თქმული ეს სიტყვები მისი საგავარეულოს ცხოვრებისეულ კრედოდ შეიძლება მივიჩნიოთ.

დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილმა 1871 წელს ჰაიდელბერგში (გერმანია) დაამთავრა უნივერსიტეტი, გახდა ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორი, ჩამოვიდა თბილისში და მოაწყო არყისა და კონიაკის წარმოება. იგი გახდა ამ დარგში ყველაზე გამოჩენილი მრეწველი კავკასიასა და მთელი რუსეთის იმპერიაში. მან მაგარი სასმელების წარმოების საქმის ორგანიზებას მოჰკიდა ხელი. 1885 წელს თბილისში გახსნა სარეტიფიკაციო ქარხანა, რომელიც 1887 წელს სრულყოფილ არყის ქარხნად გადაკეთდა. 1888 წელს მან გახსნა რუსეთის იმპერიაში პირველი კონიაკის სპეციალიზებული ქარხანა.

1884 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე დ. სარაჯიშვილი სათავეში ედგა ფირმას, რომელიც აერთიანებდა რამდენიმე ლიქიორ-არყისა და კონიაკის ქარხნებსა და საწყობებს რუსეთის იმპერიაში.

1889-1913 წლებში დავით სარაჯიშვილის ფირმის კონიაკებმა და სხვა სასმელებმა საერთაშორისო, მსოფლიო, სრულიად რუსეთის გამოფენებსა და ბაზრობებზე მირეს 11 ოქროს, ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედლები. მალე მისმა ნაწარმმა ღირსეული კონკურენცია გაუწია ევროპიდან შემოტანილ სასმელებს. XX საუკუნის დასაწყისისთვის რუსეთის იმპერიის ბაზრის მესამედზე მეტი სარაჯიშვილის პროდუქციამ დაიკავა.

დავით სარაჯიშვილი ქველმოქმედებითაც გამოირჩეოდა. მას დიდი წვლილი მიუძღვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მშენებლობაში. ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდებს რუსეთსა და საზღვარგარეთ სასწავლებლად უშვებდა და სტიპენდიებსაც უნიშნავდა. მეცენატი დახმარებას უწევდა თბილისში სახალხო თეატრის მშენებლობას. სოლიდური ფულადი სახსრები გაიღო ავლაბრის სახალხო თეატრის ასაგებად.

ქუთაისში სარაჯიშვილს ახალგაზრდა კაცი წარუდგინეს და გაასინჯეს მის მიერ წარმოებული ღიმონათი. მას სასმელი ძალიან მოსწონებია და უკითხავს, რატომ არ გააფართოებ წარმოებასო. რაზეც ახალგაზრდამ უპასუხა – უსახსრობა მიშლის ხელს და თუ დამეხმარებით, კარგი იქნებაო. დავითი უყოყმანოდ დაეხმარა. ეს ახალგაზრდა კაცი მიტროფანე ლაღიძე იყო.

ალ.ხახანაშვილი 1911 წელს გაზეთ "თემში" წერდა: "არცერთი საქვეყნო საქმე არ დაწყებულა ამ 30 წლის განმავლობასი, რომ დავით ზაქარაიას ძეს თავისი წვლილი არ შეეტანოს, მატერიალური დახმარება არ გაეწიოს, ჟურნალ-გაზეტის, წიგნის გამოცემა, სცენის მოყვარულთა, მომღერალთა, მემუსიკეთა და მეცნიერთა აღზრდა, სკოლის დამშვენება, ღარიბ-უძურთა გაკითხვა, უცხოელ და შინაურ მოღვაწეთა გამასპინძლება და მათი ერთმანეთთან დაახლოება – ყველა ეს შეადგენდა საზრუნავ საგანს დავით სარაჯიშვილისა".

პირველი ნაბიჯები ქართული ღვინომასალისგან შამპანურის საწარმოებლად გადაიდგა XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს გაბურჟუებული მემამულის, თავად ი. ბაგრატიონ-მუხრანელის მეურნეობაში.

ნიკოლაძეები წარმომავლობით ეკუთვნიან ახალი ფორმაციის ვაჭართა კატეგორიას. მამუკა ნიკოლაძე თავად აბაშიძეთა ყმა იყო. 1770-იან წლებში ის თავისი სოფლიდან (სკანდე, ზემო იმერეთში) გაქცეულა და ქართლს გადავარდნილა. აქ ცხინვალის არემარეში უცხოვრია და ჩარჩობითა და ვაწრობით საკმაო ქონება შეუძენია.

იმერეთში ცარიზმის გაბატონების შემდეგ თურქეთის გაქცეულ შოლომონ II თან გაჰყვნენ მისი ერთგული აბაშიძეები, რომელთაც როგორც ემიგრანტებს ახალმა ხელისუფლებამ მამული და ყმები ჩამოართვა. 1820-იან წლებში, როდესაც ნიკოლაძეების ყოფილი მებატონე აბაშიძეები უკვე დახოცილებიც იყვნენ, მამუკა უკან დაბრუნდა იმერეთს. იგი როგორც დიდი ხნის გადა-

კარგული აქ არც არავის ახსოვდა დარაკი ამგვარად, ყმობას საბოლოოდ თავი დააღწია, ქუთაისელ მოქალაქეებში ჩაერიცხა. ქუთაისი ამ დროს პატარა ქალაქი იყო. აქ უმთავრესად ხელმოკლე იმერელი აზნაურობა და "უცხოური" (კათოლიკე ქართველი, ებრაელი და სომეხი) ვაჭრები და ხელოსნები სახლობდნენ. მამუკა ნიკოლაძის ოჯახი მალე დაწინაურებულა. "მის წევრებს ქართლიდან ბევრი ისეთი ცოდნა, ხელსაქმე, იარარი და ჩვეულება ჩამოეტანათ, რაც იმ დროს სრულიად უცნობი ყოფილა იმერეთში". დიდი ხნის განმავლობაში ეს ოჯახი იმერეთში ქართლელებად მიაჩნდათ თურმე. მამუკას ოჯახს ქართლში თავის მეგობრებთან 'ნიადაგი მიმოწერა და მისვლა-მოსვლა შეენახა, რის გამო იქიდან ხშირად უცნობი სასმელ-საჭმელი თუ საქონელი მოდიოდა".

ნიკოლაძეების მოქმედების სარბიელი სულ ფართოვდებოდა. "ოცდაათიანი წლების ნახევარში მამუკა და მამუკას შვილები ვაჭრობისთვის მარტო ტფილისს კი არა, რუსეთშიაც დაიარებოდნენ. მამუკას უფროსი შვილი, გრიგოლი და მამაჩემი (იაკობი) იმ ხანებში, საქსონიაშიც ყოფილან ლეიპფიგის იარმუკაში, სანამ კიდევ შეიძლებოდა საზღვარგარეთიდან რუსეთსი საქონლის შემოტანა".

"იმ დროს ქუთაისიდან რუსეთში სავაჭროდ მარტო სამი კაცი დაიარებოდა. გორიდან გადმოსახლებული სომეხი პეტრე მრებროვი, აგრეთვე გორელი ფრანგი გაბრიელ ენდრონიკაშვილი და მამაჩემი: გაზაფხულზე ისინი შეკაზმავდნენ ცხენებს, დაიბარებდნენ შინ მღებროვი-ტერტერას, ენდრონიკაშვილი-პატრს, მამაჩემი-დეკანოზს, გადაახდევინებდნენ მთელი ნათესაობით თანდასწრებით პარაკლისს, ტირილით დაჰკოცნიდნენ ცოლშვილს და მიდიოდნენ რუსეთში ტფილისის და კავკავის გზით. დაქანცულ ცხენებს ჰყიდდნენ კავკავში, საიდანაც დაქირავებული ფურგონით მიდიოდნენ როსტოვით მაკარიის (ნიჟნი-ნოვგოროდის) ბაზრობაზე. იქიდან ნაყიდ საქონელს ცხენებით გზავნიდნენ ჯერ როსტოვს, სადაც რკინეულობას და თევზეულობას ჰყიდულობდნენ და მერმე ყველაფერს ერთად ჩალვადრებით კავკავის ქედით ქუთაისს აგზავნიდნენ. უჯდებოდათ ეს გზა მამასისხლის ფასად. არანაკლებ ხუთი მანეთისა ფუთი.... ვაჭრების მგზავრობა თითქმის ნახევარი წელიწადი გრძელდებოდა".

იაკობ ნიკოლაძის თაოსნობაში სიახლის ელემენტები იჭრება. მამას "როსტოვში რომ გემები ენახა და გაეგო, რომ ისენი საქონელს ზღვით ზიდავდნენ, ეკითხა - შავ ზვაზედაც შეუძლიათ ამათ სიარულიო? ყულევშიც მიიტანენ საქონელსო, რა ფასათ? და სხვ.". როცა ეს ყველაფერი გამოიკვლია, ი. ნიკოლაძე წინადადებას აძლევს თავის ქუთაისელ თანამგზავრებს "საერთოდ ვიქირავოთ დიდი გემი და ზღვით წავიღოთ საქონელიო.

იაკობმა შავი ზღვის გზით გემებით შემოიტანა საქონელი საქართველოში. იგი დიდვაჭარი გახდა. ცდილობდა ბამბის ფაბრიკის გამართვას, რის შესახებაც 1865 წელს სწერდა თავის შვილს ნიკოს პარიზში და სთხოვდა დახმარებოდა ამერიკული საქსოვი მანქანის შეძენაში, თან, როგორც აკადე-

მიკოსი პაატა გუგუშვილი მიუთითებს, ასეთ შეგონებას ურთავდა: "პოპიტკა ნე უბიტკა"-ო.

იაკობ ნიკოლაძე მოხერხებულად სარგებლობს ხელსაყრელი კონიუნქტურული პირობებით. ყირიმის ომის დროს როგორც უცხოეთის, ისე რუსული საქონლით ამიერკავკასიის მომარაგებას ძლიერ შეფერხდა. შავი ზღვით უკვე შეუძლებელი იყო საქონლის მოტანა. რაც რუსეთიდან, ძველებურად, კვლავ სახმელეთო გზით შემოჰქონდათ. ახლა ამ გზით "ფუთი საქონლის მიტანა თუმანზე მეტი ჯდებოდა". საქონელი ძლიერ გაძვირდა და მოთხოვნილებაც გაიზარდა. ომი რომ შეწყდა 1856 წლის გაზაფხულზე ი. ნიკოლაძემ "მაკარიის იარმუკას აღარ უცადა'. იგი საჩქაროდ გაემგზავრა მოსკოვს. აქეთობას მოსკოვს და "როსტოვს ნაყიდი საქონელი მან დიდ გემში ჩააწყო და გაემგზავრა ყულევს... მის შემდეგ წასული ვაჭრებიც დაბრუნდნენ. წელიწადიც მიიწურა და იაკობი აღარსად ჩანდა. ყველა დარწმუნდა 'იაკობ მამუკასვილი თავის საქონლით შემოდგომის ქარიშხალში დაიღუპებოდაო... მას მართლაც დიდი განსაცდელი გადახდომია. აღელვებულ ზღავს მისი გემი "სამი თვის განმავლობაში ბურთივით უთრევია ერთი კუთხიდან მეორისაკენ, ხან სინოპთან გაურიყავს, ხან ყირიმის ნაპირებზე, სანამდე ყულევს მიუყვანია". იგი მაინც უვნებლად დაბრუნდა და კონკურენტებს, რომლებიც მას დასცინოდნენ. კოვზი ნაცარსი ჩაუვარდათ - 'მისმა მოტანილმა აუარებელმა საქონელმა შესამჩნევად გააიაფა იმერეთის ცხოვრება, რაშიაც მისი მეტოქეები ხალხს მანეთს ახდევინებდნენ, მამაჩემის საწყობები ამ ფასის ნახევარს, ან მესამედს იღებდნენ.

იაკობ ნიკოლაძე შეიქმნა დიდვაჭარი, რომელიც მნიშვნელოვანი რაოდენობის ფულსა და საქონელს ატრიალებდა.

თაოსნიანი ვაჭრისა და მეიჯარის ხელში დაგროვილი კაპიტალი უკვე მრეწველობისაკენ მიისწრაფვის, ე.ი. მიმოქცევის სფეროდან წარმოების სფეროში უნდა გადავიდეს. სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებას ჩვენში ხელსაყრელი პირობა შეექმნა ბატონყმობის გაუქმების შემდეგ

დაახლოებით აანალოგიურია **გოკიელების** კომერციული დაწინაურების ისტორია. ისინი წარმოშობით ეჯიბიები ყოფილან (სოფ. ცივიდან სამეგრელო). აქედან მათი წინაპარი გადასულა ახალციხეს, რომელიც მაშინ თურქეთის სამფლობელოებში შედიოდა. ეჯიბიას აქ კათოლიკობა მიუღია, ახალციხიდან ის გადასახლებულა სოფ. გოკიას (ჯავახეთში). ს. გოკიიდან მერმე მისმა ნაშიერებმა მირეს ახალი გვარი – გოკიელი, ხელოსნობით (ოქრომჭედლობით), მევახშეობითა და ჩარჩ-ვაჭრობით გოკიელები გამდიდრებულან.

მას მერე რაც 1828 წ. სამცხე – საათაბაგო თურქეთის ბატონობისაგან განთავისუფლდა, და ახალციხე ქუთაისის გუბერნიის სამაზრო ქალაქი შეიქნა, გოკიელები გადასახლდნენ ქუთაისს, აქ ისინი (გოკიელოვები) ვაწრობენ უმეტესწილად თამბაქოთი (თუთუნით), რაც შემოაქვთ სამსუნიდან, ტრაპიზონიდან და თვით კონსტანტინოპოლიდანაც. 1860-იანი წლებიდან, როდესაც თურქეთის მთავრობამ დააწესა თამბაქოს სახელმწიფო მონოპოლია, ხოლო რუსეთისამ უცხოური, ე.ი. უმთავრესად თურქული თამბაქოს იმპორტზე 5 პროცენტი ბაჟი დაადო. ამ საქონლით ვაჭრობა ნაკლებ მომგებიანი გახდა. 1872 წ. კი "მშობლიური მეთამბაქოების ინტერესებისათვის" რუსეთმა ერთბაშად თითქმის ათჯერ გაადიდა საიმპორტო თამბაქოს საბაჟო საფასური. ამიერიდან არსებითად სავსებით შეწყდა თურქული თამბაქოს შემოტანა და გოკიელებმაც, ცხადია, აირჩიეს ადგილობრივი მეთამ-

ბაქოეობის ნედლეულის გადამუსავებასა და რეალიზაციაზე გადასულიყვნენ. მით უფრო, რომ ამ დროისათვის საუკეთესო ჯიშის თურქული თამბაქოები: "სამსუნ" და "ტრაპიზონტი" უკვე საკმაოდ იყო გავრცელებულ-აკლიმატიზებული საქარტველოს შავი ზღვის სანა-პიროებზე".

აკაკი ხოშტარია—ქველმოქმედი ბიზნესმენი, მისი ხელმძღვანელობითა და დაფინანსებით გაშენდა ბათუმის მთავარი ზღვისპირა ბულვარი, მახინჯაურის ბოტანიკური ბაღი და ახალი ათონის ცენტრალური პარკი. ემიგრაციაში მყოფი, ეკონომიკურად და ფინანსურად ეხმარე-ბოდა სამშობლოს. ქართველ მწერლებს მაჩაბლის ქუჩაზე მდებარე სარაჯიშვილის სას-ახლე მან შეუძინა.

დადიანების კარის მოურავი მეთოდე ხოშტარია რას იფიქრებდა, თუ მის უმცროს ვაჟს აკა-კის სადაც არ უნდა ეცხოვრა ოდესაში, ბაქოში, ირანსა თუ პარიზში, ყველგან სამშობლო-სადმი თანადგომისა და დახმარების სურვილი თან დაჰყვებოდა. მომავალ მეცენატს წიგ-ნიერების სიყვარული და განათლებისადმი ლტოლვა ბავშვობიდანვე დედამ ჩაუნერგა. მშობლები შვილებს ზრდიდნენ უკეთესი მომავლისათვის. ფიქრობდნენ, რომ ნასწავლი კაცი ცხოვრებაში უფრო მეტს მიაღწევდა და მეტი შესაძლებლობაც ექნებოდა. ამ კეთილშობილ განზრახვაში არაფერი იყო გასაკვირი. მაგრამ ბუნებამ გაცილებით მეტი ჩააქსოვა ამ კარ-გად აღზრდილ ახალგაზრდაში, ურომლისოდაც მარტო უმაღლესი განათლების მიღება ვერაფერს უშველიდა.

ნიჭიერება და მოხერხება იყო ის ქვაკუთხედი, რაზედაც აიგო ოდესის აგრონომიის აკადე-მიის კურსდამთავრებულის აკაკი ხოშტარიას, როგორც ბიზნესმენის მომავალი. არც მისი „დეკორატიული მებაღეობის სპეციალობა" იყო დიდი, მჩქეფარე ცხოვრებისაკენ ბიძგის მიმცემი. მაგრამ უნიკალური სამეწარმეო ნიჭის მქონე ახალგაზრდამ ეს შეძლო. მან ჩაიფიქრა შავი ზღვისპირეთის სანაპიროს გამშვენიერება აფერადებული ზურმუხტფერებით. ამ იდეის ხორცშესასხმელად აკადემიის დამთავრებისთანავე დეკორატიული და ბოტანიკუ-რი ბაღების განაშენიანებაში ჩაერთო. ინტერესმა და მონდომებამ შნო და ლაზათი შესძინა მის საქმიანობას. ისე კარგად აეწყო ყველაფერი, რომ სრულიად ახალგაზრდა სპეციალისტს დიდად ენდობოდნენ ყველგან. ყველა ხედავდა აკაკი ხოშტარიას მიერ წამოწყებული საქ-მის პერსპექტივას და მხარდამჭერებიც გამოუჩნდნენ. შავი ზღვისპირეთის განაშენიანებას მასშტაბური ხასიათი მიეცა და ენთუზიაზისტი ახალგაზრდა სპეციალისტი ამ დიდმნიშვნე-ლოვან საქმეში თანდათან წინაურდებოდა.

აკაკი ხოშტარიას ხელმძღვანელობითა და დაფინანსებით გაშენდა ბათუმის მთავარი ზღვისპირა ბულვარი, მახინჯაურის ბოტანიკური ბაღი, ახალი ათონის ცენტრალური პარკი და იალტის მთავარი ბაღი. მუდამ საქმის მაძიებელმა ცოტა ხანი ფოთშიც იმუშავა, სადაც დაუმეგობრდა ვინმე ვაჭარ ზოდელავას. მასთან ერთად სავაჭრო გემით ნავთი წაიღო ოდესაში, მაგრამ ზღვაზე ამოვარდნილმა ქარიშხალმა გემის მიმართულება შეცვალა და ასე აღმოჩნდა აკაკი ხოშტარია თურქეთში. აქ კი გზააბნეულებმა ნავთი ოქროს ფასად გაყიდეს, რამაც აკაკი ხოშტარია ახალ სამეწარმეო საქმიანობაზე სერიოზულად დააფიქრა. შავი ზღვისპირეთის სანაპიროს განაშენიანებამ საკმაოდ დაარწმუნა იმაში, რომ ნებისმი-ერი წამოწყებული კარგი, მამულიშვილური საქმის წარმატება ფინანსებზეა დამოკიდებული და თუ გინდა კარგი საქმე აკეთო, პირველ რიგში უნდა იფიქრო მის ფინანსურ უზრუნ-ველყოფაზე. კარგი იდეებიც საჭიროებს მატერიალურ მხარდაჭერას.

ახალ ბიზნესზე სერიოზულად დაფიქრებული ჩვენი თანამემამულე თურქეთიდან ბაქოს გაემგზავრა და იქ ნავთობმრეწველ მუსა ნაგიევისაგან შეიძინა ნვთობსარეწი დანადგარე-ბი, იმავდროულად ბათუმში შეისყიდა სავაჭრო აქციები და მთელი არსებით ჩაეფლო ნავთობსამრეწველო და სავაჭრო საქმიანობაში. შემდეგ ბაქოდან ირანში გადავიდა და თავისი სამეწარმეო და სავაჭრო საქმიანობით ირანის შაჰის კარზე დიდი გავლენა და პა-ტივი მოიპოვა. რამდენიმე წლის შემდეგ იგი მთელ ირანში უმდიდრეს პიროვნებად

ითვლებოდა.
1914 წელს ირანში მცხოვრებ მდიდარ თანამემამულეს თბილისიდან აცნობეს, რომ იყიდებოდა კაპიტალისტის დავით სარაჯიშვილის სახლი და სთხოვდნენ, რომ მას შეეძინა. აკაკი ხოშტარიამ თანამემამულეთა ეს თხოვნა დააკმაყოფილა. შემდეგ მაჩაბლის ქუჩაზე მდებარე დავით სარაჯიშვილის სასახლე მთლიანად გადააკეთა, რისთვისაც იტალიიდან ჩამოიტანა ლომის ფიგურები, სხვა ანტიკვარული ნივთები, მოაწყო საზაფხულო და ზამთრის ბაღები.
თბილისიდან გამგზავრების წინ აკაკის ახლო ნათესავს პოეტ დუტუ მეგრელს, შეგახსენებთ, რომ ისიც ხოშტარია გახლდათ, მწერალთა კავშირის მაშინდელი თავჯდომარისათვის აკაკის პირადი სურვილი გადაუცია – მისი გამგზავრების შემდეგ სასახლე უფასოდ გადასცემოდა ქართველ მწერლებს. დიდ ბიზნესში ჩვენი თანამემამულის ნიჭსა და პროფესიონალიზმზე მეტყველებს ის, რომ მან კონსტანტინეპოლში დააარსა თურქულ-სპარსული ბანკი, სადაც დაუსაქმებია ჩვენი ქვეყნიდან წასული ქართველები. ღირსეული მამულიშვილი სადაც არ უნდა ყოფილიყო, მისთვის ქართველების გასაჭირი მუდამ მტკივნეული იყო და მუდამ შველოდა კიდეც თავის ხალხს. ეკონომიკურ და ფინანსურ დახმარებას უწევდა მშობლიურ ქვეყანასაც. 20-იან წლებში პურის დეფიციტის გამო კომუნისტებმა აკაკი ხოშტარიას სთხოვეს დახმარება. მანაც დაარსა კომპანია „ხოშტარია–საბჭოთა კავშირის ერთობა“, სტალინსაც შეხვდა პირადად. შემდეგ თავისი სახსრებით ირანში პურს ყიდულობდა და აგზავნიდა ბაქოში, საიდანაც ნაწილდებოდა. ამ პურს „ხოშტარიას პურს“ ეძახდნენ. შემდეგ აღმოჩნდა, რომ კომუნისტებმა შეპირებული თანხა არ გადაურიცხეს და საერთაშორისო მასშტაბით სკანდალი რომ არ ატეხილიყო, აკაკის დაპატიმრება გადაუწყვეტიათ. ამ უმადურობისა და ვერაგობის შესახებ ბუდუ მდივანს საიდუმლოდ უცნობებია აკაკი ხოშტარიასათვის, ურჩევდა-თურმე საქართველოში არ გამოჩენილიყო. ცნობილი ბიზნესმენისათვის ყველა ქვეყნის კარი ღია იყო, მას დიდი ნაცნობობა ჰქონდა რუზველტთან და ჩერჩილთან, მაგრამ ჩვენმა თანამემამულემ საბოლოო საცხოვრებლად მაინც პარიზი აირჩია. აქედან კვლავ ქართველებისკენ მოუწევდა გული. საფრანგეთში მან შეიძინა ლადო გუდიაშვილისა და ცნობილი კუბისტის ანდრე ლოტის სურათები და საჩუქრად საქართველოს ხელოვნების მუზეუმს გამოუგზავნა. უფრო ადრე საქართველოში ახლადდაარსებულ ისტორიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოებას 8000 მანეთი გადმოურიცხა. მისი დაფინანსებით განხორციელდა რკინიგზის გაყვანა ფოთსა და აბაშას შორის. იგი მეგობრობდა და ეხმარებოდა ემიგრაციაში მყოფ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობას. ჯერ კიდევ ადრე 1915 წელს თავისი დედის სახელზე აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნის ცენტრში აგებული უმშვენიერესი არქიტექტურული შენობა სოფელს აჩუქა, რათა იგი განათლების კერად ექციათ. მადლიერი ქართველობა ვერ ივიწყებს ამაგდარსა და ქველმოქმედს აკაკი ხოშტარიას. იგი დაკრძალულია პარიზში, პერ-ლაშეზის სასაფლაოზე.

(წყარო: “ახალი ქართული გაზეთი”,1998 წ. 7 ოქტომბერი, გვ. ე-2.)

რა განსხვავებაა მენეჯერსა და მეწარმეს შორის?

მენეჯერები არიან ადამიანები, რომლებიც ორგანიზაციული მიზნების ეფექტურად და ყაირათიანად განხორციელების მიზნით ზედამხედველობას უწევენ ადამიანური და სხვა რესურსების გამოყენებას. ორგანიზაციის რესურსებში შედის ისეთი აქტივები, როგორიცაა: მუშახელი თავისი პროფესიონალიზმით, სპეციფიკური ცოდნითა და გამოცდილებით; მანქანა-დანადგარები, ნედლეული, კომპიუტერები და საინფორმაციო ტექნოლოგიები, ფინანსური კაპიტალი.

მენეჯერებისგან განსხვავებით, **მეწარმეები** არიან ადამიანები, რომლებიც ამჩნევენ არსებულ შესაძლებლობებს და იღებენ პასუხისმგებლობას იმ რესურსების მობილიზებაზე, რომელიც აუცილებელია ახალი ან გაუმჯობესებული საქონლის და მომსახურების მისაწოდებლად. მეწარმეები ხელს ჰკიდებენ ახალ, სარისკო ბიზნესწამოწყებებს და ახორციელებენ საწყის დაგეგმვას, ორგანიზებას, გაძღოლასა და კონტროლს, რომელიც აუცილებელია მათი იდეის რეალობად ქცევისთვის. თუ იდეა სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, ისინი იზიდავენ მომხმარებელს და ბიზნესიც ფართოვდება. ამის შემდეგ მეწარმეები ქირაობენ მენეჯერებს, რომლებიც პასუხისმგებლები ხდებიან ყველა იმ სპეციფიკური ფუნქციური საქმიანობის (როგორიცაა, მაგალითად, მარკეტინგი, საბუღალტრო აღრიცხვა და პროდუქციის წარმოება) ორგანიზებასა და კონტროლზე, რომელიც საჭიროა მზარდი ორგანიზაციის წარმატებისათვის.

როგორც წესი, ახალი ბიზნესის დაწყების წინ მეწარმეებს კარგად აქვთ გაცნობიერებული თანმხლები რისკი (რისკი საკმაოდ სერიოზულია, რადგან ბევრი ახალი წამოწყება დასაწყისშივე კვდება) და იღებენ ყველანაირ შემოსავალსა თუ მოგებას, რომელიც ახალ წამოწყებასთან არის დაკავშირებული.

კითხვები გამეორებისთვის

1. ი. შუმპეტერის თეორია მეწარმეობის, მეწარმის არსის და მეწარმეობრივი უნარის ცალკე მეოთხე ფაქტორად გამოყოფის შესახებ.

2. მეწარმე სუბიექტები საქართველოში, უპირატესობები და ნაკლოვანებები.

3. რთული ბიზნესური ორგანიზაციული სტრუქტურები - კორპორაციები.

4. სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტთა სამართლებრივი ფორმები საქართველოში.

5. სამეწარმეო საქმის სუბიექტთა დაფუძნება საქართველოში.

6. დაახასიათეთ როგორ ვითარდებოდა სამამულო მეწარმეობა და მისი მესვეურების, გ. ბოლქვაძის, რ. დანიბეგაშვილის, ზუბალაშვილების, დ. სარაჯიშვილის, ნიკოლაძეების, გოკიელების, ა. ხოშტარიას და სხვათა სამეწარმეო საქმიანობა, მათი მიღწევები და როლი.

მერვე თავი
საწარმოს ფინანსების ზოგადი მიმოხილვა

განსახილველი საკითხები:

- **საწარმოს დაფინანსების წყაროები: დაფინანსების შიდა წყაროები; დაფინანსების გარე წყაროები.**
- **საწარმოს ნასესხები სახსრები: მოკლევადიანი დაკრედიტება; გრძელვადიანი დაკრედიტება.**
- **ღია ტიპის სააქციო საზოგადოების დაფინანსების წყაროები: აქციები; ობლიგაციები; ვაუჩერი.**
- **ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზოგადი გაცნობა: საფონდო ბირჟა; ბირჟისგარეშე ბაზარი; როგორ თამაშობენ ბირჟაზე.**

საწარმოს ფინანსები

ფინანსური რესურსების მუდმივი მოდინება, ეს საჭიროა იმისათვის, რათა საწარმომ რეგულარულად გადაუხადოს ხელფასი მუშებსა და მოსამსახურეებს, შეისყიდოს ნედლეული, გაარემონტოს ძველი მოწყობილობა, შეიძინოს ახალი დაზგები და ა.შ.

თუ საწარმოს ფული არ ყოფნის ყველა ამ ხარჯების გასაღებად, მაშინ იგი იძულებულია შეაჩეროს წარმოება და საბოლოო ანგარიშით, თავი გამოაცხადოს გაკოტრებულად – აღიაროს თავისი გადახდისუუნარობა, რასაც, ჩვეულებრივ მოჰყვება ქონების გაყიდვა და მესაკუთრესათვის სხვა არასასიამოვნო მოვლენები.

საწარმოს დაფინანსების შიდა წყაროები

საწარმო თავის მიმდინარე ხარჯებს – შრომის ანაზღაურებას, ნედლეულისა და მასალების შეძენას და ა.შ. ფარავს იმ ფულადი სახსრებიდან, რასაც იგი ღებულობს მის მიერ წარმოებული პროდუქციის ან მომსახურების გაყიდვით.

იცის რა, მეწარმემ, რომ ადრე თუ გვიან მოწყობილობის გამოცვლა გახდება საჭირო, ამისათვის იგი რეგულარულად აგროვებს (გადადებს) სახსრებს სპეციალურ ფონდში. ეს ე.წ. საამორტიზაციო ანარიცხებია, რომელიც წარმოების დანახარჯებში ჩაირთვება.

ამორტიზაციის ანარიცხები დევს არა "უსულო" ტვირთის სახით, არამედ გამოიყენება საწარმოს საჭიროებისათვის, მაგრამ ისე, რომ განსაზღვრულ დროს მან თავის დანიშნულება შეასრულოს.

მზარდი საწარმოს მესაკუთრენი პირადი საჭიროებისათვის მოგების მხოლოდ ნაწილს ხარჯავენ, მეორე ნაწილს კი ხელახლა დებენ საქმეში, რომელიც მიდის წარმოების გაფართოებაზე ან დაგროვებაზე.

ძირითად ფონდებში სახსრების დაბანდებას ეწოდება კაპიტალდაბანდება ანუ ინვესტიციები. როგორც ვხედავთ, კაპიტალდაბანდება ფინანსირდება შიდა ორი წყაროდან: ამორტიზაციის ანარიცხებიდან და მოგების ნაწილიდან.



სააქციო საზოგადოებების კაპიტალდაბანდებათა დაფინანსების წყაროები აშშ-ში

როდესაც საწარმოსათვის მძიმე პერიოდი დგება, მაშინ იგი სახსრების ნაკლებობას განიცდის და ვერ ფარავს გაწეულ ხარჯებს. ასეთ შემთხვევაში საწარმო იძულებულია წარმოების მოცულობა შეკვეცოს, ადრე გაკეთებული დანაზოგები გამოიყენოს, ან ვალი აიღოს. ზოგჯერ ინდივიდუალურ კერძო საწარმოებსა და ამხანაგობებს უხდებათ მესაკუთრეთა შენატანების გაზრდა, ხოლო სააქციო კომპანიებს დამატებითი აქციების გამოშვება.

სააქციო საზოგადოებები თავიანთ კაპიტალდაბანდებებს 30%-ზე მეტად აფინანსებენ ნასესხები სახსრებიდან და 4-5%-ით დამატებით გამოშვებული აქციებიდან.

როცა საწარმო ვალს იღებს, იგი ვალდებულებას კისრულობს მიღებული (ნომინალური) თანხის განსაზღვრულ დროში დაბრუნებაზე. ამ თანხას ემატება მისი გარკვეული პროცენტი პრემიის სახით – დათქმულ ვადაში ფულის გამოყენების უფლებისათვის. აღნიშნულ ოპერაციას დაკრედიტება ეწოდება.

მოკლევადიანი დაკრედიტება

კომერციული კრედიტი. გაიცემა ერთი საწარმოს მიერ მეორეზე. ასეთ შემთხვევაში, შემკვეთი საწარმო ამოწერს სავალო დოკუმენტს – ვექსილს, რომლის თანახმად იგი ვალდებულებას იღებს გადახდა განახორციელოს დათქმულ ვადაში.

საბანკო კრედიტი- ბანკის მიერ აკუმულირებული თავისუფალი ფულადი სახსრებისა და საკუთარი კაპიტალის ნაწილის გაცემა დროებით სარგებლობაში..

კომერციული ფასიანი ქაღალდები.

გრძელვადიანი დაკრედიტება

საწარმოები გრძელვადიან დაკრედიტებას მიმართავენ ძვირადღირებულ კაპიტალდაბანდებათა დაფინანსებისათვის – შენობის აგებისათვის, მოწყობილობების შეძენისათვის და ა.შ. ასეთი კრედიტი ერთ წელზე მეტი ვადით გაიცემა ბანკებისა და სხვა საფინანსო დაწესებულებების მიერ.

კრედიტი შეიძლება გაიცეს "პატიოსან სიტყვაზე". მას უწოდებენ არაუზრუნველყოფილ სავალო სესხს. ნაკლებად ცნობილ მსესხებელზე გრძელვადიანი კრედიტი გაიცემა მხოლოდ გირაოთი.

გრძელვადიანი სესხის ასეთ სახეს ეწოდება უზრუნველყოფილი. გრძელვადიანი დაკრედიტების განსაკუთრებული ფორმა შეუძლია გამოიყენოს ღია ტიპის სააქციო საზოგადოებას. იგი უფლებამოსილია გამოუშვას სპეციალური საკრედიტო ფასიანი ქაღალდები – ობლიგაციები.

ღია ტიპის სააქციო საზოგადოების დაფინანსების წყაროები

აქციები და ობლიგაციები ფასიანი ქაღალდების ძირითადი სახეებია. მათ შორის მთავარი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ აქციების მფლობელი სააქციო საზოგადოების თანამესაკუთრეა, ხოლო ობლიგაციებისა (როგორც სავალო დოკუმენტის მფლობელი) – მისი კრედიტორი.

აქციები

იმისათვის, რათა განვახორციელოთ აქციების საჯარო გამოშვება (ემისია), საწარმო ვალდებულია გასცეს სრული ინფორმაცია თავის ფინანსურ მდგომარეობაზე და ამის შემდეგ მიიღოს მის გამოშვებაზე ოფიციალური თანხმობა. ჩვეულებრივ, კომპანიისაგან ითხოვენ მონაცემებს მის ნაღდ საშუალებებზე (აქტივებზე), ვალებზე, მოგებასა და ზარალზე ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ასევე ყველა ადრე გამოშვებულ ფასიან ქაღალდებსა და მათ პირობებზე.

ნებართვის მიღების შემდეგ საწარმო განაცხადს აკეთებს აქციების გამოშვებაზე და ავრცელებს მათ, როგორც წესი, საინვესტიციო ბანკის საშუალებით.

კერძო პირებზე აქციების პირველი გაყიდვა (ე.წ. პირველადი გავრცელება), მართალია, ნომინალურ ფასში წარმოებს, მაგრამ, როცა გამოშვება რამდენიმე თვის განმავლობაში ვრცელდება და ფასების საერთო მატება მაღალია, მაშინ აქციის გასაყიდი ფასიც იცვლება და ყოველთვიურ მატებას განიცდის ნომინალთან მიმართებაში.

აქციები გამოდის როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო.

უნაღდო ფორმის აქციების გამოშვება ხდება არა სპეციალური მოწმობის ან სერთიფიკატის სახით, არამედ უნაღდოდ, ანგარიშზე ჩაწერით, რომელიც იხსნება აქციონერის სახელზე.

სააქციო საზოგადოებას შეუძლია გამოუშვას, როგორც სახელობითი აქციები (მფლობელის სახელი ჩაიწერება აქციის სარეგისტრაციო წიგნში), ისე, აქციები წარმომდგენზე – როცა მფლობელის სახელი არ რეგისტრირდება.

ზოგჯერ ამტკიცებენ, რომ საბალანსო ფასი ტოლია იმ თანხისა, რომელსაც აქციონერი ღებულობს საწარმოს გაკოტრების შემთხვევაში. მაგრამ ასეთ სიტუაციაში სააქციო საზოგადოების ქონების გაყიდვა, როგორც წესი, ხორციელდება იმაზე მნიშვნელოვნად ნაკლებ ფასებში, რაც დაფიქსირებულია საბუღალტრო ჩანაწერებში (წიგნში). ამიტომ იმის

იმედი, რომ ჩვეულებრივი აქციის მფლობელი უკან დაიბრუნებს მის შეძენაზე დახარჯულ ფულს – ძალზე მცირეა.

პრივილეგიური აქციები ჩვეულებრივისაგან, უპირველეს ყოვლისა, იმით განსხვავდება, რომ მათზე დივიდენდების გაცემა გათვალისწინებულია პირველ რიგში – ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდების გაცემამდე, ხოლო კომპანიის ლიკვიდაციის შემთხვევაში, ასევე, პირველ რიგში ხდება მის მფლობელზე ქონებრივი წილის (დაბანდებული კაპიტალის) დაბრუნება.

პრივილეგიური აქცია, როგორც წესი, ხმის უფლებას არ იძლევა აქციონერთა საერთო კრებაზე (A) ტიპის პრივილეგიური აქცია), მაგრამ მათგან განსხვავებით არსებობს ე.წ. "ოქროს აქციები", რომელთა მფლობელს ვეტოს უფლებას აძლევს აქციონერთა საერთო კრებაზე გადაწყვეტილების მიღებისას.

არსებობს პრივილეგიური აქციების რამდენიმე სახე. აშშ-ში მეტად გავრცელებულია ე.წ. კუმულაციური აქციები, რომლებიც ითვალისწინებენ დივიდენდის დაგროვებას.

უფრო იშვიათად ხდება პრივილეგიური აქციების გამოშვება, რომელიც დამატებითი დივიდენდების მიღების საშუალებას იძლევა.

არსებობს პრივილეგიური აქციების კიდევ ერთი ტიპი - კონვერტირებადი აქციები, რომლებიც შეიძლება გადაიცვალოს ჩვეულებრივ აქციებზე სპეციალურად დადგენილი კურსის ან თანაფარდობის მიხედვით დროის განსაზღვრულ პერიოდში.

დაფარვაზე წარსადგენი აქციები, რომელთაც უშვებენ გარკვეული ვადით, რის შემდეგ ხდება მათი გამოსყიდვა პრინციპით: ნომინალს პლიუს 5-10%. ბუნებრივია, რომ გამოსყიდვის შემდეგ აქცია უფლებას კარგავს დივიდენდის მიღებაზე.

ობლიგაციები

ობლიგაცია, ეს ვალდებულებაა – ერთგვარი სავალო ხელწერილი. აქციებისაგან ობლიგაციების მთავარი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ აქციონერი წარმოადგენს საწარმოს თანამესაკუთრეს, ხოლო ობლიგაციის მფლობელი მის კრედიტორს.

აქციონერის რისკი უფრო მაღალია, რადგან საწარმოს გაკოტრების შემთხვევაში მან შეიძლება დაკარგოს აქციებში ჩადებული მთლიანი თანხა. ობლიგაციების მფლობელი, როგორც კრედიტორი, დავალიანების გასტუმრების უპირატესი უფლებით სარგებლობს. ამ თვალსაზრისით, ობლიგაცია უფრო საიმედოა ("დაცული" კაპიტალდაბანდებაა), ვიდრე ჩვეულებრივი ან თუნდაც პრივილეგიური აქცია.

ობლიგაციაც რამდენიმე სახის არსებობს. უზრუნველყოფის ხერხის მიხედვით განასხვავებენ არაუზრუნველყოფილ ობლიგაციებს და ობლიგაციებს, რომელიც გამოდის სააქციო საზოგადოების გირაოს ქვეშ. გარდა ამისა, მათ მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს შემოსავლიანობის პროცენტი და დაფარვის ვადა.

როგორ განსაზღვრავენ ობლიგაციის საბაზრო ფასს? ახალი გამოშვების ობლიგაცია, პირველი გავრცელების აქციის მსგავსად, ნომინალის მიხედვით იყიდება. ამასთან, მისი წლიური პროცენტული შემოსავალი არ შეიძლება იმაზე ნაკლები იყოს, რაც ამ მომენტისათვის საბანკო ანგარიშზე არსებობს. წინააღმდეგ შემთხვევაში მას არავინ შეიძენს, რადგან ბევრად უკეთესი იქნება ფულის ბანკში ჩადება და უფრო მაღალი წლიური პროცენტის მიღება.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი

აქციები და ობლიგაციები დაფინანსების პოპულარული საშუალება გახდა იმის მეოხებით, რომ მათი გაყიდვა იოლად შეიძლება, თუკი ამას მათი მფლობელები საჭიროდ ჩათვლიან. მათ ყიდიან და ყიდულობენ სპეციალურად ორგანიზებულ ბაზარზე, რომელიც საფონდო ბირჟის სახელს ატარებს. დღეისათვის არსებობს ასეთი ბაზრის ორი ძირითადი ტიპი – საბირჟო და ბირჟისგარეშე.

საფონდო ბირჟა

ბირჟა მკაცრ კონტროლს აწესებს, რათა ვერც ერთმა მყიდველმა ან გამყიდველმა ვერ შეძლოს ფასების დიქტატი. აქ ყველა გარიგება დგება ღია ვაჭრობის წესით და ყოველ მათგანზე გაიცემა სრული ინფორმაცია. თავდაპირველად ეს ფიქსირდება ელექტრონულ ტაბლოზე, შემდეგ ქვეყნდება პრესაში.

როგორც ამტკიცებენ, პირველი ბირჟა აღმოცენდა 1406 წ. ჰოლანდიის ქალაქ ბრიუგეში, ვინმე შეძლებული კაცის ვან დერ ბურსის სახლის მახლობლად.

საფონდო ბირჟები თავიდან არსებობდნენ სასაქონლო ბირჟების განყოფილებების სახით. შემდგომში ფასიანი ქაღალდების ბაზრები ჩამოყალიბდა დამოუკიდებლად, იმის კვალობაზე, თუ როგორ იზრდებოდა ბრუნვაში არსებული ასეთი ქაღალდების რაოდენობა.

არსებობს ცენტრალური ბირჟა- ქვეყნის მსხვილ სააქციო კომპანიათა ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის არენა და ასევე, რეგიონალური ბირჟები, სადაც განხორციელებულია ამ რეგიონის სააქციო საზოგადოებათა აქციებისა და ობლიგაციების ყიდვა-გაყიდვა. ყველა კომპანიას არა აქვს უფლება ბირჟაზე გაყიდოს თავისი ფასიანი ქაღალდები. ასეთი უფლების მოპოვებისათვის (ანუ ბირჟაზე რეგისტრაციისათვის) კომპანია უნდა პასუხობდეს მთელ რიგ მკაც მოთხოვნებს: ფლობდეს მსხვილ კაპიტალს, გამოუშვას განსაზღვრული რაოდენობის აქციები, რიგი ბოლო წლების განმავლობაში მუშაობდეს მოგებაზე და ა.შ. ის სააქციო საზოგადოებები, რომლებიც ამგვარ მოთხოვნებს არ პასუხობენ, თავიანთ აქციებსა და ობლიგაციებს ყიდიან არა ბირჟაზე, არამედ ბირჟისგარეშე ბაზარზე, ანუ სპეციალიზებული საშუამავლო ფირმების საშუალებით.

ბირჟის გარეშე ბაზარი

ბირჟის გარეშე ბაზრის ზომა მნიშვნელოვნად განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. ასე, მაგ., აშშ-ში, ოპერაციების ღირებულებითი მოცულობის მიხედვით, იგი პრაქტიკულად გაუტოლდა ნიუიორკის საფონდო (ცენტრალური) ბირჟის ბრუნვას.

ბირჟისგარეშე ბაზარზე, კლიენტი შეკვეთას აძლევს საშუამავლო ფირმას (ანუ სხვანაირად, დილერს).

თუ დილერს ეს აქციები არ გააჩნია, მაშინ იგი მას კლიენტისათვის იძენს სხვა დილერისაგან. საშუამავლო ფირმებს შორის გარიგებაში ასეთ ფასს საბითუმო ფასი, ანუ შიდა ფასი ეწოდება – განსხვავებით საბოლოო, ანუ საცალო ფასისა, რომლითაც იგი კლიენტს მიეყიდება. შესაბამისად, საცალო ფასზე წანამატი დგება შიდა ფასის მიმართ.

როგორ თამაშობენ ბირჟაზე

ბირჟა ხშირად განიმარტება როგორც "ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზარი". მასზე წარმოებს, უპირატესად, ადრე ნაყიდი ფასიანი ქაღალდების გაყიდვა (გადაყიდვა), რომლებიც შეადგენენ ყველა გამოშვებული აქციებისა და ობლიგაციების მცირე ნაწილს.

არსებობს ბირჟის თამაშების ორი სახე: აწევაზე და დაწევაზე.

აწევაზე მოთამაშეები ბირჟის ჟარგონით იწოდებიან ხარებად.

მოთამაშის ოპერაციები დაწევაზე, რომელიც დათვის სახელითაა ცნობილი, უფრო რთულია. იგი შედგება არა ორი, არამედ არაუმცირეს სამი ეტაპისაგან. პირველი ნაბიჯია – ფასიანი ქაღალდების აღება სესხად, მეორე - მათი გაყიდვა, მესამე – ადრე გაყიდული ფასიანი ქაღალდების შესყიდვა და ისევ გამსესხებლისათვის უკან დაბრუნება. სხვა სიტყვებით, "დათვი" მოქმედებს საწინააღმდეგო წესით და, ერთი შეხედვით, ჯანსაღი აზრის საპირისპიროდაც კი. თუ "ხარი" თავიდან ყიდულობს და შემდეგ ყიდის, "დათვი" პირიქით – ჯერ ყიდის და მერე ყიდულობს. დაწევაზე თამაშის წესი შემდეგში მდგომარეობს. ყიდის რა ფასიან ქაღალდებს მიმდინარე კურსით, "დათვი" იმედოვნებს რომ შემდეგში მას იყიდის უფრო დაბალ ფასებში. სწორედ სხვაობა გასაყიდ და შესასყიდ ფასებს შორის შეადგენს მის მოგებას.

თამაშის აწევასა და დაწევაზე – ეს არის საბირჟო ოპერაციების ორი ძირითადი ფორმა, მაგრამ ორთავე არსებით სახეცვლილებას განიცდის გარიგების ანაზღაურების პირობების მიხედვით: ანაზღაურება ხდება გარიგებისთანავე (პრაქტიკულად ერთი ორი დღის განმავლობაში), თუ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ. პირველი ტიპის გარიგებას ეწოდება საკასო, რომელმაც ფართო გავრცელება მიიღო აშშ-ში. მეორე რიგის გარიგება ცნობილია როგორც ვადიანი და ხშირად გამოიყენება ევროპაში.

დანართი ა

"კრედიტი, წმინდა ეკონომიურის თვისების, იმისთანა რამ არის, რომლის ძალითაც ფული ერთის ხელიდამ მეორეში გადადის მარტო იმ აზრით, რომ ეკონომიური წარმოება განაძლიეროს".

"...საჭიროა ავხსნათ, რა არის კრედიტი.

ჩვენ ხშირად ვხედავთ, რომ ფულიანი და უფულო ერთმანეთში გარიგდებიან ასე, რომ ერთი მეორეს ფულს ასესხებს. მაგგვარი გარიგება მოხდება მაშინ, როცა გამრიგებელთ შორის ნდობაა. აი მაგ ნდობას, რომლის მეოხებითაც ფული ერთის ხელიდამ მეორეში სესხად გადააქვს და რომელსაც გარიგება და პირობა ზედ დაჰყვება ხოლმე, ჰქვიან კრედიტი.

ეკონომიური საგანი კრედიტისა განსაკუთრებით ის არის, რომ იგი უსათუოდ უნდა მოიხმაროს კაცმა ეკონომიურის წარმოების წარმატებისათვის. კრედიტი მხოლოდ ამით შეიქმნება ერთ იმ ეკონომიურ ღონედ, რომლის მეოხებითაც ქვეყნის ნივთიერი კეთილდღეობა და სიმდიდრე მატულობს. მაშასადამე, კრედიტი, წმინდა ეკონომიურის თვისების, იმისთანა რამ არის, რომლის ძალითაც ფული ერთის ხელიდამ მეორეში გადადის მარტო იმ აზრით, რომ ეკონომიური წარმოება განაძლიეროს. ეგ წარმოების გაძლიერება ერთის მხრით ეკონომიური მიზანია კრედიტისა, და მეორეს მხრით მხოლოობითი ეკონომიური სახსარიც არის კრედიტით ნაშოვნი სესხის გადახდისა.

რადგანაც ეკონომიური წარმოება და მასთან შეკავშირებული ქონება სხვადასხვაგვარია, ამის გამო სხვადასხვაგვარი კრედიტიც არის."

ილია ჭავჭავაძე

დანართი ბ

„ფინანსური დაწესებულება იგია, რომელიც განაგებს „ფინანსებს“. . . სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის საქმეებს“.

„ფინანსური დაწესებულება იგია, რომელიც განაგებს „ფინანსებს“, ესე იგი სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის საქმეებს. რა აქვს საერთო სათავადაზნაურო ბანკს „ფინანსურ დაწესებულებასთან? სრულიად არაფერი. ბანკი საკრედიტო დაწესებულებაა და „ფინანსურ დაწესებულებასთან“ ისეთივე მსგავსება აქვს, როგორც ზღვასა და ხმელეთს, წყალსა და ცეცხლსა“. აქაო და ჩვენებურს ბანკს ფინანსები აქვს, ანუ, როგორც ლექსიკონი ამბობს, ფულად გამოხატული ნივთიერი მდგომარეობა, და ნუთუ ამით ჰხდით მას „ფინანსურ“ დაწესებულებად?“

ილია ჭავჭავაძე

კითხვები გამეორებისთვის

1. დაახასიათეთ საწარმოს დაფინანსების წყაროები.
2. განმარტეთ და დაახასიათეთ საწარმოს ნასესხები სახსრები.
3. დაახასიათეთ ღია ტიპის სააქციო საზოგადოების დაფინანსების წყაროები.
4. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზოგადი დახასიათება.

მეცხრე თავი
კონკურენცია და მისი მნიშვნელობა

განსახილველი საკითხები:

- **სრულყოფილი კონკურენცია**
- **მონოპოლიის არსი და მახასიათებლები**
- **არასრულყოფილი კონკურენციის სახეობანი**
- **მონოპოლისტური კონკურენცია**
- **ოლიგოპოლია**
- **მონოპსონია და ოლიგოპსონია**
- **ეფექტიანობა და ბაზრის სტრუქტურის სხვადასხვა ტიპები**
- **არასრულყოფილი კონკურენციის თეორიის შემქმნელები – ჯოან რობინსონი (1903-1983) და ედვარდ ჩემბერლინი (1899-1967)**
- **ბაზრის ძირითადი ტიპების მოკლე დახასიათება**

კონკურენცია და მონოპოლია

ჩვენს მიერ უკვე აღწერილი საფონდო ბაზარი ახლოსაა სრული (თავისუფალი) კონკურენციის მოდელთან. მაგრამ არსებობს სხვა მოდელებიც – არანაკლებ მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროცესების გაგებისთვის.

ბაზარს, როგორც მყიდველებისა და გამყიდველების ურთიერთმოქმედების სფეროს, შეიძლება გააჩნდეს (როგორც ეკონომისტები ამბობენ) სხვადასხვა სტრუქტურა.

რა რაოდენობის მყიდველი და გამყიდველია მასში წარმოდგენილი და როგორ ურთიერთმოქმედებენ ისინი: ერთნაირია თუ არა მათი ძალისხმევა და გავლენა საბაზრო ფასის ფორმირებაზე; ბაზარზე ფასების დიქტატი ხელეწიფება ერთ მათგანს თუ რამდენიმეს ერთდროულად.

განასხვავებენ ბაზრის სტრუქტურის შემდეგ ტიპებს: ***სრულ კონკურენციას, მონოპოლიას, მონოპოლისტურ კონკურენციას, ოლიგოპოლიას, მონოპსონიას და ოლიგოპსონიას.***

სრული კონკურენცია

ამ მოდელის თანახმად, საბაზრო ფასების ფორმირება ხდება მხოლოდ მოთხოვნა-მიწოდების კანონის ზემოქმედებით. სრული კონკურენცია შემდეგ პირობებს გულისხმობს:

1. უამრავი დამოუკიდებელი მყიდველისა და გამყიდველის არსებობას, რომელთაგან არც ერთს არ შეუძლია თავიანთი ფასების დიქტატი;
2. ბაზარზე იდენტური საქონლის გამოტანას (ასეთ დროს მყიდველისათვის სულ ერთი ხდება თუ კონკრეტულად ვისგან შეიძენს საქონელს);
3. ყველა გამყიდველისა და მყიდველისათვის საქონლის ფასებზე სრული ინფორმაციის არსებობას;
4. იმ შეზღუდვების გამორიცხვას, რაც ხელს შეუშლის ბაზარზე ახალი მყიდველების (ფირმების) გამოჩენას.

რეალურ ცხოვრებაში ძალზე მცირერიცხოვანი (საფონდო და სასაქონლო) ბაზრებია ამგვარად ორგანიზებული და მხოლოდ მიახლოებით აკმაყოფილებენ ამ პირობებს.

მონოპოლია

მონოპოლია სრული კონკურენციის საპირისპირო მოდელია. ზუსტად რომ ვთქვათ, ***მონოპოლია ბაზარზე არსებობს მხოლოდ იქ და მაშინ, სადაც ერთი გამყიდველია, რომლის საქონელს (ან მომსახურებას) ახლო შემცვლელი არ გააჩნია.***

სრული კონკურენციისაგან განსხვავებით მონოპოლიისათვის დამახასიათებელია შემდეგი პირობები:

1. ერთი მონოპოლისტი-გამყიდველის არსებობა;
2. პროდუქციის შემცვლელის უქონლობა (მონოპოლისტის საქონელი უნდა განსხვავდებოდეს სხვა ფირმების მიერ დამზადებული საქონლისაგან);
3. ბარიერების არსებობა, რომლებიც ხელს უშლიან ასეთივე საქონლის დამამზადებლების ბაზარში შეღწევას.

საბაზრო ფასი მონოპოლიის პირობებში

მოთხოვნისა და მიწოდების კანონი, რომელიც სრული კონკურენციის პირობებში საბაზრო ფასებს განსაზღვრავს, მოქმედებს მონოპოლიის შემთხვევაშიც, მაგრამ თავისებურად. სრული კონკურენციისას საბაზრო ფასი დგება მოთხოვნა-მიწოდების მრუდების გადაკვეთის წერტილის მიხედვით. ამასთან, მოთხოვნისა და მიწოდების მრუდები ასახავენ გამყიდველებისა და მყიდველების "კოლექტიურ გონებას", რომლის თანახმად, არც ერთ მათგანს ფასების დიქტატი არ შეუძლია.

მონოპოლიის პირობებში მოთხოვნა ასევე მომხმარებელთა "კოლექტიური გონებით" განისაზღვრება და გამოიხატება მოთხოვნის მრუდით. მაგრამ, რადგანაც არსებობს მხოლოდ ერთი გამყიდველი, ამიტომ მას შეუძლია მიწოდება მთლიანად აკონტროლოს. ეს შესაძლებლობას აძლევს მას დააწესოს ნებისმიერი ფასი, მაგრამ საქონლის რაოდენობა, რომლის გაყიდვასაც იგი ამ ფასად შესძლებს მაინც მოთხოვნის კანონზე იქნება დამოკიდებული. სხვა სიტყვებით, მონოპოლისტი ფასს შეირჩევს მოთხოვნის მრუდზე, ეს კი განსაზღვრავს საქონლის მოცულობას, რომლის რეალიზაციაც შესაძლებელი ხდება ყოველი ფასის შესაბამისად.

როგორი ფასი შეუძლია დააწესოს მონოპოლისტმა თავის საქონელზე თუ ეს ფასი ყველა შესაძლო ფასზე მაღალი იქნა, მაშინ მასზე მოთხოვნა მინიმუმამდე დავა და საქონლის მცირე რაოდენობა გაიყიდება. თუ მონოპოლისტი ძალზე დაბალ ფასს დააწესებს, მაშინ მოთხოვნა მკვეთრად გაიზრდება და იგი ბევრ საქონელს გაყიდის. მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, მოგება მცირე იქნება. ამიტომ მონოპოლისტი შეეცდება მოთხოვნის მრუდზე ისეთი ფასი შეარჩიოს, რომელიც მას მაქსიმალურ მოგებას მოუტანს. აქედან გამომდინარე, იგი იხელმძღვანელებს სტანდარტული წესით: მოგება მაქსიმალურია, როცა ზღვრული შემოსავალი ზღვრული დანახარჯების ტოლია. ეს სიტუაცია წარმოვიდგინოთ გრაფიკის სახით, რომელზეც მოცემულია: მოთხოვნის (C), ზღვრული დანახარჯების (S) და ზღვრული შემოსავლების მრუდები. S და D მრუდების გადაკვეთის P წერტილში ზღვრული შემოსავალი ზღვრული დანახარჯების ტოლია.



ნახ. 9.1 საბაზრო ფასი მონოპოლიის პირობებში

თუ ამ წერტილზე ორდინატას პარალელურ წრფეს გავატარებთ, მაშინ იგი აბცისების ღერძს გადაკვეთს წერტილში, ხოლო მოთხოვნის C მრუდს R წერტილში. ფირმისათვის OH მონაკვეთი წარმოების იმ ოპტიმალურ მოცულობას შეესაბამება, რომელზეც ზღვრული დანახარჯები ზღვრული შემოსავლის ტოლია, ხოლო საერთო მოგება –მაქსიმალური სიდიდისა. გასაყიდი მოცულობის ამ მნიშვნელობას მოთხოვნის მრუდზე შეესაბამება R წერტილი. ეს იმას ნიშნავს, rom OH მოცულობის (რაოდენობის) პროდუქციის რეალიზაცია შესაძლებელია A (ან, რაც იგივეა - HR) ფასში.

იმათთვის, ვისაც ჯერ-ჯერობით ვერ გაუცნობიერებია ზღვრული სიდიდეებისა და გრაფიკების საშუალებით ანალიზის გაკეთების მოხერხებულობა, მოვიყვანთ ჩვეულებრივ რიცხვით მაგალითს.

დავუშვათ, რომელიღაც ფარმაცევტულ კომპანიას გავრცელებული დაავადების მკურნალობისათვის გააჩნია მეტად ეფექტური საშუალების წარმოების მონოპოლიური უფლება. ამ ახალი პროდუქტის გამოშვების დაწყებამდე, ფირმის სპეციალისტები აკეთებენ ბაზრის ანალიზს და ადგენენ ფასების, ხარჯებისა და შემოსავლების ცხრილს.

ცხრილი 9.1
ფირმის ხარჯები და შემოსავლები სამკურნალო პრეპარატის
სხვადასხვა ფასებისას

1 ცალი კოლოფის ფასი (ლარი)	მოთხოვნა (ათასი ცალი)	საერთო შემოსავალი (ათასი ლარი)	წარმოების დანახარჯები (ათასი ლარი)	მოგება რეალიზაციიდან (ათასი ლარი)
50	5	250	600	-350
40	25	1000	850	150
30	125	3750	2000	1750
20	275	5500	5000	500
10	600	6000	8000	-2000

ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, ყველაზე მაღალი და ყველაზე დაბალი ფასების შემთხვევაში კომპანია ზარალს განიცდის. მაქსიმალური (1ml 750 ლარი). მოგება მიიღება მაშინ, როცა 1 ცალი კოლოფის ფასი 30 ლარია. სწორედ ეს ფასი შეიძლება იყოს რეკომენდირებული, როგორც ოპტიმალური, მონოპოლიის პირობებში.

კანონით ნებადართული მონოპოლიის სახეები

ერთი მონოპოლისტის განუყოფელი ბატონობა ბაზარზე კანონმდებლობით აკრძალულია, პრაქტიკულად, ყველა ქვეყანაში. მაგრამ მონოპოლია, არსებული თეორიის საპირისპიროდ, შეიძლება არსებობდეს მაშინაც კი, როცა ბაზარზე რამდენიმე გამყიდველია, მაგრამ ერთ-ერთ მათგანზე მოდის წარმოების ლომის (მომეტებული) წილი. ამ შემთხვევაში, ძირითადი მწარმოებელი, არსებითად, მონოპოლისტია და ბაზარს იგი კარნახობს თავის ფასებს. ასე, მაგ., როგორც ცნობილი პროფესორი მარინა მაშინა აღნიშნავს, XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მეტალურგიული მრეწველობის პროდუქციის 80% მონოპოლიზებული იყო სინდიკატის "პროდამეტ"-ის მიერ, რომელიც აერთიანებდა 30 მეტალურგიულ საწარმოს. მე-19 საუკუნის ბოლოს აშშ-ში შაქრის წარმოების 90%-ს აკონტროლებდა ერთადერთი ფირმა "ამერიკან შუგარ რეფაინინგ კომპანი". დღემდე გიგანტური საწარმოები, რომლებზეც მოდის ცალკეული საქონლის წარმოების უმეტესი წილი, შენარჩუნებულია ბევრ ქვეყანაში და მათ შორის რუსეთშიც, თუმცა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა მნიშვნელოვნად ზღუდავს მათ დიქტატს ბაზარზე. მონოპოლისტი საწარმოების მიერ ცალკეულ სახეობათა პროდუქციის წარმოების მასშტაბებზე წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 9.2.

ცხრილი 9.2

ცალკეულ სახეობათა პროდუქციის წარმოება მონოპოლისტი საწარმოების მიერ 1992 წელს

საწარმოთა დასახელება	ნაწარმის დასახელება	პროცენტული წილი რესპუბლიკის წარმოებაში
"ავტოვაზი"	მსუბუქი მანქანები	70
"იუმაში"	მოტოციკლები	58
ტულის საავტომობილო ქარხანა (რიაბიკოვის სახელობის)	მოტოროლერები	100
სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება "ელექტრონიკა"	ვიდეომაგნიტოფონები	44
ფაბრიკა "სვობოდა"	ტუალეტის საპონი	32

როგორც წესი, საზოგადოებრივი აზრი მონოპოლიასთან მიმართებაში ნეგატიურია. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ სფეროში მას გვერდს ვერ ავუვლით. ამიტომ, პრაქტიკულად, ყველა ქვეყანაში არსებობს სპეციალური კანონმდებლობით ნებადართული მონოპოლია, რომელიც რომელიმე მწარმოებელს გამონაკლის უფლებას ანიჭებს.

ასეთებია, პირველ რიგში:

სახელმწიფო მონოპოლია – ბაზარზე მონოპოლიური უფლების მქონე სახელმწიფო დაქვემდებარების საწარმოები. მათ რიცხვს მიეკუთვნება: საფოსტო სამსახური, სარკინიგზო კავშირი და ა.შ. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სახელმწიფო საწარმოები მონოპოლისტები ხდებიან ისეთი საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე, რომელიც აუცილებელია მოსახლეობისათვის, მაგრამ არამიმზიდველი (არასარგებლიანი) კერძო მეწარმეთათვის – დიდი დანახარჯებისა და დაბალი შემოსავლების გამო;

ბუნებრივი მონოპოლია – მონოპოლია ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციაზე. მათ რიცხვშია კომუნალური მომსახურების სფეროში ფუნქციონირებადი საწარმოები (წყლის, გაზისა და ელექტრომომსახურება – ყოველ ცალკეულ რეგიონში).

ბუნებრივ მონოპოლიას მიეკუთვნება, აგრეთვე, სატელეფონო და სატელევიზიო სამსახური. წარმოვიდგინოთ ასეთი სიტუაცია: თქვენს რაიონში მოქმედებს რამდენიმე ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფი სატელეფონო კომპანია. მაშინ, იმისათვის, რომ სამ მეგობარს დაურეკოთ, რომლებიც სხვადასხვა კომპანიებთან არიან ჩართული, თქვენ სამი სხვადასხვა აპარატი დაგჭირდებათ ან სხვადასხვა კოდის ცოდნა მაინც. მსგავსი გართულებების (და არეულ-დარეულობის) თავიდან აცილების მიზნით თითოეულ რეგიონში სატელეფონო მომსახურებაზე კანონმდებლობით მონოპოლიური უფლება მინიჭებული აქვს რომელიმე ერთს.

პატენტები, საავტორო უფლება, სავაჭრო მარკები – ასევე, კანონმდებლობით მინიჭებული მონოპოლიაა, პატენტი გამომგონებელს აძლევს განსაკუთრებულ უფლებას საკუთარი გამოგონების გამოყენებაზე განსაზღვრული დროის განმავლობაში. ყველას, ვისაც კი სურვილი აქვს ისარგებლოს დაპატენტებული გამოგონებით, დასჭირდება სპეციალური ნებართვის მიღება - ლიცენზიის შეძენა, რისთვისაც გარკვეული საზღაური უნდა გადაიხა-

დოს. ასე, მაგ., უნგრელმა გამომგონებელმა ერნო რუბიკმა ლიცენზია 17 წლით მიჰყიდა ამერიკულ კორპორაციას "ტოი კორპორეიშენ"-ს, ამჟამად მსოფლიოში ცნობილი სათამაშოს "კუბიკ რუბიკის" წარმოებაზე. ანალოგიურად, საავტორო უფლება იცავს მწერლების, კომპოზიტორების, მხატვრების უფლებას. მათი ნაწარმოებები, უმრავლესი ქვეყნების კანონმდებლობის თანახმად, არ ექვემდებარება რეპროდუქციას ან გადმობეჭდვას არა მარტო ავტორის სიცოცხლეში, არამედ მისი გარდაცვალებიდან 50 წლის განმავლობაში.

ცნობილი კომპანიები თავიანთ ნაწარმზე აკეთებენ სპეციალურ ე.წ. სავაჭრო ნიშანს მწარმოებლის იდენტიფიკაციისათვის. ავიღოთ, მაგ., სავაჭრო ნიშანი კომპანიისა "კოკა-კოლა კორპორეიშენ" - "Coca". სხვა კომპანიებს ეკრძალებათ თავიანთი ნაწარმის რეკლამისათვის გამოიყენონ ასეთი ან მისი მსგავსი სიმბოლო. ამ სავაჭრო ნიშნის ღირებულება დღეს ძალზე მაღალია. სიმბოლოს მხოლოდ ოთხი ასო - "Coca" შეფასებულია 24 მლრდ. დოლარად, რაც სამჯერ აღემატება ფირმის წლიური რეალიზაციიდან ამონაგებს.

რა "ზიანი" მოაქვს მონოპოლიას?

არსებობს რამდენიმე გარემოება, რის გამოც საზოგადოებრივი აზრი უარყოფითია მონოპოლიის მიმართ და მთავრობაც ცდილობს იგი შეზღუდოს.

1.საბაზრო ფასები მონოპოლიის პირობებში პრაქტიკულად ყოველთვის უფრო მაღალია, ვიდრე კონკურენციის პირობებში. დავუბრუნდეთ ჩვენს მაგალითს სამკურნალო პრეპარატის დამზადების შესახებ. როცა მონოპოლისტი 1 კოლოფზე მისთვის ყველაზე მომგებიან ფასს - 30 ლარს აწესებს, მას ამ ფასად შეუძლია 125 ათასი ცალი კოლოფის რეალიზება და მაქსიმალური მოგების მიღება, რომელიც 1 მლ.750 ათასი ლარის ტოლია. თუ ბაზარზე მას კონკურენტი გამოუჩნდება, მაშინ ფასმა შესაძლებელია დაიწიოს (ვთქვათ) 20 ლარამდე, ხოლო ამ ფასში პრეპარატზე მოთხოვნამ 275 ათასი ცალი კოლოფი შეადგინოს. მართალია, ამ შემთხვევაში საწარმო ნაკლებ მოგებას მიიღებს, მაგრამ, სამაგიეროდ, მომხმარებლები მოიგებენ - ფასის შემცირების ხარჯზე დაკმაყოფილდება მეტი მოთხოვნა.

მონოპოლია განსაკუთრებით საშიშია პირველი მოთხოვნილების საგნების წარმოების სფეროში. რამდენადაც მათზე მოთხოვნა არაელასტიურია (ანუ უმნიშვნელოდაა ფასზე დამოკიდებული), მომხმარებლებს არ შეუძლიათ მნიშვნელოვნად შეამცირონ მოხმარების მოცულობა და იძულებულნი ხდებიან შეიძინონ იგი მომატებულ ფასებში.

2. ჯერ კიდევ XIX საუკუნის ეკონომისტები სამართლიანად აღნიშნავდნენ, რომ მონოპოლიის პირობებში მეწარმე ნაკლებ ეფექტურად და არარაციონალურად იყენებს წარმოების რესურსებს, ვიდრე მკაცრი კონკურენციის პირობებში მყოფი მეწარმე, რადგან, როცა კონკურენციაა, მაშინ ფასი დგება მხოლოდ მოთხოვნა-მიწოდების მოქმედებით და მეწარმის ნებაზე აღარაა დამოკიდებული რესურსების ეკონომია; წარმოების დანახარჯების შემცირება მისთვის უკვე სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი ხდება. მონოპოლისტს კი, გააჩნია რა საშუალება ბაზარს თავისი ფასები უკარნახოს, შეუძლია იმუშაოს არცთუ იმდენად მკაცრი ეკონომიის რეჟიმში; დააწესოს უფრო მაღალი ფასები და ამით საკუთარი დანახარჯების მთელი სიმძიმე მომხმარებლებზე გადაიტანოს.
3. მონოპოლიზაციას თავისი უარყოფითი შედეგები გააჩნია არა მარტო მომხმარებლებისა და საზოგადოებისათვის, მთლიანად, არამედ მოცემული (აღებული) დარგის მშრომელებისათვისაც. როცა ბაზარზე ერთი მსხვილი მეწარმე (ფირმა) ბატონობს,

მაშინ მუშებს სამუშაო ადგილების შერჩევის ნაკლები შესაძლებლობა რჩებათ. შრომის ანაზღაურების საშუალო დონეზე მეტად შემცირებისას, მუშას შეუძლია, კონკურენციის პირობებში, იპოვოს უფრო მაღალი ანაზღაურების სამუშაო სხვასთან – კონკურენტთან. მონოპოლიზაცია კი მას ამ უფლებას ართმევს.

4. ხშირად მონოპოლისტებს არც თუ უსაფუძვლოდ აკრიტიკებენ არასამართლიანი კონკურენციისათვის, რასაც ისინი წვრილი მწარმოებლების ე.წ. აუტსაიდერების მიმართ იჩენენ. მონოპოლისტს, ბაზარზე გაფართოების მიზნით, შეუძლია თავისი საქონლის ფასის დროებით შემცირებაზე წავიდეს. ასეთ დროს კონკურენტებიც იძულებულნი არიან იგივე გააკეთონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მოუწევთ ბაზარზე თავიანთი ადგილის დაკარგვა. ასეთ სიტუაციებში წვრილი მწარმოებლები ხშირად კოტრდებიან, მონოპოლისტს კი კონკურენტისაგან თავის დაღწევის შემდეგ შეუძლია არა მარტო ხელახლა ასწიოს ფასი თავდაპირველ დონეზე, არამედ მასზე ზევითაც კი.
5. და ბოლოს, ცნობილია მრავალი შემთხვევა გავლენიანი პოლიტიკური მოღვაწეების მოსყიდვისა მსხვილი კომპანიების მიერ, რომელთაც ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობა უკავიათ. მაგალითად, 1993 წელს დიდი აურზაური ატყდა იტალიაში კორუმპირებული პოლიტიკოსების მხილებასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი ასეთი კომპანია აღმოჩნდა "ლივეტტი". ამ კორპორაციის გამგეობის თავმჯდომარემ კარლო დე ბენედეტიმ აღიარა, რომ 80-იანი წლების განმავლობაში პოლიტიკურ და მაღალი თანამდებობის სახელმწიფო ჩინოვნიკებს ქრთამის სახით მისცა 20 მილიარდი ლირა. ამიტომ, შემთხვევითი არ იყო, რომ მისი კომპანიის შემოსავალი ამ პერიოდში ორჯერ მეტად გაიზარდა.

დროდადრო მსხვილი კომპანიები ახდენენ თვით კონკურენტი პრეტენდენტების საარჩევნო კომპანიების სუბსიდირებასაც კი იმ ვარაუდით, რომ ვინც არ უნდა გაიმარჯვოს, დახარჯული თანხები მაინც ასმაგად ანაზღაურდება.

არასრული კონკურენციის სახეები

პრაქტიკაში ჩვენ საქმე გვაქვს, უპირატესად, არასრულ კონკურენციასთან, რომელიც აერთიანებს სრული კონკურენციისა და მონოპოლიისათვის დამახასიათებელ თვისებებს. ეკონომისტები გამოყოფენ არასრული კონკურენციის ორ ტიპს – მონოპოლისტურ კონკურენციას და ოლიგოპოლიას.

მონოპოლისტური კონკურენცია

მონოპოლისტური კონკურენცია ბაზარია, სადაც მოქმედებს მრავალი მსგავსი, მაგრამ არაიდენტური საქონლის გამყიდველი.

კონკურენციის საფუძველს წარმოადგენს ის, რასაც ეკონომისტები პროდუქციისა და მომსახურების დიფერენციაციას ეძახიან.

თუ სრული კონკურენციის პირობებში აბსოლუტურად იდენტური საქონელი იყიდება, რეალურ ცხოვრებაში კონკურენცია არასრულია და საქმე გვაქვს მსგავს, მაგრამ არაიდენტურ საქონელთან.

ფასები მონოპოლისტური კონკურენციის პირობებში

მსგავსი საქონლის მწარმოებლები ერთმანეთს გააფთრებულ კონკურენციას უწევენ, მაგრამ მათი სრული კონკურენციისაგან განსხვავებით დამყარებულია არა ფასების დაწევაზე, არამედ მყიდველის დარწმუნებაზე მათი პროდუქტის განსაკუთრებულობაში.

მონოპოლისტური კონკურენციის მეტად გავრცელებული ფორმაა რეკლამა. მაგრამ ამ ძვირადღირებული მეთოდის გამოყენება საწარმოს ზოგჯერ მთელი ხარჯების 50% უჯდება.

ფასები მონოპოლისტური კონკურენციის პირობებში უფრო მაღალია, ვიდრე სრული კონკურენციის დროს, მაგრამ უფრო დაბალი, ვიდრე მონოპოლიური ფასებია.

მონოპოლისტური კონკურენცია-სიკეთე თუ ბოროტება?

პროდუქციის დიფერენციაციაზე დაფუძნებულ მონოპოლისტურ კონკურენციას ჰყავს როგორც თავისი მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგენიც. კრიტიკოსები, ჩვეულებრივ, მიანიშნებენ, რომ მონოპოლისტური კონკურენციის პირობებში რეკლამაზე გაწეული დიდი დანახარჯები იწვევს საქონლის ხელოვნურ გაძვირებას და მოსახლეობის ცხოვრების დონის დაწევას. ამ ფაქტის დასაბუთებისათვის გამოდგება შემდეგი მაგალითი. 1867 წლის მონაცემებით, აშშ-ში რეკლამაზე დაიხარჯა 50 მლ.დოლარი, 1900 წელს – 500 მლ. დოლარი, ხოლო 1985 წელს – 95 მილიარდი დოლარი. ეს უკანასკნელი ქვეყნის საშუალო განათლების სისტემაზე მაშინდელი ყოველწლიური დანახარჯების ნახევარს შეადგენდა.

მონოპოლისტური კონკურენციის მომხრენი კი, პირიქით, თვლიან, რომ იგი ხელს უწყობს სხვადასხვაგვარი საქონლის გამოშვებას და მომხმარებლების სხვადასხვა გემოვნებითი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ამასთან, რამდენადაც გემოვნებაზე არ დავობენ, ამიტომ ეს ცხოვრების დონის ამაღლებაზე მეტყველებს.

ოლიგოპოლია

ოლიგოპოლია ბაზარია, სადაც ბატონობს რამდენიმე მსხვილი მწარმოებელი (გამყიდველი). ტიპიური ოლიგოპოლისტური ბაზრები წარმოადგენს ფოლადის, ალუმინის, ავტომობილის, სიგარეტის და ა.შ. ბაზრებს, სადაც გამოშვების ძირითადი წილი მოდის რამდენიმე (ჩვეულებრივ 2-დან 5-მდე) მსხვილ მწარმოებელზე.

სტატისტიკაში, ბაზრის მონოპოლიზაციის ხარისხის გაზომვისათვის იყენებენ წარმოების კონცენტრაციის დონის მაჩვენებელს. იგი გვიჩვენებს პროდუქციის გამოშვების წილს, რომელიც მოდის რამდენიმე მსხვილ მწარმოებელზე (იხ. ცხრილი 9.3).

ცხრილი 9.3

წარმოების კონცენტრაციის დონე აშშ-ის დამმუშავებელი მრეწველობის ზოგიერთ დარგში, 1989 წელს

დარგი	ოთხი მსხვილი კომპანიის წილი დარგში,%
ავტომობილები	92
ორგანული ბოჭკო	77
სატელეფონო და სატელეგრაფო აპარატები	76
თვითმფრინავები	64
საავტომობილო ძრავები	61
სარეცხი საშუალება	60
სასოფლო-სამეურნეო მანქანები და მოწყობილობა	53

მსხვილ საწარმოთა ორგანიზაციული ფორმები ოლიგოპოლიისა და მონოპოლიის პირობებში

პირველ ფორმას **კარტელი** წარმოადგენდა, რომელიც ასევე მე-19 საუკუნის ბოლოს აღმოცენდა. ეს იყო რამდენიმე დამოუკიდებელი ფირმის შეთანხმება კონკურენციის შეწყვეტასა და ბაზარზე მონოპოლიის დაწესებაზე, რაც ითვალისწინებდა წარმოების მოცულობის შეზღუდვას და ერთიანი ფასების დაწესებას. თანამედროვე კარტელებიდან მეტად ცნობილია "ოპეკი"-ი ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნის ორგანიზაცია.

კარტელისაგან განსხვავებით, საწარმოთა გაერთიანების ისეთ ორგანიზაციულ ფორმას როგორიც **სინდიკატია,** საფუძვლად უდევს მათში შემავალი საწარმოების მომარაგებისა და გასაღების ცენტრალიზაცია, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მათ საწარმოო დამოუკიდებლობას.

საწარმოო დამოუკიდებლობას კარგავენ საწარმოები, რომლებიც ქმნიან **ტრესტს. პირველი ტრესტი ჩამოაყალიბა ჯინ დე როკფელერმა 1882 წელს,** სახელწოდებით "სტანდარტ ოილ კომპანი". აღრე ერთმანეთთან გააფთრებულ კონკურენციაში მყოფმა ორ-

მოცი ნავთობკომპანიის საკონტროლო პაკეტების მფლობელებმა (რომლებზეც მოდიოდა აშშ-ის ნავთობმოპოვებისა და ნავთობგადამუშავების 90%) გადაწყვიტეს თავიანთი აქციები გადაეცათ სანდო პირთა ჯგუფისათვის. სწორედ აქედან წარმოდგება მისი სახელწოდებაც – ტრესტი (ინგლისურად ტრუსტ ნიშნავს ნდობას). ნავთობკომპანიების აქციების ადრინდელმა მფლობელებმა სანაცვლოდ მიიღეს ახალი საწარმოს – ტრესტის ფასიანი ქაღალდები და ამის მიხედვით მოგების შესაბამისი წილი დივიდენდების სახით.

ტრესტები თავდაპირველად აღმოცენდნენ ერთ დარგში, მაგრამ შემდგომ თანდათან იწყეს გამოსვლა მისი ჩარჩოებიდან (კომბინირებული ტრესტი). ეს ხდებოდა ე.წ. ჰორიზონტალური კომბინირების გზით ანუ ძირითადი წარმოების თანამდევი პროდუქტების გამოყენებით სხვა სახის საქონლის გამოსაშვებად (იმ საქონლისა, რომელიც სხვა დარგს მიეკუთვნება) ან ვერტიკალური კომბინირებით, რაც გულისხმობს საწარმოთა გაერთიანებას, რომელიც ახორციელებს თანმიმდევრულ სტადიებზე პროდუქტის (მათ შორის სხვა დარგში შემავალი – მაგ., ჩაის ფხვნილიდან კოფეინის მიღება – თ.გ.) დამუშავებას.

სხვადასხვა დარგის (მრეწველობის, ტრანსპორტის, მომსახურების სფეროს, საფინანსო დაწესებულებების), მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებული სხვადასხვა საწარმოების გაერთიანება ქმნის **კონცერნს,** რომელიც ცენტრალიზებულს ხდის მართვას, მომარაგებას და გასაღებას, მაგრამ ინარჩუნებს მასში შემავალი საწარმოების საწარმოო დამოუკიდებლობას.

კონცერნის განსაკუთრებული სახეა კონგლომერატი, რომელიც აერთიანებს ერთმანეთთან კავშირში არამყოფ სხვადასხვა საწარმოებს. ისინი ინარჩუნებენ თავიანთ დამოუკიდებლობას წარმოების, მომარაგებისა და გასაღების საკითხებში და კონტროლს ექვემდებარებიან მხოლოდ რიგ მნიშვნელოვან ფინანსურ მაჩვენებლებზე.

კორპორაცია ნიშნავს გაერთიანებას. სამეწარმეო კორპორაციაში აქციონერების პასუხისმგებლობა განსაზღვრულია აქციებში გადახდილი თანხით. კორპორაცია ხასიათდება თავისებურებებით, რითაც განსხვავდება სააქციო საზოგადოებისაგან.

კონცერნი არის სხვადასხვა დარგის საწარმოების, სავაჭრო ფირმების, ბანკების, სატრანსპორტო და საფინანსო კომპანიების გაერთიანება მათი სამრეწველო და საბანკო კაპიტალის შერწყმის სახით.

კონსორციუმი ლათინური სიტყვაა და თანამონაწილეობას ნიშნავს. კონსორციუმი არის ბანკების, კომპანიების ან სახელმწიფოების დროებითი გაერთიანება იურიდიული პირის უფლების გარეშე, მსხვილმასშტაბიანი პროექტის ან საფინანსო ოპერაციების რეალიზაციისათვის, რომლებიც ტექნიკური, ფინანსური, სავაჭრო და სხვა მიზეზების გამო მოითხოვენ რამდენიმე პარტნიორის ძალისხმევას.

კარტელი არის მეწარმეობის ერთ-ერთი რთული ორგანიზაციული ფორმა, რომელშიც გაერთიანებულია ფირმები და საწარმოები. კარტელი შეიძლება იყოს: შიგა, საექსპორტო, საიმპორტო და საერთაშორისო. შიგა კარტელები მუშაობენ ეროვნული ბაზრის ფარგლებში ან მის ნაწილში.

საექსპორტო კარტელი შედგება ეროვნული ფირმა-ექსპორტიორებისაგან.

საიმპორტო კარტელი იქმნება ფირმებისაგან, რომლებიც საზღვარგარეთის საქონლის მსხვილი იმპორტიორებია.

საერთაშორისო კარტელი იქმნება რამდენიმე ქვეყნის ფირმებისაგან. მათ შეუძლიათ იმუშაონ ექსპორტზე, იმპორტზე, ან ორივე ოპერაციაზე ერთდროულად.

<u>სინდიკატი</u> ბერძნული სიტყვაა და ერთად მოქმედებას ნიშნავს. ეს ფორმა უმთავრესად გავრცელებულია მასობრივად ერთგვაროვანი პროდუქციის მწარმოებელ დარგებში.

<u>ტრესტი</u> ინგლისური სიტყვაა და ნდობას ნიშნავს. იგი არის რამდენიმე საწარმოთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომლებიც გადასცემენ თავის საკუთრებას წარმოების საშუალებებზე, ტექნოლოგიებზე, პატენტებზე, წარმოებულ პროდუქციაზე ტრესტის გამგებლობაში.

საბაზრო ფასი ოლიგოპოლიის პირობებში

ოლიგოპოლიის პირობებში ფასები ჩვეულებრივ ფორმირდება უმსხვილეს მწარმოებელთა შორის არაფორმალური შეთანხმების შედეგად. მართალია, მათ შორის ფარული შეთანხმება არაკანონიერად ითვლება, მაგრამ იგი არც თუ იშვიათია და, როგორც წესი, ხდება რაღაც "ჯენტლმენური შეთანხმების" – ბაზრის გაყოფისა და ფასების დონეზე.

ფასების ცვლილებისას კომპანიები თავიანთი მოქმედების კოორდინაციას ახდენენ შემდეგნაირად. როგორც კი ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ფირმა გამოაცხადებს ფასების ცვლილებას, დანარჩენებიც "ლიდერს წაბაძავენ" და გაატარებენ ანალოგიურ კორექტირებას თავიანთი საქონლის ფასებზე. სწორედ, ამიტომ, ოლიგოპოლიის პირობებში ფასები პრაქტიკულად ისეთივე მაღალია, როგორც ერთი მსხვილი მწარმოებლის ბატონობისას ანუ მონოპოლიის არსებობის დროს. ამასთან, ოლიგოპოლიის პირობებში ფირმები ნაკლები მოქნილობით ხასიათდებიან, რადგან ფასების ყოველგვარი ცვლილება მოითხოვს მოქმედების კოორდინაციას, რომელიც ყოველთვის არც თუ იოლი მისაღწევია.

ბაზარზე რამდენიმე მსხვილი მეწარმის ბატონობას (ოლიგოპოლიას), მთლიანობაში, ქვეყნისათვის ისეთივე უარყოფითი შედეგები გააჩნია, როგორიც მონოპოლიას, ანუ ბაზარზე ერთი მსხვილი ფირმის დიქტატს.

მონოპსონია და ოლიგოპსონია

"კონკურენციის თავისუფლებაზე" დიდი შეზღუდვა გამომდინარეობს გამყიდველებისაგან, მაგრამ შეზღუდვები შესაძლებელია მყიდველების მხრიდანაც არსებობდეს.

ბაზარს, რომელზეც ერთი მყიდველი ბატონობს მონოპსონია ეწოდება. წარმოვიდგინოთ, რომ მოცემულ რეგიონში არსებობს რძის პროდუქტების მწარმოებელი ერთადერთი მსხვილი საწარმო. ასეთ შემთხვევაში, დიდი სატრანსპორტო დანახარჯების გამო, რძის ყველა ფერმა მიბმული (დამოკიდებული) გახდება ამ ერთ მომხმარებელთან. აკონტროლებს რა მოთხოვნას, ამ ერთადერთ მომხმარებელს შეუძლია თავის ფასები უკარნახოს მომწოდებლებს.

მონოპსონიის პირობებში ფასების ფორმირება ანალოგიურია ფასწარმოქმნისა მონოპოლიის დროს.

როგორც ერთადერთი გამყიდველი ირჩევს მოთხოვნის მრუდეზე მისთვის სასურველ ოპტიმალურ ფასს და ამით რეალიზაციის შესაძლო მოცულობას განსაზღვრავს, ასევე ერთადერთ მყიდველსაც შეუძლია საქონლის ფასი და მისი შესაბამისი გაყიდვის მოცულობა შეირჩიოს მიწოდების მრუდზე.

ბაზარი, რომელზეც მოქმედებს რამდენიმე მსხვილი მყიდველი (ფირმა) ეწოდება ოლიგოპსონია. მომწოდებლებსა და ფასწარმოქმნაზე მეთოდებით იგი ოლიგოპოლისტური ბაზარის ანალოგიურია.

ბაზრის სტრუქტურის სხვადასხვა ტიპები და ეფექტურობა

თეორიულად მიღებულია, რომ წარმოება მეტად ეფექტურია თავისუფალი კონკურენციის პირობებში. ამ დროს საქონელზე ფასები დაბალია, მოთხოვნა მეტად კმაყოფილდება, ახალწამოწყებათა ინტერესი მეტია და რესურსების გამოყენებაც მეტად ეკონომიურად წარმოებს. მიუხედავად ამისა მსხვილი, თვით მონოპოლისტური და ოლიგოპოლისტური ბაზრის პირობებში მოქმედ საწარმოებშიც შრომის ნაყოფიერება პრაქტიკულად ყოველთვის უფრო მაღალია რა არის ამ პარადოქსის მიზეზი?

მკაცრი კონკურენციის პირობებში მცირე საწარმო იძულებულია ეკონომიურად ხარჯოს ყოველი თეთრი. აქედან გამომდინარეობს მისი მაღალი ეფექტურობა მოკლევადიან პერიოდში. გიგანტები კი დაცული არიან რა კონკურენციისაგან, თავს უფლებას აძლევენ დროდადრო უყაირათოდ (მფლანგველურად) გამოიყენონ რესურსები. მოგების ნორმა მაღალკონცენტრირებულ დარგებში საშუალოდ 50-100%-ით მაღალია, ვიდრე კონკურენციის პირობებში: ეს ფინანსური "სიჭარბე" შეიძლება მიმართული იქნეს მსხვილმასშტაბური მეცნიერულ-ტექნიკურ გამოკვლევებზე, უახლესი მოწყობილობის შეძენაზე. მცირე საწარმოები მწვავე ფასობრივი კონკურენციის პირობებში ხშირად ასეთ შესაძლებლობებს მოკლებულნი არიან. ამიტომ მსხვილი საწარმოს ტექნიკური აღჭურვილობა მნიშვნელოვნად უკეთესია, ვიდრე მცირე ზომის საწარმოსი. გარდა ამისა, მათში შრომის ნაყოფიერებაც უფრო მაღალია გრძელვადიან პერიოდში და უკეთესია შრომის პირობებიც.

აღსანიშნავია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი. თუმცა ადამიანთა ცნობიერებაში მონოპოლია და ოლიგოპოლია, ჩვეულებრივ, ბოროტებასთან ასოცირდება, ხოლო სრული კონკურენცია - საზოგადოებრივ სიკეთესთან (დოვლათთან), მაგრამ სინამდვილეში არც ერთი და არც მეორე ამ დანიშნულებას არ ამართლებს. ბაზრის ორივე მოდელისათვის დამახასიათებელია მოგების მაქსიმიზაცია და არა საზოგადოებრივი სიკეთე. არსებითი განსხვავება მათ შორის იმაში მდგომარეობს, რომ კონკურენციის პირობებში მწარმოებელი იძულებულია მომხმარებლის გემოვნების მიხედვით იმოქმედოს, მონოპოლისტი კი მომხმარებლის ამ ე.წ. სუვერენიტეტს თუ მთლიანად ვერ არღვევს, მნიშვნელოვნად მაინც ახერხებს მის შეზღუდვას.

ეკონომიკური აზროვნების ისტორიიდან: არასრული კონკურენციის თეორიის შემქმნელები

ჯოან რობინსონი (1903-1983)

და ედვარდ ჩემბერლინი (1899-1967)

1933 წელს გამოქვეყნდა ორი წიგნი: ერთი – "არასრული კონკურენციის ეკონომიკა", რომლის ავტორია კემბრიჯის უნივერსიტეტის პედაგოგი ჯოან რობინსონი და, მეორე, - მონოპოლისტური კონკურენციის თეორია" – ჰარვარდის უნივერსიტეტის პედაგოგის ედვარდ ჩემბერლენის ავტორობით.

ჯოან რობინსონმა აჩვენა, რომ მომხმარებლის თვისება – უპირატესობა მიანიჭოს ამა თუ იმ საქონელს – შესაძლებლობას აძლევს ცალკეულ მწარმოებლებს მოახდინონ ფასების მანიპულირება.

ედვარდ ჩემბერლინმა შეიმუშავა პროდუქციის დიფერენციაციის თეორია. ორივე ეკონომისტმა კარგად ახსნეს ის, თუ როგორ მოქმედებს ფასწარმოქმნის პროცესზე სხვა მწარმოებელთა მხრიდან კონკურენცია, თუნდაც რამდენიმე მსხვილი ფირმის ბატონობის

პირობებშიც. მათი შრომების მეშვეობით შეიქმნა მონოპოლისტური კონკურენციისა და ოლიგოპოლიის თეორია.

ე. ჩემბერლინის შემოქმედებით და მეცნიერულ ბიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ეტაპი გახდა ჰარვარდის უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის განყოფილების გამგედ (1939-1943) არჩევა, რომელიც მაშინ თავის შემადგენლობაში აერთიანებდა ისეთ სახელოვან მეცნიერებს, როგორებიცაა ვ. ლეონტიევი, ე. ჰანსენი, ი. შუმპეტერი და სხვები, და ასევე დაინიშნა ჰარვარდის ყოველკვარტალური ჟურნალის („The Quarterly Journal of Economics“) რედაქტორის პოსტზე (1948-1958). 1965 წელს აირჩიეს ამერიკული ეკონომიკური ასოციაციის დამსახურებულ წევრად. 1967 წელს მის სამახსოვროდ გამოსცეს ეკონომისტების შრომების კრებული სახელწოდებით „მონოპოლისტური კონკურენციის თეორია: ურთიერთზემოქმედების გამოკვლევა“.

1933-1962 წლებში მისი ნაწარმოებები აშშ-ში 8-ჯერ გამოიცა და დღესაც პოპულა რულ სასწავლო სახელმძღვანელოს წარმოადგენს მრავალი ქვეყნის ეკონომიკური თეორიის კურსის სწავლებაში. იგი შეიცავს მონოპოლიის არსის მრავალმხრივ დახასიათებას, მონოპოლიური ფასის წარმოქმნის და მონოპოლიური მოგების დამაჯერებელ ანალიზს.

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის სიტყვებით თუ ვიტყვით, - მონოპოლიის არსია მიწოდებაზე კონტროლი, და მაშასადამე, ფასის კონტროლიც, რომელიც მიიღწევა კონკურეტულ საქონელთა ურთიერთშენაცვლებადობის გაძლიერებით, ე.ი. „პროდუქტის დიფერენცირებით“. ე. ჩემბერლინი ამის თაობაზე წერს: „დიფერენცირებასთან ერთად ჩნდება მონოპოლია და დიფერენცირების გაძლიერების კვალობაზე მონოპოლიის ელემენტები სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება“. ყველგან, სადაც რაღაც ზომით არსებობს დიფერენცირება, ყოველ გამყიდველს აბსოლუტური მონოპოლია გააჩნია თავის საკუთარ პროდუქტზე, მაგრამ ამასთან, კონკურენციას განიცდის მეტად ან ნაკლებად არასრულყოფილი შემცვლებისგან აქედან გამომდინარე იგი ვარაუდობს, რომ ყველა გამყიდველთა მდგომარეობის შესახებ მართლზომიერია ვისაუბროთ, როგორც კონკურირებად მონოპოლისტებზე „მონოპოლისტური კონკურენციის“ ძალთა მოქმედების პირობებში.

ბაზრები, ე. ჩემბერლინის შეხედულებით, ურთიერთდაკავშირებულია, რამდენადაც თითოეულ მათგანზე ერთმანეთზე დამოუკიდებელი გამყიდველები თავისი დანიშნულებით იძულებულები არიან ერთმანეთზე ურთიერთზემოქმედება მოახდინონ თავისი დანიშნულებით ერთმანეთთან ახლოს მყოფი პროდუქტების რეალიზაციაში. ამასთან, მეცნიერი დარწმუნებულია, რომ „ბაზრები რეალურ სინამდვილეში, მეტად

ან ნაკლებად არასრულყოფილები არიან“, ხოლო გულუბრყვილო დასკვნას, რომელიც ამბობს, რომ “ფაქტობრივი შედეგებისთვის დამახასიათებელია მისწრაფება წონასწორობისკენ, საფუძველი არ გააჩნია“.

შედეგად, ყოველი გამყიდველი მათ მიერ განიხილება მონოპოლისტის სახით, რომელიც საკუთარი „უნიკალური“ საქონლის ფლობის ხარჯზე, მყიდველთა საკუთარ წრეს, ე.ი. საკუთარ სუბბაზარს და „პროდუქტის დიფერენცირების დონეს“ აყალიბებს, რომელიც ასახავს გამყიდველი რა ზომით არეგულირებს ფასს და ბაზარზე გამოდის მონოპოლისტის სახით. ეს ასევე ნიშნავს, რომ საქონელთა და მომსახურების მოწოდების რეალური მოცულობა ნაკლები აღმოჩნდება, ხოლო მათი ფასები უფრო მაღალი იქნება, ვიდრე „წმინდა“ კონკურენციის პირობებში. გამყიდველის მონოპოლია თავის პროდუქტზე და მონოპოლისტური კონკურენციის პირობებში ერთმანეთს შორის კონკურირებადი მონოპოლისტები, შეუძლებელია, ე. ჩემბერლინის აზრით, მთავარი პირობის - პროდუქციის დიფერენცირების გარეშე.

ე. ჩემბერლინი აღნიშნავს, რომ დიფერენცირებული პროდუქტის ძირითადი ნიშანია საქონლისთვის (ან მომსახურებისთვის) ერთი-ერთი რომელიმე გამყიდველის არსებობა მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშნით. მყიდველისთვის ეს ნიშანი შესაძლოა იყოს, როგორც რეალური, ისე წარმოსახვითიც, მხოლოდ მან ის გამოიწვიოს, რომ უპირატესობა მიეცეს სახელდობრ მოცემული პროდუქტის ნაირსახეობას. „იქ, სადაც არსებობს ასეთი სახის დიფერენცირება, - აზუსტებს იგი, - მყიდველები წყვილ-წყვილად დაჯგუფდებიან გამყიდველებთან არა შემთხვევის ნებით, და არა უწესრიგოდ (როგორც ეს ხდება წმინდა კონკურენციის დროს), არამედ არჩევანის შესაბამისად, რომელიც მჯობინებას ემყარება“.

მაშასადამე, გამყიდველ-მონოპოლისტს, ე. ჩემბერლინის ლოგიკით, შეუძლია კიდეც გაზარდოს გასაყიდი პროდუქციის მოცულობა, დამატებითი დანახარჯების გამოყენებით მისი ფასის შემცირებით იმ ვარაუდით, რომ საქონელთა ერთსახელიანი ჯგუფის დანარჩენი გამყიდველები მყისიერად ვერ შეძლებენ ისევე მოქცევას, ე.ი. გაზარდონ წარმოების ხარჯების დონე. ამაშია, მისი შეხედულებით, იმისი მთავარი მიზეზი, რომ მოცემული მარკის საქონლის ფირმა - კონკურენტი, მისი ფასის შემცირებით ან ახალი კონკურირებადი საქონლის გამოშვებით, არსებითად შეწუხებული არ არის იმით, რომ ანალოგიური ზომები მიიღება სხვა კონკურენტების მიერ.

„პროდუქტის დიფერენცირების“ თავისი იდეის განვითარებაში, როგორც კონკურენტების ბუნებრივი რეაქციის შესახებ თვით კონკურენციის შედარებით ნაკლებ ბუნებრივ გამოვლენაზე, ე. ჩემბერლინი ასაბუთებს ამ პროცესზე კონკურენციის არასაფასო ფაქტორების მზარდ ზეგავლენას, საქონელთა ხარისხისა და რეკლამის განსაკუთრებული თვისებებითა და ინდივიდუალური თავისებურებებით განპირობებული საქონლის ხარისხისა და რეკლამის მხედველობაში მიღებით. ამასთან, იგი წერს: „დიფერენცირება შეიძლება დაეყრდნოს თვით პროდუქტის განსაზღვრულ თავისებურებებს, თითქოსდა ისეთებს, როგორიცაა განსაკუთრებული თვისებები - საფაბრიკო მარკები, საფირმო სახელწოდებები, საფუთავის ან ტარის (თუკი ასეთი არსებობს) თავისებურება, ან ისეთები, როგორებიცაა ინდივიდუალური თავისებურებები, რომლებიც ხარისხს, ფორმას, ფერს ან სტილს შეეხება“.

ე. ჩემბერლინის მოსაზრებით, არასწორია, რომ მონოპოლია და კონკურენცია განიხილებოდნენ, როგორც ანტითეზები და ურთიერთგამომრიცხავი საწყისები, იმ ვარაუდით, რომ „უმეტეს შემთხვევებში ორივეს გათვალისწინება ფასების რაციონალური ახსნის აუცილებელი პირობაა“. აუცილებელია, წერს იგი, გავიგოთ შემდეგი: „წმინდა კონკურენციის დროს ყოველი გამყიდველის ბაზარი ერწყმის მისი მეტოქეების ბაზარს; იმ პირობებში კი რომელთანაც ჩვენ ახლა გვაქვს საქმე (მონოპოლისტური კონკურენციის პირობები. ანგარიშის გაწევა გიხდება იმასთან, რომ ეს ბაზარი გარკვეული ზომით გამოცალკევებულია სხვებისაგან, ასე, რომ ყველაფერი მთლიანობაში წარმოადგენს არა მრავალ გამყიდველთა ერთიან ბაზარს, არამედ ურთიერთდაკავშირებული ბაზრების ქსელს, თითოთითოდ განაწილებულს გამყიდველებს შორის“.

თუკი პირველ პირობას მივიღებთ, თანხმდება ე. ჩემბერლინი, მაშინ წმინდა კონკურენციის თეორიის შესაბამისად, ცალკეული გამყიდველის ბაზარი შეერწყმება საერთო ბაზარს და ნებისმიერი გამყიდველი შეძლებს იმდენი საქონლის გასაღებას, რამდენიც მას მოუნდება, მაგრამ მხოლოდ მოქმედი ფასით. მეორე პირობის მიხედვით, როდესაც მრავალრიცხოვანი კონკურენციის ძალით ცალკეული გამყიდველის ბაზარი გარკვეული ზომით გამოცალკევებულია მისი მეტოქეების ბაზრებისგან, საქონელთა გასაღების მოცულობა „ლიმიტირებულია და განისაზღვრება სამი ახალი ფაქტორით: 1) ფასით, 2) პროდუქტის თავისებურებებით და 3) რეკლამის დანახარჯებით“.

ჰარვარდელი პროფესორი დარწმუნებულია, რომ მონოპოლისტური კონკურენციის ფაქტორთა წარმოდგენილ კლასიფიკაციაში პროდუქტის დიფერენცირების ბაზაზე ადგილი აქვს ისეთ ფაქტორებს, რომელთა ინიცირება ხდება გამყიდველთა მიერ, მყიდველთა სამომხმარებლო გადაწყვეტილებებზე ზეგავლენისთვის. მათ რიცხვში იგი განსაკუთრებით გამოყოფს ფაქტორებს, რომლებიც აბრკოლებენ ფასის შემცირებას, და, როგორც მაგალითი, ასახელებს, კერძოდ, დამახასიათებელ სამომხმარებლო მიდრეკილებას, განიხილოს უფრო დაბალი ფასი, როგორც პროდუქტის უფრო დაბალი ხარისხის მაჩვენებელი.

მაგრამ ასეთ შემთხვევებში, ამტკიცებს „მონოპოლისტური კონკურენციის თეორიის“ ავტორი, გამყიდველ-მონოპოლისტთა კონკურენტული ბრძოლა არ ამოწურავს საკუთარ თავს, ამასთან ჩვეულებრივი ცხოვრებისეული დაკვირვებით.

სწორედ მონოპოლისტური კონკურენციის სპეციფიკურ თავისებურებებს მიაკუთვნებს ე. ჩემბერლინი იმ გარემოებას, რომ იგი აღმოფხვრის საფასო კონკურენციას, რის შედეგადაც მუდმივი და ჩვეულებრივი მოვლენა ხდება ჭარბი სიმძლავრის ფენომენი, რომელიც (სიჭარბე) „დაუსჯელად“ იზრდება ხანგრძლივი პერიოდების მანძილზე ფასებით დაფარვის წყალობით, რომლებიც ყოველთვის აჭარბებენ დანახარჯებს. მისი შეხედულებით, მოცემული ფენომენი, რომელიც მოწმობს საერთო ბაზრის გარკვეული ნაწილების დაუფლების ხარისხს, მხარდაჭერილია არა მხოლოდ ცალკეული პატენტებით და საფაბრიკო მარკებით, არამედ ასევე ისეთი მოვლენებით, როგორიცაა რეპუტაცია, ოსტატობა, განსაკუთრებული ნიჭი.

ჯოან ვაიოლეტ რობინსონმა (1903-1983) დაამთავრა კემბრიჯის უნივერსიტეტი და გახდა ა. მარშალის სკოლის მოძღვრების ერთ-ერთი სახელგანთქმული წარმომადგენელი და გამგრძელებელი. პროფესორის თანამდებობა ამ უნივერსიტეტში ეკავა 1965-იდან 1971 წლამდე. იგი მიეკუთვნება იმ ავტორთა რიცხვს ეკონომიკურ მეცნიერებაში, ვისაც მსოფლიო ცნობადობა მოუტანა ნაშრომმა, რომელიც დაწერილია შემოქმედებითი გზის დასაწყისში, თუკი გავითვალისწინებთ, რომ „არასრულყოფილი კონკურენციის ეკონომიკური თეორია“ მისი კალმიდან გამოვიდა 30 წლის ასაკში.

წიგნის მთავარი იდეა მონოპოლიების საბაზრო ასპექტების გამოვლენაში მდგომარეობს, კონკურენცია, რომლის არსებობის პირობებში და რომელთა შორის წონასწორობის დარღვევასთან დაკავშირებით ეკონომიკაში, მისი შეხედულებით, არასრულყოფილია (ხოლო ე. ჩემბერლინის ტერმინოლოგიით-მონოპოლისტური). ისე

როგორც ე. ჩემბერლინი, ჯ. რობინსონიც თავის წინაშე სვამს ამოსავალ ამოცანას - ახსნას ფასების დადგენის მექანიზმი სიტუაციაში, როდესაც მწარმოებელი გამოდის საკუთარი პროდუქციის მონოპოლიურ მფლობელად, ე.ი. ფასს სახელდობრ რატომ გააჩნია ეს სიდიდე და მყიდველი რატომ თანხმდება იყიდოს საქონელი გამყიდველის მიერ დაწესებული ფასით, რომელსაც მისთვის მონოპოლიური მოგება მოაქვს. მაგრამ ავტორის შემდგომი მსჯელობა დიდად სცილდება ე. ჩემბერლინის ლოგიკურ აზრთწყობებს. კერძოდ, თუკი უკანასკნელი მონოპოლისტურ კონკურენციას უკავშირებდა ბაზრის ბუნებრივი მდგომარეობის ერთ-ერთ მახასიათებელს წონასწორობაში, მაშინ ჯ. რობინსონი არასრულყოფილი კონკურენციის შესახებ საუბრისას, მასში უწინარეს ყოვლისა ხედავდა კონკურენტული სამეურნეო სისტემის რღვევას და ნორმალური წონასწორობითი მდგომარეობის დარღვევას და დაქირავებულო შრომის „ექსპლოატაციასაც“ კი.

როგორც „არასრულყოფილი კონკურენციის თეორიის“ შინაარსობრივი ნაწილიდან ჩანს, მონოპოლიის არსი მასში ნეგატიურად განიხილება, როგორც ფაქტორი, რომელიც საბაზრო გარემოს სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობების დესტაბილიზებას ახდენს.

წარმოების მონოპოლიზაციასთან დაკავშირებით ამ და სხვა მსჯელობებიდან გამომდინარე, ჯ. რობინსონი მიუთითებს დილემის: ეფექტიანობა თუ სამართლიანობა გადაჭრის აუცილებლობაზე. მისი მოსაზრებით, „მონოპოლიზაციის უპირატესობის ასახსნელად, არასაკმარისია ვაჩვენოთ, რომ იგი ხელს უწყობს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას“. მაგრამ, როგორც მ. ბლაუგმა შენიშნა, იმისი რწმენა, რომ „ეფექტიანობა“ და „სამართლიანობა“ შეიძლება რაღაცნაირად დაიყოს, წარმოადგენენ ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთ ყველაზე ადრინდელ ილუზიას“.

თავისი გამოკვლევის შედეგად, ჯ. რობინსონს სავსებით შეეძლო სხვა ლოგიკური დასკვნების გაკეთებაც, მათ შორის ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევის კონკრეტული ზომების შესახებაც, მის მიერ გამოვლენილ არასრულყოფილი კონკურენციის წინააღმდეგობათა აღმოხვრის მიზნით. ასეთი ზომების საფუძვლიანი დასაბუთება, ჯ. რობინსონის წიგნის გამოცემიდან სამი წლის შემდეგ, შემოგვთავაზა სხვა მეცნიერმა (ასევე კემბრიჯის სკოლის წარმომადგენელმა, ა. მარშალის ერთ-ერთმა მოწაფემ) ჯ. მ. კეინზმა.

დანართი ა

ბაზრის სხვადასხვა ტიპების მახასიათებლები

ბაზრის ტიპი	საწარმოთა რიცხვი	ფასებზე კონტროლი	პროდუქციის დიფერენციაცია	ბაზრში შეღწევის შესაძლებლობა
სრული კონკურენცია	დამოუკიდებელ მეწარმეთა დიდი რაოდენობა	არც ერთი მეწარმე არ აკონტროლებს ფასებს	ყველა საქონელი იდენტურია	ბაზარში შეღწევა სირთულეს არ წარმოადგენს
მონოპოლისტური კონკურენცია	მრავალი საწარმო-მსგავსი და არა ერთნაირი საქონლის მწარმოებელი	მეწარმე ბაზრის ფასებზე აწესებს შეზღუდულ კონტროლს	არსებობს შემცვლელი საქონელი	ბაზარში შეღწევა სირთულეს არ წარმოადგენს
ოლიგოპოლია	რამდენიმე მსხვილი ფირმა-მსგავსი საქონლის მწარმოებელი	ფასები წესდება ძირითად მწარმოებლებს შორის შეთანხმებით	საქონელი არის იდენტური და ერთმანეთისაგან განსხვავებულიც	ახალი მეწარმის ბაზარში შესვლა გაძნელებულია
მონოპოლია	ერთადერტი მეწარმე (ფირმა)	ფასებს განსაზღვრავს ერთადერთი მწარმოებელი ფირმა	არის საქონლის დიფერენციაცია	ბაზარი კონკურენტებისათვის დაკეტილია

კითხვები გამეორებისთვის

1. დაახასიათეთ სრული კონკურენციის ძირითადი ნიშნები.
2. დაახასიათეთ მონოპოლიის ძირითადი ნიშნები.
3. დაახასიათეთ კანონით ნებადართული მონოპოლიები.
4. დაახასიათეთ რა ზიანი მოაქვს მონოპოლიას.
5. დაახასიათეთ არასრული კონკურენციის სახეები: მონოპოლისტური კონკურენცია და ოლიგოპოლია.
6. განიხილეთ ბაზრის სხვადასხვა ტიპების მახასიათებლები.

მეათე თავი
ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა: მიზეზები, ინსტრუმენტები, ზომები

განსახილველი საკითხები:

- **ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მიზეზები**
- **ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ინსტრუმენტები და ზომები**
- **ბიუჯეტი**
- **გადასახადები**
- **ეროვნული ბიუჯეტის დეფიციტი და ვალი**

სახელმწიფოსა და მთავრობის როლი

სახელმწიფოს ყოველთვის ეძლეოდა გარკვეული როლი "საზოგადოებრივი ინტერესების დამცველისა" (ტ.ჯეფერსონი – აშშ-ის მე-3 პრეზიდენტი) ბოლო ასწლეულში კი იგი ყველგან ხდება თვით სამეურნეო სისტემის აუცილებელი ნაწილი.

ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მიზეზები

მე-18 საუკუნეში ადამ სმიტმა შემდეგნაირად განსაზღვრა მთავრობის ძირითადი ფუნქციები:

ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფა;

გამართული მართლმსაჯულება;

საზოგადოებრივი საქმიანობის (სამუშაოს) ორგანიზება, რომელიც კერძო მეწარმეობისათვის არ არის სასარგებლო, მაგრამ აუცილებელია მოსახლეობისათვის;

მოზარდების განათლება;

გადასახადების აკრეფა სახელმწიფოს საჭიროებისათვის.

ცნებებს "სახელმწიფო" და "ქვეყანა" უმეტესწილად ისე იყენებენ, როგორც სინონიმებს. ამის მიუხედავად, მათ შორის რაღაც განსხვავება მაინც არსებობს. ***ქვეყნად იწოდება ისტორიულად განსაზღვრული, გამოცალკევებული ტერიტორია, რომელსაც ჩვეულებრივ გარკვეული სახელმწიფო სუვერენიტეტი გააჩნია. სახელმწიფოს კი უწოდებენ ხელისუფლების აპარატს, რომელიც საზოგადოების საქმეებს მართავს.*** პრაქტიკაში ქვეყნები სახელმწიფოებს ყოველთვის როდი ემთხვევა. მაგალითად, შოტლანდია ან "ბასკების ქვეყანა" უეჭველად ქვეყნებია, მაგრამ არა სახელმწიფოები.

სახელმწიფოს ასეთი მისაღები განსაზღვრებაც არსებობს: "სახელმწიფოს ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ ადამიანთა საზოგადოებას, განთავსებულს "ქვეყნად" წოდებულ სივრცეში. სახელმწიფო არის ორგანიზაცია, რომელიც ქვეყნის მასშტაბით ესწრაფვის ადამიანების ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას, როგორც გარე (ეროვნული უსაფრთხოება), ასევე შიდა საშიშროებისაგან (დამნაშავეობასთან ბრძოლა). მისი ფუნქციაა ასევე მოქალაქეთა ცხოვრებაში სამართლიანობის პრინციპის დაცვა" (ლეშეკ ბალცეროვიჩი).

ამ განმარტებიდან ნათლად ჩანს, რომ ნებისმიერი ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარება, მათ შორის ეკონომიკური განვითარებაც, უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოსთან. სახელმწიფო და ეკონომიკა მუდმივად ურთიერთმოქმედებენ.

მთავარი საფინანსო ინსტიტუტი, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო ერევა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში, არის ბიუჯეტი. ის არის სახელმწიფოს ძირითადი საფინანსო გეგმა; მას ადგენენ ბალანსის სახით და შედგება ორი მთავარი ნაწილისაგან: შემოსავლებისა და ხარჯებისაგან.

შემოსავლების ნაწილში მოცემულია ის მუხლები, რომელთა მიხედვითაც სახელმწიფომ უნდა მიიღოს შემოსავლები, ე.ი. ნაჩვენებია, საიდან მოიპოვოს სახსრები. ეს შემოსავლები მთლიანად გროვდება ხაზინაში, ანუ სახელმწიფოს ანგარიშზე. შემდეგ ამ შემოსავლებს სახელმწიფო მიმართავს ანუ ხარჯავს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, რაც აისახება ბიუჯეტის გასავლის მუხლებში.

სახელმწიფო ბიუჯეტი კონცეტრირებულად ასახავს ქვეყნის ეკონომიკაში ჩარევას

განვითარებული ქვეყნების გამოცდილება მოწმობს, რომ თუ სახელმწიფოს ხარჯებს (ბიუჯეტის მთლიან მოცულობას), მთლიანი შიდა პროდუქტის 1/4-1/3-მდე დონეზე შევინარჩუნებთ, წარმოიქმნება მასტაბილიზებელი ფაქტორი, რომელიც განვითარებულ საბაზრო ეკონომიკას იცავს მეტისმეტი ეკონომიკური ვარდნისაგან, მეტად საშიში, დაბალი კერძო საინვესტიციო აქტიურობისაგან. გარდა ამისა, საბიუჯეტო სისტემა არის საზოგადოებაში დაბეგვრის, სოციალური გადასახდელებისა და დახმარებების სისტემის მეშვეობით შექმნილი, შემოსავლის ხელახალი განაწილების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი.

ხორცს ასხამს რა საბიუჯეტო სისტემისათვის დამახასიათებელ ფუნქციებს, სახელმწიფო იმავდროულად რისკავს, რომ შეიძლება გადაამეტოს ბიუჯეტის მეშვეობით მეპ-ის გადანაწილების რაციონალურ საზღვრებს, ამიტომ გადასახადების საერთო დონე, მათი სტრუქტურა, აგრეთვე ხარჯების მოცულობა და სტრუქტურა არ უნდა ანელებდნენ საზოგადოებაში სტიმულებს ყაირათიანობისადმი, მეწარმეობისა და შრომითი საქმიანობისადმი (მიჩნეულია, რომ ქვეყნის ეკონომიკა ვეღარ ვითარდება, თუ ბიუჯეტი მთლიანი შიდა პროდუქტის 2/3-ს გადააჭარბებს). შვედეთის განვითარების გამოცდილება მოწმობს, რომ ბიუჯეტის მეშვეობით გადანაწილებული მეპ წილის "გაბერვას" მოჰყვა ეკონომიკური აქტიურობის სტიმულირების ჩახშობა, დეპრესიული ეკონომიკა, რამაც ქვეყნის მთავრობა აიძულა განეხორციელებინა, ეკონომიკის მეტი ლიბერალიზაციისათვის გამიზნული რეფორმები, ე.ი. ხელი აეღო ეკონომიკურ ცხოვრებაში "ზედმეტად" ჩარევაზე.

რა ვუყოთ გარემოს დაბინძურებას, ინფლაციას, მასობრივ უმუშევრობას, ეკონომიკური ზრდის ციკლურ მერყეობას? ამ 'მაკროეკონომიკური ბოროტი მოვლენების" წინააღმდეგ ბრძოლას უფრო ხშირად, სწორედ, სახელმწიფო ორგანოებს აკისრებენ. ეკოლოგიის, ფინანსების, შრომის სამინისტროები დღესდღეობით პრაქტიკულად ყველა განვითარებულ ქვეყანაში არსებობს.

რაც თვალში საცემია, ცენტრალური ორგანოები დღეს თვით 'წმინდათაწმინდა" ბაზარშიც ერევიან და ფასწარმოქმნაზეც ახდენენ ზემოქმედებას. რა თქმა უნდა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში მთავრობა ფასებს ისე პირდაპირ არ აწესებს ცალკეულ საქონელზე, როგორც ეს ცენტრალიზებული დაგეგმვისას ხდებოდა, მაგრამ სამაგიეროდ (ვთქვათ) ბან-

კიდან აღებულ კრედიტზე პროცენტის რეგულირებით, მას შეუძლია დააჩქაროს ან შეანელოს ფასების ზრდის საერთო ტემპი.

რეალური ბაზარი შორსაა სრული კონკურენციის აბსტრაქტული მოდელისაგან, ანუ სრულყოფისაგან. როდესაც ერთი ან რამდენიმე მსხვილი მეწარმე (ფირმა) თავის სასარგებლოდ მაღალ ფასს აწესებს, მაშინ სრული კონკურენციის მექანიზმი – იდეალური საბაზრო რეგულირება - ირღვევა. ამიტომ სახელმწიფო იძულებულია "ჩარევა" განახორციელოს.

რა ფორმით უნდა მოხდეს სახელმწიფოს "ჩარევა"? **ერთნი** ამტკიცებენ, რომ მან ნაწილობრივ ბაზრის გარეთ უნდა გადაწყვიტოს რესურსების ეფექტური განაწილების პრობლემა. **მეორენი,** პირიქით, ფრთხილობენ და მიაჩნიათ, რომ არაფერი სასარგებლო ამგვარი პირდაპირი ჩარევით არ მიიღება და სახელმწიფოს ფუნქციას უნდა შეადგენდეს მხოლოდ "ბაზრის თამაშის" წესების შენარჩუნება, მაგ., ბაზარზე "დიქტატორების" ძალაუფლების შეზღუდვა. საზოგადოების მიერ შექმნილი პროდუქტის უდიდესი წილი ამჯერად სახელმწიფოს ხელში ხვდება და გადანაწილდება უშუალო მწარმოებლებიდან სხვა ჯგუფებზე. ამის განხორციელება ხდება სპეციალური საფინანსო ინსტრუმენტის მეშვეობით, რომელსაც ბიუჯეტი ეწოდება.

ბიუჯეტი

ისევე, როგორც ყოველი ოჯახი, წინასწარ გეგმავს, უფარდებს ერთმანეთს შემოსავლებს და ხარჯებს, მთავრობაც ადგენს სპეციალურ საფინანსო გეგმას. ასეთ გეგმას, რომელიც ერთად აჯამებს შემოსავლებსა და დანახარჯებს ბიუჯეტი ეწოდება. მას ადგენს როგორც ცენტრალური ხელისუფლება (სახელმწიფო ან ფედერაციული ბიუჯეტი) ასევე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, რომელსაც ადგილობრივი ბიუჯეტი ეწოდება.

ბიუჯეტს, რომლის შემოსავლები ზუსტად ხარჯების ტოლია, **დაბალანსებული** ეწოდება. თუ შემოსავლები ხარჯებს აღემატება, ანუ შეიქმნება რაღაც ზედმეტი სახსრები, მაშინ ამბობენ, რომ ბიუჯეტს **დადებითი სალდო** გააჩნია. თუ პირიქით, დაგეგმილი ხარჯები მოსალოდნელ შემოსავლებზე მეტია, მაშინ ბიუჯეტს უარყოფითი სალდო ანუ **დეფიციტი გააჩნია**.

ბიუჯეტის დამტკიცება ხდება ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ 12 თვიანი ვადით. ეს ე.წ. საფინანსო წელია, რომელიც შესაძლოა არც კი დაემთხვეს კალენდარულ წელს.

წყაროებს, საიდანაც სახსრები შედის ბიუჯეტში, ეწოდება შემოსავლების მუხლები, ხოლო მას, რაზეც ეს სახსრები იხარჯება – ხარჯვითი მუხლები.

ბიუჯეტის ყველა დონის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა გადასახადები და მოსაკრებელი.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში განმარტებულია ტერმინები:

ბიუჯეტი - საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისადა ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი ორგანოების მიერ;

საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი - საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრიოვი თვითმმართველი ერთეულების კონსოლიდირებულუ ბიუჯეტი. ნაერთი ბიუჯეტი არ ექვემდებარება არც ერთი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებას;

სახელმწიფო ბიუჯეტი - საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა;

ბიუჯეტის შემოსავლების ძირითადი წყაროა გადასახადები. სახელმწიფოს გადასახადი ამოაქვს მოქალაქეთა პირადი შემოსავლებიდან , საწარმოებიდან და მათი საკუთრებიდან.

ბიუჯეტის ხარჯვითი მუხლები საშუალებას გვაძლევს გავერკვეთ, თუ რაში ხედავს მთავრობა თავის პირველი რიგის ამოცანებს. რამდენადაც სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული სახსრები შეზღუდულია, იგი იძულებულია ფინანსური რესურსები ხარჯოს მხოლოდ მნიშვნელოვანი დანიშნულებისათვის (მიზნებისათვის).

საგადასახადო სისტემის აგების პრინციპები

საქართველოს მოქმედ საგადასახო კოდექსის მეექვსე მუხლში ჩამოყალიბებულია გადასახადის ცნება და სახეები:

1. გადასახადი არის ამ კოდექსის მიხედვით სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი ბიუჯეტში რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე.

2. გადასახადის სახეებია საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები.

3. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებია ამ კოდექსით დაწესებული გადასახადები, რომელთა გადახდაც სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

4. ადგილობრივი გადასახადია ამ კოდექსით დაწესებული და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტით შემოღებული გადასახადი (მღვრული განაკვეთების ფარგლებში), რომლის გადახდაც სავალდებულოა შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის

ტერიტორიაზე.

5. საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს მიეკუთვნება:

ა) საშემოსავლო გადასახადი;

ბ) მოგების გადასახადი;

გ) დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ);

დ) აქციზი;

ე) იმპორტის გადასახადი.

6. ადგილობრივ გადასახადს მიეკუთვნება ქონების გადასახადი.

მოსაკრებლების შესახებ ამჟამად საქართველოსი ორი კანონი მოქმედებს. ეს კანონებია: საქართველოს კანონი „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“ და საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“.

კანონის თანახმად, მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი ბიუჯეტში, რომელსაც ფიზიკური და იურიდიული პირები და ამხანაგობები იხდიან სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მათთვის კანონით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების ან/და სარგებლობის უფლების მინიჭებისათვის, აგრეთვე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გარკვეული მომსახურების გაწევისათვის.

მოსაკრებლის სახეებია:

1. შემოღების წესის მიხედვით მოსაკრებლები არის საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი.

2. საერთო სახელმწიფოებრივი მოსაკრებლებია:

ა) სალიცენზიო დასანებართვო მოსაკრებლები (გარდა ადგილობრივი მოსაკრებლებისა);

ბ) სახელმწიფო სერტიფიკატის მოსაკრებელი;

გ) სარეგისტრაციო მოსაკრებელი;

დ) სახელმწიფო საექსპერტიზო მოსაკრებელი;

ე) სახელმწიფო ბაჟი;

ვ) საკონსულო მოსაკრებელი;

ზ) სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი;

თ) ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი;

ი) საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი

3. ადგილობრივი მოსაკრებლებია:

ა) მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტის მშენებლობისა) ნებართვის მოსაკრებელი;

ბ) დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი;

გ) სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი;

დ) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი.

ე) კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი.

ვ) მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებელი.

ზ) მშენებლობის სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებელი.

ადგილობრივი მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, რომელსაც ფიზიკური და იურიდიული პირები იხდიან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ განსაზღვრული ვადით ან უამისოდ, კანონით გათვალისწინებული საქმინაობის განხორციელების ან/და სარგებლობის უფლების მინიჭებისათვის, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გარკვეული მომსახურების გაწევისათვის.

ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა, რაც საგადასახადო სისტემას წაეყენება, ეს არის მისი **სიცხადე და მკაფიობა.** ჯერ კიდევ 200 წლის უკან ადამ სმიტი წერდა ამის შესახებ

ხატოვნად: "გადასახადი, რომელიც ვალდებულია ყოველმა ცალკეულმა პირმა გადაიხადოს, უნდა იყოს ზუსტად განსაზღვრული და არა თვითნებური. გადახდის ვადა, ხერხი, თანხა – ყველაფერი ეს უნდა იყოს ნათელი და განსაზღვრული გადამხდელისა და ყველა დანარჩენი პირისათვის. იქ სადაც ეს არ არის, თითოეული პირი, რომელიც გადასახადით იბეგრება, მეტნაკლებად ექცევა გადასახადის ამკრეფის ძალაუფლების ქვეშ, რომელსაც შეუძლია დაამძიმოს გადასახადი, მისთვის ყოველი არასასურველი გადამხდელისათვის, გამოძალოს მუქარის ქვეშ საჩუქარი ან ქრთამი".

მეორე მოთხოვნა, რასაც საგადასახადო სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს, არის მისი **სიმარტივე და ეფექტურობა.** თუ გადასახადის აკრეფის ორგანიზება სახელმწიფოს უჯდება ამოსაღებ თანხაზე მეტი, მაშინ ასეთი დაბეგვრა საერთოდ კარგავს აზრს.

დაბეგვრის ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპია მისი **სამართლიანობა.** საუბარია იმაზე, თუ ვინ და რა ზომით უნდა გადაიხადოს გადასახადი. თვით სამართლიანობა რთული ცნებაა და იგი სხვადასხვანაირად ესმით. ამიტომ არსებობს დაბეგვრაში სამართლიანობისადმი პრინციპულად სხვადასხვა მიდგომა.

ერთი მიდგომის თანახმად გადასახადი მან უნდა გადაიხადოს ვინც სიკეთით სარგებლობს (მაგ.: თამბაქოზე – თამბაქოს მწეველმა, ბენზინზე ავტომობილის მფლობელმა და ა.შ.) აქ ლოგიკა ასეთია: სახსრები, რომელიც აკრეფილია, ვთქვათ, საგზაო გადასახადის სახით, მოხმარდება გზების რემონტს: ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ავტომობილის მფლობელს დაუბრუნდება სიკეთის (გარემონტებული გზების) სახით. "მიღებული სიკეთის" პრინციპი თავისი ლოგიკურობის მიუხედავად ყოველთვის არ მოქმედებს.

დაბეგვრის მიმართ გამოყენებული სამართლიანობის **მეორე ცნების** თანახმად, გადასახადი მან უნდა გადაიხადოს, ვისაც გადახდა შეუძლია. სხვანაირად, ძირითადი საგადასახადო ტვირთი შეძლებულმა ოჯახებმა უნდა ზიდონ. მაგ., ოჯახმა, რომლის თვიური შემოსავალია 500 ათასი ლარი. სახელმწიფოს მეტი უნდა გადაუხადოს, ვიდრე 100 ათასი ლარის შემოსავლის მქონე ოჯახმა. უმრავლესობის თვალსაზრისით ასეთი მიდგომა უფრო დასაბუთებული და ჰუმანურია.

თუმცა, მასში არის თავისი **"მაგრამ".** საქმე იმაშია, რომ დღემდე ვერავინ შეძლო ვერც მეცნიერულად და ვერც მარტივი დამაჯერებლობით იმის დადგენა, თუ კონკრეტულად რა თანხა შეიძლება (ან საჭიროა) ამოვიღოთ გადასახადების სახით "მდიდრებისაგან". შემოსავლების რამდენი პროცენტი უნდა იქნეს ამოღებული მოსახლეობის სხვადასხვა ფენიდან და როგორი უნდა იყოს საგადასახადო განაკვეთი.

საგადასახადო გასაპროცენტო განაკვეთების სიდიდის მიხედვით ყველა გადასახადი იყოფა **პროგრესულ, პროპორციულ** და **რეგრესულ** გადასახადებად.

პროგრესული გადასახადის დროს, რაც მეტია გადამხდელის შემოსავალი, მით მაღალია საგადასახადო ანარიცხების პროცენტული წილი; რაც მცირეა შემოსავალი, მით უფრო დაბალია საგადასახადო განაკვეთი.

პროპორციული გადასახადის დროს გათვალისწინებულია ერთნაირი განაკვეთი შემოსავლების სიდიდის მიუხედავად.

პროპორციული დაბეგვრის დროს მაღალშემოსავლიანი სუბიექტი მეტ თანხას იხდის, ვიდრე დაბალი შემოსავლების მქონე, რაც ერთი შეხედვით, პროპორციული გადასახადის მეტ სამართლიანობაზე მეტყველებს. მაგრამ თუ სიტუაციას შევაფასებთ უფრო ყურადღებით და გამოვიყენებთ ე.წ. ნარჩენი შემოსავლის მეთოდს, მაშინ სხვა სურათს დავინახავთ.

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში გერმანელმა სტატისტიკოსმა ერნსტ ენგელმა (1821-1896), რომელიც მომხმარებელთა ქცევას სწავლობდა, შეიმუშავა (მიიღო) კანონი (დღემდე ცნობილია ენგელის კანონის სახელით), რომლის თანახმად, დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახები შემოსავლების დიდ ნაწილს ხარჯავენ პირველადი მოხმარების საგნებზე (კვების პროდუქტები, ჩასაცმელი, საცხოვრებელი), ვიდრე მაღალი შემოსავლების მქონე ოჯახები. თუ, ინდივიდის შემოსავალი მთლიანად გაიხარჯება მხოლოდ და მხოლოდ აუცილებელ საჭიროებაზე, მას ფუფუნების საგნების შეძენის და სხვა სურვილების დაკმაყოფილების საშუალება აღარ ექნება. ნარჩენი შემოსავლის ანალიზი აჩვენებს, რომ პროპორციული დაბეგვრისას გადასახადის ძირითადი სიმძიმე აწვება მცირეშემოსავლიან ოჯახებს.

რეგრესული (და უფრო ნაკლებად პროპორციული) გადასახადის შემთხვევაში, დაწესებული საგადასახადო განაკვეთი მით უფრო მცირეა, რაც დიდია შემოსავალი, და პირიქით, მაღალი საგადასახადო განაკვეთი დაწესებულია დაბალ შემოსავალზე. აქედან გასაგებია, რომ გადასახადის ძირითადი მასა (ტვირთი) მოდის დაბალშემოსავლიან ოჯახებზე. რეგრესული გადასახადის მაგალითად გამოდგება აქციზები და დამატებული ღირებულების გადასახადი.

რეგრესული (და უფრო ნაკლებად პროპორციული) გადასახადის დროს გადასახდელი თანხის მეტი წილი მოდის მცირეშემოსავლიან ოჯახებზე, პროგრესული გადასახადისას კი საგადასახადო სიმძიმე შეძლებულ ოჯახებზე გადადის.

საგადასახადო ტვირთის გადატანა

გადასახადის სხვაზე გადატანის შესაძლებლობა განსხვავებულია თვით გადასახადის სახისაგან დამოკიდებულებით. ყველა არაპირდაპირი გადასახადი (დამატებული ღირებულების, აქციზები, საბაჟო გადასახადი და ა.შ.) უმეტესად ემატება (ზრდის) პროდუქტის ფასს და გადაიტანება მყიდველზე, ანუ ხდება გადასახადის გადაკისრება მომხმარებელზე. იშვიათად ხდება მათი გადატანა მომწოდებლებზე ან ამავე წარმოებაში მომუშავეებზე.

გადასახადის გადატანას არ შეუძლია სამართლიანი გახადოს საგადასახადო სისტემა. გადასახადის ძირითადი ტვირთი, იძულებულია ატაროს მოსახლეობის არც თუ ყველაზე უზრუნველყოფილმა ფენამ, ანუ აწვება დაბალშემოსავლიან მომხმარებელს, მაგრამ დაბეგვრის სამართლიანობას ყველაზე მეტ სერიოზულ დარტყმას აყენებენ ეკონომიკაში არსებული რიგი სექტორები, რომლებიც წინააღმდეგ არსებული კანონებისა საერთოდ არ იხდიან გადასახადებს.

ჩრდილოვანი ეკონომიკა

დავუშვათ, თქვენმა ოჯახმა გადაწყვიტა ჩაატაროს ბინის რემონტი და ამისათვის მიმართა კერძო ხელოსნებს, რომლებმაც შეასრულეს ყველა აუცილებელი სამუშაო, მაგრამ თქვენგან გასამრჯელოს მიღების დროს არანაირი ოფიციალური ანგარიშსწორების დოკუმენტი არ გაფორმდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ მიერ მიღებული შემოსავალი არ იქნება ასახული საშემოსავლო დეკლარაციაში და შემდგომში არ დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით.

სხვა, გაცილებით უფრო „რთული“ შემთხვევები გახლავთ კრიმინალური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების დაფარვა (ნარკობიზნესიდან, იარაღის კონტრაბანდიდან, ნაქურდალის გასაღებიდან .

ისეთი შემოსავლის მომტანი საქმიანობა, რომელიც არ აღირიცხება ოფიციალური სტატისტიკის მიერ და შესაბამისად ვერ ხდება არ ექვემდებარება დაბეგვრა, მიეკუთვნება ჩრდილოვან ეკონომიკას.

გადასახადის გადაუხდელობის გამო დაკისრებული იურიდიული სანქციები ნებისმიერ ქვეყანაში ძალზე მკაცრ სახეს ატარებს. მაგალითად, საქართველოში 1997 წლიდან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გადასახადის თანხის დამალვის, ან განზრახ შემცირების გამო, გადამხდელს ემუქრება ჯარიმა, დამალული ან შემცირებული თანხის 10 პროცენტის ოდენობით, ამის ჩამდენი თანამდებობის პირი დაჯარიმდება მინიმალური ხელფასის 10-მაგი ოდენობით. თუ, იგივე დანაშაული ჩადენილ იქნა განმეორებით (ჯარიმის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში), ჯარიმის მოცულობა 20 მინიმალურ ხელფასს მიაღწევს. როდესაც ხდება, განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის დამალვა ან შემცირება (1997 წელს 25 ათასი ლარის ზევით თანხა), კანონის დამრღვევს ემუქრება, ხუთ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა, ქონების კონფისკაციით, ან ჯარიმა შრომის ანაზღაურების 300-ჯერადი მინიმალური ოდენობით.

მიუხედავად მკაცრი სანქციების შემოღებისა, მრავალი ქვეყნის ეკონომიკაში ჩრდილოვანი სექტორის მოცულობა საკმაოდ დიდია. მისი მასშტაბების ზუსტი დადგენა, რასაკვირველია, გაძნელებულია, მაგრამ მრავალი ეკონომისტის აზრით, საშუალოდ, მსოფლიოში ჩრდილოვანი ბრუნვის დონე ოფიციალური ეკონომიკის 10-დან 30 პროცენტამდე შუალედში მერყეობს.

მაგალითად, აშშ-ში ბოლო მონაცემებით ჩრდილოვანი ეკონომიკა საერთო ეროვნული პროდუქტის 10 პროცენტს აღწევს, ისრაელსა და შვეიცარიაში-10-10 პროცენტს შეადგენს, რუსეთში 30-40 პროცენტს.

საქართველოში, რუსეთის მსგავსად, ექსპერტები ასახელებენ 30-40 პროცენტიან მაჩვენებელს, რაც მსოფლიოში მიღებული კრიტერიუმებით ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარების მაქსიმალურ დონეს ასახავს. ბევრის აზრით, 40-პროცენტიანი საზღვრის ზევით ჩრდილოვანმა ეკონომიკამ შესაძლოა სახელმწიფოში წამყვანი პოზიციები დაიმკვიდროს და ოფიციალური სექტორი მთლიანად დაიმორჩილოს, რასაც ქვეყნისათვის გაუთვალისწინებელი შედეგები მოყვება.ყველა სახის საქმიანობა, რომელსაც შემოსავალი მოაქვს, მაგრამ ოფიციალური სტატისტიკით აღრიცხული არაა და, შესაბამისად, არ ექცევა დაბეგვრის ქვეშ, ჩრდილოვან ეკონომიკას ქმნის.

სხვადასხვა ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკის ბრუნვა, ოფიციალური ბრუნვის 10-30 პროცენტს შეადგენს. რუსეთში 1993 წლის დასაწყისში იგი შეადგენდა 20%-ს, ხოლო 1994 წლის დასაწყისში იგი უკვე 30-40%-ზე ავიდა.

ჩრდილოვანი ეკონომიკა დამღუპველია არა მარტო იმიტომ, რომ ბადებს და ხელს უწყობს დამნაშავეობას, იგი საზოგადოებას და მის ცალკეულ წევრს წმინდა ეკონომიკურ ზარალსაც აყენებს. საქმე იმაშია, რომ მას მოჰყვება აგრეთვე წმინდა ეკონომიკური სახის ზარალიც. მაგალითად, თუ ქვეყნის მოსახლეობის შემოსავლის 20 პროცენტი არ ექვემდებარება საფინანსო კონტროლს ანუ დაბეგვრას, მაშინ კითილსინდისიერ გადამხდელებს უხდებათ, არა მხოლოდ საკუთარი გადასახადების გადახდა, არამედ იმათი

წილის გადახდაც, ვინც თავად უგულვებელყოფს გადასახადებს. ქვეყნის ფინანსების მარეგულირებელი, სახელმწიფო ორგანოები ვერ იღებენ ზუსტ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ხდება რეალურად ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ სექტორში და ამის გამო, ხშირად არასწორ გადაწყვეტილებებს ღებულობენ. მათი ეკონომიკური პოლიტიკა შესაძლოა ნაკლებ ეფექტიანი ან მცდარი აღმოჩნდეს იმის გამო, რომ სახელმწიფო სრულად ვერ მართავს სიტუაციას.

კიდევ უფრო რთულდება ჩრდილოვან ეკონომიკასთან ბრძოლის პროცესი ისეთ პირობებში, როდესაც ქვეყნის ეკონომიკა ზოგადად დაუბალანსებელია, კანონმდებლობა კი, რეალური სიტუაციის არაადეკვატური და ნაკლებად გააზრებული. ამიტომ შემთხვევითი როდია. ჩრდილოვანი ეკონომიკის ავთვისებიან სიმსივნესთან შედარება. ამ საშიში დაავადების მსგავსად ხელსაყრელ პირობებში ჩავარდნილი ჩრდილოვანი სექტორი სწრაფად იზრდება და ლამობს სახელმწიფოებრივი თუ კერძო სტრუქტუტრების სულ უფრო მეტი რგოლის „ჩათრებას“ თავისი მოქმედების არეში.

ბიუჯეტის დეფიციტი და ეროვნული ვალი

როდესაც სახელმწიფოს ხარჯები მის შემოსავალს აღემატება, მაშინ იქმნება სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი. წლიდან წლამდე მისი დაგროვება ქმნის სახელმწიფო ანუ ეროვნულ ვალს. საიდან ღებულობს მთავრობა სახსრებს მის დასაფარავად? პირველი გზა მოსახლეობისაგან სესხის აღებაა. განვითართებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ეს მექანიზმი მოქმედებს სააქციო საზოგადოების ანალოგიურად – უშვებს ფასიან ქაღალდებს (სავალო ვალდებულებას) დაფარვის სხვადასხვა ვადებით და პროცენტებით.

მარტივი ოპერაციის შედეგად, მართალია, ჩნდება სახელმწიფო ბიუჯეტის კიდევ ერთი ხარჯვითი მუხლი – სახელმწიფო ვალის მომსახურება ანუ პროცენტების გადახდა დაუფარავ (გაუსტუმრებელ) ფასიან ქაღალდებზე, მაგრამ, იგი გაცილებით მცირეა იმ თანხებთან შედარებით რაზეც მთავრობა განვადებას ღებულობს.

არსებობს დეფიციტის დაფარვის სხვა, გარეგნულად უფრო მარტივი და რადიკალური გზა-სახელმწიფოს მონოპოლიური უფლება ბრუნვაში გამოუშვას ფული, დაბეჭდოს დიდი რაოდენობის ახალი კუპიურები და დაფაროს ყოველგვარი დავალიანება. სამწუხაროდ, ასეთ მარტივ ხერხს მოჰყვება ერთ-ერთი ყველაზე საშინელი ეკონომიკური მოვლენა – ინფლაცია.

ვალი

ვალი, მთავრობის ფინანსური ვალდებულებების ჯამია. ის ზომავს, თუ რას სესხულობს სახელმწიფო მისი მოქალაქეებისგან, უცხოური ორგანიზაციებისგან, უცხოური მთავრობებისა და საერთაშორისო ინსტიტუციებისგან. რაც უფრო მეტია მთლიანი ვალი, მით გაურკვეველია ეკონომიკური მდგომარეობა და პოტენციალი.

მრავალი ქვეყნისთვის ეროვნული ვალი – მტკიცედ, თუმცა ნელა მატულობს. დღეს ეს საკითხი მკვეთრად შეიცვალა, რამდენადაც მთავრობებმა რეაგირება მოახდინეს გლობალურ ფინანსურ კრიზისზე. კომპანიის ფინანსურმა დახმარებებმა, უმუშევრობის შემწეობებმა და მაკროეკონომიკურმა სტიმულმა გამოიწვია უპრეცედენტო ვალი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის (I) გამოთვლებით, 10 ყველაზე მდიდარი ქვეყნის 2007 წლის ვალი მათი მშპ-ს 78 %-დან 2014 წლისთვის თითქმის 115%-მდე გაიზარდა. ეს მთავრობები, საშუალოდ, ვალდებულნი იქნებიან, დაახლოებით, 50,000 დოლარის ოდენობით თითოეული მოქალაქის მიმართ. ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითი - „გლობალური ფინანსური კრიზისი: მიზეზები და შედეგები" ასახავს ამ საკითხებს.

საშინაო და საგარეო ვალი. ქვეყნის ვალი ორი სახეობისაა: საშინაო და საგარეო. საშინაო ვალმთავრობა ხარჯავს უფრო მეტს, ვიდრე აგროვებს შემოსავლებში. დეფიციტი რამდენიმე მიზეზის გამო წარმოიშობა, მაგალითად, როცა არასრულყოფილი საგადასახადო სისტემა საკმარისად ვერ აგროვებს გადასახადებს, უსაფრთხოებისა და სოციალური პროგრამები აჭარბებს საგადასახადო შემოსავლებს ან სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი საწარმოები დეფიციტურია.88 აქედან გამომდინარე, მთავრობები ებრძვიან ხარჯვის პრიორიტეტებს, ცდილობენ ბიუჯეტის მართვასა და საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფას. საშინაო ვალების მოგვარების მიზნით, აუცილებელია, ის პოლიტიკა გადაიხედოს, რომელიც ქმნის ეკონომიკურ გაურკვევლობას მომხმარებლებისთვის, ინვესტორებისა და კომპანიებისთვის. მომხმარებლებისთვის მზარდი საზოგადოებრივი ვალი, ჩვეულებრივ, მკაცრი ზომებისა და გადასახადების მატების აღრეული ინდიკატორია.

საგარეო ვალი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც მთავრობა სესხულობს ფულს ქვეყნის გარე კრედიტორებისგან, ისეთებისგან როგორებიცაა: კერძო კომერციული ბანკები, სხვა მთავრობები ან საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუციები (მაგ., საერთაშორისო სავალუტო ფონდი ან მსოფლიო ბანკი). ამ ვალის პროცენტის და, საბოლოოდ, ძირითადი თანხის გადახდა ხორციელდება ნასესხები ვალუტით. ამგვარად, მსესხებელ ქვეყანას, შესაძლებელია, მოუწიოს მისი საქონლის ექსპორტირება გამსესხებლის ქვეყანაში, რათა გამოიმუშავოს ეს ვალუტა, ან მოახდინოს ამ ვალუტის კონვერტაცია კრედიტორის ვალუტაში. ვალთან დაკავშირებული კრიზისი ხშირად წარმოიქმნება მაშინ, როცა სუსტ ეკონომიკას არ შეუძლია ამის გაკეთება ან შეუძლია მხოლოდ დიდი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ხარჯით. ამ სიტუაციაში ეკონომიკა სტაგნაციაში იმყოფება. სტრესი და დანაკარგი, ჩვეულებრივ, წინ უძღვის მის მცირე მასშტაბის, მაგრამ ეფექტიან გადატვირთვას.

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების ზოგადი მეთოდოლოგია

საქართველოს ეროვნული ანგარიშების მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროგაერთიანების სტატისტიკური კომისიის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდებული ეროვნულ ანგარიშთა 1993 წლის (SNA-93) სისტემის სტანდარტული მეთოდოლოგია.

მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობა ეროვნული ანგარიშების წარმოებისას იყენებს 1993 წლის მეთოდოლოგიას, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ 2009 წელს დასრულდა მუშაობა ეროვნული ანგარიშების სისტემის ახალ 2008 წლის ვერსიაზე და
2011 წლიდან იგეგმება SNA 2008 მეთოდოლოგიაზე ეტაპობრივად
გადასვლის სამუშაოების დაწყება. SNA 2008-ის მეთოდოლოგია ბევრ საკითხში
იდენტურია SNA-
93-ის პრინციპების და მხოლოდ რამოდენიმე საკითხში, განსაკუთრებით
ფინანსური ანგარიშის ნაწილში, შეტანილია გარკვეული ცვლილებები.

განსხვავება ძირითადად შეეხება გლობალიზაციის პროცესის გავლენის გათვალისწინებას მულტინაციონალური კორპორაციების მაჩვენებლებზე. ასევე ცვლილებები შევიდა კაპიტალის ანგარიშის შედგენის მეთოდოლოგიაში. ძირითად კაპიტალში ინვესტიციებად განიხილება კვლევებსა და დამუშავებებზე გაწეული ხარჯები, რაც SNA-93-ის მიხედვით განიხილებოდა როგორც მიმდინარე ხარჯები. ასევე ცალკე იქნა გამოყოფილი ინტელექტუალური საკუთრების ცნება და დაიხვეწა მისი გაანგარიშების მეთოდოლოგია.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ მაჩვენებელს წარმოადგენს მთლიანი შიდა პროდუქტი, რომელიც ქვეყნის ტერიტორიის შიგნით წარმოებული საბოლოო საქონლისა და მომსახურების საბაზრო ფასებში გამოხატული მთლიანი ღირებულებაა.

მშპ-ის გაანგარიშება მიმდინარე ფასებში ხორციელდება საერთაშორისოდ აღიარებული სამი სხვადასხვა მეთოდით:

1. წარმოების მეთოდი:

მთლიანი შიდა პროდუქტი, როგორც ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე დროის შესაბამის მონაკვეთში ეკონომიკის რეზიდენტი ერთეულების მიერ (ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სახეებში) შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულებების ჯამს დამატებული გადასახადები პროდუქციაზე და იმპორტზე (დღგ, აქციზი და საბაჟო გადასახადი) მინუს სუბსიდიები პროდუქტებზე.

გაანგარიშების სქემა:

საქმიანობის სახეობების მიხედვით პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების)

მთლიანი გამოშვება საბაზისო ფასებში

-

საქონელისა და მომსახურების გამოშვებისათვის გამოყენებული

შუალედური მოხმარება

=

მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზისო ფასებში

+

გადასახადები პროდუქციაზე და
იმპორტზე

–

სუბსიდები პროდუქტებზე

=

მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში.

2. გამოყენების (დანახარჯების) მეთოდი:

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება დანახარჯების მეთოდით ეფუძნება ეკონომიკის რეზიდენტი ერთეულების მიერ მიმდინარე პერიოდში გაწეული დანახარჯების გამოთვლას.

გაანგარიშების სქემა:

შინამეურნეობების სამომხმარებლო ხარჯები

+

შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების მიერ გაწეული მომსახურება

+

სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ გაწეული კოლექტიური (სახელმწიფოს მართვა, თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა) და პერსონალური (განათლებისა და ჯანდაცვის) მომსახურება

+

ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება

+

მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილება

=

მთლიანი შიდა ხარჯები საბაზრო ფასებში

+

საქონლისა და მომსახურების ექსპორტი

-

საქონლისა და მომსახურების იმპორტი

=

მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში.

3. შემოსავლების მეთოდი:

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება შემოსავლების მეთოდით ემყარება იმ ინსტიტუციური ერთეულების შემოსავლების ჯამს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ საქონლისა და მომსახურების შექმნაში მოცემული პერიოდის განმავლობაში.

გაანგარიშების სქემა:

შემოსავალი დასაქმებიდან დარიცხული ხელფასისა და დანამატების სახით (ხელფასზე დარიცხული გადასახადების ჩათვლით)

+

თვითდასაქმებიდან მიღებული შერეული შემოსავალი

+

კომპანიების მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული მთლიანი მოგება

+

გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე

–

სუბსიდიები წარმოებასა და პროდუქტებზე

=

მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში.

სხვადასხვა მეთოდებით გაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობები შეიძლება ერთმანეთს არ ემთხვეოდეს, რადგან მათი ინფორმაციული წყაროები განსხვავებულია, განსხვავება აისახება სტრიქონში "სტატისტიკური განსხვავება".

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება წარმოების მეთოდით ეფუძნება ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების საქართველოს ეროვნულ კლასიფიკატორს (სეკ 001-2004), რომელიც შემუშავებულია ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის ევროპული სტანდარტის NACE rev.1.1 ბაზაზე.

საერთაშორისო მეთოდოლოგიის რეკომენდაციების გათვალისწინებით ეკონომიკური ოპერაციები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით მათი განხორციელების მომენტისათვის არსებულ მიმდინარე საბაზრო ფასებში.

ეროვნულ ანგარიშთა (**SNA-93**) სისტემით რეკომენდებულია მშპ-ის რეალური ზრდის ინდექსის კვარტალური პერიოდულობით გაანგარიშება. ამასთან, რეალური ზრდის მაჩვენებელი გაიანგარიშება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მიმართ მუდმივ ფასებში გაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტის მონაცემების საფუძველზე.

მშპ-ის მუდმივ ფასებში გადაყვანა ჯერ-ჯერობით ხდება მხოლოდ წარმოების მეთოდით გაანგარიშებული მაჩვენებლების მიხედვით ორმაგი დეფლირების გზით, რაც ხორციელდება ფასების შესაბამისი ინდექსების მეშვეობით, საქმიანობის სახეების მიხედვით მთლიანი გამოშვებისა და შუალედური მოხმარების ცალ-ცალკე დეფლირებით და შემდეგ მათი სხვაობის გამოთვლით.

საერთაშორისო მეთოდოლოგია, მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშებისას,

ითვალისწინებს დაუკვირვებადი ეკონომიკის გაზომვას.

დაუკვირვებადი ეკონომიკა იზომება საქმიანობის სახეების მიხედვით სტატისტიკური ინფორმაციის არსებულ სტანდარტულ წყაროებში სხვადასხვა მიზეზით მოუცველი საქმიანობის, პროდუქციის, შემოსავლების, მოხმარების ან სხვა ეკონომიკური ოპერაციების მოცულობით. მისი შეფასებისათვის გამოიყენება როგორც პირდაპირი კვლევის, ასევე არაპირდაპირი შეფასებები.

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშებისას გამოიყენება შემდეგი მონაცემთა წყაროები:

- ბიზნეს სტატისტიკის კვარტალური და წლიური გამოკვლევები. მონაცემთა ბაზები ყოველკვარტალურად მუშავდება ეროვნულ ანგარიშთა სისტემისათვის საჭირო ფორმატით, რის საფუძველზეც იანგარიშება პროდუქციის მთლიანი გამოშვებები 45 სახის საქმიანობის მიხედვით დაუკვირვებადი ეკონომიკის გათვალისწინებით;
- შინამეურნეობების კვარტალური კვლევის მონაცემები. ყოველკვარტალურად მუშავდება დასაქმებულთა და შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების მონაცემთა ბაზები ეროვნულ ანგარიშთა სისტემისათვის საჭირო ფორმატით.
- ფასების სტატისტიკის მონაცემები მწარმოებელთა და სამომხმარებლო ფასების შესახებ დეფლირების განხორციელების მიზნით;
- სოფლის მეურნეობის სტატისტიკის სამმართველოს კვარტალური და წლიური გამოკვლევის მონაცემები სოფლის მეურნეობის სფეროში შექმნილი დამატებული ღირებულების გასაანგარიშებლად;
- ეროვნული ბანკის მონაცემები:

  - კომერციული ბანკების ყოველთვიური მონაცემები შემოსავლებისა და ხარჯების

შესახებ, რის საფუძველზეც იანგარიშება კომერციული ბანკების გამოშვება.

- ეროვნული ბანკის ყოველთვიური მონაცემები შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ, რის საფუძველზეც იანგარიშება ეროვნული ბანკის გამოშვება.

- აღნიშნულ წყაროებზე დაყრდნობით იანგარიშება ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასების მაჩვენებელიც.

- ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის მონაცემები;

- სადაზღვევო კომპანიების ყოველკვარტალური მონაცემები, რის საფუძველზეც იანგარიშება სადაზღვევო კომპანიების გამოშვება. ეროვნული და კომერციული ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების გამოშვებების შეჯამებით მიიღება საფინანსო შუამავლობის სექტორის გამოშვება.
- ფინანსთა სამინისტროს ყოველთვიური მონაცემები (ნაერთი, სახელმწიფო და თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობების (გადასახადის სახეების მიხედვით) და გადასახდელების (ფუნქციონალური და ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით)), რომელთა დამუშავებით მიიღება სახელმწიფო მმართველობის სექტორის მთლიანი გამოშვება; აგრეთვე გადასახადები პროდუქციაზე და იმპორტზე (დღგ, აქციზი და საბაჟო გადასახადი).

დანართი ა
ეკონომიკური თავისუფლება

ეკონომიკური საკითხების ფართო სპექტრის ანალიზი კონცენტრირებულია იმაზე, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ თავისუფლად ეკონომიკურ აგენტებს: რა ინვესტიციების დაბანდება ძალუძთ? როგორ ანაწილებენ რესურსებს? საკუთრების რომელი უფლებების მოთხოვნა ხელეწიფებათ? როგორია კონკურენცია? ვისი დაქირავების და დათხოვნის უფლება აქვთ? რა ოპერაციებს იყენებენ? ბევრ ქვეყანაში თავისუფლების ამ სახეობებს სერიოზულად არ უყურებენ. სხვა ქვეყანაში ეს თავისუფლებები იმდენად იშვიათია, რომ ისინი კონფლიქტების მიზეზადაც კი იქცევა ხოლმე.

ამ ყველაფრის ფონზე, ეკონომიკური თავისუფლებაა: „საკუთრების მფლობელობის აბსოლუტური უფლება, შრომის, კაპიტალისა და საქონლის გადაადგილებისა და აბსოლუტური ეკონომიკური თავისუფლება, რაც აუცილებელია მოქალაქეებისთვის, რათა მათ დაიცვან და შეინარჩუნონ თავისუფლება“.21 სახელმწიფოს ნაცვლად, ინდივიდები წყვეტენ, როგორ სურთ მუშაობა, წარმოება, მოხმარება, დაზოგვა და ინვესტირება. მნიშვნელოვანია, რომ თავისუფლების უფლება სახელმწიფოს მიერაა დაცული.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით ფასდება მთავრობის მიერ თავისუფალი არჩევანისა და წარმოების შეზღუდვის ხარისხი. ეს ინდექსი ეფუძნება ადამ სმიტის მოსაზრებას, რომ „ძირითად ინსტიტუციებს, რომლებიც საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მისაღწევად ინდივიდების თავისუფლებას იცავს, საზოგადოებისთვის მეტი კეთილდღეობა მოაქვს“.22 ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი შედგება 50 ინდიკატორისგან (იხილეთ ცხრილი 10 ა.1). ანალიტიკოსები იყენებენ ამ ინდექსს 183

ქვეყანაში და აფასებენ თითოეულს. რაც უფრო მაღალია ქულა თითოეულ ფაქტორზე - 0-დან 100 %-მდე არეალის ფარგლებში, მით მაღალია ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი.

ეკონომიკური თავისუფლება დღეს

2011 წელს მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლება იბრუნებს დიდი ფინანსური კრიზისის და გლობალური რეცესიის შემდეგ დაკარგული მამოძრავებელი ძალის ფუნქციას. 183 ქვეყანაში 2011 წელს საშუალო თავისუფლების ქულა იყო 59,7 %; 2010 წელს კი – 59.4 %.23 მსოფლიო მასშტაბით მთავრობებმა შეცვალეს ფინანსები, ღია ბაზრები, მარეგულირებელი რეფორმა და საკუთრების უფლებები. თუმცა, 2007 წლის კრიზისამდე ეკონომიკური თავისუფლება 60.2 %-ზე დაბალი იყო.

ეკონომიკური თავისუფლება მსოფლიოს რეგიონებს შორის განსხვავებულია, ხალხი ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში უფრო მეტად სარგებლობს ამ თავისუფლებით, ვიდრე სხვაგან. მსოფლიოს რეგიონულ დონეზე ეკონომიკური თავისუფლება შედარებით მაღალი ხარისხისაა დასავლეთის ქვეყნებში და დაბალი ხარისხისაა აღმოსავლეთის ქვეყნებში. მონაცემები მიუთითებს, რომ ხალხის უმეტესობა ცხოვრობს ეკონომიკური თავისუფლების დაბალი ხარისხის ქვეყნებში. დაახლოებით, 1.2 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს ეკონომიკური თავისუფლების საშუალო ხარისხით. მსოფლიოს უმეტესი ნაწილი, დაახლოებით, 5.2 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს ქვეყნებში, რომლებშიც ეკონომიკური თავისუფლების დაბალი ხარისხია.

ეკონომიკური თავისუფლების ანალიზი მსოფლიოში გვიჩვენებს, რომ ექვს ქვეყანას აქვს თავისუფალი ეკონომიკა, 27 მეტ-ნაკლებად თავისუფალია, 57 - საშუალო დონეზე თავისუფალი, 57 არ არის თავისუფალი და 32 რეპრესირებულია. ყველაზე თავისუფალი ეკონომიკებია ჰონგ-კონგი, სინგაპური, ავსტრალია, ახალი ზელანდია, შვეიცარია და კანადა. ყველაზე ნაკლებად თავისუფალი ეკონომიკებია ჩრდილოეთ კორეა, კუბა, ზიმბაბვე, ერითრეა და ვენესუელა. მთავრობის მომატებული ხარჯის, ვალის და რეგულაციების გამო, 2011 წელს აშშ-მ მეცხრე ადგილზე გადაინაცვლა. 77.8 ქულით ის მიეკუთვნება „ყველაზე უფრო თავისუფალ“ კატეგორიას. 2007 წელს აშშ მეხუთე ადგილზე იყო, 81.2 ქულით, „თავისუფალ“ კატეგორიაში.

ეკონომიკურ თავისუფლებასა და მოსახლეობას შორის ურთიერთდამოკიდებულება მიუთითებს, რომ მსოფლიო მოსახლეობის უმეტესობა, დაახლოებით 5.5 მილიარდი ადამიანი, ცხოვრობს ქვეყნებში, სადაც მთავრობები ზღუდავენ მათ სამუშაოს, წარმოების, მოხმარების, დაზოგვისა და ინვესტირების არჩევანს.

ნაკლებად თავისუფალ ქვეყნებთან შედარებით, ეკონომიკურად თავისუფალ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე მეტი შემოსავალი, ცხოვრების მაღალი სტანდარტები და სოციალური სტაბილურობა აქვთ.

ეკონომიკური თავისუფლება გვიჩვენებს ქვეყნის განვითარებასა და პოტენციალს. მაღალი ეკონომიკური თავისუფლების მქონე ქვეყნებს აქვთ ზრდისა და პროდუქტულობის მაღალი მაჩვენებლები. მაღალი ეკონომიკური თავისუფლების მქონე ქვეყნების საშუალო შემოსავალი შვიდჯერ აღემატება, არათავისუფალი და რეპრესირებული ეკონომიკების შემოსავალს (იხილეთ სქემა 4.5). დადებითი ურთიერთკავშირი არსებობს ეკონომიკურ თავისუფლებას, ინფლაციასა და დასაქმებას შორის. ეკონომიკური თავისუფლება ქმნის სოციალურ დივიდენდებს. სიცოცხლის ხანგრძლივობა, წიგნიერება, პოლიტიკური გამჭვირვალობა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული მდგრადობა აჩვენებს დადებით კავშირს სოციალურ ფაქტორებსა და ეკონომიკურ თავისუფლებას შორის. მონაცემები ასევე მიუთითებს ეკონომიკურ თავისუფლებასა და სიცოცხლის ხარისხის სხვადასხვა საზომებს შორის დადებით კავშირზე.25 მონაცემები ადასტურებს, რომ რესურსების სამთავრობო კონტროლისგან განთავისუფლება აუმჯობესებს მაკროეკონომიკურ სტაბილურობასა და ცხოვრების სტანდარტებს.

ეკონომიკური თავისუფლების ტენდენციები

ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მენეჯერებს შეეძლოთ ევარაუდათ, რომ ქვეყნები განახორციელებდნენ ისეთ რეფორმებს, რომლებიც გაზრდიდა ეკონომიკური თავისუფლების ხარისხს. თავისუფალი ბაზრები მუდმივად უსწრებდნენ „არათავისუფალ“ ქვეყნებს. დიდ და მზარდ უმრავლესობას სჯეროდა, რომ ადამიანები სარგებელს იღებენ მეტი და არა ნაკლებეკონომიკური თავისუფლებისგან. 1989 წელს ბერლინის კედლის ნგრევამ, რაც კომუნიზმზე კაპიტალიზმის ტრიუმფს გამოხატავდა, დაადასტურა ეკონომიკური თავისუფლების უზენაესობა.

ქვეყნებმა თანდათან უარი თქვეს სახელმწიფო კონტროლზე, მიიღეს კაპიტალიზმის პრინციპები და ეკონომიკური თავისუფლების პრაქტიკა. მთელ მსოფლიოში მთავრობებმა დათმეს მოთხოვნისა და მიწოდების კანონები, ბაზრის ე.წ. „უხილავ ხელს“ „ხილული ხელის“ პოლიტიკა ჩაენაცვლა და მსოფლიოში ეკონომიკური უპირატესობა მიენიჭა ეკონომიკურ რეგულირებას.

ეკონომიკური თავისუფლება მნიშვნელოვანად არის დაკავშირიებული ბაზრის სოციალურ და პოლიტიკურ საზომებთან. აქ ჩვენ ვხედავთ, რომ ეკონომიკურად თავისუფალ ქვეყნებს აქვთ მაღალი შემოსავლები, დაბალი ინფლაცია და უმუშევრობა.

ცვალებადი საბაზრო პირობები და გამოვლენილი პოლიტიკური ტენდენციები მიუთითებს, რომ მულტინაციონალური საწარმოები გაურკვეველ ეკონომიკურ პირობებშია. გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა ხელი შეუშალა ეკონომიკური თავისუფლების გაფართოებას. კრიზისის დასრულებისთანავე ინდუსტრიულმა წარმოებამ, ექსპორტის მაჩვენებელმა და აქციების ფასებმა იმაზე მეტად გააუარესეს მდგომარეობა, ვიდრე ეს „დიდი დეპრესიის“ დროს იყო.26 მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეუპოვარი რეცესია ბევრ ეკონომიკაში ყველაზე დიდ გლობალურ ეკონომიკურ შემცირებაზე მიუთითებდა.
გლობალური ფინანსური კრიზისის მასშტაბი, მოცულობა და სისწრაფე ხელს უწყობდა საბაზრო ეკონომიკის შეზღუდვებს, უარყოფდა საბაზრო ფუნდამენტალიზმის სარგებლიანობას და მოითხოვდა ეკონომიკაში მთავრობის როლის გადახედვას. ზოგიერთის აზრით, სახელმწიფომ ფრთხილად უნდა დაარეგულიროს თავისუფალი ბაზრების სულისკვეთება, „დააშოშმინოს“ პანიკა, დაიცვას მოქალაქეები, გადაანაწილოს სიმდიდრე და შეინარჩუნოს მოთხოვნა. ეს ფაქტორები, ყველა ერთად აღებული და ცალ-ცალკე, ამცირებს ეკონომიკურ თავისუფლებას.

დღეს, კრიზისის შემდეგ, ბევრი ეკონომიკა სტაბილური გახდა. თუმცა, ვალების კრიზისი, ეკონომიკური ზრდის ნელი ტემპი, ძვირადღირებული ფართო მოხმარების საგნები და უმუშევრობის მაჩვენებლის მატება ართულებს ეკონომიკურ აღორძინებას. ახლა, როცა მიმდინარეობს მსოფლიოს ხელახლი გადანაწილება, მენეჯერები იბრძვიან, რათა განსაზღვრონ თავიანთი მიდგომები ეკონომიკური თავისუფლების ტენდენციების მიმართ.
შედარებით თავისუფალი ბაზრების შიში. გლობალური ფინანსური კრიზისის მიზეზები და შედეგები, რომლებსაც წინამდებარე თავის დასკვნით მაგალითში ვიხილავთ, განსაზღვრავს ეკონომიკური თავისუფლების მაქსიმუმამდე ზრდის შესახებ კვლევის ლეგიტიმურობას. ქვეყნები, განსაკუთრებით კი ისინი, რომლებმაც თავდაპირველად ყველაზე რთულად მიიღეს გლობალური ფინანსური კრიზისის დარტყმა და კვლავ განიცდიან სუსტ ზრდას, თავისუფალი ბაზრების მიმართ შესუსტებულ მხარდაჭერას გვიჩვენებენ. უპირობო იდეალის ნაცვლად, ისინი ფრთხილობენ ეკონომიკური თავისუფლების მაქსიმუმამდე ზრდის საკითხში. ამის შედეგად გამოწვეულმა უსაფრთხოების ზომებმა, კრიზისის მეორე ეტაპის თავიდან ასაცილებლად, სახელმწიფოების

მიერ ეკონომიკური საკითხების კონტროლი გაზარდა. ეს, თავის მხრივ, ამცირებს ეკონომიკურ თავისუფლებას.

კაპიტალიზმით უკმაყოფილება მთელ მსოფლიოში გავრცელდა . 27 ქვეყნის გამოკითხული რესპონდენტების საშუალოდ 11 % მიიჩნევს, რომ კაპიტალიზმი კარგად მუშაობს,27 23 % კაპიტალზმს ხედავს, როგორც ფატალურად ნაკლოვანს. ბევრი მოითხოვს ახალ ეკონომიკურ სისტემას, მათ შორის, 43 % –საფრანგეთში, 38 % - მექსიკაში, 35 % - ბრაზილიასა და 31 % - უკრაინაში. მხოლოდ ორ ქვეყანაში - აშშ-სა (25 %) და პაკისტანში (21 %) - ხუთიდან ერთი რესპონდენტი ფიქრობს, რომ კაპიტალიზმი კარგია ისეთი, როგორიც არის.28

2002 წელს ამერიკელების 80% თავისუფალ ბაზარს მომავლის საუკეთესო ეკონომიკურ სისტემად მიიჩნევდა და აშშ ამ სისტემის მაშინდელ მხარდამჭერ ლიდერად ითვლებოდა. 2010 წლისთვის ეს მხარდაჭერა 59 %-მდე დაეცა. ამის საპირისპიროდ, ახლა ახალბედა ეკონომიკები შეესაბამება ან უახლოვდება აშშ-ს ეკონომიკურ სისტემას. ნომინალურად, კომუნისტური ჩინეთის მოსახლეობის 68 % თავისუფალი ბაზრების მსოფლიოში ყველაზე ძლიერი მხარდამჭერია, 2002 წელს ეს მხარდაჭერა 66 % იყო. ბრაზილიელების 67 % და ინდოელების 59 % თავისუფალ ბაზრებს მომავლის საუკეთესო ალტერნატივად მიიჩნევდნენ. საბოლოოდ, მსოფლიოს, დაახლოებით, ნახევარი ფიქრობს, რომ თავისუფალი ბაზარი ჯერ კიდევ საუკეთესო არჩევანია. ისინი ასევე აღნიშნავენ, რომ ენდემურ ხარვეზებს რეფორმირება და რეგულაცია სჭირდება.

დანართი ბ

“ვარ კვოტების წინააღმდეგი. მაბრამ, ვარ თანასწორობის მომხრე. და თუ ვხედავ რომ თანასწორობა ვერ მიიღწევა კვოტების გარეშე, მე მაშინ ვხდები კვოტების მომხრე”.

16 მარტი 2015 წელი, კონფერენცია: “მაღალი დონის შეხვედრა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელშესაწყობად”. (საქართველოს ტელევიზიის “2” არხის პროგრამა ბრიფინგის დრო). კონფერენციის მონაწილეთა გამოსვლები:

მანანა კობახიძე, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავ-რე: ”დღევანდელი შეხვედრა, კონფერენცია, სწორედ ეძღვნება საკანონმდებლო ცვლილებებს

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერებისთვის, გააქტიურებისთვის. მეტი ქალი პოლიტიკაში, მეტი ქალი პარლამენტში. აი ეს არის ის დევიზი, რომლითაც სწორედ არის გამსჭვალული დღევანდელი ღონისძიება და მე ვიტყოდი, რომ ნამდვილად უპრეცედენტოა დღევანდელი კონფერენცია, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, დეპუტატები, სამოქალაქო საზოგადოება, საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები, საელჩოები, ყველანი ერთად ვსხდებით მაგიდასთან, იმისთვის, რომ ვიფიქროთ, თუ როგორ შევუწყოთ ხელი ქალთა მონაწილეობის გაზრდას პოლიტიკურ ცხოვრებაში, რა ინსტრუმენტების გამოყენებით....”

გიორგი მარგველაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი: “ქართულ რეალობაში, ქართულ სინამდვილეში, ბევრად მეტი ქალი უნდა იყოს ჩართული მაღალ თანამდებობაზე. ... ეს ჭეშმარიტება ჩვენ არ გამოგვიგონია. ქვეყნებში, სადაც ქალთა მონაწილეობა არის უფრო მაღალი, ბევრად უფრო სტაბილური, კონკრეტულ მიზნებზე, კვალიფიციურ გადაწყვეტაზე ორინეტირებული პოლიტიკაა. ეს არის ფაქტობრივი რეალობა... ჯერ კიდევ არ გვაქვს სასარგებლო სტატისტიკური დონე... განვითარებადი ქვეყნების მმართველობის სისტემაში ქალბატონების წარმოდგენა 40%-მდეა. .... ამისკენ დინამიურად უნდა მივისწრაფვოდეთ.... “მომხრე ვარ..... ჩვენ შემოვიღოთ კვოტირების სისტემა.... ნაბიჯი აქეთ უნდა გადავდგათ.... გარეთ ვსაუბრობდით და მე ამისიც მჯერა, რომ მე-5 პრეზიდენტი საქართველოში, კარგი იქნება რომ ქალი იყოს და ამის მიმართულებითაც კარგი იქნება რომ ნაბიჯები გადავდგათ ერთად....”

დავით უსუფაშვილი, საქართველოს პარლამენტის თავ-რე: “მინდა მაინც ყურადღება გავამახვილო ამ ტიპის ინიციატივებზე, იმიტომ რომ სწორედ ასე ხდება თემის და საკითხის გააზრება და ასე ხდება საზოგადოების დონეზე ამა თუ იმ ღირებულების, ამა თუ იმ სტანდარტის, ამა თუ იმ პოლიტიკური გადაწყვეტილების გააზრება და მოფიქრება. ეს უნდა გავითვალისწინოთ რეალურ ცხოვრებაში. რაც შეეხება საკითხის შუქჩრდილებს, **მე მინდა მოგახსენოთ, რომ ვარ კვოტების წინააღმდეგი. მაგრამ, მინდა ამასობაში მოგახსენოთ, რომ მე ვარ თანასწორობის მომხრე. და თუ ვხედავ რომ თანასწორობა ვერ მიიღწევა კვოტების გარეშე, მე მაშინ ვხდები კვოტების მომხრე.** (ამ სიტყვებს კონფერენციის მონაწილენი შეხვდნენ ტაშით). მე მგონი ასე უნდა დავინახოთ ჩვენ საკითხი, ასე უნდა დავინახოთ ჩვენ ეს თემა და არა ვაქციოთ იგი იდეაფიქსად, ან რაღაც ისეთ თემად, რომ კვოტები კარგია თუ ცუდია. ცუდია კვოტები, სირცხვილია კვოტები. რაზე ვსაუბრობთ, რა თქმა უნდა ეს არ არის კარგი, მაგრამ, ჩავხედოთ სისხლის სამართლის კოდექსს.

სირცხვილი არ არის რაც იქ გვიწერია? ქურდობა არ შეიძლებაო, ამას კანონში სჭირდება ჩაწერა? განა არ ვიცით, რომ არ შეიძლება, და მკვლელობა, და ასეთი ამბები. ძალიან ბევრი რამეა არასწორი და ცუდი, მაგრამ რეგულირდება კანონით. ამ შემტხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ მდგომარეობასთან, როდესაც სამწუხაროდ აუცილებელია საკანონმდებლო ჩარევა. მე გარდა იმისა, რომ წინააღმდეგი ვარ კვოტებისა და მომხრე ვარ თანასწორობის, კიდევ ყველაზე უფრო მომხრე ვარ თავისუფლების. ნებისმიერი კანონი ეს არის თავისუფლების შეზღუდვის ახალი მექანიზმი, ეს ვიცით. მაგრამ ამასობაში კარგად ვიცით, რომ თუ კანონით რაღაცეები არ შევზღუდეთ, მაშინ ჩვენი ნანატრი თავისუფლება ვერასოდეს ვერ მიიღწევა. სწორედ ამასთან გვაქვს საქმე და ამიტომ მე ვაცხადებ, ამ შემთხვევაში პირადად ჩემგან, დარწმუნებული ვარ რომ ამ ეტაპზე, საჭიროა ნაბიჯების გადადგმა საკანონმდებლო დონეზე ამ საკითხში დარეგულირების, იმისათვის რომ ჩვენ ამ კანონის გაუქმება რაც შეიძლება მალე მოგვიწიოს. და მე ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს დავინახავდი დროებით ზომად, იმისთვის რომ ჩვენ ერთმანეთს კარგად დავანახოთ რაზე გვაქვს საუბარი და შემდგომ მე დარწმუნებული ვარ ეს კანონი აღარ იქნება საჭირო. და რატომ არ იქნება საჭირო? მის საუკეთესო საილუსტრაციო მაგალითად მე შემიძლია დაგასახელოთ თქვენ, პატივცემულო ქალებო, ვინც აქ ბრძანდებით და ძალიან ბევრი თქვენი კოლეგა, რომელიც დღეს მოღვაწეობს პარლამენტში, მოღვაწეობს თვითმმართველობის ორგანოებში, მთავრობაში, არასამთავრობო სექტორში. ის ქალები, რომლებმაც ძალიან კონკრეტული მაგალითებით დაუდასტურეს ყველას, თუკი ვინმეს სჭირდებოდა რაიმეს დამტკიცება დამატებით, რომ მათი საქმიანობა საჯარო სფეროში, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, ძალიან საჭირო, ძალიან საშური საქმე. “ამიტომ ამ თვალსაზრისით, ქალთა მონაწილეობის გაზრდა სჭირდება არა იმდენად ქალებს, რამდენადაც კაცებს. მოკლედ საქმის კეთებაზეა აქ საუბარი და არა პრივილეგიებზე. პარლამენტში მეტი ქალი ეს არ ნიშნავს მეტ პრივილეგირებულ ქალს. ეს ნიშნავს მეტი ქალის ჩართულობას ჯოჯოხეთურ კატორღულ შრომაში. და ვინც ნამდვილი პარლამენტარია, მისთვის პარლამენტარობა ეს არის კატორღული შრომა. და ნამდვილ პარლამენტარობას ქალები მეტად ახერხებენ თუ კაცები, ამაზე მე კომენტარს არ გავაკეთებ ზოგადად. ყოველ შემთხვევაში აქ რამე განსაკუთრებული მაგალითები იმის საწინააღმდეგოდ რომ კაცები უფრო შრომობენ, ვიდრე ქალები პარლამენტში, მაინცდამაინც ემპირიული დასკვნები ამის სასუალებას არ გვაძლევს. ასე, რომ შრომაში ერთად ყოფნაზეა საუბარი, შრომის და პასუხისმგებლობის განაწილებაზეა საუბარი და არა პრივილეგიების განაწილებაზე. იმიტომ რომ

საზოგადოებაში ჯერ კიდევ არის ამ ტიპის მოსაზრებები: პრივილეგიები, კი ბატონო, ქალბატონებს, ავტობუსში ადგილს დავუთმობ, პარლამენტში ადგილს არ დავუთმობ. მოდით სხვანაირად შევხედოთ. ავტობუსში ნუ დაუთმობ, თუ არ სურს ქალბატონს დაჯდომა, მაგრამ პარლამენტში დაუთმოთ ადგილი, საკრებულოში დაუთმოთ ადგილი.

ამიტომ ეს თემა მე მგონი უკვე გადაწყვეტილების ფაზისაკენ უნდა წავიდეს. მაგრამ მე მინდა ერთ გარემოებას გავუსვა ხაზი. კერძოდ იმას, რომ ძალიან ხშირად, საზოგადოებაში იწვევს თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში, განცდა ასეთია, რომ კანონით უნდა დაიწყოს საქმე და კანონის მიღებით დამთავრდება საქმე, უფრო სწორედ გაკეთებულად ჩაითვლება საქმე. ეს ასე არ არის. ამიტომ ძალიან დიდი მნისვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად ექნება საკანონმდებლო წინადადებებს და საკანონმდებლო ცვლილებების პროექტებს მხარდაწერა საზოგადოების მხრიდან და რამდენად იქნება იგი საზოგადოებისათვის განმარტებული და ახსნილი მოსახლეობისათვის. ხშირად ჩვენ გვჩვევია ასეთი რამ, ჩავვარდებით ხოლმე რაღაცა გარკვეულ ეიფორიაში, გარკვეული წრეები ადამიანების, ვისაც საშუალება გვაქვს აი ასე შევიკრიბოთ, ან ერთმანეთი ვნახოთ, ან ხმა მივაწვდინოთ და ჩვენს წრეში თუ რაღაცა მომწიფდა, ვთვლით რომ საზოგადოება უნდა გამოგვყვეს, აბა რა, ჩვენ ხომ მათი წარმომადგენლები ვართ, ლიდერები ვართ, პოლიტიკური თუ არასამთავრობო და ასე შემდეგ. ნუ გვექნება ასეთი ილუზიები და ნუ დაგვეზარება ის, რომ უკან მივიხედოთ და გავერკვეთ მოგვყვება თუ არა ჩვენ საზოგადოება ამა თუ იმ კონკრეტული საკითხის გადაწყვეტის პროცესში. ჯობია გაცილებით მეტი დრო დავხარჯოთ იქ მუშაობაში, ოღონდ კონკრეტიკაზე. ვთქვათ, შეიცვლება კანონპროექტი? მე ვისურვებდი რომ ეს კანონპროექტი გამხდარიყო რაც შეიძლება ფართო საერთო სახალხო განხილვის საგანი, სადაც იქნებოდა ახსნილი და განმტკიცებული თუ რაზე ვსაუბრობთ, რა არის მისი შინაარსი, რატომ არის პოლიტიკური პროცესის ძალების მონაწილეობა უკიდურესად აუცილებელი, რატომ არის ამაზე დამოკიდებული ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების შედეგიანობა, ეფექტურობა, პოლიტიკური კულტურის დახვეწა, ინტელექტუალური რესურსის უკეთ გამოყენება, მოქალაქე რა დადებით შედეგს მიიღებს ამისგან, ქალიც და კაციც. ანუ, ჩვენ ყველა, ვინც საჯარო სამსახურში ვართ ან დღეს ვიქნებით ჩართული, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგადაც რატომ და რა კონკრეტულ სარგებელს მოუტანთ საზოგადოებას. ეს უნდა კარგად განვმარტოთ. იმიტომ, რომ მხოლოდ ღირებულების დონეზე აქ ვერ დავრჩებით. მხოლოდ იმ დონეზე რომ საზოგადოება სამ თვეში გაიაზრებს და გაითავისებს თანასწორობის პრინციპის აუცილებლობას. სხვა მხრიდანაც უნდა შევხედოთ ამას, ეს აუცილებელია და ამის გაკვეთილები ჩვენ ძალიან ბევრი გვაქვს სხვა კანონებიდან

გამომდინარე, რომელთა დანერგვა გართულებულა ხოლმე, იმიტომ რომ აი ამ საკითხში არ იყო მთლათ ასე ვთქვათ, ერთნაირი გაგება ამ საკითხების.

რაც შეეხება პერსპექტივას იმისა, რომ როდის და რა ნაბიჯებით შეიძლება ვიაროთ, მე მგონია, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის ჩვენ შეგვიძლია გადავდგად მნიშვნელოვანი ნაბიჯი წინ. ამისთვის აუცილებელია პოლიტიკურ ძალთა შორის ფართო კონსენსუსის მიღწევა და ამაზე უნდა ვიმუშაოთ, იმიტომ რომ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა გარკვეული რაოდენობის ხმები. რეზიდენტის მხრიდან ვეტო რომ არ მოჰყვება ამ კანონს ეს უკვე ვიცით, მითხრა. მაგრამ ჯერ მიღება უნდა ამ კანონს. ამიტომ საჭიროა პოლიტიკურ ძალებს შორის მეტი კონსულტაციები. მე პირადადაც მზად ვარ ჩავერთო ამ პროცესში, რესპუბლიკური პარტია, მისი თავმჯდომარე აგერ არის წარმოდგენილი და პარტიის სახელითაც ვამბობ რომ აქტიურად გვინდა ამ პროცესში ჩართვა. თუმცა, აქვე მოგახსენებთ, რომ იავარდით მოფენილი გზა არ არის, არც რესპუბლიკელების შიგნით. მე ახლა რომ ვსაუბრობ, თან მახსენდება რამდენიმე გვარი და სახელი, აქედან რომ გავალ, ვიცი რომ მომხვდება, იმიტომ, რომ რეებს ლაპარაკობ შენ მანდო. მაგრამ რესპუბლიკურ პარტიაში გვაქვს ეს ტრადიცია, რომ ვიმსჯელოთ, ვიკამათოთ და მერე მივიღოთ გადაწყვეტილებები. მე ვთხოვ ყველა პარტიას, პოლიტიკურ ჯგუფს, ვიმსჯელოთ, ვიკამათოთ შიგნით, გავითვალისწინოთ ყველა მოსაზრებები, მაგრამ მერე პოზიციები ჩამოვაყალიბოთ და პოზიციები იყოს მკაფიო. მე ასევე მინდა გითხრათ, რომ გამიჭირდება იმ პოლიტიკური ძალების, მათი მოსაზრებების გაგება, რომლებიც მოხრენი იყვნენ ან არიან დღეს მოქმედი სისტემის და წინააღმდეგი იქნებიან ნაბიჯს წინ გადადგმის. იმიტომ რომ დღეს მოქმედი სისტემა, ეს ეგრეთწოდებული ფულადი ჯილდო პარტიისთვის, თუ მეტ ქალს ჩაწერდა სიაში, მე მგონია რომ ერთ-ერთი ყველაზე არასწორი და ისე მე მეტ სიტყვას არ ვიხმარ ისეთი მომენტია. მოკლედ, თუ ვიღაცა მზად იყო ფული მიეღო მეტი ქალის ჩაწერისთვის და მაშინ ის ჩაწერდა, ახლა ფულს ვეღარ მიიღებს და არ უნდა ეს ამბავი, ნუ ახლა აქ პოლიტიკასთან არ გვაქვს საქმე, სხვა რამესთან გვაქვს საქმე. ამიტომ მე ყველას ვთხოვდი, რომ თანმიმდევრული ვიყოთ ამ პროცესში, თუ ნაბიჯები გადაიდგა რაღაც მიმართულებით, შემდეგი ნაბიჯებიც იყოს ლოგიკური და კარგად გააზრებული. პარლამენტში, აქვე მინდა გითხრათ, არ არის ამ წუთის მდგომარეობისთვის ისეთი ვითარება, ცალსახა. საჭიროა მეტი მუშაობა, ახსნა-განმარტება. აქ უცხოეთის მაგალითები ძალიან მნიშვნელოვანია და კარგია, რომ წარმოდგენილია ხოლმე, მაგრამ ჩვენი მაგალითებიც არ იქნებოდა ცუდი. მაგალითად ისტორიკოსებმა იქნებ ამოსწიონ გარკვეული ისტორიული წყაროებიდან, საკითხი იმის შესახებ ყველა ბედნიერი იყო თუ

არა, როდესაც მეფე თამარი ტახტზე ავიდა. არც მაშინ იყო ყველა თანახმა, და აღმოჩნდა, რომ ეს იყო შესაძლოა ერთ-ერთი ყველაზე სწორი გადაწყვეტილება ისტორიულად ქართული სახელმწიფოს მეთაურებს თუ მიუღიათ. ასე რომ თუ რაღაცეები, ვთქვათ მთლად ბოლომდე დარწმუნებული არ ვართ ვინმე, მოვუწოდებ ყველას, ვიყოთ უფრო თამამები, გადავდგათ ნაბიჯები წინ, ვიაროთ წინ.

და ერთი თემა და ამით მე დავასრულებ. ისმის ხოლმე არგუმენტები, რომ აი, თუ გარკვეული საკანონმდებლო პრივილეგიები თუ კვოტები იქნება ქალებისთვის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის გასაზრდელად, მაშინ რატომ არ უნდა იყოს ეს სხვა ჯგუფებისათვის, სოციალური ჯგუფებისათვის თუ ინტერესჯგუფებისათვის. ეს შეიძლება იყოს უმცირესობები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ან ასაკობრივი ჯგუფები, პენსიონერები და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. მე მგონი ამ საკითხში საჭიროა ისევ და ისევ კვალიფიციური საგანმანასთლებლო განმარტებითი სამუშაო, რომ აქ სრულიად სხვადასხვა თემასთან გვაქვს საქმე და ჩვენ ამ შემთხვევაში ქალებს არ განვიხილავთ როგორც უმცირესობას. ჯერ ერთი იმიტომ, რომ უმრავლესობა ბრძანდებით, ამიტომ ვერ განგიხილავთ უმცირესობად და კიდევ სხვა ფაქტორები, აქ არის საუბარი ინტერესთა ჯგუფზე, არ არის საუბარი რაღაცა გამოკვეთილ კატეგორიაზე, როგორც ეს უმცირესობის შემთხვევაშია, რომ ეს არის ერთი ინტერესის გამომხატველი და ამიტომ უნდათ. ეს არის, ჩვენ, ჩვენ საზოგადოება ვართ ასეთი და ჩვენ ვცდილობთ გამოვასწოროთ ის, რაც ჯერ კიდევ გამოსასწორებელია, და ამ თემას აქვს თავისი წინაისტორია, რომელიც ყველამ უნდა გავითავისოთ. ასი წლის წინ საერთოდ საუბარი არ იყო ამ თემაზე, უფლება არ ჰქონდა ქალს და ამ პროცესს ჰქონდა თავისი, ასე ვთქვათ განვითარების ისტორია რომელიც მოვიდა დღემდე. არ არის, ელემენტარულ რაღაცაზეა საუბარი. თუ ჩვენ გვაქვს იერარქიული საზოგადოება, რომელიც ფორმალურია თუ არაფორმალური, რა მნიშვნელობა აქვს? თუ ეს არის იერარქიული საზოგადოება, თუ ვიღაცა დაბადებიდან უკვე არის, ვიღაცა უფრო მაღალი და მაგარი, გვარიშვილობის გამო თუ არ ვიცი თმის ფერის გამო თუ სქესის გამო, თუ მაშინ, მასინ გასაგებია საით მივდივართ. თუ გვინდა რომ ამას წერტილი დაეასვას და "თუ გვინდა რომ მართლა თავისუფლება დამკვიდრდეს და თუ გვინდა რომ ამ ქვეყანაში ადამიანებს გაუჩნდეთ უმთავრესი განცდა, რომ ვართ თანასწორი, რომ ვართ თანაბარი უფლებების მატარებელი, ეს ნაბიჯები გადასადგელია და კიდევ ვიმეორებ, ეს ნაბიჯი არა მხოლოდ და არა იმდენად ქალთა გათავისუფლებისაკენ არის მიმართული, ეს არის მიმართული მაგალითად საზოგადოების და კაცების გათავისუფლებისკენაც გარკვეული სტერეოტიპებისაგან, რომელიც ჩვენი ბრალი არ არის,

რომელიც მოგვიწევს ჩვენ. ამ ქვეყნის შვილები ვართ, ამ საზოგადოების შვილები ვართ და ეს არც ქართული მოვლენაა, ეს ზოგადად მსოფლიო პროცესია, ზოგადსაკაცობრიო თემებზე ვსაუბრობთ ჩვენ, და ქართველები სხვათა შორის არ ვართ ყველაზე უკან ამ ტიპის საკითხებში.”

კითხვები გამეორებისთვის

1. დაახასიათეთ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მიზეზები.
2. როგორ ერევა სახელმწიფო ეკონომიკაში ბიუჯეტის მეშვეობით.
3. საგადასახადო სისტემის აგების პრინციპები.
4. დაბეგვრაში სამართლიანობისადმი სხვადასხვა მიდგომები.

მეთერთმეტე თავი
ფული და საფინანსო ინსტიტუტები

განსახილველი საკითხები:

- **ფულის წარმოშობა. ფულის ფუნქციები**
- **ინფლაციის ცნება.**
- **საფინანსო ინსტიტუტების ზოგადი გაცნობა.**
- **ეკონომიკური აზრის ისტორიიდან: ფულის რაოდენობრივი თეორია.**

ფული და საფინანსო ინსტიტუტები

წინა თავში შევეხეთ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის საკითხს და საუბარი გვქონდა (ამ ჩარევის) რამდენიმე ფორმაზე. საგადასახადო რეგულირება და სახელმწიფოს მიერ საწარმოსაგან საქონლის (მომსახურების) შეძენა, ჩვეულებრივ, რეგულირების პირდაპირ ფორმას წარმოადგენს და სახელმწიფოს ფისკალურ პოლიტიკას შეადგენს. ამ თავში ჩვენ სხვა, ე.წ. ირიბ (არაპირდაპირ) ღონისძიებებზე შევჩერდებით. ეს უკვე სახელმწიფოს არა ბრძანებები და შეკვეთებია მეწარმეებისადმი, არამედ გარკვეული ფინანსური პირობების ცვლილება, რომლეზეც მეწარმეები, მართალია, რეაგირებენ "საკუთარი შეხედულებისამებრ", მაგრამ მოქმედებენ ისე, როგორც მთავრობას მიაჩნია მიზანშეწონილად. თუ ეკონომიკის მართვის ცენტრალიზებული სისტემის დროს ცენტრიდან პირდაპირი ჩარევა იყო დაშვებული, საბაზრო ეკონომიკის პირობებში უფრო ეფექტური ჩანს არაპირდაპირი ზემოქმედება. იგი გადის ფულად-საკრედიტო სფეროზე და მის მახასიათებლებზე (მდგენელებზე) – ფულსა და კრედიტებზე, რასაც ჩვენ ქვემოთ შევეხებით.

ფ უ ლ ი

ფული – ეს არაა უბრალოდ ლარები, დოლარები, ფრანკები, თუ მარკები. ბალზაკი, მაგალითად, ამტკიცებდა, რომ "ფული – ეს მეექვსე გრძნობაა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვისიამოვნოთ დანარჩენი ხუთით". არ დავაყენებთ ეჭვის ქვეშ დიდი მწერლის ამ მოსაზრებას და აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ეკონომისტები უფრო მშრალ და მკაცრ განმარტებას იძლევიან. მაგ., ა. სმითი ფულს უწოდებდა "მიმოქცევის ბორბალს", კ. მარქსი – "საყოველთაო ექვივალენტს". იმისათვის რათა ჩავწვდეთ ამ გამონათქვამების აზრს, ჯერ მოკლედ შევეხოთ ფულის აღმოცენების ისტორიას, შემდეგ განვიხილოთ მისი ფუნქციები და დღეს არსებული სახეები. დავახასიათოთ, აგრეთვე, დღევანდელი ფულის მიმოქცევის ძირითადი პრობლემები.

როგორ გაჩნდა ფული

მართალია, ფული ძალზე დიდი ხანია რაც გაჩნდა, მაგრამ იგი ყოველთვის არ არსებობდა. ნატურალური მეურნეობის დროს, როცა ყოველი ოჯახი თვითუზრუნველყოფილი იყო აუცილებელი მოხმარების საგნებით, ფულის საჭიროება, უბრალოდ, არ არსებობდა. როდესაც რობინზონ კრუზომ დაუსახლებელ კუნძულზე განძი და ფულები იპოვა მან "უვარგისი ნაგავი" უწოდა მათ, რადგან ნატურალურ მეურნეობაში მისი გამოყენება შეუძლებელი იყო, და ამდენად, ვერც მარტოხელა "მილიონერის" მდგომარეობას შეცვლიდა იგი.

ფული არც მაშინაა საჭირო, როცა მარტივი, ნატურალური ფორმით ერთი საქონლის გაცვლას ვაწარმოებთ მეორეზე. ასეთი გარიგებები დღესდღეობითაც ხდება და მას **ბარტერული** გაცვლა ეწოდება. ახალ სამყაროში პირველი კოლონისტები, წააწყდნენ ისეთ

შემთხვევას, როცა ინდილიებს არ სურდათ ბეწვეულის და თევზის სანაცვლოდ მეტალის მონეტების მიღება და ამჯობინებდნენ სამკაულებს ან "ცეცხლოვან წყალს".

ფულზე მოთხოვნილება გაჩნდა მხოლოდ გაცვლის გართულებასთან დაკავშირებით. როგორ მოვიქცეთ, მაგალითად, მაშინ, როცა თევზის სანაცვლოდ მისი შეძენის მსურველს ჩექმის მიცემა შეუძლია, მაგრამ მეთევზეს იგი არ სჭირდება? მებადურს ხორცი უნდა, მაგრამ ხორცის გამყიდველს ერბოკვერცხზე მისდის სული. რა ხერხით გავცვალოთ ძროხა ერთ დუქინ კვერცხზე და რა ფორმით მივიღოთ ხურდა? ყველა ასეთი საკითხების გადაჭრა შეუძლებელი იყო უბრალო ბარტერული გაცვლით; ამიტომაც გამოიგონეს ფული.

თავდაპირველი ფული ძალზე განსხვავდებოდა დღევანდელი ფულის ნიშნებისაგან. მაშინ ფულის სახით შეიძლებოდა სრულიად სხადასხვა საგნების გამოყენება. ასე, მაგ., ძველი რომაელები იყენებდნენ მარილს, აცტეკები (მექსიკელი ინდიელები) – კაკაოს მარცვლებს, სხვა ხალხები – ისრის წვეტს, თევზსაჭერ კაუჭს (ანკესს), ნიჟარებს, ბეწვეულს და სხვა. ძალზე გვიან გაჩნდა მეტალის ფული. იგი პირველად გამოიყენეს ძველმა ეგვიპტელებმა დაახლოებით 2500 წელს ჩვენს ერამდე, რომელიც დამზადებული იყო რგოლის ფორმის მცირე ზომის მეტალისაგან.

ოთხი საუკუნის შემდეგ ძველ ჩინეთში ბრუნვაში შევიდა ოქროს კუბიკი. საკუთრივ მონეტების ჭედვა დაიწყეს პირველად ლიდიაში (ახლანდელ თურქეთის ტერიტორიაზე) ჩვენ წელთაღრიცხვამდე მე-7 საუკენეში. ბოლოს მონეტები სრულყოფილ სახეზე დაიყვანეს ძველმა ბერძნებმა, დაიწყეს რა ამოტვიფრა მის ორთავე მხარეზე. ბოლო საუკუნემდე მონეტებს ჭედდნენ უპირატესად ძვირადღირებული მეტალების – ოქროსა და ვერცხლის შენადნობისაგან. ჯერ ერთი, მათ, როგორც უჟანგავს, შეეძლოთ ბრუნვაში დიდი ხნით არსებობა, ეკავათ მცირე ადგილი და შესაძლებელი იყო მათი დაყოფა – მცირე ზომის მონეტების გამოჭედვა, ან, უბრალოდ, როგორც ამას ადრე ხშირად აკეთებდნენ ხოლმე, ნაჭრებად დახერხვა. ამტკიცებენ, რომ სახელდობრ ასე დაიბადა რუსული მანეთი – როგორც ჩამონაჭერი («от-руб-ок»-руб., მანეთი) უფრო ძველი რუსული ფულის ერთეულის "გრივნი"-საგან (0,5 ფუნტის ვერცხლის ზოდი) ერთი ღირსების ყველა მონეტა იყო იდენტური, თუ, რა თქმა უნდა, მონეტების სახლი სპეციალურად არ შეეცდებოდა მის "გაფუჭებას".

ყველა ამ თვისების წყალობით ფული, როგორც ამას იმპერატორი ვესპასიანე იტყოდა ხოლმე, "სუნს არ აღენდა" და ამით იყო მოხერხებული. თუმცა იგი ძალზე იშვიათობას წარმოადგენდა. ფულის სესხად აღებისას (მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში) მევალეს იგი მინიმუმ 20%-იანი თავნით (ნამატით) უნდა დაებრუნებინა უკან. ცხადია, ასეთი სიხარბის გამო გამსესხებელი სძულდათ ჯერ კიდევ ბიბლიური დროიდან და ეძებდნენ საშუალებებს რათა შეეზღუდათ მისი ძალაუფლება, რომელიც, ცხადია, წინააღმდეგობას უწევდა გაცვლის განვითარებას. ამიტომ გამოიგონეს ქაღალდის, ანუ საკრედიტო ფული.

ქაღალდის ფულს დიდი ხნის ისტორია გააჩნია. ჯერ კიდევ მარკო პოლო აღასტურებდა მის გამოყენებას ჩინეთში მე-13 საუკუნეში. მაგრამ მისი აქტიური მოხმარება დაიწყეს ევროპაში მხოლოდ შუა საუკუნეებში. შორეული მოგზაურობისას ვაჭრები ერიდებოდნენ მცირე თუ დიდი გზების ყაჩაღებს და ცდილობდნენ თან არ წაეღოთ ოქროსა და ვერცხლის მონეტები. ისინი მონეტებს უტოვებდნენ (ანუ თანამედროვე ენით რომ ვთქვათ დეპოზიტზე აბარაბდნენ თავიანთ ფულს) ოქროს ნაკეთობათა ხელოსანს (იუველირ-ოსტატს – და სანაცვლოდ მისგან იღებდნენ ხელწერის (საბუთს), რომელიც მათ

უფლებას ანიჭებდა მიეღოთ თავიანთი ფული სხვა ქალაქში – ოსტატის კოლეგისაგან. თვით ყაჩაღებისათვის იუველირის სახელობითი ხელწერილი, რაიმე ფასეულობას არ წარმოადგენდა. ეს დოკუმენტი გახდა სწორედ, ქაღალდის ფულის პირველსახე. მათი გამოყენება დაიწყეს სხვა გარიგებათა გადასახდელადაც. თუმცა, ხელწერილის მიმღები, როგორც წესი, მოითხოვდა მსესხებლის გადახდისუნარიანობის დასტურს, რომელიმე ცნობილი ვაჭრის ან ბანკირისაგან. ეს უკანასკნელნი თავდაპირველად, უბრალოდ, თავიანთ ხელწერილს სვამდნენ სხვის საგადასახადო დოკუმენტზე, მაგრამ დროთა განმავლობაში თვით დაიწყეს ახალი, განსაზღვრული ნიმუშის საბუთის გაცემა, ცხადია იმ ვალდებულებით, რაც ითვალისწინებდა მოთხოვნისთანავე მონეტებზე მის გაცვლას. ასე შეიქმნა ბანკნოტები.

დროთა განმავლობაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა აღმოაჩინეს, რომ მათ შეუძლიათ სარგებელი ნახონ იმით, თუ ძვირადღირებული მონეტის მოჭრას ნაწილობრივ ქაღალდის ფულის გამოშვებით შეცვლიან. შემჩნეული იყო, რომ ბრუნვაში დიდხანს ნამყოფი ფული ცვდებოდა და მასში ძვირფასი მეტალის შემცველობაც იკლებდა. მიუხედავად ამისა, იგი ისევე მონაწილეობდა ყიდვა-გაყივაში, როგორც სრულფასოვანი (ახალი) მონეტები. ამიტომ მონეტის სახლმა (საწარმომ) ეკონომიის მიზნით დაიწო მონეტაში შემავალი ძვირფასი მეტალის შემცირება და, ამდენად, მისი შეგნებული "გაფუჭება". ეკონომიის შემდგომი ლოგიკური გაგრძელება იყო ამ "გაფუჭებული" მონეტების ნაცვლად ქაღალდის ფულის გამოშვება. ეს, ე.წ. სახაზინო ვექსელი ანუ სახაზინო ბილეთები სახელმწიფო ხელისუფლების ვალდებულებას წარმოადგენდა და ითვალისწინებდა მისი მფლობელის (წარმდგენის) მოთხოვნისთანავე ვალის ოქროთი დაფარვას. რუსეთში მას ასიგნაციებს უწოდებდნენ და უშვებდნენ 1796 წლიდან.

ქაღალდის ფულის დაყოფა ბანკნოტებად და სახაზინო ვექსილებად დღესაც შენარჩუნებულია მრავალ ქვეყანაში, მაგრამ ძირითადად, როგორც ტრადიციისადმი პატივისცემა. რუსეთში, მაგ., უშვებდნენ 1,3 და 5 მანეთის ღირსების სახაზინო ბილეთებს, რომლებიც უზრუნველყოფილი იყო სახელმწიფოს მთელი ქონებით. 10 მანეთისა და მეტი ღირებულების ბანკნოტების უზრუნველყოფა ხდებოდა ოქროთი, ძვირფასი მეტალებით და სახელმწიფო ბანკის აქტივებით. დღეს უკვე მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ოქროზე არ გადაიცვლება (გადახურდავდება) არც ბანკნოტები და არც სახაზინო ბილეთები. მათ შორის ის განსხვავებაა შენარჩუნებული, რომ ბანკნოტების გამოშვება ხდება მეტი ღირსებით (ღირებულებით).

ფულის ევოლუციის პროცესი არ დამთავრებულა ქაღალდის ფულის გამოგონებით. არსებობს დღეისათვის მისი მრავალი სახე, რომელიც თითქმის შეუმჩნეველია (არახელშესახებია) და უბრალოდ საბანკო ანგარიშს შეადგენს. მაგრამ სანამ ფულის მიმოქცევის თანამედროვე სტრუქტურას განვიხილავდეთ, შევეცადოთ განმარტება მივცეთ ფულს და გამოვყოთ ის ფუნქციები, რომელსაც იგი ეკონომიკაში ასრულებს.

ფულის ფუნქციები

როგორც უკვე ვნახეთ, ფულის სახით შეიძლება გამოვიყენოთ, ანუ **ფული არის, ნებისმიერი საქონელი, რომელიც მიღებულია ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე საქონლისა და მომსახურების ღირებულების გადასახდელად.** სწორედ აქედან გამომდინარეობს ფულის, როგორც კანონიერი გადახდისუნარიანი საშუალების ყველაზე მეტად გავრცელებული განმარტება.

საგადასახადო თვისებების შესაძენად ფულმა უნდა შეასრულოს მთელი რიგი მნიშვნელოვანი ეკონომიკური **ფუნქციები**. უპირველეს ყოვლისა, ფული წარმოადგენს ***ღირებულების*** საზომს, ანუ იმ სტანდარტს, რომლის საშუალებითაც გამოისახება ყველა სხვა საქონლისა და მომსახურების ღირებულება. მაგალითად, შეიძლება შენობის სიგრძე მისი სიგანით ან სიმაღლით გავზომოთ და ვთქვათ, რომ სიგრძე ტოლია ორი "სიგანის" ან ოთხი 'სიმაღლისა". მაგრამ უმჯობესია ეს თანაფარდობა რიცხვებით გამოვსახოთ: სიგრძე 12 სმ, სიგანე 6 სმ, ხოლო სიმაღლე 3 მ. სწორედ ასეთ სტანდარტულ საზომს – "მეტრიანს" ეკონომიკაში ფული წარმოადგენს. ადამიანები გრძელი ჯაჭვის აგებას კი არ მიმართავენ საქონლის ღირებულების დასადგენად (1 კგ ხორცის ფასი ეტოლება 2 კგ თევზის ფასს, 4 კგ ზეთის ღირებულებას და ა.შ.), არამედ უბრალოდ გამოსახავენ მათ ფასს ფულადი თანხით: 1 კგ ხორცი ღირს 12 ლარი., 1 კგ თევზი 4 ლარი., 1 კგ კარაქი – 11 ლარი და ა.შ.

ფულის მეორე ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ იგი ***მიმოქცევის*** საშუალება ანუ როგორც ამას ა. სმიტი ხატოვნად გამოსახავდა – "მიმოქცევის ბორბალია". ნატურალური ანუ მატერიალური გაცვლისას გარიგების მსურველმა ის კაცი უნდა მოძებნოს, რომელსაც უნდა არა უბრალო საქონლის აღება, არამედ მის სანაცვლოდ შეუძლია საჭირო საქონლის შემოთავაზება. ფულადი მიმოქცევის პირობებში კი საქონელი შეიძლება მივყიდოთ ნებისმიერ მსურველს, შემდეგ კი ვიყიდოთ ჩვენთვის აუცილებელი საქონელი ნებისმიერი მყიდველისაგან. ეს შესაძლებელი ხდება მხოლოდ ფულის საშუალებით.

და ბოლოს, ფული უნდა წარმოადგენდეს ***დაგროვების*** საშუალებას. მიიღებთ რა დღევანდელი საქონლის სანაცვლოდ ფულად თანხას, თქვენ იგი შეგიძლიათ გადადოთ საყიდლებისათვის მომავალში. მაგ., გლეხი, რომელიც რძეს ყიდის, ყოვლდღიურად მცირე თანხას ინახავს რათა დააგროვოს ფული მომავალი წლისათვის მისთვის საჭირო აუცილებელი მოწყობილობის შესაძენად. ასეთი დაგროვება კი შესაძლებელია მხოლოდ ფულად ფორმაში, რადგა რძის შენახვას მომავალ წლამდე ცხადია იგი ვერ შეძლებს. ფულის ეს ფუნქციები მჭიდრო ურთიერთკავშირშია. ამდენად, მხოლოდ ის საქონელი შეიძლება ჩავთვალოთ ფულად, ანუ გადახდის უნივერსალურ საშუალებად, რომელსაც ამ სამივე ფუნქციის შესრულება შეუძლია.

ფულის თანამედროვე სახეები

სამამულო საფინანსო სტატისტიკა ტრადიციულად გამოყოფს ფულის მიმოქცევის ორ სახეს – ნაღდსა და უნაღდოს. ნაღდი ფული – ეს მონეტები და ქაღალდის კუპიურებია. ძირითადად მათი საშუალებით ანხორციელებს მოსახლეობა გადახდას. რუსეთის ცენტრალური ბანკის მონაცემებით 1994 წლის 1 იანვრისათვის ქვეყნის ტერიტორიაზე მიმოქცევაში იყო 13,3 ტრილიონი მანეთის ნაღდი ფული.

უნაღდო მიმოქცევა, როგორც თვით სახელწოდება მიანიშნებს, არის ანგარიშსწორება ნაღდი ფულის მონაწილეობის გარეშე, ანუ უბრალოდ ფულადი თანხის გადაგზავნა ერთი პირის ან საწარმოს ანგარიშიდან მეორე პირის (საწარმოს) ანგარიშზე.

უპირატესად, ამგვარად წარმოებს ანგარიშსწორება საწარმოებს შორის. მთლიანად, უნაღდო ანგარიშსწორებაზე მოდის საგადასახადო ოპერაციების ძირითადი მასა. 1990-იანი

წლების დასაწყისში დსთ-ს ქვეყნებში და რუსეთში უნაღდო ბრუნვა შეადგენდა ფულის მასის ექვს ათეულ პროცენტზე მეტს.

უმრავლეს ქვეყნებში მიღებულია რამდენიმე განსხვავებული უფრო დეტალური კლასიფიკაცია და თვით ფულის გაგებასაც უფრო ფართო ხასიათი გააჩნია. ანალოგიური მიდგომა გამოიყენება დღეს ჩვენს საფინანსო სტატისტიკაშიც.

ნაღდ ფულთან ერთად, რომელსაც Mo-ით აღნიშნავენ (სადაც ინგლისური სიტყვის money-ს აბრევიატურაა), გამოყოფენ ფულს გარიგებისათვის (M_1). მასში ნაღდი ფულის გარდა შედის აგრეთვე სახსრები ბანკის ანგარიშებზე. ასეთი ანგარიშები, როგორც წესი, უპროცენტოა იქედან ნებისმიერ დროს შეიძლება ავიღოთ ნაღდი ფული ან ჩეკი გამოვწეროთ და გადავიტანოთ სხვა პირის (ორგანიზაციის) ანგარიშზე. მიმოქცევის ასეთი მოხერხებულობა, ნაღდ ფულად გადაქცევა და გახარჯვის შესაძლებლობა ხასიათდება ე.წ. ლიკვიდურობით, რაც უფლებას გვაძლევს ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე არსებული სახსრები ფულს გავუტოლოთ. თუმცა არსებობს სხვა უფრო ფართო განმარტება "თითქმის ფულისა". ასე, მაგ., "ფული ფართო გაგებით" (M_2), გარდა ნაღდი ფულისა და მიმდინარე ანგარიშებზე სახსრებისა, მოიცავს, აგრეთვე, მცირევადიან ანაბრებს. ვადიანი ანაბრები ინახება შემნახველ ანგარიშებზე.

მათ მოაქვთ მეანაბრისათვის პროცენტები, მაგრამ მათი მოხსნა ანგარიშიდან შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ – რამდენიმე თვიდან რამდენიმე წლამდე. რამდენადაც ასეთი ანგარიშიდან სახსრების მოხსნაზე ან გადაგზავნაზე არსებობს შეზღუდვები, ვადიანი ანაბრები ნაკლები ლიკვიდურობით ხასიათდებიან, ვიდრე სახსრები მიმდინარე ანგარიშებზე. კიდევ უფრო ძნელია დიდ სახსრებზე ვადიანი ანაბრების ნაღდ ფულად გადაქცევა. M_2-ის ჯამთან ერთად ისინი შეადგენენ ფულს, რომელსაც M_3-ით აღნიშ-ნავენ.

დაბოლოს ფული, მეტად ფართო გაგებით, გარდა ნაღდი ფულისა და სახსრებისა მიმდინარე და შემნახველ საბანკო ანგარიშებზე, მოიცავს, აგრეთვე, სახელმწიფო ფასიან ქაღალდებსაც. აშშ-ში ასეთი "თითქმის ფულის" აღსანიშნავად მიღებულია სიმბოლო "L" (ინგლისური სიტყვიდან Liquidity - ლიკვიდურობა), ხოლო დიდ ბრიტანეთში – M_5.

საკითხი იმის შესახებ, თუ რა მივაკუთვნოთ ფულს, სრულებით არ რაის თეორიული ხასიათის, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. მასზე პასუხის გაცემა დამოკიდებულია სახელმწიფოს პრაქტიკულ მოქმედებაზე – ბრუნვაში არსებული ფულის რაოდენობისა და მისი მსყიდველობითი უნარიანობის რეგულირებაზე. ამ სფეროში მცირეოდენი ცვლილებები პრაქტიკულად თითოეულ ჩვენთაგანს ეხება.

ფულის მსყიდველობითი უნარი

ისე, როგორც ყველა საქონლის ღირებულება ფულით იზომება, ასევე იზომება ფულის ღირებულებაც სხვა საქონლის საშუალებით. საქონლისა და მომსახურების ის რაოდენობა, რომელიც შეიძლება ვიყიდოთ ფულის განსაზღვრული რაოდენობით, არის მისი (ფულის) ღირებულება ანუ მსყიდველობითი უნარი.

ფულისა და საქონლის ღირებულებას შორის არსებობს შებრუნებული დამოკიდებულება, რომლის საერთო წესი შემდეგში მდგომარეობს: როცა ფასები

მატულობს, ფულის მსყიდველობითი უნარიანობა მცირდება და, პირიქით, თუ ფასები ეცემა, მაშინ ფულის მსყიდველობითი უნარიანობა იმატებს.

ფულის მსყიდველობითი უნარიანობის გასაზომად გამოიყენება **სამომხმარებლო ფასების ინდექსი** და **საწარმოო ფასების ინდექსი**.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი ტიპიური მომხმარებლის მიერ შეძენილი საქონლისა და მომსახურების საერთო ღირებულების მაჩვენებელია. ამ მაჩვენებელს აშშ-ში ითვლის შრომის სტატისტიკის ბიურო, რომელიც შრომის დეპარტამენტის ნაწილია.

როდესაც შრომის სტატისტიკის ბიურო სამომხმარებლო ფასების ინდექსს და ინფლაციის დონეს განსაზღვრავს, იყენებს მონაცემებს ათასობით სახეობის საქონლისა და მომსახურების ფასების შესახებ. ეკონომისტები ტერმინ "ინფლაციას" იყენებენ იმ სიტუაციის აღსაწერად, როდესაც ეკონომიკაში ფასების საერთო დონე იზრდება. ინფლაციის დონე ფასების ინდექსის პროცენტული ცვლილებაა წინა წელთან შედარებით. დაუბრუნდეთ ისევ ფასების ინდექსის გამოთვლას. მისათვის ავიღოთ მარტივი შემთხვევა, როდესაც მომხმარებელი მაგალითად მხოლოდ, , ორ საქონელს ყიდულობს. აშშ შრომის სტატისტიკის ბიურო ფასების ინდექსის გამოთვლას ხუთ საფეხურად აყალიბებს. ეს საფეხურები არის შემდეგი:

I. სამომხმარებლო კალათის დაფიქსირება: პირველ საფეხურზე ბიურო მომხმარებელთა გამოკითხვით ადგენს საქონლისა და მომსახურების იმ კალათას, რომელსაც ტიპიური მომხმარებელი ყიდულობს. II. ფასების დადგენა; მე-2 საფეხურზე დგინდება სამომხმარებლო კალათის შემადგენელი თითოეული საქონლისა და მომსახურების ფასები, დროის თითოეული პერიოდისთვის. III. კალათის ღირებულების გამოთვლა; აღსანიშნავია, რომ ამ გამოთვლებში მხოლოდ ფასები იცვლება, კალათის შემადგენლობა კი უცვლელი რჩება. IV. საბაზო წლის არჩევა და ინდექსის გამოთვლა; ამ საფეხურზე ხდება რომელიმე წლის საბაზო წლად არჩევა. ინდექსის გამოსათვლელად საქონლისა და მომსახურების კალათის ფასი თითოეულ წელს, იყოფა კალათის ფასზე საბაზო წელს და შემდეგ ეს შეფარდება 100-ზე მრავლდება. მიღებული რიცხვი სამომხმარებლო ფასების ინდექსია. ეს ინდექსი საბაზო წელს ყოველთვის 100-ის ტოლია. V. ინფლაციის დონის გამოთვლა; მე-5 და უკანასკნელი საფეხურია სამომხმარებლო ფასების ინდექსის გამოყენება, ინფლაციის დონის გამოთვლისთვის, რომელიც ფასების ინდექსის პროცენტულ ცვლილებას წარმოადგენს, წინა პერიოდთან შედარებით. შრომის სტატისტიკის ბიურო აშშ-ში ყოველთვიურად აგროვებს და ამუშავებს მონაცემებს ათასობით სახის საქონლისა და მომსახურების ფასების შესახებ და ამ ხუთი საფეხურის გავლით, განსაზღვრავს რა სიჩქარით იცვლება ტიპიური მომხმარებლის ცხოვრების ღირებულება.

შრომის სტატისტიკის ბიურო გამოითვლის საწარმოო ფასების ინდექსსაც, რომელიც მომხმარებლის მიერ შეძენილი საქონლისა და მომსახურების კალათის ღირებულებას კი არ ასახავს, არამედ ფირმებისას. ვინაიდან ფირმები საბოლოოდ თავიანთ დანახარჯებს მომხმარებლებს გადააბარებენ გაზრდილი სამომხმარებლო ფასების სახით. საწარმოო ფასების ინდექსში, ხშირად ძალიან სასარგებლოა, სამომხმარებლო ფასების ინდექსის ცვლილებათა პროგნოზირებ.

სამომხმარებლო ფასების ინდექსს მრავალი სამთავრობო პროგრამა იყენებს ფასების საერთო დონის ცვლილებაზე სათანადო რეაგირებისათვის. მაგ., ისინი ვინც სოცუზრუნველყოფის პროგრამით სარგებლობენ, ყოველწლიურად დამატებით თანხას იღებენ, რაც სამომხმარებლო ფასების ინდექსიდან გამომდინარეობს. ზოგიერთი ეკონომისტი ამ პროგრამების მოდიფიცირებას გვთავაზობს, ფასების ინდექსის გამოთვლასთან დაკავშირებული პრობლემების შესაბამისი შესწორების გზით. მაგ. ავტომატურად მზარდი თანხების სიდიდის შემცირებას.

ფასების ზრდის ტემპის შესაფასებლად ეკონომისტები და პოლიტიკოსები აკვირდებიან როგორც სამომხმარებლო ფასების ინდექსს ისე მეპ-ს დეფლატორს.

$$\text{მშპ დეფლატორი} = \frac{\text{ნომინალური მშპ}}{\text{რეალური მშპ}}$$

ვინაიდან ნომინალური მეპ მიმდინარე ფასებად შეფასებული პროდუქციის მიმდინარე რაოდენობაა, ხოლო რეალური მეპ საბაზო წლის ფასებში შეფასებული პროდუქციის მიმდინარე რაოდენობაა, მეპ-ის დეფლატორი ფასების მიმდინარე დონეს ასახავს საბაზო წლის ფასების დონესთან შეფარდებით.

მეპ-ის დეფლატორსა და სამომხმარებლო ფასების ინდექსს შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მეპ-ის დეფლატორში მიმდინარე პერიოდში წარმოებული საქონლისა და მომსახურების ფასია შედარებული საბაზო წელს, ამავე საქონლისა და მომსახურების ფასთან. სამომხმარებლო ფასების ინდექსში კი, საქონლისა და მომსახურების უცვლელი კალათის ფასი შედარებულია საბაზო წელს ამავე კალათის ფასთან. იმისათვის, რომ დოლარების ადრინდელი რაოდენობა შევადაროთ დოლარების დღევანდელ რაოდენობას, გამოიყენება შემდეგი ფორმულა: დღევანდელი თანხის რაოდენობა დოლარებში = თანხის რაოდენობა T წლის დოლარებში × $\frac{\text{ფასების დღევანდელი დონე}}{\text{ფას.დონე T წელს}}$.

როდესაც რაიმე თანხა კანონის ან კონტრაქტის საფუძველზე კორექციას ექვემდებარება, ამ თანხას, ინფლაციის მიხედვით ინდექსირებულს უწოდებენ. მაგალითად, მრავალი გრძელვადიანი კონტრაქტი ფირმებსა და პროფკავშირებს შორის ითვალისწინებს ხელფასის ნაწილობრივ ან სრულ ინდექსაციას სამომხმარებლო ფასების ინდექსის მიხედვით. ასეთ ხელშეკრულებას ცხოვრების ღირებულების კორექცია ეწოდება. ამ ხელშეკრულების მიხედვით ხელფასი იზრდება სამომხმარებლო ინდექსის ზრდასთან ერთად. ამას გარდა ინდექსაცია მრავალი კანონის შემადგენელი ნაწილია.

ინდექსაცია - არის ინფლაციის ტემპის მიხედვით თანხების ავტომატური კორექტირება მთავრობის შესაბამისი კანონის საფუძველზე.

ინფლაცია

ცალკეულ საქონელზე ფასების მერყეობა მოთხოვნა-მიწოდების ცვლილების შესაბამისად, ეკონომიკის ძირითადი კანონიდან გამომდინარეობს. როგორც ქვემოთ დავინახავთ ფასების საერთო დონის ცვლილებაც არ ეწინააღმდეგება საბაზრო კანონებს. მაგრამ როგორ აეხსნათ ფასების ცვლილების გაგრძელება მრავალი წლის განმავლობაში.? ანდა, როგორც ეს გაცილებით იშვიათად ხდება, მათი მდგრადი შემცირება? სწორედ ამგვარი ძნელად ასახსნელი მოვლენები გამოვიდნენ იშვიათობის სფეროდან და წესად დამკვიდრდნენ თანამედროვე ეკონომიკაში. მათ აღსანიშნავად ეკონომისტებმა შემოიღეს სპეციალური ტერმინები.

ფასების საერთო დონის მდგრად ხანგრძლივ ზრდას უწოდებენ ინფლაციას, მის მდგრად ხანგრძლივ შემცირებას – დეფლაციას.

ამ საუკუნის განმავლობაში დეფლაციური პერიოდები იშვიათობას წარმოადგენდა, ინფლაციური კი წესად დამკვიდრდა.

ინფლაცია

ინფლაცია, საბაზო მსყიდველობითუნარიანობის დონესთან შედარებით, ფასთა საერთო დონის ზრდას ნიშნავს. ჩვენ მას ვაფასებთ პროდუქტების ორი წყების შედარებით დროის ორ მონაკვეთში და მის ზრდას ვანგარიშობთ ხარჯებში, რომელებიც არაა განპირობებული ხარისხის გაუმჯობესებით. ეკონომიკის ძირითადი მიმართულება გულისხმობს, რომ ინფლაცია წარმოიქმნება მაშინ, როცა ერთობლივი მოთხოვნა, მიწოდებასთან შედარებით, სწრაფად იზრდება - ძირითადად, მეტისმეტად ბევრი ადამიანი ცდილობს, იყიდოს საგრძნობლად ცოტა საქონელი და, ამგვარად, იზრდება მოთხოვნა, რომელიც აჭარბებს მიწოდებას, რაც, შემოსავლებთან შედარებით, უფრო სწრაფად ზრდის ფასებს. ეკონომიკის ავსტრიული სკოლა ამტკიცებს, რომ ინფლაცია წარმოიშობა ცენტრალური ბანკების მიერ ფულის მზარდი მიწოდების შედეგად.72 როგორიც არ უნდა იყოს ინფლაციის განმარტება, მენეჯერები უყურებენ, როგორ ახდენს ის ზეგავლენას საპროცენტო განაკვეთებზე, ცხოვრების ხარჯებზე, მომხმარებელთა ნდობასა და პოლიტიკურ სტაბილურობაზე. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, 1989 წელს მზარდი ფასებით უკმაყოფილებამ საპროტესტო გამოსვლები გამოიწვია ჩინეთის ტიანანმენის მოედანზე.

ინფლაცია და ცხოვრების ხარჯები. განვიხილოთ ინფლაციის ზეგავლენა ცხოვრების ხარჯზე. თუ შემოსავლები არ გაიზრდება იმავე ტემპით ან უფრო სწრაფად, მომხმარებლები შეეცდებიან, შეიძინონ სხვადასხვა სასურსათო საქონელი, ზოგჯერ უბრალოდ სხვა რამის ყიდვა პრაქტიკულად შეუძლებელია. მაგალითად, 1990-იან წლებში ბრაზილიაში, იუგოსლავიასა და თურქმენეთში სწრაფი ინფლაციის თუ „ჰიპერინფლაციის“ პერიოდების განმავლობაში, მომხმარებლები, ფულს, გაუფასურების შიშით, ხარჯავდნენ სწრაფად. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ზიმბაბვეში ყოველ დღე ფასები 95 %-ით მატულობდა; 2009 წლისთვის ინფლაციის წლიურმა მაჩვენებელმა განსაცვიფრებელ 79,600,000,000 %-ს მიაღწია და ფასები ორმაგდებოდა ყოველ 25 საათში. ზიმბაბვეს ერთ-ერთი მკვიდრი აღნიშნავდა: „აქ სურეალიზმია, რისი ახსნაც ხალხისთვის რთულია. თუ გჭირდება რაიმე და გაქვს ნაღდი ფული, ყიდულობ. თუ გაქვს ნაღდი ფული, უნდა დახარჯო დღეს, რადგან ხვალ ამ ფულით 5 %-ით ნაკლებს იყიდი. აქ არ არსებობს ნორმალური ჰორიზონტები“. ნორმალურ პირობებშიც კი ინფლაცია გადამწყვეტი ეკონომიკური პირობაა. ავიღოთ ინფლაცია აშშ-ში - უმეტესი დასავლური ბაზრის მსგავსად, აქ ინფლაცია

მნიშვნელოვნად ცვლის პროდუქტების ღირებულებას. მაგალითად, 1913, 1960 ან 2000 წელს $10.00 აშშ დოლარის ღირებულების ნივთის შეძენას 2011 წლისათვის მოახერხებდით, შესაბამისად, $227.18, $57.97 ან $13.06 აშშ დოლარად.

ისტორია გვიჩვენებს, რომ ქრონიკული ინფლაცია (ანუ მაღალი ინფლაცია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში) ქვეყნის ვალუტას ნდობას უკარგავს და იწვევს ხალხის მიერ ცხოვრების დონის შენარჩუნების სხვა გზების ძიებას. ქრონიკულ ინფლაციას არასახარბიელო შედეგები მოაქვს კომპანიებისთვის. მათაც და მომხმარებლებსაც არ შეუძლიათ გრძელვადიაინი ინვესტიციების დაგეგმვა. არ არსებობს სტიმული და სპეკულაციური ხდება პოლისები და გრძელვადიანი ვალდებულებები. ინფლაცია ზეწოლას ახდენს მთავრობაზე მის გასაკონტროლებლად; ის აიძულებს, გაზარდოს საპროცენტო განაკვეთები, დაარეგულიროს ხელფასები და ფასები ან აწესებს პროტექციონიზმს. ეს საზომები ანელებს ეკონომიკურ ზრდას.

ინფლაციის გაზომვა. ინფლაციის გაზომვა ხასიათდება ზოგადი სირთულეებით, კერძოდ, გასათვალისწინებელია ის, თუ რას ზომავს ქვეყანა, როცა აფასებს ეკონომიკურ ცვლად სიდიდეს. ამ მიზნით ზოგ ქვეყანაში გამოიყენება ფასების ინდექსი. მაგალითად, აშშ იყენებს სამომხმარებლო ფასის ინდექსს (CPI). ევროკავშირში ის სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსია (HICP).

თუ ინფლაცია არა, მაშინ - დეფლაციაა. გლობალური ფინანსური კრიზისის ერთ-ერთი უარყოფითი შედეგი დეფლაციაა. არა მხოლოდ ინფლაცია, არამედ დეფლაციაც წარმოშობს საშიშ რისკს. ზეგეგმიური წარმოება, ბერკეტების სისტემატური კლება, კრედიტების, კორპორაციული ხარჯების შემცირება, უძრავი ქონების ღირებულებების კლება და მომხმარებელთა მოთხოვნის დაცემა აძლიერებს დეფლაციურ დინამიკას. დეფლაცია ინფლაციის საპირისპიროა - ფასები პროდუქტებზე ეცემა. ტექნიკურად, ის ხდება მაშინ, როცა ინფლაციის წლიური მაჩვენებელი ნულზე ნაკლებია.

დეფლაცია საკმაოდ ჩვეული გარემოებების შედეგია. ფულისა და კრედიტის მარაგის კლება ამცირებს პირად და საინვესტიციო ხარჯებს. შემცირებული მოთხოვნა და მზარდი მიწოდება იწვევს პროდუქციის მომატებულ რაოდენობას და ფასების კლებას. ეკონომიკები აღმოჩნდებიან დეფლაციურ ლაბირინთში, სადაც იბრძვიან პროდუქტების გაყიდვისთვის. ამის გასაკეთებლად და მომხმარებელთა მოსაზიდად ისინი მიმართავენ ფასდაკლებებს. თავის მხრივ, მომხმარებელი დღეს უარს იტყვის რაიმეს შესყიდვაზე, რათა ისარგებლოს ხვალინდელი ფასდაკლებით. იაპონელმა ანალიტიკოსმა ასეთი ჯაჭვი წარმოგვიდგინა: „მოგების დაცემის შემდეგ იკლებს ხელფასები, მომხმარებლები წყვეტენ საყიდლებზე

სიარულს. და რადგანაც ხალხი აღარ დადის საყიდლებზე, კომპანიები ამცირებენ ფასებს... რთულია თავის დაღწევა“.

დეფლაცია და უმუშევრობა ურთიერთკავშირშია. დაბალი მოთხოვნა ანელებს კომპანიის აქტივობას, რაც შემდგომ სამსახურიდან თანამშრომლების დათხოვნას იწვევს, შესაბამისად მცირდება მოთხოვნა და ა. შ. ამჟამად, ცენტრალური ბანკები და მთავრობები ეყრდნობიან რეფლაციას - ეკონომიკური აქტივობის დასაჩქარებელად ფულის მარაგის ზრდას და გადასახადების შემცირებას დეფლაციის დასამარცხებლად. მაგალითად, OEC -მა (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია) დაარწმუნა იაპონიის ბანკი, გაეგრძელებინა ფულის ჩადება ეკონომიკაში „სანამ ძირითადი ინფლაცია არ იქნებოდა გამყარებული“.82 ანალოგიურად, აშშ-ს ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ განახორციელა პროგრამები - ძირითადად, ფულის ბეჭდვა - რათა, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის მისაღწევად, სტიმული მიეცა მოთხოვნისთვის.

ინფლაციის ტიპები და მიზეზები

ჩვენი საუკუნის 50-60წწ. ფასების საერთო დონის ზრდის ტემპი უმრავლეს განვითარებულ ქვეყნებში შეადგენდა 3-5%-ს, წელიწადში. ამგვარ ინფლაციას დამცინავად “მცოცავი” უწოდეს.

70-იან წლებში, როცა ფასების ზრდის ტემპის გამოსახვისათვის უკვე ორნიშნა ციფრები შეიქმნა საწირო, ინფლაციას დაუწყეს უფრო პატივისცემით მოხსენიება და “მონავარდე” დაარქვეს.

80-იან წლებში ეკონომიკური ზრდა და მასტან ერთად ინფლაცია რამდენადმე შენელდა, თუმცა ზოგიერთ ქვეყნებში ინფლაციის ტემპებმა წელიწადში 100%-ს გადააჭარბა. მთავრობისაგან უკვე პრაქტიკულად უმარტავი ამ პროცესის დასახასიათებლად შემოიღეს ახალი ტერმინი “სუპერინფლაცია” (ჰიპერინფლაცია”).

სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე ფასების ზრდა სსრკ-ში 80-იან წლებში გამოიყურება მეტად ზომიერად თვით სავსებით ‘დალხინებულ” შვეიცარიასა და ავსტრიასთან შედარებითაც კი. თუმცა აქ არ შეიძლება მხედველობიდან გავუშვათ არც თუ უმნიშვნელო გარემოება.

ოფიციალური სტატისტიკით მოყვანილი მონაცემები მხედველობაში არ ღებულობს ე.წ ფარულ ინფლაციას.

ბევრი სამომხმარებლო საქონელი და მომსახურება დეფიციტური იყო და მოსახლეობას მისი შეძენა უხდებოდა არა დაბალი სახელმწიფო ფასებით, არამედ რამდენჯერმე მასზე მაღალი “შავ ბაზარზე” დაწესებული ფასებით. ამგვარი ფარული ინფლაციის გათვალისწინებით თვით 80-იან წლებში მდგომარეობა აღმოჩნდა ბევრად ნაკლებ “სახარბიელო”. 90-იან წლებში თავისუფალ ფასებზე გადასვლამ გამოიწვია ინფლაციის ფეთქებადმსგავსი ზრდა. დღეისათვის რუსეთი და დსთ-ს ქვეყნები, ამ მხრივ, უსწრებენ ისეთ აღიარებულ ‘ლიდერსაც” კი როგორიც ბრაზილიაა: 1992 წელს რუსეთში ფასების ინდექსი სამომხმარებლო საქონელზე შეფასდა 2000%-ით, ბრაზილიაში 1150%-ით. რუსეთში ფასების ასეთი ცვლილება ეფუძნება ფასწარმოქმნის ერთი საგეგმო სისტემიდან ახალ საბაზრო სისტემაზე გადასვლას და ტრადიციული სამეურნეო კავშირების მოშლას იმ რესპუბლიკებს შორის, რომლებიც ადრე სსრკ-ს შემადგენლობაში იმყოფებოდნენ. მაგრამ სხვა ქვეყნებიც,

რომლებსაც არ განუცდიათ ასეთი მძაფრი სოციალური კატაკლიზმები, უძლური აღმოჩნდ-ნენ ინფლაციის დამარცხებაში. რაში მდგომარეობს ამის მეტად ზოგადი მიზეზები?

ფულადი მიმოქცევის თეორიის დარგში ცნობილი ავტორიტეტი – ამერიკელი ეკონომისტი მ.ფრიდმანი, ინფლაციას განსაზღვრავს როგორც "ფულად ფენომენს, რომელიც გამოწვეულია ფულის სიჭარბით გამოშვებულ პროდუქციასთან მიმართებაში".

ცხრილი 11.1 ფასების ინდექსი სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე (1980 წ.-100%)

ქვეყანა	1981 წ.	1985 წ.	1989 წ.
ავსტრალია	110	194	203
ავსტრია	107	127	134
ბოლივია	12	163685	942990
გვიპტე	111	195	195
გერმანია	106	121	126
ჩინეთი	103	123	200
იტალია	118	190	235
აშშ	110	126	150
დიდი ბრიტანეთი	112	142	172
საფრანგეთი	113	158	193
შვეიცარია	107	123	133
იუგოსლავია	141	694	115148
სსრკ	101	105	112

დღეს ეკონომისტების უმრავლესობა გამოყოფს ფაქტორების ორ ჯგუფს, რომლებიც ინფლაციას ბადებენ (ან საუბრობენ კიდეც ორი ტიპის ინფლაციაზე). ჯერ ერთი, იგი შეიძლება გამოიწვიოს ფაქტორებმა, რომლებიც განაპირობებენ მოთხოვნის ზრდის წინსწრებას მიწოდებასთან მიმართებაში, ხოლო, მეორეც, ფაქტორებით, რომლებიც ამუხრუჭებენ მიწოდების ზრდას.

მოთხოვნით განპირობებულ ინფლაციის მიზეზს მიეკუთვნება, უპირველეს ყოვლისა, მთავრობის ისეთი ხარჯები, რომლებიც ქმნიან შემოსავლებს, მაგრამ არა უზრუნ-ველყოფს საქონლითა და მომსახურებით. ასე, მაგ., როცა მთავრობა ზრდის სახელმწიფო ხარჯებს თავდაცვაზე, მაშინ იზრდება თავდაცვის სექტორში მომუშავე პერსონალის შემოსავლები, სოვიალური პროგრამების გაჩაღებისას – ნაკლებ უზრუნველყოფილი ფენების შემოსავალი. თავის მხრივ, მოსახლეობის შემოსავლების ზრდა იწვევს მათ მიერ წამოყენებული მოთხოვნის ზრდას, მაგრამ ეკონიმიკას არ ძალუძს (ყოველ შემთხვევაში ერთბაშად) მისი დაკმაყოფილება. ეს მოთხოვნა აღმოჩნდება ჭარბი, მიწოდებასთან შედარებით ფასები გაიზრდება რაც გამოიწვევს მოსახლეობაზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას. მომავალშიც ფასების ზრდის შიშით ადამიანები ჩქარობენ ფულის

‘გასაქონლებას” და უარს ამბობენ ჩვეულებრივი დანაზოგის გაკეთებაზე. ეს თავის მხრივ ქმნის ახალ ბიძგს ფასების ზრდისა და ა.შ.

მიწოდებით განპირობებულ ინფლაციის მიზეზს მიეკუთვნება წარმოების დანახარჯების ზრდა. პირველ რიგში ხელფასის გადიდება. შრომის ანაზღაურებაზე დანახარჯების ზრდა იწვევს მეწარმის ხარჯების გაზრდას ერთეული პროდუქციის წარმოებაზე (თუ ცხადია, შრომის ნაყოფიერება არ იზრდება წინმსწრები ტემპით). ამიტომ, იმისათვის რათა დანახარჯების ზრდამ მოგება არ შეკვეცოს, მეწარმე ფასებს უმატებს. მაგრამ პროდუქციაზე ფასების მომატება ამცირებს მისი მომხმარებლების რეალურ შემოსავლებს, რომლებიც თავის მხრივ, ცდილობენ მიაღწიონ ხელფასის გაზრდას. შრომის ანაზღაურების მომატება ნიშნავს იმავდროულად წარმოების დანახარჯების ზრდას და, შესაბამისად, ფასების გაზრდას იმ საქონელსა და მომსახურებაზე, რასაც ისინი აწარმოებენ. ეს კი თავის მხრივ მიზეზია იმისა, რომ პროდუქციის მომხმარებლები ითხოვენ, სავსებით გამართლებულად, თავიანთი ხელფასის გაზრდასაც.

ინფლაციური სპირალი იწყებს გაშლას პრინციპით: დანახარჯების ზრდა – შემოსავლების ზრდა – დანახარჯების ზრდა და ა.შ.

ზოგიერთ შემთხვევაში ფასების საერთო დონის გაზრდა შეიძლება დაკავშირებული იყოს ერთი რომელიმე პროდუქტის გაძვირებასთან, რომელიც ბევრი სხვა პროდუქტის წარმოების დანახარჯებში შედის, - მაგალითად, ნავთობი. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ როგორი ეკონომიკური (ან არაეკონომიკური) ფაქტორებით იყო გამოწვეული.

რატომაა, საერთოდ, საბაზრო ეკონომიკაში შესაძლებელი მოთხოვნის ხანგრძლივი მეტობა მიწოდებაზე და, შესაბამისად, ფასების მდგრადი მატება?

ბაზრის კანონების თანახმად, კონკურენციის პირობებში ადგილი უნდა ჰქონდეს მხოლოდ ფასების მუდმივ მერყეობას, ერთი სახის საქონლის გაიაფებას, მეორეს – გაძვირებას, მაგრამ ფასების საერთო დონე უნდა დარჩეს მუდმივი. ეკონომისტების უმრავლესობა ამ წესის დარღვევას ხსნის თვით ბაზრის ნაკლოვანებით, სახელდობრ კონკურენციის “დეფიციტით”. როცა ცალკეულ მეწარმეებს საშუალება გააჩნიათ ბაზარზე ფასების “დიქტატისა”, მაშინ ისინი თავიანთ სასარგებლოდ მაღალ ფასებს აწესებენ. უფრო მეტიც, როცა მოთხოვნა ეცემა, აკონტროლებენ რა მიწოდებას, ისინი წარმოების მოცულობის შეკვეცაზე მიდიან და არა ფასების შემცირებაზე. შედეგად, ფასების საერთო დონეც იწყებს ცვლილებას ერთი მიმართულებით – მათი ზრდისაკენ.

დღეისათვის პრაქტიკულად ყველა ქვეყნის მთავრობა შეუპოვრად იბრძვის ინფლაციის წინააღმდეგ, იყენებს რა ამისათვის სხვადასხვა ზომებს. მოთხოვნის ფაქტორით გამოწვეული ინფლაციის დამარცხებისათვის ისინი ამცირებენ სახელმწიფო ხარჯებს, ხოლო მიწოდებით განპირობებულ ინფლაციას, ებრძვიან ხელფასის “გაყინვით”. იშვიათ შემთხვევაში ცალკეული საქონლის ფასებზე აწესებენ “ჭერს”. მაგრამ ცოტა რამ თუ კეთდება, თვით არასრული კონკურენციის ფასწარმოქმნის მექანიზმის გასამართად. ამასთან დაკავშირებით, ეკონომისტები ხანდახან ირონიითაც ლაპარაკობენ, რომ დღეს გამოყენებული ანტიინფლაციური ზომები, ემსგავსება ნაბახუსევზე მკურნალობას, მაგრამ იმგვარს, რომელიც წინასწარ „გადაკვრაზე“ უარს არ გულისხმობს. გამორიცხული არაა, რომ სწორედ ამ-

იტომ ინფლაციის მკურნალობა, როგორც ამას პრაქტიკა ანახებს, ჯერჯერობით ნაკლებეფექტურია – და არა მარტო ჩვენ ქვეყანაში.

ინფლაციის შედეგები

ფასების ინფლაციურ ზრდას საკუთარ თავზე შეიგრძნობს ყველა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამით ყველა ზარალდება. არსებობს ადამიანთა კატეგორია, ვინც ამისგან მოგებას ღებულობს.

ყველაზე სერიოზულ დარტყმას ინფლაცია აყენებს, ვინც ფიქსირებულ შემოსავალს ღებულობს: პენსიონერებს, მოსწავლეებს, და ა.შ. ფასების ზრდასთან ერთად ძვირდება ცხოვრება. იმისათვის რათა მოიხმარონ პროდუქტების თუ მომსახურების ჩვეული რაოდენობა, საჭირო ხდება უფრო და უფრო მეტი ფულის ხარჯვა. თუ შემოსავლები ფიქსირებული რჩება, მაშინ მომხმარებელი იძულებული ხდება უარი თქვას ჩვეულ სიკეთეზე. ფიქსირებული შემოსავლები, რა თქმა უნდა პერიოდულ გადასინჯვას ექვემდებარება, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მათი მომატება პრაქტიკულად ყოველთვის დაგვიანებით ხდება, ფასები ზემოთ მიიწევს "ლიფტით", შემოსავლები კი – "კიბით". ამ პრობლემებიდან გამოსავალს ზოგიერთი ხედავს შემოსავლების ინდექსაციაში – ინდექსის საშუალებით მათ მიბმას ინფლაციის ტემპტთან. ამ შემთხვევაში შემოსავლები ავტომატურად უნდა გაიზარდოს ცხოვრების გაძვირებასთან ერთად, რომელსაც ინფლაცია იწვევს. მაგრამ ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მოხდება შესაბამისი მაჩვენებლის გამოთვლა რეგულარულად და კეთილსინდისიერად.

ინფლაცია აჩანაგებს იმათ, ვინც დანაზოგები გააკეთა წინა წლებში. აღმოჩნდება, რომ მათ ამაოდ გაიღეს მსხვერპლი – დანაზოგი თანის მსყიდველობითი უნარი გაცილებით ნაკლები ხდება, ვიდრე იგი იყო იმ წლებში, როცა ხალხი მას ინახავდა და უარს ამბობდა მოხმარებაზე. ასეთ მდგომარეობაში ვარდებიან კრედიტორებიც. გასცეს რა მათ სესხი გარკვეული პროცენტით დროდადრო აღმოაჩენენ, რომ ინფლაცია "ჭამს" არა მარტო მათ მთლიან მოგებას, არამედ თვით სესხის მსყიდველობით უნარსაც.

მეწარმეები არა მარტო ხედავენ წარმოებაში დანახარჯების ზრდას, არამედ იძულებულნი არიან იმუშაონ გაურკვევლობის პირობებშიც. ბევრს მიაჩნია, რომ ინფლაცია (ყოველ შემთხვევაში მაღალი) საზოგადოებისათვის საერთო სიბოროტეა.

შესაძლებელია პირადი (კერძო) სარგებლის მიღებაც. ინფლაცია სასარგებლოა იმათთვისაც, ვისაც შეუძლია თავისი შემოსავალი გაზარდოს უფრო მაღალი ტემპით ვიდრე ინფლაციის ტემპია. თუ, მაგ., ინფლაციის ბიძგი იწვევს რომელიმე პროდუქტის გაძვირებას, მაშინ მისი მწარმოებლები მოგებაში რჩებიან. გარკვეულ მოგებას ნახულობენ მევალეებიც, რადგან კრედიტორებისათვის მათ მიერ დაბრუნებული თანხა და პროცენტები უკვე ისეთი ფულია, რომლის მსყიდველობითი უნარი მნიშვნელოვნად შემცირებულია. ინფლაციის პირობებში მთავრობასაც შეუძლია გაზარდოს თავისი შემოსავლები. ეს ხდება საგადასახადო შემოსავლების ზრდის ხარჯზე. გარდა ამისა, თუ სახელმწიფოს წინა წლებში ვალი ჰქონდა აღებული, მაშინ იგი, როგორც ნებისმიერი მევალე მოგებული რჩება გაუფასურებული ფულის უკან დაბრუნების გამო.

თუმცა გარკვეულ ეტაპზე ინფლაცია მოგებულებსაც და დამარცხებულებსაც გამოუტანს თავიანთ სასჯელს. მისი შედეგები შესაძლებელია კატასტროფაში გადაიზარდოს ყველასათვის. მოვიყვანოთ მხოლოდ რამდენიმე ციფრი, რომელიც ჰიპერინფლაციის კლასიკურ

მაგალიტად იქცა 1918-1923 წწ. გერმანიაში. 1918 წელს ქა მიმოქცევაში იყო 22 მლრდ. ქაღალდის მარკა, 1919 წელს – 49 მლრდი, 1920-81 მლრდი, 1921 – 122 მლრდ. ამის შემდეგ მიმოქცევაში ფულმა დაიწყო ზრდა თოვლის გუნდასავით: 1922 წლის 30 ივნისს გახდა 211 მლრდ., 1923 წლის 23 აგვისტოს – 116402 მლრდ., 1923 წლის 15 ნოემბერს 92844729000 მლრდი მარკა.

საბეჭდი მანქანა მუშაობდა დღე და ღამე, უშვებდა რა სავსებით გაუფასურებულ კუპიურებს. ფასები და ხელფასი იცვლებიდა ყოველდღე. საწარმოები ჩანაგდებოდა, ხალხი კარგავდა სამუშაოს და არსებობის საშუალებას . . ათი წლის შემდეგ გერმანიაში დამყარდა ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი დიქტატურა..

საფინანსო ინსტიტუტები

საფინანსო ინსტიტუტები, რომლებსაც ადრე ჩვენთან ფულად-საკრედიტო დაწესებულებებს უწოდებდნენ, წარმოადგენს ფინანსურ შუამავალს, რომელიც ორ ძირითად ფუნქციას ასრულებს: ისინი ღებულობენ და ინახავენ ფულად ანაბრებს იმათგან, ვისაც იგი 'ზედმეტი აქვს", და აძლევენ სესხს მათ, ვისაც ამის საჭიროება გააჩნია. დღესდღეობით ეს დაწესებულებები ბევრ სხვა ოპერაციებსაც ასრულებენ, როგორიცაა: უცხოური ვალუტის გაცვლა, კლიენტებისატვის სადაზღვევო, საბროკერო და საკონსულტაციო მომსახურება, ძვირფასეულობის შენახვა და საკრედიტო ბარათების გამოშვება უნაღდო ანგარიშსწორებისათვის.

კომერციული ბანკები ტრადიციულად სპეციალიზებული არიან საწარმოთათვის მოკლევადიანი კრედიტების გაცემაზე, მაგრამ დღეს ისინი მოსახლეობასაც უწევენ მომსახურებას. ***შემნახველი ბანკები*** ანაბრებს ღებულობენ მოსახლეობისაგან და ეწევიან გრძელვადიან დაკრედიტებას. საფინანსო ინსტიტუტებს მიეკუთვნება ***საინვესტიციო ბანკები***, რომლებიც ითავსებენ ფასიანი ქაღალდების გამოშვებას. ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს საფინანსო სახლები, საკრედიტო სამომხმარებლო კავშირები და მრავალი სხვა.

თვით სიტყვა "ბანკი" იტალიური სიტყვისაგან – "ბანცა" არის ნაწარმოები და ნიშნავს დუქანს (სავაჭროს) ბაზარზე ფულის გადასაცვლელად.

უმრავლეს ქვეყნებში დღეს საბანკო სისტემა ორდონიანია. მის ხელმძღვანელ და მიმმართველ ძალას ცენტრალური ბანკი წარმოადგენს.

ცენტრალური ბანკი

სხვა საფინანსო ინსტიტუტებისაგან განსხვავებით, რომლებიც კომერციული სარგებლის პრინციპით ხელმძღვანელობენ, ცენტრალური ბანკი მოწოდებულია დაიცვას საზოგადოებრივი ინტერესები. მისი დანიშნულებაა ქვეყნის მთელი საფინანსო სისტემის რეგულირება.

ცენტრალური ბანკი შეიძლება წარმოადგენდეს ერთიან ცენტრალიზებულ დაწესებულებას, ანუ ერთ ბანკს. შესაძლებელია იგი რამდენიმე ბანკისგანაც შედგებოდეს. ასე მაგ., აშშ-ში ცენტრალური ბანკის ფუნქციას ასრულებს ფედერალური სარეზერვო სისტემა, რომელიც 12 რეგიონალური ბანკისაგან შედგება და რომელსაც ხელმძღვანელობს ქვეყნის პრეზიდენტის მიერ დანიშნული საბჭო.

უმრავლეს ქვეყნებში ცენტრალური ბანკი სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენს. იქაც კი, სადაც იგი შეიქმნა, როგორც კერძო სააქციო კომპანია (მაგ., ინგლისის ბანკი), მისი ფუნქციონირება წარმოებს, არსებითად, როგორც საზოგადოებრივი ან სახელმწიფო დაწესებულებებისა, რომლებსაც მკაცრ მეთვალყურეობას უწევს მთავრობა. თუმცა მთავ-

რობისადმი მისი დქვემდებარების ხარისხი შეიძლება იყოს სხვადასხვა. საფრანგეთისა და იაპონიის ბანკებმა მთავრობის ნების შემსრულებლის (მორჩილების) რეპუტაცია დაიმკვიდრეს. გერმანულმა "ბუნდერსბანკმა" კი პირიქით, მოიპოვა "ავტონომიურობა მთავრობის პოლიტიკის ინტერპრეტაციაში" (ამგვარადაა აღნიშნული გერმანიის კონსტიტუციაში). გამორიცხული არაა, რომ სწორედ საკუთარი აზრის (მოქმედების) ამ უფლებით "ბუნდესბანკი" წარმატებით იცავს მთელი ქვეყნის ნაციონალურ ინტერესებს.

საქართველოს ცენტრალური ბანკი უშუალოდ ექვემდებარება საკრედიტო რესურსების გამანაწილებელ უწყებათაშორისო კომისიას. დღეს მისი დამოუკიდებლობის ხარისხი დაბალია არა მარტო გერმანულ, არამედ ფრანგულ და იაპონურ ბანკებთან შედარებით.

ცენტრალური ბანკის ფუნქცია არ დაიყვანება საფინანსო შუამავლობაზე. იგი უფრო ფართოა.

ჯერ ერთი, ცენტრალური ბანკი ტრადიციულად წარმოადგენს მთავრობის ბანკირს. მას მიჰყავს ანგარიში სახელმწიფოს შემოსავლებსა და გასავალზე, გასცემს მასზე ფულს სესხად. უმრავლეს ქვეყნებში მთავრობის სავალო ვალდებულება ფორმდება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების სახით, რომლის შეძენის შემდეგ ცენტრალური ბანკი მას ავრცელებს საზოგადოებაში, მის მიერვე ორგანიზებულ სპეციალურ აუქციონზე და სხვა.

ჩვენ ქვეყანაში ასეთი პრაქტიკა მხოლოდ ახლა იწყებს ჩამოყალიბებას. 1992 წლის ნოემბერში მიღებული კანონის ("სახელმწიფო შიდა ვალის შესახებ") საფუძველზე რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა დაიწყო მოკლევადიანი სახაზინო ვალდებულებების გამოშვება. დღეს რუსეთის ცენტრალური ბანკი აფინანსებს მთავრობას, გასცემს მის ანგარიშზე კრედიტებს (ცხადია, გარკვეული პროცენტით) ან მთავრობასთან შეთანხმებით განსაზღვრავს ნაღდი ფულის გამოშვების (ემისიის) ფორმას.

მეორე **-** ცენტრალური ბანკი ბანკების ბანკირია. ქვეყნის ბანკებს ევალებათ თავიანთი სახსრების ნაწილი ყოველთვის ხელზე იქონიონ, ხოლო ნაწილი ანაბრების სახით ცენტრალურ ბანკში შეინახონ, ეს, ე.წ. რეზერვია.

რუსეთში ბანკებისათვის სარეზერვო ანარიცხების განაკვეთი დადგენილია მათი ანაბრების 20%-ის ოდენობით. უძღვება რა ასეთ ანგარიშებს, ცენტრალური ბანკი ანხორციელებს სამთავრობო დაწესებულებებთან ბანკების საანგარიშო ოპერაციებს.

მესამე – ცენტრალური ბანკი წარმოადგენს ბოლო ინსტაციის გამსესხებელს კრიტიკულ სიტუაციაში, როცა რომელიმე ბანკს გაკოტრება ემუქრება და არ შეუძლია სხვა ბანკებისაგან კრედიტის აღება, იგი მიმართავს სახელდობრ ცენტრალურ ბანკს.

ამ უკანასკნელს კი შეუძლია მასზე გასცეს კრედიტი, გადაუდავის გადასახადი, ანკიდევ, თავის თავზე დაიწეროს დავალიანება, თუ, რა თქმა უნდა, ამ ბანკის შენახვა (შენარჩუნება) ქვეყნის მთელი საფინანსო სისტემის ინტერესებს პასუხობს.

მეოთხე – სახელმწიფო ცენტრალური ბანკი ანხორციელებს მთავრობის დავალებით ბანკების საქმიანობისადმი მეთვალყურეობას, ორგანიზაციას უკეთებს რა მათ მიერ საფინანსო წესების დაცვის პერიოდულ შემოწმებას.

ცენტრალური ბანკის ფუნქციაში შედის, ნაციონალური ფულადი ერთეულის გაცვლითი კურსის რეგულირება სხვა ქვეყნების ვალუტაზე. მაგრამ ცენტრალური ბანკის ძირითადი ეკონომიკური ფუნქცია მდგომარეობს, მთავრობის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარე-

ბაში, როგორც საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი საშუალება. ტრადიციულად ეს ხორციელდება რამდენიმე გზით.

პირველი. ცენტრალური ბანკი დანარჩენი ბანკებისათვის აწესებს სარეზერვო ანარიცხების პროცენტს. მისი გადიდებით და, მაშასადამე, იმ სახსრების გაზრდით, რომელიც ბანკებმა ცენტრალურ ბანკში უნდა შეინახონ, მცირდება მათ განკარგულებაში არსებული (დარჩენილი) საკრედიტო სახსრების ზომა, და პირიქით, სარეზერვო ანარიცხების განაკვეთების შემცირებისას ბანკებს შესაძლებლობა ეძლევათ დამატებითი სახსრები გამოიყენონ საწარმოებისა და მოსახლეობის დაკრედიტებისათვის.

მეორე. ცენტრალურ ბანკს შეუძლია პროცენტის სააღრიცხვო განაკვეთის ვარირება, რომლითაც იგი კრედიტს გასცემს კომერციულ ბანკებზე. მისი ზრდის შესაბამისად, ახდენს ცენტრალური ბანკის კრედიტებით მოსარგებლე, ყველა სხვა ბანკი თავიანთი კრედიტებისათვის უფრო მაღალი პროცენტების დაწესებას. ფულზე მოთხოვნა ამ შემთხვევაში დაეცემა, რადგან ბაზრის კანონის თანახმად პროცენტის გაზრდასთან ერთად შემცირედება დაინტერესებულ მსესხებელთა რაოდენობაც. საპროცენტო განაკვეთის შემცირებისას კი პირიქით, ბანკების კრედიტები უფრო იაფი გახდება (დაბალი პროცენტით გაცემის გამო) და, შესაბამისად, მასზე მოთხოვნაც გაიზრდება. დღეს რუსეთში ფულად-საკრედიტო რეგულირების მეთოდს წარმოადგენს არა იმდენად საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, რამდენადაც სახალხო მეურნეობაზე გასაცემი კრედიტების საერთო რაოდენობა.

მესამე. ფულად-საკრედიტო რეგულირების ძირითადი მეთოდია ცენტრალური ბანკის მიერ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყიდვა ან გაყიდვა. რუსეთში მისი გამოყენება დაიწყეს სულ ახლახან. ადრე მთავრობის სავალო ვალდებულების გაფორმება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების სახით არ წარმოებდა.

იმაზე, თუ რამდენად მოხერხებულად იყენებს ცენტრალური ბანკი მის ხელთ არსებულ ფულად-საკრედიტო რეგულირების მექანიზმებს და რამდენად ეფექტურად ასრულებს იგი თავის ძირითად ფუნქციებს, დამოკიდებულია არა მარტო ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა, არამედ მისი ეკონომიკური განვითარება მთლიანად.

კომერციული ბანკები

კომერციული ბანკების უშუალო საქმიანობაში შედის ანგარიშების, ე.წ. დეპოზიტების მიღება იმათგან, ვისაც "ზედმეტი" (ჭარბი") სახსრები გააჩნია და სესხის იმაზე გაცემა, ვისაც იგი სჭირდება. კომერციული ბანკი, ისევე როგორც ნებისმიერი კომერციული საწარმო, მუშაობს მოგებაზე, რომელიც შემდეგნაირად მიიღება. გასცემს რა სესხს, ბანკი განსაზღვრულ დროში უკან იბრუნებს არა მარტო ამ თანხას, არამედ გარკვეული დროის განმავლობაში დამატებით ღებულობს პროცენტებს პრემიის სახით, ანუ სარგებელს გაცემული კრედიტისათვის. მართთალია, ანაბრების მიღებისას ბანკი თვით უხდის პროცენტს მეანაბრეს, მაგრამ მისი სიდიდე იმაზე დაბალია, რასაც ბანკი კრედიტის გაცემისათვის აწესებს. ასე, მაგ., თუ ბანკი ანაბრებს ღებულობს წლიური 5%-ით, კრედიტს გასცემს – 8%-ით, ან თუ მიიღებს 10000%-ით, გასცემს – 2000%-ით და ა.შ ამ სიდიდეთა სხვაობა წარმოადგენს სწორედ საბანკო მოგების წყაროს.

ბანკებს თავიანთი კლიენტების ანგარიშებიც მიჰყავთ. არსებობს ანგარიშების მრავალი სხვადასხვა სახე, მაგრამ ყველა ისინი შეიძლება მივაკუთვნოთ ორ ძირითად ტიპს: ***<u>შემნახველს და მიმდინარეს.</u>*** პირველი მათგანი გამოიყენება დანაზოგების შენახვისათვის. მისთვის ბანკი პროცენტს უხდის მეანაბრეს, მაგრამ იქედან ფულის მოხსნაზე არსებობს

გარკვეული შეზღუდვები. მიმდინარე ანგარიში ეს მუშა ანგარიშია, საიდანაც შეიძლება ფულის მოხსნა მოთხოვნის შესაბამისად და მისი გადატანა სხვა ანგარიშებზე. თავდა-პირველად მიმდინარე ანგარიშების მომსახურებისათვის ბანკები მეანაბრეებს ახდევინებ-დნენ განსაზღვრულ გასამრჯელოს. დღეს ეს მომსახურება უმრავლეს შემთხვევაში უფასოდ წარმოებს.

გარდა საფინანსო შუამავლობისა და ანგარიშების წარმოებისა, კომერციული ბანკები ასრულებენ მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ ფუნქციას. ისინი ქმნიან საკრედიტო ფულს, საბეჭდი დაზგის დახმარების გარეშე. თუ ცენტრალური ბანკი აკონტროლებს ნაღდი ფულის ემისიას, კომერციული ბანკები ანხორციელებენ უნაღდო "ემისიას" (ცხადია, ასევე ცენ-ტრალური ბანკის კონტროლის ქვეშ).

წარმოვიდგინოთ, რომ რომელიღაც ბანკი (ვუწოდოთ მას პირველი) მეანაბრესაგან ღებულობს დეპოზიტს 100 მლ.ლარის ოდენობით. ცენტრალური ბანკის მოთხოვნების თანახ-მად, კომერციულმა ბანკმა რეზერვის სახით, უნდა შეიტანოს (შეინახოს) ამ თანხის 20%, ანუ 20 მლ. ლარი. მაგალითის სიმარტივისათვის ჩავთვალოთ, რომ მთელ ამ თანხას (20 მლ-ს), ის გადარიცხავს ცენტრალურ ბანკში თავის ანგარიშზე. დანარჩენ 80 მლ. ლარს იგი გასცემს სესხად, რათა გამოიმუშავოს მოგება – პროცენტი. ვთქვათ ამ პირველ ბანკს მიმართა საწარმომ კრედიტისათვის და მიიღო კიდეც იგი, რაც მთლიანად დახარჯა Ბ საწარმოსაგან მანქანა-დანადგარების შესაძენად. Ბ საწარმო საწარმოსაგან მიღებულ სახსრებს ათავსებს თავის ანგარიშზე მეორე ბანკში. ეს უკანასკნელი რეზერვის სახით 80 მლ. ლარის 20%-ს, ანუ 16 მლ. ლარს იტოვებს სარეზერვოდ (ცენტრალურ ბანკში გადასარიცხად), ხოლო დანარჩენ 64 მლ. ლარს სესხის სახით გასცემს სხვა, საწარმოზე, რომელიც ამ თახით Γ საწარმოს უსწორებს ანგარიშს მიწოდებულ საქონელზე. Γ საწარმო, მიღებულ თანხას თავის ანგარიშზე ათავსებს მე-3 ბანკში. უფრო სწორად, მეორე ბანკიდან (თავის ანგარიშიდან) B საწარმო სახსრებს გადარიცხავს მესამე ბანკში Γ საწარმოს ან-გარიშზე. ამ 64 მლ. ლარიდან, მესამე ბანკი იტოვებს 20%-ს რეზერვის სახით და დარჩენილ 51,2 მლ. ლარს გაასესხებს შემდეგ კლიენტზე. თეორიულად ფული შეიძლება გადაადგილდეს ერთი ბანკიდან მეორეში მანამ, სანამ იგი არ დაიხარჯება, ბოლო კაპიკამდე. ჩვენ მაგალითზე იგულისხმება, რომ საწარმოებს ანგარიშები გააჩნიათ სხვადასხვა ბანკებში.

როგორც ვხედავთ, თავდაპირველ ანაბრებზე (100 მლ.ლარზე, ბანკებმა სესხის სახით გასცეს 400 მლ.ლარი, ხოლო ანაბრები გაიზარდა 500 მლ.მანეთამდე, რამაც 5-ჯერ გადა-აჭარბა თავდაპირველს. ამრიგად, ბანკები როგორღაც ფულს აკეთებენ.

ამ მოვლენის საფუძველს შეადგენს, ამჟამად მოქმედი ნაწილობრივი სარეზერვო უზ-რუნველყოფის პრინციპი. იღებს რა ანაბრებს, ბანკი ვალდებულია რეზერვის სახით შეინახოს, ამ თანხით არა 100%, არამედ მისი ნაწილი – ჩვენ შემთხვევაში 20%. შესაბამი-სად, ბანკების მიერ შექმნილი საკრედიტო თანხის რაოდენობა, დამოკიდებულია სარეზერვო ანარიცხების განაკვეთის კონკრეტულ სიდიდეზე,

ცხრილი 11.2 უნაღდო ფულის მოძრაობა თავდაპირველი დეპონირების შემდეგ (100 მლ. ლარი)

ბანკი	ანაბრები	ბანკის რეზერვები (მლნ.ლარი)	სესხები (მლნ.ლარი)
პირველი	100	20	80
მეორე	80	16	64
მესამე	64	12,8	51,2
მეოთხე	51,2	10,24	40,96
მეხუთე	40,96	8,192	32,768
დანარჩენი	163,84	32,768	131,072
სულ	500	100	400

უფრო ზუსტად მის შებრუნებულ სიდიდეზე, რომელსაც ფულადი მიმოქცევის მულტიპლიკატორი (მამარავლი) ანუ დეპოზიტური მულტიპლიკატორი ეწოდება:

$$M = 1/R$$

სადაც M – ფულადი მიმოქცევის მულტიპლიკატორია:

R – სარეზერვო ანარიცხების განაკვეთი.

თავდაპირველი ანაბრებით შექმნილი საერთო თანხა, იანგარიშება მარტივი ფორმულით:

$$\Sigma D = D_1 \times 1/R$$

სადაც ΣD – საბანკო ანაბრების ჯამური ნამატია;

D_1 – თავდაპირველი ანაბრები

R – სარეზერვო ანარიცხების განაკვეთი.

მაგალითში თავდაპირველი ანაბრები 100 მლნ. ლარს შეადგენდა, ხოლო სარეზერვო ანარიცხების განაკვეთი 20%-ს, ანუ 0,2-ს. ამიტომ საბანკო დეპოზიტების ჯამური ნაზარდი იქნება:

100×1/0,2=500 მლნ.ლარი

თუ სარეზერვო განაკვეთი დაწესდება 25%-ის ოდენობით, მაშინ ფულის მიმოქცევის მულტიპლიკატორი იქნება 1/0,25=4, ხოლო საბანკო დეპოზიტების ჯამური ნაზარდი – 400 მლ.ლარი. 100%-ის განაკვეთზე დეპოზიტების ჯამია 1000 მლ.ლარი, ხოლო 100%-იან განაკვეთზე დეპოზიტის გაცემას ადგილი აღარ ექნება:
100 11=100 მლნ.ლარი.

ანგარიშიდან ნაღდი ფულის მოხსნის ეფექტი, დეპონირების საპირისპირო შედეგს იძლევა. თუ ჩვენ მაგალითში, 20%-იანი სარეზერვო ანარიცხების შემთხვევაში, რომელიმე ეტაპზე ბანკის ანგარიშიდან ნაღდი ფული მოიხსნება და იგი სხვა ბანკის ანგარიშზე არ მოხვდება, მაშინ ერთი ლარის გამოტანა ყველა საბანკო ანაბრების საერთო თანხის 5 ლარით შემცირების ტოლფასი იქნება.

ბანკები, ისე როგორც სხვა კომერციული საწარმოები, დაზღვეული არ არიან გაკოტრებისაგან. თუ ბანკიდან თავიანთი სახსრების ამოღებას გადაწყვეტს მეანაბრეთა დიდი რაოდენობა, მაშინ იგი გადახდისუუნარო აღმოჩნდება გარკვეულ ეტაპზე. ისტორიაში ცნობილია საკრედიტო დაწესებულებების გაკოტრების ბევრი შემთხვევა, მეანაბრეთა "პანიკური გაქცევის"გამო. გასულ საუკუნეში შეიმუშავეს ამის საწინააღმდეგო მოქმედების ღონისძიებათა მთელი სისტემა. ლონდონი სიტიში, მაგალიად, კლერკებს (კანტორის

მოხელეებს), ასეთ შემთხვევაში ინსტრუქციას აძლევდნენ – ფული გაეცათ მინიმალური ღირსების მონეტებით და გაეკეთებინათ ეს, რაც შეიძლება ნელა, გასაცემი თანხის რამოდენიმეჯერ გადათვლით.

ამასთან, ფულის მიმღებთა რიგში, ჩააყენებდნენ ხოლმე თავიანთი ბანკის თანამშრომელს, ან სხვა ცრუ პიროვნებას, რომელიც ვალდებული იყო, ფული, მიღებისთანავე, უკან დაებრუნებინა. საინტერესოა, რომ თვით ასეთი "პატარა ეშმაკობაც", ხანდახან საკმარისი იყო კრიზისის გასანეიტრალებლად. მაგრამ პანიკა ეს ერთადერთი საშიშროება არაა, რაც ბანკებს ემუქრება.

განსაკუთრებით მძიმე სიტუაციაში ვარდებიან ბანკები, მაღალი ინფლაციის პირობებში. ფულის გაუფასურება ბანკს აიძულებს მოიზიდოს ანაბრები და გადაიხადოს მათთვის სულ უფრო მაღალი პროცენტები. ამასთან, ადრე სესხებზე დაწესებული პროცენტი, შეიძლება უფრო ნაკლები აღმოჩნდეს, ვიდრე ანაბრებზე მიმდინარე პროცენტი. ამ შემთხვევაში ბანკი პირდაპირ ზარალს განიცდის. სწორედ ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა დღეს რუსეთის მრავალი ბანკი.

ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებობს სპეციალური ცნება-რეალური საბანკო პროცენტი. იგი წარმოადგენს სხვაობას ნომინალურ პროცენტსა და გაუფასურებულ ფულზე პროცენტს შორის. მაგ., თუ ბანკი სესხს გასცემს 100%-ზე, ხოლო ინფლაცია შეადგენს 99%-ს, მაშინ, რეალური საბანკო პროცენტი ერთის ტოლი იქნება. ბანკებისათვის კიდევ ერთ საშიშროებას, მსესხებლის გადახდისუუნარობა წარმოადგენს. თუ ეს უკანასკნელი დადგენილ ვადამდე ვერ დაფარავს თავის ვალდებულებას, მაშინ ბანკი უბრალოდ კარგავს ფულს. ეს მოვლენაც ხშირია დღეს რუსეთის ეკონომიკაში. მაგრამ ბევრმა უცხოურმა ბანკმაც გადაიტანა ამ მიზეზით 80-იანი წლების ძნელი დრო. ყველაზე მეტად დაზარალდნენ ამერიკული და ევროპული ბანკები, რომელთაც გულუხვად გასცეს სესხები განვითარებადი ქვეყნების მთავრობებზე. ამ ქვეყნებმა მიბაძეს რა მექსიკის მაგალითს, შეაჩერეს ვალებზე პროცენტის გადახდაც და თავიანთი დამკრედიტებელი ბანკები, გაკოტრების პირას მიიყვანეს.

გაჩანაგებისაგან იტანჯება არა მარტო ბანკები, არამედ მათი მეანაბრეებიც, მაშინაც კი, თუ მათ ანაბრებს სახელმწიფო აზღვევს. (ბანკის გაკოტრების შემთხვევაში, მთავრობა აბრუნებს ანაბრებს, მაგრამ მხოლოდ გადასახადის გადამხდელთა სახსრებიდან). ქვეყნის მთელი საფინანსო სისტემის მორყევის თავიდან აცილებისა და ბანკების გადარჩენის მიზნით, მიმართავენ შეუპოვარ ძალისხმევას. თუ არსებობს იმის შანსი, რომ გაჩანაგებული ბანკი მომავალში შეძლებს თავის მდგომარეობის გამოსწორებას, მაშინ ცენტრალური და სხვა ბანკები მას კრედიტს გამოუყოფენ, გადასახადის განვადებას მისცემენ ან ჩამოაწერენ ვალების ნაწილს. მაგრამ მიუხედავად ამ ღონისძიებებისა ბანკების მარცხი არაიშვიათია ჩვენს განვითარებულ საუკუნეში.

ეკონომიკური აზროვნების ისტორიიდან

ფულის რაოდენობრივი თეორიის ფუძემდებლად ითვლება მე-16 საუკუნის ფრანგი მოაზროვნე ჟან ბოდენი. სწორედ მან, ერთ-ერთმა პირველმა, გააკეთა იმის კონსტანტირება, რომ მის დროს ახალი სამყაროდან ევროპაში ოქროსა და ვერცხლის მოდინებამ გამოიწვია ამ ძვირფას მეტალებზე ფასების შემცირება და საქონელზე ფასების გადიდება.

ფულის რაოდენობრივი თეორია შეიმუშავა ამერიკელმა ეკონომისტმა, ირვინგ ფიშერმა (1867-1947), თავის შრომაში – "ფულის მსყიდველობითი უნარი" (1911), მან მოგვცა განტოლება:

$M \times V = P \times Q$

სადაც – M - ფულის მიწოდებაა:
V- ფულის მიმოქცევის სიჩქარე და გვიჩვენებს, თუ მოცემული პერიოდის განმავლობაში რამდენჯერ გადადის იგი ხელიდან ხელში;
P – საქონლის და მომსახურების საშუალო ფასი;
Q – გაყიდული საქონლისა და მომსახურების რაოდენობა;

განტოლების აზრი შემდეგში მდგომარეობს: ფულის მიწოდება, გამრავლებული მისი ბრუნვის სიჩქარეზე, უტოლდება დანახარჯების ჯამს, ყველა საქონელსა და მომსახურებაზე (მათი საშუალო ფასის ნამრავლს რაოდენობაზე).

თუ ფიშერის ლოგიკის მიხედვით, ამ განტოლებას გავავრცელებთ მოცემულ წელს, წარმოებულ ყველა საქონელსა და მომსახურებაზე და დავუშვებთ, რომ ფულის ბრუნვის სიჩქარე და გამოშვებული ფულის რაოდენობა მუდმივია, მაშინ აქედან მივიღებთ ფუძემდებლურ დასკვნას: ფულის მიწოდება განსაზღვრავს საქონლის ფასებს.

ამ დასკვნაზეა დაფუძნებული მთელი კონცეფცია, რომელიც მონეტარიზმის სახელითაა ცნობილი. მისი მეტად ცნობილი თანამედროვე წარმომადგენელია ამერიკელი ეკონომისტი მილტონ ფრიდმანი (1912-2006), რომელიც ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა ეკონომიკაში 1976 წელს. ფულის რაოდენობრივი თეორიიდან, მან გააკეთა კიდევ ერთი შორს მიმავალი დასკვნა: მთავრობამ უნდა არეგულიროს ფულის მიწოდება, მაგრამ ამით შეიზღუდოს მისი ჩარევა ეკონომიკაში. ამ თეორიულ მიმართულებას შემდეგში კიდევ შევეხებით.

ფულის რაოდენობრივი თეორია, არ წარმოადგენს ერთადერთ ვარიანტს იმ პროცესების ასახსნელად, რომელიც ფულის სფეროში მიმდინარეობს. ამ თეორიის ოპონენტების შეხედულებებს, რომელთაც ნეოკეინზიანელებს უწოდებენ, ჩვენ შემდეგ თავებში შევეხებით.

კითხვები გამეორებისთვის

1. რა არის და როგორ გაჩნდა ფული?
2. დაახასიათეთ ფულის ფუნქციები.
3. ჩამოაყალიბეთ ინფლაციის ცნება. დაახასიათეთ მისი მიზეზები.
4. დაახასიათეთ რა შედეგები მოაქვს ინფლაციას.
5. განმარტეთ რას გულისხმობენ საფინანსო ინსტიტუტებში. დაახასიათეთ ცენტრალური ბანკის ფუნქციები.
6. ირვინგ ფიშერის ფულის რაოდენობრივი თეორია და მისი განტოლება.

მეთორმეტე თავი
ეკონომიკა როგორც მთლიანობა

განსახილველი საკითხები:

- **ეკონომიკური "წრებრუნვა"**
- **მაკროეკონომიკური მაჩვენებლების დახასიათება**
- **მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების მეთოდები**
- **ფარული ეკონომიკა, როგორც ეროვნული ეკონომიკის ნაწილი**

მთლიანი ეკონომიკა

ზოგჯერ მიკროეკონომიკას ამსგავსებენ მიკროსკოპულ გამოკვლევას, ხოლო მაკროეკონომიკას – დედამიწის ხედვას ჩიტის ფრენის სიმაღლიდან. ამ ხედვისას ჩვენ ვერ ვამჩნევთ დეტალებს – ცალკეულ მეწარმეთა და მომხმარებელთა საქმიანობას, მაგრამ სამაგიეროდ შეგვიძლია აღმოვაჩინოთ, ერთი მხრივ წარმოებული საქონლისა და მომსახურების მთელი მასის მოძრაობის მიმართულება, ხოლო მეორე მხრივ, ფულადი ნაკადის მოძრაობა მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების შემოსავლებისა და გასავლის ფორმის სახით. იმისათვის რათა ასეთ მოძრაობას მიეცეს ზოგადი სახე (წარმოდგენა) ეკონომისტები მიმარტავენ ე.წ. "წრიული ნაკადების" სქემის მოშველიებას, ისე, როგორ ეს ცნობილია ბუნებათმცოდნეობის გაკვეთილებიდან ბუნებაში წყლის წრიული მოძრაობის მაგალითზე. ამ ნაკადების მოძრაობისას ჩვენ საქმე გვაქვს ჯამურ, მაკროეკონომიკურ სიდიდეებთან, როგორც მთლიანი ეკონომიკის საზომთან. ყველაზე პოპულარულ ასეთ საზომს წარმოადგენს ერთობლივი ეროვნული (ნაციონალური) პროდუქტი, მაგრამ არსებობს სხვა მაჩვენებლებიც.

ყველა მაკროეკონომიკური მაჩვენებლები იმყოფება ურთიერთკავშირში და ქმნიან ე.წ. ნაციონალურ (ეროვნულ) ანგარიშთა სისტემას. ამ თავში ჩვენ განვიხილავთ, თუ როგორ ხდება ამ მაჩვენებელთა განსაზღვა და რა მოვლენების ახსნა შეუძლიათ მათ.

ეკონომიკური წრებრუნვა

შრომის დანაწილებაზე აგებულ თანამედროვე საზოგადოებაში თითოეული ადამიანი ყოველდღიურად მოიხმარს უამრავ პროდუქტსა და მომსახურებას, რომელსაც თავად ქმნის. სამაგიეროდ ყოველ მათგანს გააჩნია განსაკუთრებული ცოდნა, ჩვევები, უნარი ან სხვა საწარმოო რესურსები, რომელთა გაყიდვით გარკვეულ შემოსავალს ღებულობს. ამ შემოსავალს ადამიანი ხარჯავს საჭირო პროდუქტების შეძენაზე, რომელთაც სხვა აწარმოებს. თუ რესურსების ყველა მფლობელისათვის შემოვიღებთ ცნებას – "საოჯახო მეურნეობა", ხოლო ყველა მეწარმისათვის, რომელიც ამ რესურსებს პროდუქტის წარმოებისათვის მოიხმარს, ცნებას – "საწარმო" ან "ფირმა", მაშინ მარტივ ეკონომიკურ წრებრუნვას შეიძლება მივცეთ ნახაზზე წარმოდგენილი სახე..

ნახ. 12.1 ეკონომიკური წრებრუნვის მარტივი სქემა



საწარმოებს(ფირმებს) და საოჯახო მეურნეობებს შორის მიმდინარეობს ორგვარი გაცვლა. საოჯახო მეურნეობები იძენენ საწარმოების მიერ დამზადებულ საბოლოო პროდუქტს (მომსახურებას) დაწყებული მანქანიდან, საცხოვრებელი ბინიდან, დამთავრებული ასპირინითა და ნაყინით. მაგრამ ამ საყიდლებისათვის მათ სჭირდებათ ფული, რასაც იძლევა შემოსავალი საწარმოზე მიყიდული საკუთარი შრომის, სამეწარმეო უნარის, მიწის ან კაპიტალის სანაცვლოდ. ამრიგად, საოჯახო მეურნეობები შემოსავლების სანაცვლოდ საწარმოს უზრუნველყოფენ რესურსებით, ანუ წარმოების ფაქტორებით.

რეალურ ეკონომიკაში ასეთ წრებრუნვაში საწარმოებისა და საოჯახო მეურნეობების გარდა მონაწილეობს კიდევ ორი სექტორი – სახელმწიფო და საზღვარგარეთის სექტორი. ნახაზზე წარმოდგენილია წრებრუნვის უფრო რთული (სრულყოფილი) სქემა.

სქემის ცენტრალური ნაწილი იგივე რჩება – საწარმოებსა და საოჯახო მეურნეობებს შორის პროდუქტების გაცვლა შემოსავლებზე და შემოსავლების რესურსებზე

სახელმწიფო სექტორის დამატებით ჩვენ ვღებულობთ წრებრუნვას ეროვნულ ეკონომიკაში. გადასახადების ამოღებით სახელმწიფო შემოსავალს ღებულობს ორივე სექტორიდან, მაგრამ ამასთან იგი პროდუქტებისა და მომსახურების ნაწილს იძენს საწარმოებისაგან, ხოლო რესურსებს საოჯახო მეურნეობებიდან. სამაგიეროდ სახელმწიფოსაგან ორივე სექტორი ღებულობს გარკვეულ შემოსავლებს.

თუ ქვეყანა სხვა ქვეყანასთან ვაჭრობს, იძენს მისგან ერთი სახის საქონელსა და მომსახურებას და იმავდროულად აწვდის მას სხვა სახის საქონელს (მომსახურებას), მაშინ მის ეკონომიკას ღია ეწოდება. ქვეყნის ეკონომიკას, რომელიც პრაქტიკულად სხვა ქვეყნებთან ვაჭრობაში არ მონაწილეობს დახურული ეწოდება.

ღია ეკონომიკაში საოჯახო მეურნეობები იძენენ რა უცხოურ საქონელს, მის საფასურს იხდიან საკუთარი შემოსავლებიდან. საწარმოები თავიანთ საქონელს ყიდიან უცხოეთში და ღებულობენ შემოსავალს (სქემაში ასახული არაა საწარმოების მიერ საზღვარ-

გარეთიდან შემოტანილი წარმოების ფაქტორები: ნედლეული, მასალები, ნახევარფაბრიკატები და ა.შ.).

ახლა გადავიდეთ იმ საკითხის განმარტებაზე თუ რა გზით შეიძლება ასეთი რთული მთლიანი ეკონომიკის გაზომვა.

ნახ.12.2 წრებრუნვის სქემა ოთხ სექტორს შორის



ოთხივე ჩამოთვლილ სექტორს შორის (საოჯახო მეურნეობები, საწარმოები, სახელმწიფო, საზღვარგარეთის სექტორი) გაცვლების მთლიანი თანხა ახასიათებს ქვეყნის მთელ ეკონომიკას.

მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების საბოლოო შედეგების დამახასიათებელი განმაზოგადებელი მაჩვენებელია მთლიანი ეროვნული შემოსავალი (პროდუქტი). იგი წარმოადგენს ინსტიტუციური ერთეულების მიერ მიღებული პირველადი შემოსავლების ჯამს. ეს შემოსავლები ყალიბდება მწარმოებელი რეზიდენტების სამეწარმეო საქმიანობიდან და ნაწილდება, უმთავრესად, დანარჩენ ინსტიტუციურ ერთეულებზე. თუმცა, მათი ნაწილი შეიძლება გადაეცეს არარეზიდენტებსაც; ამის პარალელურად, პირველადი შემოსავლები იქმნება უცხოეთშიც, რომლის ნაწილი შეიძლება მიიღონ რეზიდენტებმა. ამდენად, მთლიანი ეროვნული შემოსავალი ყალიბდება შემოსავლებისაგან.

მაკროეკონომიკური ანალიზისატვის ფართოდ გამოიყენება აგრეთვე ისეთი მაჩვენებელი, როგორიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი. იგი წარმოადგენს რეზიდენტი ინ-სტიტუციური ერთეულების სამეწარმეო საქმიანობის პროცესში შექმნილ საბოლოო შედეგს. მისი განსაზღვრის საფუძველს წარმოადგენს დამატებული ღირებულება.

მეპ-ს განმარტება

მთლიანი შიდა პროდუქტი (მეპ) ყველა იმ საბოლოო საქონლისა თუ მომსახურების საბაზრო ღირებულებაა, რომელიც იწარმოება ქვეყნის შიგნით დროის მოცემულ პერი-ოდში.

საბაზრო ღირებულებაა...”

ის სხვადასხვა სახის პროდუქტებს ეკონომიკური საქმიანობის ღირებულების ერთ მაჩვენებელში აერთიანებს და ამისთვის საბაზრო ფასებს იყენებს. რადგან საბაზრო ფასები ასახავს იმ თანხას, რომლის გადახდისთვისაც ადამიანები მზად არიან სხვადასხვა საქონ-ლის შეძენის მიზნით, ამიტომ ფასები ამ საქონლის ღირებულებას გვაძლევს.

“...ყველა ის...”

მეპ ცდილობს, ყოვლისმომცველი იყოს, ის ეკონომიკაში წარმოებული და ბაზრებზე კანონიერად გაყიდული საქონლის და მომსახურების ყველა ერთეულს შეიცავს. მაგრამ არსებობს ზოგიერთი პროდუქტი, რომელთა ღირებულებას მეპ არ შეიცავს, ვინაიდან ამ ღირებულების დათვლა ძალიან ძნელია. მეპ არ შეიცავს უკანონოდ წარმოებულ და გაყიდ-ულ საქონელს, მაგალითად, ნარკოტიკებს. მეპ არ შეიცავს აგრეთვე უმეტესობას იმ საქონ-ლისა, რომელიც სახლებში მზადდება და მოიხმარება, და ამიტომ ბაზარზე არასდროს გა-დის გასაყიდად. ბოსტნეული, რომელსაც მაღაზიაში ყიდულობთ, მეპ-ს ნაწილია; ბოსტნეული, რომელიც საკუთარ ბაღში მოგყავთ, არ არის მეპ-ს ნაწილი.

ამ გამონაკლისებს ზოგჯერ პარადოქსულ შედეგებამდე მივყავართ. მაგალითად, როდესაც კარენი დაგს ფულს უხდის გაზონის გაკრეჭაში, ეს გარიგება მეპ-ს ნაწილია. თუ კარენი და დაგი იქორწინებენ, სიტუაცია შეიცვლება. მიუხედავად იმისა, რომ დაგი ალბათ კარენის გაზონის გაკრეჭას გააგრძელებს, გაკრეჭის ღირებულება აღარ შევა მეპ-ში, ვინაიდან ამჯერად დაგის მომსახურება ბაზარზე აღარ გაიყიდება. ამგვარად, თუ კარენი და ადგი იქორწინებენ, მეპ შემცირდება.

“...საბოლოო...”

როდესაც “ინტერნეიშნელ პეიპერი” ქაღალდს ამზადებს, რომელსაც შემდეგ “პოლ მარკი ღია ბარათების დასაბეჭდად იყენებს, ამ ქაღალდ შუალედური საქონელი ეწოდება, ხოლო ღია ბარათს – საბოლოო საქონელი. მეპ მხოლოდ საბოლოო საქონლის ღირებულებას შეიცავს. ამის მიზეზი ისაა, რომ შუალედური საქონლის ღირებულება უკვე შესულია საბოლოო საქონლის ფასებში.

“...საქონელი თუ მომსახურება...”

მეპ შეიცავს როგორც მატერიალურ საქონელს (სურსათი, ტანსაცმელი, მანქანები), ისე არამატერიალურ მომსახურებას (ვარცხნილობა, ბინის დალაგება, ექიმთან ვიზიტი). როდესაც თქვენი საყვარელი ჯგუფის კომპაქტდისკს ყიდულობთ, ყიდულობთ საქონელს და ამ შენაძენის ფასი მეპ-ს ნაწილია. როდესაც ამავე ჯგუფის კონცერტს უსმენთ, ყიდულობთ მომსახურებას და ბილეთის ფასიც მეპ-ს ნაწილია.

“...რომელიც იწარმოება...”

მეპ შეიცავს მიმდინარე პერიოდში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას. ის არ შეიცავს გარიგებებს, რომლებიც წარსულში წარმოებულ საქონელს ეხება. როდესაც “ჯენერალ მოტორსი” ახალ ავტომობილს ამზადებს და ყიდის, ამ მანქანის ღირებულება მეპ-ს ნაწილია. ხოლო, თუ ერთი ადამიანი მეორისაგან ნახმარ ავტომობილს ყიდულობს, ამ ნახმარი ავტომობილის ფასი მეპ-ში არ შედის.

“...ქვეყნის შიგნით...”

მეპ ასახავს პროდუქციის ღირებულებას ქვეყნის გეოგრაფიულ საზღვრებს შიგნით.

“...დროის მოცემულ პერიოდში”

მეპ ასახავს იმ პროდუქციის ღირებულებას, რომელიც დროის კონკრეტულ მონაკვეთში იწარმოება. ჩვეულებრივ, დროის ეს მონაკვეთია წელიწადი ან კვარტალი (სამი თვე). მეპ ასახავს ეკონომიკის შემოსავლისა და ხარჯების ნაკადს დროის ამ მონაკვეთში.

როდესაც მთავრობა კვარტალური მეპ-ს ანგარიშს იძლევა, როგორც წესი, მეპ-ს “წლიურ სიდიდედ” წარმოადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ რიცხვი, რომელიც კვარტალურ მეპ-ს წარმოადგენს, ერთ კვარტალში მიღებული შემოსავლისა და ხარჯების ოთხზე ნამრავლია. ამ პირობითობას მთავრობა იმისთვის იყენებს, რომ კვარტალური და წლიური მეპ ერთმანეთთან უფრო ადვილი შესადარებელი იყოს.

ამას გარდა, როდესაც მთავრობა წარადგენს ანგარიშს კვარტალური მეპ-ს შესახებ, ის წარმოადგენს მონაცემებს, რომლებიც მიღებულია სპეციფიკური მოდიფიცირების, ე.წ. სეზონური შესწორებების შედეგად. შეუსწორებელი მონაცემები ცხადად გვიჩვენებს, რომ ეკონომიკა წლის ერთ მონაკვეთში მეტ საქონელსა და მომსახურებას აწარმოებს, ვიდრე მეორეში (ალბათ, ხვდებით, რომ დეკემბრის საშობაო ვაჭრობა უმაღლესი წერტილია). ეკონომიკის პროცესებზე დაკვირვებისას ეკონომისტებსა და პოლიტიკოსებს ხშირად სჭირდებათ ამ პერიოდული სეზონური ცვლილებების ამსახველი ობიექტური ინფორმაცია. ამიტომ სამთავრობო უწყებათა სტატისტიკოსები ოფიციალურად გამოქვეყნებულ კვარტალურ მონაცემებს მეპ-ს შესახებ ყოველთვის ამ სეზონური რყევების გათვალისწინებით ასწორებენ.

შეჯამება:

განმარტება მეპ-ს წარმოგვიდგენს, როგორც ეკონომიკის მთლიან დანახარჯებს. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მყიდველის მიერ საქონლისა და მომსახურების შესაძენად დახარჯული თითოეული დოლარი ამ საქონლის გამყიდველის შემოსავალი ხდება. ასე რომ, მთავრობა მეპ-ს მთლიანი შემოსავლების შეკრებითაც გამოითვლის. მეპ-ს გამოთვლის ეს ორი ხერხი თითქმის ერთსა და იმავე შედეგს იძლევა (რატომ “თითქმის”? მიუხედავად იმისა, რომ ორივე შედეგი ზუსტად ერთნაირი უნდა იყოს, არსებობს სტატისტიკური ცდომილება, რომელიც მეპ-ს გამოთვლის ორი ხერხის გამოყენების დროს ამ განსხვავებას იძლევა). ახლა კი, ალბათ, აშკარაა, რომ მეპ ეკონომიკური საქმიანობის ღირებულების რთული მაჩვენებელია.

აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტი ყოველ სამ თვეში ქვეყნის მეპ-სთან ერთად შემოსავლის სხვა მაჩვენებლებსაც ანგარიშობს, რომ უფრო სრული სურათი მიიღოს იმისა, თუ რა ხდება ეკონომიკაში. ეს მაჩვენებელი მეპ-საგან იმით განსხვავდება, რომ ითვალისწინებს ან არ ითვალისწინებს შემოსავლის ცალკეულ კატეგორიებს. მოკლედ გადავავლოთ თვალი მათგან ხუთ ყველაზე მნიშვნელოვან მაჩვენებელს, რომლებიც კლების მიხედვითაა დალაგებული.

მთლიანი ეროვნული პროდუქტი (მეპ) არის ქვეყნის მუდმივი რეზიდენტების, ანუ მოქალაქეების, მიერ გამომუშავებული მთლიანი შემოსავალი. იგი მეპ-საგან იმით განსხვავდება, რომ შეიცავს აშშ-ს მოქალაქეების მიერ საზღვარგარეთ გამომუშავებულ შემოსავლებს და არ შეიცავს იმ შემოსავლებს, რომლებსაც უცხოელი მოქალაქეები იღებენ აშშ-ს ტერიტორიაზე. მაგალითად, თუ კანადის მოქალაქე დროებით აშშ-ში მუშაობს, მისი შემოსავალი აისახება მეპ-ში, მაგრამ არ ჩაითვლება მეპ-ში (მისი შემოსავლები კანადის მეპ-ში შევა). ქვეყნების უმეტესობაში, მათ შორის აშშ-შიც, რეზიდენტები ქმნიან შიდა წარმოების დიდ ნაწილს. შესაბამისად, მეპ-სა და მეპ-ის მაჩვენებლები თითქმის ერთნაირია.

წმინდა ეროვნული პროდუქტი (წეპ) არის ქვეყნის რეზიდენტების მთლიანი შემოსავალი, რომელშ იც არ შედის ამორტიზაციის ღირებულება. ამორტიზაცია ეკონომიკაში არსებული შენობებისა და მოწყობილობების ცვეთაა, მაგალითად, სატვირთო მანქანების დაჟანგვა და კომპიუტერების მოძველება. ვაჭრობის დეპარტამენტის მიერ მომზადებულ ეროვნულ ანგარიშებში ამორტიზაცია მოიხსენიება, როგორც "მუდმივი კაპიტალის მოხმარება.

ეროვნული შემოსავალი (ეშ) არის მთლიანი შემოსავალი, რომელსაც გამოიმუშავებენ ქვეყნის რეზიდენტები საქონლისა და მომსახურების წარმოების პროცესში. იგი წეპ-ისაგან იმით განსხვავდება, რომ არ მოიცავს ბიზნესზე დაწესებულ არაპირდაპირ გადასახადებს (როგორიცაა გაყიდვების გადასახადი) და მოიცავს ბიზნესზე გაცემულ სუბსიდიებს. წეპ-სა და ეშ-ს შორის განსხვავებას გარკვეული სტატისტიკური ცდომილებებიც იწვევს.

პირადი შემოსავალი (პშ) არის საოჯახო მეურნეობისა და არაკორპორაციული ბიზნესების შემოსავალი. ეროვნული შემოსავლისაგან განსხვავებით, პშ არ შეიცავს გაუნაწილებელ შემოსავალს, ანუ იმ შემოსავალს, რომელსაც კორპორაციები იღებენ, მაგრამ დივიდენდების სახით არ უხდიან მფლობელებს. ის არ მოიცავს კორპორაციის საშემოსავლო გადასახადსა და სოციალური დაზღვევის შენატანებს (სოციალური უსაფრთხოების გადასახადს). გარდა ამისა, პირადი შემოსავალი შეიცავს სარგებლიდან მიღებულ შემოსავალს, რომელსაც საოჯახო მეურნეობები იღებენ სამთავრობო ობლიგაციებიდან და აგრეთვე იმ შემოსავლებს, რომლებსაც საოჯახო მეურნეობები სამთავრობო ტრანსფერული პროგრამებიდან იღებენ, როგორიცაა, მაგალითად, სოციალური უზრუნველყოფა.

წმინდა პირადი შემოსავალი (წპშ) არის შემოსავალი, რომელიც მომხმარებლის განკარგულებაშია. ის მომხმარებელს ყველა საგადასახადო ვალდებულების გადახდის შემდეგ რჩება. წპშ მიიღება შემოსავლიდან გადასახადებისა და გარკვეული არასაგადასახადო ხარჯების, მაგალითად, სამგზავრო ბილეთების ღირებულების გამოკლების შემდეგ.

შეჯამება:

მიუხედავად იმისა, რომ შემოსავლის სხვადასხვა მაჩვენებლები ერთმანეთისაგან დეტალებით განსხვავდება, ეკონომიკის მდგომარეობას ისინი თითქმის ერთნაირად ასახავს. როდესაც მეპ მკვეთრად იზრდება, სხვა მაჩვენებლებიც, როგორც წესი, იმატებს. როდესაც მეპ მცირდება, სხვა მაჩვენებლებიც იკლებს. ამდენად, ეკონომიკაში მომხდარ

ცვლილებებზე დაკვირვებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს იმას, შემოსავლის რომელ მაჩვენებელს გამოვიყენებთ.

მეპ-ს გაანგარიშების გზები

მთლიანი შიდა პროდუქტი წარმოადგენს ყველა რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულის მიერ შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების ჯამს დამატებული წმინდა გადასახადები (გადასახადებს მინუს სუბსიდიები) პროდუქტებსა და იმპორტზე.

მთლიანი დამატებული ღირებულება წარმოადგენს სხვაობას მთლიან გამოშვებასა და შუალედურ მოხმარებას შორის.

გარდა ამისა, მთლიანი შიდა პროდუქტი განისაზღვრება აგრეთვე, როგორც საქონლისა და მომსახურების საბოლოო მოხმარება (შუალედური მოხმარების გარდა), ერთის მხრივ, და როგორც რეზიდენტ ეკონომიკურ ერთეულებზე განაწილებული პირველადი შემოსავლების ჯამი, მეორეს მხრივ.

მთლიანი შიდა პროდუქტის ზემოაღნიშნულ განმარტებებს განსაზღვრავს მისი გაანგარიშების სამი მეთოდი: წარმოების (წარმოებული მეპ) მოთხოვნის და (გამოყენებული მეპ) და განაწილების (მეპ შემოსავლის წყაროების მიხედვით) მეთოდები.

წარმოების მეთოდი

ქვეყნების უმრავლესობაში ეროვნული ეკონომიკის წარმოების წლიურ მოცულობას ზომავენ მთლიანი გამოშვებით

მთლიანი გამოშვება – ეს არის გარკვეული პერიოდის (უფრო ხშირად ერთი წლის ან კვარტლის) განმავლობაში ეროვნული ეკონომიკის მიერ წარმოებული საბოლოო პროდუქტისა და მომსახურების ერთობლიობა საბაზრო ფასებში. კონკრეტულად განვიხილოთ ამ განსაზღვრაში შემავალი კატეგორიები.

რატომ მაინცა და მაინც საუბარია მხოლოდ საბოლოო პროდუქტსა და მომსახურებაზე? საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ მერქნისაგან ქაღალდის წარმოების მაგალითი, რომელიც მრავალსაფეხურიან პროცესს წარმოადგენს და მოიცავს 20-მდე სხვადასხვა სტადიას. სიმარტივისათვის გამოვყოთ მხოლოდ ხუთი ძირითადი და წარმოვადგინოთ ცხრილის სახით.

პირველ სტადიაზე სატყეო მეურნეობა მერქანს აძლევს ხე-ტყის დამამზადებელს 150 ათას ლარად. ეს ფასი შეიცავს როგორც ტყის გაშენების პროცესის, ასევე მისი გაჩეხვის, ტრანსპორტირებისა და ა.შ. ღირებულებას. მეორე სტადიაზე ხე-ტყის დამამზადებელი ღეროს (მორს) აცლის ქერქს. ხერხავს მას და ამგვარი სახით აწვდის ცელულოზის საწარმოს 200 ათას ლარად. ეს 200 ათასი ლარი მოიცავს როგორც სატყეო მეურნეობის ხარჯებს (150 ათას ლარს), ასევე თვით ხე-ტყის დამამზადებლის მიერ შექმნილ ან დამატებით ღირებულებას – 50 ათას ლარს.

შემდგომი დამუშავების კვალობაზე, ყოველ მოცემულ სტადიაზე დამუშავების ღირებულება ემატება წინა სტადიის ღირებულებას (ფასს). ეს გაგრძელდება მანამ, სანამ ქაღალდი არ მოხვდება მომხმარებლის ხელში. ცხრილის სვეტში – "გასაყიდი ფასი" წარმოდგენილია ღირებულება, რა ფასშიც მეწარმეები ყიდიან თავიანთ პროდუქციას, ხოლო სვეტში – "დამატებული ღირებულება' ნაჩვენებია დამუშავების მოცემულ სტადიაზე დამატებული ღირებულება. როგორც ვხედავთ, ეს უკანასკნელი ტოლია მომდევნო და წინა სტადიებზე პროდუქციის ღირებულებათა სხვაობისა.

ქაღალდი, რომელიც მომხმარებელს მიეყიდება, საბოლოო პროდუქტია, ხოლო მერქანი, დახერხილი მორები, ხის ბურბუშელა, ცელულოზა და ქაღალდი, რომელიც სავაჭრო ორგანიზაციების საწყობებში ინახება – შუალედური პროდუქტები.

საბოლოო პროდუქტის (ქაღალდის) ღირებულება შეიძლება გამოვსახოთ საბოლოო ფასით (რა ფასშიც იგი მყიდველს მიეყიდება) ან იმ ღირებულებათა ჯამით, რომელიც დამუშავების ყველა სტადიაზე შეიქმნა (დაემატა). ორთავე შემთხვევაში იგი 400 ათასი ლარის ტოლია.

თუ ჩვენ ყველა გაყიდული პროდუქტის (მერქნის, ცელულოზის და ა.შ.) ფასებს შევაჯამებთ, მაშინ მივიღებთ ე.წ. ერთობლივ პროდუქტს. მისი სიდიდე მნიშვნელოვნად აღემატება საბოლოო პროდუქტის ღირებულებას (ჩვენ შემთხვევაში ერთობლივი პროდუქტის ღირებულება შეადგენს 1 მლ. 330 ათას ლარს). ეს იმიტომ, რომ ერთობლივი პროდუქტი განმეორებით ანგარიშს მოიცავს. ასე, მაგ., ჩვენს მაგალითში მერქნის ღირებულება აღრიცხულია ხუთჯერ, დახერხილი მორისა – 4-ჯერ და ა.შ. საბოლოო პროდუქტის ღირებულება კი შეიცავს დამუშავების ყველა წინა სტადიებზე მხოლოდ ერთხელ დამატებულ ღირებულებას გამორიცხავს განმეორებით ანგარიშს. ამ მიზეზით ერთობლივი ეროვნული პროდუქტის (ეეპ) გაანგარიშებისას ითვალისწინებე მხოლოდ მომხმარებლების მიერ შეძენილი (რეალიზებული) ქაღალდის, როგორც საბოლოო პროდუქტის ღირებულებას უკვე შედის მისი დამზადებისას გამოყენებული ყველა შუალედური პროდუქტის ღირებულება.

ცხრილი 12.1 ღირებულების ფორმირება მერქანისაგან ქაღალდის წარმოების პროცესში

წარმოების სტადიები	გასაყიდი (საბაზრო) ფასი	შუალედური მოხმარება	დამატებული ღირებულება
სატყეო მეურნეობის მიერ მერქნის მიყიდვა ტყის დამამზადებელი ორგანიზაციისათვის	150	X	150
ტყის დამამზადებელი ორგანიზაციის მიერ ნამზადის მიყიდვა ცელულოზოს მწარმოებელი საწარმოსათვის	200	150	50
ცელულოზის მიყიდვა ქაღალდის დამამზადებლისათვის	240	200	40
ქაღალდის მიყიდვა სავაჭრო ორგანიზაციისათვის	340	240	100
ქაღალდის მიყიდვა სავაჭრო ორგანიზაციისათვის	340	240	100
ქაღალდის მიყიდვა მომხმარებლისათვის	400	340	60
სულ	**1330**	**930**	**400**

მოხმარების (მოთხოვნის) და განაწილების მეთოდი

უმრავლეს ქვეყნებში მეტად აქტიურად იყენებენ დანარჩენ ორ მეთოდიკას, რომლებიც იმავდროულად იმის გაგების საშუალებასაც იძლევიან, თუ როგორ ფუნქციონირებს მთლიანი ეკონომიკა.

დავუბრუნდეთ ამ თავის დასაწყისში მოცემული ბრუნვის სქემების განხილვას და შემოვიტანოთ რამდენიმე ახალი ეკონომიკური ცნება.

წრებრუნვის მარტივი სქემა შედგება ორი ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართული ნაკადისაგან – ხარჯებისა და შემოსავლებისაგან. წარმოების ნებისმიერი პროცესი იმავდროულად წარმოადგენს შემოსავლების შექმნის პროცესსაც; იგი მოითხოვს წარმოების ფაქტორების შეერთებას, რომელთა ცალკეული მფლობელები საწარმოო მომსახურების სანაცვლოდ გარკვეულ შემოსავალს ღებულობენ, რაც პროდუქტის ღირებულებაში შედის. წარმოების ფაქტორების შემოსავლებზე გაცვლის ნაკადი ნაჩვენებია სქემის ქვედა ნაწილში. ამ შემოსავლებით ხდება მზა პროდუქტის შეძენა და მათი (შემოსავლების) ხარჯებში გადასვლა, რომელთა ნაკადი ნაჩვენებია

სქემის ზედა ნაწილში. საბოლოო პროდუქტების შეძენაზე დანახარჯების ჯამი ტოლია მის ღირებულებაში შემავალი შემოსავლების ჯამს პლიუს დანახარჯები, რომელიც შემოსავალს არ ეკუთვნის. ამიტომ ეეპ, როგორც ყველა საბოლოო პროდუქტისა და მომსახურების ღირებულების ჯამი შეიძლება კიდევ ორი მეთოდით გავიანგარიშოთ: როგორც ჯამი ყველა დანახარჯებისა და როგორცჯამი ყველა შემოსავლებისა – ცხადია ზოგიერთი აუცილებელი შესწორების გათვალისწინებით. ეეპ როგორც დანახარჯების ჯამი. ახლა მივუბრუნდეთ ნახაზზე გამოსახულ წრებრუნვის სქემას. საქონლისა და მომსახურების შეძენაზე ყველა დანახარჯები ოთხი დიდი ჯგუფისაგან შედგება: საოჯახო მეურნეობათა ხარჯები, საწარმოების დანახარჯები, სახელმწიფოსა და საზღვარგარეთის სექტორის ხარჯები.

საოჯახო მეურნეობათა ხარჯებს სხვანაირად პირად სამომხმარებლო ხარჯებს უწოდებენ. იგი თავის მხრივ მოიცავს ხარჯებს მიმდინარე მოხმარების საგნებზე (ტანსაცმელი, საკვები და ა.შ.)

პირადი სამომხმარებლო ხარჯების სტრუქტურა ცალკეულ ქვეყნებში განსხვავებულია და ხასიათდება გარკვეული თავისებურებით. აღსანიშნავია, რო,, რაც მაღალია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე, მით უფრო ნაკლებია დანახარჯების წილი მიმდინარე მოხმარების საგნებზე (უპირველეს ყოვლისა კვების პროდუქტებზე) და მაღალი – ხანგრძლივი მოხმარების საგნებსა და მომსახურებაზე. ცხრილში მოცემულია ზოგიერთ ქვეყნებში პირადი სამომხმარებლო ხარჯების სტრუქტურის სტატისტიკური მონაცემები.

პირადი სამომხმარებლო ხარჯები შეადგენენ საერთო ხარჯების ყველაზე დიდ წილს. სიდიდით მეორე ჯგუფს მიეკუთვნებასაწარმოთა ხარჯები, რომელსაც უწოდებენ ერთობლივ შიდა კაპიტალდაბანდებას ანუ ინვესტიციებს. ეს არის საწარმოთა დანახარჯები მანქანებისა და მოწყობილობების შეძენაზე, ახალი შენობის მშენებლობაზე (საცხოვრებელი ბინის მშენებლობის ჩათვლით), აგრეთვე მზა პროდუქციის მარაგის ცვლილება საწარმოთა საწყობებში.

რატომ უწოდებენ ასეთ ინვესტიციებს ერთობლივს? როგორც უკვე მე-5 თავში აღვნიშნეთ, მანქანების, მოწყობილობებისა და შენობების გამოყენება წარმოების პროცესშო ხდება ხანგრძლივად (მრავალჯერადად); ამიტომ დროთა განმავლობაში ისინი ცვეთას განიცდიან და კარგავენ თავიანთი ღირებულების ნაწილს. ცვეთის სიდიდეს ამორტიზაციას უწოდებენ. აღსანიშნავია, რომ ასეთი გაუფასურება შესაძლებელია გამოწვეული იყოს ტექნიკური დაძველებითაც, როცა გაყიდვაში ჩნდება ახალი და უფრო თანამედროვე მანქანები, ძველის ღირებულება კი ეცემა. ერთობლივი კაპიტალდაბანდება მოიცავს საწარმოთა ყველა ხარჯებს, როგორც ახალი ტექნიკისა და შენობების შეძენაზე, ასევე იმ ხარჯებს, რომელიც მიდის გაცვეთილი მოწყობილობის აღდგენაზე და წარმოების გაფართოებაზე. მათგან განსხვავებით წმინდა კაპიტალდაბანდება მიდის მხოლოდ წარმოების გაფართოებაზე. იგი უტოლდება ერთობლივ კაპიტალდაბანდებას შემცირებულს ცვეთით ანუ ამორტიზაციით. თუ საწარმოთა ხარჯები ახალი მანქანების, მოწყობილობებისა და შენობების შეძენაზე უფრო ნაკლებია ვიდრე არსებულის ცვეთა, მაშინ მათი წმინდა ინვესტიციები უარყოფითი სიდიდის იქნება.

კაპიტალდაბანდება უნდა განვასხვავოთ ძირითადი საწარმო ფონდებისაგა, ანუ ექსპლუატაციაში არსებული მანქანა-მოწყობილობებისაგა, რომელთა ღირებულება

განისაზღვრება დროის კონკრეტული მომენტისათვის – წლის დასაწყისის ან ბოლოსათვის. კაპიტალური დაბანდებები კი ქმნიან სახსრების ნაკადს დროის გარკვეულ შუალედში: წელიწადში, კვარტალში, თვეში და არა მოცემულ მომენტში.

სტატისტიკური მონაცემები ერტობლივი ინვესტიციების ხვედრით წილზე ეეპ-ში სხვადასხვა ქვეყნებისათვის მოცემულია ცხრილში. სახელმწიფო სახსრებს გაიღებს აგრეთვე საბოლოო საქონლისა და მომსახურების შეძენაზე. სახელმწიფო ხარჯების სახით ეეპ-ში გათვალისწინებულია მხოლოდ საქონლისა და მომსახურების პირდაპირი შესყიდვა, მაგ., ჯარის სამხედრო ფორმაში გამოწყობა ან შეიარაღება, მაგრამ არა ხელფასის გადახდა სამხედრო მოსამსახურეთათვის ანდა პენსიებისა და დახმარების გაცემა მოსახლეობაზე, რომელთაც ტრანსფერტული (გადასანაწილებელი) გადასახდელები ეწოდება. საბოლოო ანგარიშით ეს სახსრებიც იხარჯება საქონლისა და მომსახურების შეძენაზე, მაგრამ ისინი, როგოირც ასეთი, უკვე გათვალისწინებულია მოსახლეობის სამომხმარებლო ხარჯების სახით.

დაბოლოს, ხარჯების მე-4 ჯგუფი წარმოადგენს მოცემულ ქვეყანაში წლის განმავლობაში გამოშვებულ და სხვა ქვეყნების მიერ შესყიდულ საქონელსა და მომსახურებას. როცა ფრანგები ან გერმანელები ქართულ ღვინოს ყიდულობენ,, ეს საქართველოს ეკონომიკისათვის ტოლფასია სამამულო მომხმარებლების მიერ მათი შეძენა, - გამოშვების გაზრდა. და პირიქით, როცა საქართველოს მოსახლეობა საკუთარ სახსრებს ხარჯავს 'როლსროისის" შეძენაზე, ეს ამ მანქანების წარმოებას ზრდის უცხოეთში, მაგრამ ამცირებს სამამულო ავტომობილების წარმოებას. ამ მიზეზით, ეეპ-ში ჩაირთვება მხოლოდ სხვაობა საზღვარგარეთ გაყიდულ საქონელსა და მომსახურების ჯამურ სიდიდესა და სხვა ქვეყნებში შეძენილ საქონელმომსახურების ჯამურ სიდიდეს შორის. ამ სხვაობას წმინდა ექსპორტი ეწოდება.

ამრიგად, ქვეყნის მეპ შეიძლება გავიანგარიშოთ მოცემულ წელს გამოშვებული საქონლისა და მომსახურების შეძენაზე გაწეული ყველა დანახარჯების შეჯამების გზით, რომელშიც შედის: პირადი მოხმარებითი ხარჯები (აღვნიშნოთ ისინი C-თი), ერთობლივი შიდა ინვესტიციები (J), საქონელ-მომსახურების პირდაპირი სახელმწიფო შესყიდვა (G) და წმინდა ექსპორტი (X-M):

Y=C+J+G+(X-M).

ის, თუ ხარჯების რომელ კატეგორიას მივაკუთვნოთ საქონლის შეძენა, დამოკიდებულია უპირველეს ყოვლისა, შესყიდვის მიზანზე. თუ თქვენ მაცივარს შეიძენთ და სამზარეულოში დადგამთ, მაშინ თქვენი ხარჯები პირად სამომხმარებლო ხარჯებში შევა. მაგრამ თუ იმავე მაცივარს თქვენს რესტორანში დადგამთ, რომელიც საზოგადოებრივი კვების საწარმოს წარმოადგენს, მაშინ ეს ხარჯები კაპიტალდაბანდებაში ჩაითვლება. თი იგივე მაცივარი შეიძინეს სამხედრო ნაწილის სასადილოში დასადგმელად, მაშინ იგი სახელმწიფო ხარჯებში ჩაითვლება. დაბოლოს, თუ ჩვენს სამამულო მაცივარს უცხოური ფირმა ყიდულობს, მაშინ ეს უკვე ექსპორტია. ოთხი ჯგუფის დანახარჯების თანაფარდობა განხილულია და მოცემულია ზოგიერთი ქვეყნების ეეპ-ი ცხრილში.

ეეპ როგორც შემოსავლების ჯამი. იგი გაიანგარიშება რამდენიმე ეტაპად. თავდაპირველად ჯამდება წარმოების ფაქტორების ყველა მესაკუთრის (მფლობელების) შემოსავალი (შრომითი, საინვესტიციო, ბუნებრივი რესურსებისა და სამეწარმეო ტალანტებისა). მას ემატება ტრანსფერტი, როგორც შემოსავალი, რომელიც არ წარ-

მოადგენს გადასახადს საწარმოო რესურსებზე და ბოლოს ე.წ. “არაშემოსავლიანი” სიდიდეები – საამორტიზაციო ანარიცხებისა და არაპირდაპირი გადასახადების ჯარიმის სახით, რამდენადაც ერთიცა და მეორეც იწვევს პროდუქციის გაძვირებას.

დანართი ბ

მეპ-ს გაანგარიშების სამი მეთოდი პროფ. ი. გურევას “მსოფლიო ეკონომიკის” სახელმძღვანელოს მიხედვით

მეპ-ის გამოსათვლელად გამოიყენება სამი მეთოდი შემდეგ საფუძველზე:

წარმოების (წარმოებული მეპ);

მოთხოვნის (გამოყენებული მეპ);

განაწილების (მეპ შემოსავლის წყაროების მიხედვით).

ცხრილი 2.3

ცხრილი 12.2 აშშ-ში წარმოებული მეპ 2007 წელს, მლრდ დოლ.

	წარმოების მოცულობა	**25808.9**
_	შუალედური მოხმარება	12001.3
=	მთლიანი დამატებული ღირებულება	13807.5
+	გადასახადები პროდუქტებზე სუბსიდიების გამოქვითვით	270.1
=	მთლიანი შიდა პროდუქტი	14077.6

წყაროები: Gross Domestic Product by Industry Accounts. US Department of Commerce. Bureau of Economic Analysys. National Economic Accounts, 2007

გამოყენებული მეპ აღრიცხავს ინსტიტუციონალური სექტორების დანახარჯებს ყველა დანახარჯის შეჯამებით საქონლის და მომსახურების საბოლოო მოხმარებაზე, ანუ ხარჯებს შინამეურნეობების და სახელმწიფო დაწესებულებების საბოლოო მოხმარებაზე, კაპიტალის მთლიან დაგროვებაზე, რომელიც მოიცავს ძირითადი კაპიტალის მთლიან დაგროვებას და მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგთა ცვლილებას, რაც კერძო ინვესტიციებს ახასიათებს, ასევე წმინდა ექსპორტს (ცხ. 2 4). იგი ახასიათებს ერთობლივ მაკროეკონომიკურ მოთხოვნას:

$Y = C + I + G + X_n$,

სადაც,

Y – არის მეპ;

C – შინამეურნეობათა მოხმარება;

I – კერძო ინვესტიციები;

G – სახელმწიფო ხარჯები;

$X_ნ$ – წმინდა ექსპორტი.

ცხრილი 2.4.

ცხრილი 12.3 აშშ-ში გამოყენებული მეპ 2007-2008 წელს, მლრდ. დოლ.

მშპ-ს გაანგარიშება		2007 წ.	2008 წ.
	შინამეურნეობათა საოლოო მოხმარება	9826.4	10129.9
+	მთვარობის დანახარჯები საბოლოო მოხმარებაზე	2676.5	2883.2
+	კაპიტალის მთლიანი დაგროვება	2288.5	2136.1
+	ექსპორტი	1655.9	1831.1
_	იმპორტი	2369.7	2538.9
=	მთლიანი შიდა პროდუქტი	14077.6	14441.4

წყაროები: Gross Domestic Product. Accounts Table. US Department of Commerce. Bureau of Economic Analysys. National Economic Accounts. 2007.

მთლიანობაში, მსოფლიო მეურნეობაში 2006 წელს შინამეურნეობათა ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე შეადგენდა 61%-ს, სახელმწიფო ხარჯები – 17%-ს, კაპიტალის მთლიანი დაგროვება – 21%-ს (იხ. დან. 7).

მეპ-ის გამოთვლა შემოსავლების საფუძველზე ითვალისწინებს შემოსავლებს, რომლებიც მიღებულია ეკონომიკური საქმიანობის შედეგად, ისეთების, როგორებიცაა: მუშაკთა ხელფასი, სამეწარმეო შემოსავალი და შემოსავალი საკუთრებიდან, პირდაპირი სახელმწიფო გადასახადები და სუბსიდიები, ძირითადი კაპიტალის მოხმარება, პირველადი შემოსავლები მიღებული საზღვარგარეთიდან და გადახდილი საზღვარგარეთ. შემოსავლების მიხედვით მეპ-ის განსაზღვრას შეუძლია გამოავლინოს ურთიერთკავშირი მეპ-სა და მეშ-ს შორის (მეშ მთლიანი ეროვნული პროდუქტის იდენტურია, რომელიც ბოლო დრომდე გამოიყენებოდა ეას-ში).

მთლიანი ეროვნული შემოსავალი – ესაა დამატებული ღირებულების თანხა წარმოებული ყველა მწარმოებელი რეზიდენტის მიერ, პლუს წმინდა გადასახადები, პლუს პირველად შემოსავლებზე წმინდა შემონატანები (ხელფასი და შემოსავალი საკუთრებაზე), მიღებული საზღვარგარეთიდან. ქვეყნის მეშ-ითიზომება ერთობლივი დამატებული ღირებულება, წარმოებული, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, განცხადებული მისი რეზიდენტების მიერ. მეშ განსხვავდება მეპ-ისგან, წმინდა შემოსავლის თანხით, რომელიც მიღებულია საზღვარგარეთიდან. იგი თავისთავად სხვაობაა (ბალანსი) პირველადი შემოსავლების ერთობლივ ღირებულებას (ხელფასი, საინვესტიციო შემოსავლები), რომელიც მიღებულია რეზიდენტების მიერ არარეზიდენტებისგან, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, შემოსავლებს შორის, რასაც რეზიდენტები უხდიან არარეზიდენტებს. ქვეყნის მეშ გადააჭარბებს მის მეპ-ს იმ შემთხვევაში, თუკი წარმოების ფაქტორთა მესაკუთრენი, მის რეზიდენტებს რომ წარმოადგენენ, საზღვარგარეთ გამოიმუშავებენ მეტს, ვიდრე არარეზიდენტები მის ეკონომიკურ ტერიტორიაზე.

შემოსავლების მიხედვით მეპ მოიცავს ეკონომიკური საქმიანობის (ცხ. 2.5) სუბიექტებისაგან მიღებულ ყველა შემოსავალს:მუშაკებისგან (ხელფასი), მეწარმეებისგან (სამეწარმეო შემოსავალი და შემოსავალი საკუთრებიდან), სახელმწიფოსგან (წმინდა გადასახადები). Iგიითვალისწინებს აგრეთვე სახსრების დაგროვებას მოხმარებული ძირითადი კაპიტალის აღსადგენად.

ცხრილი 12.4 აშშ-ს მეპ შემოსავლების მიხედვით 2007 და 2008 წელს, მლრდ. დოლ.

	მშპ-ს გაანგარიშება	2007 წ.	2008 წ.
	დაქირავებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურება (რეზიდენტები)	7856.5	8037.4
+	სამეწარმეო შემოსავალი და შემოსავალი საკუთრებიდან	3617.8	3604.1
+	სახელმწიფო გადასახადები წარმოებაზე და იმპორტზე სუბსიდიების დაქვითვით	974.0	993.8
	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	1760.0	1847.1
=	მშპ-ს სტატისტიკური ცდომილება	-14.8	101.0
+ -	პირველადი შემოსავლები საზღვარგარეთიდან (ბალანსი)	14193.3 861.8	14583.3 809.2
	საზღვარგარეთ გადახდილი პირველადი შემოსავლები	746.0	667.3
=	მშპ	14077.6	14441.4

წყაროები: Table 9. Relation of Gross Domestic Product, Gross National Product, and National Income. US Department of Commerce. Bureau of Economic Analysis, National Economic Accounts. 2007.

დანართი გ
მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა ურთიერთკავშირი

მთლიანი შიდა პროდუქტი	+	წმინდა ექსპორტი	=	მთლიანი ეროვნული პროდუქტი		
↓						
მთლიანი ეროვნული პროდუქტი	–	ამორტიზაცია** ექსპორტი	=	წმინდა ეროვნული პროდუქტი		
↓						
წმინდა ეროვნული პროდუქტი	–	არაპირდაპირი გადასახადები	=	ეროვნული შემოსავალი		
↓						
პირადი პროდუქტი	–	ინდივიდუალური გადასახადი***	=	პირად განკარგვადი შემოსავალი		
↓						
ეროვნული შემოსავალი	–	დაზღვევის ანარიცხი; მოგების გადასახადი გაუნაწილებელი მოგება	–	ტრანსფერ-ტული გადასახადები	=	პირადი შემოსავალი

*ექსპორტსა დსა იმპორტს შორის სხვაობა

**ძირითადი კაპიტალის ცვეთისას მისი ღირებულების მზა პროდუქციაზე გადატანა.

***გადასახადი, რომლითაც იბეგრება ცალკეული პირის დასაბეგრი შემოსავალი.

დანართი დ
ჩრდილოვანი ეკონომიკის გამომწვევი მიზეზები



დანართი ე
კორუფციის ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური შედეგები

კითხვები გამეორებისთვის

1. განასხვავეთ ერთმანეთისაგან ეკონომიკური წრებრუნვის მარტივი სქემა და წრებრუნვა ეკონომიკის ოთხ სექტორს შორის.

2. განმარტეთ რას ახასიათებს მეპ და შემოსავლის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები.

3. განმარტეთ და დაახასიათეთ რას მოიცავს მეპ-ს მაჩვენებელი.

4. მეპ-ს გაანგარიშების მეთოდები: სამი გზა.

მეცამეტე თავი
ეკონომიკური ზრდა

განსახილველი საკითხები:

- **ეკონომიკური ზრდის ცნება**
- **ეკონომიკური ციკლები**
- **დასაქმებისა და უმუშევრობის ცნებათა მნიშვნელობა**
- **2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისი**
- **ეკონომიკური აზროვნების ისტორიიდან: ჯონ მეინარდ კეინზი (1883-1946*)***

ეკონომიკური ზრდა

თუ ეკონომიკას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში "ზემოდან" დავაკვირდებით ნათლად დავისახავთ, რომ იგი მუდმივად ცვლილებას განიცდის. საქონლისა და შემოსავლების ნაკადი პერიოდულად ხან იწურება (ილევა), ხან კი ძლიერდება და შევსებას განიცდის. ეკონომიკური ცვლილების ამ თავისებურებების აღწერისას მეცნიერები სარგებლობენ ისეთი ცნებით, როგორიცაა – "ეკონომიკური ციკლი". აღნიშნულ თემაზე საუბრისას ჩვენ შევჩერდებით კიდევ ერთ (ადამიანური თვალსაზრისით, შესაძლებელია, ყველაზე მთავარ) საკითხზე, რომელიც დაკავშირებულია ადამიანთა საქმიანობასთან ეკონომიკური ზრდის (ცვლილების) პროცესში – მათ დასაქმებასა და უმუშევრობასთან.

ეკონომიკური ზრდის ცნება

ეკონომიკური ზრდა ახასიათებს დროის განსაზღვრულ პერიოდში საქონლისა და მომსახურების ეროვნული წარმოების გადიდებას. მაგ., თუ ქვეყნის მეპ მოცემულ წელს 5%-ით მეტია ვიდრე წინა წლის ეროვნული პროდუქტი, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ ეროვნული წარმოების მოცულობა 5%-ით გაიზარდა.

თუ ინფლაციის წლიური 10%-იანი ტემპის დროს მეპ –ის ნომინალური სიდიდე 5%-ით გაიზარდა, მაშინ ეს იქნება ეროვნული წარმოების 5%-ით შემცირების და არა მისი ზრდის მაჩვენებელი. მეპ-ის ნომინალური და რეალური სიდიდეების განსხვავებაზე ჩვენ უკვე ვიმსჯელეთ წინა თავში.

ეკონომიკური ზრდის მეორე საზომია ერთეულ მოსახლეზე მოსული რეალური მეპ, რომელიც გამორიცხავს არა მარტო ფასების, არამედ მოსახლეობის ზრდის გავლენასაც და, ამდენად, წარმოადგენს კიდევ უფრო მეტად "გასუფთავებულ" მაჩვენებელს. ამიტომ, როცა ლაპარაკობენ ეკონომიკურ ზრდაზე, ჩვეულებრივ გულისხმობენ რეალურ მეპ –ს ან ერთეულ მოსახლეზე რეალურ მეპ –ს დროის განსაზღვრულ პერიოდში.

თანამედროვე ეკონომიკური ენა ბევრად პარადოქსულია. ასე, მაგ., როცა ადგილი აქვს წარმოების შემცირებას, ეკონომისტები მაინც ზრდას განიხილავენ, თუმცა "უარყოფითს" ხოლო, როცა რამდენიმე წლის განმავლობაში ეროვნული წარმოების მოცულობა უცვლელია (არც იზრდება და არც მცირდება) ეს მოვლენა "ნულოვანი ზრდის" კატეგორიას მიეკუთვნება.

ეროვნული წარმოება, ისე როგორც ნებისმიერი საქონლის წარმოება შეიძლება აღვწეროთ მოთხოვნა-მიწოდების შეპირისპირებით.

ასეთ შემთხვევაში ქვეყანაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების მთელ მასას ეწოდება ერთობლივი მიწოდება. შესაბამისად, საოჯახო მეურნეობებისაგან, საწარმოებისა და სახელმწიფოს მხრიდან ჯამურ მოთხოვნას ეწოდება ერთობლივი მოთხოვნა. გამარტივების მიზნით, მეპ -ის მეოთხე შემადგენელი ნაწილი – მოთხოვნა სხვა ქვეყნების მხრიდან – ჩართული გვაქვს საწარმოთა მოთხოვნაში). ეს განზოგადებული მაჩვენებლები განსაზღვრავენ, სწორედ, ეკონომიკურ ზრდას, მის ტემპსა და ხასიათს.

მიწოდების მხრიდან ეკონომიკური ზრდა განისაზღვრება საწარმოო შესაძლებლობებით. ყოველ მოცემულ მომენტში ისინი (ეს შესაძლებლობანი) იზღუდებიან არსებული საწარმოო რესურსებით (შრომითი, საინვესტიციო, ბუნებრივი) და მათი მწარმოებლურობით.

იმისათვის, რათა გავზარდოთ საქონლისა და მომსახურების წარმოება, საჭიროა, პირველ რიგში, წარმოებაში ჩავრთოთ ახალი, დამატებითი, ადრე გამოუყენებელი რესურსები: დავიქირაოთ მუშები, რომლებიც ადრე არ მუშაობდნენ, ავაშენოთ ახალი ქარხნები, მოვხსნათ დაუმუშავებელი მინდორი და ა.შ. ეკონომიკური ზრდის ასეთ ტიპს ეწოდება ***ექსტენსიური***.

ეროვნული წარმოების მოცულობა დამოკიდებულია არა მხოლოდ იმაზე, თუ რამდენი შეუძლია აწარმოოს სახალხო მეურნეობას, არამედ მომხმარებლების, მეწარმეებისა და სახელმწიფოს გადახდისუნარიანი მოთხოვნის სიდიდეზეც. თუ ერთობლივი მოთხოვნა იზრდება, მაშინ ეს სტიმულს იძლევა ადრინდელთან შედარებით მეტი რაოდენობის საქონლის და მომსახურების წარმოებაზე. თუ პირიქით ხდება და ერთობლივი მოთხოვნა მცირდება, მაშინ ადგილი აქვს წარმოების შეჩერებას და მასთან ერთად რესურსების გამოთავისუფლებას: საწარმოო სიმძლავრეების არასრულ გამოყენებას, მუშების დათხოვნას და ა.შ.

ერთობლივი მოთხოვნის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე ნაჩვენებია ნახ.13.1-ზე. ერთობლივი მოთხოვნის მრუდების – C_1, C_2, C_3, C_4, გადაადგილებით. ეს მრუდები გადაკვეთენ ერთობლივი მიწოდების П მრუდს P_1, P_2, P_3 და P_4 წერტილებში. P_2 წერტილს მარცხნივ მდებარე მრუდის მონაკვეთი ახასიათებს ეკონომიკის მდგომარეობას რესურსების არასრული გამოყენების, ხოლო მონაკვეთი P_3 წერტილს ზემოთ – სრული გამოყენების პირობებში. P_2, P_3 მონაკვეთი გამოსახავს რესურსების გადასვლას არასრულიდან სრულ გამოყენებაზე (დასაქმებაზე – დატვირთვაზე).

ნახ. 13.1 ერთობლივი მოთხოვნისა და მიწოდების მრუდები



წარმოების მოცულობის გაზრდის მეორე ხერხი გულისხმობს უკვე მოქმედი რესურსების მეტი ეფექტურობით გამოყენებას, მათი მწარმოებლურობის გაზრდას. ეს მიიღწევა ან წმინდა ორგანიზაციული ცვლილებებით (მაგ., საწარმოთა მართვის სხვა მეთოდების გამოყენებით), ან, კიდევ ახალი, უფრო სრულყოფილი ტექნიკისა და წარმოების ტექნოლოგიის გამოყენებით. ეკონომიკურ ზრდას, რომელიც ეფუძნება გამოყენებული რესურსების ერთეულებიან უკუგების გადიდებას ეწოდება ინტენსიური. სინამდვილეში ეკონომიკური ზრდა განპირობებულია ამ ორი ფაქტორის შეხამებით, ამიტომ საუბარი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთის ან მეორის უპირატეს გამოყენებაზე.

გრაფიკულად ორივე ფაქტორის გავლენა საწარმოო შესაძლებლობების მრუდზე გამოიხატება ამ უკანასკნელის გადაადგილებით მარჯვნივ. ეკონომიკური ზრდის ტემპი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა იწარმოება. იმისათვის რათა გაიზარდოს საქონლისა და მომსახურების გამოშვება აუცილებელია დღესვე ჩაიდოს სახსრები ახალ მანქანებში, დაზგებსა და მოწყობილობებში, რადგან რაც დიდია მათი გამოშვება მით მეტი აღმოჩნდება საწარმოო შესაძლებლობები მომავალში. არსებობს პირდაპირი დამოკიდებულება მეპ-ში წარმოების საშუალებების (რომლებიც ახალი წარმოებების მშენებლობაზე ან ძველის გაფართოებაზე მიდის) წილსა და მეპ-ის ზრდის ტემპს შორის, რასაც ყველა ქვეყნის გამოცდილება ადასტურებს.

დავუშვათ, 1990 წელს ქვეყანამ აწარმოა გარკვეული მოცულობის პროდუქცია, რომლის 1/3-ს წარმოების საშუალებები (კაპიტალდაბანდებები), ხოლო 2/3-ს მოხმარების საგნები შეადგენდა. Б ქვეყანამ კი წარმოების იგივე მოცულობის პირობებში მთლიანი პროდუქციის 2/3 წარმოების საშუალებები, ხოლო 1/3 მოხმარების საგნები გამოუშვა. შედეგად, 2000 წლისათვის А ქვეყნის წარმოების მოცულობა, სხვა თანაბარ პირობებში, ბევრად მცირე აღმოჩნდება, ვიდრე Б ქვეყნისა. გრაფიკზე ეს გამოსახულია Б ქვეყნის წარმოების შესაძლებლობათა მრუდის მარჯვნივ მეტი გადაწევით (ნახ.13.2).

ნახ. 13.2 წარმოების შესაძლებლობათა მრუდები



დღეისათვის არსებობს ორი ნეოკლასიკური და ნეოკეინსიანური თეორია, რომელთაც ეკონომიკური ზრდის ასახსნელად იყენებენ.

ნეოკლასუკური მიმართულების წარმომადგენლები თვლიან, რომ მიწოდება თვით ქმნის მოთხოვნას: რაც იწარმოება, ის იყიდება. ეს წინადადება წამოაყენა ფრანგმა ეკონომისტმა ჟან ბატისტ სეიმ (1767-1832). ფასი, ამტკიცებდა იგი, შეიცვლება იმ დონეზე, რომ რესურსების სრული გამოყენების პირობებში მოთხოვნა გააწონასწორებს მიწოდებას. თუ რომელიმე ეტაპზე შეიქმნება უმუშევრობა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ შრომის ანაზღაურება ძალზე მაღალია. ბაზარი შრომის ანაზღაურებას დასწევს იმ დონემდე, რომლის დროსაც ყველა მსურველი ვისაც კი მუშაობა შეუძლია სამუშაოს იშოვნის.

ერთობლივი მოთხოვნის შემცირება, ნეოკლასიკოსების აზრით, იწვევს მხოლოდ ფასებისა და შემოსავლების შემცირებას. შედეგად ეკონომიკა გადადის ახალ წონასწორულ მდგომარეობაში ფასების უფრო დაბალი დონის პირობებში. სხვა სიტყვებით, ადგილი აქვს არა რეალური, არამედ ნომინალური მეპ-ის დაცემას. გრაფიკის 10.2 მიხედვით ეს მდგომარეობა სამართლიანია, მაგრამ მხოლოდ მრუდის უმ უბნისათვის, რომელიც P_3 წერტილის ზემოთაა ყველა პროდუქტზე, არამედ წარმოების ყველა ფაქტორზე არის აბსოლუტურად მოქნილი (ელასტიური).

ნეოკლასიკური სკოლის ზემოაღნიშნული დებულებები ეჭვის ქვეშ დააყენა 19 საუკუნის 30-იან წლებში ინგლისელმა ეკონომისტმა ჯონ მეინარდ კეინზმა. იგი თვლიდა, რომ წარმოების ფაქტორების ფასებმა და უპირველეს ყოვლისა შრომის ანაზღაურებამ, დაკარგეს თავიანთი მოქნილობა, ყოველ შემთხვევაში დაწევის მხარეს. ერთობლივი მოთხოვნის შემცირების შედეგად წონასწორობა დგება არა იმდენად ფასების შემცირებით პროდუქციასა და წარმოების ფაქტორებზე, რეალური მეპ, ადგილი აქვს ადრე დასაქმებული რესურსების გამოთავისუფლებას და ეკონომიკა გადადის წონასწორობაში რესურსების არასრული დასაქმების პირობებში. გრაფიკზე 10.2 ამ სიტუაციას გამოსახავს გრაფიკის ის უბანი, რომელიც P_3 წერტილის მარცხნივ მდებარეობს. პირიქით, ერთობლივი მოთხოვნის გაზრდა (მოთხოვნის მრუდების გადაადგილება C_1 −დან C_2-მდე და C_3 −მდე) იწვევს წარმოების მოცულობის გაზრდას და განაპირობებს ეკონომიკის გადაყვანას რესურსების არასრულიდან სრული დასაქმების მდგომარეობაში.

ეკონომიკური მეცნიერების ამ ორ მიმართულებას შორის არსებობს სხვა, პრინციპული უთანხმოებაც. ნეოკლასიკოსებს მიაჩნიათ, რომ ბაზარი იდეალური სამეურნეო მექანიზმია, რომელსაც ძალუძს თანამედროვე პრობლემების გადაჭრა. აქედან კი იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა და უნდა იყოს მინიმალური და არაპირდაპირი (ფულად-საკრედიტო) ხასიათის. კეინსიანელები კი, პირიქით, ამტკიცებენ, რომ საბაზრო მექანიზმი მოქმედებს უკიდურესად ნელა და ეკონომიკის გამოყვანა არასრული დასაქმების მდგომარეობიდან მას შეუძლია მხოლოდ შორეულ პერსპექტივაში, როცა (როგორც ამას თვით კეინსი აღნიშნავდა) "ჩვენ ყველანი დავიხოცებით". აქედან გამომდინარეობს დასკვნა - ეკონომიკაში სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევის აუცილებლობაზე.

სრული დასაქმების მდგომარეობაში გადასვლის კეინსიანური მოდელის არსი შეიძლება გამოვსახოთ საკამრისიდან მარტივი ფორმულით:

$$\text{მეპ}=C+J+G$$

სადაც: $J = S$;

$C -$ მოხმარებაა;

J- ინვესტიციები;

$G -$ სახელმწიფო ხარჯები;

$S -$ დანაზოგები.

დანახარჯებიდან გამომდინარე მეპ-ის გაანგარიშების სრანდარტულ ფორმულას კეინსმა დაამატა "მოკრძალებული" პირობა: ინვესტიციები ტოილ უნდა იყოს დანაზოგებისა.

მთლიანობაში, კეინსიანელებს მიაჩნიათ, რომ საჭიროა ერთობლივი მოთხოვნის ყველა მდგენელის (შემადგენლის) ზრდის სტიმულირება, ეს იქნება საოჯახო მეურნეობების სამომხმარებლო ხარჯები, საწარმოების ინვესტიციები თუ სახელმწიფო ხარჯები.

საქმე იმაშია, რომ წარმოების გაფართოებისათვის საწარმოები სახსრების მობილიზაციას ახდენენ ნაწილობრივ საკუთარი მოგებიდან, ხოლო ნაწილობრივ სესხის იმათგან აღებით, რომელთაც თავიანთი დანაზოგები გააჩნიათ. დანაზოგი სახსრები შეიძლება ჩაირთოს ინვესტიციებში ან დარჩეს გამოუყენებელი. ეს ხდება იმიტომ, რომ დანაზოგების რაოდენობასა და კაპიტალდაბანდების მოცულობაზე გადაწყვეტილებას ღებულობენ სხვადასხვა ადამიანები, რომლებიც, ცხადია, ხელმძღვანელობენ (მოქმედებენ) სხვადასხვა მოსაზრებებით. როცა საზოგადოებაში გაკეთებული დანაზოგები ინვესტიციებს აღემატება, მაშინ დანახარჯებზე შემოსავლების ასეთი მეტობა ეკონომიკას მძიმე ტვირთად აწვება: ერთობლივი მოთხოვნა ეცემა და ეკონომიკა ფუნქციონირებს რესურსების არასრული დასაქმების პირობებში. ამიტომ, იმისათვის რათა სრული დასაქმების პირობებში ეკონომიკამ წონასწორობას მიაღწიოს, კეინსის აზრით, საჭიროა ყველა დანაზოგი სახსრების წარმოებაში ჩადება (S=J).

მთლიანობაში, კეინსიანელებს მიაჩნიათ, რომ საწიროა ერთობლივი მოთხოვნის ყველა მდგენელის (შემადგენლის) ზრდის სტიმულირება, ეს იქნება საოჯახო მეურნეობების სამომხმარებლო ხარჯები, საწარმოების ინვესტიციები თუ სახელმწიფო ხარჯები.

ასე მაგალითად, დაბალი ინფლაცია საოჯახო მეურნეობებს აიძულებს გაზარდონ ხარჯების წილი დღევანდელ მოხმარებაზე და შეამცირონ დანაზოგების წილი. ბანკის საპროცენტო განაკვეთის შემცირება სტიმულს აძლევს საწარმოებს გაზარდონ კაპიტალდაბანდება. დაბოლოს, სახელმწიფოს მიერ საქონლისა და მომსახურების შეძენა ასევე ზრდის ერთობლივ მოთხოვნას.

კეინსიანელების რეკომენდაციები გამოიყენა მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ ომის შემდგმი პერიოდიდან 80-იან წლებამდე. მაგრამ სრული დასაქმების მდგომარეობასთან ეკონომიკის მიახლოებასთან ერად თავი იჩინა ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირების უარყოფითმა შედეგმაც, რაც იმაში გამოიხატა, რომ მიწოდებამ ვერ შეძლო ხელოვნურად გაზრდილ მოთხოვნაზე გამოდევნება. ფასები იზრდებოდა და ინფლაცია ღებულობდა საშიშ სახეს (ზომას). ამიტომ 80-იან წლებში უმეტესი ქვეყნის მთავრობებმა ყურად იღეს ნეოკლასიკოსების რეკომენდაციები.

ბოლო დრომდე ეკონომიკური ზრდა უდავო სიკეთეტ ითვლებოდა. რაც მეტი საქონელი და მომსახურება იწარმოება, მით მეტ სიკეთეს ფლობენ ადამიანები და, შესაბამისად, მაღალია მათი ცხოვრების დონე. მხოლოდ სწრაფად განვითარებად ეკონომიკას შეუძლია ხარჯები გაიღოს მსხვილ სოციალურ პროგრამებზე (მაგალითად, მოსახლეობის ღარიბ ფენაზე ან სხვა ქვეყნებზე დახმარება). როგორც გამოცდილება აჩვენებს, ეკონომიკური ზრდა, გარდა ამისა, უზრუნველყოფს მეტ პოლიტიკურ სტაბილურობას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მსოფლიოშიც, მთლიანად.

თუმცა, ეკონომისტები ყოველთვის დავობდნენ იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს იდეალური ეკონომიკური ზრდა. ერთნი ამტკიცებდნემ, რომ იგი უნდა იყოს გაწონასწორებული – მოთხოვნის ზრდის პროპორციულად უნდა განვითარდეს ეკონომიკის ყველა დარგი. ასეთ შემთხვევაში ეკონომიკაში განხორციელებული ძვრები ნაკლებმტკივნეული იქნება მოსახლეობისათვის. მეორენი ამგვარი ზრდის სიჩქარეს არასაკმარისად მიიჩნევდნენ. სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის, მაგალითად, ისინი რეკომენდაციებს იძლეოდნენ, რათა სწრაფად გაზრდილიყო მხოლოდ ცალკეული დარგები, ე.წ. ლიდერი რგოლები, რომელთაც შეეძლოთ სხვა დარგების გამოსწორების გზაზე დაყენება (განვითარება). დღეს ბევრი ეკონომისტი-სწავლული იძულებულია აღიაროს, რომ მათ არ გააჩნიათ ფილოსოფიური მარცვალი და არ ძალუძთ ეკონომიკის ზრდის უნივერსალური იდეალური მოდელის მოცემა.

ცალკეული ქვეყნებისათვის სპეციალურად შემუშავებულ რეკომენდაციებს ხანდახან შეუძლიათ არა თუ სასურველი, არამედ გაუთვალისწინებელი შედეგიც კი გამოიწვიონ. მაგალითად ისეთი, როგორიცაა გარემოს გაჩანაგება. ადამიანებისათვის საწირო საქონლისა და მომსახურების წარმოების გარდა ეკონომიკური ზრდა გულისხმობს (მოიცავს) უსარგებლო და მავნე ნარჩენების "წარმოებასაც". არავის არ ეპარება ეჭვი იმაში, რომ ავტომანქანა გადაადგილების ძალიან მოხერხებული საშუალებაა, მაგრამ იგივე ავტომობილების მსოფლიო პარკი წელიწადში იზრდება ძალზე მნიშვნელოვნად (10 მლ-ით მსუბუქი, ხოლო 5 მლ-ით სატვირთო მანქანები და ავტობუსები).

ზრდის ამგვარი ტემპის პირობებში 2030 წლისათვის მსოფლიოში მათი რაოდენობა 1 მლრდ-ს მიაღწევს. მაგრამ სამწუხაროდ, სწორედ სატრანსპორტო საშუალებაა ჰაერის გაჭუჭყიანების ძირითადი წყარო (70-90% ნახშირჟანგი, 40-70% აზოტის ჟანგი, 50% ტყვიის შენაერტები). სხვა სიტყვებით, ეკონოიმიკურ ზრდას შეუძლია მოიტანოს როგორც სიკეთე, ასევე უბედურებაც. უფრო მეტიც, მისი უარყოფითი შედეგი ხანდახან კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საკითხს კაცობრიობის გადარჩენაზე. ამის მაგალიტად გამოდგება კვალსათბურის ეფექტი (საშუალო ტემპერატურის მუდმივი ზრდა) ან ატმოსფეროს ოზონის ფენის რღვევა, რომელიც გარემოს დაბინძურებითაა გამოწვეული.

დღევანდელი ეკონომიკური ზრდის მეორე (უარყოფითი-თ.გ.) შედეგი ბუნებრივი რესურსების ამოწურვაში მდგომარეობს. დედამიწის ზურგზე ყოველწლიურად იჩეხება ტროპიკული ტყეები და ტერიტორიები, რომელიც ზომით თანამედროვე ავსტრიას ეტოლება; ნადგურდება მცენარეთა და ცხოველთა ასეულობით სახე. ექსპლუატაციის ამჯამინდელი ნორმების შედეგად მინერალური წიაღისეულის არაკვლავწარმოებადი სახეების-ვერცხლის, ცინკის, გოგირდის, ტყვიის, ალუმინის, სპილენძის, ნიკელის და პლატინის მარაგი შეიძლება

ამოიწუროს უკვე XXI საუკუნის პირველ ნახევარში. რამდენადაც გარემო არის დაბინძურების ტემპი და ბუნებრივი რესურსების ამოწურვა პირდაპირ კავშირშია ეკონომიკური ზრდის ტემპებთან, ამიტომ ზოგიერთი ეკონომისტის მოსაზრებით საჭირო ხდება ეკონომიკური ზრდის შეჩერება. თუმცა, ამ იდეას სერიოზული მოწინააღმდეგენი გამოუჩნდნენ. ოპონენტებს მოჰყავდათ ასეთი მაგალითი. ჩვენი პლანეტა ხატოვნად შეიძლება შევადაროთ ხომალდს, რომელიც გაშლილ ოკეანეში მოქცეულია ნისლის არეში. ისინი რომლებიც მაღალი კლასის კაიუტაში ("ლუქსში") იმყოფებიან და რომელთაც პროდუქტების საკმარისი მარაგიც გააჩნიათ (განვითარებული ქვეყნების ანალოგი), გამართლებულად თვლიან ხომალდის გაჩერებას და ნისლის გაფანტვამდე ლოდინს. იმით კი, ვისაც არაფერი გააჩნიათ და გემბანზე საცოდავად მო\ბუზულან (სუსტად განვითარებული ქვეყნია ანალოგი) ურჩევნიათ გემმა იმოძრაოს, რადგან შიში აქვთ: თუ გენო გაჩერდა, იქნებ ნაპირამდე ცოცხლებმა ვერც კი მიაღწიონ.

კაცობრიობის ჩქარი დაღუპვის წინასწარმეტყველება, რა თქმა უნდა, ახალი არაა. ასე, მაგ. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში ინგლისელმა ეკონომისტმა **თომას რობერტ მალთუსმა** (1766-1834) შიმშილისაგან კაცობრიობის გაწყვეტა იწინასწარმეტყველა. მისი აზრით, ამის მიზეზი ისაა, რომ დედამიწის მოსახლეობა იზრდება გეომეტრიული პროგრესიით, ხოლო კვების პროდუქტები-არითმეტიკული პროგრესიით. მაგრამ კაცობრიობამ გამოიგონა ამ უბედურების თავიდან აცილების საშუალება – ახალი ტექნოლოგიების გამოყენება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანისათვის.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გამოიძებნება აგრეთვე თანამედროვე ეკონომიკურ ავადმყოფობასთან ბრძოლის საშუალებებიც. ჯერ-ჯერობით კი **მოხანდას განდის** (ინდოეთის ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. 1869-1948 წწ.) კვალად შეგვიძლია დავაფიქსიროთ, რომ "მიწა იძლევა ყველაფერს რაც საჭიროა ყოველი ადამიანის მოთხოვნილების, მაგრამ არა სიხარბის დასაკმაყოფილებლად".

ეკონომიკური ციკლები

ეკონომიკის ზრდას არ გააჩნია მუდმივი და მდგრადი ხასიათი. ცალკეულ წლებში პროდუქტისა და მოხმარების წარმოება მაღალი ტემპით ვითარდება, სხვა დროს კი უარყოფითი მიმართულებით "იზრდება". თვით ცენტრალიზებული დაგეგმვის დროსაც სსრკ-ს სახალხო მეურნეობის ზრდაც არ იყო აბსოლუტურად თანაბარი. მნიშვნელოვანი მაკროეკჯონომიკური მაჩვენებლების წლიური მატების ტემპი რყევას განიცდიდა წლიდან წლამდე. კიდევ უფრო მკვეთრი იყო ზრდის ტემპების მერყეობა საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში. ეკონომისტები დიდი ხანია ცდილობენ კანონზომიერება აღმოაჩინონ ამ რხევებში, რომლის ახსნა და გაგება საშუალებას მოგვცემს ვისწავლოთ მათი მართვა

ეკონომიკური ციკლის ფაზები

წარმოების ზრდის პერიოდულ რხევებს უწოდებენ ეკონომიკურ ანუ კონიუნქტურულ ციკლებს. ცვეულებრივ მათში გამოყოფენ ოთხ ფაზას, რაც სქემატურად წარმოდგენილია გრაფიკზე.

პიკი (ანუ ბუმი) ციკლის ზედა გაზას წარმოადგენს. წარმოიების მოცულობა და რეალიზაცია შესაძლო მაქსიმუმს აღწევს. საზოგადოებაში შემოსავალი იზრდება. მოთხოვნა

მიწოდებას უსწრებს, რაც ფასების ზრდას იწვევს. ეკონომიკა იმყოფება სრული დასაქმების მდგომარეობაში.

დაცემა (ანუ, როგორც ამას უცხოელები იტყვიან-რეცესია) წარმოებისა და რეალიზაციის ზრდის ტემპის შემცირების პერიოდს გამოსახავს. საბაზრო ეკონომიკაში წარმოების ზრდის შენელება იწვევს მუშახელის დათხოვნას და, შესაბამისად, ჯამური შემოსავლების შემცირებას. შემოსავალებთან ერტად ეცემა მოთხოვნაც. მაგრამ როცა მოთხოვნა მიწოდებაზე დაბალია, მაშინ ბაზრის კანონების თანახმად ფასებიც კლებას განიცდის. ეს ხდება სახალხო მეურნეობის მხოლოდ კონკურენტულ სექტორში. მონოპოლიზებული სექტორი (კერძო თუ სახელმწიფო) ფასების დაჭერას ახერხებს ადრინდელ (მაღალ დონეზე).

კრიზისი – ეს მრუდის ქვედა წერტილია, რომელზეც წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობა მინიმალურ მნიშვნელობას აღწევს. ამ მომენტისათვის უმუშევრობის დონე მაღალია, მცირდება შემოსავლები და მასტან ერტად გადახდისუნარიანი მოთხოვნა.

მე-20 საუკუნეში ყველაზე მნიშვნელოვან ციკლურ კრიზისს ადგილი ჰქონდა 1929-1933 წწ., რომელმაც მოიცვა პრაქტიკულად ყველა განვიტარებული კაპიტალისტური ქვეყნები და მიიღო სახელწოდება – "დიდი დეპრესია". კრიზისის განსხვავება (გამორჩევა წინარე დაცემისაგან ხანდახან საკმარისად რთულია. ადამიანებმა, რომელთაც "დიდი დეპრესია" გადაიტანეს, ამასტან დაკავშირებით ხმრობაც დაგვიტოვეს: "დაცემაა, როცა თქვენ სამუშაოს გარეშე რჩებით, კრიზისი – როცა მე ვრჩები უმუშევარი". აღმავლობა კრიზისიდან გამოსვლას იუწყება, რასაც მოჰყვება წარმოების გამოცოცხლება, დასაქმებისა და შემოსავლების გაზრდა. ეს, თავის მხრივ, ხარჯებისა და წარმოების ზრდის სტიმულს იძლევა. მე-20 საუკუნეში ეკონომიკური ციკლები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ თავისი სიღრმითა და ხანგრძლივობით. სხვადასხვანაირად მიმდინარეობს იგი ცალკეულ ქვეყნებშიც. საკითხი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა საბჭოური ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური ზრდის ტემპების რხევა (ბევრად გასწორებული და არარეგულარული) მიეკუთვნოს ეკონომიკურ ციკლებს, ჯერ-ჯერობით ღიად რჩება და გადაწყვეტას ელოდება. ამიტომ ჩვენ შევჩერდებით მიზეზებზე, რომლებიც საბაზრო ეკონომიკაში ციკის ფაზების ცვლას იწვევენ.



გამოანგარიშებულია, რომ არსებობს 100-ზე მეტი თეორია, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ ეკონომიკური ზრდის ციკლურობის ახსნაზე. ერთ-ერთი პირველი მათგანი შემოთავაზებული იქნა ინგლისელი ეკონომისტ-მათემატიკოსის უილიამ სტენლი ჯევონსონის მიერ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში იგი თვლიდა, რომ ეკონომიკური ციკლები აღმოცენდებიან . . . მზეზე ბნელი ლაქების გაჩენისას. ისინი გავლენას ახდენენ დედამიწის სფეროს ამინდის ცვლილებაზე და იწვევენ მოუსავლიანობას, ფასების ზრდას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე, მოსახლეობის ცხოვრების დონის შემცირებას, მოთხოვნის დაცემას და, საბოლოო ანგარიშით, წარმოების საერთო ვარდნას.

თანამედროვე მეცნიერების მიღწევებმა გააქარწყლეს ჯევონსონის ასტრონომიული თეორია და აჩვენეს, თუ რაოდენ საშიშია ეკონომიკური თეორიის მექანიკურად აგება საბუნებისმეტყველო მეცნიერების საფუძველზე. თუმცა, დღესაც არსებობს მთელი რიგი თეორიები, რომლებიც ეკონომიკური ზრდის რყევებს ხსნიან საკუთრივ ეკონომიკის საზღვრება გარეთ არსებული მიზეზებით. ერთ-ერთი მათგანია ***ციკლის ინოვაციური თეორია***.

ამ თეორიის მომხრეთა აზრით, ეკონომიკური აღმავლობის საფუძველი დევს წარმოების ახალ ტექნიკურ პრინციპებზე გადასვაში. ამის მაგალითია საფეიქრო მრეწველობაში ხელით სამუშაოდან მანქანურ შრომაზე გადასვლა, რომლითაც დაიწყო სამრეწველო გადატრიალება: "ცხენისგარეშე გამწეს" – ავტომობილის მასობრივი დანერგვა მე-20 საუკუნის მიჯნაზე, ჩვენს დღევანდელობაში არსებული კომპიუტერული რევოლუცია და ა.შ. ყველა ეს ახალი წამოწყება მოითხოვდა მსცვილ კაპტალდაბანდებას და ზრდიდა ახალი ტექნიკის მწარმოებელთა შემოსავლებს. ისინი, თავის მხრივ, თავიანთი შემოსავლების დახარჯვით ზრდიდნენ იმათ შემოსავალს, ვისგანაც ყიდულობდნენ საჭირო საქონელსა და მომსახურებას და ა.შ. საზოგადოებაში ჯამური შემოსავლებისა და ხარჯების გაზრდა სტიმულს აძლევდა წარმოების ზრდას. ახალ ტექნიკურ პრინციპებზე ეკონომიკის გადასვლის დამთავრებასთან ერთად დგება აღმავლობის ბოლო მომენტიც. სახალხო მეურნეობა იწყებს შესვლას დაცემის ფაზაში ახალი ტექნიკური რევოლუციის წარმოშობამდე (დადგომამდე).

გარედან ანალოგიური ბიძგი ეკონომიკას შეუძლია მისცეს პოლიტიკურმა ვითარებამ, მაგალითად, ომებმა.

ეკონომიკური ციკლების თეორიის მეორე ჯგუფი (მიმდინარეობა) გამოდის მოვლენის საკუთრივ ეკონომიკური განმარტებიდან. ასეთს შეიძლება მივაკუთვნოთ, მაგალითად, ***ჭარბწარმოება და მოუხმარებლობა***. საწარმოები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან მომავალში მოთხოვნის ზრდაზე იწყებენ წარმოების გაზრდას. ამასთან, რადგან მათ მოთხოვნის განსაზღვრისათვის ზუსტი ორიენტირები არ გააჩნიათ, ამიტომ პროდუქციას უფრო მეტს აწარმოებენ, ვიდრე ეკონომიკას მისი მოხმარება შეუძლია. "ჭარბწარმოება" იწვევს ციკლის პროდუქცია გასაღებას ვერ პოულობს, მცირდება (ეცემა) მეწარმეთა შემოსავლები, იწყება სამუშაოდან დათხოვნა, გაკოტრება, მასტან ერთად მცირდება ჯამური შემოსავლები საზოგადოებაში და ერთობლივი მოთხოვნა. როცა წარმოების დაცემა მიაღწევს

კრიტიკულ წერტილს და აღმოჩნდება მოთხოვნაზე დაბლა, დაიწყება ფასების ზრდა და მასთან ერთად ეკონომიკის აღმავალი მოძრაობა.

არსებობს სხვა – ***საინვესტიციო ციკლების*** კონცეფცია, რომლის თანახმად ეკონომიკური ზრდის არათანაბრობის საფუძველი დევს არა ყველა საქონლისა და მომსახურების წარმოებაში, არამედ მხოლოდ ინვესტიციების სიკეთეში. სტატისტიკა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სახელდობრ მათი (წარმოების საშუალებების) და არა მოხმარების საგნების წარმოება განიცდის მეტად ძლიერ რხევებს. ასე, მაგ., ახალი ქარხნის მშენებლობა ქმნის დამატებით სამუშო ადგილებს, ზრდის დასაქმებას, შემოსავლებს და, შესაბამისად, მოთხოვნასაც. ეს საწყისი მოთხოვნა ახალი ქარხნის მშენებლების მხრიდან სტიმულს იძლევა გააფართოონ იმ საქონლის წარმოება, რომლის შეძენაზეც ისინი ხარჯავენ თავიანთ გაზრდილ შემოსავლებს და ა.შ.

საზოგადოებაში შემოსავლების ჯამური ზრდა მრავალგზის ფარავს საწყის საინვესტიციო ხარჯებს. ამ ეფექტს ეკონომიკაში ეწოდება მულტიპლიკაციური ეფექტი.

$$\text{მულტიპლიკატორი}=\frac{\text{მეპ – ის ნაზარდი}}{\text{ინვესტიციების ნაზარდი}}$$

შემოსავლების ნაზარდში მოხმარებაზე მოსული დანახარჯების წილი ცნობილია მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილების სახელწოდებით (მზმ), ხოლო დანაზოგებზე მოსული წილი - დანაზოგებისადმი ზღვრული მიდრეკილების სახელწოდებით (დზმ).

ჯამში წილს უწოდებენ მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილებას, ხოლო ამავე ჯამში დანაზოგების წილს - დანაზოგებისადმი საშუალო მიდრეკილებას. მულტიპლიკაციური დანაზოგებისადმი ზღვრული მიდრეკილების შებრუნებული სიდიდეა და განისაზღვრება ფორმულით:

$$\text{მულტიპლიკატორი}=\frac{1}{1-\text{მზმ}}=\frac{1}{\text{დზმ}}$$

თუ, მაგ., მოსახლეობა თავისი დამატებითი შემოსავლების 2/3-ს მოხმარებაზე ხარჯავს, ხოლო, 1/3-ს ზოგავს (ინახავს)0, მაშინ მულტიპლიკატორი 3-ის ტოლია (1:1/3). ხოლო თუ ვიცით, რომ შემოსავლების ზრდა გამოწვეული იყო ინვესტიციების გაზრდით (ვთქვათ) 1 მლრდ. ლარი. მაშინ ჩვენ შეგვიძლია შევაფასოთ ეეპ-ის ზრდაც: ეეპ=1 მლრდ. მან 3 (მულტიპლიტატორი)=3 მლრდ.ლარს. საინვესტიციო ციკლის მექანიზმი ანალოგიურია ჭარბწარმოების საერთო ციკლის მექანიზმისა. მილტიპლიკაციურ ეფექტს ეკონომიკა გამოყავს მისი შესაძლებლობების ზღვრებიდან – მიწოდება აჭარბებს გადახდისუნარიან მოთხოვნას, იწყება წარმოების დაცემა.

დასაქმების ეკონომიკური ცნება

როცა დასაქმებაზე საუბრობენ, ეკონომისტებს მხედველობაში აქვთ, პირველ რიგში, იმათი დასაქმება, ვისაც მუშაობა შეუძლია, ანუ მოსახლეობის შრომისუნარიანი ასაკი. ჩვენს ქვეყანაში ამ კატეგორიას მიეკუთვნება 16 წელზე მეტი ხნის და საპენსიო ასაკამდე მიუღწეველი (ქალები 60 წლამდე, მამაკაცები 65 წლამდე) ადამიანები.

ოფიციალურად, უმუშევრად თვლიან მხოლოდ იმ დაუსაქმებლებს, რომლებსაც არა მარტო შეუძლიათ, არამედ სურვილიცა აქვთ იმუშაონ. უფრო მეტიც, ოფიციალური სტატის-

ტიკით, მხედველობაში მიიღება მხოლოდ ის ადამიანები, რომელთაც სამუშაო არ გააჩნიათ, აქტიურად ეძებენ მას და რეგისტრაციას გადიან დასაქმების სახელმწიფო სამსახურებში, შრომის მოწყობის ბიუროში, შრომის ბაზარზე და ა.შ. მათ, ვინც სამუშაოს შოვნის იმედი დაკარგა დაამ მიმართებიტ არავითარ ძალისხმევას არ იჩენს, სტატისტიკურ აღრიცხვაში არ ჩართავენ.

სტატისტიკაში არ ჩაირთვებიან ისინიც, რომლებიც სამუშაოს ძებნას მხოლოდ საგა-ზეთო განცხადებების გადათვალიერებით ამთავრებენ. ადამიანები, რომლებიც თავიანთი სურვილის მიუხედავად იძულებულნი არიან იმუშაონ მხოლოდ არასრულ სამუშაო კვირაში, ითვლებიან დასაქმებულად.

უმუშევრობა

უმუშევრობის დონე გვიჩვენებს იმ ადამიანთა რაოდენობას, რომელნიც ეძებენ სამსახურს, შესაბამისი ანაზღაურებით. ქვეყნები, რომლებსაც არ შეუძლია სამუშაო ადგილების შექმნა, განიცდის შენელებულ ზრდას, სოციალურ წნეხსა და პოლიტიკურ არამდგრადობას. ქვეყანაში დასაქმებული მუშაკების პროპორცია აჩვენებს, რამდენად კარგად იყენებს ის ადამიანურ რესურსს. ანაზღაურებით დასაქმებული ხალხი გვიჩვენებს პოლიტიკოსების კომპეტენტურობას პროდუქტიული ეკონომიკის შენარჩუნებაში. მუდმივი უმუშევრობა ასახავს იმას, რომ მთავრობას არ შეუძლია ქვეყნის შიდა მართვა.

ზოგიერთი ეკონომისტი გვირჩევს სიღარიბის ინდექსის კვლევას, რაც წარმოადგენს ქვეყნის ინფლაციისა და უმუშევრობის დონის ჯამს. რაც უფრო მაღალია ჯამური რიცხვი, მით მეტია ეკონომიკური სიღარიბე, შესაბამისად, მომხმარებლებიც და კომპანიებიც უფრო ამცირებენ ხარჯებსა და ინვესტიციას. გარდა ამისა, როგორც იტყვიან, სიღარიბეს უყვარს სხვადასხვა კამპანია - როგორც კი სიღარიბის ინდექსი იზრდება, იზრდება სოციალური ხარჯებიც: დანაშაული, უკმაყოფილება და ოჯახური სტრესი.

უმუშევრობის გაზომვა. როგორც ინფლაციის შემთხვევაში, რთულია ქვეყნებში უმუშევართა რაოდენობის გაზომვა. სხვადასხვა ვარაუდი და გამონაკლისი ცვლის საზომებს.84 ხშირად უმუშევრობის დონე სათანადოდ ვერ აფასებს უმუშევართა მასშტაბსა და მოცულობას. ტექნიკურად, ის მიუთითებს, რამდენი ადამიანი ეძებს ანაზღაურებად სამუშაოს. თუმცა, ის არ ითვლის იმ ხალხის რაოდენობას, რომლებიც საერთოდ არ მუშაობენ ან მუშაობენ ანაზღაურების გარეშე, ანდა შეწყვიტეს სამსახურის ძიება. ბევრ ღარიბ სახელმწიფოში უმუშევრობის საზომები სათანადოდ ვერ აფასებს უმუშევრობის რეალურ ხარისხს.

საზომები ხშირად ვერ გადმოსცემს მუშაკთა პროდუქტიულობას აზიაში, აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაში, სადაც, ძირითადად, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პრობლემებია, არასრული სამუშაო დროის გამო. ანუ, მიუხედავად იმისა, რომ

ოფიციალურად დასაქმებულნი არიან, ადამიანები მხოლოდ ნახევარი განაკვეთით მუშაობენ, ამგვარად მცირდება პროდუქტიულობა, იკლებს შემოსავლები და ირყევა სოციალური სტაბილურობა. გაზომვის საკითხების გარდა, უმუშევრობის დონეში სხვადასხვა რამ იგულისხმება, სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა სოციალური პოლიტიკის გამო. ზოგი ქვეყანა, მაგალითად, საფრანგეთი და გერმანია, უზრუნველყოფს უმუშევრობის შემწეობებს, ხოლო ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა ჩინეთი, კენია ან იორდანია, ძალიან მცირე შემწეობას თუ უზრუნველყოფს ან ის საერთოდ არ გაიცემა.

უმუშევრობის ტიპები

ეკონომისტები გამოყოფენ უმუშევრობის ოთხ ტიპს: ფრიქციულს, სეზონურს, სტრუქტურულს და ციკლურს.

ფრიქციული უმუშევრობა (წარმოდგება ინგლისური სიტყვიდან ფრიცტიონ- ხახუნი, უთანხმოება) დაკავშირებულია სამუშაოს ძიებასთან ან მოლოდინთან. მაგალითად, უმაღლეს სასწავლებელ-დამთავრებული მანამ ითვლება უმუშევრად, სანამ არ იშოვის იმ ადგილს, რომელიც მისი მომზადების დონესა და სპეციალობას შეესაბამება. ფრიქციული უმუშევრობა დროებითი მოვლენაა და თავის არსით გარდაუვალი.

სეზონური უმუშევრობა დაკავშირებულია ზოგიერთ დარგში სეზონური ხასიათის საქმიანობასთან (მაგ., სოფლის მეურნეობაში).

სტრუქტურული უმუშევრობა თვის წარმოების ტექნიკური გარდაქმნის შედეგია. მოთხოვნა ერთ პროფესიაზე მცირდება, მაგრამ ერტდროულად იზრდება მოთხოვნა სხვა სპეციალობებზე.

ციკლური უმუშევრობა იბადება ეკონომიკური ციკლის მსვლელობაში წარმოების დაცემით. გამოშვების შეკვეცა იწვევს ადრე დასაქმებული მუშების გათავისუფლებას.

კ. მარქსს სრული დასაქმება ესმოდა როგორც 100%-იანი დასაქმება.

ჯ.კეინსი სრულ დასაქმებად თვლიდა არა 100 %-იან დასაქმებას, არამედ ისეთს, რომლის დროსაც შრომაზე მოთხოვნა მიწოდების ტოლი ხდება შრომის ანაზღაურების არსებული განაკვეთის პირობებში. მისი აზრით, თუ დასაქმება ასეთი ნომინალური მდგომარეობის დონეს აღემატება, მაშინ ადგილი აქვს ინფლაციის აღმოცენებას.

დღეისათვის ყველაზე მეტად გავრცელებული შეხედულება სრულ დასაქმებაზე მოგვაწოდა მ. ფრიდმანმა. მისი აზრით, 100%-იანი დასაქმება, უბრალოდ, შეუძლებელია, რამდენადაც სტრუქტურული და ფრიქციული უმუშევრობა, არსებითად, გარდაუვალია და ქმნის უმუშევრობის ბუნებრივ დონეს. შესაბამისად, სრული დასაქმება - ეს დასაქმებაა უმუშევრობის ამ გარდუვალ სახეთა გამოკლებით.

7%-ზე მაღალი უმუშევრობა იმის მაუწყებელია, რომ ეკონომიკური სისტემა შეფერხებას განიცდის. მაგალითად, გამოთვალეს, რომ უმუშევრობის 1%-ით გადაჭარბება ბუნებრივ დონესთან შედარებით იწვევს მეპ-ის შემცირებას მისი პოტენციალური მნიშვნელობის მიმართ 2,5%-ით. (ეს ე.წ. ოუკენის კანონია). თუ უმუშევრობის დონე მიაღწევს (ვთქვათ) 9%- მომსახურების წარმოება შემცირდება 5%-ით. ($2 \times 2{,}5 = 5$).

კიდევ უფრო საშიშია უმუშევრობის სოციალური შედეგი, რომელიც რაოდენობრივ აღრიცხვას არ ექვემდებარება. ერთ დროს ჩვენში გავრცელებულ ხუმრობას - ცხოვრება

უშრომელად ძნელია, მაგრამ ჩვენ არ გვაშინებს სიძნელეები - მანამ შეეძლო ღიმილის მოგვრა, ვიდრე ეს ბოროტება ჩვენთვის მხოლოდ წმინდა თეორიულ ხასიათს ატარებდა.

2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისი

ფინანსური კრიზისი – ესაა ეკონომიკის მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება ფართომას შტაბიანი დარღვევებით ფინანსური ორგანიზაციების საქმიანობასა და ფინანსური ბაზრების ფუნქციონირებაში. იგი ხშირად გვევლინება ეკონომიკური კრიზისის წანამძღვრად, ვინაიდან ფინანსური ძვრების შედეგები რეალური სექტორისთვის გამოიხატება ერთობლივ მოთხოვნაზე, შესაბამისად, წარმოებასა და დასაქმებაზე უარყოფითი ზემოქმედებით.

2008 წლის გლობალური კრიზისი ყველაზე სერიოზული ფინანსური რყევა იყო დიდი დეპრესიის დროიდან და აქვს მისი ზოგიერთი საერთო თვისება. ჯერ ერთი, ორივე შემთხვევაში ეპიცენტრს წარმოადგენდა აშშ-ს ეკონომიკა მრავალი სხვა კრიზისისგან განსხვავებით, რომლებიც, ძირითადად, ვრცელდებოდა ნაკლებად მსხვილ ქვეყნებზე და არ იწვევდა ძალიან სერიოზულ შედეგებს მსოფლიო ეკონომიკისთვის. მეორე, ორივე შემთხვევაში ფინანსურ კრიზისს წინ უსწრებდა საკრედიტო ბუმის პერიოდები, რომელთაც თან სდევდა ფინანსური ინოვაციები: 1920-ან წლებსა და 2004–2007 წლებში.

მნიშვნელოვანი განსხვავება განხილულ მსოფლიო კრიზისებს შორის ისაა, რომ 1930-ან წლებში პროტექციონიზმის ზრდის, სატარიფო ომებისა და მსოფლიოს უმსხვილეს ქვეყნებს შორის პოლიტიკური კონფლიქტების გამო არ არსებობდა საერთაშორისო თანამშრომლობა კრიზისის დაძლევაში, მაშინ, როცა 2008 წელს საერთაშორისო გაერთიანება (საზოგადოება) გაერთიანდა შეთანხმებული ზომების მისაღებად, რამაც ასახვა ჰპოვა არაფორმალური საერთაშორისო ორგანიზაციის „ჯგუფი ოცის“ შექმნაში, რომელმაც გააერთიანა მსოფლიოს 20 უმსხვილესი სახელმწიფო.

კიდევ ერთი განსხვავება – ესაა ეკონომიკის სასწრაფო აქტიური მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური სისტემების ლიკვიდურობის უზრუნველყოფით. ეს აისახა, კერძოდ, იმაში, რომ აშშ-ში შეინიშნება ფულადი მასის სწრაფი ზრდა, მაშინ, როცა დიდი დეპრესიის პერიოდში იგი, პირიქით, მცირდებოდა. დიდი დეპრესიის ადრეულ ეტაპებზე საპასუხო ანტიციკლურ ზომებს არ იღებდნენ, ხოლო აშშ-სა და სხვა მრავალ ქვეყანაში მაკროეკონომიკური ზომების უქონლობა გახდა ნიშნადი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობდა გლობალური დეპრესიის გაღრმავებასა და გახანგრძლივებას. მხოლოდ 1933 წლის დამდეგს ფ. რუზველტი შეუდგა ანტიკრიზისულ ზომათა კომპლექსის რეალიზაციას, რასაც შემდგომში ეწოდა „ახალი კურსი“.

2008 წელს კრიზისის შედეგების დასაძლევად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ტარდებოდა ფართომასშტაბიანი ზომები: ფინანსური სექტორის უშუალო მხარდაჭერა (მაგალითად, კაპიტალის „გადასხმა“, აქტივების შესყიდვა, სახელმწიფო დაკრედიტება), აგრეთვე ისეთი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება, როგორებიცაა: საგადასახადო შეღავათები, დეფიციტური დაფინანსება ფინანსური კრიზისი დაიწყო განვითარებულ ქვეყნებში, თუმცა, გლობალური ინტეგრაციის პირობებში მრავალი არხით იგი გადავიდა სხვა ქვეყნებში. ამ კრიზისის შედეგები განსაკუთრებით ძლიერ ვლინდება ფორმირებადი ბაზრების მქონე ქვეყნებში. ფინანსური ძვრების ეფექტთა გადაცემაში გამოყოფენ, პირველ ყოვლისა, ზოგადს (საერთოს) და მეორე, სხვადასხვა ქვეყნისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ფაქტორებს

საერთო ფაქტორებს აქვს გლობალური ხასიათი, ისინი ზემოქმედებას ახდენს ყველა ქვეყანაზე, რომლებიც ჩართულია გლობალურ ეკონომიკაში. ეს ქვეყნები არის როგორც განვითარებული, ისე ფორმირებადი ბაზრების მქონე. მათ ეხება მსოფლიო ბირჟებზე

ფასების, მსოფლიო წარმოების მოცულობების, მსოფლიო საპროცენტო განაკვეთების ცვლილება.

ქვეყნებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორები განაპირობებს განსხვავებას ცალკეულ ქვეყნებს შორის. გამოყოფენ არხების ორ ტიპს:

1) არხები, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკის თავისებურებებთან;

2) სავაჭრო და ფინანსური კავშირები განვითარებულ ქვეყნებთან.

კონკრეტული ქვეყნებისთვის მოწყვლადობის სპეციფიკური წყაროები გარე შოკების მიმართ მოიცავს გადახდისუნარიანობის და ლიკვიდურობის პრობლემებს, საბანკო სისტემების სისუსტეს და ფაქტორებს, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკის გახსნილობასთან. ისინი ზრდის მიდრეკილებას კრიზისებისკენ, რომლებიც დაკავშირებულია კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობასთან და სავალუტო ურთიერთობებთან.

კავშირი განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან ხელს უწყობს ფინანსური რყევების გადაცემას ორი არხის – სავაჭრო და ფინანსური კავშირის მეშვეობით. ფინანსური სტრესი გადაეცემა სავაჭრო კავშირის მეშვეობით განვითარებული ეკონომიკის მქონე კრიზისულ ქვეყნებში ექსპორტის შეკვეცის შედეგად ამ ქვეყნებში მოთხოვნის შემცირების გამო. ამ კავშირის მნიშვნელობა ფორმირებადი ბაზრის მქონე ქვეყნისთვის რაოდენობრივად იზომება მისი ექსპორტის შეფარდებით განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების ეროვნულ მეპ-თან: იგი შეადგენს ფორმირებადი ბაზრის ქვეყნის მეპ-ის 20%-ს. ამ ექსპორტის თითქმის ნახევარი მოდის აზიის ქვეყნებიდან, განსაკუთრებით კი ჩინეთიდან. ფინანსური კავშირების მეშვეობით უშუალოდ გადაეცემა კაპიტალის უკუდენა, რომელიც წარმოიშობა ინვესტორების ინიციატივით განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებიდან. ფინანსური რყევების ზრდას ხელს უწყობს ზარალი, რომელსაც განიცდიან ინვესტორები ფორმირებადი ბაზრების ქვეყნებიდან; ინვესტორებისა, რომელთაც თავიანთი სახსრები ჩადეს ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, რომლებიც ფინანსურ კრიზისს განიცდიან.

საერთაშორისო საქმიანი ციკლი – ეს არა მარტო ვაჭრობის და პროდუქციის ზრდა და შემცირებაა, ის აგრეთვე მოიცავს ცვლილებებს ეროვნულ ეკონომიკათა სტრუქტურასა და საერთაშორისო ვაჭრობის, წარმოების, ფინანსების და ეკონომიკური ზრდის პირობებში. იმ დროს, როცა საქმიანი ციკლი ეროვნულ ეკონომიკაში იწვევს შრომის, კაპიტალის და სხვა რესურსების სექტორებს შორის განაწილებაში ცვლილებებს, ამცირებს რა სიჭარბეს, არაეფექტიან გამოყენებასა და დისბალანსებს, საქმიან ციკლს მსოფლიო მეურნეობაში შეუძლია გამოიწვიოს ცვლილებები ქვეყნების შედარებით უპირატესობებში საერთაშორისო ნაკადების და ბალანსების შეცვლით. ამის შედეგად ზოგიერთი ქვეყანა ზრდის თავის წილს გლობალურ ბაზრებზე, მაშინ, როცა სხვა ქვეყნების წილი შეიძლება შემცირდეს.

ეკონომიკური აზროვნების ისტორიიდან: ჯონ მეინარდ კეინზი (1883-1946)

მსოფლიო აღიარება კეინს მოუტანა მისმა აკადემიურმა ნაშრომმა – "პროცენტის, დასაქმებისა და ფულის ზოგადი თეორია", რომელიც დღის სინათლეზე გამოვიდა 1936 წ.

მე-20 საუკუნის 30-იან წლებში მილიონობით ადამიანი დარჩა უმუშევარი ამერიკასა და ევროპაში, საწარმოები გაჩერდნენ, რეალური შემოსავლების დაცემის გამო ხალხს არ შეეძლო ეყიდა აუცილებელი პროდუქტები. ამის საფუძველზე კეინსი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მისი თანამედროვე ეკონომიკა წონასწორობაში იმყოფება, მაგრამ რესურსების ა-რასრული გამოყენების (დასაქმების) პირობებში; საბაზრო მექანიზმს არ შეეძლო მოკლე-

ვადიან პერიოდში ეკონომიკის გამოყვანა ამ მდგომარეობიდან. ეს სახელმწიფოს ფუნქცია უნდა გამხდარიყო.

კეინსის თეორიის საფუძველია ერთობლივი მოთხოვნის ცნება. მისი შენარჩუნება საჭიროა იმ დონემდე, რომელიც სრულ დასაქმებებს უზრუნველყოფს. თუ ერთობლივი მოთხოვნა ამ დონეზე ქვემოთ დაეცა, მაშინ აღმოცენდება უმუშევრობა, ხოლო თუ ამ დონეს გადააჭარბებს, მაშინ ინფლაცია გაიზრდება. ამიტომ სახელმწიფოს ამოცანაა რესურსების არასრული დასაქმების პირობებში სტიმული მისცეს ერთობლივ მოთხოვნას ყველა შესაძლებელი საშუალებით – თვით პირამიდების მშენებლობისათვის საზოგადოებრივი შრომის ორგანიზაციამდეც კი.

თავის ძირითად ნაშრომში "დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია" (1936) კეინზმა შემოგვთავაზა ეკონომიკური თეორიის კარდინალურად ახალი კონცეფცია და ენა. მისმა ეკონომიკურმა თეორიამ საშუალება მოგვცა დასაქმება, ბანკის პროცენტი, დანაზოგი და მეპ-ს დონე დაგვეკავშირებინა ერთიან, საკმაოდ მტკიცე მოდელად. მან შემოიღო მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილების ცნება და თეორიულად დააფუძნა მულტიპლიკაციური ეფექტი "შემოსავლების გამრავლებისა". მისი არსი შემდგომშია. როცა რაიმე მიზეზით იწყება კრიზისი, წარმოება ეცემა. მუშები ღებულობენ ცოტა ფულს და ამცირებენ მოხმარებას. მოხმარების სიმცირეს მივყავართ წარმოების ახალ შემცირებასთან და ა.შ. კრიზისი მძაფრდება.

კეიზმა შემოგვთავაზა ახალი, რევოლუციური მეთოდი კრიზისიდან გამოსასვლელად, რომელიც დაფუძნებულია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებაზე. კერძოდ, კეინსის თეორიის თანახმად, სახელმწიფომ კრიზისის მომენტში უნდა გააფართოვოს საკუთარი მოთხოვნა საქონელსა და მომსახურებაზე. შუაგულ კრიზისში მან უნდა დაიწყოს ფართო მასშტაბიანი სამუშაოები, ვთქვათ, გზათა მშენებლობა. მაშინ კრიზისის სპირალი დაიწყებს გაშლას უკუ მიმართულებით: საზოგადოებრივ სამუშაოზე მიღებული მუშები დაიწყებენ ხელფასის მიღებას ისინი შეძლებენ თავიანთი მოხმარების, და შესაბამისად, საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის გაზრდას მოთხოვნას გამოეხმაურებიან მეწარმენი და გაზრდიან პროდუქციის გამოშვებას ამისათვის ისინი დაიქირავებენ ახალ მუშებს, რომელთა შემოსავლები კვლავ წავა მოხმარებაზე მოთხოვნის გაფართოება მიგვიყვანს წარმოების ზრდამდე დაიწყება ეკონომიკური აღმავლობა. აღმოჩნდა, რომ სახელმწიფოს თავდაპირველ დანახარჯებს მივყავართ მასთან შედარებით მრავალგზის მულტიპლიკაციურად დიდ ეკონომიკურ ზრდასთან მთელი ქვეყნის მასშტაბით. ეს ეფექტი ბრწყინვალედ იქნა აპრობირებული პრაქტიკაში. რუზველტის ახალი კურსის რეალიზაციისას მნიშვნელოვნად იქნა გაფართოებული სახელმწიფო ინვესტიციების მოცულობა საზოგადოებრივი სამუშაოების ჩატარებაზე (გზათა მშენებლობა და ა.შ.) ამან, სხვა სახელმწიფო რეგულირების ზომებთან ერთად, სწრაფად გამოაცოცხლა ქვეყნის ეკონომიკა და გამოიყვანა იგი "დიდი დეპრესიიდან".

კეინზი არ ითვლებოდა კაბინეტის მეცნიერად. ის იყო ერთ-ერთი ინიციატორი ბრეტონ-ვუდსის კონფერენციაზე საერთაშორისო სავალუტო ფონდის შექმნისა (სსფ) და მსოფლიო ბანკისა. სხვათა შორის, კეინსმა თავად შეძლო მოეგო ბირჟაზე 2 მლნ. დოლარი.

კეინზის შემდეგ მთელი ეკონომიკური მეცნიერება გადავიდა ერთნაირ ენაზე, სადაც ყველა ძირითადი კატეგორია გახდა საყოველთაოდ აღიარებული. ეს ენა გახდა საერთო ყველა ეკონომისტისათვის, მათ შორის, თანამედროვე ეკონომიკური სკოლებისათვის,

რომელთაც საწინააღმდეგო შეხედულებები ჰქონდათ. მაგალითად, სწორედ ამ გაგებით განაცხადა ცნობილმა მონეტარისტმა მ. ფრიდმანმა: "ახლა ჩვენ ყველა კეინსიანელები ვართ". კეინზის მიერ შემოთავაზებულმა მიდგომამ მოიპოვა საყოველთაო აღიარება, რამაც საშუალება მისცა კეინსიანელ ფ. მოდილიანის ეთქვა, რომ "არ არსებობს სერიოზული ანალიტიკური განსხვავებანი წამყვან მონეტარისტებსა და წამყვან არამონეტარისტებს შორის". კეინზმა გააფართოვა მათემატიკური მიკროდონის სფერო, რითაც ძირითადად ოპერირებდა მარჟინალისტური თეორია, მაკროდონემდე.

დანართი ა

ეკონომიკური ზრდის საზომები

მთლიანი ეროვნული შემოსავალი (მეშ-ი/GNI) ქვეყნის ეკონომიკის ყველაზე ფართო საზომია. ის ზომავს სქონლისა და მომსახურების ჯამურ ღირებულებას ქვეყნის შიდა ეკონომიკაში სხვა ქვეყნებიდან მიღებულ შემოსავალთან (ძირითადად, პროცენტი და დივიდენდები) ერთად. მაგალითად, სამხრეთ კორეასა და იაპონიაში დამზადებული შამსუნგ-ის ტელევიზორის ღირებულება აღირიცხება სამხრეთ კორეის მთლიან ეროვნულ შემოსავალში. ანალოგიურად, Sony-s რესურსების გამოყენებით, სამხრეთ კორეაში დამზადებული შონყ-ს ტელევიზორის ღირებულება აღირიცხება იაპონიის მთლიან ეროვნულ შემოსავალში. საბოლოოდ, თუ Samsung-is იაპონური ფილიალი ახორციელებს მოგების რეპატრიაციას სეულის სათაო ოფისებში, ის ზრდის სამხრეთ კორეის მთლიან ეროვნულ შემოსავალს. ცხრილი 4.4 გვიჩვენებს მთლიანი ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლის მიხედვით მსოფლიოში 15 ყველაზე დიდ ეკონომიკას.

მთლიანი ეროვნული პროდუქტი (მეპ-ი/GNP) მოცემულ წელიწადში სახელმწიფოს ფარგლებში წარმოებული დასრულებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებაა, რომელსაც უნდა მივუმატოთ საზღვარგარეთ მისი მოქალაქეების მიერ გამომუშავებული შემოსავალი და გამოვაკლოთ უცხოელების მიერ ადგილობრივი წარმოებიდან მიღებული შემოსავალი. კონცეპტუალურად, მსოფლიოს მთლიანი ეროვნული პროდუქტი და მსოფლიოს მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთმანეთის ტოლია. თუმცა, მათი ოდნავ განსხვავებული გაანგარიშება ზოგჯერ ქვეყნის დონეებში განსხვავებას იძლევა. აქედან გამომდინარე, მენეჯერები დამატებით ამოწმებენ თავიანთ ანალიზს: ითვალისწინებენ კონკრეტული ქვეყნის საზომისა და მახასიათებლების სავარაუდო ცვლას

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)

სახელმწიფო საზღვრების ფარგლებში, ადგილობრივი თუ უცხოური კომპანიების მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების საერთო ღირებულება წარმოადგენს მთლიან შიდა პროდუქტს (მშპ). ის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია იმ ქვეყნების შეფასებისათვის, რომელთა მულტინაციონალური სექტორის ნაწარმი ეკონომიკური აქტივობის მნიშვნელოვანი წილია. მაგალითად, ირლანდიური ექსპორტის თითქმის 90 % დამზადებულია უცხოური ფირმების მიერ და მშპ-ი, უფრო ზუსტად ზომავს მას, ვიდრე მეპ-ი. ტექნიკურად, მშპ-ს დამატებული ექსპორტისგან, იმპორტისა და სახელმწიფო კომპანიების საერთაშორისო ოპერაციებისგან მიღებული შემოსავალი უდრის მეპ-ს. მაშასადამე, შამსუნგ-ისა და შონყ-ს ის ტელევიზორები, რომლებიც სამხრეთ კორეაშია დამზადებული, აისახება სამხრეთ კორეის მშპ-ში, მაგრამ შამსუნგ-ის მიერ იაპონიაში დამზადებული ტელევიზორები - არა.

ანალიზის გაუმჯობესება

მეშ-ით ხდება ეკონომიკის აბსოლუტური შეფასება. ქვეყნების შედარების დროს ამ მაჩვენებელმა, შესაძლოა, მენეჯერები შეცდომაში შეიყვანოს. მაგალითად, როცა მეშ-ის მიხედვით ხდება მათი კლასიფიკაცია, აშშ, იაპონია და გერმანია მუდმივად მაღალ რეიტინგებს აჩვენებენ. ზოგიერთმა, შეიძლება, შეცდომით ივარაუდოს, რომ ისინი ასევე მეტად პროდუქტულნი და სწრაფად მზარდნი არიან, ვიდრე დაბალი რეიტინგის მქონე ქვეყნები. ხშირად რეალობა საპირისპიროა. მენეჯერები ანალიზის პროცესში, მეშ-თან ერთად, ეკონომიკურ ზრდის, მოსახლეობის რიცხოვნებისა და ადგილობრივი ვალუტის კურსის მაჩვენებლებსაც ითვალისწინებენ.

ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი. შემოსავლის მაჩვენებლები ქვეყნის მიერ ერთი წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის მოკლე შეჯამებაა. ისინი არ ზომავენ ცვლილებებს სხვა ინდიკატორში. მომავლის პროგნოზირებისთვის დამატებით აუცილებლია ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის დადგენა. ქვეყნებზე დაკვირვება, მათი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის მიხედვით, ვრცელი ანალიზისათვის ფართო არეალს გვიტოვებს. მაგალითად, 2000-2008 წლებში ჩინეთის ეკონომიკური ზრდა წელიწადში 11 %-ს შეადგენდა. იმავე პერიოდის განმავლობაში იაპონიამ 1.2 %-იან ზრდას მიაღწია. სქემა 4.7 გვიჩვენებს სხვადასხვა განვითარებადი და განვითარებული ეკონომიკის მშპ-ის ზრდის რეალურ მაჩვენებლებს.

ნომინალური მშპ-ი წლიდან წლამდე იზრდება ნაწილობრივ იმიტომ, რომ ქვეყანა აწარმოებს მეტ საქონელსა და მომსახურებას ან იმიტომ, რომ იზრდება ფასები. რეალური

მშპ-ი უგულებელყოფს ფასის გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე, რათა გვიჩვენოს წარმოებაში არსებული საქონლისა და მომსახურების ფაქტიური წლიური ზრდა. ამ მაჩვენებლის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბევრი განვითარებადი ქვეყანა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე განვითარებული.

მშპ-ს რეალური ზრდის მაჩვენებელი

მშპ-ს ზრდის მაჩვენებელი მიუთითებს ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალზე: თუ ის მოსახლეობაზე სწრაფად (ან ნელა) იზრდება, ქვეყნის ცხოვრების სტანდარტებიც იზრდება (ან კლებულობს).51 ის ასევე მიუთითებს ბიზნესშესაძლებლობებზე. მაგალითად, ბოლო 30 წლის განმავლობაში ჩინეთი ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკაა. ისტორიულად ეს ქვეყანა სიღარიბიდან ყველაზე სწრაფად და მასშტაბურად გამოვიდა. ჩინეთის მეშ-ი 2000 წელს თუ 1.68 ტრილიონ დოლარს შეადგენდა, 2010 წელს ის უკვე 5.700 ტრილიონია. შემოსავლის ზრდამ მომხმარებლის მოთხოვნის ზრდაც გამოიწვია და, შესაბამისად, მოიზიდა უცხოური ინვესტიციები.

მოსახლეობა. ბევრი სხვა ეკონომიკური ინდიკატორის მსგავსად, მენეჯერები ახდენენ მეშ-ის კორექტირებას ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით.52 ეს ცვლილება შეესაბამება საღ აზრს, იმის გათვალისწინებით, თუ რა ზეგავლენას ახდენს მეშ-ზე მსოფლიოს 6,967,367,182-იანი მოსახლეობის (2011 წლის მონაცემებით) განაწილება ქვეყნების მიხედვით (ანუ, ჩინეთი 1.34 მილიარდი მოსახლეობიდან, პიტკერნის კუნძულის 50–კაციან მოსახლეობამდე). მაშასადამე, მეშ-ის მოსახლეობის მიხედვით რეგულირება აზუსტებს ამ მაჩვენებელს.

აბსოლუტურ ერთეულებში მეშ-ი, შესაძლოა, დაბალი იყოს. ავიღოთ მონაკოს მაგალითი, რომელიც 33,000 მოქალაქით მსოფლიოს ყველაზე მცირე ზომის ეკონომიკათა რიცხვს მიაკუთვნება, თუმცა, 2009 წელს მონაკო პირველ ადგილზე იყო მსოფლიოში ერთ სულ მოსახლეზე მეშ-ს მიხედვით (§203,900), ამასთან შედარებით, აშშ 18-ზე (§46,360), იაპონია - 32-ზე (§38,080), ბრაზილია 84-ზე (§8,040), ჩინეთი 125-ესა (3,650) და ინდოეთი 154-ზე (§1,180). 2010 წელს ერთ სულ მოსახლეზე მეშ-ი იყო §9,097, 2007 წელს - §7,995, 2005 წელს - §7,011 და 2003 წელს - §5,500.

მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნები თავმოყრილია მსოფლიოს რამდენიმე რეგიონში. ისინი შეადგენს მსოფლიოს მოსახლეობის 15 %-ს, ხოლო გლობალური მეშ-ის 70 %-ზე მეტს. მათში საშუალო მეშ-ი შეადგენს ათას დოლარზე მეტს ერთ სულ მოსახლეზე.

დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნები შეადგენენ მსოფლიო მოსახლეობის დიდ, მაგრამ მსოფლიოს მეშ-ის მცირე ნაწილს. მათში საშუალო მეშ-ი ერთ სულ მოსახლეზე ათას დოლარზე ნაკლებია.

მეშ-ი ერთ სულ მოსახლეზე გვიჩვენებს მის მოცულობას მოსახლეობის რიცხოვნობის გათვალისწინებით. ქვეყნის მეშ-ი, შესაძლოა, მნიშვნელოვნად შეიცვალოს, როდესაც ვითვალისწინებთ მოსახლეობას. მაგალითად, ჩინეთი მეშ-ის მიხედვით, მსოფლიოს მეორე ყველაზე დიდი ეკონომიკაა. ამასთან, მისი უზარმაზარი მოსახლეობის გათვალისწინებით, ერთ სულ მოსახლეზე მეშ-ის მიხედვით, ჩინეთი საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყანაა.

მსყიდველობითი უნარის პარიტეტი. მხოლოდ ერთ სულ მოსახლეზე მეშ-ის გამოთვლით არ ხდება ერთი ქვეყნის ცხოვრების დონის მეორის დონესთან შედარება. პირიქით, რომ ავიღოთ მინეაპოლისსა და მუმბაიში ერთი დოლარი, ვნახავთ, რომ მათ მსგავსი მსყიდველობითი უნარი აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების ღირებულება აშშ-სა და ინდოეთში საკმაოდ განსხვავებულია. აქედან გამომდინარე, ერთ სულ მოსახლეზე მეშ-ი ვერ მოგვცემს ინფორმაციას იმის შესახებ, რა რაოდენობის საქონლისა და მომსახურების ყიდვა შეუძლია ერთი ქვეყნის შემოსავლის ერთ ერთეულს სხვა ქვეყნის შემოსავლის ერთ ერთეულთან შედარებით. მაშასადამე, მენეჯერები არეგულირებენ მეშ-ს ადგილობრივ და უცხოურ ბაზარზე ერთი ქვეყნის ვალუტის ერთეულის მსყიდველობითი უნარის პარიტეტის (PPP) მიხედვით. ძირითადად, ის გვაძლევს შესაძლებლობას, განვსაზღვროთ, რამდენ „წვრილმანს“ შევისყიდით უცხოეთში, კონკრეტული ქვეყნის ერთი დოლარით.

ჩვენ ვახორციელებთ PPP-ს გამოთვლას ქვეყნებს შორის საქონლისა (მაგ., საპონი და პური) და მომსახურების (მაგ., ტელეფონი და ელექტროენერგია) უნივერსალური „კალათის“ ღირებულებით, რომლის შესყიდვაც შესაძლებელია ქვეყნის ვალუტის ერთი ერთეულით. მაგალითად, ინდოეთში 49.16 რუპიად ღირებული ერთი პური, აშშ-ში უნდა ღირდეს 1 ამერიკული დოლარი, ინდოეთსა და აშშ-ს შორის გაცვლითი კურსის გათვალისწინებით - 49.16 ინდური რუპია = 1 ამერიკულ დოლარს.

ცხრილი 4.5 გვიჩვენებს PPP-ს ქვეყნების მიხედვით. მაშასადამე, ცხრილი 4.4-ში ნაჩვენები ქვეყნის რეიტინგები მეშ-ის მიხედვით იცვლება. მაგალითად, ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი, მექსიკა და კანადა მაღლა ინაცვლებენ, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და იტალია კი - დაბლა. აშშ-სა და ინდოეთის შედარებას რომ გადავხედოთ, აღმოვაჩენთ, რომ ინდოეთის მეშ-ი ერთ სულ მოსახლეზე 2009 წელს არის §1,180, მაგრამ, როცა ის

მორგებულია ადგილობრივ მსყიდველობით უნარზე, იზრდება §3,250-მდე.55 საპირისპირო ხდება იმ ქვეყნების შემთხვევაში, რომლებსაც ცხოვრების ძვირადღირებული სტანდარტები აქვთ, მაგალითად, მონაკო. მისი მეშ-ი ერთ სულ მოსახლეზე §203,900-დან §131,694-მდე ეცემა მაშინ, როდესაც ის მორგებულია იმ შემცირებულ მსყიდველობით უნარზე, რომელიც ვალუტის ერთ ერთეულს აქვს მაღალი ფასების მქონე მონაკოში. რუკა 4.4 გვიჩვენებს ქვეყნების PPP ერთ სულ მოსახლეზე მეშ-ის მიხედვით.

შესრულებისა და პოტენციალის ფართო კონცეფციები

მთლიანი ეროვნული შემოსავლის საზომები გვიჩვენებს მონეტარულ ერთიანობას. შედეგად, მეშ-ი, მეპ-ი და მშპ-ი, და, მათთან ერთად, ზრდის, მოსახლეობის რაოდენობისა და ცხოვრების ღირებულების მაჩვენებლები ნაწილობრივ ასახავს ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს. მენეჯერები ამ ანალიზს ამდიდრებენ ეკონომიკის მდგრადობისა და სტაბილურობის შეფასებით.

მდგრადობა. მსოფლიოს ეკოლოგიურ კეთილდღეობასთან დაკავშირებული საფრთხე მოითხოვს ზრდის მწვანე საზომებს, რაც ფულადი აგრეგატების ვიწრო საზომებს სცილდება. მწვანე ეკონომიკა გულისხმობს, რომ თითოეული ქვეყანა ბუნების შემადგენელი ნაწილია და მასზეა დამოკიდებული. ბაზრის საქმიანობის მონეტარული რაოდენობის გაზომვა, მასთან დაკავშირებული სოციალური და ეკოლოგიური ხარჯების გათვალისწინების გარეშე, მცდარ წარმოდგენას შეგვიქმნის.

აქედან გამომდინარე, ვიწრო ინდიკატორები, კერძოდ მეშ-ი, მეპ-ი და მშპ, მხოლოდ ნაწილობრივ წარმოადგენს ქვეყნის გრძელვადიან პოტენციალს. მეტიც, მდგრადი განვითარება მოითხოვს ისეთ ეკონომიკურ საქმიანობას, რომელიც აკმაყოფილებს აწმყოს მოთხოვნილებებს ისე, რომ ანგარიშს არ უწევს მომავლი თაობების შესაძლებლობებს, რომლებსაც საკუთარი მოთხოვნილებები ექნებათ.57 ამგვარად, ეკონომიკის უკეთ შეფასების მიზნით, ის გულისხმობს მოგებისა და ზრდის ხარჯების უფრო ვრცელ აღრიცხვას.

ამჟამად მდგრადობის საკითხებთან დაკავშირებით არ არსებობს კონსესუსი იმ პრობლემის ირგვლივ, თუ როგორ უნდა მოხდეს მეშ-ი, მეპ-ის ან მშპ-ის „გამწვანება“. აქ გამოიყენება ისეთი მაჩვენებლები, როგორებიცაა:

- წმინდა ეროვნული პროდუქტი (NNP): მოითხოვს მეშ-ის ზრდით გამოწვეული ბუნებრივი რესურსების გამოლევისა და გარემოს დეგრადაციის შეფასებას.
- პროგრესის რეალური ინდიკატორი (GPI): ამ მაჩვენებლის გაანგარიშება იწყება იმავე მეთოდოლოგიით, რომელიც გამოიყენება მშპ-ს გამოსათვლელად, მაგრამ შემდეგ

ხდება მისი კორექტირება გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ხარისხით, მოსახლეობის ჯანმრთელობით, საარსებო წყაროს უსაფრთხოებით, მიუკერძოებლობით, თავისუფალი დროითა და საგანმანათლებლო მიღწევით.

• ადამიანის განვითარების ინდექსი (HDI): ადამიანის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები არ ჩანს შემოსავლების ან ზრდის მაჩვენებლებში. ისინი გვიჩვენებს, რომ ეკონომიკა უმჯობესდება ადამიანური პირობების გაუმჯობესებასთან ერთად. ამგვარად, ქვეყანაში ფიზიკური, ინტელექტუალური და სოციალური სტანდარტების თვალსაზრისით ადამიანის განვითარების ხარისხის შეფასება (ქვეყნის ცხოვრების მთლიან ხარისხის მაჩვენებელთან ერთად), მენეჯერებს ეხმარება, შეაფასონ საბაზრო პოტენციალი. გაეროს ადამიანის განვითარების ინდექსში გათვალისწინებულია ისეთი მაჩვენებლები, როგორებიცაა: სიცოცხლის ხანგრძლივობა, განათლება, ცხოვრების სტანდარტი, რაც იზომება PPP-ით აშშ დოლარში ერთ სულ მოსახლეზე მეშ-ის მიხედვით.

სტაბილურობა. რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში პოლიტიკოსები ფიქრობდნენ მონეტარული მაჩვენებლების, როგორც ეკონომიკური ზრდის საზომების, პარადოქსზე. კერძოდ, მდიდარ ქვეყნებში, ღარიბ ქვეყნებთან შედარებით, ხალხი არ ჩანს უფრო ბედნიერი. მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად გაიზარდა შემოსავალი, როგორც წესი, ხალხის ბედნიერებაზე ეს ნაკლებად აისახება. მეტიც, ბედნიერების შესახებ ახლად აღმოცენებული მეცნიერება ამტკიცებს, რომ პირადი კმაყოფილების თითქმის 70 % ადამიანური ურთიერთობების რაოდენობითა და ხარისხით განისაზღვრება და არა – ეკონომიკური ნაწარმით, ან სიმდიდრის შექმნით.61 აქედან გამომდინარე, არსებობს მოსაზრება, რომ მეშ-ი და მისი განშტოებები, საუკეთესო შემთხვევაში, მცდარია, ხოლო უარეს შემთხვევაში - არასრულყოფილი.

„ბედნიერების ეკონომიკა“ გულისხმობს „ფინანსური კეთილდღეობის კონცეფციიდან ემოციური კეთილდღეობის კონცეფციაზე“ გადასვლას.63 ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და პოტენციალის შეფასება, ფინანსური მაჩვენებლების გარდა, ეროვნული კეთილდღეობის გაზომვაზეც არის დამოკიდებული. ასეთი შეფასებისას უნდა გაითვალისწინონ საზოგადოების ბედნიერება და ცხოვრების პირობებით ხალხის კმაყოფილება. მაგალითად, მონეტარული საზომებით, აშშ საკმაოდ უსწრებს საფრანგეთსა და გერმანიას. თუმცა, სიცოცხლის ხანგრძლივობით, თავისუფალი დროითა და შემოსავლის თანასწორობით საფრანგეთისა და გერმანიის ცხოვრების სტანდარტები აშშ-ს სტანდარტებს უტოლდება.64 ზოგიერთმა, შესაძლოა, თქვას, რომ ბედნიერების თაობაზე უსარგებლო წუწუნი

დამაბნეველია ეკონომიკური ანალიზისთვის. თუმცა, უკმაყოფილო მოქალაქეები, შესაძლოა, სამთავრობო პოლიტიკის ცვლილების მთავარი ინდიკატორნი იყვნენ, ეს კი ცვლის ეკონომიკურ გარემოს.

ამჟამად ამ ტიპის შეფასება რთულია. ბედნიერების განსაზღვრა, სილამაზის მსგავსად, ხშირად გემოვნების საკითხია. ისეთი საკითხები, როგორებიცაა სიყვარული, მეგობრობა, ოჯახური კავშირები და თვითრეალიზაცია, რთულია გაიანგარიშო. ბედნიერების ლაბირინთების მიმართ ყურადღება იზრდება და ინტუიციამ ნათელი უნდა გახადოს მისი გაზომვა. ამ თვალსაზრისით, მენეჯერებმა, შესაძლოა, გაითვალისწინონ ისეთი მაჩვენებლები, როგორებიცაა:

- მთლიანი ეროვნული ბედნიერება (GNH): პროგრესული საზოგადოება ფიქრობს, რომ მატერიალური და სულიერი პარალელურად ვითარდება. ან ერთი განამტკიცებს მეორეს, ანდა ორივე განიცდის წარუმატებლობას. კარგი მმართველობის სისტემის შექმნით, კულტურული ღირებულებების შენარჩუნებით, ბუნებრივი გარემოს დაცვით, -ი ზომავს ქვეყნის უნარს, რათა ხელი შეუწყოს მიუკერძოებელ და მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.
- ბედნიერი პლანეტის ინდექსი (HPI): ასახავს უტილიტარისტულ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ხალხის უმეტესობას სურს ხანგრძლივი, ჯანსაღი და ბედნიერი ცხოვრება. მაშასადამე, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და პოტენციალი წარმოდგენილია იმის მიხედვით, როგორ ეხმარება ის მოქალაქეებს, არ შეზღუდონ მომავალი თაობებისა და სხვა ქვეყანაში მცხოვრები ხალხის შესაძლებლობები. ამ მაჩვენებლის მიზანია ბედნიერებისა და ჯანმრთელობის მაქსიმუმამდე ზრდა და არა - ფულადი სიმდიდრის მიღწევა.

უკეთესი ცხოვრების ინდექსი (YBLI): ეს ინდექსი 11 ინდიკატორით ზომავს ცხოვრების პირობებსა და კეთილდღეობას. ესენია: საცხოვრებლით უზრუნველყოფა, შემოსავალი, დასაქმება, სოციალური ურთიერთობები, განათლება, გარემო, ინსტიტუციების ადმინისტრაცია, ჯანმრთელობა, ზოგადი კმაყოფილება, უსაფრთხოება, სამსახურსა და ოჯახს შორის ბალანსი. ის შემუშავებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ. როგორც OECD-I განმარტავს, YBLI ბიძგს აძლევს „ცოდნისა და გააზრების საზღვრებს ახლებური და ინოვაციური გზით... მას აქვს განსაკუთრებული პოტენციალი, დაგვეხმაროს უკეთესი ცხოვრებისთვის უკეთესი პოლიტიკის უზრუნველყოფაში“.65 YBLI-ს 10 ყველაზე ბედნიერ ქვეყნებში შედის დანია,

კანადა, ნორვეგია, ავსტრალია, ნიდერლანდები, შვედეთი, შვეიცარია, ფინეთი, ისრაელი და ავსტრია.

დანართი ბ

შემოსავლის განაწილება

შემოსავლის განაწილება ხშირად განსაზღვრავს ბაზრის მდგომარეობას და პოტენციალს. მაშინაც კი, როცა მეშ-ი მორგებულია მოსახლეობის ზომასა და მსყიდველობით უნარზე, შესაძლებელია, ის არასწორად აფასებდეს სახელმწიფოს მოქალაქეების შეფარდებით სიმდიდრეს. ანუ, მეშ-ი ერთ სულ მოსახლეზე ასახავს, რამდენს გამოიმუშავებს საშუალო პირი, მაგრამ, რადგანაც ყველა არ არის საშუალო, იგი ვერ გვეუბნება, მოსახლეობის რომელ სეგმენტში მიდის შემოსავლის ნაწილი. მაგალითად, აშშ-ის მეშ-ი აჭარბებს §14 ტრილიონ დოლარს და ის, ამ რეიტინგით, პირველ ადგილს იკავებს სხვა სახელმწიფოებს შორის. 2010 წელს მისი მეშ-ი ერთ სულ მოსახლეზე შთამბეჭდავი იყო - §7,140.89 თუმცა, ეს მაჩვენებელი ნაკლებად შთამბეჭდავი ჩანს, როდესაც ფასდება მისი შემოსავლის განაწილება. ამჟამად, ამერიკელების ყველაზე მდიდარი 1 % იღებს უფრო მეტ შემოსავალს, ვიდრე დანარჩენი 99 %. და ეს ყველაზე ფართო ბაზარია ბოლო 70 წელიწადში. ზედა 1 % ფლობს ყველა კერძო მფლობელობაში მყოფი მარაგის 37 %-ს, ფინანსური გარანტიების 65 %-ს და ბიზნესის 62 %-ს.90 ამერიკელების ზედა 10 % ფლობს ფონდების, ობლიგაციების, სატრასტო ფონდებისა და ბიზნესის წილის 65-დან 90 %-მდე და უძრავი ქონების 75 %-ზე მეტს. ფაქტიურად, ამერიკელი მოქალაქეების, დაახლოებით, 10 % „ფლობს“ ქვეყანას. 91 აშშ არაა გამონაკლისი. ათობით ქვეყანა შემოსავლის განაწილების მსგავს სიტუაციას ავლენს.

უთანასწორობა მსოფლიო მასშტაბით იზრდება. 1960 წელს მსოფლიოს მოსახლეობის ყველაზე მდიდართა 20 %-ს ჰქონდა 30-ჯერ მეტი შემოსავალი, ვიდრე სხვა ფენას. 1970 წელს შემოსავალმა 32 %-ს მიაღწია, 1980 წელს - 45%-ს, 1990 წელს - 60%-ს და 2000 წელს - 75%-ს. გარდა ამისა, ყველაზე მდიდარი 1 % მოითხოვს იმდენივეს, რასაც ქვედა ფენის 57 %. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მსოფლიოში 50 მილიონი ყველაზე მდიდარი იღებს იმდენივე შემოსავალს, რამდენსაც 3.8 მილიარდი ყველაზე ღარიბი ადამიანი. საშუალოდ, ყველაზე მდიდარი მოსახლეობის 10 %-ის შემოსავალი უმეტესი ქვეყნის ყველაზე ღარიბი ხალხის 10%-ის შემოსავალს ცხრაჯერ აღემატება. დიდი სხვაობა ფიქსირდება ისრაელში, თურქეთში, აშშ-ში, ჩილესა და მექსიკაში.

უპირატესობები და ხარჯები. სასარგებლოა შემოსავლის ზოგიერთი უთანასწორობა, გასამრჯელოს, ნიჭსა და ინოვაციასთან დაკავშირებით. თუმცა, გავრცელებული უთანასწორობა საფრთხის ქვეშ აყენებს სტაბილურობას, რაც ხელს უწყობს ზრდას, რამდენადაც ის „იწვევს დაძაბულობას, ხოლო ეს ასუსტებს სოციალურ სტრუქტურას“.93 ქვეყნებს, რომლებიც მეტად უთანასწორონი არიან, აქვთ უარესი სოციალური ინდიკატორები, სუსტი განვითარება და უსაფრთხოების მაღალი ალბათობა. შემოსავლის მზარდი უთანასწორობა, წარმატებულ ქალაქებსა და ქალაქგარეთ ღარიბ ტერიტორიებს შორის, საფრთხეს უქმნის სოციალურ სტაბილურობას და ეკონომიკურ ზრდას.94

მაგალითად, ჩინეთის მისწრაფება „ჰარმონიული საზოგადოების“ შექმნისაკენ, ასახავს ჩინეთის კომუნისტური პარტიის შიშს შემოსავლის მზარდ უთანასწორობასთან დაკავშირებით, რომლითაც ხასიათდება სანაპირო ხაზზე მცხოვრები 800 მილიონი მოსახლეობა და ქვეყნის შიდა ნაწილში მცხოვრებ 500 მილიონი ადამიანი.95 შესაძლებელია, დაინახოთ ეხუს-ის, ამბორგინი-სა და ენტლყ-ს დილერები შანხაიში მაშინ, როცა ჩინეთის სოფლებში ტრანსპორტირებისთვის ველოსიპედებსა და ცხოველებს იყენებენ.

გავრცელებულ უთანასწორობას, საბოლოოდ, გამანადგურებელი შედეგი მოსდევს, მათ შორის, შესაძლებლობების შეზღუდვა, რესურსების უკმარისობა და გადაჭარბებული ინდივიდუალიზმი.96 საბოლოოდ, შემოსავლის უთანასწორობა ძირს უთხრის ქვეყნის იდენტობის შეგრძნებას: უსამართლობა მის პროდუქტულ პოტენციალს ამცირებს. მაგალითად, ხალხი, რომლის შემოსავალი აშშ-ში §20,000-ზე ნაკლებია, უფრო მეტად კარგავს ნდობას თავისუფალი ბაზრის მიმართ. 2009 და 2010 წლებს შორის თავისუფალი ბაზრის მხარდაჭერა 76 %-დან 44 %-მდე დაეცა.

ჯინის ინდექსი. ჯინის ინდექსით მენეჯერები ქვეყნის შემოსავლის განაწილებაში უთანასწორობის ხარისხს აფასებენ. ნული ქულა გულისხმობს იდეალურ თანასწორობას (ანუ, ყველას ერთნაირი შემოსავალი აქვს). ერთი ქულა აღნიშნავს არასრულყოფილ უთანასწორობას (ანუ, ერთ პიროვნებას აქვს მთელი შემოსავალი). ჯინის ინდექსს დღეისათვის პროცენტების მსგავსად ითვლიან (0-იდან 100-მდე). ქვეყნების უმეტესობა 25 და 60 %-ს შორისაა. ჯინის ინდექსი ვარაუდობს, რომ ქვეყანაში არსებობს შემოსავლის ზომიერი ხარისხი. რაც უფრო მაღალია ჯინის ინდექსი, მით მეტია შემოსავლების განაწილების უთანაბრობა საზოგადოებაში და პირიქით. თუ ასე არაა, მაშინ ის ნაწილობრივ წარმოადგენს შემოსავლის განაწილების მაჩვენებელს. ამ შეცდომის კორექტირება შესაძლებელია სიღარიბის მასშტაბისა და მოცულობის შეფასებით.

განვიხილოთ ინდოეთი. მას აქვს ჯინის ინდექსის 36.8 % (შვედეთში - 23%, იაპონიაში - 38.1%, აშშ-ში - 41.5%, ჩინეთში - 45% და ბრაზილიაში - 56.7%). ინდოეთის ქულა არ ასახავს თანასწორობის იდეალებს. ის წარმოადგენს სავალალო ფაქტს, რომ ინდოელების უმეტესობა ღარიბია: მისი მოსახლეობის 80 % დღეში §2-ზე ნაკლებს გამოიმუშავებს.98 ამგვარად, შემოსავალი, შესაძლებელია, განაწილდეს თანაბრად, შეფარდებით საფუძველზე, მაგრამ ძალიან მცირეა იმის შესაძლებლობა, რომ ის აბსოლუტური თვალსაზრისით განაწილდეს.

სიღარიბე. სიღარიბე მთელ მსოფლიოშია გავრცელებული. შემოსავლისა და სიმდიდრის შესახებ პირობებისა და გარემოებების გათვალისწინებით, მენეჯერები ზუსტად არეგულირებენ თავიანთ კვლევებს. სიღარიბე მრავალგანზომილებიანი სიდიდეა, რომელშიც აისახება, რომ ადამიანი ან საზოგადოება განიცდის კეთილდღეობის ცხოვრების მინიმალური სტანდარტებისთვის აუცილებელი მოხმარების საგნების ნაკლებობას.99 ეს აუცილებელი მოხმარების საგნები, შესაძლებელია, იყოს ცხოვრებისთვის აუცილებელი რესურსები: საკვები, სუფთა წყალი და თავშესაფარი. შესაძლებელია, ეს იყოს სოციალური რესურსები: ინფორმაციის მიღება, განათლება და ჯანდაცვა; შესაძლებელია, იყოს ოჯახებისა და ნათესავების შენარჩუნების საშუალებები ან საზოგადოების შესაქმნელად ხალხთან კავშირი.

მსოფლიო ბანკის მიხედვით, უკიდურესად გაჭირვებულთა საარსებო მინიმუმი დღეში §1.25-ზე ნაკლები (PPP). საშუალოდ ღარიბნი დღეში §2-ზე ნაკლებს (PPP)-ს გამოიმუშავებენ. დაახლოებით 1.5 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს უკიდურეს სიღარიბეში.100 დღეს, მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 80 % ღარიბია, 10 % საშუალო შემოსავლის მქონეა და 10 % - მდიდარი. შემოსავლის უთანასწორობა ბოლოდროინდელი ფენომენია, ხოლო ფართოდ გავრცელებული სიღარიბე - არა.

სიღარიბის გავრცელება. სიღარიბე მსოფლიო მასშტაბით იზრდება. მართალია, 1990 წლიდან უკიდურეს სიღარიბეში მყოფი ხალხის რაოდენობა, დაახლოებით, 200 მილიონით შემცირდა, თუმცა ეს შემცირება, ძირითადად, ერთ ქვეყანაშია კონცენტრირებული. ამ ჩამონათვალიდან ჩინეთი რომ გამოვრიცხოთ, გამოვლინდება, რომ განვითარებად მსოფლიოში ღარიბი ხალხის რაოდენობა მუდმივი რჩება, 1981 და 2005 წლებს შორის ეს მაჩვენებელი, დაახლოებით, 1.2 მილიარდია. გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა საფრთხე შეუქმნა ბევრად მეტს, ვიდრე ჩვენ გვგონია. ზოგიერთმა კრიზისი აღიქვა 200 მილიონი ადამიანისთვის სიღარიბის მომტან მოვლენად.102 ამჟამად, საკვებზე ფასების ზრდა მილიონობით ადამიანზე მეტს აგდებს საფრთხეში.

შედეგები. სიღარიბე აყალიბებს ეკონომიკურ გარემოს. ხალხი იბრძვის საკვებისთვის, თავშესაფრისთვის, ჩასაცმელისთვის, სუფთა წყლისა და ჯანდაცვის მომსახურებებისთვის, რომ აღარაფერი ვთქვათ, უსაფრთხოებაზე, დაცულობასა და განათლებაზე. მათი არარსებობა იწვევს საკვების ნაკლებობას, ფსიქიკურ აშლილობას, სიკვდილიანობას, ეპიდემიას, შიმშილს და ომს. მაგალითად, კანადელების 100 %-ისთვის ხელმისაწვდომია სუფთა წყალი, ხოლო ავღანეთში - მხოლოდ 13 %-ისთვის; აშშ-ში ერთ სულ მოსახლეზე საკვების პროტეინის მიწოდება 121 გრამია იმ დროს, როდესაც მოზამბიკში – 32 გრამი; იაპონიაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა საშუალოდ 83 წელია, ხოლო სვაზილენდში - 32 წელი.

ბიზნესაქტივობისა და ეკონომიკური პროგრესის ზრდა საბოლოოდ დამოკიდებულია სიღარიბის შემცირებაზე. ეკონომიკები, რომლებიც უკიდურეს სიღარიბეს განიცდიან, მულტინაციონალური საწარმოებისგან მოითხოვენ ეკონომიკის ბევრი არასერიოზულად ჩათვლილი ასპექტის ხელახლა გადაფასებას. შესაძლებელია, საბაზრო სისტემები არ არსებობდეს, არ მუშაობდეს ეროვნული ინფრასტრუქტურა, გავრცელებული იყოს დანაშაული და მთავრობები იბრძოდნენ საზოგადოების რეგულირებისთვის მუდმივად ან წინდახედული ეკონომიკური პოლიტიკის მისაღებად.

ღარიბების პოტენციალი. მენეჯერები თვალყურს ადევნებენ დღევანდელი ღარიბების პოტენციალს. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ინდოელების 80 % ღარიბია, 2002 წელს ინდოეთს 15 მილიონზე ნაკლები მობილური ტელეფონის მომხმარებელი ჰყავდა, 2006 წელს კი - 136 მილიონი, 2011 წლისთვის ამ რიცხვმა 700 მილიონს მიაღწია. თუმცა, დღეს ინდური კომპანიები მსოფლიოში ყველაზე იაფ მობილურ მომსახურებას გვთავაზობენ და მაინც გამოიმუშავებენ მოგებას. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ინდოეთი და ჩინეთი (ამ უკანასკნელის მობილურ მომსახურებას 800 მილიონზე მეტი მომხმარებელი ჰყავს) უსადენო ქსელების მომხმარებლის მსოფლიოს ნახევარზე მეტს შეადგენს. ასეთივე წინსვლაა კომპიუტერებთან (მაგ., ბავშვებისთვის დაბალი ღირებულების ლეპტოპების X -1 პროგრამები), ავტომობილებთან (ფუნქციური ავტომანქანების შექმნა, კერძოდ, Tata'ს ანო, რომელიც 2,900 დოლარი ღირს) და განსახლებასთან (Idealab'ს პროგრამა, რომელიც

უბრუნველყოფს ფუნქციურ სახლებს 2,500 დოლარად) დაკავშირებით. ეს მიუთითებს სიღარიბის ფაქტორის გათვალისწინების შედეგად კომპანიების ახალ მიდგომებზე. ერთ-ერთმა მენეჯერმა აღნიშნა, რომ „მსოფლიოში მილიარდი მომხმარებელი ელოდება 2–დოლარიან სათვალეს, 10–დოლარიან მზის ფარანს და 100–დოლარიან სახლს“.

ამ პერსპექტივას გადააქვს მენეჯერების ყურადღება ფენომენზე, რომელსაც პირამიდის საფუძველი (Base of the Pyramid) ჰქვია. მილიარდობით ღარიბი ადამიანი, რომლებიც აღქმულნი არიან, როგორც მიუწვდომელნი და არარენტაბელურნი, ალბათ მაინც წარმოადგენენ მომავლის გლობალური ეკონომიკის საბაზრო ზღვარს.106 ეს დაახლოებით 2.5 მილიარდი ადამიანია, რომელთა საარსებო მინიმუმი დღეში 2.5 დოლარზე ნაკლებია. ეს მაჩვენებელი მიუთითებს მათ პოტენციალზე. მაგალითად, ხალხს, რომელიც გამოიმუშავებდა $8-ს დღეში, 2011 წელს ჰქონდა თითქმის $3 ტრილიონი მთლიანი შემოსავალი. თუ ზრდის ტემპი ურყევი იქნება, 2015 წლისთვის ისინი გამოიმუშავებენ $4 ტრილიონს ყოველწლიურად.

ახალბედა ეკონომიკების შემოსავლის ზრდის დაჩქარება ბევრ დღევანდელ ღარიბ ქვეყანას მზარდ საშუალო კლასში გადაიყვანს.107 ამჟამად, ათეულობით ახლად აღმოცენებულ ეკონომიკაში საშუალო კლასი მოიცავს, დაახლოებით, ორ მილიარდ ადამიანს, რომლებიც კოლექტიურად ხარჯავენ §6.9 ტრილიონს წელიწადში. მომდევნო ათწლეულის განმავლობაში მათი წლიური ხარჯი გაიზრდება §20 ტრილიონამდე - ორჯერ მეტი აშშ-ს მიმდინარე მოხმარებაზე. 2030 წლისთვის გლობალური საშუალო კლასში იქნება 5 მილიარდი ადამიანი. ეს იქნება ტალღა, რომელიც ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ უხილავი იყო და რომელიც ხელახლა ჩამოაყალიბებს ბაზრებს მთელ მსოფლიოში.

წარმატების სტანდარტები. რადგანაც მსოფლიო ღარიბების უმეტესი ნაწილი საშუალო კლასში გადადის, ასე of the Pyramid-ის კონტურები იცვლება. ეს მრავალწლიანი პროცესი უზარმაზარ შესაძლებლობებს ქმნის. Base of the Pyramid-ისთვის მომსახურების გაწევას ორი წინაპირობა აქვს. პირველი: შესაძლებლობის „დანახვა“ მოითხოვს საბაზრო ინიციატორებს, რომლებსაც კონკრეტული დამოკიდებულებები აქვთ. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, „როდესაც ვუყურებთ წამყვანი გლობალიზატორების წარმატებულ ისტორიებს, ვხედავთ კომპანიებს, რომელებმაც ისწავლეს ბრბოსგან განსხვავებულად ფიქრი. ისინი ეძებენ განსხვავებულ ინფორმაციას, მას განსხვავებულად ამუშავებენ, გამოაქვთ განსხვავებული დასკვნები და იღებენ განსხვავებულ გადაწყვეტილებებს. სადაც სხვები საფრთხესა და სირთულეს ხედავენ, ისინი ამას შესაძლებლობად აღიქვამენ. იმას, რასაც სხვები მოუსავლიან ლანდშაფტს უწოდებენ, ისინი ალტერნატივების სიუხვედ აღიქვამენ.“

მეორე მიმართულებაა იოლად გამოსაყენებელი, ეკოლოგიურად მგრძნობიარე პროდუქტების შექმნა, რომლებიც იმუშავებენ რთულ გარემოში. მაგალითად, Nokia, Samsung-ი და Motorola გვთავაზობენ ტელეფონებს, დალუქული დამცავებით (წყლის და ჭუჭყგამძლე), 400 საათიანი სარეზერვო დროით ერთ დამუხტულ ელემენტზე და დიდ ეკრანებს, რომლებიც არეკლილ სინათლეზე მუშაობენ, შიდა ნათურა სპეციალურად ტექსტური შეტყობინებებისთვისაა. კენიის კომპანია Safaricom-მ ეს ტექნოლოგიები უფრო მაღალ დონეზე აიყვანა: იგი შორეულ ადგილებში (რომლებიც განიცდიან ფულის გადაცვლის ნაკლებობას) მობილური ტელეფონით ფულის გადარიცხვების ინიციატორია. ადგილობრივ დონეზე, მსგავსი ინიციატივების საფუძველზე, შეიქმნა თიხის მაცივარი (რომელიც არ იყენებს ელექტროენერგიას, თუმცა ინახავს ბოსტნეულს რამდენიმე დღის

განმავლობაში) და არასაყოფაცხოვრებო დანიშნულების იაფფასიანი მტვერსასრუტი (შესასხურებელი ხელსაწყო, რომელიც მოტოციკლეტზე მაგრდება).

ეს ცვლილებები მდიდრების წისქვილზე ასხმას წყალს. მულტინაციონალური საწარმოები იაფფასიან ინოვაციებს იმ ახალ პროდუქტებად აქცევენ, რომლებიც დასავლეთელ მომხმარებლებს ემსახურება. ჩინურმა ფირმებმა მაღალფასიანი, ერთჯერადი გამოყენების ჭრილობის გასაკერი ძაფის ნაცვლად, შემოიღეს მრავალჯერადი, ასევე, გულის სტენტები, რომლებიც 40 %-ით იაფია, ვიდრე დასავლეთში.111 კომპანია GE-მ ინდოეთის სოფლებისთვის შექმნა დაბალხარჯიანი ელეტქროკარდიოგრაფიის დანადგარი. თავისი ეფექტიანობისა და ხარისხის წუალობით ის გერმანიისა და აშშ-ს ბაზრებზეც შევიდა.

ასე of the Pyramid-ის სტანდარტები დაბალხარჯიანი, მაღალეფექტიანი, რესურსდამზოგველი, ცხოვრების სტილის მიმართ მგრძნობიარე ინოვაციები, ფასების მიმართ მგრძნობიარე მომხმარებლებს შორის, დასავლურ ბაზრებზე უფრო და უფრო ვრცელდება. ბევრ მდიდარ ქვეყანაში სიუხვის უარყოფა და აღმავალი მობილურობის შენელება შედეგად „ახალ ღარიბებს“ ქმნის, კერძოდ, ყოფილი საშუალო კლასის ფენას, რომელსაც შეზღუდული ბიუჯეტი აქვთ. ასკეტიზმის საწყისი ხანა აშშ-ში, ირლანდიაში, ესპანეთში, ინგლისში, საბერძნეთსა და სხვა მდიდარ ქვეყნებში ქმნის ახალ შესაძლებლობებს იაფფასიანი მაღაზიებისთვის. მაგალითად, Walmart-ი და ლდი, წინასწარ გადახდილი მომსახურების პროვაიდერებისთვის: Leap Wireless-ი, TracFone-ი და ახალი ბიზნესდიზაინებისთვის: „ერთობლივი მოხმარება“. ეს ხალხს საშუალებას აძლევს, კი არ ფლობდნენ, არამედ იქირაონ, როგორც ეს Zipcar-ში ხდება. საბოლოოდ, ასე of the Pyramid-ი გაცილებით ფართო და მეტად გავრცელებული კომპანიაა, ვიდრე უმეტესობას ჰგონია. იაფფასიანი ინოვაციები, რომლებიც განხორციელდა ისეთ კომპანიებში, როგორებიცაა Aldi, Tata, Haier-i, Walmart-ი, ვრცელდება ახალ ბაზრებზე დრეზდენში, დელიში, დუნგუანსა და დეტროიტში.

წყარო: [9, მე-4 თავი]

კითხვები გამეორებისთვის

1. განმარტეთ რას ეწოდება ეკონომიკური ზრდა. დაახასიათეთ მისი ექსტენსიური და ინტენსიური ტიპები.
2. ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური და ნეოკეიზიანური მოდელები.
3. ეკონომიკური ზრდის წინააღმდეგობები.
4. ეკონომიკური ციკლის ფაზები და მისი მიზეზები.
5. დასაქმების ეკონომიკური ცნება და შინაარსი.
6. დაახასიათეთ უმუშევრობის ტიპები.
7. კეინზის ეკონომიკური თეორია და მისი ძირითადი საფუძვლები.

მეთოთხმეტე თავი
საგარეო ვაჭრობა

დღეს სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული ეკონომიკები მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან და ქმნიან ერთიან მსოფლიო მეურნეობას.

განსახილველი საკითხები:

- **საგარეო ვაჭრობის "საზომები." რატომ ვაჭრობენ ქვეყნები?**
- **რესურსების არათანაბარი განაწილება. აბსოლუტური უპირატესობა საგარეო ვაჭრობაში. შედარებითი უპირატესობა საგარეო ვაჭრობაში.**
- **პოლიტიკური ფაქტორი საგარეო ვაჭრობაში. სავაჭრო ბარიერები. საგარეო ვაჭრობის შეზღუდვის სახეები. საგარეო ვაჭრობაში შეზღუდვების არსებობის მიზეზები.**
- **რა არის ტრანსნაციონალური კორპორაცია?**
- **საერთაშორისო დაფინანსება**
- **სავალუტო კურსი. როგორ დგება სავალუტო კურსი. ნავთობდილერები, ევროდოლარები და სხვა ევროვალუტები.**
- **ეკონომიკური აზროვნების ისტორიიდან: დეივიდ რიკარდო** (1772-1823).
- **საგადასახდელო ბალანსი**

საბარეო ვაჭრობის "" "საზომები""

მთლიანად, ქვეყნებს შორის საქონელგაცვლის დასახასიათებლად გამოიყენება სხვა, განზოგადებული მაჩვენებლები.

ყველა საქონელი, რომელიც ქვეყანამ მოცემულ წელს შეისყიდა უცხოეთში (მათი ღირებულება) იწოდება იმპორტად (შემოტანა). საქონელი, რომელსაც ქვეყანა მიჰყიდის სხვა ქვეყნებს (მათი ღირებულება) იწოდება ექსპორტად (გატანა). სხვაობა ექსპორტსა და იმპორტს შორის ქმნის საგარე ვაჭრობის სალდოს.

იგი დადებითია, როცა ექსპორტი ჭარბობს იმპორტზე, ან უარყოფითი, თუ ექსპორტი ნაკლებია იმპორტზე. უკანასკნელ შემთხვევაში ამბობენ, რომ საგარეო ვაწრობის ბალანსში შექმნილია დეფიციტი.

შემოტანას და გატანას, ცხადია, შეუძლიათ ერთმანეთის ზუსტად გაწონასწორება. ექსპორტისა და იმპორტის ჯამი ქმნის საგარეი ვაჭრობის ბრუნვას.

ექსპორტის მეტობა იმპორტზე ექსპორტიორი ქვეყნისათვის ნიშნავს ეეპ-ის გაზრდას, და პირიქით, იმპორტის გაზრდა ამცირებს ეეპ-ს და ეკონომიკაზე მთლიანად საწინააღმდეგო ზემოქმედებას ახდენს. ექსპორტისა და იმპორტის ღირებულების ეეპ-თან (ან ეშპ-თან) შეფარდება არის კიდევ ერტი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს არა მარტო საგარეო ვაჭრობას, არამედ ქვეყნის ეკონომიკას მთლიანად.

რატომ ვაჭრობენ ქვეყნები?

ამ კითხვაზე პასუხს ეკონომისტები დიდხანს (საუკუნეები) ეძებდნენ. ყველაზე მარტივი და დამაჯერებელი პასუხი გასცა მას პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებელმა ა. სმიტმა 200

წლის უკან. გაავლო რა ანალოგია შიდა და საგარეო ვაჭრობას შორის, მან ასეთი ფორმულირება მოგვცა: "ოჯახის ყოველი კეთილგონიერი უფროსის ძირითადი წესი იმაში მდგომარეობს, რომ არ მოიწადინოს სახლში იმ საგნების დამზადება, რომელიც მას უფრო ძვირი დაუჯდება, ვიდრე მისი გარედან შეძენა. თერძი არ შეეცდება თვითონ შეიკეროს ჩექმები, და მეჩექმისაგან იყიდის მას. არც მეჩექმე მოინდომებს თვითონ შეიკეროს ტანსაცმელი და თერძის მომსახურებით ისარგებლებს. ფერმერი კი ამ ოროვე ხელოსნის მომსახურებას გამოიყენებს. თითოეული მათგანი მეტ სარგებელს ხედავს თავის შრომაში, როცა მას იმ საქმიანობაში (სფეროში) იყენებს, რაშიც გარკვეული უპირატესობა გააჩნია სხვებთან შედარებით. ყველაფერი დანარჩენი კი შეუძლია იყიდოს შექმნილი პროდუქტის სანაცვლოდ, ანუ, ხვანაირად, თავისი შრომის პროდუქტის ნაწილის საფასურად. ის, რაც ნებისმიერი კერძო ოჯახის საქმიანობაში გონივრულია, არ შეიძლება არაგონივრული იყოს მთელი კოლექტივისათვის. თუ რომელიმე უცხო ქვეყანას შეუძლია ჩვენი მომარაგება რაიმე საქონლით იმაზე იაფად, ვიდრე მისი წარმოება ჩვენ დაგვიჯდება, ბევრად უკეთესი იქნება მისი ყიდვა იმ პროდუქტის ნაწილის სანაცვლოდ, რომელიც საკუთარი მრეწველური შრომით შეიქმნა და რომლის წარმოებაშიც ჩვენ გარკვეული უპირატესობა გაგვაჩნია".

რესურსების არათანაბარი განაწილება

საგარეო ვაჭრობიდან მოგებას გამოსახავენ ორი ეკონომიკური მაჩვენებლით – აბსოლუტური და შედარებითი (შეფარდებითი) უპირატესობებით.

აბსოლუტურ უპირატესობაზე ლაპარაკობენ მაშინ, როცა ქვეყანას შეუძლია რაიმე პროდუქტი სხვებზე იაფად აწარმოოს, შედარებითზე – როცა იგი ამ მიმართებით სხვებს არ უსწრებს, მაგრამ ცალკეულ ქვეყანაში და სხვა ქვეყნებში განსხვავებულია.

აბსოლუტური უპირატესობა საგარეო ვაჭრობაში

განვიხილოთ პირობითი მაგალითი. დავუშვათ, რომ მსოფლიო ეკონომიკა ორი იზოლირებული A და B ქვეყნისაგან შედგება. ორივე ქვეყანას შეუძლია დაამზადოს ბრინჯიცა და ყავაც. ვიგულისხმოთ, რომ ორივე ქვეყნის მთელი მოსახლეობა ორი კაცისაგან შედგება: ერთი დასაქმებულია ბრინჯის მოყვანით, მეორე – ყავის წარმოებით. ქვეყანას შეუძლია წელიწადში 10 ტ. ბრინჯის და 1 ტონა ყავის დამზადება, ქვეყანას – 1 ტ. ბრინჯისა და 2 ტონა ყავის. ცხრილები 14.1 და 14.2 შესაბამისად ასახავენ ა და ბ ქვეყნებში სპეციალიზაციამდე და სპეციალიზაციის შემდეგ ბრინჯის და ყავის წარმოებას.

ცხრილი 14.1

A და **B** ქვეყნებში სპეციალიზაციამდე ბრინჯისა და ყავის წარმოება

ქვეყანა	ბრინჯი (ტონა)	ყავა (ტონა)
A	10	1
B	1	2
ჯამი	11	3

ცხრილი 14.2

A და **B** ქვეყნებში ბრინჯისა და ყავის წარმოება სპეციალიზაციის შემდეგ

ქვეყანა	ბრინჯი (ტონა)	ყავა (ტონა)
A	20	0
B	0	4
ჯამი	20	4

ბრინჯის ფასი ორივე ქვეყნისათვის მისაღები რომ იყოს, იგი უნდა აღემატებოდეს 0.1 ტ. ყავის ღირებულებიას (ქვეყნისათვის) და ნაკლები იყოს 2 ტ. ღირებულებაზე (ქვეყნისათვის). გამოვსახოთ ეს თანაფარდობა უტოლობების სახით:

0,5 ტ. ბრინჯის ფასი < 1 ტ. ყავის ფასი < 10 ტ. ბრინჯის ფასი.

0,1 ტ. ყავის ფასი < 1 ტ. ბრინჯის ფასი < 2 ტ. ყავის ფასი

რაც მეტია ამ ზღვრებში ბრინჯის ფასი, მით მეტ სარგებელს ნახავს მის წარმოებაზე სპეციალიზებული ქვეყანა ქვეყანა. ასევე, რაც მცირეა ბრინჯის ფასი და, შესაბამისად, მაღალია ყავის ფასი, მით მეტ მოგებას ნახავს ყავის წარმოებაზე სპეციალიზებული ქვეყ-ანა.

შედარებითი უპირატესობა საგარეო ვაჭრობაში

განვიხილოთ ეს სიტუაცია პირობით მაგალითზე და მონაცემები წარმოვადგინოთ ცხრილში ქვეყანა აბსოლუტურ უპირატესობას ფლობს როგორც ბრინჯის (10 ტ). ისე ყავის (4ტ) წარმოებაში.

ცხრილი 14.3

ბრინჯისა და ყავის წარმოება სპეციალიზაციამდე **A** და **B** ქვეყნებში

ქვეყანა	ბრინჯი (ტონა)	ყავა (ტონა)
A	10	4
B	1	2
ჯამი	11	6

A ქვეყანაში 1 ტ. ბრინჯზე დანახარჯები ეტოლება 0,4 ტონა ყავის წარმოებაზე გაწეულ ხარჯებს (4:10=0,4); **B** ქვეყანაში ეს მაჩვენებელი 2-ის ტოლია (2:1=2). სხვა სიტყვებით, ბრინ-ჯის წარმოებაზე დანახარჯები **A** ქვეყანაში (ხუთჯერ: 2/0,4=5) ნაკლებია ვიდრე **B**- ში. ასეთ შემთხვევაში ამბობენ, რომ **A** ქვეყანა ბრინჯის წარმოებაში შედარებით უპირატესო-ბას ფლობს, ხოლო **B** ქვეყანას შედარებითი უპირატესობა ყავის წარმოებაში გააჩნია. სპე-ციალიზაცია და ქვეყნებს შორის ვაჭრობა ურთიერთხელსაყრელია მანამ, სანამ ამგვარი

შედარებითი უპირატესობების შენარჩუნება შესაძლებელი ხდება. რა თქმა უნდა იმ პირობის გათვალისწინებით, რომ გარევაჭრობის ფასები მერყეობს მოცემულ ზღვრებში:

0,4 ტ. ყავის ფასი < 1 ტ. ბრინჯის ფასი < 2,5 ტ. ბრინჯის ფასი.

0,5 ტ. ბრინჯის ფასი < 1 ტ. ყავის ფასი < 2 ტ. ყავის ფასი

პოლიტიკური ფაქტორი საგარეო ვაჭრობაში

საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციასთან დაკავშირებული საკითხის გადაჭრისას ხშირად ძალაში შედის პოლიტიკური ფაქტორი და როგორღაც უკანა პლანზე გადადის ეკონომიკურ სარგებელთან დაკავშირებული მოსაზრებანი.

საგაჭრო ბარიერები

შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მონაწილე ყოველ ერს (და მთლიანად მსოფლიოს) შეუძლია დიდი შემოსავალი მიიღოს მის განკარგულებაში არსებული რესურსების გამოყენებით. მიუხედავად ამისა, ქვეყნებს შორის სავსებით თავისუფალი ვაჭრობა დღესდღეობითაც კეთილ სურვილად რჩება. ამა თუ იმ ფორმით ყოველი სახელმწიფო არეგულირებს და ზღუდავს თავის საგარეო ვაჭრობას.

ეკონომისტთა შორისაც არ არის ერთიანი შეხედულება იმაზე, საჭიროა თუ არა საგარეო ვაჭრობის რეგულირება. კერ კიდევ მერკანტილისტები ამტკიცებდნენ იმპორტის შეზღუდვის აუცილებლობას ქვეყნის ოქროს მარაგის ამოწურვის (გამოლევის) თავიდან აცილების მიზნით. მათ მიმდევრებს დღეს ეძახიან პროტექციონისტებს (ლათინური სიტყვიდან "პროტეკციონ" – დაცვა). მათი მოწინააღმდეგენი, რომელთაც ფრიტრედერებს უწოდებენ (ინგლისური სიტყვიდან "free trade" – რაც თავისუფალ ვაჭრობას ნიშნავს) პირიქით, იბრძვიან საგარო ვაჭრობის მაქსიმალური თავისუფლებისათვის და მხრას არ უჭერენ სახელმწიფო რეგულირებას.

საგარეო ვაჭრობის შეზღუდვის სახეები

გარევაჭრობის შეზღუდვის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს *ტარიფები* ანუ *ბაჟი* – გადასახადი იმპორტულ საქონელზე. ტარიფი დგება იმპორტული საქონლის ერთეულზე განსაზღვრული ფულადი თანხის მიხედვით (მაგ., 1 ტონაზე 20 ათასი ლარი. – ე.წ. სპეციფიკური ტარიფი) ან საქონლის ფასიდან პროცენტის სახით.

საბაჟო გადასახადის შემოღებას ორი მიზანი გააჩნია: პირველი, სახელმწიფო ბიუჯეტისათვის შემოსავლების მიღება, მეორე-სამამულო მეწარმეობის დაცვა უცხოური კონკურენციისაგან. ტარიფის პირველ სახეს ეწოდება *ფისკალური* (ინგლისური სიტყვიდან "ფისკალ", რაც საფინანსოს, საგადასახადოს ნიშნავს). დღეს მისი განაკვეთები უმრავლეს განვითარებულ ქვეყნებში შედარებით დაბალია, მაგრამ ყოველთვის ასე არ ყოფილა.

უცხოური კონკურენტებისაგან დასაცავად გამოიყენება ე.წ. პროტექციონისტული ტარიფები. რამდენადაც ტარიფი დგება იმპორტული საქონლის ფასზე დანამატის სახით, ამიტომ ადგილი აქვს საქონლის ფასის ხელოვნურად გაზრდას, რაც იმავდროულად ზრდის იმპორტიორი ქვეყნის ბიუჯეტსაც. ამასთან, თუ იმპორტული საქონლის ფასი მეტი იქნება სამამულო წარმოების მსგავსი საქონლის ფასზე, მაშინ მომხმარებელი უპირატესობას მიანიჭებს "თავის" ნაწარმს. ეროვნული წარმოება (მწარმოებელი) ამით დაცული აღმოჩნდება ფასობრივი კონკურენციისაგან უცხო ქვეყნის მხრიდან. თუ პროტექციონისტული ტარიფის განაკვეთი მაღლა აიწევს, მას შეუძლია, თავისი არსით, ამკრძალავი დანიშნულებაც შეასრულოს. ძალზე ძვირი იმპორტული საქონელი, უბრალოდ არ გასაღდება.

გარევაჭრობის ბარიერების მეორე ტიპს მიეკუთვნება *კვოტები*, ანუ შეზღუდვა განსაზღვრული საქონლის მაქსიმალურ რაოდენობაზე, რომელიც შეიძლება წლის განმავლობაში ქვეყანაში შეიტანონ ან ქვეყნიდან გაიტანონ. იმპორტული კვოტები, ისე როგორც საბაჟო გადასახადი, წარმოადგენს ეროვნული მეწარმეობის დაცვის საშუალებას უცხოური კონკურენტებისაგან. ამასთან, უფრო მეტად ეფექტურს ვიდრე ტარიფებია.

კვოტები და ბაჟები შეიძლება დააწესონ ექსპორტზეც, თუ ქვეყანას სურს შეზღუდოს იშვიათი რესურსების ან უახლესი ტექნოლოგიების "გადინება" უცხოელი კონკურენტებისაკენ.

არსებობს, კიდევ, საგარეო ვაჭრობის რეგულირების მთელი რიგი ადმინისტრაციული, არაეკონომიკური ზომები, რომელთაც არასატარიფო ბარიერების სახელწოდება მიიღეს. მთავრობას, მაგალითად, შეუძლია მოითხოვოს სპეციალური ნებართვა – *ლიცენზია* – ქვეყანაში საქონლის შესატანად ან იქედან გამოსატანად (ე.წ. *საგარეო ვაჭრობის ლიცენზირება*).

ზოგიერთ ქვეყნებში აწესებენ ხარისხის ძალზე მაღალ სტანდარტებს შემოსატან პროდუქციაზე ან, უბრალოდ, იმდენად ართულებენ ბიუროკრატიულ პროცედურას (რომელიც მოითხოვს აუარებელი წვრილმანი დოკუმენტების გაფორმებას), რომ მსურველებს ყოველგვარი ინტერესი ეკარგებათ ხელი მოკიდონ საექსპერტო (საიმპორტო) ოპერაციებს. ამდენად, თავისი ქმედითობით არასატარიფო ბარიერები არანაკლებია პროტექციონისტულ ბარიერებზე და ამიტომ ხშირად "უხილავი ტარიფის" სახელს ატარებს.

ქვეყნებს შორის "ნორმალური" საქონელგაცვლის დამაბრკოლებელ ზომებს ზოგჯერ მიაკუთვნებენ *ექსპორტის სუბსიდირებას*. მთავრობა ექსპორტიორს დამატებით უხდის, რათა მან შეძლოს თავისი ქვეყნის პროდუქციის რეალიზება საზღვარგარეთ შიდა ფასებზე დაბალ ფასებში. საექსპერტო ფასების ამგვარი შეგნებული დაწევა ცნობილია *დემპინგის* სახელწოდებით. თეორიულად, იგი აკრძალულია ბევრი ქვეყნის კანონმდებლობით. თუმცა იმის მტკიცება, რომ ექსპორტიორი თავის პროდუქციას დაწეულ ფასებში უკეთებს რეალიზაციას – საკმარისად რთულია; ამიტომ პრაქტიკაში დემპინგი ახალი ბაზრების ათვისების (დაპყრობის) ქმედით საშუალებას წარმოადგენს.

საგარეო ვაჭრობის რეგულირების მეტად მკაცრი ღონისძიებათა კომპლექსი *სახელმწიფო მონოპოლიის* დაწესებაა, რომლის დროსაც თვით მთავრობა განსაზღვრავს საექსპერტო მიწოდებისა და იმპორტის მოცულობას, ამტკიცებს საექსპერტო და საიმპორტო ფასებს.

საგარეო ვაჭრობაში შეზღუდვების არსებობის მიზეზები

აშშ-ის პრეზიდენტს – აბრაამ ლინკოლნს – მიაწერენ ასეთ გამოთქმას: "მე ცოტა რა თუ ვიცი ტარიფებზე, მაგრამ ვიცი, რომ, როცა ინგლისში პალტოს ვყიდულობ, მე პალტოს ვიძენ, ინგლისი კი ფულს. როცა პალტოს ამერიკაში ვყიდულობ, პალტოს მე ვიძენ, ფულს – "ამერიკა". ასეთია პირველი ყველაზე ნათელი დასაბუთება (მოსაზრება) საგარეო ვაჭრობის რეგულირების სასარგებლოდ, რომელიც ხანდახან ნეომერკანტილისტურ სახელსაც ატარებს. მის საფუძველში დევს მეტად საღი იდეა – საქონლის გატანასა და შემოტანას შორის გარკვეული ბალანსის შენარჩუნების აუცილებლობაზე.

ქვეყანა, რომელსაც მეტი საქონელი შემოაქვს ვიდრე საზღვარგარეთ ყიდის მოვალედ იქცევა. სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდო დღეს არაიშვიათია და არ ითვლება ისეთ

საშიშ "ცოდვად" როგორც ეს პირველი მერკანტილისტების დროს იყო. მაგრამ წლიდან წლამდე დაგროვილი ვალი და პროცენტების გადახდის აუცილებლობა დაუფარავ ვალდებულებებზე არასასიამოვნოა.

გარდა ამისა, თანამედროვე საერთაშორისო ანგარიშთა სისტემის თანახმად, ქვეყნის დავალიანება ადრე თუ გვიან გამოიწვევს ეროვნული ქონების (საკუთრების) გაყიდვას. არა მგონია რომელიმე ამერიკელი, თუნდაც თავისუფალი ვაჭრობის ოდის აშკარა თაყვანისმმცემელი, აღფრთოვანებას გამოხატავდეს დღეს იმასთან დაკავშირებით, რომ ნიუ-იორკის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი შენობა – როკფელერ-ცენტრი – იაპონური კომპანიის საკუთრება გახდა.

სხვა არანაკლებ საფუძვლიანი არგუმენტი პროტექციონიზმის სასარგებლოდ, ესაა დარგის დაცვის აუცილებლობა, რომელსაც ამოსავალი (სასიცოცხლო) მნიშვნელობა გააჩნია ეროვნული უშიშროებისათვის.

ზოგიერთი ეკონომისტი ამტკიცებს, რომ დაცვას (ზრუნვას) საჭიროებს არა მარტო ქვეყნის თავდაცვა, არამედ ახალგაზრდა, ჯერ კიდევ ჩანასახში არსებული ეკონომიკის დარგებიც.

ახალგაზრდა დარგების დაცვის აუცილებლობა (არგუმენტი)

მრავალი განვითარებადი ქვეყნების ვიწროსპეციალიზებული ეკონომიკა, რომელიც ორიენტირებულია რომელიმე ერთი პროდუქციის ექსპორტზე, დიდადაა დამოკიდებული მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურაზე. მოუსავლიანობას ან მსოფლიო ფასების მკვეთრ დაცემას შეუძლია ისინი ჩააყენოს უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში. ამიტომ ამ ქვეყნების მთავრობები მიისწრაფვიან ეკონომიკის დივერსიფიკაციისაკენ – შექმნან ახალი დარგები და დაიცვან ისინი თავდაპირველადი ტარიფებითა და კვოტებით ან გაუწიონ სუბსიდირება ექსპორტისათვის.

პროტექციონისტული ღონისძიებების გატარებით, როცა ქვეყანა ერთი სახის პრობლემებს წყვეტს, იმავდროულად ქმნის მეორეს, არანაკლებ სერიოზულ პრობლემებს.

ქვეყანამ დარგი შეიძლება თავისი მფარველობით მართლაც დაიცვას, განავითაროს, მაგრამ ფასები დაცული დარგის სამამულო საქონელზე აღმოჩნდება იმაზე მეტი, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო უცხოელ მეწარმეებთან თავისუფალი კონკურენციის პირობებში.

ბალანსის მიღწევა თავისუფალ საგარეო ვაჭრობასა და ამ თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობას შორის საკმარისად რთულია. კიდევ უფრო ძნელია, და ალბათ შეუძლებელიც, ერთმანეთს შევუფარდოთ ეროვნული ინტერესების ცნება (რომლის დამცველებად პროტექციონისტები გამოდიან) და მსოფლიო მასშტაბით ეკონომიკური ეფექტიანობის აბსტრაქტული ცნება (რომელსაც ფრიტრედერები ქადაგებენ). ამიტომ დავა ამ ორ მიმართულებას შორის ეკონომიკურ მეცნიერებაში დიდი ხანია გრძელდება და მის დასრულებას პირი არ უჩანს. პრაქტიკაში ყველა ქვეყანა ამ საკითხს თავისებურად წყვეტს საკუთარ სახალხო მეურნეობაში არსებული მდგომარეობისა და იმ ეკონომიკური პრობლემებიდან გამომდინარე, რომელიც მათ წინაშე დგას.

რა არის ტრანსნაციონალური კორპორაცია?

ტრანსნაციონალური კორპორაცია (ტეკ) კომპანიაა, რომელსაც ფილიალები გააჩნია სხვა ქვეყნებში. აშშ-ში "კორპორაციას" უწოდებენ სააქციო საზოგადოებას, და რამდენადაც

თანამედროვე ტეკ-ის უმრავლესობა აღმოცენდება ამერიკული კომპანიების საერთაშორისო ექსპანსიის შედეგად, ეს ტერმინი მათ სახელწოდებაშიც შევიდა.

მსხვილი ტეკ – ეს გიგანტური ორგანიზაციაა, სადაც მუშაობს ათეულ და ასეულ ათასობით ადამიანი.

ტეკ შედგება სათავო კომპანიისა და ფილიალებისაგან ანუ სხვადასხვა ქვეყნებში არსებული შვილობილი ფირმებისაგან. სატავო კომპანიას შეუძლია 100%-იანი საფინანსო კონტროლი გაუწიოს ფილიალებს, თუმცა ამ უკანასკნელთ შესაძლებელია გააჩნდეთ შერეული ფორმა (ერთობლივი საწარმო) ეროვნული მონაწილეობის უპირატესობით.

ტრანსნაციონალური კომპანიის პრინციპული განსხვავება მონონაციონალური კომპანიისაგან (თუნდაც ამ უკანასკნელს თავისი პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთ გაქონდეს) იმაში მდგომარეობს, რომ ტეკ ქმნის თავის საწარმოო, სავაჭრო ან ფინანსურ საწარმოებს (ორგანიზაციებს) რამდენიმე და არა ერთ ქვეყანაში. გარკვეული აზრით, ტეკ-ს, ისე "სამშობლო არ გააჩნია".

ტეკ განათავსებს წარმოების ცალკეულ სტადიებს იქ, სადაც ამისათვის ოპტიმალური საწარმოო პირობები არსებობს. მაშინაც კი რიცა ქვეყანაში არ არის გასაღების ტევადი ბაზარი ნახევარფაბრიკატებისათვის მას შეისყიდის სხვა ქვეყანაში არსებული ტეკ-ს ფილიალი. ტევადი ბაზრის მქონე ქვეყანაში კი ჩვეულებრივ ქმნიან საწარმოებს, რომლებიც უშვებენ მზა პროდუქციას სხვადასხვა ქვეყნებში (და მათ შორის სათავო საწარმოს სამშობლოში) დამზადებული მაკომპლექტებელი ნახევარფაბრიკატებისაგან.

საყურადღებოა, რომ ტრანსნაციონალურ კომპანიასთან დაკავშირებული ყველაზე მწავავე საკითხი ეხება მოგების განაწილებას სათავო კომპანიასა და მის ქვეყნისგარეთა ფილიალებს შორის. საქმე იმაშია, რომ ერთ კომპანიაში შემავალ სწარმოთა შორის ანგარიშებში ფასები რეალურ ხარჯებს არ გამოსახავენ, რამდენადაც ისინი შიდა, საანგარიშსწორებო ფასებს წარმოადამის გამო ტეკ-ს აქვს საშუალება თავის მოგება "გაიანგარიშოს" იმგვარად, რომ მისი ძირითადი ნაწილი მოდიოდეს იმ საწარმოებზე, რომლებიც ფუნქციონირებენ ქვეყნებში, სადაც შეღავათიანი გადასახადებია დაწესებული. გადასახადებზე გაკეთებული ეკონომია კი ტეკ-იის ერთ-ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი უპირატესობაა მონონაციონალურ კომპანიებთან შედარებით.

როგორც ვხედავთ ტეკ მაქსიმალურ მოგებას ქაჩავს საერთაშორისო სპეციალიზაციის აბსოლუტური და შედარებითი უპირატესობებიდან და ამასთან ერტად წარმატებით უვლის გვერდს მის გზაზე არსებულ ბარიერებს.

მართალია, ის რაც ტეკ-თვისაა სასარგებლო, ყოველთვის სრულებითაც არაა ხელსაყრელი იმ ქვეყნის ეკონომიკისათვის, სადაც ასეტი ფილიალები იქმნება. სახელმწიფო რომლის ტერიტორიაზე არსებობს უცხოური საწარმოები, როგორც წესი, დაინტერესებულია იმით, რომ მათი საქმიანობიდან მოგება მოხმარდეს წარმოების გაფართოებას და არა მის საზღვარგარეტ გაგზავნას. ტეკ კი პირიქით, ცდილობს ფული იქ ჩადოს, სადაც ის მაქსიმალურ მოგებას მოიტანს, მით უმეტეს, რომ ამისათვის მას გააჩნია აუცილებელი სახსრები – იგივე შიგა ფასების მანიპულირების ხარჯზე. საკითხს ე.წ არათანაბარუფლებიანი გაცვლის შესახებ დიდი ხანია აყენებენ განვითარებადი ქვეყნები.

საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსება

ყველა ქვეყანას გააჩნია თავისი ფულადი ერთეული ანუ ვალუტა ქვეყნის შიგნით მიმოქცევისათვის, რომელიც წარმოადგენს კანონიერ საგადასახდელო საშუალებას მხოლოდ მის ტერიტორიაზე.

სავალუტო კურსი

ერთი ვალუტის მეორეზე გაცვლა ხორციელდება გარკვეული თანაფარდობით, რომელსაც სავალუტო ანი გაცვლის კურსი ეწოდება/

სავალუტო კურსი – ეს ერთი ქვეყნის ფულადი ერთეულის ფასია მეორე ქვეყნის ფულად ერთეულში გამოსახული. რამდენადაც სავალუტო კურსი წარმოადგენს ორი ვალუტის თანაფარდობას, ამიტომ იგი შეიძლება ორი ხერხით გამოვსახოთ.

ვთქვათ, ფრანგი მეღვინე კონიაკის ექსპორტს ეწევა აშშ-ში 180 ფრანკად 1 ბოთლში. სავალუტო კურსი შეადგენს 6 ფრანკს 1 დოლარზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ამერიკელმა მომხმარებელმა 1 ბოთლ კონიაკში 3 დოლარი უნდა გადაიხადოს (180:6). ახლა ვიგულისხმოთ, რომ სავალუტო კურსი შეიცვალა, დოლარის ფასი დაეცა ფრანკთან მიმარტებაში და გახდა 4 ფრანკი. თუ ფრანგი მეღვინე 1 ბოთლ კონიაკში ძველებურად 180 ფრანკს მოითხოვს, მაშინ ამერიკელ მომხმარებელს მოუწევს მასში 45 დოლარის გადახდა (180:4). ამრიგად, ნაციონალური ვალუტის კურსის დაცემა სხვა ქვეყის ვალუტასთან მიმართებაში იწვევს ნაციონალურ ბაზარზე ამერიკული საქონლის გაძვირებას. ამას შედეგად მოყვება იმპორტის შეკვეცა, რადგან მასზე ფასების გაძვირება მოთხოვნის შემცირებასაც გამოიწვევს.

ნაციონალური ვალუტის კურსის გაზრდას სხვა ქვეყნების ვალუტების მიმართ, პირიქით, იმპორტული საქონლის გაიაფება შეუძლია გამოიწვიოს.

ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ სავალუტო კურსის იგივე ცვლილებისას საფრანგეთში ამერიკულ ექსპორტზე უკუპროცესებს ექნება ადგილი.

დასკვნა: ეროვნული (ნაციონალური) ვალუტის კურსის დაცემა აიაფებს მოცემული ქვეყნის საექსპორტო საქონელს გარე ბაზრებზე და ასტიმულირებს ექსპორტის ზრდს. სავალუტო კურსის გაზრდა კი, პირიქით, აკავებს ექსპორტს, რადგან იწვევს საექსპორტო საქონლის გაძვირებას სხვა ქვეყნების ბაზარზე.

როგორ დგება სავალუტო კურსი

როგორ დგება ვალუტების გაცვლის კურსი? დღეს სხვანაირად, ვიდრე მეოთხედი და ნახევარი საუკუნის უკან. მარტო მე-20 საუკუნის განმავლობაში სამი სავალუტო სისტემის შეცვლა მოხდა: ოქროს სტანდარტი შეცვალა ოქროსვალუტიანმა სტანდარტმა, ხოლო ეს უკანასკნელი – მცურავი სავალუტო კურსების სისტემამ.

ოქროს სტანდარტი შემოიღეს ბევრ ქვეყანაში (მათ შორის რუსეთშიც) მე-19 საუკუნის ბოლოს და მოქმედებდა მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე. ასეთი სისტემა ოფიციალურად ითვალისწინებდა ნაციონალური ვალუტის ოქროს "შემცველობის" (ოქროზე გაცვლის კურსის) დადგენას.

მაგალითად, 1897 წელს რუსეთის მანეთის ოქროს შემცველობა განისაზღვრებოდა 0,774234 გ. ოქროთი. მთავრობა პასუხისმგებლობას ღებულობდა თავის თავზე აეღო საკუთარი ვალუტის ოქროზე გაცვლა. ამ სისტემას რომ ემუშავა, საჭირო იყო მკაცრი თანაფარდობის დაცვა ქვეყნის ოქროს მარაგსა და მის შიდა ფულად მიწოდებას შორის. ამისათვის ნებადარტული იყო ოქროს თავისუფალი ექსპორტი და იმპორტი. ნაციონალური

ვალუტის ოქროს შემცველობიდან გამომდინარე ხდებოდა მათი კურსის დადგენა ერთმანეთის მიმართ. მაგალითად, აშშ-=ის დოლარის ოქროს შემცველობა შეადგენდა 23,22 გრანს (1 გრანი =0,0648 გრამი), ინგლისური ფუნტი – 113 გრანს, ანუ4,87-ჯერ მეტს. აქედან განისაზღვრებოდა ფუნტის კურსი დოლართან მიმართებაში: 1 ფუნტი = 4,87 დოლარი.

ქვეყნის უმრავლესობამ უარი თქვა ოქროს სტანდარტზე 30-იანი წლების დეპრესიის პერიოდში. 1994 წელს ძალაში შევიდა ***ოქროსვალუტიანი სისტემა***, რომელსაც სხვანაირად ბრეტონ-ვუდსის სისტემასაც უწოდებდნენ (აშშ-ის იმ ქალაქის სახელწოდების მიხედვით, სადაც იგი მიიღეს). ამ სისტემით ხდებოდა ვალუტების ფიქსირებული კურსის განსაზღვრა, მაგრამ არა ოქროს გარკვეული შემცველობის მიხედვით, არამედ მათი მყარი კურსის დადგენისგზით ე.წ ***სარეზერვო ვალუტების*** მიმართ, რომელთა შორის ძირითადი აშშ-ის დოლარი გახდა.

ასეთი სქემის პირობებში, ის ქვეყნებიც კი, რომელთაც საკუთარი ოქროს მარაგი არ გააჩნდათ, შესაძლებლობას ღებულობდნენ დაედგინათ თავიანთი ფულადი ერთეულის "ოქროს შემცველობა".

სავალუტო კურსების სტაბილურობის შენარჩუნება შედიოდა ასევე საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) ამოცანებში, რომელიც ჩამოყალიბდა 1944 წელს. ბრეტონ-ვუდსის სისტემაში შემავალი ქვეყნების შენატანების საშუალებით შეიქმნა სპეციალური ფონდი, საიდანაც კრედიტი მიეცემოდა იმ წევრ-ქვეყნებს, რომლებიც განიცდიდნენ ფინანსურ სიძნელეებს. ასე, მაგ., სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდოს მქონე ქვეყანა მიღებულ კრედიტებს იყენებდა დეფიციტის დასაფარავად, თავისი ვალუტის დოლარზე გაცვლის ფიქსირებული კურსის შესანარჩუნებლად. სსფ-ს მინიჭებული ჰქონდა უფლებამოსილება შეეცვალა მონაწილე-ქვეყნების სავალუტო კურსი ხანგრძლივი ფინანსური სიძნელეების შემთხვევაში.

ოქროსვალუტიანმა სისტემამ იარსება საუკუნის მეოთხედი. 1971 წელს აშშ-მა ჩათვალა, რომ მას ძალა აღარ შესწევს შემდგომში განახორციელოს დოლარების ოქროზე გაცვლა, რაც ნიშნავდა აღნიშნული სისტემის დაშლას.

სანაცვლოდ გაჩნდა ახალი სისტემა – მცურავი ვალუტების კურსები. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ვალუტების კურსი განისაზღვრება მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობიდან გამომდინარე, მსგავსად ფასიანი ქაღალდების კურსისა საფონდო ბირჟაზე.

თავიდანვე შევთანხმდეთ, რომ თუმცა მცურავი ვალუტების კურსების სისტემა დღეს გაბატონებულია, ამის მიუხედავად არც თუ ყველა ქვეყანას სურს თავისი ვალუტის აბსოლუტურად "თავისუფალ ცურვაში" გაშვება.

ასე, მაგ., 1979 წელს ევროპული კავშირის ფარგლებში შეიქმნა ევროპული სავალუტო სისტემა, რომელმაც დაადგინა პარიტეტი, ანუ კურსი, აღნიშნულ გაერთიანებაში შემავალი თითოეული ქვეყნის ვალუტისა მეორე (სხვა) ქვეყნის ვალუტის მიმართ. მათ ვალუტებს შეეძლოთ მერყეობა განეცადათ ამ კურსის (დადგენილი კურსის – თ.გ.) მიმართ რამდენიმე პროცენტის ზღვრებში. თუ კურსის რხევა დადგენილი ზღვრიდან გამოსვლის საშიშროებას შექმნიდა, მაშინ მიმართავდნენ ამ ვალუტის ოფიციალური კურსის ცვლილებას ცენტრალური ბანკის საშუალებით სხვა ქვეყნებთან შეთანხმების საფუძველზე.

ოფიციალური კურსის ცვლილებას გაზრდის მხარეს რევალვაცია ეწოდება, შემცირების მხარეს – დევალვაცია. ხშირად ეს ტერმინები ესმით უფრო ფართოდ –

როგორც ნაციონალური ვალუტის კურსის ნებისმიერი ცვლილება სხვა ქვეყნების ვალუტებთან მიმართებაში, მით უმეტეს, რომ 1993 წლიდან ეგ ქვეყნების ვალუტების კურსების ცვლილებები ნებადარტულია ისე დიდ ზღვრებში (15%), რომ მათი "ცურვა" პრაქტიკულად თავისუფალი ხდება.

გარდა აღნიშნულისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის 90-ზე მეტი ქვეყანა იყენებს ე.წ. ***შეკრული სავალუტო კურსების*** სისტემას, რომლის თანახმად თითოეული ქვეყნის ვალუტა გარკვეული თანაფარდობით "მიბმულია" ერტ-ერთ ძირითად "მცურავ" ვალუტასთან, უპირატესად ამერიკულ დოლართან.

ითვლება, რომ მცურავ სავალუტო კურსების სისტემას გააჩნია ერთი აუცილებელი უპირატესობა თავის წინამორბედებთან შედარებით. თეორიულად მას შეუძლია სავაჭრო ბალანსში დეფიციტის გამოსწორება მთავრობის ჩარების გარეშე. თუ როგორ მუშაობს ეს მექანიზმი, განვიხილოთ მაგალითზე.

მაგრამ მთავრობა, ჩვეულებრივ, გულხელდაკრეფილი არ ზის. რათა თავიდან იქნეს აცილებული საკუთარი ვალუტის კურსების მკვეთრი მერყეობა ისინი პერიოდულად ე.წ. ***სავალუტო ინტერვენციებს*** ახდენენ. საკუთარი ვალუტის კურსის დაცემისას მთავრობა მას იძენს სპეციალური სახელმწიფო ფონდების სახსრებიდან ხოლო ნაციონალური ვალუტის კურსის ამაღლებისას, პირიქით, ყიდიან მას სავალუტო ბირჟაზე.

ნავთობდოლარები, ევროდოლარები და სხვა ევროვალუტები

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ზოგმა ევროპულმა და შემდეგ სხვა ქვეყნებმაც ნება დართეს თავიანთ და უცხოურ ბანკებს მის ტერიტორიაზე ჰქონოდათ (გაეხსნათ) ანგარიშები და ეწარმოებინათ ოპერაციები უცხოურ ვალუტაზე. მაგალითად, ევროპაში ამგვარმა ანგარიშებმა დოლარზე მიიღეს ***ევროდოლარის*** სახელწოდება, ოპეკის ქვეყნებში დოლარზე ანგარიშებმა – ***ნავთობდოლარის*** სახელწოდება.

მათი ძირითადი განსხვავება შესაბამისი ეროვნული ვალუტისაგან იმაში მდგომარეობს, რომ ისინი არ ექვემდებარებიან რეგულირებას ეროვნული საფინანსო ორგანოების მეშვეობით. სწორედ ამაშია მათი ძირითადი პოპულარობის მიზეზი. როცა, მაგალითად, აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა კრედიტზე საპროცენტო განაკვეთს ზრდის, ეს წესი არ ვრცელდება საზღვარგარეთ არსებული ამერიკული ბანკების ფილიალებზე და, მით უმეტეს, უცხოურ ბანკებზე, რომელთაც ანგარიშები დოლარებში გააჩნიათ. მათ ადრინდელივით შეუძლიათ კრედიტები გასცენ დაბალი პროცენტით. თუმცა, შესაძლებელია, საწინააღმდეგი სიტუაციაც.

საგადასახდელო ბალანსი: საგარეო სექტორის ანგარიშები და მათი მნიშვნელობა

ამა თუ იმ ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები გულისხმობს მოცემული ქვეყნის ეკონომიკური აგენტების ეკონომიკურ ურთიერთობებს არარეზიდენტებთან, ანუ „დანარჩენ სამყაროსთან". ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენ მრავალფეროვანი და მასშტაბური შეიძლება იყოს აღნიშნული ეკონომიკური ურთიერთობები და მათთან დაკავშირებული ფინანსური მოთხოვნები და ვალდებულებები. ყოველივე აღნიშნულის შესასწავლად საგარეო სექტორის ანგარიშები გამოიყენება. ეს ანგარიშები საშუალებას იძლევა ვუპასუხოთ კითხვებს, თუ რამდენის მოხმარება შეუძლია ქვეყანას და რამდენის -

ინვესტირება; რამდენის სესხება შეუძლია „დანარჩენი სამყაროდან“ და რამდენის - გასესხება. მეორე მხრივ, საგარეო სექტორის ანგარიშები საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ ქვეყანაში მოხმარებისა და ინვესტირებისათვის საჭირო საქონლისა და მომსახურების წყაროების პრიორიტეტები: ვაწარმოოთ ისინი თავად, თუ იმპორტს მივანიჭოთ უპირატესობა.

ამდენად, საგარეო სექტორის ანგარიშები, რომლებიც მოწოდებულია უპასუხოს ყველა ამ შეკითხვას, მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია პოლიტიკის მკეთებელთა ხელში, რათა მათ სწორად განსაზღვრონ ქვეყნის, არა მარტო საგარეო ეკონომიკური, არამედ მთლიანი ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტები.

ზემოაღნიშნული მიზნებისათვის ძირითადად ორი მნიშვნელოვანი სტატისტიკური ანგარიში გამოიყენება. ესენია საგადასახდელო ბალანსი და საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსი.

საგადასახდელო ბალანსის დანიშნულებაა ეკონომიკური ოპერაციების ასახვა მოცემულ ეკონომიკასა და საზღვარგარეთს შორის.

ეკონომიკურ თეორიაში ტერმინი “საგადასახდელო ბალანსი” პირველად გამოყენებული იყო 1767 წელს გვიანი მერკანტილიზმის წარმომადგენლის ჯეიმს სტიუარტის (1712-1780 წწ.) შრომაში “გამოკვლევები პოლიტიკური ეკონომიის პრინციპების თაობაზე”. საზოგადოების სიმდიდრის წყაროდ მას საგარეო ვაჭრობა მიაჩნდა და სწორედ საგარეო სავაჭრო ბალანსს აიგივებდა საგადასახდელო ბალანსთან. იგი თვლიდა, რომ აქტიური საგარეო სავაჭრო ბალანსი უზრუნველყოფდა ქვეყანაში ოქროს შემოდინებას და, მაშასადამე, მის სიმდიდრეს.

მიუხედავად აღნიშნულისა, საგადასახდელო ბალანსის მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხების მეტ-ნაკლებად სრულყოფილად დამუშავება მე-20 საუკუნამდე არ მომხდარა. საგადასახდელო ბალანსის პირველი ოფიციალური პუბლიკაცია, 1922 წლის მონაცემებით, მომზადებულ და გამოქვეყნებულ იქნა აშშ-ს ვაჭრობის სამინისტროს მიერ 1923 წელს. ამ ბალანსში საგარეო ეკონომიკური ოპერაციები კლასიფიცირებულ იყო 3 ჯგუფად: მიმდინარე, კაპიტალური და ოქროსა და ვერცხლთან დაკავშირებული ოპერაციები.

1943 წელს ამერიკელმა ეკონომისტმა ხ.ლერიმ შეადგინა აშშ-ს 1919-1939 წლების საგადასახდელო ბალანსი, რომლის მეთოდოლოგია საფუძვლად დაედო აშშ-ს საგადასახდელო ბალანსების გაანგარიშებას ომის შემდგომი პერიოდისათვის. 1946 წლიდან აშშ-ს ვაჭრობის სამინისტრომ დაიწყო კვარტალური და წლიური საგადასახდელო ბალანსების გამოქვეყნება ჟურნალში “Survey of Current Business”.

საგადასახდელო ბალანსის მეთოდოლოგიის განვითარებაში დიდი როლი ერთა ლიგამ შეასრულა. მისი ეგიდით 1924 წელს გამოქვეყნდა რიგი ქვეყნების საგადასახდელო ბალანსები, რითაც მისი მეთოდოლოგიური საკითხების გარდა, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებელთა სისტემის საერთაშორისო შესადარისობის პრობლემები წამოსწია წინ. ერთა ლიგის დამსახურებაა საგადასახდელო ბალანსის მეთოდოლოგიის სტანდარტიზაციისა და გაანგარიშების რეკომენდაციების საფუძვლების შემუშავება.

1947 წელს გაერომ გამოაქვეყნა საგადასახდელო ბალანსის ერთა ლიგის მიერ შემუშავებული სქემა, ხოლო 1948 წელს უკვე საერთაშორისო სავალუტო ფონდის ეგიდით გამოქვეყნდა საგადასახდელო ბალანსის სტანდარტული მეთოდოლოგიის პირველი გამოცემა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შექმნის თითქმის პირველი დღიდან (1945 წ.) წევრი

ქვეყნების საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესწავლა მის უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა. ამდენად, სწორედ იგი იქცა კანონმდებლად საგადასახდელო ბალანსის მეთოდოლოგიის საკითხებში. საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკის სახელმძღვანელოს მომდევნო ვერსიები გამოიცა 1950, 1961, 1977, 1993 და 2009 წლებში. ეს უკანასკნელი, ანუ საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკის მეთოდოლოგიის მე-6 ვერსია ამჟამად აქტიურად ინერგება უკვე ბევრ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში.

საგადასახდელო ბალანსი შედგება სამი ანგარიშისაგან. ესენია: მიმდინარე ანგარიში, კაპიტალის ანგარიში და ფინანსური ანგარიში.

მიმდინარე ანგარიშის ბალანსი ყველაზე ფართოდ გამოყენებული ეკონომიკური მაჩვენებელია. იგი არის საქონლის, მომსახურების პირველადი შემოსავლებისა და მეორადი შემოსავლების საკრედიტო და სადებეტო ჩანაწერებს შორის სხვაობა. მიმდინარე ანგარიშის დადებითი ბალანსი იმის მაჩვენებელია, რომ რეზიდენტების უცხოური აქტივები იზრდება და შესაბამისად იზრდება ქვეყნის წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია. თუ მიმდინარე ანგარიშის ბალანსი დეფიციტურია, ეს ნიშნავს რეზიდენტების უცხოური ვალდებულებების ზრდას და ქვეყნის წმინდა საერთაშორისო მდგომარეობის შემცირებას.

საგადასახდელო ბალანსის ზოგადი (მოკლე) სქემა

მიმდინარე ანგარიში	**კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში**
საქონელი	**კაპიტალის ანგარიში**
	კაპიტალური ტრანსფერები
მომსახურება	არაწარმოებული, არაფინანსური აქტივების შეძენა/გაყიდვა
მანუფაქტურული მომსახურება	
რემონტი და სხვა ტექნიკური მომსახურება	**ფინანსური ანგარიში**
ტრანსპორტი	პირდაპირი ინვესტიციები, წმინდა
ტურიზმი	პორტფელის ინვესტიციები, წმინდა
სამთავრობო მომსახურება	ფინანსური წარმოებულები, წმინდა
სხვა მომსახურება	სხვა ინვესტიციები, წმინდა
	წმინდა შეცდომები და გამოტოვებები
პირველადი შემოსავლები	**რეზერვები და მასთან დაკავშირებული მუხლები**
შრომის ანაზრაურება	სარეზერვო აქტივები
ინვესტიციებიდან შემოსავალი	კრედიტები და სესხები სსფ-დან
სხვა პირველადი შემოსავალი	განსაკუთრებული დაფინანსება
მეორადი შემოსავლები	

საქონელთან დაკავშირებული ოპერაციები გულისხმობს მასზე საკუთრების უფლების შეცვლას რეზიდენტობის თვალსაზრისით. ექსპორტი და იმპორტი საგადასახდელო ბალანსში აისახება -ფასებში, ანუ ტრანსპორტირებისა და დაზღვევის ღირებულების გარეშე.

სავაჭრო ბალანსი არის სხვაობა ექსპორტირებული და იმპორტირებული საქონლის ღირებულებებს შორის.

ანალიტიკური მიზნებისათვის, საქონელთან დაკავშირებული ოპერაციები გამიჯნულია მომსახურებისაგან.

მომსახურება მოიცავს ისეთ სახეებს, როგორებიცაა სატრანსპორტო, სადაზღვევო, ტურისტული, სატელეკომუნიკაციო, კომპიუტერული და საინფორმაციო, სამშენებლო,

სამთავრობო (მაგალითად, საელჩოებისა და საკონსულოების საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება), კულტურული და რეკრეაციული, პირადი მომსახურება, ინტელექტუალური საკუთრებით სარგებლობა და სხვა საქმიანი მომსახურება. გადასამუშავებლად განკუთვნილი საქონელი ასევე კლასიფიცირდება როგორც მომსახურება, თუ საქონლის მფლობელი გასამრჯელოს უხდის სხვას.

პირველადი შემოსავლების ანგარიში გვიჩვენებს პირველადი შემოსავლის ნაკადებს რეზიდენტ და არარეზიდენტ ინსტიტუციურ ერთეულებს შორის. ის მოიცავს: შრომის ანაზღაურებასა და საინვესტიციო შემოსავალს. შრომის ანაზღაურება მოიცავს საზღვარგარეთ მომუშავე, ასევე ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობებში დასაქმებულ რეზიდენტ მუშაკთა შრომის ანაზღაურებას; ასევე ქვეყანაში მომუშავე და საზღვარგარეთის ქვეყნებში ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობებში დასაქმებული არარეზიდენტების შრომის ანაზღაურებას.

საინვესტიციო შემოსავლები მოიცავს შემოსავლებს პირდაპირი, პორტფელის და სხვა ინვესტიციებიდან. კრედიტში აისახება მოცემული ქვეყნის რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავალი, ხოლო დებეტში პირიქით – არარეზიდენტების მიერ მოცემულ ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავალი.

მეორადი შემოსავლების ანგარიში გვიჩვენებს მიმდინარე ტრანსფერებს ქვეყნის რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის. მიმდინარე ტრანსფერი წარმოადგენს ცალმხრივი ხასიათის ოპერაციას და არის მოკორესპონდენტო ჩანაწერი, რომელიც ასახავს საქონლის, მომსახურების, ფინანსური აქტივის რეზიდენტი/არარეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულის მიერ არარეზიდენტი/რეზიდენტი ინსტიტუციონალური ერთეულისათვის გადაცემას, და რომელსაც არ ახლავს შემხვედრი ეკონომიკური ოპერაცია (შესაბამისი ღირებულების ან საქონლის/მომსახურების გადაცემა). მიმდინარე ტრანსფერებად კლასიფიცირდება: მიმდინარე გადასახადები შემოსავალზე, ქონებაზე და ა.შ.; სოციალური მოსაკრებლები; სოციალური სარგებელი; საწევრო შენატანები საერთაშორისო ორგანიზაციებში; წმინდა სადაზღვევო პრემია სიცოცხლის დაზღვევის გარდა; სადაზღვევო მოთხოვნები სიცოცხლის დაზღვევის გარდა; პირადი გადარიცხვები; და სხვა მიმდინარე ტრანსფერები.

საგადასახდელო ბალანსის კაპიტალის ანგარიში აღრიცხავს კაპიტალური ტრანსფერებისა და არაწარმოებული, არაფინანსური აქტივების შეძენა/გაყიდვის ოპერაციებს.

კაპიტალური ტრანსფერები ცალმხრივი ოპერაციებია რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის, რომელიც იწვევენ მიმღები/გამცემი ქვეყნის ფინანსური ან მატერიალური აქტივების მარაგების ცვლილებას. ასეთი ტრანსფერები შეიძლება იყოს ფულადი (მაგალითად, საინვესტიციო გრანტები გზების, სკოლების, საავადმყოფოების მშენებლობისათვის), ან მატერიალური. კაპიტალური ტრანსფერები ასევე იყოფა სათავრობო და პირად ტრანსფერებად.

კაპიტალურ ტრანსფერს მიეკუთვნება ვალის პატიებაც, როცა კრედიტორი ქვეყანა ახდენს დებიტორი ქვეყნისათვის მთელი ვალის ან მისი ნაწილის ანულირებას.

არაწარმოებული, არაფინანსური აქტივების შეძენა/გაყიდვა მოიცავს ისეთ ოპერაციებს, მიწის ან ბუნებრივი რესურსების (არაწარმოებული, არაფინანსური აქტივები) შეძენა/გაყიდვა, ასევე პატენტების, სამარკო ნიშნების, საკუთრების უფლების ლიცენზიების და სხვა ანალოგიური (არაწარმოებული, არამატერიალური აქტივები) შეძენა/გაყიდვა.

საგადასახდელო ბალანსის ფინანსური ანგარიში ასახავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გაცვლის ოპერაციებს რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის.

ფინანსურ ანგარიშში ასახული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია შემდეგი მახასიათებლების მიხედვით: პირველი, ინვესტიციების ბუნება: პირდაპირი ინვესტიცია, პორტფელის ინვესტიცია, ვალი, კაპიტალი; მეორე, ვადიანობა: გრძელვადიანი, მოკლევადიანი; მესამე, ემიტენტის/მფლობელის იდენტიფიკაცია: საჯარო (სახელმწიფო), კერძო. აღნიშნულის საფუძველზე, ფინანსური ანგარიში ასახვს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შემდეგ ფუნქციონალურ კატეგორიებს:

პირდაპირ ინვესტიციას აქვს ადგილი როცა ერთი ქვეყნის რეზიდენტი ინვესტორი ახორციელებს ინვესტირებას სხვა ქვეყნის რეზიდენტ საწარმოში, რომელიც მას უფლებას აძლევს მოიპოვოს კონტროლი ან მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოს მართვაზე. თუ უცხოელი ინვესტორი შემოდის მოცემული ქვეყნის რეზიდენტ საწარმოში, საქმე გვაქვს შემოსულ პირდაპირ ინვესტიციასთან. გასული პირდაპირი ინვესტიციის შემთხვევაში რეზიდენტი ინვესტორი ახდენს ინვესტირებას არარეზიდენტ საწარმოში. პირდაპირი ინვესტიციის მაგალითია რეინვესტირებული შემოსავალიც.

პორტფელის ინვესტიციები მოიცავს კაპიტალისა და საინვესტიციო ფონდების აქციების, ასევე სავალო ფასიანი ქარალდების შეძენას, რაც არ აძლევს მყიდველს საწარმოს მართვაზე მნიშვნელოვანი კონტროლის უფლებას.

ფინანსური წარმოებულები, რომლებიც ადრე შედიოდა პორტფელის ინვესტიციებში, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინტენსიურად განვითარების გამო, ჩამოყალიბდა როგორც ფინანსური ანგარიშის დამოუკიდებელი კომპონენტი. ფინანსური წარმოე ბულები მოიცავს ისეთ ფასიან ქაღალდებს, როგორიცაა ოპციონები, ფიუჩერსები, სვოპები, ფორვარდული კონტრაქტები და სხვა.

სხვა ინვესტიციები მოიცავს ფინანსური ანგარიშის ყველა მოკლე და გრძელვადიან გატარებას, გარდა პირდაპირი და პორტფელის ინვესტიციებისა, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტე ბისა და სარეზერვო აქტივებისა. ესენია: სავაჭრო კრედიტები და ავანსები, სესხები, ნაღდი ფული და დეპოზიტები და სხვა აქტივები და ვალდებულებები. სავაჭრო კრედიტები და ავანსები ეს არის აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვება საგარეო სავაჭრო (საქონლით ან მომსახურებით) ურთიერთობების შედეგად. როგორც წესი, ასეთი აქტივები და ვალდებულებები მოკლევადიანია, თუმცა საგადასახდელო ბალანსი ითვალისწინებს მათ დაყოფას გრძელ და მოკლევადიანად. სხვა ინვესტიციების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სესხები. საგადასახდელო ბალანსში მათი კლასიფიცირება ხდება ვადიანობის მიხედვით (გამოიყოფა გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები) და ინსტიტუციური სექტორების მიხედვით. სხვა ინვესტიციების სხვა ვალდებულებები და აქტივები შედგება ვადაგადაცილებული დავალიანები სა გან და, გარდა ამისა, ყველა იმ პოზიციისგან, რომელიც არ მოხვდა ზემოთ ჩამოთვლილ მუხლებში.

სარეზერვო აქტივები წარმოადგენს მაღალლიკვიდურ უცხოურ აქტივებს, რომელსაც ფლობს ან აკონტროლებს ქვეყნის ცენტრალური ბანკი და რომლის გამოყენება

საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის დასაფინანსებლად ან რაიმე სხვა მიზნით შესაძლებელია შეუფერხებლივ. სარეზერვო აქტივები შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: მონეტარული ოქრო, სესხის სპეციალური უფლება, სავალუტო პოზიცია ფონდში, სხვა სარეზერვო აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებენ სარეზერვო აქტივების მოთხოვნებს და არ მოხვდნენ ზემოთ ჩამოთვლილ პუნქტებში. სხვა სარეზერვო აქტივები შედგება ნაღდი უცხოური ვალუტისაგან, არარეზიდენტ საფინანსო ორგანიზაციებში განთავსებული დეპოზიტებისგან და მაღალლიკვიდური ფასიანი ქაღალდებისგან.

საგადასახდელო ბალანსისაგან განსხვავებით, რომელიც ასახავს რეზიდენტების არარეზიდენტებთან ურთიერთობის ოპერაციებს მოცემული პერიოდის განმავლობაში, საერთაშორისო საინვესტიციო მდგომარეობის ბალანსი ასახავს მოცემული ქვეყნის უცხოური აქტივებისა და ვალდებულებების მდგომარეობას მოცემული კონკრეტული თარიღისათვის. აღნიშნული ბალანსის ცვლილება ერთი თარიღიდან მეორემდე ასახავს უცხოური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთებს შორის სხვაობას ორი პერიოდის მიხედვით. ეს სხვაობა გამოწვეულია საგარეო ფინანსური ოპერაციებით, ასევე ფინანსური აქტივების ღირებულებითი ცვლილებებით და სხვა ცვლილებებით.

საერთაშორისო საინვესტიციო მდგომარეობის ბალანსის უცხოურ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის სხვაობა ახასიათებს ქვეყნის წმინდა საინვესტიციო მდგომარეობას.

წყარო: მასალა მოგვაწოდა პროფ. ნ. ასლამაზიშვილმა

კითხვები გამეორებისთვის

1. საგარეო ვაჭრობის საზომები.
2. რატომ ვაჭრობენ ქვეყნები.
3. აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობა საგარეო ვაჭრობაში.
4. სავაჭრო ბარიერები. საგარეო ვაჭრობის შეზღუდვის სახეები და მიზეზები.
5. ტრანსნაციონალური კორპორაციები.
6. სავალუტო კურსი.
7. საგადასახდელო ბალანსი.

მეთხუთმეტე თავი

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე მიმართულებები და სკოლები

განსახილველი საკითხები:

- *ეკონომიკური თეორია და დოქტრინა*
- *ნეოკლასიკური თეორიის ძირითადი კონცეფციები*
- *ინსტიტუციონალიზმის 3 ძირითადი იდეა*
- *ჯ.მ. კეინზის ეფექტიანი მოთხოვნის თეორია*
- *მონეტარიზმი: ფრიდმენის "ფულადი წესი"*
- *იწოდების ეკონომიკა*
- *ნეოლიბერალიზმი: ფ. ჰაიეკი ადმინისტრაციული დესპოტიზმის წინააღმდეგ*
- *მარქსისტული თეორია*

ზოგადი მიმოხილვა

თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში, აღებულს მის კონცეპტუალურ თეორიულ ასპექტში, შეინიშნება ძველი კლასიკური სკოლის, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა "საპოლიტიკო ეკონომიის მამათვარდა წოდებულმა" შოტლანდიელმა ბრძენმა ადამ სმითმა, და სამი ახალი მიმართულების - კეინზიანური, ნეოკლასიკური და ინსტიტუციონალურ – სოციოლოგიური მიმართულებების სინთეზი.

პირველი კეინზიანური მიმართულებაა, რომელიც ასე იწოდება მისი დამფუძნებელის, ინგლისელი ეკონომისტის ჯონ მეინარდ კეინზის (1883-1946) საპატივსაცემოდ. კეინზიანელობა ახლაც დგას საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სამსახურში მოთხოვნის გადიდების ან შემცირების გზით, ნაღდი და უნაღდო ფულადი მასის ცვლილების მეშვეობით. ეს მიმართულება სამართლიანად გამოცხადდა, როგორც "კეინზიანური რევოლუცია პოლიტიკურ ეკონომიაში". კეინზიანელობა მისი თანამედროვე სახით იწოდება როგორც ***ნეოკეინზიანელობა***. მსოფლიო საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ აზროვნებაზე გავლენის დონის მიხედვით კეინზიანელობა შეიძლება შევადაროთ მხოლოდ ა. სმითის კლასიკურ თეორიას და მარქსიზმის კონცეფციას. შემთხვევითი არაა, რომ პ. სამუელსონი ეკონომიკური მეცნიერების ისტორიაში განსაკუთრებულად გამოყოფს სამ გამოჩენილ მოაზროვნეს: ადამ სმითს, კარლ მარქსს და ჯონ მეინარდ კეინზს. თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების ***მეორე მიმართულებაა ნეოკლასიკური მიმართულება.*** აღნიშნული მიმართულების განვითარების პირველი ეტაპი დაკავშირებულია ა. მარშალის სახელთან, რომელმაც სცადა ა. სმითის კლასიკური თეორიის ***მარჟინალიზმთან*** შეერთება. მარჟინალიზმი (ფრ. marginas– ზღვრული) ზღვრული სიდიდეების (ზღვრული სარგებლიანობა, ზღვრული შემოსავალი და ა.შ.) გამოყენებაზე დაფუძნებული მოძღვრებაა.

ნეოკლასიკური მიმართულების მეორე ეტაპი ანუ ნეოლიბერალიზმი XX საუკუნის 70-80-იანი წლებით თარიღდება. მისი წარმოშობა წარმოადგენდა რეაქციას საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს მეტისმეტ, გადაჭარბებულ ანუ ზომაგადასულ ჩარევაზე. აღნიშნული მიმართულება ამჟამად განვითარდა ***მონეტარიზმის*** (ინგლ.money –

ფული) თეორიის ფარგლებში, რომლის პოსტულადების მიხედვით სახელმწიფოს როლი ეკონომიკის სტაბილიზაციაში დაიყვანება მხოლოდ ფულადი მექანიზმის რეგულირებაზე და ნეოლიბერალიზმის თეორია, რომელიც გვთავაზობს, რომ სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკურ ცხოვრებაში მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ და ამავდროულად მეწარმეებსა და ვაჭრებს მივანიჭოთ მაქსიმალური თავისუფლება.

ნეოლიბერალიზმისა და კეიზიანური მიმართულების საფუძველზე წარმოიშვა ***სოციალურად ორიენტირებული საბაზრო მეურნეობის*** თეორია, რომელმაც ა. სმითის და ჯ. კეინზის კონცეფციები პრინციპულად რაღაც ახლებურში შეაერთა.

მესამე მიმართულება თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში, სამეურნეო ცხოვრების პრობლემების გადაჭრისადმი ***ინსტიტუციონალურ-სოციოლოგიური მიდგომაა***. ამისათვის ცნება "ინსტიტუტი" განიმარტება უაღრესად ფართოდ: ესაა კორპორაციაც და მონოპოლიაც, სახელმწიფოც, პროფკავშირებიც, ასევე ყველაზე მრავალფეროვანი სოციალური დაწესებულებანი და იურიდიული ნორმები. ამ მიმართულების ფარგლებში წარმოიშვა უსაქმო ანუ უქმი კლასის, საკუთრების უფლების, საზოგადოებრივი არჩევანის, ნეოინდუსტრიული (ინფორმაციული) საზოგადოების თეორიები, გლობალისტიკის თეორია და სხვა.

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე მიმართულებები და სკოლები

აგროვებენ რა ყველაფერ საუკეთესოს მისი მრავალსაუკუნოვანი განვითარების გამოცდილებიდან, ეკონომიკური თეორიის თანამედროვე მიმართულებები და სკოლები ხელს უწყობენ სამეურნეო ცხოვრების წინააღმდეგობათა დაძლევის გზების მოძებნას. ამ თავში განიხილება ეკონომიკური მეცნიერების უმნიშვნელოვანესი თანამედროვე მიმართულებები.

1. ეკონომიკური მეცნიერების განვითარება და მემკვიდრეობითობა

ეკონომიკური თეორია და დოქტრინა

ეკონომიკური თეორია წარმოადგენს ფაქტებზე დაფუძნებულ, არგუმენტებით, ფაქტებითა და დასაბუთებით განმტკიცებულ, ეკონომიკურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების მეცნიერულ განზოგადებას. დოქტრინისაგან განსხვავებით თეორია წინასწარ მოცემული პრინციპებიდან და დებულებებიდან როდი გამომდინარეობს. ის ეფუძნება რეალურ ფაქტებს, მოვლენებს, პროცესებს.

"ეკონომიკური თეორიისა" და "დოქტრინის" უკეთ გასაგებად გთავაზობთ რამდენიმე განმარტებას: ***დოქტრინა*** [ლათ. **doctrina**] სწავლება, სამეცნიერო ან ფილოსოფიური თეორია, წამყვანი თეორიული ან პოლიტიკური პრინციპი; მონროს დ. – "ამერიკა ამერიკელებისთვის"; ამერიკის გარე პოლიტიკის ეს პრინციპი დადგენილი იქნა 1823 წ-ს პრეზიდენტ მონროს მიერ, როდესაც აშშ ჯერ კიდევ სუსტი სახელმწიფო იყო და დასავლეთევროპული სახელმწიფოების აგრესიის ეშინოდა. ***დოქტრინალური*** [ლათ. **doctrinalis** სამეცნიერო, თეორეტიკული] დოქტრინის შესაბამისი ან მისგან გამომდინარე; დ. განმარტება – კანონების ან სხვა იურიდიული ნორმების განმარტება თეორეტიკოსი იურისტების მიერ. ***დოქტრინერი*** [ფრ. **doctrinaire** < ლათ. **doctrinalis** სამეცნიერო, თეორეტიკული] პირი, რომელიც ბრმად მისდევს დასწავლილ ცხოვრებისაგან მოწყვეტილ, განყენებულ წესებს და ვერ ით-

ვალისწინებს ცოცხალ სინამდვილეს, სკოლასტიკოსი. ***დოქტრინერობა*** – გამომდინარეობს "დოქტრინადა"-ნ და ნიშნავს ამა თუ იმ დოქტინის ბრმა არაკრიტიკულ მიმდევრობას; მსჯელობა, რომელიც დაუმტკიცებელ დებულებებს ემყარება.

ეკონომიკური სინამდვილე ფრიად მრავალფეროვანი, წინააღმდეგობებით აღსავსე და ცვალებადია, ამიტომ ეკონომიკურ მეცნიერებას არ შეუძლია აბსოლუტურად ზუსტად და ადექვატურად გამოსახოს მიმდინარე პროცესები და ტენდენციები. მეცნიერული ცოდნა მხოლოდ გარკვეული დონის სიზუსტით უახლოვდება ჭეშმარიტებას და ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებათა საპასუხოდ აზუსტებს ან უარყოფს ძველ წარმოდგენებს, აყალიბებს ახალ განზოგადებებსა და დასკვნებს. ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებობს სხვადასხვა მიმართულებები და სკოლები, რომელთს ტიპოლოგია ანალიზის მეთოდით, საგნისა და გამოკვლევის ამოცანათა გაგებით, ეკონომიკური პრობლემების დამუშავებისა და ანალიზისადმი საერთო კონცეპტუალური მიდგომით განსხვავდება. ეს დაყოფა საკმაოდ პირობითია.

ერთი მიმართულების ფარგლებში შეიძლება რამდენიმე სკოლა არსებობდეს. მაგალითად, მონეტარიზმი (სკოლა) ნეოლიბერალური მიმართულების საერთო დინებაში ვითარდება, მიწოდების ეკონომიკა (სკოლა) ნეოკლასიკურ მიმართულებას უერთდება.

ხშირად დასახელებას სკოლები გეოგრაფიული ნიშნით იძენენ – სთოქჰოლმის, ლონდონის, ქემბრიჯის. ერთი სკოლის წარმომადგენლებს, როგორც წესი, ერთიანი შეხედულებები, მეთოდოლოგია და პოზიციები გააჩნიათ. თუმცა ხშირ შემთხვევაში განსხვავდება პრობლემატიკა, ინტერესების არე, კერძო პრობლემათა დამუშავება. ერთ სკოლას ხშირად მიეკუთვნებიან ერთი დიდი უმაღლესი სასწავლებლის პროფესორები, მოსწავლეები და სკოლის "დამფუძნებლის" იდეებისა და კონცეფციების გამგრძელებლები.

კლასიკური ეკონომიკური თეორია როგორც მეცნიერული ცოდნის განსაკუთრებული ნაწილი ფეოდალიზმის დაშლისა და კაპიტალიზმის ჩასახვის პერიოდში წარმოიშვა. ეს თეორია პოლიტიკური ეკონომიის სახელწოდებით ყალიბდებოდა და მტკიცდებოდა, თუმცა ხშირად ცნობილი ეკონომისტები სხვა ტერმინოლოგიასაც ხმარობდნენ. ინგლისელი **უილიამ პეტი** (1623-1687), **პოლიტიკური ეკონომიის კოლუმბი** და ეკონომიკური სტატისტიკის დაფუძნებელი თავის მეცნიერებას პოლიტიკურ არითმეტიკას უწოდებდა. პირველი მაკროეკონომიკური მოდელის შემქმნელი ფრანგი **ფრანსუა კენე** (1694-1774) საკუთარ თავს ეკონომისტს ეძახდა. შოტლანდიელი **ადამ სმითის** (1723-1790) ძირითად ნაშრომს, რომელიც პოლიტიკური ეკონომიის კლასიკურ ნიმუშად არის მიჩნეული, ერქვა "გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ". მისი მთავარი აზრი ის არის, რომ ადამიანები საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე და პირადი სარგებლობის მისაღწევად საბაზრო ეკონომიკის "უხილავი ხელით" სიმდიდრესა და მოგებას ქმნიან მთელი საზოგადოებისათვის. ინგლისელმა მეწარმემ და ეკონომისტმა **დეივიდ რიკარდომ** (1772-1823) რომელმაც დაასრულა კლასიკური ეკონომიკური თეორიის შექმნა, დაგვიტოვა "პოლიტიკური ეკონომიის საწყისები". ინგლისელი თეორიტიკოსისა და სისტემატიკოსის **ჯონ სტიუარტ მილის** (1806-1873) ნაშრომს "პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები" ეწოდებოდა.

2. ნეოკლასიკური თეორია

მთავარი პრობლემა, რომელიც ნეოკლასიკოსთა წარმომადგენლების **ალფრედ მარშალის** (1842-1924), **არტურ პიგუს** (1877-1959) და სხვათა ყურადღების ცენტრში იყო – ადამიანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაა. განსაზღვრავდნენ რა ეკონომიკური მეცნიერების

მიზნებს, ***ნეოკლასიკოსები ეკონომიკურ კეთილდღეობაზე სხვადასხვა ფაქტორების მეგავლენაზე საუბრობდნენ, პირველ პლანზე მათ დოვლათის (საქონელი და მომსახურება) სახმარი ღირებულება (სარგებლიანობა) და მომხმარებლის მხრიდან ამ დოვლათზე მოთხოვნა გამოჰქონდათ.*** ნეოკლასიკოსთა წარმომადგენლები გამოდიოდნენ იმ აზრიდან, რომ ***ეკონომიკური კანონები ნებისმიერი საზოგადოებისათვის ერთნაირია: როგორც ინდივიდუალური მეურნეობისათვის, ასევე თანამედროვე, რთული ეკონომიკური სისტემებისათვის.***

წონასწორული ფასის კონცეფცია

ა. მარშალმა დაამუშავა კონცეფცია, რომელიც ეკონომიკური მეცნიერების, კერძოდ, ***ღირებულების თეორიების სხვადასხვა მიმართულებებს შორის ერთგვარ კომპრომისს წარმოადგენდა.*** მისი კონცეფცია და ნაშრომები ფართოდ გავრცელდა XIX-XX ს.ს. მიჯნაზე (კეინსამდე). მარშალის მთავარი აზრი ის არის, რომ ღირებულების გარშემო თეორიული კამათიდან ***გადავერთოთ მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთმოქმედების პრობლემათა შესწავლაზე, რამეთუ სწორედ ისინი განსაზღვრავენ ბაზარზე მიმდინარე პროცესებს.*** მან დაწვრილებით გაანალიზა, როგორ ყალიბდება და ურთიერთმოქმედებენ მოთხოვნა და მიწოდება, ***პირველმა შემოიტანა მოთხოვნის ელასტიურობის ცნება და ფასის "კომპრომისული" თეორია.***

მარშალმა წონასწორული ფასის ცნება გამოიყენა: როდესაც "მოთხოვნის ფასი უდრის მიწოდების ფასს, წარმოების მოცულობა არ იჩენს ტენდენციას არც გაზრდის და არც შემცირებისაკენ; სახეზეა – წონასწორობა. როდესაც მოთხოვნა და მიწოდება წონასწორობაში იმყოფებიან, დროის ერთ და იგივე მონაკვეთში წარმოებული საქონლის რაოდენობას შეიძლება წონასწორული რაოდენობა დაერქვას, მის გასაყიდ ფასს კი –წონასწორობის ფასი".

მარშალის მიერ შემოთავაზებული წონასწორული ფასის გრაფიკი ეკონომიკურ მეცნიერებათა ბევრ სახელმძღვანელოში გამოიყენება.

მარშალის მიდგომა ფასისა და ფასწარმოქმნის პრობლემებისადმი ეყრდნობა როგორც ***საწარმოო ხარჯების თეორიას, ასევე ავსტრიული სკოლის დებულებებს ზღვრული სარგებლიანობის შესახებ.*** შეგახსენებთ, რომ სარგებლიანობა არის ინდივიდუმის განსაზღვრულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უნარი. მაგრამ, ***როგორ შევაფასოთ, გავზომოთ სარგებლიანობა, თუ იგი ყოველი კონკრეტული ინდივიდუუმისათვის (ადამიანი, ფირმა) არაერთგვაროვანი, სუბიექტურია? და საერთოდ, რა საჭიროა სარგებლიანობის შედარება და გაზომვა, სამომხმარებლო ღირებულებების შეპირისპირება?***

ეკონომისტებს უცებ და ერთბაშად არ გაუგიათ, რომ მოთხოვნის კანონზომიერებათა და ფასების ფორმირების შესწავლისას არ შეიძლება მხოლოდ ხარჯებით შეზღუდვა (შრომა და სხვა წარმოების ფაქტორები). მომხმარებლის მოქმედებათა, მისი ინტერესების, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაგებად, საჭიროა ზუსტად წარმოვიდგინოთ, თუ რით ხელმძღვანელობს იგი. ***როგორ ჩნდება და "ეწყობა" მისი წამქეზებელი მოტივები***. ამისათვის კი საჭიროა შევეცადოთ ***მომხმარებლის პოზიციიდან შევაფასოთ*** – წყლის, საკვების, ტანსაცმლის, სულიერი დოვლათის და ა.შ. ***სარგებლიანობა***. მაშინ შესაძლებელი ხდება იმის წარმოდგენა, თუ რას, რა მოცულობით და როგორი თანმიმდევრობით მოძებნის და შეიძენს იგი ბაზარზე.

“ზღვრული სარგებლიანობა” და ზღვრული სიდიდეების კონცეფცია

სარგებლიანობის (რეალიზებული სახმარი ღირებულების) შედარებისა და შეპირისპირების გზით იმ საქონლისა და მომსახურების დადგენა, რომელსაც მომხმარებელი უპირატესობას ანიჭებს, - ამ ამოცანის ამოხსნა გადაწყვიტეს ავსტრიული სკოლის ეკონომისტებმა **კარლ მენგერმა** (1840-1921), **ევგენი ბემ-ბავერკმა** (1851-1914) და სხვ. მათ დაასკვნეს, რომ სამომხმარებლო არჩევანი დამოკიდებულია კონკრეტული ინდივიდუმისათვის შესაძენი დოვლათის მნიშვნელობის დონეზე, ამ დოვლათით გაჯერებასა და რაოდენობაზე, აგრეთვე მისი აღწარმოების შესაძლებლობაზე. ამა თუ იმ საგნის საჭიროების სიმძაფრე სხვადასხვაგვარია.

არსებობს მოთხოვნილებათა თავისებური იერარქია. რომ არ იშიმშილო – პურის ერთი ნაჭერი, რომ არ გწყუროდეს – ერთი ჭიქა წყალი, ფეხშიშველმა რომ არ იარო – ერთი წყვილი ფეხსაცმელი. ესეც მოთხოვნილებაა. მაგრამ სულ სხვაა, როდესაც ამ დოვლათის მნიშვნელოვანი რაოდენობა გაგაჩნია, რაც საგრძნობლად ცვლის მოთხოვნილებათა სიმძაფრეს, მათი სარგებლიანობის დონეს. პურის ერთი ნაჭრის, წყლის ერთი ჭიქის, ფეხსაცმლის ერთი წყვილის სარგებლიანობა ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ბევრი პურის, ბევრი წყლის და ფეხსაცმლის მრავალი წყვილის.

დოვლათის (სახმარი ღირებულების) ახალი ერთეულების, ნაწილების მოხმარების პროცესში სარგებლიანობის ტემპი ვარდება, ყოველი ახალი ნაწილის, ულუფის მიერ მოტანილი დამატებითი სარგებლიანობა მცირდება. დოვლათის (სახმარი ღირებულების) მნიშვნელობას (ფასეულობას) განსაზღვრავს არა საშუალო, არამედ უმცირესი, დამატებითი სარგებლიანობა, რომელიც დოვლათის თითოეულ მორიგ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში “უკანასკნელ”, საბოლოო ერთეულს, ნაწილს, ულუფას მოაქვს. ეს დამატებითი, უმცირესი სარგებლიანობა აღინიშნება ტერმინით – ზღვრული სარგებლიანობა. ზღვრულს უწოდებენ არსებული მარაგიდან (კომპლექტი, ნაკრები) ყველაზე მცირე დაკმაყოფილებულ სარგებლიანობას.

საბაზრო ეკონომიკაში სარგებლიანობა ფასების თანახმად ნაწილდება. ფასი უნდა შეეფარდებოდეს საქონლის ზღვრულ სარგებლიანობას (მის მნიშვნელობას და მის მიერ ბაზრის გაჯერებას). ფასების ზრდა ცვლილებებს იწვევს სარგებლიანობის სტრუქტურასა და იერარქიაში, პრაქტიკაში – მოთხოვნისა და მოხმარების სტრუქტურაში. თუ საქონლის ფასი იზრდება, მისი შედარებითი სარგებლიანობა (ესე იგი, მოთხოვნაც) მცირდება. საქონლის შეძენაზე დახარჯულ ყოველ ლარზე მყიდველი შეეცდება შეიძინოს თანასწორი ან შესადარისი ზღვრული სარგებლიანობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხორცზე დახარჯული ერთი ლარი უნდა წარმოადგენდეს იგივე სარგებლიანობას, რასაც მაკარონზე დახარჯული ერთი ლარი.

ზღვრული სარგებლიანობის პრინციპი ერთგვარი საწყისი გახდა იმ დებულებებისა და კატეგორიების შემდგომი დამუშავებისათვის, რომლებიც ეკონომიკურ მეცნიერებაში ფრიად მნიშვნელოვანი, უნივერსალური ზღვრული სიდიდეების კონცეფციის სახით შევიდა.

ეს კონცეფცია არა მხოლოდ ხარჯების, არამედ შედეგების (სარგებლიანობის) აღწერას შეიცავს, როგორც მიმოქცევის, ასევე წარმოების სფეროში. ის ხარჯების მინიმუმამდე შემცირებაზე და საქმიანობის სხვადასხვა დარგში მაქსიმალური სარგებლიანობის მიღებაზეა ორიენტირებული. მაგალითად, ეს კონცეფცია გამოიყენება ღირებულებისა და ფას-

წარმოქმნის თეორიის დამუშავებისას, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ადამიანის ქცევის განხილვისას, ეკონომიკური ზრდის ფაქტორთა დასაბუთებისას და ა.შ.

ჩვენ ვახსენეთ და მოკლედ განვიხილეთ ზღვრული სარგებლიანობის პრინციპის არსი, იმიტომ რომ ის (სხვებთან ერთად) ნეოკლასიკური თეორიის საფუძველს წარმოადგენდა, იმ თეორიის, რომელიც ითვალისწინებს როგორც წარმოების ხარჯების ასევე წარმოებული დოვლათის სარგებლიანობის სიდიდის აღრიცხვას. ნეოკლასიკოსები ორი, თითქოსდა, ორი შეუთავსებელი თეორიის, დ. რიკარდოს შრომითი თეორიის და ე. ბემ-ბავერკის ზღვრული სარგებლიანობის თეორიის შეთანხმების გზით წავიდნენ. როგორც უკვე აღინიშნა, ამ კონცეფციების შეთანხმება განახორციელა ა. მარშალმა, რომელიც თვლიდა, რომ დ. რიკარდომ და ე. ბემ-ბავერკმა პრაქტიკულად ერთი და იგივე პროცესის, ფასეულობათა ფორმირების პროცესის სხვადასხვა მხარეებზე შეაჩერეს თავიანთი ყურადღება. მარშალმა თავიდან გაიაზრა და გადაამუშავა შრომითი ღირებულების (ობიექტური მხარე, ობიექტური ფაქტორების მოქმედება) და ზღვრული სარგებლიანობის (სუბიექტური ფაქტრების მოქმედება) თეორიები. მან შექმნა მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთკავშირის თეორია.

ერთი მაკრატლის ორი პირი

მაშასადამე, ნეოკლასიკოსების მიერ შემუშავებული მიდგომის თანახმად საქონლის ფასი ორი ფაქტორით განისაზღვრება: ზღვრული სარგებლიანობითა და წარმოების ხარჯებით. ფასი, რომელსაც მყიდველი იხდის, განპირობებულია საქონლის სარგებლიანობის დონით: ფასი, რომელსაც გამყიდველი ადგენს, შეიცავს პირველ რიგში წარმოების ხარჯებს. ფასების ფორმირება "გასაშუალების" დახმარებით არ ხდება, ისინი ყალიბდება მყიდველსა და გამყიდველს შორის თავისებური კომპრომისის შედეგად როგორც საბოლოოდ დასაშვები მოთხოვნისა და მიწოდების მხრიდან.

ეს არის ორი ურთიერთმოქმედი და ურთიერთშემდგენი ფაქტორი. თავისი ძირითადი ნაშრომის – "პოილიტიკური ეკონომიის პრინციპები"-ს, დამატებაში – მარშალი წერდა: "წარმოების ხარჯების" პრინციპი და "საბოლოო სარგებლიანობის" პრინციპი, ეჭვს გარეშეა, მოთხოვნისა და მიწოდების ერთი საერთო კანონის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ; ყოველი მათგანი შეიძლება შევადაროთ მაკრატლის ერთ პირს".

განმარტავდა რა, თუ რატომ წარმოადგენდა მოთხოვნისა და მიწოდების მოდელი, რომლის საფუძველზეც ყალიბდებოდა ფასები მთელი საუკუნის მანძილზე პოლიტიკური ეკონომიის თეორიის ბირთვს, ერთერთი პოპულარული სახელმძღვანელოს ავტორი აღნიშნავდა: "ამ დღეგრძელობის მიზეზი ის კი არ არის, რომ მოდელი ზუსტად ასახავს სინამდვილეს, არამედ ის, რომ იგი იოლად და დამაჯერებლად მიდის ერთმნიშვნელოვან დასკვნებამდე. ეს დასკვნები სხვადასხვა ეკონომიკური პრობლემების ანალიზისათვის გამოიყენება. ეს მოდელი შორსაა სინამდვილის ყოვლისმომცველი სურათისაგან, მაგრამ ის იოლ ფორმაში აღწერს მეურნეობაში მოქმედ ზოგიერთ ძალას და ამით რეალური ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებს ასახავს.

ეკონომიკური მოდელები

მოთხოვნისა და მიწოდების, როგორც ფასწარმოქმნის საწყისი მომენტების, ურთიერთობის ანალიზზე ყურადღების გადატანამ არსებითი ზეგავლენა მოახდინა ეკონომიკური მეცნიერების სხვა პრობლემათა დამუშავებასა და შემეცნებაზე, შეხედულებათა სისტემების ფორმირებაზე, ძირითადი კატეგორიების ახსნაზე და ნეოკლასიკოსთა მეთო-

დოლოგიაზე. ატარებენ რა საბაზრო ეკონომიკის ანალიზს, ნეოკლასიკური სკოლის წარმომადგენლები, ფართოდ იყენებენ ეკონომიკურ მოდელებს მეცნიერული კვლევის უმთავრეს ინსტრუმენტად. ეკონომიკური მოდელები წარმოადგენენ ***რთული ეკონომიკური ურთიერთობების ფორმალიზებას;*** ეს არის ***დიაგრამები, გრაფიკები, ცხრილები, ფორმულები, რომელთა გამოყენება გვეხმარება ეკონომიკურ მოვლენათა არსის გაგებაში, ფუნქციონალური ურთიერთკავშირების წარმოშობისა და ხასიათის ახსნაში.*** მაგალითად, ***ლორენცის მრუდი*** გვიჩვენებს, როგორ იცვლება შემოსავლების განაწილება მოსახლეობის ძირითად ჯგუფებს შორის (უღარიბესი, უმდიდრესი და შუალედური); წონასწორობის ფასის გრაფიკი გვიხსნის, როგორ ყალიბდება ფასი მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთქმედების შედეგად; ფულადი გაცვლის განტოლება ასახავს ურთიერთკავშირს მიმოქცევაში არსებულ ფულის რაოდენობასა და ფასების დონეს შორის.

კლასიკურისაგან განსხვავებით, ნეოკლასიკური თეორია არ წარმოადგენს შეხედულებათა ერთიან და ***მკაცრად სუბორდინირებულ სისტემას;*** ეს არ არის რაიმე მთლიანი დასრულებული კონცეფცია, თუმცა მან გარკვეულ წილად შეიმუშავა ***საერთო ცნებათა აპარატი,*** ეყრდნობა ზოგიერთ, მის წარმომადგენელთა უმრავლესობის მიერ აღიარებულ, პრინციპებს. ეს არის ***წამყვანი მიმართულება*** თანამედროვე დასავლურ, პირველ რიგში ***ანგლო-ამერიკულ ეკონომიკურ მეცნიერებაში***. ეკონომისტები, რომლებსაც ნეოკლასიკოსებს უწოდებენ, ***სხვადასხვა პრობლემებზე*** მუშაობენ და პრაქტიკულად წარმოადგენენ არა ერთ, არამედ ***განსხვავებულ კონცეფციებსა და სკოლებს. ამასთან, თემატიკის ერთობლიობა, დამუშავებაში მყოფი პრობლემების სიახლოვე ან მსგავსება სულაც არ ნიშნავს საერთო შეხედულებებს.***ნეოკლასიკური მიმართულება "აერთიანებს", ერთ ჭერქვეშ კრებს სხვადსხვა სკოლების წარმომადგენლებს, რომლებიც ***განსხვავდებიან ინტერესების სფეროებით, პრობლემათა ანალიზის სიღრმით, მიღებული შედეგებით (დასკვნებითა და რეკომენდაციებით).***

ერთმანეთისაგან განსხვავდება ***პოზიტიური*** ეკონომიკური მეცნიერება, რომელიც ფაქტებსა და მოვლენებს განიხილავს და ***ნორმატიული,*** რომელიც მითითებებსა და რეცეპტებს ამუშავებს. ***ნეოკლასიკური სკოლა თვლის, რომ ეკონომიკური დამუშავება, როგორც წესი, პრაქტიკულად უნდა შემოწმდეს და ეკონომიკური პოლიტიკის დასაბუთებისათვის რეკომენდაციები გასცეს.*** თეორიის პოზიტიური ასპექტებისა და ნორმატიული დასკვნების ურთიერთკავშირი დამახასიათებელია მრავალი თეორიისა და კონცეფციისათვის. მაგალითად, ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი პირველი, ***რ. ჰაროდ-ე.დომარის*** მოდელი მიზნად ისახავს ხანგრძლივ პერიოდში მუდმივი და შედარებით თანაბარი ზრდის პირობების გამოვლენას. ***ხ. კობისა და ჰ. დუგლასის ორფაქტორიანი მოდელი***, რომელიც ფაქტორთა ურთიერთ შეცვლას ი თვალისწინებს, საჭიროა ზრდის წყაროების და მასზე ტექნიკპროგრესის ტექნოლოგიების გავლენის შესაფასებლად.

ამერიკელმა მეცნიერმა ***საიმონ კუზნეცმა (1901-1985)*** სხვა საკითხების გადაწყვეტასთან ერთად ეროვნული შემოსავლის გამოანგარიშების სტატისტიკური საფუძველი უზრუნველყო, დაამუშავა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის გამოთვლის მეთოდები. ***ლეონტენს კლეინმა (დაიბადა 1920 წ)*** ააგო ამერიკული, მექსიკური, იაპონური ეკონომიკის მოდელები; ჩამოაყალიბა ***პროექტი "ლინკ",*** რათა საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების და მსოფლიო ვაჭრობის სურათი აესახა. ***ჰარი ბეკერმა (დაიბადა 1931 წ.)*** ეკონომიკური ანალიზის მეთოდები გაავრცელა ოჯახის, დამნაშავეობისა და სხვა მრავალი სოციალური პრობ-

ლემის შესასწავლად; მაგალითად, მან ***ივარაუდა ნარკომანიის ეკონომიკურად "მკურნალობა",*** ძალდატანების გარეშე, ხალხის რეალური სიმდიდრით დაინტერესების გზით, რომელსაც უნარი აქვს ნარკოტიკების ილუზორული სამყაროს უპირატესობა გადაწონოს.

ზღვრული მწარმოებლურობის თეორია

ნეოკლასიკურ სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ზღვრული მწარმოებლურობის თეორიას. ეს თეორია ეფუძნება კლებადი მწარმოებლურობის კანონს, რომლის აზრი შემდეგში მდგომარეობს: წარმოების ერთერთი ფაქტორის ხარჯების თანმიმდევრულ ზრდას სხვა ფაქტორთა უცვლელობის პირობით, შედეგად მოსდევს ხარჯის ერტეულზე ნაზარდის შემცირება.

როგორც ცნობილია, ადამიანთა მოთხოვნილებები საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანია. ამავე დროს, მათი დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი დოვლათი შეზღუდულია. დოვლათის წარმოება გარკვეულ ხარჯებთან (ძალ-ღონისა და დროის დანახარჯები) და წარმოების ფაქტორთა გამოყენებასთან 9ბუნებრივი რესურსები, შრომა, კაპიტალი, სამეწარმეო ნიჭი, მეცნიერება) არის დაკავშირებული.

შედეგებიოს (მაგალითად, ეკონომიკური ზრდის, წარმოების მოცულობის) საწარმოო ფაქტორებზე დამოკიდებულება შეიძლება შემდეგნაირად გამოისახოს:

$$П=f(X1, X2,...,Xn),$$

სადაც П- საბოლოო პროდუქციაა; X1, X2, ... Xn-საწარმოო ფაქტორები; f - წლების რაოდენობა.

საწარმოო ფაქტორები მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი და ერთმანეთის შენაცვლება შეუძლიათ. მანქანას შეუძლია ხელის ინსტრუმენტებით შეიარაღებული რამდენიმე მუშა შეცვალოს. გზის გაყვანა ერთი ბულდოზერისა და ერთი მუშის, ან ათი მუშის შრომის გამოყენებით შეიძლება.

საწარმოო ფაქტორთა შეცვლა გარკვეულ საზღვრამდეა შესაძლებელი. თუ სამიდან (სამუშაო ძალა, კაპიტალი, მიწა) ორი ფაქტორი უცვლელი რჩება და მესამე იზრდება (მაგალითად, დაზგების რიცხვი და მედაზგეთა რიცხვის უცვლელობისას), გარკვეულ ეტაპზე ჩნდება ზღვარი, რომლის ფარგლებს გარეთაც მითითებული ფაქტორის შემდგომი ზრდა უფრო და უფრო ნაკლებეფექტიანი ხდება. მედაზგე სულ უფრო მეტ დაზგას ემსახურება, მისი მუშაობის შედეგიანობა მცირდება, წუნის პროცენტი და მოცდენა იზრდება და ა.შ. საადაზგო მოწყობილობაში ჩადებული კაპიტალის ზღვრული მწარმოებლურობა კლებას იწყებს.

იმისათვის რომ არსებული რესურსებიდან შესაძლებლობის მაქსიმუმი მივიღოთ, აუცილებელია ზუსტად დადგინდეს, რომელი ფაქტორები უნდა ჩაერთოს საწარმოო პროცესში.

მაგრამ წარმოების ფაქტორთა ურთიერთშეცვლა მიზანშეწონილია გარკვეულ ფარგლებში. დაუშვათ, ფერმერულ მეურნეობაში ხორბალი მოჰყავთ. სასუქის გამოყენების გარეშე მოსავალი 1 ჰექტარიდან 20 ც. შეადგენს. ქიმიური სასუქის გამოყენება (სხვა ფაქტორების უცვლელობისას) მოსავალს გაზრდის. განვიხილოთ მაგალითი (ცხრილი 15.1; 1 ჰექტარზე გაანგარიშებით).

ცხრილი 15.1 ხორბლის ზღვრული მწარმოებლურობა

სასუქის რაოდენობა, ტომრები	0	1	2	3	4	5	6	7
ხორბლის მოსავალი, ც	20	25	35	43	50	55	57	57
მოსავლის ნაზარდი, ც	-	5	10	8	7	5	2	0

ჩვენ ვხედავთ, რომ ფაქტორის მესამე გაზრდის შემდეგ მოსავლის ზრდის ტემპი ეცემა. სხვა ფაქტორთა უცვლელობის დროს ერთი ფაქტორის გადიდება ამა თუ იმ ეტაპზე დაცემას იწყებს და ბოლოს ნულამდე ეცემა.

წარმოების ოპტიმალური კონცეფციის აგება უნდა ხდებოდეს ფაქტორთა შერწყმით, მათი ურთიერთქმედებისა და შეთანხმებულობის გათვალისწინებით. ყველა საწარმოო ფაქტორის გამოყენების საუკეთესო ვარიანტი დამოკიდებულია მათ ზღვრულ მწარმოებლურობაზე. ინვესტიციების (ხარჯების) განხორციელება მიზანშეწონილია გარკვეულ საზღვრამდე, სანამ მიღებული მოგება გაწეულ ხარჯებს არ გაუთანაბრდება.

ის, რაც ცალკეული საწარმოსათვის გამართლებულია, გარკვეულწილად მაკროდონეზე გამოთვლებისთვისაც სასარგებლოა, მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ ფაქტორთა ბევრად უფრო მეტი რაოდენობის და მრავალი ცვლადის ურთიერთქმედება, რომლითაც ჩვეულებრივ წარმოების ხელმძღვანელობა სარგებლობს. მაკროეკონომიკური გაანგარიშებანი ფართო ინფორმაციას ეყრდნობა და შედეგებს და ხარჯებს განსაზღვრულ, გარკვეულწილად პირობით ფარგლებში ადარებს.

ნეოკლასიკური სინთეზი

თეორიულ დამუშავებათა შემდგომი გაღრმავება და ახალი პრობლემების შესწავლა (მიკროსამეურნეო პროცესების, ეკონომიკური ზრდის, ინფლაციის, ცალკეული საქონლის

ბაზრების გამოკვლევა და სხვა) განახორციელეს, კერძოდ, ნეოკლასიკური სინთეზის სკოლის წარმომადგენლებმა: **ჯონ ჰიქსმა** (1904-1989), **პოლ სამუელსონმა** (1915-2009) და სხვა ეკონომისტებმა. სინთეზის არსი ის არის, რომ ეკონომიკის მდგომარეობიდან გამომდინარე შეიძლება გამოყენებული იყოს სახელმწიფო რეგულირების კეინსური რეკომენდაციები, ან იმ ეკონომისტთა რეცეპტები, რომლებიც ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის შეზღუდვის პოზიციებზე დგანან. საუკეთესო რეგულატორად ისინი ფულად-საკრედიტო მეთოდებს თვლიან. ამ სკოლის წარმომადგენელთა აზრით, საბაზრო მექანიზმი საბოლოო ჯამში თვითონ დაადგენს წონასწორობას ძირითად ეკონომიკურ პარამეტრებს შორის - მოთხოვნასა და მიწოდებას, წარმოებასა და მოხმარებას შორის.

ნეოკლასიკური სინთეზის იდეის მომხრენი არ აჭარბებენ ბაზრის მარეგულირებელ შესაძლებლობებს. ისინი თვლიან, რომ ეკონომიკური ურთიერთკავშირებისა და ურთიერთობების გართულებისას აუცილებელია სახელმწიფო რეგულირების სხვადასხვა მეთოდების სრულყოფა და გამოყენება.

ნეოკლასიკური სინთეზის სკოლას ახასიათებს კვლევის თემატიკის გაფართოება: შექმნილია ნაშრომთა მთელი სერია ეკონომიკური ზრდის პრობლემებზე; მუშავდება ეკონომიკურ-მათემატიკური ანალიზის მეთოდები; შემდგომი განვითარება განიცადა საერთო ეკონომიკური წონასწორობის თეორიამ; წარმოდგენილია უმუშევრობის ანალიზის მეთოდიკა და მისი რეგულირების მეთოდები; დაწვრილებით არის შესწავლილი დაბეგვრის თეორია და პრაქტიკა. **ჯეიმს ბიუკენენმა** (დაიბადა 1919) გამოიკვლია ეკონომიკური მეთოდების გამოყენება პოლიტოლოგიაში, პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების ეკონომიკური საფუძვლები. **ფრანკო მოდილიანიმ** (დაიბადა 1918) აღწერა პირადი დანაზოგის წარმოშობის კანონზომიერებანი, ინვესტორების ქცევის და საინვესტიციო გადაწყვეტილებათა მიღების მოტივები. **ჯეიმს ტობინმა** (1918-2002) დაამუშავა საპორთფელო ინვესტიციების არჩევის თეორია და დაასკვნა, რომ ინვესტორები ცდილობენ ერთმანეთს შეუხამონ მაღალი და დაბალი დონის რისკთან დაკავშირებული ინვესტიციები, რათა საკუთარი დაბანდებების დაბალანსებას მიაღწიონ.

ნეოკლასიკური სინთეზის მომხრეთა სკოლა უარს ამბობს ნეოკლასიკოსთა რიგ დოქტრინალურ დებულებებზე, ფართოდ იყენებს მაკროანალიზის მეთოდებს. თუ მარშალი უმთავრესად საქონლის ბაზარზე ნაწილობრივ წონასწორობას განიხილავდა, თანამედროვე თეორეტიკოსთა ყურადღების ცენტრსი საერთო წონასწორობის პრობლემა დგას საქონლის მთელი რაოდენობის და წარმოების ფაქტორთა ფასების გათვალისწინებით. ნეოკლასიკურ სინთეზში განვითარდა ეკონომიკური თეორიის გამოყენებითი ასპექტი.

3. ინსტიტუციონალიზმი - ორიგინალური კონცეფცია

„რაციონალური“, „ეკონომიკური“, მხოლოდ მაქსიმალურ მოგებაზე მზრუნველი ადამიანი, რომლის ქცევა თავისუფლად აიხსნება განტოლებათა სისტემით. აი ამ ჰიპოთეზის წინააღმდეგ გამოვიდნენ ინსტიტუციონალური მიმართულების წარმომადგენლები. მათი აზრით, ნეოკლასიკოსები სინამდვილის მეტად გამარტივებულ და გარკვეულწილად არასწორ სურათს გვიხატავენ.

ზემოაღნიშნულ ორიგინალურ კონცეფციას ეძღვნება ინსტიტუციონალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის **თორსთეინ ვებლენის** (1857-1929), მისი მოწაფის, სამრეწველო ციკლების დარგის სპეციალისტის უესლი მიტჩელის (1847-1948), უაღრესად ნაყოფიერი პუბლიცისტის, თეორეტიკოსისა და პოლიტიკური მოღვაწის **ჯონ გელბრეითის** (დაიბ. 1908), ეკონომისტის და გლობალური პროექტების დამმუშავებლის **იან ტინბერგერის** (დაიბ. 1903) ფუნდამენტური ნაშრომები.

სამი ძირითადი იდეა

ჩამოვაყალიბოთ ინსტიტუციონალიზმის ზოგიერთი თავისებურებანი. **ჯერ ერთი**, ინსტიტუციონალისტები ძალიან ფართოდ ხსნიან ეკონომიკის საგანს. მათი აზრით, ეკონომიკური მეცნიერება მხოლოდ ეკონომიკური ურთიერთობებით არ უნდა იყოს დაინტერესებული. ეს ვიწრო სივრცეა და ხშირად მან შეიძლება შიშველ აბსტრაქციამდე მიგვიყვანოს. აუცილებელია გავითვალისწინოთ პირობათა და ფაქტორთა მთელი კომპლექსი, რომელიც სამეურნეო ცხოვრებაზე ზეგავლენას ახდენს. სამართლებრივი, სოციალური, ფსიქოლოგიური, პოლიტიკური. სახელმწიფო მართვის წესები არანაკლებ, და შესაძლოა მეტ ინტერესს წარმოადგენენ, ვიდრე საბაზრო ფასების მექანიზმი.

მეორე, საჭიროა კაპიტალისტური საზოგადოების არა მხოლოდ ფუნქციონირების, არამედ განვითარებისა და ტრანსფორმაციის შესწავლა. ინსტიტუციონალისტები გამოდიან კაპიტალიზმის კრიტიკით და სოციალური პროგრამების გაფართოების სასარგებლოდ. დასაქმების სოციალური გარანტიების საკითხი შეიძლება ხელფასის დონეზე მნიშვნელოვანი გახდეს. უმუშევრობის პრობლემა, პირველ რიგში, სტრუქტურული დაუბალანსებლობის

პრობლემად იქცევა და ამ შემთხვევაში სულ უფრო მეტად ვლინდება ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირში.

ბაზარი სულაც არ წარმოადგენს რესურსების განაწილების ნეიტრალურ და უნივერსალურ მექანიზმს. თვითრეგულირებადი ბაზარი არის მსხვილი საწარმოების შენარჩუნებისა და გამდიდრებისათვის მოქმედი თავისებური მანქანა. მათ პარტნიორად სახელმწიფო გამოდის. ეყრდნობიან რა სახელმწიფოს, მონოპოლიზებული დარგები უდიდესი სიჭარბით აწარმოებენ თავის პროდუქციას და თავს ახვევენ მას მომხმარებელს. მსხვილი კორპორაციების ძალაუფლების საფუძველს წარმოადგენს ტექნიკა და არა ბაზრის კანონები. გადამწყვეტ როლს ახლა არა მომხმარებელი, არამედ მწარმოებელი, ტექნოსტრუქტურა თამაშობს.

მესამე, საწიროა უარი ითქვას ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზზე ეგრეთ წოდებული ეკონომიკური ადამიანის პოზიციებიდან. აუცილებელია არა საზოგადოების ცალკეულ წევრთა შეუთანხმებელი მოქმედებები, არამედ მათი ორგანიზება. მეწარმეთა დიქტატს აუცილებელია წინააღმდეგობა გაუწიოს გაერთიანებულმა კოორდინირებულმა მოქმედებებმა, რომლებიც პროფკავშირებმა და სახელმწიფო ორგანოებმა უნდა განახორციელონ. სახელმწიფომ თავისი მზრუნველობის ქვეშ უნდა აიღოს აგრეთვე ეკოლოგია, განათლება, მედიცინა.

ეკონომიკური სისტემების ევოლუციის გზები

ინსტიტუციონალიზმის წარმომადგენლებს ეკონომიკური ძალაუფლების და მასზე კონტროლის პრობლემები აინტერესებთ. ადამიანთა საზოგადოების ევოლუციას წარმოების ტექნიკაში მომხდარი ცვლილებები უდევს საფუძვლად. ამ დეტერმინირებული ძვრების შესაბამისად ინსტიტუციონალისტებმა დაამუშავეს საზოგადოების ისტორიული ტრანსფორმაციის სხვადასხვა კონცეფციები: ინდუსტრიული - პოსტინდუსტრიული - ინფორმაციული - ტექნოტრონული.

საერთოდ, ინსტიტუციონალური გამოკვლევების თემატიკა საკმაოდ ვრცელია. იგი შეიცავს სამომხმარებლო მოთხოვნის თეორიას, კეთილდღეობის სოციალურ-ეკონომიკურ თეორიას, მსხვილი კორპორაციების, როგორც სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტის ანალიზს და სხვა ეკონომიკური სოციოლოგია დაამუშავა თანამედროვე ინსტიტუციონალიზმის ერთ-ერთმა წინამორბედმა მაქს ვებერმა (1864-1920). მან დაასაბუთა სოციოლოგიის მეთოდოლოგიური პრინციპები, მოამზადა ფუნდამენტური ნაშრომი „მეურნეობა და საზოგადოება“, რომელშიც შეაჯამა თავისი სოციოლოგიური კვლევის შედეგები. შემდგომში ეკონო-

მიკური სოციოლოგია ღრმად განავითარეს ამერიკელმა ინსტიტუციონალისტებმა, კერძოდ, მუშავდებოდა საერთაშორისო ურთიერთობათა, შრომის საერთაშორისო დანაწილების, სახელმწიფოთაშორისი კავშირების სოციალური ასპექტები.

4. ჯ.მ. კეინზი: ეფექტიანი მოთხოვნის თეორია

ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი ცნობილი და აღიარებული სკოლა, რომელმაც ეკონომიკური რეგულირების რეცეპტები შემოგვთავაზა, მჭიდროდ არის დაკავშირებული ინგლისელი **ჯონ მეინარდ კეინზის** (1883-1946) სახელთან და ნაშრომებთან. ჯ. მ. კეინზის რეცეპტები პრაქტიკაში, ეკონომიკურ პროგრამებში, პრაქტიკულ ღონისძიებებში და ეკონომიკური პოლიტიკის აქციებში გამოიყენება. მის რეცეპტებს არა მხოლოდ ინგლისში და აშშ-ში, არამედ დასავლეთის სხვა ქვეყნებშიც იყენებდნენ. ამ სკოლის დასკვნები და დებულებები გარკვეულწილად ჩვენთვისაც სასარგებლოა.

30-იან წლებში, როდესაც მუშავდებოდა და გამოქვეყნდა ჯ.მ. კეინზის „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“, საწირო იყო იმ მეთოდების პოვნა, რომლებიც ღრმა კრიზისიდან გამოსვლას უზრუნველყოფდა და აგრეთვე შექმნიდნენ მასობრივი უმუშევრობის დაძლევის და წარმოების ზრდის პირობებს.

კეინზის მიერ შემოთავაზებული იდეები

რა არის კეინზის კონცეფციის არსი?

ჯერ ერთი, მას ეფექტიანი მოთხოვნის თეორიას უწოდებენ. კეინსის იდეა ის არის, რომ ერთობლივი მოთხოვნის საერთო მყიდველობითუნარიანობის აქტივიზაციისა და სტიმულირების მეშვეობით ზემოქმედება მოახდინოს წარმოების და საქონლისა და მომსახურეობის მიწოდების გაფართოებაზე.

მეორე, ეს არის თეორია, რომელიც გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ინვესტიციებს. რაც უფრო მაღალია მათი მომგებიანობა და მოსალოდნელი შემოსავალი, და რაც უფრო მნიშვნელოვანია ინვესტიციების სიდიდე, მით უფრო დიდი იქნება წარმოების მასშტაბები და მისი ზრდის ტემპები.

მესამე, ამ თეორიის თანახმად სახელმწიფოს შეუძლია იმოქმედოს ინვესტიციებზე, პროცენტის (სასესხო, საბანკო) დონის რეგულირების ან საზოგადოებრივ სამუშაოებში და სხვა სფეროებში ინვესტიციების განხორციელების გზით. კეინსის თეორია ითვალისწინებს სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას ეკონომიკურ ცხოვრებაში. კეინსს არ სჯეროდა თვითრე-

გულირებადი საბაზრო მექანიზმისა. ის თვლიდა, რომ ნორმალური ზრდის და ეკონომიკური თანასწორობის მისაღწევად აუცილებელია გარედან. ჩარევა. საბაზრო ეკონომიკას არ შეუძლია თვითონ ,მოირჩინოს“ საკუთარი თავი (გამოჯანმრთელდეს).

მოთხოვნა ქმნის მიწოდებას

კეინსმა მიაქცია ყურადრება იმას, რაც სხვა ეკონომისტებმა ვერ შენიშნეს. მან ფარტოდ არიარებული სეის კანონი გააკრიტიკა. **ჟ.ბ. სეი** (1767-1832) თვლიდა, რომ უზრუნველყოფს რა საქონელზე შესაბამის მოთხოვნას, წარმოება თვითონ აყალიბებს შემოსავლებს და გამორიცხავს საქონლისა და მომსახურების საერთო ჭარბწარმოებას. დარღვევები შესაძლებელია ცალკეულ საქონელსა ან საქონლის ჯგუფებში გარეშე ფაქტორების გამო და არა შინაგან ურთიერთობათა რღვევის ან თვითონ სამეურნეო მექანიზმის არასრულყოფილების გამო.

ეს პოზიცია გამომდინარეობდა არა ფულადი, არამედ ნატურალური გაცვლიდან. მაგრამ რეალურ ეკონომიკურ პრაქტიკას არაფერი საერთო არა აქვს „რობინზონ კრუზოს გაცვლისგარეშე ეკონომიკასთან“ (კეინსი). ნებისმიერი ანალოგია რობინზონიადას და რეალურ ეკონომიკურ სინამდვილეს შორის არასერიოზულია. უნდა გვახსოვდეს, რომ საქონელი უბრალოდ კი არ იცვლება ,საქონელი საქონელზე“, არამედ ის იყიდება და მას ყიდულობენ. თუ მოთხოვნა საზოგადოებაში წარმოებულ პროდუქციაზე ნაკლებია, ჩნდება შეუსაბამობა, ამიტომ პროდუქციის ნაწილი ვერ საღდება. ფასები ვერ ასწრებენ მოთხოვნისა და მიწოდების გათანაბრებას.

მოვლენები შემდეგნაირად ვითარდება. მოქმედებს ე.წ. ,ხრუტუნას ეფექტი“. მოთხოვნის ზრდის შემთხვევაში ფასებიც იზრდება, მისი შემცირება კი ფასებს არ ცვლის. ხელფასის დონის დაწევა ძალიან ძნელია: ბორბალი უკუმიმართულებით არ ტრიალებს. მუშები და პროფკავშირები მტკიცედ დგანან თავის პოზიციებზე. დაბალი განაკვეთები მეწარმეებსაც არ აწყობთ, ისინი შიშობენ კვალიფიციური მუსების დაკარგვას.

ის, რასაც ცალკეული ფირმა აკეთებს, ხშირად სხვა ფირმებისთვის წამგებიანია. ცალკეულ ფირმატას ნორმალური ფუნქციობა - არასაკმარისი პირობაა მთელი ეკონომიკის წარმატებით ფუნქციობისათვის. ხელფასის საყოველთაო შემცირების შემთხვევაში მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი, და საქონელზე მოთხოვნა მცირდება, რაც უმუშევრობას კი არ შეამცირებს (როგორც კლასიკოსები თვლიან), არამედ გაზრდის. წარმოება კიდევ უფრო შემცირდება, უმუსევრთა რაოდენობა აიწევს.

კეინზის დასკვნა: საზოგადოებრივი წარმოებისა და დასაქმების მოცულობა და მათი დინამიკა განისაზღვრება არა მიწოდების, არამედ გადახდისუნარიანი მოთხოვნის ფაქტორებით. ყურადღების ცენტრში უნდა იყოს მოთხოვნისა და მისი შემადგენლების განხილვა, აგრეთვე მოთხოვნაზე გავლენის მქონე ფაქტორები.

მთლიანი მოთხოვნა არის საქონლისა და მომსახურების ეროვნული წარმოების რეალური მოცულობა, რომლის ყიდვა ფასების მოცემულ დონეზე შეუძლიათ შინა მეურნეობებს, საწარმოებს და სახელმწიფოს.

ერთობლივი მოთხოვნის ზრდას ამუხრუჭებს ორი ფაქტორი. პირველია - მომხმარებელთა ფსიქოლოგია. შემოსავლების ზრდა არ ნიშნავს იმას, რომ ყველა უფრო მეტ საქონელს შეიძენს (მოხმარების დონე აიწევს). შემოსავლის ნაწილი დაიზოგება. ეს თავისებური ფსიქოლოგიური კანონია. შემოსავლის ზრდა იწვევს მოხმარებისადმიო მიდრეკილების შემცირებას და დაზოგვისადმი მიდრეკილების გაზრდას. მეორე მუხრუჭს კაპიტალური დაბანდებების ეფექტიანობის დაწევა წარმოადგენს. დაგროვილი კაპიტალის მოცულობის გადიდება კაპიტალის კლებადი მწარმოებლურობის კანონის თანახმად იწვევს მოგების ნორმის დაწევას. თუ მოგების ნორმა დიდად არ განსხვავდება პროცენტის ნორმისაგან, წარმოების გაფართოება და მოდერნიზაცია დიდ შემოსავლებს არ მოიტანს. მოთხოვნა საინვესტიციო საქონელზე ვარდება.

რეგულირების ინსტრუმენტები

როგორ უნდა გადიდდეს ინვესტიციები, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ გადახდისუნარიანი მოთხოვნის გაფართოებისათვის?

პირველი. იყო კრედიტებზე პროცენტების დაწევის წინადადება, რაც კრედიტების ღირებულების და კაპიტალდაბანდებათა მოსალოდნელ მომგებიანობას შორის სხვაობას გაზრდის და მათ ,ზღვრულ ეფექტიანობას“ აწევს. მეწარმეები ფულად სახსრებს არა ფასიან ქაღალდებში, არამედ წარმოების განვითარებაში დააბანდებენ.

მეორე. ეფექტიანი მოთხოვნის სტიმულირებისათვის კეინსის რეკომენდაციით საჭირო იყო სახელმწიფო ხარჯების, ინვესტიციებისა და საქონლის შესყიდვის გაზრდა. ასეთი გათვლა იმას ემყარებოდა, რომ „სახელმწიფო სულ უფრო მეტ პასუხისმგებლობას აიღებს უშუალოდ ინვესტიციების პირდაპირ ორგანიზაციაზე“. ვარაუდობენ, რომ სახელმწიფოს საინვესტიციო საქმიანობა მიმართული იქნება პირველ რიგში საზოგადოებრივი საქმიანობის ორგანიზაციაზე, როგორიცაა გზატკეცილების მშენებლობა, ახალი უბნების ათვისება, საწარმოთა აგება.

მესამე. დასახულიყო შემოსავალთა გადანაწილება იმ სოციალური ჯგუფების ინტერესებისათვის, რომლებიც ყველაზე დაბალ შემოსავალს იღებენ. ამგვარ პოლიტიკას ასეთი სოციალური ჯგუფების მოთხოვნა უნდა გაეზარდა და მასობრივი მყიდველის ფულადი მოთხოვნა აეწია. საზოგადოებაში უნდა გაზრდილიყო მოხმარებისადმი მიდრეკილება.

შედეგად, როგორც კეინსი ამტკიცებდა გაფართოვდება წარმოება, გაიხსნება დამატებითი სამუშაო ადგილები, შემცირდება უმუშევრობა (ნახ. 15.1). განიხილავდა რა რეგულირების ორ ინსტრუმენტს - ფულად-საკრედიტოს და საბიუჯეტოს - კეინსი უპირატესობას მეორეს ანიჭებდა. დაცემის დროს ინვესტიციები სუსტად რეაგირებენ საპროცენტო განაკვეთის დაწევაზე (რეგულირების ფულად-საკრედიტო ხერხი). ე.ი. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს არა საპროცენტო განაკვეთის დაწევას (რეგულირების არაპირდაპირი ფორმა), არამედ საბიუჯეტო პოლიტიკას, მათ შორის იმ სახელმწიფო ხარჯების გაზრდას, რომლებიც სტიმულს მისცემენ ფირმების ინვესტირებას.



ნახ.15.1 კეინზის კონცეფცია: მოთხოვნის სტიმულირების გზები

საინვესტიციო მულტიპლიკატორი

კეინსის თეორიაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მულტიპლიკატორი. ლათინურად ეს სიტყვა ნიშნავს „სამრავლს“. მულტიპლიკატორი ამრავლებს, აძლიერებს მოთხოვნას შემოსავლის ზრდაზე ინვესტიციების ზემოქმედების შედეგად.

მულტიპლიკატორი წარმოადგენს კოეფიციენტს, რომელიც გამოსახავს შემოსავლის ნაზარდსა და ამ ნაზარდის გამომწვევ ინვესტიციების მოცულობის გაზრდას შორის არსებულ თანაფარდობას. ის აჩვენებს ეროვნული შემოსავლის ნაზარდის დამოკიდებულებას ინვესტიციათა ნაზარდისაგან. მულტიპლიკატორი იზრდება იმ შემთხვევაში, როდესაც მომხმარებელი მზადაა გამოიყენოს შემოსავლის ნაზარდი მოხმარების გაზრდისათვის და პირიქით, მცირდება, როდესაც ძლიერდება მომხმარებლის მიდრეკილება დაზოგვისადმი.

მაგრამ არსებობს მულტიპლიკაციური ეფექტის შემზღუდველი ფაქტორები. მულტიპლიკაციას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც არსებობს გამოუყენებელი სიმძლავრეები და თავისუფალი სამუშაო ძალა. სარეზერვო სიმძლავრეთა გამოყენება იწვევს უმნიშვნელო დამატებითი დაბანდებების ხარჯზე პროდუქციის გამოშვების „იაფ“ ზრდას. მულტიპლიკაციის ეფექტზე საუბრისას კეინსს მხედველობაში ჰქონდა პირველ რიგში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები, მაგალითად, საზოგადოებრივი სამუშაოების ორგანიზაციაზე. ის ირონიულად ამბობდა, რომ შესაძლებელია უაზრო სამუშაოების ორგანიზებაც. მაგალითად ბოთლების ბანკნოტებით გატენვა და მიწაში დამარხვა იმისათვის, რომ ისინი უმუშევრებმა იპოვონ.

ნეოკეინზიანელთა რეკომენდაციები

კეინსის მიმდევრებმა (ნეოკეინსიანელებმა) შეავსეს და დააკონკრეტეს მისი დებულებები და რეკომენდაციები. მაგალითად, მულტიპლიკატორის კონცეპცია მათ აქსელეტარორის კონცეფციით შეავსეს. აქსელერატორი ნიშნავს „დამაჩქარებელს“ და უჩვენებს ინვესტიციების ნაზარდის დამოკიდებულებას შემოსავლის ნაზარდისაგან. შემოსავლის ყოველ ნაზარდს პროცენტულად უფრო დიდი ინვესტიციების ნაზარდი იწვევს. მულტიპლიკატორისა და აქსელერატორის ურთიერთკავშირიდან გამომდინარე ნეოკეინსიანელებმა ეკონომიკის უწყვეტი, დინამიური ზრდის სქემა დაამუშავეს. შეიქმნა განსხვავებულ კონიუნქტურულ პირობებში (ვარდნის და ზრდის) ეკონომიკის რეგულირების თეორია. დამუშავდა ეკონომიკის რეგულირების დებულება სახელმწიფო ბიუჯეტიდან იმ სტაბილიზატორების გამოყენებით, რომლებიც გარკვეულწილად ავტომატურად უნდა რეაგირებდნენ ციკლურ ცვლილებებზე და შეარბილონ ეს რხევები (სატაბილიზატორებს წარმოადგენენ გადასახადები, სოციალური დაზღვევა, დახმარებები).

5. მონეტარიზმი: ახალ მიდგომათა გამოძებნა

70-იანი - 80-იანი წლების მიჯნაზე ეკონომიკის რეგულირებისადმი ახალ მიდგომათა ინტენსიური ძიება მიმდინარეობდა. თუ კეინსის თეორისს დამუშავებისას ცენტრალურ პრობლემად უმუშევრობა რჩებოდა, შემდგომში სიტუაცია შეიცვალა, მთავარი ინფლაციის პრობლემა გახდა წარმოების ერთდროული შემცირებით. ამ სიტუაციას უწოდეს სტაგფლაცია. კეინსეული რეკომენდაციები (მაგალითად, საბიუჯეტო ხარჯების გაზრდით დეფიციტური დაფინანსების პოლიტიკის გატარება) შეცვლილ პირობებში გამოუსადეგარი აღმოჩნ-

და. საბიუჯეტო მანიპულაციებს მხოლოდ ინფლაციის გაძლიერება შეეძლო, რაც ხდებოდა კიდეც.

უკან სმითისაკენ

დაიწყო ფასეულობათა გადაფასება და ახალი რეცეპტების ძებნა. გაჩნდა ლოზუნგი „უკან სმითისაკენ“, რაც ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევის მეთოდებზე უარის თქმას ნიშნავდა. ყველაზე დიდი გავლენა ახალი კონცეფციის დამუსავებისა და ეკონომიკური პოლიტიკის გადასინჯვის პროცესში მონეტარისტთა რეკომენდაციებს ჰქონდა. თუმცა მათი ლიდერი, ამერიკელი მილტონ ფრიდმენი (1912-2006) ჯერ კიდევ 50-იან წლებში გადმოდიოდა, აღიარება და პოპულარობა მისმა თეორიამ უფრო გვიან მოიპოვა. გაგახსენებთ, რომ ეკონომიკური კურსი, რომელსაც რეიგანომიკას უწოდებენ, მნიშვნელოვან წილად მონეტარისტთა შეხედულებებს ეყრდნობოდა.

ეკონომიკურ თეორიაში და პირველ რიგში ფულის თეორიაში ჩადებული მონეტარიზმის პოზიტიური წვლილი გამოიხატება ფულადი სამყაროს - საქონლის სამყაროზე, მონეტარული ინსტრუმენტებისა და მონეტარული პოლიტიკის (money- ფული, monetary-ფულადი), ეკონომიკის განვითარებაზე უკუმოქმედების მექანიზმის კვლევაში. შეიძლება ითქვას რომ მონეტარიზმი არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ფულს და მის როლს არწარმოების პროცესში. ეს არის ერთიანი თეორია, რომელიც წარმოადგენს სპეციფიკურ მიდგომას ეკონომიკის რეგულირებისადმი ფულად-საკრედიტო ინსტრუმენტების დახმარებით.

ფულადი ემისია - ძირითადი მეთოდი

ფულის რაოდენობრივი თეორიის შესაბამისად პირველ პლანზე, ეკონომიკური მდგომარეობისა და კონიუნქტურის მიუხედავად, გამოდის მისი სტაბილური ემისია. ფულადი მასის მოცულობა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარი ობიექტი ხდება (კეინსიანელები ფულადი რეგულირების საშუალებად საპროცენტო განაკვეთებს განიხილავდნენ).

ფრიდმენისა და მისი მომხრეების კონცეფციის ძირითადი დებულებანია:

1. კერძო საბაზრო მეურნეობის სიმყარე. მონეტარისტები თვლიან, რომ შიდა ტენდენციების გამო საბაზრო მეურნეობა სტაბილურობისა და თვითმოწესრიგებისაკენ მიისწრაფვის. თუ ადგილი აქვს დისპროპორციებს და დარღვევებს, ეს პირველ რიგში, გარედან ჩარევის შედეგია. ეს დებულება კეინსის იდეების წინააღმდეგ არის მიმართული. მონეტა-

რისტთა აზრით, კეინსის მოწოდება სახელმწიფო ჩარევისაკენ სამეურნეო განვითარების ნორმალურ სვლას არღვევს.

2. სახელმწიფო რეგულატორთა რიცხვი მინიმუმამდე მცირდება, გამოირიცხება საგადასახადო და საბიუჯეტო რეგულირება (ე.წ. ადმინისტრაციული მეთოდები).

3. სამეურნეო ცხოვრებაზე მოქმედ მთავარ რეგულატორს წარმოადგენს „ფულადი იმპულსები", ფულადი ემისია. ეყრდნობოდა რა აშშ-ს ‚მონეტარულ' ისტორიას, ფრიდმენი ამტკიცებდა, რომ ფულადი მასის დინამიკას და ეროვნული შემოსავლის დინამიკას შორის არსებობს უმჭიდროესი კორეალციური კავშირი, და რომ ფულადი იმპულსები ეკონომიკის ყველაზე საიმედო ამწყობია. ფულადი მასა გავლენას ახდენს მომხმარებელთა და ფირმების ხარჯებზე; ფულადი მასის ზრდას წარმოებისდ ზრდა მოჰყვება, სიმძლავრეთა სრულ შევსებას კი - ფასების ზრდა.

4. რადგანაც ფულადი მასის ცვლილება ეკონომიკაზე არა ერთბაშად, არამედ გარკვეული დაგვიანებით მოქმედებს (ლაგი) და ამან შეიძლება გაუმართლებელი დარღვევები გამოიწვიოს, მიზანშეწონილია მოკლევადიან ფულად პოლიტიკაზე უარი ითქვას. ის უნდა შეცვალოს პოლიტიკამ, რომელიც გატვლილია ეკონომიკის ხანგრძლივი, უწყვეტი მოქმედებისათვის და მიზნად საწარმოო პოტენციალის ზრდას ისახავს. მოცემული დებულება ისევე, როგორც სხვები, მიმართულია კონიუნქტურის მიმდინარე რეგულირების კეინსეული კურსის წინააღმდეგ. კეინსეული კორექტივები აგვიანებენ და ხშირ შემთხვევაში საწინააღმდეგო შედეგებს იწვევენ.

ფულადი იმპულსების მექანიზმი

დაწვრილებით განვიხილოთ ფულადი იმპულსების გადამცემი მექანიზმი. ეკონომიკურ კონიუნქტურაზე არა მხოლოდ ნაღდი ფული M_0 ახდენს გავლენას, არამედ დაბანდებები, დეპოზიტები კომერციულ ბანკებში M_1, M_2, მონეტარისტების ტერმინოლოგიით, არა მარტო ნაღდი ფული, არამედ მთლიანად მონეტარული ბაზისი, ანუ ნაღდი ფულისა და საბანკო რეზერვების ერთობლიობა. მონეტარული ბაზისის ცნების ზუსტი განსაზღვრა ლიტერატურაში არ არსებობს. ფრიდმენი იყენებს აგრეგატ M_2-ს. სწორედ ამ სტატისტიკურ მაჩვენებელს რთავენ მოდელებში, რომლებითაც ითვლიან ფულადი პოლიტიკის ნორმატივებს.

მონეტარული ბაზისი ეკონომიკურ ცხოვრებაზე მოქმედებს არა ერთბაშად, არამედ დროის გარკვეულ მონაკვეთში (ლაგი). ამასთან მონეტარული ბაზისის ზრდის ტემპები საქონლის მასის ზრდის ტემპებთან უნდა იყოს კოორდინირებული. მონეტარული გადამცემი მექანიზმი სქემით არის წარმოდგენილი ნახაზზე 15.2.

ფულადი მასის (მონეტარული ბაზისის) ნამატი უნდა შეესაბამებოდეს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას, ფულის ბრუნვის სისწრაფის ცვლილებების გათვალისწინებით.



ნახ. 15.2 მონეტარული ბაზისის ზემოქმედება მეპ-ზე

ფრიდმენის „ფულადი წესი“

ფრიდმენი გამომდინარეობდა იმ გარემოებიდან, რომ ფულადი პოლიტიკა ფულზე მოთხოვნისა და მისი მიწოდების შესაბამისობის მისაღწევად უნდა იყოს მიმართული. ფულადი მიწოდების ზრდა (ფულის ნამატის პროცენტი) ფასების სტაბილურობას უნდა უზრუნველყოფდეს. ფრიდმენი თვლიდა, რომ ფულის ნამატის სხვადასხვა მაჩვენებლებთან მანევრირება ძალიან ძნელია. ცენტრალური ბანკის პროგნოზები ხშირად მცდარია. ,საკრედიტო-საფინანსო დარგის განხილვისას უმეტეს შემთხვევაში არასწორ გადაწყვეტილებას იღებენ, რადგანაც განიხილავენ მხოლოდ შეზღუდულ დარგს, და არ ითვალისწინებენ მთელი პოლიტიკის ერთობლიობას“. ცენტრალურმა ბანკმა უარი უნდა თქვას მოკლევადიანი რეგულირების კონიუნქტურულ პოლიტიკაზე და დაეყრდნოს ეკონომიკაზე ხანგრძლივი ზემოქმედების პოლიტიკას და ფულადუ მასის თანდათანობით გაზრდას.

ფულის ზრდის ტემპის არჩევისას ფრიდმენმა ფულადი მასის „მექანიკური“ ნამატის წესის გამოყენების წინადადება შემოიტანა, რომელიც გამოსახავდა ორ ფაქტორს: მოსალოდნელი ინფლაციის დონეს და საზოგადოებრივი პროდუქტის ნამატის ტემპს. აშშ და დასავლეთის სხვა ქვეყნებისათვის ფრიდმენი გვთავაზობს ფულადი მასის საშუალო წლიური ნამატის ტემპს 4-5% ოდენობით. ამასტან ის გამომდინარეობს რეალური მთლიანი ეროვნული პროდუქტის 35%-იანი ზრდიდან (შეერთებული შტატებისათვის) და ფულის მიმოქცევის სიჩქარის მცირე დაცემიდან. ეს 4-5% ფულის მატება შეუწყვეტელი უნდა იყოს თვიდან

თვემმდე, კვირიდან კვირამდე. თავის ერთ-ერთ ნაშრომში „ფულადი წესის“ ავტორი მიგვანიშნებს: „როგორ იქნება დადგენილი ფულის ცნება და როგორი იქნება ზრდის ტემპები, არც ისე მნიშვნელოვანია, როგორც თვითონ ფაქტი, რომ ეს ცნება მტკიცედ განსაზღვრულია და ტემპები ზუსტად აღნიშნული“.

მას ასე,მონეტარისტთა შეხედულებების თანახმად, ფული წარმოადგენს მთავარ სფეროს, რომელიც განსაზღვრავს წარმოების მოძრაობასა და განვითარებას. ფულზე მოთხოვნას გააჩნია ზრდის მუდმივი ტენდენცია (რაც, კერძოდ, დაზოგვისაკენ მიდრეკილებით განისაზღვრება), და იმისათვის რომ ფულზე მოთხოვნის და მისი მიწოდების შესაბამისობას მივაღწიოთ, აუცილებელია მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა თანდათანობით გაიზარდოს (განსაზღვრული ტემპით). სახელმწიფო რეგულირება უნდა იზღუდებოდეს ფულის მიმოქცევაზე კონტროლით.

6. მიწოდების ეკონომიკა

მიწოდების ეკონომიკის კონცეფციის არსია - მოთხოვნის მარტვიდან ერთობლივი მიწოდების სტიმულირებაზე ძალისხმევის გადატანა, წარმოებისა და დასაქმების გააქტიურება. დასახელება „მიწოდების ეკონომიკა“ წარმოიშვა კონცეფციის ავტორთა ძირითადი იდეიდან - მისცენ სტიმული კაპიტალისა და სამუშაო ძალის მიწოდებას. ის შეიცავს ეკონომიკურ, და პირველ რიგში საგადასახადო პოლიტიკაში პრაქტიკული რეკომენდაციების სისტემათა დასაბუთებას. მითითებული კონცეფციის წარმომადგენელთა აზრით, ბაზარი მეურნეობის ორგანიზაციას არა მხოლოდ ყველაზე ეფექტიან საშუალებას წარმოადგენს, არამედ არის ერთადერთი ნორმალური, ბუნებრივად ჩამოყალიბებული ეკონომიკური გაცვლის სისტემა.

ისევე, როგორც მონეტარისტები, მიწოდების ეკონომიკის მიმდევარნიც ეკონომიკის მართვის ლიბერალური მეთოდების მოხრენი არიან. ისინი აკრიტიკებენ სახელმწიფოს მხრიდან პირდაპირ, უშუალო რეგულირებას და თუ რეგულირება მაინც საჭიროა, ის განიხილება როგორც გარდაუვალი ჭირი, რომელიც ამცირებს ეფექტიანობას და ბორკავს მწარმოებელთა ინიციატივას და ენერგიას. სახელმწიფოს როლზე ამ სკოლის წარმომადგენელთა შეხედულებები ძალიან გავს ავსტრო-ამერიკელი ეკონომისტის ფრიდრიხ ფონ ჰაიეკის(1899-1992) პოზიციას, რომელიც დაბეჯითებით ქადაგებდა თავისუფალ საბაზრო ფასწარმოქმნას.

რეკომენდაციები საგადასახადო პოლიტიკის დარგში

მოკლედ აღვნიშნოთ, რა რეკომენდაციებს გვთავაზობს საგადასახადო პოლიტიკის დარგში მიწოდების ეკონომიკის სკოლა. ამ სკოლის წარმომადგენლები თვლიან, რომ გადასახადების ზრდა იწვევს ხარჯებისა და ფასების ზრდას და საბოლოო ჯამში მომხმარებელზე მის გადაკისრებას. გადასახადების ზრდა წარმოადგენს ბიძგს „ხარჯების ინფლაციისაკენ“. მაღალი გადასახადები აკავებენ ინვესტირებას, ახალ ტექნოლოგიაში სახსრების დაბანდებას, წარმოების სრულყოფას. კეინსისაგან განსხვავებით მიწოდების ეკონომიკის მომხრენი ამტკიცებენ, რომ დასავლეთის ქვეყნების საგადასახადო პოლიტიკა კი არ აკავებს, არამედ აძლიერებს ინფლაციას და არღვევს წარმოების ზრდის სტიმულებს.

მიწოდების ეკონომიკა ინვესტიციათა სტიმულირების მიზნით გადასახადთა შემცირების მომხრეა. ის გვთავაზობს უარი ვთქვათ პროგრესული გადასახადების სისტემაზე, შემცირდეს საგადასახადო განაკვეთები მეწარმეობაზე, ხელფასე და დივიდენდებზე. გადასახადთა შემცირება გაზრდის მეწარმეთა შემოსავალს და დანაზოგს, შეამცირებს საპროცენტო განაკვეთის დონეს, რის შედეგადაც გაიზრდება დაგროვება და ინვესტიციები. ხელფასის მიმღებისათვის გადასახადის შემცირება დამატებითი სამუშაოს და დამატებითი შემოსავლის მიმზიდველობას გაზრდის, ამაღლდება მუშაობისადმი სტიმული, გაიზრდება სამუშაო ძალის მიწოდება.

ამ სკოლის წარმომადგენელთა რეკომენდაციები კაპიტალისა და სამუშაო ძალის მიწოდების გაფართოების შესახებ, აშშ-სა და დასავლეთის სხვა ქვეყნების ეკონომიკურ პროგრამებში გამოიყენება.

ლაფერის ეფექტი

მიწოდების ეკონომიკის თეორეტიკოსები მსჯელობისას ეგრეთწოდებულ ლაფერის მრუდს ეყრდნობიან (ნახ.15.3) მისი აზრი იმაშია, რომ ზღვრული განაკვეთთა და საერთოდ გადასახადთა შემცირებას გააჩნია ძლიერი მასტიმულირებელი ზემოქმედება წარმოებაზე. განაკვეთთა შემცირებისას საგადასახადო ბაზა საბოლოო ჯამსი იზრდება: მეტი პროდუქციის გამოშვება მეტი გადასახადის შეგროვებას იწვევს. ეს არ ხდება ერთბაშად. მაგრამ პრინციპში, საგადასახადო ბაზის გაფართოვებას შეუძლია შეავსოს ის დანაკარგები, რომლებიც გადასახადთა განაკვეთების შემცირებამ გამოიწვია. როგორც ცნობილია, გადასახადთა შემცირება რეგიონის პროგრამის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო.

მართებულია აღინიშნოს მიწოდების ეკონომიკის ზოგიერთი სხვა რეკომენდაციაც. რადგანაც გადასახადთა შემცირება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შემცირებას იწვევს, გვთავაზობენ დეფიციტისაგან „გადარჩენის“ საშუალებებს. მაგალითად, სოციალური პროგრამების შეკვეცა, ბიუროკრატიული აპარატის შემცირება, არაეფექტიანი ფედერალური ხარჯებისაგან განთავისუფლება (მაგალითად სამრეწველო საწარმოთა სუფსიდირება, ინფრასტრუქტურის განვითარება და სხვა). მმართველი წრეების აზრით, არაეფექტიანი სოციალური პროგრამების გაყინვის პოლიტიკა (რომელიც აშშ-ში, ინგლისში, საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში ტარდება), ეყრდნობა მიწოდების ეკონომიკისა და მონეტარისტების დასაბუთებებს და რეკომენდაციებს.



ნახ.15.3 ლაფერის მრუდი

ლაფერის მრუდზე აღნიშნულია: **T-** საგადასახადო განაკვეთი; **TR-** საგადასახადო შემოსავლები; **TRmax_** საგადასახადო შემოსავლების მაქსიმალური სიდიდეა.

7.ნეოლიბერალიზმი: კონცეფცია და პრაქტიკა

ნეოლიბერალიზმი ეკონომიკურ მეცნიერებასა და სამეურნეო მოღვაწეობის მართვის პრაქტიკაში არის ის მიმართულება, რომელიც იცავს და ამტკიცებს ზედმეტი რეგლამენტაციისაგან თავისუფალი, თვითრეგულირებადი ეკონომიკის პრინციპებს.

ეკონომიკური ლიბერალიზმის ტრადიციები

ეკონომიკური ლიბერალიზმის თანამედროვე წარმომადგენლები მიჰყვებიან ორ ტრადიციულ დებულებას. **პირველი**, ისინი გამოდიან იქიდან, რომ ბაზარი, როგორც მეურნეობრიობის ყველაფე ეფექტიანი ფორმა, ეკონომიკური ზრდის საუკეთესო პირობებს ქმნის. **მეორე**, ისინი ამტკიცებენ ეკონომიკური მოღვაწეობის სუბიექტთა თავისუფლების პრიორიტეტულ მნიშვნელობას. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს კონკურენციის პირობები და განახორციელოს კონტროლი იქ, სადაც ეს პირობები არ არის.

ნეორიბელარიზმს ჩვეულებრივ, სამ სკოლას მიაკუთვნებენ: ჩიკაგოს (**მილტონ ფრიდმენი**); ლონდონის (ფრიდრიხ ფონ ჰაიეკი); ფრაიბურგის (**ვალტერ ოიკენი**, 1891-1950; **ლუდვიგ ერჰარდი**, 1897-1977). თანამედროვე ლიბერალებს აერთიანებს საერთო მეთოდოლოგია და არა კონცეფტუალური დებულებები. ნეოლიბერალები, მაგალითად ნ. ბერი და ა. ლერნერი, არა მხოლოდ კეინზის თეორიის, არამედ მონეტარიზმის წინააღმდეგაც გამოდიან. მათი აზრით, ეს სკოლები ზედმეტად გატაცებულნი არიან მაკროეკონომიკური პრობლემებით და არ აქცევენ ყურადღებას მიკროეკონომიკას.

ლ.ერჰარდის ეკონომიკური რეფორმა

დასავლეთის ქვეყნებში ნეოლიბერალიზმის წარმომადგენელთაგან განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ლ. ერჰარდი. მისი უშუალო მონაწილეობით 40-იანი წლების მიწურულს დასავლეთ გერმანია გამოვიდა კრიზისული მდგომარეობიდან და იქ ჩატარდა ფულადი და ეკონომიკური რეფორმები. გულმოდგინედ მომზადებული ეკონომიკური რეფორმა ტარდებოდა ფულად რეფორმასთან, ფასების რეფორმასთან და ცენტრალიზებული მართვის გარდაქმნასთან ერთად. ძველი სისტემა დაანგრიეს ერთბაშად და არა თანდათანობით. ფასების ზრდა შეწყდა დაახლოებით ნახევარ წელიწადში. რეფორმის წარმატება განპირობებული იყო აგრეთვე დროული კორექტირებით (მაგალითად, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის გადახედვა), ძლიერი და ავტორიტეტული ხელისიფლების არსებობით.

ეკონომიკური რეფორმების პოზიტიური შედეგები განპირობებული იყო ხელსაყრელი ფაქტორებით: დარჩენილი მატერიალური ბაზის არსებობა, შედარებით იაფი სამუშაო ძალა, რაც აქტიურ ზემოქმედებას ახდენდა მოსახლეობის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის წარმოებაზე. საფინანსო და ფულად-საკრედიტო სისტემათა სტაბილიზაცია აუცილებელ წინაპირობას და წარმატების ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს და არა უნივერსალურ „ჯადოსნურ ჯოხს“. დანგრეული ეკონომიკის არდგენა მხოლოდ ფულადი რეფორმისა და ფინანსური ვარჯიშების დახმარებიტ შეუძლებელი იქნებოდა.

ერჰარდი არ იყო „სუფთა“ ნეოლიბერალი. ის ფართოდ იყენებდა სახელმწიფო ბერკეტებს ლიბერალიზმის პრინციპებზე გადასასვლელად. ფულად რეფორმას მოჰყვა რესურსების ადმინისტრაციული დანაწილების და მათზე კონტროლის გაუქმება.

ვ. იოკენის მიერ დამუშავებული სოციალური საბაზრო მეურნეობის კონცეფცია თავისი პოპულარობით ერჰარდის ეფექტიან ეკონომიკურ პოლიტიკას უნდა უმადლოდეს. სწორედ ამ პოლიტიკამ უზრუნველყო ზრდის უაღრესად სწრაფი ტემპები. ეს, ეგრეთ წოდებული, შუა გზის პოლიტიკა, მიმართული იყო სოციალურ წინააღმდეგობათა შესუსტებისკენ, მეწარმეობის საყოველთაო მხარდაჭერის, მოსახლეობის საშუალო ფენების ცხოვრების დონის ამაღლების პირობების შესაქმნელად.

ფ. ჰაიეკი ადმინისტრაციული დესპოტიზმის წინააღმდეგ

ნეოლიბერალიზმის ერთ-ერთ ფუძემდებლად და მთავარ თეორეტიკოსად ფრიდრიხ ფონ ჰაიეკი ითვლება. თავის ნაშრომებში ის ადამიანის მაქსიმალური თავისუფლების პრინციპებს იცავს. სახელმწიფოს მხრიდან არ უნდა იყოს რაიმე დაძალება, გარედან ჩარევა, მარ არ უნდა ეხებოდეს არც სოციალური დაზღვევა, არც განათლების ორგანიზაცია, არც ბინის გადასახადის დადგენა. ყოველივე ეს „ადმინისტრაციული დესპოტიზმია“. დასაშვებ მაქსიმუმს წარმოადგენს პენსიების და უმუშევართა დახმარებების გაცემა.

ამგვარი შეხედულებების მომხრეთა ძირითადი მოთხოვნაა მთავრობის მოღვაწეობის შეზღუდვა ყველა დარგში. საზოგადოებაში სოციალური წესრიგი არაა შეგნებული, არამედ წმინდა სპონტანურ მოქმედებათა შედეგია. სამეურნეო საქმიანობის კოორდინირების მცდელობისას ინფორმაციის გადაცემის მექანიზმი ირღვევა. ფ. ჰაიეკს არ აწუხებს მონოპოლიის ან წმინდა სპეკულაციის არსებობა- ყველგან თავისუფლება უნდა იყოს. შეიძლება ითქვას, რომ ნეოლიბერალიზმის მამას ისტორიის უკან დაბრუნება სურდა დიდ საწარმოთა გარეშე, წვრილი სამეურნეო ერთეულების, ფერმერებისა და ხელოსნების სამყარის აღდგენა.

ნეოლიბერალთა კონცეფციები ჩვეულებრივ განსხვავდება სამეურნეო მოღვაწეობის პრაქტიკისაგან, გერმანიის, სკანდინავიის და სხვა ქვეყნების მთავრობების მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკისაგან. ნეოლიბერალებს ხშირად ნეოკლასიკური მიმართულების მომხრეები ეკამათებიან. კ. მაკკონელი და ს. ბრიუ, „ეკონომიკის“-ის ავტორები თვლიან, რომ სახელმწიფო კი არ ავიწროებს, არამედ აფართოებს თავისუფალი არჩევანის სფეროს, იღებს საზოგადოებრივი საქონლის წარმოებასთან დაკავშირებულ

გადაწყვეტილებებს. სახელმწიფო ხელს უწყობს კრიზისებისა და დეპრესიის ნეიტრალიზაციას. მისი მოქმედება შეიძლება შეედაროს შუქნიშანს, რომელიც არა მხოლოდ აკავებს, არამედ არეგულირებს ტრანსპორტის მოძრაობას.

8. მარქსისტული თეორია: კონცეფტუალური დებულებები და თანამედროვე შეხედულებანი

ეკონომიკური მეცნიერების მრავალი წარმომადგენლის შეხედულებათა ფორმირებაზე არსებითი გავლენა იქონია ისტორიის მატერიალისტური გაგების კონცეფციამ, რომლის ფუძემდებლური პრინციპები **კარლ მარქსმა** (1818-1883) დაამუშავა.

მატერიალური წარმოება - საზოგადოების განვითარების საფუძველი

კონცეფციის საწყისი დებულებებია ის, რომ საზოგადოებისდ არსებობისა და განვითარების საფუძველს წარმოადგენს მატერიალური წარმოება და ის ცვლილებები, რომლებიც განპირობებულია წარმოების სგფეროს წინსვლით და საწარმოო ძალათა პროგრესით.

წარმოების ფორმებს თავისი სპეციფიკა და შინაგანი ლოგიკა გააჩნია. წარმოების განვითარება ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების წარმოშობას იწვევს. წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა და საზოგადოების მატერიალური ბაზისი განსაზღვრავენ ცნობიერების ფორმებს, საზოგადოების იურიდიულ და პოლიტიკურ ზედნაშენს. სამართალი, პოლიტიკა, რელიგია იმართება ბაზისით; საზოგადოებრივი ორგანიზმის ორ მხარეს შორის ურთიერთკავშირი ძალიან რთული და წინააღმდეგობრივია. საზოგადოებაში მოქმედი სოციოლგიური კანონები გამოხატავენ საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობებს შორის, აგრეთვე იდეოლოგიურ და პოლიტიკური ზედნაშენსა და ბაზისს შორის შესაბამისობის პრინციპს. წარმოების განვითარების დონესა და საზოგადოების ორგანიზაციის ფორმას შორის შესაბამისობის პრინციპი გვიხსნის, რატომ ხდება ცვლილებები საზოგადოებრივ ურთიერთობებში: წარმოებითი ურთიერთობანი საწარმოო ძალების განვითარების მუხრუჭად იქცევა და რევოლუციური გზით უნდა გარდაიქმნან. ,ეკონომიკური საფუძვლის ცვლილებასთან ერთად მეტი თუ ნაკლები სისწრაფით ხდება გადატრიალება მთელ უზარმაზარ ზედნასენში.

თეორიული კონცეფცია, რომელიც მარქსმა მოგვაწოდა და დააკონკრეტა, საკმაოდ ლოგიკურად გამოიყურება. მის ზემოქმედებას ვერ ასცდა ბევრი ეკონომისტი, ისტორიკოსი,

ბუნებათმცოდნე, მათ შორის დასავლეთის თეორიული აზრის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

მარქსის მიერ დატოვებული მეცნიერული მემკვიდრეობა სხვადასხვანაირად იკითხება და დღესაც უწყვეტი დისკუსიების, მძიმე განხილვისა და კამათის საგნად რჩება. ზოგი უარყოფს მარქსს, ზოგი კი მისი დებულებებისა და დასკვნების სამართლიანობას და ურყევობასაც კი ამტკიცებს. მარქსის მემკვიდრრეობის უფრო ფხიზელი და აწონილი შეფასებაც არსებობს- მისი იდეების დაზუსტება და ხელახლა გააზრება მიმდინარე ცვლილებების, ეკონომიკური მეცნიერების ახალი დასკვნებისა და ზოგადსაკაცობრიო კულტურის მიღწევათა პოზიციებიდან. ეკონომიკის ბევრ სახელმძღვანელოში მარქსის კონცეფტუალურ შეხედულებებს ხშირად სპეციალური თავი ან კარი ეთმობა. ჩვენი აზრით მარქსის თეორიის უარყოფა ან პირიქით რეაბილიტაცია სარგებლობას არ მოგვიტანს. ეკონომიკური ისტორიის და საზოგადოებრივი პრაქტიკის განვითარებაში მის უდავო ღვაწლზე მოწინააღმდეგენიც არ დაობენ. საზოგადოებრივმა განვითარებაში მის უდავო ღვაწლზე მოწინააღმდეგენიც არ დაობენ. საზოგადოებრივმა განვითარებამ ბევრი ახალი აზრი შემოიტანა სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური განვითარების ძირითად ტენდენციათა აღქმაში, მარქსის შეხედულებები კი არ უნდა გაიგივდეს მის მიმდევართა ,მარქსისტულ“ შეხედულებებთან, რომლებიც მარქსიზმს განიხილავენ ცალკეული თეზისების (ხშირად დამახინჯებული და არასწორად გაგებული) და არა თეორიულ იდეათა სისტემის (მათ შორის გამართლებული ან მცდარი) სახით.

ჩვენ მიზნად არ ვისახავთ რამდენადმე დეტალურად განვიხილოთ მარქსის, მის მოწინააღმდეგეთა და მომხრეთა პოზიციები, მხოლოდ მოკლედ შევჩერდებით მისი ეკონომიკური კონცეფციის ზოგიერთ დებულებაზე.

ღირებულების კონცეფცია: ერთი თუ რამდენიმე ფაქტორი?

ღირებულების თეორიის მარქსისეული გაგება ორგანულად არის დაკავშირებული როგორც ფასების, ასევე შემოსავლის წყაროების განსაზღვრასთან. მარქსის აზრით, ღირებულების საფუძველს მხოლოდ ერთი საწარმოო ფაქტორი წარმოადგენს - მუშაკთა შრომა. განსხვავებული პოზიცია უკავიათ თანამედროვე ეკონომისტებს. ისინი მეტნაკლებად ეთანხმებიან იმ აზრს, რომ ღირებულების საფუძველს არა ერთი, არამედ რამდენიმე საწარმოო ფაქტორი - შრომა, კაპიტალი (წარმოების საშუალებანი), ბუნებრივი ფაქტორი (მიწა), მეწარმეობის ნიჭი - წარმოადგენს. შესაბამისად, აღიარებულია, რომ ღირებულება ყველა ფაქტორით ყალიბდება და შენმოსავლებად იყოფა.

მარქსი ამტკიცებდა, რომ მხოლოდ ცოცხალი შრომა მონაწილეობს ღირებულების შექმნაში. ოპონენტები მას ედავებიან. ისინი მიუთითებენ შრომის სახეობათა (ფიზიკური და გონებრივი, კვალიფიციური და არაკვალიფიციური) სხვადასხვაგვარობაზე და შეუთავსებლობაზე, ცოცხალი შრომის უშუალო მონაწილეობის გარესე წარმოების რეალურ შესაძლებლობაზე (ავტომატიზებული წარმოება). სამმართველო და ორგანიზატორული საქმიანობის გათვალისწინების აუცილებლობაზე.

ღირებულების პრობლემა შესაძლებელია და უნდა გადაწყდეს არა დაპირისპირებით, არამედ მიდგომათა შეთავსებით და შეთანხმებით. საქონლის ფასეულობის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია როგორც ხარჯების (შრომა, სამუშაო დრო), ასევე შედეგების (რაოდენობა და სარგებლიანობის ხარისხი) და მათი ურთიერთქმედების გათვალისწინება.

საბაზრო გაცვლა წარმოადგენს პროცესს, რომელშიც ხდება შრომითი დანახარჯების და საქონელთა საზოგადოებრივი სარგებლიანობის შეთანაზომვა. თუ ჩვენ გვაინტერესებს იმ ფენომენის არსი, რომელიც საქონლის ფასეულობის საფუძველში დევს, უნდა გავითვალისწინოთ ხარჯებიც (ღირებულება) და მასზე საზოგადოებრივი მოთხოვნილებაც (სახმარი ღირებულება). ორივე მეთოდი, ორივე მიდგომა განიხილება ორგანულ ურთიერთკავშირში და ერთმანეთს ავსებს.

ღირებულების შრომითი თეორია შეუფერებელი საფუძველი აღმოჩნდა გამოყენებითი კვლევისათვის: პრაქტიკაში ფასი არა მხოლოდ არ ემთხვევა ღირებულებას, არამედ ყალიბდება იმ „მაკოინსტრუირებელი ღერძის“ ირგვლივ, რომელიც ღირებულების შემქმნელი ერტიანი ფაქტორის შესახებ პრაქტიკასთან წინააღმდეგობასი აღმოჩნდა. ის შეიძლება განვიხილოთ როგორც ჰიპოთეზა, რომელსაც არ შესწევს უნარი ასახოს რეალური სინამდვილის მრავალსახეობა და წინააღმდეგობა.

სადისკუსიოდ რჩება ექსპლუატაციის წყაროების და უთანასწორობის ისტორიულ ფორმათა ევოლუციის საკითხი. ღირებულების მარქსისეული ახსნა თეორიულ საფუძველს წარმოადგენს დაქირავებული შრომის ექსპლუატაციის ასახსნელად. მარქსის აზრით, ექსპლუატაციის საფუძვლად უდევს კაპიტალისტების მიერ დაქირავებული მუშების შრომის შედეგთა გაუცხოებგა, რაც თავისთავად, წარმოების საშუალებათა გაუცხოვებით არის განპირობებული.

მაგრამ, ვიხელმძღვანელებთ რა ღირებულების შრომითი თეორიის დებულებებით , შეიძლება ვამტკიცოთ რომ მთელი წატმოებული პროდუქი მუშებს უნდა ეკუთვნოდეთ? მარქსი ხომ თვითონ უარყოფდა შეუკვეცავი შრომითი შემოსავლის კონცეფციას. თეორიულად და პრაქტიკულად შეუძლებელია ისეთი საზოგადოების არსებობა, სადაც არ

იქნებოდა შრომის შედეგთა ნაწილობრივი გადანაწილება ერთისაგან მეორის სასარგებლოდ.

ცნობილია, რომ არსებობს რაოდენობრივი ზღვარი მწარმოებლის მიერ მითვისებულ და მისგან გაუცხოებულ პროდუქტის ნაწილებს შორის, ზღვარი, რომელიც საზოგადოების განვითარებისა და საზოგადოებრივი სიმდიდრის გამრავლების შედეგად თანდათან წაიშლება. ამასთან, პროდუქტის ნაწილის გაუცხოება და ექსპლუატაცია არ ქრება, მაგრამ სოციალურ წინააღმდეგობათა სიმძაფრე სუსტდება; იცვლება შრომის შინაარსი, მისი მიზნობრივი მიმართულება.

ამჟამად მტკიცდება პოზიცია, რომელიც აღიარებს სოციალური ანტაგონიზმის სხვადასხვა სახეობათა (ფორმების) არსებობას, მათ ტრასფორმირებას სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობებში მომხდარი ცვლილებების ზეგავლენის შედეგად. მარქსის დებულება, რომელიც წარმოების საშუალებებისადმი დამოკიდებულებაში განმსაზღვრელი როლიდან გამომდინარეობს, ცხადია, ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას, მაგრამ იგი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ყოვლიცმომხველი და ამომწურავი კონცეფცია.

კი არ შარვყოთ, არამედ ხელახლა გავიაზროთ მარქსის მოძღვრება

ეკონომიკური განვითარების ძირითადი კანონებისა და ტენდენციების განსჯა უფრო დაწვრილებით და ღრმა გააზრებას საჭიროებს. ეკონომიკური ციკლის ფორმირებისა და ევოლუციის თავისებურებანი, საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციათა განვითარებისა და შეცვლის კონცეფცია, სოციალურ-კლასობრივ ურთიერთობათა სპეციფიკა და ტრანსფორმაცია - ეს ფენომენი და პროცესები, როგორც ბევრი სხვა, მოითხოვენ ფუნდამენტურად ახლებურ გააზრებას.

ლიტერატურაში ჭარბობს აზრი, რომლის თანახმადაც საზოგადოებრივი წყობის სისტემები და საერთოდ ისტორიული გარდაქმნები ყოველთვის სრულყოფისა და პროგრესისაკენ (გადახრებისა და უკუმოძრაობის გამორიცხვის გზით) არ არიან მიმართულნი. საზოგადოებრივი სტრუქტურა არ უნდა ხასიათდებოდეს ერთი, თუნდაც წამყვანი კრიტერიუმით; საზოგადოებრივი წყობა მეტისმეტად მრავალფაქტორიანი, არაერთმნიშვნელოვანი და წინააღმდეგობრივია. არ შეიძლება ცალკეულ სისტემებს შორის არსებული პრინციპულ სხვაობათა აბსოლუტიზება. საზოგადოების შემდომი პროგრესი ორგანულად არის დაკავშირებული გლობალური პრობლემების გადაწყვეტასთან.

მარქსის ეკონომიკური მოძღვრება-მიმზიდველი და ღრმა მიმართულებაა ეკონომიკურ მეცნიერებაში. მისი სოციოლოგიურობა შეიძლება აღვიქვათ როგორც სისუსტე, გარკვეული ცალმხრივობა, მაგრამ ამასთან, უნდა ვაღიაროთ, რომ სოციალურ პრობლემათა დაყენება და დამუშავება, ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების სოციალური ასპექტების გამოყოფა სრულიად სამართლიანია და მარქსისტული მეთოდოლოგიის ერთ-ერთ მომგებიან, ძლიერ მხარეს და რთული, წინააღმდეგობრი სინამდვილის შეცნობისადმი სწორ მიდგომას წარმოადგენს.

ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი პოპულარიზატორი, შვედი თეორეტიკოსი და ეკონომისტი კ. ეკლუნდი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ მარქსის მოძღვრებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სხვადასხვა თაობის ყველა სოციალისტისათვის, როგორც შთაგონების წყაროს და თეორიულ მეგზურს. სხვათა შორის, თვითონ მარქსმა ძალიან ცოტა რამ თქვა იმაზე, თუ როგორი იქნება მომავალი სოციალისტური საზოგადოება, დარცენილი ჩანაწერები გვამცნობენ, რომ ის მიისწრაფოდა რაღაც გეგმური ეკონომიკისაკენ, რომელიც „ანარქიასა“ და ბაზრის „ქაოსს“ გამორიცხავდა.

დანართი ა
ნეოლიბერალიზმი

ნეოლიბერალიზმი კეინზელობის ერთდროულად XX საუკუნის 30-იან წლებში აღმოცენდა, როგორც შეხედულებათა დამოუკიდებელი სისტემა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პრობლემაზე.

ნეოლიბერალები ასაბუთებენ ეკონომიკის ლიბერალიზებას, თავისუფალი ფასწარმოქმნის პრინციპების გამოყენებას, ეკონომიკაში კერძო საკუთრების და არასახელმწიფოებრივი სამეურნეო სტრუქტურებისთვის წამყვანი როლის მინიჭებას. ისინი რა სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირების როლის შესრულებაში „ღამის დარაჯის“ ან „სპორტული მსაჯის“ ფუნქციებს ხედავენ. მათ დასაბუთეს, „კონკურენცია ყველგან, სადაც შესაძლებელია, რეგულირება - იქ, სადაც აუცილებელია“, დებულების მართებულობა და დაამტკიცეს სახელმწიფოს შეზღუდული მონაწილეობის მართლზომიერება ეკონომიკურ პროცესებში. მეტ ზემოქმედებას მეწარმეთა თავისუფალ და სტაბილურ ფუნქციონირებაზე, ნეოლიბერალები განიხილავენ, როგორც მხოლოდ ეკონომიკური უწონასწორობის აღმოფხვრის პირობას.

უკვე 30-იან წლებში ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კეინზური იდეების საწინააღმდეგოდ მოქმედებისთვის, რომელიც ზღუდავს თავისუფალი კონკურენციის სისტემას, რიგ ქვეყნებში შეიქმნა ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევის ალტერნატიულ ღონისძიებათა შემუშავების ნეოლიბერალური ცენტრები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეების აღორძინებას და ეკონომიკური ლიბერალიზმის პრაქტიკულ განხორციელებას. ლიბერალიზმის ყველაზე უფრო მსხვილმა ცენტრებმა გერმანიაში, აშშ-სა და ინგლისში შესაბამისად მიიღეს

ფრაიბურგის სკოლის (მისი ლიდერები - ვ. ოიკენი, ვ. რიოპკე, ა. რიუსტოვი, ლ. ერჰარდი და სხვ.), ჩიკაგოს სკოლის, რომელსაც ასევე მონეტარულ სკოლასაც უწოდებენ (მისი ლიდერები - ლ. მიზესი, მ. ფრიდმანი, ა. შვარცი და სხვ.) და ლონდონის სკოლის სახელწოდებები (მისი ლიდერები - ფ. ჰაიეკი, ლ. რობინსი და სხვ.). ნეოლიბერალური იდეების გამოჩენილი წარმომადგენელი საფრანგეთში იყვნენ ეკონომისტები ჟ. რიუეფი, მ. ალე და სხვ.

სოციალური საბაზრო მეურნეობის კონცეფცია: რა არის ორდოლიბერალიზმი?

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ნეოლიბერალიზმის იდეოლოგიამ წარმატებული პრაქტიკული გამოყენება თავდაპირველად დასავლეთ გერმანიაში (გფრ) ჰპოვა. აქ, 1948 წლიდან დაწყებული, ამ იდეებმა ადენაუერ-ერჰარდის მთავრობის სახელმწიფო დოქტრინის სტატუსი შეიძინა. ნეოლიბერალიზმის სახელოვანი გერმანელი თეორეტიკოსები ვ. რიოპკე, ა. რიუსტოვი და სხვ. სათავეში ჩაუდგნენ მონოპოლიზმის ნებისმიერი გამოვლენის კრიტიკას თავისუფლებისა და ჰუმანიზმისათვის. ვ. ოიკენმა და მისმა მიმდევრებმა ფრაიბურგის უნივერსიტეტში იმავე 1948 წლიდან დაიწყეს წელიწდეული „ორდოს“ გამოშვება, რომელმაც ყველა ქვეყნის ნეოლიბერალიზმის თეორიული ტრიბუნის როლი ითამაშა. თვით სიტყვა „ორდო“, რომელიც შერჩეულია ვ. ოიკენის მიერ, კრებსით ცნებად გადაიქცა, რომელიც „თავისუფალი საბაზრო მეურნეობის ბუნებრივი წყობილების... სიმვოლიზებას ახდენს“. ნეოლიბერალიზმის დასავლეთ-გერმანული დოქტრინა, „ოიკენის სკოლის“ ზეგავლენით, „ორდოლიბერალიზმადაც“ კი იწოდება.

სოციალური საბაზრო მეურნეობის არსი. გფრ-ის ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსებს მიეკუთვნება „ბაზრის თავისუფლების პრინციპისა და სოციალური გამოთანაბრების პრინციპით სამართლიანი განაწილების იდეა“. პირველად იგი კონცეფტუალურად გადმოსცა ა. მიულერ-არმაკმა თავის წიგნში „სამეურნეო მართვა და საბაზრო მეურნეობა (1947), რომელშიც ასევე პირველად გამოიყენა ტერმინი „სოციალური საბაზრო მეურნეობა“. დამუშავებები ამ მიმართულებით გააგრძელა ვ. რიოპკემ, ლ. ერჰარდმა, ვ. ოიკენმა და სხვ. ამასთან, „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ მოდელის შექმნაში ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ამოცანის სახით გაცხადდა თვით გფრ-ს კანცლერის კ. ადენაუერის მიერ ვ. რეპკეს წიგნის წინასიტყვაობაში „სწორია თუ არა გერმანული ეკონომიკური პოლიტიკა?“(1950).

ვ. რიოპკეს დახასიათებით, „სოციალური საბაზრო მეურნეობა“ - ესაა გზა „ეკონომიკური ჰუმანიზმისკენ“. თავის წიგნში „ჰუმანური საზოგადოება“ იგი წერდა, რომ მეურნეობის ეს ტიპი კოლექტივიზმს უპირისპირებს პერსონალიზმს, ხელისუფლების კონცენტრაციას - თავისუფლებას, ცენტრალიზმს - დეცენტრალიზმს, ორგანიზაციას - თვითნებობას და ა.შ. ვ. რიოპკეს მოსაზრებების სოლიდარობით, ლ. ერჰარდი ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის (ქდკ) ყრილობაზე 1957 წელს ამტკიცებდა გფრ-ში „სოციალური სააბაზრო მეურნეობის“ ჩამოყალიბების მეორე ეტაპის დასაწყისის შესახებ. ცოტა მოგვიანებით, 60-იანი წლების დასაწყისში ერთ-ერთ თავის პუბლიკაციაში ლ. ერჰარდი ხაზს უსვამდა, რომ „სწორედ თავისუფალი შეჯიბრი წარმოადგენს უწინარეს ყოვლისა სოციალური საბაზრო მეურნეობის ძირითად ელემენტს“. ხოლო ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის მორიგ ყრილობაზე 1965 წელს ლ. ერჰარდმა განაცხადა

გფრ-ში „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ შექმნის პროგრამის დასრულების შესახებ, რომელმაც ეს ქვეყანა „ფორმირებულ საზოგადოებად“ გადააქცია.

„ფორმირებული საზოგადოების“ დოქტრინა, ლ. ერჰარდის და მის თანამოაზრეთა მოსაზრებით, - ეს უკეთესი „ბუნებრივი ეკონომიკური წესრიგის“ მოძიებაა, რომლის მიღწევა შეიძლება „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ შექმნით. მასში კატეგორიულად უარყოფილია მარქსისტული იდეები საზოგადოებრივი წყობილების ხუთი ფორმის (ტიპის) და წარმოებით ურთიერთობათა და კლასების ანტაგონიზმის შესახებ. იგი ემყარება ვ. ოიკენის დებულებას იმის შესახებ, რომ ადამიანთა საზოგადოებას ახასიათებს მხოლოდ ორი ტიპის ეკონომიკა: „ცენტრალიზებულად მართვადი“ (ტოტალიტარიზმი) და „გაცვლითი ეკონომიკა“ (სხვა ტერმინოლოგიით - „თავისუფალი, ღია მეურნეობა“), და ასევე ეკონომიკის ამ ტიპების შეხამების იდეაზე, ერთ-ერთი მათგანის მოჭარბებული ნიშნით კონკრეტულ ისტორიულ პირობებში.

ვ. ოიკენი „ეკონომიკური სისტემების“ ტიპების შესახებ. ვალტერ ოიკენმა (1891-1950) თავის 9 გამოცემა გამოვლილ წიგნში „ეროვნული ეკონომიკის საფუძვლები“ (1947), ფუნდამენტურად დაამუშავა ეკონომიკის საბაზრო ორგანიზაციის ძირითადი ფორმების ტიპოლოგიის პრობლემატიკა. ამ წიგნის ერთ-ერთ თავში „ეკონომიკური სისტემები“, მის მიერ დასტურდება ერთიდაიგივე საზოგადოებაში ორი იდეალური , როგორც იგი ვარაუდობს, ტიპის ეკონომიკა: გაცვლითი და ცენტრალიზებულად მართვადი. იგი წერს: „ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკის“ სისტემა იმით ხასიათდება, რომ მთელი საზოგადოების ყოველდღიური ეკონომიკური ცხოვრება რეგულირდება ერთიანი ცენტრიდან გამომავალი გეგმებით. თუკი საზოგადოების ეკონომიკა ორი ან მეტი ცალკეული მეურნეობისგან შედგება, რომელთა შორის თითოეული ადგენს და ცხოვრებაში ატარებს თავის გეგმებს, მაშინ ეს - „გაცვლითი ეკონომიკის“ სისტემაა.

შემდგომში, ვ. ოიკენი აზუსტებს, რომ „ისტორიულ რეალობაში“ ორივე ამ სისტემის ელემენტები „უმეტეს შემთხვევებში გადაიხლართებიან“ და, რომ „არაგაცვლითი ეკო-ნომიკის სისტემა არსებობდა და არსებობს ორი ფორმით: როგორც „მარტივი ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკა“ (განცალკავებული მეურნეობა) ან, როგორც „ცენტრალიზებულად-ადმინისტრირებული ეკონომიკა“. ამასთან, ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკის ორივე ფორმის ელემენტებს, წერს იგი, „ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ ზოგიერთ ქვეყნებში და ცალკეულ დროს, მაგალითად, პარაგვაის იეზუიტურ თემში, ან ინკების სახელმწიფოში, ან ჩვენი საუკუნის 40-იანი წლების რუსეთში. ისინი ყველგან და ყველა დროში გვხვდებოდნენ. ზოგჯერ ისინი დომინირებდნენ, ზოგჯერ უბრალოდ ავსებდნენ საერთო სურათს, მაგრამ ყოველთვის გამოდიოდნენ გაცვლითი ეკონომიკის ელემენტებთან შეერთებით“.

ამასთან, ოიკენის მიხედვით, „ორი ხსენებული ფორმა რეალიზდება სამ ფორმაში“, რომელთა შორის თითოეულს იგი ასე ახასიათებს: ა) „ტოტალური ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკა“ (გაცვლა საერთოდ არ დაიშვება; პროდუქტების წარმოება, განაწილება, და მოხმარება უკანასკნელ წვრილმანამდე ხორციელდება ცენტრალური ხელმძღვანელობის მითითებებით და ბრძანებებით); ბ) „ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკა მოხმარების საგნების თავისუფალი გაცვლით“ (გაცვლა ასევე ხორციელდება ცენტრალური ინსტანციის არსებობის დროს, რომელიც განსაზღვრავს მწარმოებლურ

ძალთა გამოყენების ხერხს, წარმოებრივი პროცესის დროით სტრუქტურას, პროდუქტების განაწილების წესს... მაგრამ განსხვავებით პირველი ვარიანტისგან, მომხმარებლებს აქ შეუძლიათ კორექტივები შეიტანონ გამოყოფილი მოხმარების საგნების განაწილებაში გაცვლის გზით); გ) „ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკა თავისუფალი სამომხ-მარებლო არჩევანით" (დოვლათის სამომხმარებლო არჩევანი თავისუფალია, მაგრამ, როგორც წესი, იმათგან, რომელთაც საწარმოებლად ითვალისწინებს „ცენტრალური ინსტანცია").

სახელმწიფოს როლი „სოციალურ საბაზრო მეურნეობაში". „თავისუფალი საბაზრო მეურნეობის" ავტომატური ფუნქციონირების შეუძლებლობის გაცნობიერებით, ვ. რიოპკე და ლ. ერჰარდი აუცილებლად აღიარებდნენ წარმოების ანარქიის ნებისმიერი გამ-ოვლინებისთვის სახელმწიფოებრივი ჩარევის შესაბამისი ღონისძიებების დაპირისპირ-ების აუცილებლობას, რომლებიც უზრუნველყოფდნენ „სინთეზს თავისუფალ და სო-ციალურად სავალდებულო საზოგადოებრივ წყობილებას" შორის. სახელმწიფოს როლი, რიოპკე-ერჰარდის ხატოვანი ილუსტრაციის თანახმად, შედარებულია ფეხბურთის მინ-დორზე მსაჯის (არბიტრის) მდგომარეობასთან, რომელიც მკაცრად აკვირდება ფეხბურ-თის გუნდების მოქმედებას განსაზღვრული წესების შესაბამისად, მაგრამ უფლება არა აქვს უშუალოდ ჩაერთოს თამაშში. სხვა სიტყვებით, სახელმწიფომ „სოციალური საბა-ზრო მეურნეობის" არსებობის პირობების მხარდასაჭერად, როგორც „იდეალური ტი-პის" თავისუფალმა საბაზრო მეურნეობამ, თვალი უნდა მიადევნოს თავისუფალი კონკურენციის „წესების" (პატიოსანი თამაშის) დაცვას, გააკონტროლოს ფასწარმოქმნის პირობები და აღკვეთოს მონოპოლიური ფასების დაწესების მცდელობები, უზრუნველ-ყოს კერძო საკუთრების დაცვა და პრიორიტეტული მნიშვნელობა საქონლურ-ფულად მეურნეობაში მონოპოლიების გარეშე.

60-70-იან წლებში ნეოლიბერალების კონცეფცია „სოციალური საბაზრო მეურნეობის" მოდელის შექმნისა და ფუნქციონირების შესახებ, დიდწილად ეხმიანებოდა იმ პერი-ოდში წარმოშობილ ინსტიტუციონალისტების მოდელსაც „საყოველთაო კეთილდ-ღეობის საზოგადოების" შესახებ, რამდენადაც ერთშიც და მეორეშიც უარყოფილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და კლასობრივი ანტაგონიზმი. ორივე მოდელი, გარდა ამისა, ემყარება სახელმწიფოს აქტიურ სოციალურ ფუნქციას, ყველა მოქალაქისთვის თანაბარი უფლებების და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად სოციალურ მომსახურებათა მიღებაში და მათი კეთილდღეობის ამაღლებაში. ამასთან, „საყოველ-თაო კეთილდღეობის" გარეგნულ გამოვლენაში, ცხადია, იგულისხმებოდა არა მხო-ლოდ აქციონერთა რაოდენობის ზრდა საზოგადოების სხვადასხვა ფენებში, არამედ, ასევე ყველა საზოგადოებრივი ინსტიტუტების გაზრდილი სტაბილურობა, მშრომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის რწმენა ხვალინდელი დღისადმი და ა.შ.

მონეტარიზმის ჩიკაგოს სკოლა. რა არის ჩიკაგოს სკოლა? აშშ-ში, როგორც ზემოთ აღინიშნა, კეინზელობის ალტერნატივა გახდა ე.წ. ნეოლიბერალიზმის ჩიკაგოს სკოლა, რომლის მონეტარული იდეები ჩიკაგოს უნივერსიტეტის კედლებში ჯერ კიდევ XX საუკუნის 20-იან წლებში წარმოიშვა. მაგრამ დამოუკიდებელი და, მით უმეტეს, ლიდერის მნიშვნელობა ნეოლიბერალურ მოძრაობაში ამერიკულმა მონეტა-რიზმმა 50-იანი წლების დასასრულსა და 60-იანი წლების დასაწყისში შეიძინა მ. ფრიდმანის რიგი პუბლიკაციების გამოჩენის შემდეგ, რომელიც 1976 წელს ნობელის

პრემიის ერთ-ერთი ლაურეატი გახდა ეკონომიკაში. ფრიდმანმა და მისმა თანა-მოღვაწეებმა კეინზურ არაფულად ფაქტორებს (მაგალითად, ინვესტიციებს) სწორედ ფულადი ფაქტორები ამჯობინეს.

ფილიპსის მრუდის წარმოშობა. გამარტივებული ეკონომიკური რეკ-ომენდაციების აუცილებლობის დასაბუთებით, რომელიც ტიპური იყო კეინზური რევო-ლუციის პერიოდისთვის, ეკონომიკურ მეცნიერებაში 1958 წელს ა. უ. ფილიპსის მიერ გამოყვანილი ემპირიული მრუდის მომხრეები შეიპარნენ, რომელიც(მრუდი) ახასიათებდა ხელფასის ყოველწლიურ პროცენტულ ცვლილებასა და უმუშევრობის დონეს (წილს) შორის კავშირს ინგლისში, ფულად გამოხატულებაში , 1861-1913 წლებში. დისკუსიებმა მოცემული დამოკიდებულების შესახებ კიდევ უფრო ფართო გაქანება შეიძინა მას შემდეგ, რაც 1964 წელს პ. სამუელსონმა ამ მრუდთან დაკავშირებული ფაქტო-ბრივად ახალი კონცეფცია შეიტანა თავისი სახელმძღვანელოს „ეკონომიკსი“ მე-6 გამოცემაში და თვით გრაფიკს, მისი ავტორის - ფილიპსის მრუდი უწოდა.

ამ აღმოჩენამ, როგორც ბლაუგი წერს, „ინფლაციის გარეშე სრული დასაქმების ადრინდელ კეინზურ იდეალს სული გააფრთხობინა ეკონომიკური პოლიტიკის მიზნის სახით. ფასების სტაბილურობა და უმუშევრობა შეუთავსებლები, მოკონფლიქტე მიზნები გახდნენ: უმუშევრობის შემცირება მიღწევადია მხოლოდ დაჩქარებული ინფლაციის ფასად, ხოლო ინფლაციის შემცირება, ჩვეულებრივ, გულისხმობს უმუშევართა ზრდას. ამრიგად, სტაბილური ფასების და სრული დასაქმების მიღწევის ადრინდელმა იმედმა ადგილი დაუთმო ფასების სტაბილურობასა და სრულ დასაქმებას შორის არჩევანის ცნებას“9.

მ. ფრიდმანის მონეტარული კონცეფცია. მ. ფრიდმანი და მისი კოლეგები ფილიპ-სის და მისი მრუდის გარშემო გამოკვლევათა საფუძველზე იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ეს მრუდი შორს სტაბილური როდია, განსაკუთრებით 60-იანი წლების ბოლოს, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეკონომიკების იმ სიტუაციის გათვალისწინებით, როდესაც ინფლაციის ზრდას, ამ მრუდის „ლოგიკის“ საწინააღმდეგოდ, თან ახლდა, არა უმუშე-ვრობის შემცირება, არამედ უმუშევრობის ზრდა, და შემდგომში - 70-იანი წლების და-საწყისში ინფლაციისა და უმუშევრობის ერთდროული ზრდაც კი შეინიშნებოდა.

მ. ფრიდმანმა ეკონომიკურ პროცესებში ფულის, ფულის მასისა და ფულადი მიმოქცევის პრიორიტეტული მნიშვნელობის აღორძინება სცადა. სხვათა შორის, თავისი არსით ნეოლიბერალური მონეტარული კონცეფცია, აპრობირებულ იქნა აშშ-ის რესპუ-ბლიკური მთავრობის მიერ პრეზიდენტ რ. ნიქსონის დროს 1969-1970 წწ. (მაშინ მ. ფრიდმანი ამ ქვეყნის პრეზიდენტის მრჩეველი იყო). მაგრამ მონეტარულ ეკონომიკურ შეხედულებებს ყველაზე მეტი წარმატება აშშ-ის შემდგომი რესპუბლიკური მთავრობის დროს, ე.წ. რეიგანომიკის დროს ჰქონდა, რომელმაც შესაძლებელი გახადა ინფლაცი-ის შესუსტება დოლარის რეალური განმტკიცების პირობებში.

„უმუშევრობის ბუნებრივი ნორმის“ ფრიდმანისეული კონცეფცია. ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის კონცეფციის ფრიდმანისეული სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ იგი, კეინზური კონცეფციისგან განსხვავებით, მკაცრი ფულადი პოლიტიკით შემოიფარგლება. უკანასკნელი მჭიდროდაა დაკავშირებული ფრიდმანისეულ „უმუშე-ვრობის ბუნებრივ ნორმასთან“, რომელიც ფულის რაოდენობის მუდმივი და სტა-ბილური ზრდის მეშვეობით მიიღწევა, წელიწადში 3-4%-ით, დამოუკიდებლად კონიუნ-

ქტურის მდგომარეობისა (აშშ-ის მშპ-ის ზრდის საშუალო წლიური ტემპების გათ-ვალისწინებით რიგი წლებისთვის, რომლის მიხედვით დგინდება ეროვნული ეკონომიკის მაქსიმალური შესაძლო დონე.)

მ. ფრიდმანისეული „უმუშევრობის ბუნებრივი ნორმის“ (უბნ) კონცეფცია ემყარება, როგორც ინსტიტუციონალურ, ისე საკანონმდებლო დეტერმინანტებს (მხედველობაში აქვს პირველში, მაგალითად, პროფკავშირები, ხოლო მეორეში - მინიმალური ხელფასის დონის შესახებ კანონის მიღების შესაძლებლობა). იგი უმუშევრობის მინიმალური დონის დასაბუთების შესაძლებლობას იძლევა, რომლის დროსაც, განსაზღვრული პერიოდში ინფლაცია შეუძლებელი იქნება. მ. ბლაუგის მოსაზრებით, „უბნ, რომელსაც მუდმივად უბრუნდება ეკონომიკა, - ეს ძველი პროპორციული დამოკიდებულების კლასიკური დოქტრინის თანამედროვე მონეტარული ვერსიაა ფულის რაოდენობასა და ფასებს შორის გრძელვადიან პერიოდში; ღუზა, რომელსაც სარგებლის განაკვეთი უჭირავს სტაბილურ მდგომარეობაში...“.

მთლიანად ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ნეოლიბერალური იდეები კეინზელებისას ჭარბობდა დაახლოებით დაწყებული 70-იანი წლებიდან, როდესაც მრავალი ქვეყნისთვის მუდმივი გახდა მზარდი ინფლაციური პროცესები, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, უმუშევრობა. ნეოლიბერალები ადანაშაულებდნენ კეინზელებს (და ნეოკეინზელებს) ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის გაზრდილი მასშტაბების, თავისუფალი კონკურენციის პირობების შეზღუდვის, ინვესტიციების შემცირებისთვის ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს სფეროებში „დაპირებების“ საწინააღმდეგოდ, რომ „მა-თი (ინვესტიციების) ეფექტი მულტიპლიკაციური ძალით ვრცელდება და კიდევ უფრო ძლიერდება აქსელერატორით“. ნეოლიბერალიზმის კეინზელობაზე პრიორიტეტის გამ-ოვლენის თვალნათელი მაგალითი 70-80-იან წლებში იყო მეურნეობის მრავალი დარგის დენაციონალიზაცია მრავალწლიანი პროგრამების შესაბამისად, რომლებიც ადრე სახელმწიფო ეკონომიკის სფეროში იმყოფებოდნენ. უკანასკნელ წლებში ამის წყალობით არსებითად გაჯანსაღდა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იაპონიის, აღ-მოსავლეთი გერმანიის (ყოფილი გდრ), ჩილეს, ესპანეთის და სხვა ქვეყნების ეკონომიკები, რომელთაც სახელმწიფო ეკონომიკური ზეგავლენის სფერო მინიმუმამდე დაიყვანეს.

(წყარო: იადგაროვი ი. ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია. სახელმძღვანელო, აკადემიკოს ავთანდალი სილაგაძის საერთო რედაქციით. თბილისი, 2014 წ.)

კითხვები გამეორებისთვის

1. ეკონომიკური თეორიის თანამედროვე ძირითადი მიმართულებები.
2. კონომიკური თეორია და დოქტრინა.
3. ნეოკლასიკური თეორიის ძირითადი კონცეფციები.
4. ინსტიტუციონალიზმი და მისი 3 ძირითადი იდეა.
5. ჯ. მ. კეინზის ეფექტიანი მოთხოვნის თეორია.
6. მონეტარიზმი: მილთონ ფრიდმენის „ფულადი წესი“.
7. მიწოდების ეკონომიკა: ლაფერის ეფექტი.
8. ნეოლიბერალიზმი: ფ. ჰაიეკი ადმინისტრაციული დესპოტიზმის წინააღმდეგ.

ძირითადი ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2014წ.
2. ასათიანი რ. თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია. გამომცემლობა "სიახლე", *თბილისი, 2014წ.*
3. ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბილისი, 2001.
4. *გუგუშვილი პ. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. მონოგრაფიები, ტომი მეშვიდე. თბილისი, "მეცნიერება", 1984*
5. *გველესიანი მ. ეკონომიქსი. გამომცემლობა "კომენტარი", თბილისი, 2000წ.*
6. *გვიშიანი ზ. ეკონომიკა, სტრუქტურულ- ლოგიკური სქემები, დამხმარე სახელმძღვანელო. გამომცემლობა "მერიდიანი", თბილისი, 2014წ.*
7. *გუროვა ი. მსოფლიო ეკონომიკა. მთარგმნელი და მთავარი რედაქტორი პროფ. შ. ვეშაპიძე, თბილისი, 2014წ.*
8. *გოგოხია რ. შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2004 წ.*
9. ჯონ დ. დენიელსი, ლი ჰ. რედებოგი, დანიელ პ. სალივანი, საერთაშორისო ბიზნესი: გარე სამყარო და ოპერაციები, მე-14 გამოცემა. წიგნის პირველი ქართულენოვანი გამოცემა. სამეცნიერო რედაქტორი პროფ. თ. შენგელია, გამოცემის რედაქტორები: პროფ. შ. ვეშაპიძე, პროფ. უ. სამადაშვილი, ასოც. ხ. ბერიშვილი, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2015.
10. *ეკონომიკა. შემდგენელი პ. ლეიაშვილი. თბილისი, 2008წ.*
11. *ეკონომიკური თეორია, სახელმძღვანელო. გ. ადეიშვილისა და რ. ასათიანის რედაქციით. თბილისი, 1998 წ.*
12. *ერქომაიშვილი გ. ბიზნესი: ფირმის ფუნქციონირების ძირითადი ასპექტები, თბილისი, 2007 წ.*
13. *ერქომაიშვილი გ., ხარაიშვილი ე. ფირმის ეკონომიკა. გამომცემლობა "უნივერსალი", თბილისი, 2011 წ.*
14. *ვეშაპიძე შ., ასლამაზიშვილი ნ., თურნავა ნ. ელემენტარული ეკონომიკა. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტის გამოცემა, თბილისი, 1998წ.*
15. *ვეშაპიძე შ. ეკონომიკური თეორიის საფუძვლები. თბილისი, 1998 წ.*
16. *ვეშაპიძე შ. ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური კვლევის მეთოდოლოგია და თანამედროვე ეკონომოკური განვითარების აქტუალური საკითხები. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტის გამოცემა, თბილისი, 1999წ.*

17. *თოდუა გ. ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია. თსუ-ს გამომცემლობა, ორ ტომად: ტომი I 2004, ტომი II 2009.*
18. *იადგაროვი ს. ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია: სახელმძღვანელო. მთ. რედაქტორი აკადემიკოსი ა. სილაგაძე. გამომცემლობა "უნივერსალი", 2014.*
19. *პოლ რ. კრუგმანი, მაურის ოფსტფელდი, მარკ ჯ. მელიტცი, საერთაშორისო ეკონომიკა, 2013 წლის გამოცემის ქართული თარგმანი. სამეცნიერო რედაქტორი აკადემიკოსი ა. სილაგაძე, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2015.*
20. *მენქიუ გრეგორი, ეკონომიკის პრინციპები. თბილისი, გამომცემლობა "დიოგენე", 2008 წ.*
21. *მაშინა მ. ეკონომიკის ანბანი. წიგნი თარგმნა დოც. თენგიზ გოლეთიანმა, მთავარი რედაქტორი პროფ. გიორგი ცაავა, რეცენზენტი პროფ. ზურაბ ლიპარტია. თბილისი,2000.*
22. *მოვსესიანი ა., ოგნივცევი ს. მსოფლიო ეკონომიკა. სახელმძღვანელო. რუსულიდან თარგმნა პროფ. შ. ვეშაპიძემ. თბილისის ოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტის გამომცემლობა. ტ.1, 2003 – 568 გვ. ტ.2, 2004 – 332 გვ.*
23. *პაპავა ვლ. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონიმიკა. თბილისი, 2005 წ.*
24. *პაპავა ვლადიმერ(ლადო), არატრადიციული ეკონომიკსი. თბილისი, 2011წ.*
25. *პაპავა ვლადიმერ(ლადო), თამარ თაფლაძის და არჩილ გეგეშიძის მონაწილეობით, საქართველოს ეკონომიკა: რეფორმები და ფსევდორეფორმები. გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი, 2015 წ.*
26. *პაიპსი რ. საკუთრება და თავისუფლება. გამომცემლობა „დიოგენე", თბილისი, 2004 წ.*
27. *სილაგაძე ა. ეკონომიკური დოქტრინები. თბილისი, 2010წ.*
28. *სილაგაძე ა., კახნიაშვილი ჯ., მექვაბიშვილი ე. ეკონომიკსი. თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2006წ.*
29. *სილაგაძე ა., თოქმაზაშვილი მ. პოსტკომუნისტური ფინანსური პოლიტიკა. საგამომცემლო სახლი „ინოვაცია", თბილისი, 2008.*
30. *სამუელსონი პ; ნორდჰაუსი ვ. ეკონომიკა (სახელმძღვანელო, ოთხ ტომად). თბილისი, 2000 წ.*
31. *სამადაშვილი უ., შენგელია რ. თანამედროვე ეკონომიკა. გამომცემლობა "უნივერსალი", თბილისი, 2013. – 349 გვ.*
32. *სისვაძე ა. ეკონომიკური თეორია ორ ტომად. თბილისი, 2006 წ.*
33. *ფეტელავა ს., გოგიაშვილი შ. ეკონომიკური კონკურენცია. თბილისი, 2012 წ.*
34. *ქარჩავა ლ. გამოჩენილ ბიზნესმენთა სამეწარმეო ცხოვრებიდან. „ლოი", თბ., 2006წ.*
35. *ხარიტონაშვილი ჯ. პროტექციონისტული ეკონომიკური დოქტრინის ევოლუცია. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008წ.*
36. *ჩიქავა ლ. ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი. თბილისი, 1997 წ.*

37. *ჭავჭავაძე ი. პუბლიცისტური წერილები, 1882-1886. თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად, ტომი VII, "ილიას ფონდი", თბილისი, 2005 წ.*
38. *ჭავჭავაძე ი. სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში ფრიტრედერობა და პროტექციონობა. თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად, ტ. IX, "ილიას ფონდი", 2006 წ.*
39. *ჭიაბრიშვილი ნ. ეკონომიკის ანბანი. (ექსპერიმენტული სახელმძღვანელო). იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტი. თბილისი, 2000წ.*
40. *ჭუმბურიძე მ. ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია (მოკლე კურსი). თბილისი, 2009 წ.*
41. *გარეთ რ. ჯონსი, ჯენიფერ მ. ჯორჯი, თანამედროვე მენეჯმენტის საფუძვლები. თბილისი, 2006 წ.*
42. Paul Krugman, Robi Wells, Martha L. Olney Essentials of Economics. 2008.
43. Jack Harvey. Modern Economics. 2003.
44. ***Борисов Е.Ф. Основы Экономики. учебник, М., 2008.***
45. ***Гребнев Л.С., Нуреев Р.М. Экономика. Курсанов: Учебник для студентов высш.уч.завед., Обучающихся по неэконом. специальностям и направлениям. – М.: Вита-Пресс, 2000. - 432 ст. ил.***
46. ***Козырев В.М. Основы современной экономики: Учебник. – 2-у изд., перераб. и доп-М.: Финансы и статистика, 2000-432 с.***
47. ***Экономика: Учебник для юристов/Под ред. д.э.н., проф. Д.В. Валового. – М.:, Изд-во «Щит-М», 1999-360 с.***
48. ***Экономика. Под редакцией проф. А.С. Булатова. М. 2005.***